240/
1959/2
XX-B

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

240/
1959/2

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მოამბე

ВЕСТНИК

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

XX-B

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი — 1959 — ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მოამბე

ВЕСТНИК

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

8276

XX-B

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1959 — ТБИЛИСИ

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ჩართოლანი

კერა სვანურ სახლში[1]

როგორც აგებულების, ისე ფუნქციის თვალსაზრისით სვანეთში კერა ყველაზე განვითარებული სახით წარმოდგენილია სვანურ სახლში. ამიტომ მის შესწავლას აქედან დავიწყებთ.

პირველ რიგში ისმის საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს კერას სვანურ სახლში, რა მიმართებაში იმყოფება იგი სახლის სხვა ნაწილებთან, მის ეგზასთან. ამის გასარკვევად საჭიროა მოკლედ შევეხოთ სვანური სახლის შინაგან სტრუქტურას.

აღსანიშნავია, რომ სვანური სახლის შინაგანი აგებულება შესწავლილი არ არის. ბევრი დროის მოგზაურები, რომლებსაც სვანეთის შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი ცნობები აქვთ დამოწმებული, სახლის შინაგანი კონსტრუქციის აღწერილობას ჩვეულებრივ არ იძლევიდნენ. პროფ. გ. ჩიტაიას სამართლიანი შენიშვნით, სამწუხაროდ, წინანდელი მკვლევარ-მოგზაურნი ქმაყოფილდებოდნენ საკმაოერებელი მინის გარეგანი, ზერელე აღწერით და ზოგადი შედარებებით და არ აქცევდნენ ყურადღებას სახლის შინაგან კონსტრუქციას[2].

რაც შეეხება თანამედროვე ეთნოგრაფიას, სვანური სახლი სპეციალური კვლევის საგნად ჯერ კიდევ არ ქცეულა, თუმცა სვანური ყოფის ამა თუ იმ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომებში სვანური სახლის არა ერთი მხარე აქვთ გაშუქებული გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძეს, რ. სარაძეს, ალ. რობაქიძეს და სხვებს.

ჩვენს ამოცანას სრულიადაც არ შეადგენს სვანური სახლის (ან თუნდაც მისი შინაგანი განლაგების) სრული აღწერილობა. წინამდებარე ნაშრომში სვანურ სახლს ჩვენ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია კერის საკითხის გაშუქებისათვის.

სვანური სახლი, რომელიც ერთიანურად საცხოვრებელი ბინის, საქონლის სამყოფის, საბძოლო, სოციალური და რელიგიური ფუნქციების მატარებელია, ჩვეულებრივ ოთხართულიან ქვის შენობას წარმოადგენს[3]. მისი

---

[1] ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ თავს მონოგრაფიისას — „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან".

[2] გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლების სახლი ქვაბლიანში, „ციმონხილველი", ტ. I, თბილისი, 1926, გვ. 137.

[3] ავსტრიელ სასსართველიანიც, ხოლო ეშვიათად კოშკური ტიპის ოთხსართულიანი სახლიც. ასევე, ქვის სახლის გარდა ხის სახლებიც დასტურდება აქა-იქ. იხ. I. Лежава и М. Джанашвили, Архитектура Сванети, 1938. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო ვრაუფული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, საბძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1945.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სართული (მაჩუბ, სგირი, ქორ) განკუთვნილია ადამიანთა ბინად და საქონლის სადგომად, ხოლო მეორე სართული (დარბაზს, მაკრეს) გამოყენებულია საქონლის საკვები მარაგისა და აგრეთვე ადამიანის სარეოს შესანახად. ზაფხულობით ზოგჯერ დარბაზს ბალს ზემო და ქვემო სვანეთში საცხოვრებლადაც იყენებენ.

კერა ჩვეულებრივ მაჩუბში დგას (სქემა 1). იგი განსაზღვრავს სახლის შინაგან გეგმას და მისი ნაწილების განლაგებას. მაგრამ თვით კერის მდებარეობაც თავის მხრივ სახლის კონსტრუქციითაა შეპირობებული და მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელი ბინის მთელ სისტემასთან. ანიტომ პირველ რიგში მოგვიდგება იმ ნაწილების აღწერა, რომლებიც კერასთან ერთ მთლიან კომპლექსს ქმნიან.

წინასწარ უნდა აღინიშნოს შემდეგი: მაჩუბი სვანეთში ძირითადად ყველგან ერთი ტიპისაა (ისევე, როგორც საერთოდ ორსართულიანი სვანური სახლი), მაგრამ ბუნებრივი პირობებისა და სამეურნეო მოთხოვნილებათა მიხედვით სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სოფელში ან თვით ერთი სოფლის შიგნითაც კი გვხვდება განსხვავებანი მაჩუბის ცალკეულ დეტალებში. ამ განსხვავებებზე ჯერ-ჯერობით მივუთითებთ.

სვანური სახლისათვის დამახასიათებელია მაჩუბში შესასვლელი გრძელი დერეფანი (ხაგშ — ბალს ზემოთ (ბზ.), გოშგან — ბალს ქვემოთ (ბქვ.), ჰაზუ — უშგული). დერეფანი მიშენებულია სახლის კედელზე გარედან. იგი უმეტეს შემთხვევაში ქვითკირისაა, მაგრამ ზოგჯერ მორებისგანაც აშენებდნენ. გვხვდება ისეთი სახლებიც, რომლებსაც არა აქვთ დერეფანი (სქემა 3,4), მაგრამ ასეთი სახლები შედარებით გვიანაა აშენებული. ძველ სახლებს ყოველთვის აქვთ გრძელი შესასვლელი.

დერეფანი ან მთელ სიგრძეზე გაჰყვება სახლის გარეთა კედელს, ან კედლის შუა ნაწილიდან იწყება. პირველ შემთხვევაში მისი სიგრძე უდრის სახლის კედლის სიგრძეს (8 — 12 მეტრამდე), მეორეში კი მის ნახევარს. დერეფნის სიგანე 4 მეტრამდე აღწევს. მისი დანიშნულებაა უპირველესად ყოველისა მაჩუბში სითბოს შენარჩუნება, გარდა ამისა, მას უნდა ჰქონოდა თავის დროზე საბრძოლო-თავდაცვითი დანიშნულებაც და სამეურნეო ფუნქციაც. ამჟამად აქ არის მოწყობილი საღორე. აქვე ინახავენ ზოგიერთ ინვენტარს (უღელი, თოხი, ბარი და სხვ.), ზაფხულში წყლის ჭურჭელს.

დერეფანს აქვს ორი კარი: ერთი გარედან შემოსასვლელი (ქამე ყორ — ბზ; ჰაგშიშ ყორ — ქვემო ეცერი), ხოლო მეორე — ხაგამიდან მაჩუბში შესასვლელი კარი (ნენსგან ყორ -ეცერი, ნესგან ყორ, ქორან ყორ — ბზ., მაჩუბა ყორ — ქვემოთ სვანეთი).

ქორა ყორს მაჩუბში შევყავართ. მაჩუბი განკუთვნილია როგორც ადამიანის საცხოვრებლად, ისე ცხოველების სამყოფად. მაჩუბის ფართობი საშუალოდ 10×12 კვ. მეტრს უდრის, მისი იატაკი (სგირი) მიწისაა. მაჩუბის ნაწილები სხვადასხვა დანიშნულების მქონეა.

მაჩუბის ის კუთხე, სადაც სახლის კარია დატანებული, გამოყოფილია ხის მორებით ან ნაჯახით გათლილი სქელი ფიცრებისაგან აგებული ე. წ. ბაგ-ით — ბზ. (სგამე გომგან, სგამე კვეშგ — ბქვ.), ბაგი პატარა ოთახს მოგვაგონებს (სქემა 2). ბაგის ფართობი 2×2 მეტრს შეადგენს. ზოგიერთ ბაგში მოწყობილია სანაგვე (ლაბენდუ), რომელიც სქელი ფიცრებითაა კარის მარჯვენა მხარეს სახლის კუთხეში გამოყოფილი. სახლის კარის მარცხნივ კუთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ მოთავსებულია წყლის ჭურჭლის (ვოხარ) დასადგმელი ქვა ან ფიცარი — ლავხარშლ. ბაგში დგას ხის კიბე (კიჩხ—ბზ., კიბ.—ბქვ.), რომლის ზედან ჭერში დატანებულია ავოელი (ჰულდუმ, კვირზუშ — ბქვ., ლუბი—ბზ.), ლობი (ქვ. სვ.). კიბის საშუალებით მაჩუბიდან ადიან მეორე სართულში — დარბაზში. როცა კერაში ცეცხლი ანთია, ჰულდუმში ადის ავოთეე მაჩუბიდან კვამლი. ჰულდუმს აქვს სახურაკი. როცა კვამლი დგას მაჩუბში, ჰულდუმს სახურავს ახდიან. ამგვარი ჰულდუმი ზოგიერთ სახლს ორი აქვს. გარდა ამისა მაჩუბს აქვს დარბაზიდან თავის ჩამოსაყოფელი — ლუნუწლ ლები — ბზ., ჰულდუმ—ბქვ.

ზოგიერთ სვანურ სახლში ერთთ ჰულდუმი განკუთვნილია სპეციალურად კვამლის ასასვლელად. იგი მოთავსებულია ხოლმე ბაგის ჰულდუმის მოპირდაპირე კედლების კუთხეში — შიგნითა მხარეს. ჰულდუმზე დადგმულია დაწნული მრგვალი ჩელტი, დარბაზის იატაკიდან სახურავამდე რომ ადის. იგი მუდამ ღია კვამლის ასასვლელად (მუქვლ — სოფ. თავრალი).

ბაგს მაჩუბის დანარჩენ ნაწილებში შესასვლელად ორი კარი აქვს: ერთი შედის ადამიანის საცხოვრებელში, ე. ი. მაჩუბის ცენტრალურ ნაწილში, სადაც კერაა გამართული, მეორე კარი კი საქონლის სამყოფში გადის.

საქონლის სამყოფი ჩვეულებრივად მაჩუბის სამი კედლის გაყოლებაზეა მოწყობილი. ბაგიდან შეედიკართ ხარების სამყოფში — ლაჯან. მომდევნო კედლის გასწვრივ ძროხების სამყოფია — ლაფურ, ხოლო მესამე კედელზე მიშენებულია ცხვრების სამყოფი — ლაღულიაქირ, ლადენწარი, ლატუფ (ბქვ.), ლაღულგაქირ (ბზ.), ტირხ[4], ლაღულიაქ (ქვ. სვ.).

საძროხე ბაგა სახარეს უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. მათ ორივეს ერთად „ვეალ“ ეწოდება ბალს ზემო და ქვემო სვანეთში. ბალს ქვემოთ სახარეს ბაგ-ს უწოდებენ, ხოლო საძროხეს — ვალ-ს. საძროხეში შესვლა ხდება მხოლოდ ხარების სამყოფის გავლით, ტრიხი კი ცალკეა გამოყოფილი და მას დამოუკიდებელი კარი აქვს.

ლაჯან ორი სახის გვხვდება. წინა მხრიდან დახურული და ღია. ღია ლაჯანი (სქემა 2, ნახ. 7) დამოწმებულია ფარში, ეცერში, თავრალში და ჭუბერში. აქ ხარებს აბამენ თავით კედლისაკენ. კედლის გასწვრივ არის მოწყობილი საქონლისათვის თავის დასაყრელი ე. წ. ლაღდიარ. ლაჯანის სიღრმე ორ მეტრამდე აღწევს.

ბალს ზემოთ და ნაწილობრივ ბალს ქვემოთაც ლაჯან წინ ამოშენებულია სქელი ფიცრით. ამ წინა კედელს ეწოდება: ლატუფ, ლეკუნდიარ—ბქვ., ლეკუნდრი, ისგენტაფარ—ბზ., სგანტაფ—ლენტები, ისგენტაფ—ჩოლური. ლეკუნდრის აქვს საქონლის თავის გამოსაყოფი წინ — ლათეგ (ბზ.), ლეკუნდრიაშ თერარ (ბქვ.), ლანთეგ—ლაშხეთი, ლამთეგ—ლენტ., ლანთუარ—ჩოლური (ყველა ეს სიტყვა ნაწარმოებია: თე — თვალს).

ლეკუნდრიზე სხვადასხვა ფიგურებია ამოკვეთილი (ლეკრელე)[5].

ლათეის წინ მოწყობილია საქონლისათვის თავის ჩასაყრელი, რომელსაც ზემო სვანეთში ლაღდიარ-ს, ხოლო ქვემო სვანეთში ბაგ-ს უწოდებენ. ლალდიარის ირი ზოგან ქვისაა და ზედ ფიცრები აქვს დაგებული. სახარეს ლეკუნდრის თვლები უფრო დიდია, ვიდრე საძროხესი. ორ ხარზე სამი თვალია გათვალისწინებული. უფრო ხშირად სახარეს 6 თვალი აქვს, ხოლო საძროხეს 8 — 10 ლათეი. ლათეი ლათეისაგან გამოყოფილია სეტით (დაწ,

---

[4] ტ ი რ ხ-ს ეცერში საღორეს უწოდებენ.

[5] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრაელ. — დალწარ, ქათლწდ), ქათალზე ბაწრით მიბმულია ოოლუნული წკნელი, გირკალი (ანნწსლა), რითაც საქონელს აბამენ გვალში[6]. ლალდიარების შეერთების წინ დარჩენილია პატარა ადგილი (0,40×0,50 მ), რომელშიაც ლალდიარში დარჩენილ თივასა თუ ბზეს (ნახანუ — ბზ., ნახან—კვ. სვ., ნაჯელვარ — ბქვ.) აგროვებენ (ლიხე). ნახანუს ზამთარში ყინვების დროს გვალში იატაკზე უფენენ საქონელს, ნახანუზე საქონელი წვება, რაც მას გაცივებისაგან იცავს. გარდა ამისა, საქონელს გვერდები არ უშუქდებიან ნაკელით. ლაჯანის და ლაფურის შეერთების ადგილას ზოგიერთ სახლს ლაფურის ბოლოში, სახლის კედელში დატანებული აქვს ხერელი (ლანგელი) გვალვარიდან ნაკელის გადასაყრელად.

ლაფური წინიდან მუდამ დახურულია ლეკუნდრით. ლაფერის სიღრმე ლაჯანისაზე ნაკლებია, 1,6 მეტრს უდრის, სიმაღლე კი მას ივივე აქვს, რაც ლაჯანს.

ზევიდან საძროხეც და სახარეც გადახურულია. სახურავს ნეშკა-ს უწოდებენ. საძროხის ნეშკაზე ზოგიერთ სალში მეორე სართულად მოწყობილია თივებისა და ცხვრების სამყოფი, სახარეს ნეშკაზე კი გრძელ მაგიდებს (ტაბშგ) ინახავენ.

ლაფურის ბოლოდან მაჩუბის სიგრძეზე გაკეთებულია ცხვრებისა და ხბოების სამყოფი (ლაღულიაქირ, ტარს). იგი გაყოფილია ორად. ორივე ნაწილს ცალ-ცალკე შესასვლელი კარი აქვს. ტარსი ზგმოდან გადახურულია ფიცრით, რომელსაც სპაზ-ს (ბზ.) ეძახიან. სპაზის ერთ მხარეს საწოლია გაშლილი, ხოლო მეორე მხარეს საოჯახო ნივთები (ჯამები, კოვზები, ქვაანაყი და სხვ.) ალაგია. ტარსის შუა ადგილზე ზევით გაკეთებულია კარადა — ლაშწდ (ბზ.), კორთა[7] (ბქვ.). კარადა ორ ნაწილად არის გაყოფილი: ქვევით ერთიანია, აქ პურის მოსაზელი ვარცლია (ჯაბ) შესადგმელია ამოჭრილი (ლაჯრილ), ზევით კი ორი კარი აქვს და ეს ნაწილი გამოყენებულია ჯამ-ჭურჭლისა და ნარჩენი საჭმლის (ნამსაფდუარ — ბზ., ნამსოდარ — ბქვ.) შესანახად. ტარსის ბოლოს, კუთხეში არის მარანი (მარანწ—ბზ., ლასტმანწარ—ეცერი), რომელშიაც დგას რამდენიმე ქვევრი (კეც) არყის შესანახად. მარნის ორი კედელი სქელი ფიცრებითაა აგებული. ამ კედლებია სიმაღლე 2,5 მეტრია, ფართობი 2×2 მ. ჩვეულებრივ მარანი მიშენებულია სახლის კუთხეში (იშვიათად შუაშიც გვხვდება), ამიტომ მას ორი კედელი სახლისა აქვს. ზევიდან მარანი გადახურულია. წინ ერთი კარია ჩამოკიდებული. აქვს ხის საკეტი (ბოქლომ), რომელიც ხის გასაღებით იკეტება და იღება[8]. მარნის წინა კედელზე ამოკვეთილია სხვადასხვა სასეები.

მაჩუბს აქვს ორი ან მეტი პატარა ფანჯარა (ლაჭერა) და ერთი დიდი ფანჯარა (მაიდწ—ბქვ., სქემა 2), დერეფახზე (დეფწ, ლაფრა, ლატაფ, ტელაფ) გასასვლელად. ფანჯრებს მინები არა აქვს. ისინი ხის დარაბებით იფარება. ერთი პატარა ფანჯარა, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთის კედელშია 2,5 მ სიმაღლეზე. იგი ზომით 40×25 სმ-ია. ფანჯრის ზევით სამი ჯვარია ამოკვეთილი. ამ ფანჯრიას საღოცაც ფანჯარას (ლაშჩერ ლაჭერა, სქემა 2) უწოდებენ.

---

[6] ეცერში გირკალით აბამენ ხარებს, ხოლო ძროხებს განსაკუთული თოკით (ლაბშარ).

[7] ეცერში ლაშდს მარანს უწოდებენ.

[8] მარნის საკეტი „დათვი ბოყვას" ტიპისაა. იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, დათვი—ბოყვა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩუბის მეოთხე კედელი მარნიდან დაწყებული ბაგამდე უმეტეს შემთხ. ვევაში თავისუფალია. ამ მხარეს დგას გრძელი სკამი მამაკაცებისათვის.

ამრიგად, მაჩუბის შიგნით ადგილი კედლების გასწვრივ განკუთვნილია მსხვილფეხა საქონლისათვის, წვრილფეხა საქონლისათვის და მარნისათვის. მაჩუბის დანარჩენი ტერიტორია, ე. ი. ზემოთ ჩამოთვლილი მოწყობილობათა შიგნით, განკუთვნილია ოჯახის წევრთა საყოფად. ამ ადგილს ბალს ზევით ყველფ-ს უწოდებენ, ბალს ქვეითი ყუერბ-ს, ქვემო სვანეთში სოხანე-ს[9]. მისი ფართობი დამოკიდებულია სახლის სიდიდეზე. სახლში, რომლის შიგნითა ფართობი 10×10 მეტრი უდრის, ყველფის ფართობი 8×7 მეტრია.

ყველფზე გამართულია კერა. კერა ყველფს ოთხ ნაწილად ყოფს (სქემა 1). ეს ნაწილებია:

1. კერის წინა მხარე მარნის კარიდან მაჩუბში შემოსასვლელ კარამდე. მას ეწოდება კაცხშ — ბქვ., ლენჯერი, საკცხშ — ლატალი (კაცხ — წვერი), ხოკერ — მეხტია (ხოკერ — ბოლო), გარამ — უშგული. ეს ის მხარეა, საიდანაც კერაში შეშის ღერებია შენთებული. ამ ადგილს ეწოდება ლამცლანდრა — ბზ. (მაცლანშ—მუგუზალი), ლაკვილცხალი — ბქვ., ლამცვარ, ლამთოსარ — ქვ. სვ., მაცვარ, მათუს (მუგუზალი), ლამაცლანდარ — ჩოლური.

კაცხშს აქვს სათავე და ბოლო. სათავე იწყება მარნის კართან და მას ეწოდება კაცხაში თხვიმ (თხვიმ — თავი). ბოლო — კაცხშში ხოკერ შემოსასვლელი კარის მხარესაა. თავსა და ბოლოს შორის მდებარე ადგილს ნესგა (შუა) ეწოდება.

კაცხაში თხვიმს დგას საუფროსო სკამი—საკურცხვილ[10] — ბზ., ჰასკმილ — ბქვ. ჰასკამიდან კარისაკენ კედლის გასწვრივ გაკეთებულია საჯდომი (ლასგვრა — ბზ., ლალსგურა—ბქვ.), რომელზედაც სხდებიან მამაკაცები დღესასწაულებზე ან საერთოდ დიდი სტუმრიანობის დროს. საერთოდ კაცხშ მამაკაცებია საყოფია: ამ მხარეს კიდია იარაღი, დაბოცილი ჯიხვის რქები და მამაკაცია საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ხელსაწყო იარაღები. ლამცლანდარის წინ ზოგიერთ სახლში მიწაში გაკეთებულია ხვრელი (სვად)[11]. ზედ გადაფარებულია დიდი ლოდი, რომელიც შუაშია გახვრეტილი. ამ ხვრელში ჩადის წყალი და იკარგება მიწაში.

2. კერის უკანა მხარე, რომელსაც ეწოდება კავეშგიმ (ბზ.), „კაღეშგინ (ბქვ.), კაღოშგინ — (ჩოლური). სიტყვასიტყვით ნიშნავს: ფიქალი ქვის უკანა, ლაბჯარა—უშგ., ბოჯარ (პურის გამოსაცხობი ქვის მაგიდაა), ლარბიალ — ქვ. სვ., ბზ. (ნიშნავს: გამოსაცხობი ადგილი).

კერის უკანა მხარეს დგას გრიელი და დაბალი სკამი (ბანდარ, სიგრძით 3 მ, სიმაღლით 30 სმ), პურის ცხობისათვის საჭირო ჭურჭლეულობა და ხელსაწყოები. კედელთან ზოგიერთ სახლში გაკეთებულია ვერცლის დასადგამად მაგიდა — ბეჯერ — ქვ. სვ., ბოჯარ — უშგ., ტუგვენ, ლაჯრილ — ზ. სვ. ბოჯარ უშგულში ქვისაგან კეთდებოდა: დიდ ფიქალ ქვებს აწყობდნენ წვრილ ფიქალ ქვებზე, ხოლო დანარჩენ დასახელებულ ადგილებში

---

[9] სოხანეს შესახებ იხ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე, შუა სანლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, თბილისი, 1940, გვ. 362.

[10] გ. ჩ ი ტ ა ი ა, სვანური საკურცხილ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. II, 1925, გვ. 190.

[11] ს ვ ა ̆ დ ეწოდება აგრეთვე ეზოს გალავნის კედელში დატანებულ ხვრელსაც, რომელშიაც წყალი გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქელსა და ფართო ფიცარს დებდნენ ორ ხეს შორის. სვანეთის სხვა კუთხეებისათვის ასეთი რამ არ არის დამახასიათებელი. კერის უკან დგას აგრეთვე რძის პროდუქტებისათვის საჭირო ჭურჭლეული: ლალდგრ (საკეთი), ზერდ (ყველის გასაწური), ჩკენ (ქვაბი) და სხვ. ზეკით ჭერზე ჩამოკიდებულია ყველის ჭურჭელი: თუშინგ — ბზ., ქუფ — ბქვ., შიგელ — ჩოლ. კერის უკან დევს ორი მრგვალი ქვა (ლედრდ), რომელთაც აქვს რიტუალური დანიშნულება. უშგულის კალისა და ქვემო სვანეთის სახლებისათვის დამახასიათებელია კერის უკანა კედელში დატანებული განჯინები (სენაი, ფიტონ, ტუვვენ) სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

3. კერის შიგნითა მხარეს ეწოდება სგწ ყველფ — ბზ., კერშ სგაშიენ — ბქვ., ე. ი. კერის შიგნითა.

კერის შიგნითა მხარეში შედის ყველფის ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მაჩუბში შემოსასვლელი კარის მოპირდაპირე მხარეს ლატაფსა და კერას შორის. აქ არის გრძელი სკამი ბანდარ, ბალს ქვედა სვანეთში — ლაბრბიალ ბანდარ. ამ მხარეს არის განჯინები და აქ ინახავენ ჭურჭლეულობას (შედმაშედ — ბზ., შედ—მაკვედ — ბქვ., შედარ — ჩოლ.).

ამ მხარეს, რომელიც ქალის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, საქალებო — ლამარალ — ეწოდება.

4. კერის გარეთა მხარე — ქამე ყველფ მდებარეობს მაჩუბში ბაგიდან შემოსასვლელი კარის მხარეს. აქ დგას ზურგიანი გრძელი სკამი ლერგიმ — ბზ., მლგიმ სკამ, ლლგიმ — ქვ. სვ., ჯოდი ჰასკამ, ჯრდი სკამ — ბქვ. მის უკან ტახტია (ტუბტ). სწორედ ტახტის უკან დაჯანისა და ლაფურის წინ კუთხეში დარბაზიდან თივის ჩამოსაყრელი ადგილია (ლაწუნაწ — ბზ., ლაშდარ — ბქვ.). გარეთა მხარეს ლერგიმის უკან დგას ბოძი (სვეტ), რომელიც მაჩუბის თთავარ დირეზეა (საშუემ დირ — ბზ., ლეშუემ დირ — ბქვ.) მიდგმული. ბოძს აქვს ამოჭრილი განჯინა (ქვალჩაბ) სხვადასხვა ხელსაწყო იარაღების შესანახად. აქვე ჭერზე ან დირეებზე ჩამოკიდებულია აგრეთვე კავები (კუბ).

ყველფის ნაწილების განლაგება დამოკიდებულია იმაზე, თუ საით აქვს კერას პირი, ხოლო კერის მიმართულება, თავისი მხრივ, შეპირობებულია მაჩუბის კარია (ნეიგბ ყრრ) მდებარეობით. კარი მუდამ სახლის კედლის კუთხესთანაა. კერა აო შეიძლება დაიდგას ზურგით იმ კედლისაკენ, სადაც მაჩვიბის კარია, და არც იმ კედლისაკენ, რომელიც მაჩუბის კართან ქმნის კუთხეს. ე. ი. თუ, მაგალითად, მაჩუბის კარი დასავლეთის კედლის სამხრეთ კუთხეშია, მაშინ კერა უნდა დაიდგას პირით დასავლეთისაკენ ან სამხრეთისაკენ. შეუძლებელია, რომ ამ მხარეებისაკენ კერა ზურგით იყოს მიმართული. თუ კარი დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ კუთხეშია, მაშინ კერას პირი დასავლეთით ან ჩრდილოეთით ექნება და არ შეიძლება ჰქონდეს სამხრეთით ან აღმოსავლეთით, რადგან ამ შემთხვევაში მას ზურგი დასავლეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ ექნებოდა, რაც დაუშვებელია.

მაჩუბის კარი ოთხივე მხარეს — აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით — შეიძლება იყოს. თითოეულ კედელთან, როგორც ვნახეთ, კარი ორ ადგილასაა შესაძლებელი: ან ერთი კუთხისაკენ, ან მეორე კუთხისაკენ (მაგ., დასავლეთის კედელთან ან დასავლეთ-სამხრეთ კუთხისაკენ, ან ჩრდილოეთ კუთხისაკენ და ა. შ.). ასე რომ, მთლიანად კარის სხვადასხვა მდებარეობის რვა შემთხვევა გვხვდება. თითოეული მათგანი შეგუებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებთან. სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობას ანიჭებენ აღმოსავლეთის მხარეს, რადგანაც აღმოსავლეთის კედელშია გაჭრილი სალოცავი ფანჯარა, ხოლო როდესაც სახლს კარიც აღმოსავლეთიდან აქვს, ეს იქნება ერთადერთი კედელი, რომელთანაც არ არის მოწყობილი საქონლის სამყოფი, და ამდენად ყველაზე თავისუფალია სალოცავად. თუ გეოგრაფიული პირობებია გამო არ არის ხელსაყრელი აღმოსავლეთიდან კარის გაჭრა, მაშინ იგი ყველა სხვა მხრიდან შეიძლება გაკეთდეს, თუმცა სალოცავი ფანჯარა მაინც აღმოსავლეთის კედელშია დატანებული. მაგალითად, უმგულში თითქმის ყველა სახლს კარი დასავლეთით აქვს; ბალს ზემოთ, მესტიიდან მოყოლებული კალამდე, სხვადასხვა მხარეს გვხვდება სახლის კარები.

როგორც აღვნიშნეთ, კერის მდებარეობაზე არის დამოკიდებული ყველფის ნაწილების განლაგება. ამ თვალსაზრისით ყველფი ორნაირადაა წარმოდგენილი: ა) ყველფის შიგნითა მხარე (სგუ ყველფ) კერის მარჯვნივ მდებარეობა; ბ) ყველფის შიგნითა მხარე კერის მარცხნივ მდებარეობს.

ამ ორი ტიპის მკვეთრი დაპირისპირება კარგადაა დაცული ბალს ქვემოთ. თითოეულისათვის გარკვეული ტერმინიც არსებობს. პირველი ტიპის სახლს ლამურსგვენ ქორს (სამარჯვენე სახლი) უწოდებენ, მეორისას კი ლამრთენ ქორს (სამარცხენე სახლი). უკეთესად ითვლება სამარჯვენე სახლი. ბალს ზემოთაც სამარჯვენე და სამარცხენე სახლების განსხვავება საკმაოდ იგრძნობა, თუმცა არა ისე მკვეთრად, როგორც ბალს ქვემოთ.

თვითონ სვანების განმარტებით სამარჯვენე და სამარცხენე სახლების დაპირისპირების საფუძველია მამაკაცების განლაგება მაჩვიბში: ყველფის ზენა მხარის (კაცხუ) თავში საკურცხეილი დგას, რომელშიც მახვში (ოჯახის უფროსი მამაკაცი) ზის, ხოლო მას მიჰყვება უფროს-უმცროსობის მიხედვით დანარჩენი მამაკაცები. თუ განლაგება ისეთია, რომ მამაკაცები საკურცხვილში მჯდომი მახვშის მარჯვნივ სხედან, ე. ი. კათხა (სასმისი) მახვშიდან მარჯვნივ გადადის სუფრაზე, მაშინ სახლი სამარჯვენე (ლამურსგვენ) იქნება, ხოლო, თუ მამაკაცები მახვშის მარცხნივ სხედან, ე. ი. კათხა მახვშის ხელიდან მარცხენა მხრისაკენ გადაეცემა მამაკაცებს, მაშინ სახლი სამარცხენეა (ლამრთენ).

ასეთი გაგაზრება ერთი შეხედვით საფუძველს მოკლებული არ ჩანს და მეტ წილ შემთხვევაში მამაკაცების განლაგება ემთხვევა კიდევაც მემარჯვენე და მემარცხენე სახლებს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ითვალითვე განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო არა მამაკაცების განლაგება სუფრაზე, არამედ ყველფის შიგნითა მხარის (სგუ ყველფ) მდებარეობა კერის მიმართ. ეს შიგნითა მხარე, როგორც აღნიშნული იყო, საქალბოს წარმოადგენს და არა მამაკაცების სამყოფს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მამაკაცები არ არიან განლაგებული მარცხნდან მარჯვნივ, მაგრამ სახლი მაინც სამარჯვენეა, რადგან კერის შიგნითა მხარე კერის მარჯვნივ იმყოფება; ანდა პირიქით, მამაკაცები მარცხნიდან მარჯვნივ არიან განლაგებულნი, მაგრამ სახლი სამარცხენეა, რადგან კერის შიგნითა მხარე კერის მარცხნივ იმყოფება.

ჭალების სამყოფი რომ განსაზღვრავდეს მაჩუბის ტიპს, ამაში უცნაური არაფერია, თუ მოვიგონებთ, რომ ქალთან არის დაკავშირებული ოჯახის საშინაო მეურნეობა მთლიანად: საქალბოში იმყოფება როგორც პურის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხობასთან, ისე რძის წარმოებასთან დაკავშირებული ჟურჟლეულობა და მოწყობილობა. ამას ისიც ერთვის, რომ სვანი ქალი არ ყოფილა ისე უფლებაყრილი და დამონებული, როგორც ეს დამახასიათებელია ტიპიური პატრიარქალური ოჯახისთვის[12]. როგორც მეურნეობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მან დიდხანს შეინარჩუნა თავისი უფლებები. ამიტომ უფრო ბუნებრივად გვეჩვენება სამარჯვენე და სამარცხენე სახლების განსსვავების საფუძვლად ედოს კერის შიგნითა მხარე, ანუ საქალებო, რომელთანაც დაკავშირებულია სახლის მეურნეობა, ვიდრე სუფრაზე მამაკაცების განლაგების წესი.

კარისა და კერის ურთიერთმიმართება ყველფის ნაწილების განლაგებასთან ერთად ქმნიან ერთ მთლიან სისტემას. იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს არის მაჩუბის კარი და საით აქვს პირი კერას, იცვლება ყველფის ნაწილების მხარეებიც. კერა პირით ოთხი მხრივ შეიძლება იყოს მიმართული: აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, კარის მდებარეობა რვაგვარი შეიძლება იყოს. ამის შესაბამისად იცვლება ყველფის ნაწილების განლაგებაც. სულ კარისა, კერისა და ყველფის ნაწილების ურთიერთმიმართება თეორიულად რვაგვარი კომბინაციის შესაძლებლობას იძლევა. განვიხილოთ თითოეული მათგანი. საფუძველად ვიღებთ კერის მდებარეობას, მაშასადამე, ოთხი ძირითადი ტიპი გვექნება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ საიდან არის კარი, და ამის შესაბამისად როგორია კერის გარშემო ყველფის ნაწილების განლაგება, თითოეულ ტიპში ორი სახეობა გამოიყოფა.

1. კერა პირით აღმოსავლეთისაკენაა. მაჩუბში შესასვლელი კარი შეიძლება იყოს აღმოსავლეთის კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან, ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან (სქემა 2), აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ კუთხესთან (სქემა 3) ან სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან.

ა) პირველსა და მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც კარი იმყოფება აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხეში ან ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხეში, ყველფის ნაწილების განლაგება ერთნაირია. რაკი კერა პირით აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს, ამაკე მხარეს იქნება ყველფის წინა ნაწილი (კაცხწე); ყველფის უკანა ნაწილი დასავლეთის მხარესაა, ყველფი გარეთა მხარე კერის მარცხნივ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ იქნება, შიგნითა ძაირე კი კერის მარჯვენივ, ე. ი. სამხრეთით. რაკი კერის შიგნითა მხარე, ანუ საქალებო, კერის მარჯვენივ არის მოთავსებული, ასეთი შინაგანი კონსტრუქციის მქონე სახლი სამუშოსგვენ (სამარჯვენე) სახლია (სქემა 2). დასახელებულ ორ შემთხვევაში განსსვავებას იძლევა ლაჭანისა (ხარების სამყოფის) და ტირხის განლაგება: როდესაც კარი კედლის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხეშია, მაშინ ლაჭან ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ იმყოფება, დასავლეთის კედელთან ლაფურ (საროსე) არის, ხოლო სამხრეთის კედელთან — ტირხ. თუ კარი ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხეშია, მაშინ ლაჭანის, ლაფურისა და ტირხის განლაგება ან ისეთივე იქნება, როგორც ზემოთ, ანდა ლაჭან აღმოსავლეთის კედელს გაჰყვება, ლაფურ — სამხრეთისას, ტირხ კი დასავლეთისას. ვინაიდან ეს არ ახდენს

---

[12] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, გვ. 47 — 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეგავლენას ყველფის ნაწილების განლაგებაზე, ამიტომ ქვემოთ ლაჭანის, ლაფურისა და ტირხის ადგილმდებარეობაზე სპეციალურად აღარ შეჩერდებით და გავაერთიანებთ კარის ორ-ორ ადგილს, რომლებიც კერის მდებარეობისა და ყველფის ნაწილების განლაგების მხრივ განსხვავებას არ იძლევიან.

ბ) მესამე და მეოთხე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც კარი აღმოსავლეთ-სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია გაკრილი, ყველფის წინა და უკანა მხარე იმგვარადვეა, როგორც პირველ სახეობასთან იყო: წინა მხარე — აღმოსავლეთით, უკანა — დასავლეთით, ოგრამ განსხვავებულია ყველფის გარეთა და შიგნითა მხარეები. ყველფის გარეთა მხარე კერის მარჯვენეაა ამეთად, ე. ი. სამხრეთისაკენ, ხოლო კერის შიგნითა მხარე მოქცეულია კერის მარცხნე, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ. რაკი ყველფის შიგნითა მხარე კერის მარცხნე იმყოფება, ამიტომ ასეთი სახლი უკვე დამრეთენ (სამარცხენე) სახლი იქნება.

ასეთი სახლები განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფ. ცხუმარი-სათვის. მთლიანად სახლის შინაგანი სტრუქტურა ასეთია: მაჩუბში კარი შემოდის აღმოსავლეთ კედლის სამხრეთის კუთხიდან. ამ კუთხეში მოთავსებულია ბაგი. ბაგიდან ერთი კარი ჩრდილოეთისაკენ მაჩუბში შედის, ხოლო მეორე კარი დასავლეთისაკენ ლაჭანში. ლაჭანი მიპყვება სამხრეთის კედლის გასწვრივ, დასავლეთის კედლის გასწვრივ ლაფურია, ჩრდილოეთი კედლის მხარეს კი ტირხი. ხოლო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლების კუთხეში მოთავსებულია მარანი. ეარნის წინ დგას სუფროსო სკ�d (საკურცხეილ), კერის მარცხენა მხარეს დგას ლამარალ ბანდარი[13]

სახლის კარი რომ აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხეშია, ეს ცხუმარის მდებარეობითაა შეპირობებული. საქმე ის არის, რომ ცხუმარი ენგურია მარცხენა მხარეს იმყოფება მთის ჩრდილოეთის დაქანებაზე. სახლის აშენებისას საჭიროა მიწის დაეკიდა. მაჩუბის სამხრეთის კედელი ნახევრად მიწაშია ჩაშენებული. ამ მხრიდან კარის მოთავსება ტექნიკურადაც ძნელი იქნებოდა: იგი მთლიანად დახშულია. სახლის აღმოსავლეთის კედელთან მიშენებულია გრძელი შესასვლელი. მას კარი აქვს ქვევიდან, ე. ი. ჩრდილოეთის მხრიდან. ზევიდან მოსული ნალექები, რა თქმა უნდა, სავსებით უვლის გვერდს მაჩუბში შესასვალ კარებს. სოფელში მისასვლელი გზებიც ქვევიდან უდგება ეზოს, კალოს და სახლის შესასვლელ კარებსაც. ასეთსავე პრინციპზეა აგებული მთის სამხრეთის დაქანებაზე აშენებული სახლიც, რომელსაც დერეფანი აღმოსავლეთიდან აქვს მიშენებული, ხოლო კარი სამხრეთიდან, მთის დაქანებია საშინაარმდეგო მხრიდან შედის. ორივე შემთხვევაში მთლიანად იზოლირებულია სახლი ზევიდან მოსული ნალექებისაგან.

2. კერა პირით დასავლეთითაა გამართული (სქემა 4). მაჩუბში შემოსასვლელი კარი სახლის დასავლეთ კედელშია, კედლის სამხრეთ ან ჩრდილოეთ კუთხეში დატანებული. პირველ შემთხვევაში, როცა კარი დასავლეთ კედლის სამხრეთ კუთხეშია დატანებული, მაჩუბის შინაგანი სტრუქტურა ასე იქნება წარმოდგენილი: ბაგი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთის კედლების კუთხეში. აქედან ერთი კარი მაჩუბში მიდის და მეორე გვალში. გვალი ზოგიერთ სახლში გამართულია დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთის (ლაფურ) კედლების მიყოლებით; ზოგიერთ სახლში პირიქით, სამხრეთისა (ლაჭან) და აღმოსავლეთის (ლაფურ) კედლების გასწვრივაა. ეს უკანასკნელი იშ-

[13] მოსამზადებელი ბანდარი, ე. ი. ის ადგილი, სადაც ზის პურის მცხობელი (მერბილელი) და მზადდება ოჯახისათვის საჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიათად გვხვდება. საყურადღებოა, რომ სამხრეთის კედელთან ლაჯანის გამართვა უფრო ცხუმარის სახლისათვისაა დამახასიათებელი.

ყველაფი განლაგებულია შემდეგნაირად: კერის მარჯვენა მხარეს არის შიგნითა მხარე, ხოლო სამხრეთით, კერის მარცხნივ — გარეთა მხარე. საუფროსო სკამი დგას კერის გასწვრივ მარცხენა მხარეს, გრძელი ზურგიანი სკამიც (ლერგიმ) ამავე მხარეს დგას. მიუხედავად იმისა, რომ ბალს ზევით საუფროსო სკამი კერის მარცხენა მხარეს დგას, ასეთი სახელი მაინც „სამარჯვენოა", რადგანაც ყველფის შიგნითა მხარე კერის მარჯვნივ იმყოფება.

მაჩუბის ამგვარი განლაგება დამახასიათებელია უშგულის სახლებისათვის (სქემა 4). უშგული მდებარეობს მთის დასავლეთით დაქანებულ ფერდობზე. აღმოსავლეთით მას აკრავს მარადყინულოვანი მწვერვალები (ზხარა). აქედან ხშირად უბერავს სუსხიანი ქარი, განსაკუთრებით ზამთარში. აგრეთვე ნალექების გვერდის ავლის მიზნით კარი დასავლეთიდან უფრო ხელსაყრელია. გარდა ამისა, სახლთან მისასვლელი გზაც დასავლეთიდან უფრო მარჯვეა, ვიდრე აღმოსავლეთიდან. იქ, სადაც ადგილმდებარეობა ამის საშუალებას იძლევა, უშგულშიაც მოიპოვება სახლი, რომელსაც კარი აღმოსავლეთიდან აქვს.

იმ შემთხვევაში, როდესაც კარი მოთავსებულია დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ კუთხეში, იცვლება ყველფის განლაგება. ის ადგილი, რომელიც პირველ შემთხვევაში გარეთა მხარე იყო, ამჟამად შიგნითა მხარეა და, პირიქით, ის, რაც შიგნითა მხარე იყო, ახლა გარეთა მხარედაა ქცეული, ე. ი. ყველფის შიგნითა მხარე ამჟამად კერის მარცხნივაა მოქცეული. ამგვარად განლაგებული სახლი „სამარცხენო" სახლადაა ცნობილი. ამგვარი სახით განლაგებული მაჩუბი უშგულის გარდა გვხვდება სვანეთის სხვა კუთხეებშიაც. ბალს ზემოთ, პურის საცხობისათვის საჭირო მოწყობილობანი კერის უკანაა მოქცეული, ხოლო კერის მარცხენა მხარეს საუფროსო სკამი გადააქვთ კაცხაშ-გარამდან უფრო ზევით, აღმოსავლეთისაკენ.

3. კერა გამართულია წინა ხედით სამხრეთისაკენ (სქემა 3). მაჩუბის კარი მოთავსებულია სახლის სამხრეთ კედლის ან აღმოსავლეთ კუთხესთან ან დასავლეთის კუთხესთან. როცა კარი მოთავსებულია სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხეში, მაჩუბის შინაგანი განლაგება შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი: ბაგი მოთავსებულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების შეერთების კუთხეში. აქედან ერთი კარი მაჩუბში შედის, ხოლო მეორე დასავლეთით გვალში. გვალი გამართულია სამხრეთი კედლის გასწვრივ (ლაჯან); დასავლეთ კედლის მხარეს ლაფურია. ჩრდილოეთის მხარეს ქვემო სვანეთში და ნაწილობრივ ბალს ზემოთაც (მესტია, მულახი, იფარი, კალა) პურის ცხობასთან დაკავშირებული მოწყობილობა დგას, აღმოსავლეთის კედლთან კი ცხვრების სამყოფია. ზოგიერთ სახლში ლაჯანი აღმოსავლეთის კედლთან გასწვრივ იმყოფება, ხოლო ლაფური ჩრდილოეთით. დასავლეთ მხარეს ტარხია. ყველფის განლაგება ორივე შემთხვევაში შემდეგი სახითაა მოცემული: ყველფის გარეთა მხარე აღმოსავლეთითაა, ე. ი. კერის მარცხნივ, შიგნითა მხარე — დასავლეთით, ე. ი. კერის მარჯვნივ, კაცხაშ კერის წინ — სამხრეთით მდებარეობს, ხოლო კერის უკანა მხარე — ჩრდილოეთით. ასეთი სახელი სამარჯვენოა. საუფროსო სკამი დგას კაცხაშის დასავლეთით, ე. ი. კერის მარჯვნივ ან ყველფის გარეთა მხარეს — ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. კერის მარცხნივ. პურის ცხობასთან დაკავშირებით მოწყობილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერის უკან არის მოცემული ბალს ზემო და ქვემო სვანეთში, ხოლო ბალ ქვეითი და ლენჯერსა და ლატალი კი კერის მარჯვნივ.

ისეთ სახლებში, რომლებსაც მაჩუბში შესასვლელი კარი სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში აქვთ, ყველფის ნაწილები გადადგილებულია: საქონლის სამყოფი ზოგიერთ სახლში სამხრეთ კედლის (ლაჯან) და აღმოსავლეთ კედლის (ლეფურ) გასწვრივაა. ყველფის შიგნითა მხარე კერის მარცხნივაა. დღესასწაულებზე საუფროსო სკამი შიგნითა მხარის თავში (მზ.) გადააქვთ; კერის გარეთა მხარე კერის მარჯვნივ იქნება (დასავლეთით). აქ დგას გრძელი ხურგიანი სკამი — ლერგიმ. კერის უკანა (ჩრდ.) ადგილი უცვლელი რჩება, ხოლო კაცხაში ეცვლება მხარი: ის, რაც პირველ შემთხვევაში სათავე იყო, ახლა კაცხაშის ბოლო ნაწილი გახდა. ყველფის ამგვარი განლაგების სახელი სამარცხენო (ლაბერთენ) სახლად ითვლება.

4. კერის წინა ხედი ჩრდილოეთითაა მიქცეული. ასე გაწყობილი კერა იშვიათად გვხვდება სვანური სახლის მაჩუბში და ისიც მხოლოდ ქვემო სვანეთში რამდენიმე სახლში, ასეთ სახლებში კარი მხოლოდ ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ან დასავლეთ კუთხიდანაა. განლაგება ყოველთვის შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: მაჩუბში შესასვლელი კარი მდებარეობს აღმოსავლეთ კედლის ჩრდილოეთის კუთხეში; ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამართულია საქონლია სამყოფი. კერა დგას სამხრეთის კედელთან ახლოს. კერის უკან მოწყობილია პატრის ცხობისათვის საჯირო ჭურჭლეულობა (სამხრეთით). კერის შიგნითა მხარე კერის მარცხნივაა დასავლეთით. ამ მხარეზე — სამხრეთ კედლის კუთხეში მარანია. საუფროსო სკამიც მარნის წინ იდგმება წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს. კერიის გარეთა მხარე კერის მარჯვნივაა — აღმოსავლეთით. კერის წინა მხარე ჩრდილოეთით მდებარეობს. სახლს შესასვლელი კარი ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ან დასავლეთ კუთხიდან აქვს. სახლის უკანა კედელი (სამარეთით) საესებით დახურულია, ე. ი. ამ მხარეს არც ფანჯარა აქვს და არც კარი. ამ კედელში რამდენიმე განჯინა (სანჯა) არის დატანებული.

ამგვარად, კერისა და კარის განლაგების რვა შესაძლებელი შემთხვევიდან ჩვენ დადასტურებული გვაქვს შვიდი. თუ პირველ სამ ტიპთან ოორი ქვესახეობა გამოიყოფოდა, მეოთხე ტიპთან ასეთი რამ არ შეგვხვედრია, თუმცა მისი არსებობა გამორიცხული არ არის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კერა განსაზღვრავს ყველფის ნაწილების განლაგებას. განსახილველი დაგვრჩა საკითხი: ყველფის რომელ ადგილას არის დადგმული კერა. კერის მდგმარეობის საკითხის განხილვის დროს უნდა შევნიშნოთ ერთი საერთო პრინციპი, რომელიც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია სვანეთის ყველა კუთხისათვის. ეს პრინციპი იმაში მდგმარეობს, რომ კერის ის მხარე, სადაც საქონელი აბია და თივის ჩამოსაყრელია მოწყობილი, მეტ ფართობს მოიკავს, ვიდრე კერის ის მხარე, სადაც საქონელი არ იმყოფება. ამ საერთო პრინციპის მიუხედავად, კერის ადგილის მხრივ საკმაო განსხვავებანი შეინიშნება. შესაძლებელი ხდება ორი ძირითადი ტიპის დადგენა: 1. კერა გამართულია ყველფის თითქმის ცენტრში და 2. კერა მდებარეობს ყველფის ბოლოს, სახლის კედელთან ახლოს. პირველი დამახასიათებელია ზემო სვანეთის ყველა კუთხისათვის, ხოლო მეორე — ქვემო სვანეთის და განსაკუთრებით უშგულისათვის. ზემო სვანეთშიც ყველგან ერთნაირი მანძილით არ არის დაშორებული კერა სახლის შიგნითა ნაწილებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად: კალაში კერა დაშორებულია აღმოსავლეთის კედლიდან (კაცხეში) ებით 2 მეტრით, დასავლეთის ისგენტაფაურიდან — 6 მეტრით, ჩრდილოეთის ისგენტაფაურიდან (კერის შიგნითა მხარე) — 3,5 მეტრით, სამხრეთის ლაჭანიდან — 3 მეტრით. იფარში კერა დაშორებულია აღმოსავლეთიდან კერის უკანა კედლიდან 3,5 მეტრით, დასავლეთიდან (იგულისხმება ლაჭანის ისგენტაფარ) — 3,5 მეტრით, ჩრდილოეთიდან (ლაფურ) — 4,9 მეტრით, სამხრეთიდან (ტორხიდან) — 4,5 მეტრით. შულახში კერის წინა ადგილის მანძილი კერიდან სახლის აღმოსავლეთ კედლამდე უდრის 4,5 მეტრს, დასავლეთით ლაფუთამდე — 3,5 მეტრს, ჩრდილოეთით (გარეთა მხარე) — 3 მეტრს, სამხრეთით (შიგნითა მხარე) — 2,5 მეტრს. მესტიაში კერის უკანა ადგილია მანძილი კერიდან სახლის აღმოსავლეთით ლაშადამდე 2,1 მეტრს უდრის, დასავლეთით ლაჭანის ინტენტაფამდე (კაცხეში) — 4 მეტრს, ჩრდილოეთით — 4 მეტრს, სამხრეთით 3 მეტრს (ა. ჯაფარიძის სახლი). ლენჯერში კერიდან მანძილი უკან დასავლეთით ლაფურამდე 3,65 მეტრს უდრის; წინ, აღმოსავლეთით კედლამდე — 3 მეტრს, ჩრდილოეთით ლაჭანამდე — 3,5 მეტრს, მარჯვენივ სამხრეთ ტორხამდე — 2 მეტრს.

ლატალში კერა დაშორებულია აღმოსავლეთით ლაფურიდან (კავეშვიმ) 3,5 მეტრით, დასავლეთის კედლიდან (კაცხეში) — 2,5 მეტრით, სამხრეთით (შიგნითა, მარცხენა მხარე) — 2 მეტრით, ჩრდილოეთით ლაჭანიდან (გარეთა მხარე) — 5 მეტრით. ბეჩოში კერიდან მანძილი აღმოსავლეთის კედლამდე (კაცხეში) 3,5 მეტრს უდრის, სამხრეთით ცხვრების სამყოფამდე (შიგნითა მხარე) — 4,5 მეტრს, ჩრდილოეთით (გარეთა მხარე) ლაჭანამდე — 5 მეტრს, დასავლეთით (კავეშვინ) ლაფურამდე — 5 მეტრს.

ცხუმარში კერა დაშორებულია აღმოსავლეთის კედლიდან (კაცხეში) 3 მეტრით, დასავლეთით ლაფურიდან (კავეშვინ) — 4 მეტრით, ჩრდილოეთით ტორხიდან (კერის შიგნითა მხარე) — 3 მეტრით, სამხრეთით ლაჭანიდან (გარეთა მხარე) — 3,5 მეტრით.

ეცერში კერიდან მანძილი აღმოსავლეთის კედლამდე (კაცხეში) 2,5 მეტრს უდრის. დასავლეთის ლაფურამდე (კავეშვინ) — 3,5 მეტრს, სამხრეთით (კერის მარჯვენა, შიგნითა მხარე) ტორხამდე — 2,5 მეტრს, ჩრდილოეთით (კერის გარეთა, მარცხენა მხარე) ბაგამდე — 5 მეტრს.

ფარში კერა დაშორებულია აღმოსავლეთის კედლიდან (კაცხეში) 2,5 მეტრით. დასავლეთით ლაფურიდან (კავეშვინ) — 3 მეტრით, სამხრეთით (შიგნითა მხარე) ლაჭანიდან — 2,85 მეტრით, ჩრდილოეთით (გარეთა მხარე) ლაჭანიდან — 4 მეტრით.

უშგულში კერის უკანა მხარე სახლის კედელთან ახლოსაა (დაახლოებით 1,5 მეტრი). კერის უკანა მხარეს არ გვხვდება საქონლის სამყოფი. სამაგიეროდ აქ მოწყობილია კედელში დატანებული განჯინები და აქვე დგას პურის ცხობისათვის საჭირო მოწყობილობანი. შიგნითა მხარე რძის პროდუქტებისათვისაა განკუთვნილი. ამ მხარესაა საძროხე (ლაფურ), ამიტომ ეს მხარე მეტ ფართობს მოიცავს (კერასა და ლაფურს შორის 4 მეტრია), ვიდრე გარეთა მხარე (3 მეტრი). ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს კერის წინა ადგილს — გარამს და ხარების (ლაჭან) მხარეს (ლაჭანსა და კერას შორის მანძილი უდრის 6 მეტრს). ამ მხარეს მიმდინარეობს საქონლის მოვლა მოშენებასთან დაკავშირებული შრომის ყველა პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემო სვანეთიდან ბალს ქვემოთ, ლენჯერსა და ლატალში კერის უკან თითქმის ყველგან ძროხების სამყოფია. კერის ეს მხარე განკუთვნილია რძის პროდუქტებისათვის და პურის მცხობელის დამმზარე ქალებისათვის (მეკმელი). ამიტომ ეს მხარეც მეტ ფართობს მოიცავს, ვიდრე კერის წინა მხარე — კაცხაში.

რაც შეეხება ზემო სვანეთის სხვა სოფლებს (მესტია, მულახი, იფარი და კალა), აქ ამ მხრივ შერეული მდგომარეობაა.

როგორც აღნიშნული იყო, უშგულში კერა კედელთან ახლოს მდებარეობს. ეს, როგორც ჩანს, იმითაა გამოწვეული, რომ საქონლის სამყოფი აქ მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე ზემო სვანეთის სხვა სოფლებში, და ამიტომ შემცირებულია ყველფის ფართობი. ეს მოვლენა სამეურნეო პირობებით ახსნება. სამოვრებისა და სათიბი ადგილების უხვი ბუნებრივი ბაზა უშგულში მესაქონლეობის განვითარების ხელსაყრელ საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო მკაცრი ბუნებრივი პირობები მემინდვრეობის განვითარებას წინ ეღობებოდა. ამის შედეგად მეურნეობის ძირითად სახეს უშგულში მესაქონლეობა წარმოადგენდა, ხოლო მრავალრიცხოვანი საქონელი მაჩუბშიც მეტ ადგილს მოითხოვდა ზამთრობით. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბალს ზემო სოფლებიდან გამოსაკვებად საქონელს ზამთარში უშგულში აძღევდნენ.

საქონლის მოვლა-მოწესებასთან დაკავშირებული საკვიროებით უნდა აიხსნას საერთოდ სვანურ სახლში, განსაკუთრებით კი უშგულსა და ქვემო სვანეთში, მეტი ფართობის დათმობა იმ მხარისათვის, სადაც მსხვილფეხა საქონლის მუდმივი სამყოფია მოთავსებული.

სახლის შინაგან კონსტრუქციასა და მეურნეობის ფორმებს შორის კავშირი დადასტურებული აქვს პროფ. გ. ჩიტაიას შრომაში — „ხევსურული სახლის სენე"[14]. აქ შედარებულია პირიქით ხევსურეთისა და პირაკეთ ხევსურეთის სახლები. პირიქით ხევსურეთში გავრცელებულია კომკური ოთხ-ან მეტთვლიანი სახლი, პირაკეთ ხევსურეთში კალოიანი სახლი. მისი პირველი თვალი („სასლი") განკუთვნილია „ყვერფისა" (კერა), ჯალაბობისა და პირუტყვისათვის, აგრეთვე ოჯახის „ბუნაგის" შესანახად; მეორე თვალი („ჭერხო") მამაკაცთა სადგომია; აქ ინახავენ წლიური საკვების მარაგს ოჯახისა და საქონლისათვის; მესამე თვალი („კალო", ანუ „ბაღალი ბანი") კალოა; აქ ზამთარში ყინულზე ქერს ლეწავენ.

უშგულის სახლის მაჩუბის მსგავსად ხევსურეთშიაც კალოიანი სახლის პირველი სართულის უდიდესი ნაწილი მსხვილფეხა საქონლისათვისაა განკუთვნილი, ყველფისა და ჯალაბობისათვის მეორე ფართობი რჩება. კომკური სახლის პირველი და მეორე სართულიდან, სადაც საქონლის სამყოფია, ყველფი მესამე სართულზეა ატანილი. ორივე შემთხვევაში, როგორც კალოიან სახლში, ისე კომკურ სახლში, კერა ჭოთავსებულია სახლის აღმოსავლეთ კედელთან ახლოს — კუთხეში. კალოიან სახლში იგი საქონლის ბინითაა შეგიწროებული, ხოლო კომკური სახლის მესამე სართულში — საქონლის საკვები მარაგისათვის განკუთვნილი დიდი ფართობით. განსხვავება უშგულურ ყველფსა და ხევსურულ ყვერფს შორის მაინც შეინიშნება. უშგულის ყველფს გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს, ვიდრე ხევსურულს. ეს გარემოება დიდი ოჯახის არსებობით

[14] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, იე. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1947.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო შეპირობებული სვანეთში; ხოლო კერის სახლის კუთვნილებაში მიახლოების პროცესი გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე კერის მდებარეობა ცენტრალურ ადგილას.

აქედან, სვანურ სახლში კერა განსაზღვრავს მაჩუბის შინაგან გეგმას და მასში წარმოდგენილი საოჯახო ინვენტარისა, მოწყობილობისა და სხვადასხვა საგნების განლაგებას, თავის მხრივ კერის განსაზღვრულ ადგილას მდებარეობა შეპირობებულია სახლის კონსტრუქციით და მჭიდროდ არის დაკავშირებული სახლის აგებულების მთელ სისტემასთან.

კერა სვანურ სახლში საცხოვრებელ ფართობს ოთხ ნაწილად ჰყოფს. მათგან ორი საკაცებო მხარეს შეიცავს, ხოლო ორი — „საქალებოს". საყურადღებოა, რომ საქალებო მხარე, როგორც წესი, ეჭცევა მუდამ კერის შიგნითა გვერდზე, საკაცებო კი კერის გარეთა მხარეს. ქალების მიერ სადიაცო საქმეები საქალებო მხარეს სრულდება, ხოლო სამამაცო საქმიანობისათვის განკუთვნილია საკაცებო ადგილი.

კერის მდებარეობის მიხედვით ერთნაირი ტიპის სახლებში დასტურდება სვანური სახლის მაჩუბის ორი სახეობა: „სამარჯვენე" და „სამარცხენე". თუ საქალებო ადგილი მდებარეობს კერის მარჯვნივ, ამგვარი სახლი ითვლება სამარჯვენე სახლად (ლამჯრსგვენ ქორ), ხოლო თუ მარცხნივაა — სამარცხენე სახლად (ლამჯრთენ ქორ).

М. И. ЧАРТОЛАНИ

ОЧАГ В СВАНСКОМ ДОМЕ

Резюме

В сванском доме очаг определяет внутренний план «мачвиби» (первый этаж сванского дома) и расположение семейного инвентаря. Со своей стороны расположение очага обусловлено конструкцией дома и тесно связано со всей системой устройства дома.

Очаг в сванском доме делит жилую площадь по четыре части. Из них на двух частях расположени «лагужмар» (место, уделённое для мужчин), на остальных двух — «лазурал» (место, уделённое для женщин). «Лазурал» занимает внутреннюю сторону очага, «лагужмар» же внешнюю.

По расположению очага существуют два типа «мачуби» сванского дома: «ламурсгвен кор» (правый дом) и «ламуртен кор» (левый дом).

Если «лазурал» расположен на правой стороне очага, тогда дом считается «ламурсгвен кор», если же он находится на левой стороне, тогда дом называется «ламуртен кор».

ეროვნული ბიბლიოთეკა

N1 სვირის ტაძარი. XIII-XIV საუკუნეები.



1. ლოცვისთვის 2. ვერცხლი 3. ქვა ყველზე
4. ეკლესიაში 5. ხეზე ყველზე 6. ეკლესიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

N2. სვანური სახლის ძირითადი ტიპი. სოფ. ფარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

N 3 ყველის ბეგრძ. სოფ. ქესტი

1. ლაყელი 2. ყერვალ 3. სამ ყველ
4. ქვ ყველ 5. ერ ყველ 6 ერცხვ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 4. ყვავილის ბაღი

ს. ოზელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბედუკაძე, მ. გეგეშიძე, გ. ჩაჩავილი

ს. ორჯონიკიძის სახ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების ყოფისა და კულტურის ზოგიერთი მხარე

ამ წერილს საფუძვლად დაედო მოხსენება, წაკითხული 1954 წ. ჩვენ მიერ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოწინავე მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმაც. აღნიშნული მოხსენება მომზადდა ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალების საფუძველზე, რომლებიც მოიპოვა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციამ ამავე ავტორთა მონაწილეობით 1952—1953 წლებში. ამ ექსპედიციის გარკვეული დროის მანძილზე მუშაობა მოუხდა უშუალოდ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების ყოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად. ექსპედიციის მიერ შეგროვილი და დამუშავებული მასალა იმასთან ერთად, რომ გამოყენებული იყო აღნიშნულ მოხსენებაში და შემდეგ ამ წერილში, საფუძვლად დაედო აგრეთვე საექსპოზიციო თემას — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების საწარმო. საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა და კულტურა—საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე, რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1954 წლის ბოლოს გაიხსნა.

ავტორთა კოლექტივს ამ დროის შემდეგ საშუალება აღარ ჰქონდა გაეგრძელებინა ეს დაწყებული სამუშაო და მოეპოვებინა ქარხნის ცხოვრების ამსახველი ახალი მასალა. ეს ქარხანა კი, ჩვენ ყველანი ამის მოწმენი ვართ, თანდათან იზრდება და სახეს იცვლის. იცვლება ამის შედეგად თვით მუშების ცხოვრებაც, მათი ყოფა; მაშასადამე, ბევრი რამ დღეისათვის ის აღარ არის, რაც თავის დროზე ჯერ მოხსენებაში და გამოფენაზე, ხოლო შემდეგ წინამდებარე წერილში აისახა. ეს გარემოება ავტორებს მეტად აფიქრებს, მაგრამ თუმცა წერილმა ციფრობრივი და სხვა ფაქტიური მასალის გამოკლების შედეგად კონკრეტულობა ნაწილობრივ დაკარგა, მათ მაინც შესაძლებლად მიიჩნიეს წერილის ამ სახით დაბეჭდვა იმის იმედით, რომ ამ ქარხნის ისტორიის ცალკეული საკითხი, მუშების ყოფის ზოგიერთი თავისებურება მკითხველისათვის ერთგვარად გასაგები იქნება.

* * *

თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა ეთნოგრაფები ფართო მუშაობას აწარმოებენ თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ თუ პირველ პერიოდში ეს მუშაობა ძირითადად ენა-ზობის ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის ხაზით მიმდინარეობდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიულ შესწავლასაც.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფთა კოლექტივი კარგა ხანია აქტიურად ჩაება ამ საკითხების კოორდინირებულად დამუშავებაში. ახალი ყოფისა და კულტურის კვლევის ხაზით მოპოვებული შედეგები ასახვას პოვებდა ადრე არსებულ გამოფენებში, როგორიც იყო, მაგალითად, ხევსურეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენები. ამ რამდენიმე წლის წინათ მუზეუმში დაიგეგმა ორი თემა, რომელთა დამუშავება მიზნად ისახავდა საქართველოს ახალი საწარმოების მუშათა ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლას და მათ ასახვას საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე, რომელიც ამჟამად უკვე მოწყობილია მუზეუმში.

ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული, რადგან ასეთი თემა დასამუშავებელი საკითხების მხრივ მეტად ფართოა და სისტემატურსა და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. ისიც აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ამ მუშაობასთან დაკავშირებული რიგი მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხი დისკუსიის საგანს შეადგენს და დაზუსტებასა და დადგენას მოითხოვს. ჩვენთან მიღებული ახალი ტრადიციის მიხედვით, მუშების ეთნოგრაფიული შესწავლა საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფისა და კულტურის ხაზით მიმდინარეობს. ამ გეგმითვე წარიმართა მუშაობა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების ყოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად და ასევე დამუშავდა თემატურ-საექსპოზიციო გეგმა, რომელმაც ასახვა პოვა საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ხელთ არსებული მასალა ამ ქარხნის შესახებ მთლიან, ამომწურავ პასუხს იძლეოდეს. საჭიროა მუზეუმმა მომავალშიაც გააგრძელოს ეს სამუშაო და მისი ყურადღების ცენტრში იყოს სოციალისტური საქართველოს ეს პირმშო, თვალყური ადევნოს მის ზრდასა და განმტკიცებას.

იმ რთული საკითხებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების ყოფისა და კულტურის შესწავლასთან, ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთს, კერძოდ, ამ საწარმოს მუშათა კადრის შექმნის საკითხს და წარმოების ყოფის ზოგიერთ მხარეს.

როცა როგორც საველე, ისე კამერალური მუშაობის დროს ჩვენ ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით, ის საერთო ხასიათის დებულებით ვხელმძღვანელობდით, რომ მუშათა კლასი ერის მოწინავე ნაწილია, იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს კულტურისა და ყოფის ნაციონალური ფორმების შექმნაში. მუშათა კლასი თავისი იდეოლოგიით ინტერნაციონალისტური, მაგრამ ამავე დროს თავისი ხალხის საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შემნახველი და დამცველია. მუშათა კლასი იკრებს და გადაამუშავებს სხვადასხვა სოციალური ფენის, ერისა და ეთნოგრაფიული ჯგუფის ყოფისა და კულტურის თავისებურებებს. რომელთაგანაც ყოველივე კარგსა და მოწონებულს ითვისებს. მაშასადამე, მუშათა კლასის ამა თუ იმ კონკრეტული კოლექტივის ეთნოგრაფიული შესწავლის გზაზე პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა იყოს მუშათა კადრის ჩამოყალიბების ისტორია. მათი წარმოშობისა და სოციალური ფესვების გამორკვევა; მხოლოდ ამის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება კონკრეტულ თავისებურებათა ნიადაგზე წარმოშობილი კულტურისა და ყოფის საერთო ფორმების გულდასმით შესწავლა[1].

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა კადრის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც განსაზღვრავს ამ ქარხნის მუშათა კოლექტივის ყოფისა და კულტურის უმთავრეს მხარეებს.

საბჭოთა სახელმწიფოში მუშათა კლასის განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა წყობილების განმტკიცებასა და სოციალისტური ერების შექმნასთან.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ურღვევად არიან დაკავშირებულნი ჩვენი ქვეყნის ხალხებთან. პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა ყოველთვის უპასუხებდა და უპასუხებს ყველა სოციალისტური ერის სასიცოცხლო ინტერესებს. სოციალისტური ერების წარმოქმნის პროცესი ეს არის პროცესი ყოველი ერის ფართო მასების შემოკრებისა და შემჭიდროებისა მუშათა კლასისა და პარტიის გარშემო.

სოციალისტური ერების ეკონომიკური ბაზისია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. ასეთი ეკონომიკური ბაზისი არ შეიძლებოდა მთლიანად ჩამოყალიბებულიყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე პრაქტიკული ღონისძიების შედეგად. სოციალიზმს არ შეეძლო დამყარებოდა დაბალ ინდუსტრიულ დონეს, რითიც მეფის რუსეთის ეკონომიკა გამოირჩეოდა. მაშასადამე, ახალი ეკონომიკური ერთობა ერისა არ შეიძლებოდა ყოფილიყო შექმნილი მაღალგანვითარებული ინდუსტრიის გარეშე, რაც ერთადერთი მტკიცე საფუძველია სოციალიზმისა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმა, შემუშავებული პარტიის მიერ, ითვალისწინებდა საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას და მათი განაწილების ძირფესვიანად შეცვლას.

ისწრაფოდნენ რა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ერების განვითარების პირობების შექმნისაკენ, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნის პროცესში ყოველთვის ითვალისწინებდნენ მათ შემადგენლობაში სამრეწველო ცენტრების აუცილებლად ჩართვას, მოსახლეობის შემადგენლობაში მუშათა კლასის ხვედრითი წონის გაზრდას. ეს ამოცანა ხორციელდებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დროს.

მაგალითად, თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ამერკავკასია და შუა აზია იყვნენ ჩამორჩენილი რაიონები მრეწველობის ყოვლად უმნიშვნელო ხვედრითი წონით, მეორე ხუთწლედის ბოლოს ამ მხრივ მდგომარეობა ძირფესვიანად იყო შეცვლილი. ამ დროისთვის მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 75,2%-ს, სომხეთში—72%-ს, თურქმენეთში—65,9%-ს, ყაზახეთში — 56,6%-ს. ნაციონალური რესპუბლიკებისა და მხარეების ინდუსტრიალიზაცია წარმატებით მიმდინარეობდა იმიტომ, რომ საბჭოთა ერები ერთიანი მრავალერიანი სახელმწიფოს თანაბარუფლებიანი წევრები არიან, რომელთაც პარტია და საკავშირო მთავრობა მუდმივ გეგმაზომიერ-

[1] Б. Ю. Крупянская, Опыт этнографического изучения уральских рабочих второй половины XIX века, „Советская этнография", № 1, 1953, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარებას უწევდნენ ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ეს ზრუნვა გამოიხატა კომუნისტური პარტიის ჯერ XX, ხოლო შემდეგ ახალი ძალიან XXI ყრილობის დირექტივებში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ, რომ უახლოეს დროში უზრუნველყოფილი იქნეს სამრეწველო სწარმოთა ეგოგრაფიული განლაგების გაუმჯობესება; ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული მრეწველობის შემდგომი მიახლოება ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან, რათა ალმოიფხვრას არარაციონალური და მეტისმეტად შორმანძილზე ტვირთზიდვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის უშუალო მხარდაჭერა და დახმარება იგრძნეს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლის საქმეში. რუსეთის პროლეტარიატი, რომლის უშუალო დახმარებით საქართველოს მშრომელებმა სამუდამო თავისუფლება მოიპოვეს, მხარში ამოუდგა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. რუსი მუშების უანგარო დახმარების ერთ-ერთი პირველი მაგალითი იყო 1922 წელს რუსეთიდან ქალაქ ქუთაისში მაუდის ფაბრიკის ჩამოტანა, რაც მოსკოვის პროლეტარიატის საჩუქარს წარმოადგენდა საქართველოს მშრომელებისათვის. ამ ფაბრიკის გამოცდილი მუშების კადრიც ჩამოჰყვა, რომლის ხელმძღვანელობით მოკლე დროში ადგილობრივთა რიცხვიდან მრავალი სპეციალისტი მუშა მომზადდა.

უშუალო დახმარების გაწევით მუშათა კადრის მომზადების ამ ძვირფასმა ტრადიციამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე, ახალი, მნიშვნელოვანი გამოხატულება პოვა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა მომზადების ასეთი გზა ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს, რაც საერთოდ ახასიათებს საქართველოში ახალი საწარმოების მუშათა ნაციონალური კადრის ზრდას და შემდგომ განვითარებას.

1921 წ. პირველი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის მუშები აუწყებდნენ ვ. ლენინს საავტომობილო ძრავების გამოშვებას და იწვევდნენ მას მიეღო მონაწილეობა ქარხნის დღესასწაულში. რაც დანიშნული იყო 1921 წლის 7 აპრილისათვის. ამ წერილის პასუხად პირველ სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ნარკომისა და ყველა მუშისადმი გაგზავნილ მილოცვაში ვ. ლენინი წერდა: „დიდად პატივცემულო ამხანაგებო, მე მივიღე თქვენი ქარხკომის თავმჯდომარისაგან ამბ. სმირნოვისაგან ცნობა ძრავების გამოშვების შესახებ და მოწვევა 7 აპრილის დღესასწაულზე. მოგილოცავთ, ამხანაგებო, მუშაობის წარმატებას და ავტომობილის მექანიკოსთა კურსების წლისთავს. მთელი სულითა და გულით გისურვებთ მხნე მუშაობას, რომელიც, უეჭველია, შემდგომ წარმატებებს მოგვიტანს. განსაკუთრებით დიდია თქვენი წარმატებების მნიშვნელობა მუშათა და გლეხთა მთელი მასის თვალსაზრისით, რადგან ძრავების წარმოების განვითარება, რუსეთში ნავთის სიუხვის დროს, შესაძლებელს ხდის მოვაწყოთ იაფი და პრაქტიკული ძრავებით გლეხური მეურნეობის მომარაგების საქმე. რადაც უნდა დაჯდეს უნდა მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს წარმოების საქმეში. საუკეთესო სურვილები და კომუნისტური სალამი»[3].

---

[3] ვ. ლენინი, პირველი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ქარხკომს და ყველა მუშას, თხზულებანი, ტ. 32, თბილისი, 1952, გვ. 354.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის საავტომობილო მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შედეგად ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა კავშირში შეიქმნა ფაქტიურად ახალი დარგი ინდუსტრიისა.

ჩვენს ქვეყანაში ავტომობილიზაცია უაღრესად მოკლე ხანში განხორციელდა. პირველი საბჭოთა ავტომობილები —„ამო-ფ-15" მარკის ტონანახევრიანი სატვირთო მანქანები — ქარხანა „ამომ" 1924 წელს გამოუშვა.

საბჭოთა ხელისუფლების გაძარცვების შედეგ დაისახა ამოცანა საბჭოთა კავშირში მოწყობილიყო ავტომობილების მასობრივი წარმოება. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოკლე ხანში შექმნილიყო ინდუსტრიის ახალი დარგი, მომზადებულიყო სპეციალისტთა კადრი, დამუშავებულიყო ავტომობილების კონსტრუქციები, მათი ტექნოლოგია და სხვ. მოკლე ხანში აშენდა ორი ქარხანა გიგანტი — მოსკოვსა და გორკში. ასე, მაგალითად, გორკის ავტოქარხნის ურთიერთ-ლესი კომპლექსი 18 თვეში იქნა აგებული.

შეიდწლიანი გეგმის მიხედვით საავტომობილო მრეწველობაში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიური პროცესების განვითარება და დანერგვა. წარმოების ავტომატიზაცია და მძიმე და შრომატევად საბუშაოთა მექანიზაცია.

ქართველი და მოძმე ხალხების თანამშრომლობა. პირველ რიგში მჭიდრო საწარმოო კავშირი რუს ხალხთან და მისი უანგარო, ძმური დახმარება ჩვენი ხალხისადმი საქართველოს ინდუსტრიის აღმაკლობისა და სწრაფი გაფართოების საწინდარი გახდა. ამ შეგობრობისა და დახმარების კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს სოციალისტური საქართველოს ახალ საწარმოთა შორის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შექმნა-განვითარება.

საავტომობილო წარმოება საქართველოს მრეწველობის სრულიად ახალი დარგია, რომელსაც ჩვენში საწარმოო ბაზა და ტრადიციები არ ჰქონია. მრეწველობის ეს დარგი სამამულო ომის შემდგომ წლებში შეიქმნა საქართველოში. სულ მოკლე დროში გაჩნდა ახალი, ძლავრი ინდუსტრიული კერა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა შედარებით ახალი საწარმოა, მაგრამ ამჟამად მას უკვე თავისი დამოუკიდებელი სახე აქვს მიღებული. ეს ქარხანა საკუთარი მარკის ავტომანქანებს უშვებს. რასაკვირველია, სხვა პირობებში და ვითარებაში ეს ასე ადვილი არ იქნებოდა. ჩვენს ქვეყანაში კი სწორედ ამის პირობები არსებობს. ძირითადი და მთავარი, რამაც ამ საწარმოს ადრე დავაჯაკცებას შეუწყო ხელი, არის ხალხთა მეგობრობა და ურთიერთდახმარება. პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარება ქართველი ხალხისადმი. ამის საბუთად მარტო ის ფაქტიც იკმარებდა, რომ ფორმირების პერიოდიდან დღემდე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის წინაშე არ წამოჭრილა არც ერთი საძნელო ტექნიკური საკითხი, რომელიც რუსეთის მსხვილი საავტომობილო ქარხნების დახმარებით არ გადაჭრილიყოს.

მაგრამ, რასაკვირველია, არა მარტო ურთიერთობის ეს ფორმა შედის დახმარებაში. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მჭიდრო კავშირი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებთან სხვადასხვა ფორმაში იჩენს თავს. ამ მხრივ ყველაზე ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენს ქუთაისის მუშათა ახალგაზრდა კადრის პერიოდული გაგზავნა რუსეთის მსხვილი საავტომობილო ცენტრებში პრაქტიკული საქმიანობის გზით სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად. როგორც უკვე იყო ნაჩვენები, ეს პრაქტიკა, რომელსაც განსაკუთრებული ფართო ხასიათი ჰქონდა ქარხნის ისტორიის პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში, ნაწილობრივ დღესაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობების ეს გზა ქართველი და რუსი მუშების საწარმოო მეგობრობის საფუძვლად იქცა. მოკლე თუ ხანგრძლივი მივლინებიდან საქართველოში დაბრუნებული ბევრი ქართველი მუშა კავშირს არ წყვეტს იმ საწარმოსთან, სადაც მან პირველად ცოდნა და გამოცდილება შეიძინა და შემოქმედებითად არის დაკავშირებული თავის მასწავლებელ მუშებთან. ამაზე მეტყველებს გულწრფელი მეგობრობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება — სისტემატური მიმოწერა ქართველ და რუს მუშებს შორის.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა კადრის შექმნაზე ნათლად მეტყველებენ მთელი რიგი კონკრეტული მონაცემები: ქარხნის არსებობის მთელ პერიოდში, ე. ი. 1946 წლიდან დღემდე, აქ აღიზარდა რამდენიმე ათასი ახალგაზრდა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. ახალგაზრდა მუშები მომზადებულნი არიან როგორც ადგილობრივ, ისე სსრ კავშირის სხვა საავტომობილო ქარხნებში. ასე, მაგალითად, 1946 წ. მომზადდა და კვალიფიკაცია მიიღო 181 კაცმა. მათ შორის გორკის ქარხანაში მომზადდა 118 კაცი, ხოლო ქუთაისის ავტოქარხანაში — 63. 1947 წ. მომზადდა და კვალიფიკაცია მიიღო 704 კაცმა; მათ შორის მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანაში მომზადდა 126 კაცი, გორკის ავტოქარხანაში — 172, ქ. პავლოვის ყოფანოვის სახ. ავტოსაინსტრუმენტო ქარხანაში — 87, ქუთაისის ავტოქარხანაში — 319.

1948 წლიდან ახალგაზრდა მუშების მომზადება ძირითადად ადგილზე ხდებოდა, ქარხნის საამქროებში, გამოცდილ ოსტატებთან და მაღალკვალიფიციურ მუშებთან მათი მიმაგრების გზით.

მაშასადამე, პირველად გაწეული დახმარების შედეგად ქარხანას საკუთარი ბაზა შეექმნა, რომელზედაც შესაძლებელი ხდება ადგილობრივი კადრის მომზადება. ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მათი საწარმოო-ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პრაქტიკაშია ახალგაზრდა სპეციალისტების ინდივიდუალური და ჯგუფური მიმაგრება მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან და აგრეთვე მათი გაგზავნა სსრ კავშირის სხვა მოწინავე საავტომობილო ქარხნებში: მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანაში კვალიფიკაცია აიმაღლა 15 კაცმა მანქანების აწყობისა და გამოცდის, აგრეთვე შასის დეტალების წარმოების დაუფლების მხრივ, ხოლო 13 კაცმა საჩამშსმელო წარმოების ათვისების ხაზით. მიტიშჩის მანქანათმშენებელ ქარხანაში კვალიფიკაცია აიმაღლა 12 კაცმა თვითმცლელების ათვისებასა და გამოშვებასთან დაკავშირებით.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შიდასაქარხნო სწავლებას ხელმძღვანელობენ დიდი საწარმოო და პედაგოგიური სტაჟის მქონე გამოცდილი ინჟინრები.

ახალგაზრდა ინჟინრებისა და ტექნიკოსების რიცხვიდან ბევრი დაწინაურებულია საამქროთა უფროსებისა და მათი მოადგილეების, ტექნიკური ნაწილების, ბიუროებისა და სექტორების, საამქროთა განყოფილებებისა და უბნების უფროსების თანამდებობებზე.

ინჟინერი ს. აბზიანიძე, რომელმაც მუშაობა დაიწყო ოსტატის თანამდებობიდან, 1954 წ. მუშაობდა შასის საამქროს უფროსად; ინჟინერი ვ. ხარებავა, რომელმაც მუშაობა დაიწყო საამქროს ტექნოლოგის თანამდებობიდან,—ძრავების საამქროს უფროსად; ინჟინერი ვ. რევაზიშვილი საამქროს ტექნოლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაწინაურდა საამქროს უფროსად; ასევე დაწინაურდნენ ტექნიკოსები გ. ფერაძე, კ. ჯორბენაძე და სხვ. დასახელებული მაგალითები ნათლად მეტყველებენ ქარხნის ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პროცესზე უშუალოდ წარმოების მუშებიდან.

მრავალი ახალგაზრდა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომელთაც საშუალო-ტექნიკური განათლება აქვთ, სწავლობენ წარმოებიდან მოუწყვეტლად. ასე. მაგ.. მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 1954 წ. სწავლობდა 372 კაცი. ავტოტექნიკუმის საღამოს განყოფილებაში — 233 და ს. **კიროვის** სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე — 150.

ქართველი და რუსი მუშების მეგობრობის კონკრეტულ გამოხატულებას —1947 წ. გორკის საავტომობილო ქარხანაში ქართველ ახალგაზრდა მეავტომობილეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩასვლას საბჭოთა საზოგადოებრიობა მხურვალედ შეხვდა. ამ ფაქტს გამოეხმაურნენ ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთები. ეს თარიღი — 1947 წ. დეკემბერი საბჭოთა კავშირის კალენდარშიც იყო აღნიშნული. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ასეთი დეტალი: ქუთაისის სახელოსნო სასწავლებლის პიბლიოთეკაში ამჟამადაც დაცულია ასამდე ეგზემპლარი — გორკის ქარხანაში 1947 წ. ლიტოგრაფიულად გამრავლებული ინგ. ნოდიას მიერ ადგილზე ქართულად შედგენილი ტექმინიმუმის ხელნაწერისა, რომელიც იმის აშკარა დოკუმენტია, თუ რა დიდი ყურადღებითა და მონდომებით ეჯიდებოდა გორკის ქარხნის კოლექტივი მომმე **საქართველოსათვის** მეავტომობილე მუშების კადრის მომზადების საკითხს.

საყურადღებოა და თავისთავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იგრეთვე ის, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დასაწყისიდანვე მუშაობდა რუსი მუშების ერთი ნაწილი, რომელთაც აქ რუსეთის საავტომობილო საწარმოებიდან ჩამოვიდნენ. ეს იყო სწორედ ის პირთვი, რომელთან კავშირში ჩამოყალიბდა და შეიქმნა ქართველი მუშების ახალგაზრდა კადრი. ამ რუსი მუშების გამოცდილება და ცოდნა იყო პირველი წყარო ჩვენი კადრის მომზადებისა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა თამამად მზარდი საწარმოა, რადგან იგი ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ქარხნების მაგალითზე ფართოდ იყენებს და ნერგავს ყოველ ახალ საწარმოო მიღწევას, პრაქტიკულ გამოცდილებას, შრომის ახლებურ, რაციონალურ ფორმას.

მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერი ეს არ უნდა იქნეს ცალმხრივად გაგებული და შეფასებული. თითქოს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა შინაგან შემოქმედებით ძალას მოკლებული იყოს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეჰქონდეს სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების საქმეში. ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა სწორედ იმის მაუწყებელია, რომ ეს საწარმო ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების მყარ ნიადაგზე დგას და მასაც პევრი სასარგებლო წვლილი შეაქვს საბჭოთა საავტომობილო მრეწველობის წინსვლის საქმეში. როგორც ცნობილია, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა ბევრი გამოგონება, წინადადება დანერგილია სწორედ იმ მსხვილ საავტომობილო საწარმოებში, რომელთა დახმარებით თვით ეს ქარხანა პირველად ამუშავდა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა საწარმოო ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლა შეუძლებელია იმის გარეშე, თუ თვით ამ წარმოების აღნაგობა და მისი თავისებურებანი არ იქნა გათვალისწინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანათმშენებლობის დღევანდელ საფეხურზე საავტომობილო წარმოება განსაკუთრებით დაწინაურებული ტექნიკის ამოვისებელ დარგად ითვლება და საერთოდ ფართოდ განვითარებული ინდუსტრიის ქვეყანაში ეწყობა. მისთვის საჭიროა მეტალურგიის, რეზინის, ქიმიური წარმოების, ელექტროაპარატის და სხვ. დიდად დაწინაურებული დარგები.

საქართველოს საავტომობილო წარმოება რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან იღებს მაღალი ხარისხის ფოლადს, რაც ძირითადი სახის ნედლეულია ქუთაისის მრეწველობისათვის. ქარხანას უკვე მთლიანად აკმაყოფილებს მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის რეზინის წარმოებაც, მაგრამ ჯერჯერობით ქუთაისის ახალგახრდა წარმოების 11 წლის არსებობის მანძილზე მთავარი დამახასიათებელი მოვლენაა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის, უმთავრესად რუსეთის, სახელგანთქმულ სამრეწველო ცენტრებთან, რომელთაგან სისტემატურად იღებს საჭირო დაბმიერ პროდუქციას. წარმოების დასაწყისი პერიოდისა და შემდეგი წლების მონაცემების პროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ თითოეული ავტომანქანის წარმოებისათვის საჭირო მუშასაათების რაოდენობაში თანდათანობით იზრდება ადგილობრივ წარმოებაში დახარჯული მუშასაათი და მცირდება სხვა წარმოებიდან მიღებული მუშასაათის რაოდენობა. წარმოების დღევანდელ საფეხურზე ქუთაისის ავტომობილში შემავალი გარეგან მიღებული მუშასაათების რიცხვი კიდევ საკმაოდ საგრძნობია, რაც შედარებით ანელებს წარმოებია სწრაფ ტემპს. ამჟამად ქარხნის კოლექტივის მთავარი ამოცანაა ავტომობილის შექმნის პროცესში მაქსიმუმ შესაძლებლობამდე გაზარდოს საკუთარი მუშასაათები და უახლოეს წლებში ადგილზევე ითვისოს ავტომობილის ყველა დეტალის წარმოება (იხ. კოლექტიური ხელშეკრულებები 1952, 1953 წლებისა).

ქუთაისის ქარხნის წარმოების პროცესების მოკლე, ზოგადი სურათის მოსაცემად საკმარისია თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოების საფუძველია მეტალურგიული პროცესები, რომლებიც ტექნოლოგიურად ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: ა. მეტალურგიული პროცესების ჩამოსხმითი წარმოება და ბ. ლითონის ცხლად ჭედვით დამუშავება.

ა. მეტალურგიული პროცესების ჩამოსხმითი წარმოება ქუთაისის ავტომქარხანაში მთლიანად მექანიზებულია და საჩამომსხმელო საამქრო მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით: საყალიბო ქვიშის გადაცემა ღვეღებით, მისი ჩაყრა ხვიმირებში, ხვიმირების დაცლა გამფორმებელ დაზგებზე, დაზგებზე მისი მექანიკურად დაწნეხა, დაწნეხილი ფორმის გადაცემა მოძრავი კონვეიერით, გამდნარი ლითონის მიწოდება საჰაერო გზით ყალიბებში ჩასასხმელად და ლითონსხმული ყალიბების ნელადმოძრავი საჰაერო კონვეიერით გაცემა — აი, ყველა დიდი მექანიზმი, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობას მუშის შრომის უაღრესად შემსუბუქებისათვის მეტალურგიული პროცესის ცხელ საამქროებში.

საჩამომსხმელო საამქროში დაყალიბებული უამრავი ფორმა წარმოადგენს საავტომობილო წარმოების მთავარ მკვეთავ მასალას, რომელიც საჰაერო ბაგირებით დანიშნულებისამებრ მიდის სათანადო საამქროებში.

ბ. საჩამომსხმელო საამქროს გარდა მეტალურგიული პროცესები წარმოებს სამეცდლო საამქროში. აქ გილიოტინის ტიპის მაკრატლებითა და დიდი ძალის მქონე მექანიკური ეროებით ხდება ლითონის დაჭრა და ტეიფრვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. საჩამომსხმელო საამქროში ჩამოსხმული თუ სამჭედლოში დატვიფრული ყველა დეტალი მექანიკური დამუშავების შემდეგ უთუოდ გაივლის წრთობას, რომელსაც მეცნიერული ტერმინოლოგიით თერმული დამუშავება ეწოდება. თერმული დამუშავების პროცესში რბილი ლითონი იღებს სასურველ გამძლეობას და გადაიქცევა კარგი ხარისხის მაგარ ლითონად.



სურ. 1. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა—ძრავების საამქრო (მცირე კონვეიერთან)

II. მეტალურგიული პროცესების საამქროები საკვებს აძლევენ ავტომობილის მთავარი დეტალების დამშუშავებელ ძირითად საამქროებს — ძრავების, სიჩქარეთა ყუთის, შასისა და ავტომატების საამქროებს (სურ. 1).

III. უდიდესი როლი აკისრია ავტომობილის რთული მექანიზმის ნაწილების დასამუშავებელი იარაღების მწარმოებელ საიარაღო საამქროს, რომელიც დეტალების გამოსაჭრახად ამზადებს მრავალგვარი სახის საჭრისებს. აქ უმთავრესად მუშობენ რთული ნახაზების გარკვევაში დახელოვნებული მუშები, რომლნიც მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრს მიეკუთვნებიან და მეზუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე თანრიგის მატარებელნი არიან.

IV. ქარხნის რთული წარმოების მოთხოვნილებას უპასუხებს კარგად მოწყობილი ცენტრალური საქარხნო ლაბორატორია და საკონსტრუქტორო-საექსპერიმენტო განყოფილება სპეციალური საამქროთი. სადაც მომუშავე სპეციალისტება დიდ სამსახურს უწევს მდიდარი საქარხნო ბიბლიოთეკა.

V. ქარხნის გულს წარმოადგენს მთავარი კონვეიერის საამქრო, სადაც სარკესავით აირეკლება მთელი ქარხნის მუშაობის სურათი. მთავარ კონვეიერზე თავს იყრის წარმოების ყველა საამქროში დამუშავებული ავტომობილის ნაწილები და აქ ხდება მათი საბოლოო შეერთება ანუ „აყრეფა“ (სურ. 2).

მთავარ კონვეიერზე ერთსა და იმავე დროს იყრიფება 24 ავტომანქანა. პირველ სტენდზე ჩარჩო რომ იდება, მეოცდათხუთ სტენდზე აწყობილი და დასრულებული მანქანა გადმოდის მთავარი კონვეიერიდან. რის შემდეგაც იგი გამოცდილი მანქანის მძღოლის ხელში გადის საგამოცდო სელას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხანაში მომუშავე მუშათა კონტინგენტი ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ა. მეტალურგიული პროცესების მწარმოებელნი ცხელ სამუშაოზე მომუშავეთა კატეგორიაში შედიან და მათთვის ექვსსაათიანი სამუშაო დღე. ს. სპეციალური დამატებითი საკვები და ყოველგვარი შეღავათები არის დაწესებული; ბ. ტექნოლოგიური პროცესების შემასრულებელნი. რომელთა სამუშაო შედარებით მსუბუქია და სამუშაო დღე რვასაათით განისაზღვრება.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ეთნოგრაფიული შესწავლის დროს ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი მხარე. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ქარხანა ახალგაზრდა საწარმოა. ამ საწარმოს ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ის არის, რომ აქ წარმოდგენილია ძირითადად ახალგაზრდა მუშების ნაციონალური კადრი. ამ კადრის ჩამოყალიბების პროცესი სულ ახლო პერიოდს უკავშირდება და ამიტომ კარგად არის ცნობილი ძირითადი მომენტები, რაც ამ პროცესს ახასიათებდა და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვლაპარაკობდით. ძირითადი მასა, რითაც ქარხნის კოლექტივი დაკომპლექტდა, სოფლის მოსახლეობა იყო, უმთავრესად სოფლის ახალგაზრდობა, რომლის მეტმა ნაწილმა სახელოსნო სასწავლებლებში წინასწარი სათანადო მომზადება მიიღო.

შეიძლება თუ არა ამ ქარხნის კოლექტივი მისი ჩამოყალიბების პირველ საფეხურზე გავუთანაბროთ საბჭოთა კავშირის ისეთ საწარმოთა კოლექტივებს, რომელთა ძირითადი ნაწილი კადრის მუშებისაგან შედგება და შედის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ავანგარდში. რასაკვირველია, სრული გათანაბრება არ შეიძლება, რადგან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის იმდროინდელ ახალგაზრდა კოლექტივს, რაც მთავარია, აკლდა მუშური ფსიქოლოგია ამ სიტყვის ფართო გაგებით. ფსიქოლოგია — შემტკიცებული ხანგრძლივი შრომითა და საწარმოო ტრადიციებით. მაგრამ გაანმდა თუ არა ამ კოლექტივს ისეთი მონაცემებიც, რომელთა მიხედვით იგი განიხილება როგორც მკვიდრი კოლექტივი, მხოლოდ არა მარტო იმ ფორმალური მონაცემით, რომ ეს მუშები ქარხანაში მუშაობენ? ისეთი მონაცემები ამ კოლექტივს, რასაკვირველია, ჰქონდა. ძირითადი აქ ის არის, რომ ქარხანა სოციალისტური საწარმოა. დამყარებული სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობაზე. შრომის სოციალისტური ფორმა საფუძველია, რომელზედაც ყალიბდება საბჭოთა მუშის ნამდვილი სახე. აქ ამასთან ერთად ის მნიშვნელოვანი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საწარმოში სამუშაოდ მოვიდა არა ძველი დროის გლეხი მესაკუთრული ფსიქოლოგიით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ეთქვათ, მე-19 საუკუნეში, არამედ კოლმეურნე ან კოლმეურნის შვილი, რომელთაც სოციალისტური შრომის ჩვევები გამომუშავებული ჰქონდათ.

ამ გარემოებითაც უნდა აიხსნას ის. რომ სრულიად მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ძირითადი საწარმოო კადრი, რომელიც წარმატებით დაეუფლა თანამედროვე საავტომობილო ინდუსტრიის მოწინავე მეთოდებს. მაგრამ, ცხადია, ამ მოვლენას თავისებური მხარეც ახლდა. ამ საწარმოს პირველი პერიოდის ისტორია გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც მუშათა ახალგაზრდა კადრის ჩამოყალიბების დროს იჩინეს თავი. პირველი ტალღა მუშათა კონტინგენტისა გაწვევით შეკრებილი ხალხი იყო, მეტწილად სოფლის მოსახლეობა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მონაცემებიდან. ჩანს, რომ პირველ ხანებში ახალი მუშა ვერ წყდებოდა თავის სოფელს, ხშირად აცდენდა სამუშაოს ხან ქორწილის, ხან მოცვალებულისა და სხვა მიზეზების დასახელებით; თვით ქარხანაში ადგილი ჰქონდა



სურ. 2. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა—ამწყობი საამქროს საერთო ხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითნებურ მიმოსვლა-სტუმრობას საამქროდან საამქროში ისეთი საქმეების სასაბით, რაც წარმოებასთან არაფერ კავშირში არ იყო. იყო ხშირი შემთხვევები საერთო დასვენების გარეშე საამქროებიდან გამოსვლისა და შრომის რეჟიმის დარღვევისა.

ახლო წარსულის ყველა ეს ნიშანდობლივი მოვლენა დღეისათვის სავსებით გამქრალია. ამ ქარხნის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად იბრძვის საწარმოო გეგმების შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, შედარებით მოკლე ხანში მოპოვებული ავტორიტეტის წყალობით, მუშა ხელის შეუნელებელი ლტოლვის ობიექტად იქცა. წინათ თუ ქარხნის ადმინისტრაცია ეძებდა მუშებს, ახლა ქარხანას. პირიქით, ბევრი მთხოვნელი ჰყავს. ამ მხრივ დამახასიათებელი სურათი გვაქვს ავტოქარხანასთან არსებულ სახელოსნო სასწავლებლებში, რომლის დაწყებითი კონტინგენტი, როგორც წესი, რვა- და ცხრაკლასიანი განათლების მქონე ყმაწვილებით ივსება. უკანასკნელ წლებში სასწავლებლად მოვიდნენ მეთერთმეტე კლასელებიც. სხვათა შორის ეს გარემოება ხელს უწყობს სახელოსნო სასწავლებლის სასწავლო პროგრამის კარგად ათვისებას.

თუ დღეისათვის ქარხნის მუშების ყოფაში თავს კიდევ ინახავს ამ საწარმოს შექმნის ადრინდელი პერიოდის დამახასიათებელი მოვლენები, ეს პირველყოვლისა უნდა ითქვას ისეთ ტრადიციაზე, რომელიც სოფელთან უწყვეტი კავშირის არსებობაში მდგომარეობს. ქარხნის მუშების ერთი ნაწილი სოფელთან ყოველდღიურ კავშირს ვერ წყვეტს. ამ მუშებს მახლობელ სოფლებში უხდებათ ცხოვრება და ქარხანაში ყოველდღიურად იქიდან სიარული. საყურადღებო ის არის, რომ ქარხნის ადმინისტრაცია მუშების ამ ნაწილს ორგანიზებულ დახმარებას უწევს ტრანსპორტით. მაგალითად, სოფ. მაღლაკსა და ქარხანას შორის ყოველდღიურად რამდენიმე რეისს აკეთებს ქარხნის მრავალადგილიანი ორი ავტობუსი. მანქანებით გადაჰყავთ მუშები სხვა სოფლებშიც—ფარცხანაყანებში, მუხიანში და სხვ. ამ მდგომარეობის მიზეზს თვით მუშები (და ადმინისტრაციაც) ქარხნის ტერიტორიაზე ბინების ნაკლებობით ხსნიან. შესაძლებელია ამას ფარული ხასიათის მიზეზიც აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მუშების ამ ნაწილს კიდევ უნ�დება სოფელთან ყოველდღიური კავშირის გაწყვეტა. სოფლის სამეურნეო ყოფის დათმობა (აქ იმასაც უნდა გაეცვალა ხაზი, რომ ცალკეულ შემთხვევებში ახალგაზრდა მუშის სოფლად ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა გამოწვეულია შშობლების მოხმარების სურვილით). ლითონით დაფარვის საამქროს მუშა გ. ჩეჩელაშვილი, 27 წლისა, უცოლშვილო, სოფ. მაღლაკში ცხოვრობს და იქიდან დადის ქარხანაში. „სახლში ვმუშაობ,— აცხადებს იგი, ეზოში თუ რაიმე იქნა გასაკეთებელი ქე ვაკეთებ. მოხუცი მამა მყავს და უნდა მოვეხმარო. საკარმიდამო გვაქვს ენახი. მოგეყვავს სიმინდი და ბოსტნეულობა. ვაზი 200 ძირი მაქვს დაბლარი — ცოლიკაური. ძველებურად არის შემოღობილი. თვითონ მამა სარავს და აკეთებს, მაგრამ მე ყველაფერი ქე ვიცი. ვეხმარები ზაფხულობით“. გ. ჩეჩელაშვილი ქარხნის ერთ-ერთი მოწინავე მუშაა. გეგმებს 200—250%-ით ასრულებს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების საწარმოო ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურებაა აგრეთვე მუშათა ძირითადი მასის ტექნიკური მომზადების საკმაო მაღალი დონე. ასეთ მომზადებას მუშები ადრევე ღებულობენ. უმთავრესად სპეციალურ სახელოსნო სასწავლებლებში. მომავალი მუშების წინასწარი, სათანადო ტექნიკური სწავლის საჭიროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ქარხნის საწარმოო სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ეს იმაში გამოიხატება, რომ ხშირ შემთხვევაში დაზგაზე მუშაობა ნახაზებს მოითხოვს, ზუსტი მათემატიკური გაანგარიშების წარმოებით; უფრო მეტიც, მუშას ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებლობა აქვს კონსტრუქტორის ნახაზებში შესწორებებიც კი შეიტანოს.

მუშათა წინასწარ ტექნიკურ მომზადებას სხვა მხარეთა შორის ერთი ის სასარგებლო მხარეც აქვს, რომ იგი უფრო მეტად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას რაციონალიზაციის გზით. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების აზრი მიმართულია შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გაზრდისაკენ.

მოწინავე მუშები ქარხნის ინჟინრებისა და ტექნიკოსების გვერდით აქტიურად მონაწილეობენ რაციონალიზაციაში და წარმოების ამაღლებისათვის მრავალ წინადადებას აყენებენ. თავის მუშობაში ისინი იყენებენ ახალ საწარმოო ხერხებს, ახალ მოწყობილობებს, ინსტრუმენტებს, რაც მათი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის წარმოებითი ყოფისათვის ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალი საწარმოსათვის, ეს ტიპობრივი მოვლენაა. ამაში უკვე თავს იჩენს ზღვარის თანდათანობითი წაშლა გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის.

მანქანისადმი, მათ შორის ურთულესი მანქანისადმი, აქტიური დამოკიდებულება საბჭოთა მუშის ერთ-ერთ თვისებას შეადგენს. იგი ყოველმხრივ ცდილობს გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, ე. ი. საერთოდ წინ წასწიოს სოციალისტური წარმოება. ამ თვისებით საბჭოთა მუშა ხარისხობრივად განსხვავდება კაპიტალისტური საწარმოს მუშისაგან. სადაც ეს უკანასკნელი სრულიად უხალისოდ ეკიდება მანქანას და სხვა არაფერია, თუ არა მისი დანამატი. ამავე თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული საბჭოთა მუშის წარმოების კულტურაც. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

ვ ა შ ა კ ი ძ ე ბ ო რ ი ს ი ლ ი ა ს ძ ე. ამწყობი-ზეინკალი მთავარ კონვეიერზე. ქარხანაში მუშაობს 1949 წლიდან; საწარმოო კვალიფიკაცია მიიღო ლიხაჩოვის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში. აითვისა მანქანის აწყობის მოწინავე მეთოდები და მისი მონაწილეობით აიკრიფა პირველი ავტომანქანა კაზ—585-Б 1951 წლის 18 აგვისტოს. ამ დროიდან ვაშაკიძეს შეასრულა რვა წლის გამომუშავების ნორმები და 1954 წ. 1959 წლის ანგარიშში მუშაობდა. ამჟ. ბ. ვაშაკიძე არჩეულია მშრომელთა დეპუტატად.

ბ. ვაშაკიძის ხელითაა აწყობილი პირველი ხუთი ძრავა 1951 წლის მარტში და მანვე ჩამოიყვანა კონვეიერიდან პირველი თვითმცლელი ავტომანქანები 1952 წლის მაისში, რომელთა აწყობის ხერხების დაუფლებისათვის იგი 1952 წლის მარტში მივლინებული იყო მოსკოვთან ახლოს—მიტიშჩში.

ბ. ვაშაკიძე დაიბადა 1933 წ. სამტრედიის რაიონის სოფ. დიდ ჯიხაიშში კოლმეურნის ოჯახში; ჰყავს 4 და და სამი ძმა. უმცროსი ძმა ჩურაკი მისივე თხოვნით ბ. ვაშაკიძემ მოიყვანა ქარხანაში და ასწავლა თავისი ხელობა. ზურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც ითვლება მანქანის კარგ ამწყობად და თან სწავლას განაგრძობ[illegible] სკოლის მეცხრე კლასში.

ბ. ვანაკიძე ქუთაისის IV სახელოსნო სასწავლებელში შევიდა 1947 წელს, 1949 წელს ამთავრებს მას და აბარებს გამოცდას მეხუთე თანრიგზე, რის შემდეგაც მუშაობს საავტომობილო ქარხანაში.

ა გ ა პ ო ვ ი ა ნ ტ ო ლ ი კ ა ს ი ბ ი რ ი ს ძ ე —სატვირთო მექანიკური საამქროს ხარატი, ჩქაროსნელი. ავტოქარხანაში მუშაობს 1946 წლიდან. ამჟ. ა. აგაპოვმა შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით მიაღწია იმას, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში შეასრულა ათი წლის გამომუშავების ნორმები. 1954 წ. იგი უკვე მუშაობდა 1964 წლის სამუშაო გეგმით. მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატადაა არჩეული.

ა. აგაპოვი არის საუკეთესო რაციონალიზატორი, აქტიური მიმდევარი თანამედროვე ნოვატორებისა. იგი შრომის პროცესში იყენებს ყოველ მოწინავე მეთოდს და ამჟამად მუშაობს კოლესოვის ჩქაროსნული ჭრის მეთოდით. რომელიც დაიწყო 1951 წელს და დანერგა 50 ჩარხზე. 1952 წელს უკვე 150 ჩარხი მუშაობდა ამ რეჟიმით. 1953 წელს კი 200. 1954 წლისათვის განზრახული იყო ამ რიცხვის უფრო გაზრდა.

წარმოებაში თანდათან მრავლდება ჩარხებზე მომუშავე მუშა ქალების რიცხვი. წინა წლებში მოვიდა თამარა ბუაძე და მანვე ჩააბა წარმოებაში თორმეტი ქალი. მომდინარე 1954 წელს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოვიდა ოცდაათი ქალი, რომელნიც დაეუფლნენ ჩარხებზე მუშაობის რთულ პროფესიას. დები ძიძიგურები და ლიკლიკაძე სოფ. მაღლაკის კოლმეურნეობიდან დაეუფლნენ კბილანმჭრელის პროფესიას და მასის საამქროში მუშაობენ. კარგად მუშაობენ აგრეთვე კაკაბაძე, ბალავაძე, ნიფეტკარიძე (წულუკიძის რაიონიდან) და სხვ. (სურ. 3).

ქარხანას განზრახული აქვს უფრო მეტი რაოდენობით ჩაბას ქალები წარმოებაში და დააყენოს ისინი განსაკუთრებით ისეთი აღნაგობის ჩარხებზე, რომელზედაც ფაქიზი დეტალების გამოჩარხვა წარმოებს, რადგან ნაცადია, რომ ქალის შრომა ამ შემთხვევაში უფრო ეფექტიანია წარმოებისათვის.

მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი ჩვენი ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ეს კავშირი დღითი დღე მტკიცდება, რაც სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საწინდარს წარმოადგენს; და როდესაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შექმნის ისტორიას და ამ ქარხნის საწარმოო მოქმედებას ვეცნობით, ჩვენ თვალწინ ნათლად იშლება ასეთი კავშირის ერთ-ერთი კონკრეტული სურათი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ქარხნის საწარმოო კადრი ძირითადად სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე შეიქმნა და რომ ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. ამ პროცესის ერთი ნიშანდობლივი თავისებურებაა საშუალო განათლების მქონე სოფლის ახალგაზრდის მიერ მუშის პროფესიის არჩევის ნებაყოფლობითი ხასიათი; უფრო მეტიც, სურვილი და „მისწრაფება ამ პროფესიისადმი. როგორც ცნობილია, წინათ არა თუ საშუალო, არამედ დაბალი განათლების მქონე ახალგაზრდის ქარხანაში ფასვლაც კი სათაკილო საქმედ ითვლებოდა. თავის მხრივ მნიშვნელოვან გამოხატულებას პოვებს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების კავშირი კოლმეურნე გლეხობასთან. ქარხანა დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს. ასე, მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში ქარხანა დაეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა სოფ. როკითის კიროვის სახელობისა და სოფ. გეგუთის „წინსვლის“ მეურნეობებს.

ამათთვის ქარხანამ ჩაატარა სატვირთო და სპეციალური ავტომანქანების კაპიტალური რემონტი, წესრიგში მოიყვანა სარემონტო სახელოსნოები, მოა-

სურ. 3. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა—ძოვების საამქრო, სარკველების უბანი (ამ უბანში ძირითადად ქალები მუშაობენ)

წყო და ტექნიკურად აღჭურვა საიარაღო საწყობები, ააწყო ამწევი მექანიზმები, შეაკეთა დახგები და სპეცმოწყობილობანი. საავტომობილო ქარხანა ამათთვის ამზადებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, ეხმარება სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით. სისტემატური ხასიათი აქვს ტექნიკურ კონსულტაციებსა და სპეციალური ლექციების კითხვას. ქარხანა მხატვრული თვითშემოქმედების ძალებით ახორციელებს კულტურულ დახმარებასაც (სურ. 4).

* * *

ასიოდე წლის წინათ ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის ერთადერთ სახეს ჩოჩიალა ურემი წარმოადგენდა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით XIX საუკუნის შუა წლებში ქუთაისის ქუჩები მოუკირწყლავი და უსწორმასწორო იყო. წვიმების შედეგად ქუჩებში გაუვალი გუბეები იდგა. ავდარში წარჩინებული მანდილოსნები და მამაკაცები ქუჩებში ცხენებით დადიოდნენ. ერთადერთი ეკიპაჟი მხოლოდ ქალაქის გუბერნატორსა ჰყავდა. ქალაქშივე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძო მესაკუთრის სამი თუ ოთხი „დროججა"[3]. ეს იყო და ეს ქალაქის ტრანსპორტი: ქალაქისა, რომელიც 1847 წლიდან საგუბერნიო ქალაქად ითვლებოდა და რომლის მოსახლეობა 1852 წელს 3 500 სულს შეადგენდა. მოსახლეობის ამ რაოდენობიდან სასულიერო წრეს ეკუთვნოდა 49, თავადაზნაურთა და მოსამსახურეთა წრეს — 390, „რაზნონჩინებს" — 26, მოქალაქეთას—946; სახელმწიფო გლეხებს შეადგენდა 1335 კაცი, სეკულესიოს — 320, საბატონოს — 230, შინამოჯამაგრეებს (дворовых людей) — 120, სალდათყოფილებს — 11 და უცხოელებს — 13. მათ შორის ხელობისა და მოსაქმეობის მიხედვით ყოფილან: ვაჭარი — 197, მეპურე — 16, მეფუნთუშე — 2, საშაქარლამოს პატრონი — 2, თერძი — 16, ხარაზი — 22, მღებავი — 4, დალაქი — 7, დურგალი — 3, ოქრომჭედელი — 7, მესაათე — 2[4].

სურ. 4. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი ქარხნის კლუბში

ამავე პერიოდში ქუთაისში სულ 481 სახლი ყოფილა: მათ შორის 15 ქვითკირისა, დანარჩენი კი ხისა. ქუთაისის საცხოვრებელი სახლის ძირითადი ტიპი იმ ხანებში იყო იმერული ოდა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ხალხის ყოფაში დამკვიდრდა და რომელიც დღესაც კი სათანადო სახეცვლილებით დასავლეთ საქართველოს ბარის სოფლებში თითქმის საყოველთაოდაა გავრცელებული. ოდა სახლის საძირკველი (მიწაში ჩასმული სვეტები) უზრუნველყოფდა ჰიდროიზოლიაციას და სახლს ნესტისაგან იცავდა, რასაც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ჩანს, ასეთი სახლები გასული საუკუნის შუა წლებში ქუთაისში საცხოვრებელი სახლის ძირითად ტიპს წარმოადგენდა. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ქუთაისში დღემდეა შემონახული მაღალი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული ხის სახლები, რომელთა ჩუქურთმებიანი ივნები ქართული ხალხური ჩუქურთმის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

[3] П. Гилосаров, Рассказы о Кутаиси, „Кавказский календарь", 1853, გვ. 301.

[4] იქვე, გვ. 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური გადმოცემით ის ტერიტორია, რომელიც ამჟამად ქუთაისის საავტომობილო ქარხანას უკავია, ბატონყმობის დროს თავადი წულუკიძეებისა ყოფილა. მას მაღლაკის ველი ეწოდებოდა. ამ ველს სულ ძველად ოში რქმევია. იგი ბუჩქნარით ყოფილა დაფარული. აქ ისვენებდნენ ხოლმე ქუთაისიდან მაღლაკში ურმებით მიმავალი მგზავრები. ასეთი იყო დაახლოებით ამ ასიოდე წლის წინათ ქალაქი ქუთაისი და მისი ზოგიერთი გარეუბანი, კერძოდ მაღლაკის ველი.

სულ სხვაა დღევანდელი ქუთაისი — ისტორიულად სახელგანთქმული, განახლებული სოციალისტური ქალაქი. მკვეთრად გაიზარდა მისი მოსახლეობა. ქუთაისი ამჟამად საქართველოს მეორე ინდუსტრიული და სამეფურნეო კულტურული ცენტრია. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზარდა ქუთაისის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედებში. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ 1950 წელს ქუთაისის მრეწველობის საერთო პროდუქციის დონე 1940 წლთან შედარებით 77,1%-ით მეტი იყო. მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია მრეწველობის ცალკეულ დარგებში და გაზარდა მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა. ეს დაკავშირებული იყო ომისშემდგომ წლებში მანქანათმშენებლობის უდიდესი ობიექტების ამოშავებასთან.

ქუთაისში ამჟამად რიონჰესის ბაზაზე მუშაობს საკავშირო მნიშვნელობის სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა „გორნიაკი", რომელიც სამთო-საშახტო მოწყობილობებს ამზადებს, და საქართველოს მშრომელთა სიამაყე ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც პირველი აეტომობილი გამოუშვა 1951 წლის 18 აგვისტოს.

ქუთაისში მუშაობს აგრეთვე აბრეშუმის კომბინატი. მაუდის ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, ღვინის ქარხანა, ხორცის კომბინატი, საშენ მასალათა და ლიტოპონის ქარხნები და სხვა მნიშვნელოვანი საწარმოები, რომლებიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებენ.

ქუთაისში არის: ორი უმაღლესი სასწავლებელი — ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბიბლიოთეკები, ა. წულუკიძის მუზეუმი, ტექნიკუმები, მუსიკალური სასწავლებლები, რვაწლიანი და საშუალო სკოლები, ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი, მუშათა კლუბები, კინოები და მრავალი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

უჩვეულოდ გაიზარდა ქალაქის კეთილმოწყობა. ქუთაისს ამჟამად ამშვენებს მრავალსართულიანი სახლები, ფართო და ასფალტირებული მაგისტრალური ქუჩები და მოედნები; მთელი ქალაქი მწვანე ნარგავებშია ჩასმული.

რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში არა მარტო ქალაქი ქუთაისი, არამედ მისი გარეუბნებიც. კერძოდ მაღლაკის ველიც.

ოდესღაც უდაბური და ბუჩქნარი ადგილები, ახლა ავტოქარხნის ვეებერთელა კორპუსებითაა გაშენებული. ქარხნის ცენტრალურ ტუჩაზე ჩამწკრივებულია მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლები კეთილმოწყობილი ბინებით. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი. შენდება და დღითი დღე იზრდება ავტოქარხნის ტერიტორიაზე ახალი დასახლებული პუნქტი.

ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საბინაო პირობებით უზრუნველყოფის მიზნით ქარხნის ტერიტორიაზე ყოველწლიურად შენდება საცხოვრებელი ნაგებობანი ტიპობრივი პროექტების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედვით (სურ. 5). 1953 წელს ავტოქარხნის კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 6 მილიონი მანეთის ღირებულების ახალი საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა 4 646 მ² ფართობით; მათ შორის სამი ოცდაოთხბინიანი სამსართულიანი სახლის მშენებლობა 2 530 მ² ფართობით. მიმდინარეობს აგრეთვე არსებული საბინაო ფონდის სისტემატური შეკეთება, წყალგაყვანილობის ადგილობრივი სამუშაოები, კანალიზაციის მოწყობა, გამწვანება, განათება და სხვ.

ამჟამად ავტოქარხნის ტერიტორიაზე მუშა-მოსამსახურეთა რამდენიმე ტიპის საცხოვრებელი სახლია:



სურ. 5. ქუთაისის საავტომობილო კარხნის მუშების საცხოვრებელი სახლი

1. რვაბინიანი ორ- და სამსართულიანი სახლები ოჯახებისათვის. თითოეულ ასეთ სახლში 8 ოროთახიანი ბინაა, თითოეულ ბინას აქვს დამოუკიდებელი სამზარეულო, სათავსო და ორი აივანი (ერთი მხრიდან საკუთარი, ხოლო მეორე მხრიდან საზიარო). ბინები უზრუნველყოფილია წყალგაყვანილობით, ელექტრონით, კანალიზაციითა და ცენტრალური გათბობით. ასეთ ბინებში ოჯახიანი მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ.

2. ორ- და სამსართულიანი საერთო საცხოვრებლები, 34- და 48-ოთახიანი. ეს საცხოვრებლები უზრუნველყოფილია ყველა კომუნალური პირობით. იქ მოწყობილია წითელი კუთხე, მადუღარი „ტიტანი", ბუფეტი, შხეფი, და სხვ. ასეთ სახლებში ცხოვრობენ მარტოხელა მუშა-მოსამსახურეები, ცალკეა ქალთა საერთო საცხოვრებლები. საერთო საცხოვრებელს ჰყავს მომსახურე პერსონალი (კომენდანტი, აღმზრდელი, დამლაგებელი, დიასახლისი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის ტერიტორიაზე ჯერჯერობით მცირე რაოდენობით კიდევაა ნახული სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ხის სახლები, რომლებიც დროებით იყო აგებული ქარხნის მშენებლობის პირველ წლებში.

მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ქარხნის ადმინისტრაცია გეგმიანად აწარმოებს ამ ბარაკებიდან მცხოვრეთა გადაყვანას ახლად აგებულ კეთილმოწყობილ ბინებში.

ავტოქარხანას თავისი ტერიტორიიდან გამოყოფილი აქვს საბოსტნე მიწის ნაკვეთები, რომლებიც ცალკეული საამქროების მიხედვით ნაწილდება და რომლებსაც კოლექტიურად ან ინდივიდუალურად ამუშავებენ.

ავტოქარხანაში მოიპოვება: აგრეთვე ფართო ქსელი კულტურულ და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისა — საზაფხულო და საზამთრო კლუბები, სასადილოები (როგორც თვით ქარხანაში, ისე მის ტერიტორიაზე), სავაჭრო მაღაზიები, სკოლები, საბავშვო ბაღი, პოლიკლინიკა, სასპორტო დარბაზი და სხვ.

ქარხნის საბინაო-კომუნალურ განყოფილებას დაგეგმილი აქვს ახალი საცხოვრებელი სახლების, კულტურულ და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ფართო მშენებლობა, რომელსაც სათანადო საშენებლო ტრესტი ახორციელებს. თანდათანობით ქრება ხის ძველი ნაგებობანი და გენერალური გეგმის მიხედვით წარმოებს საქალაქო კვარტალების მშენებლობა კეთილმოწყობილი ქუჩებით, სკვერებითა და ბაღებით. ავტოქარხნის ტერიტორიაზე იქმნება ახალი არქიტექტურული ანსამბლები, რომლებიც ქარხნის ტერიტორიას სოციალისტური ტიპის სამოსახლოდ აქცევს ახალი ქალაქისათვის დამახასიათებელი კეთილმოწყობის ყველა მონაცემით.

ავტოქარხნის მშენებლობამ არა მარტო ყოფილი „მაღლაკის ველი“ შეცვალა, მან თავისი კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა თვით ქალაქ ქუთაისზეც. ამ ქარხნის ამუშავებით არა მარტო გაიზარდა მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა ქალაქის მრეწველობაში, არამედ ამან მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია თვით ქუთაისის კომუნალურ კეთილმოწყობაშიც. ასე, მაგალითად, ძირფესვიანად შეეცვალა სახე ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანს ყოფილ „ზასტავას“. სიფუძვლიანი რეკონსტრუქციის შედეგად ძველი „ზასტავას“ ტერიტორიაზე გაყვანილია ასფალტით მოფენილი ახალი მაგისტრალური ქუჩები, რომლებიც მწვანე ნარგავებითაა შემკული. საავტომობილო ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით ფარცხანაყანების წყაროს წყლების ბაზაზე გაყვანილ იქნა ახალი წყალსადენი, რომელიც საუკეთესო წყლით ამარაგებს როგორც ქალაქის, ისე ქარხნის მშრომელებს.

ავტოქარხანასა და ქალაქს შორის მოწყობილია ავტომობილისა და ტროლეიბუსის მოძრაობა ფართო მაგისტრალზე.

ავტოქარხანას თავისი წვლილი შეაქვს ქუთაისის კეთილმოწყობაში. მისი კოლექტივი ქალაქისათვის ამზადებს ლამპიონების დეტალებს და სხვა სამუშაოებს.

თავის მხრივ ქუთაისის ორგანიზაციები მომსახურებას უწევენ ავტოქარხანას 150-საწოლიანი საავადმყოფოთი, ორი ამბულატორიით, ორი საექთნო პუნქტით, ქალთა კონსულტაციით, 60-ადგილიანი საბავშვო ბაღით, 90-ადგილიანი საბავშვო ბაღით, რუსულ-ქართული სრული საშუალო სკოლით, მუშა ახალგაზრდობის სკოლით, საქალაქო ბიბლიოთეკითა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს მომსახურებას უწევენ სავაჭრო ბაზრები, საკოლმეურნეო ბაზარი და საკოლმეურნეო სავაჭროები.

ქარხნის ტერიტორიაზე თანდათანობით იქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქარხნის ტერიტორიაზე ახალი მუშური ოჯახების შექმნას, ქარხნის ძირითადი საწარმოო კადრის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას და ამ საწარმოო კადრის შემადგენლობაში მუშა ქალების ხვედრითი წონის თანდათანობით ზრდას.

С. Я. БЕДУКАДЗЕ, М. К. ГЕГЕШИДЗЕ, Г. А. ЧАЧАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ СТОРОНЫ БЫТА И КУЛЬТУРЫ РАБОЧИХ КУТАИССКОГО АВТОЗАВОДА ИМ. ОРДЖОНИКИДЗЕ

Резюме

Общеизвестно, что рабочий класс формируется за счет разных классов и слоев населения. Он впитывает в себя и перерабатывает культурные и бытовые особенности разных социальных слоев, разных наций отбирая из этих особенностей все лучшее и передовое. Будучи интернационалистическим по своей идеологии, рабочий класс вместе с тем является хранителем лучших национальных традиций своего народа. Таким образом, культура и быт рабочего класса представляют собой синтез передового и всего лучшего в культуре, быту традициях народа.

Следовательно, первым шагом на пути этнографического изучения быта и культуры рабочих какого-либо предприятия должно явиться изучение истории формирования его рабочих кадров, выяснение их территориальных и социальных корней.

Братское содружество грузинского народа с народами СССР, в первую очередь, с великим русским народом и его бескорыстная помощь нашему народу является залогом быстрого развития промышленности Грузии. Одним из конкретных проявлений этой дружбы и помощи надо считать создание и развитие Кутаисского автомобильного завода наряду с новыми предприятиями социалистической Грузии.

С первых же дней установления советской власти в Грузии трудящиеся нашей республики почувствовали огромную помощь великого русского народа в деле экономического и культурного развития страны. Русский пролетариат, при непосредственной помощи которого трудящиеся Грузии добились свободы, стал помогать молодой советской республике и эта помощь нашла конкретные проявления. Еще в 1922 г. из России в Кутаиси была привезена суконная фабрика—дар грузинским трудящимся от пролетариата Москвы. Вместе с фабрикой приехали сюда опытные рабочие, под руководством которых за короткий срок было подготовлено много молодых рабочих-специалистов.

Ценная традиция подготовки рабочих кадров при непосредственной помощи русских рабочих, ведущая свое начало со дня установления Советской власти в Грузии, нашла новое свое выражение на Кутаисском автозаводе.

Можно заключить, что такой путь подготовки рабочих представляет собой одну из основных особенностей, характеризующих рост и развитие национального кадра рабочих новых предприятий Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Автомобильное производство, являющееся совершенно новой отраслью промышленности Грузии, не имело у нас ни производственной базы, ни традиций. Эта отрасль промышленности была создана в Грузии в послевоенные годы. За короткий срок создан новый, могучий индустриальный очаг

Кутаисский автозавод, несмотря на небольшой срок своего существования, представляет собой самостоятельное предприятие, выпускающее автомашины собственной марки.

Главное и основное, что способствовало быстрому возмужанию нового предприятия, — это братское содружество и взаимопомощь народов СССР, в первую очередь, дружба с великим русским народом и его помощь всем народам.

Свидетельством этого послужил бы только и тот факт, что с периода формирования до сегодняшнего дня перед Кутаисским автозаводом не ставился ни один трудный технический вопрос, который не разрешился бы при помощи крупных автомобильных заводов России. Но, конечно, не только эта форма взаимоотношений обращает на себя внимание.

Одной из главных особенностей этого предприятия является то, что преобладающую часть производственных рабочих составляют не т. н. «потомственные рабочие», как на старых предприятиях, а впервые пришедшие на завод молодые рабочие.

Коллектив автозавода был укомплектован в основном сельской молодежью окрестных районов Кутаиси. Создание за такой короткий срок производственного кадра рабочих автозавода обусловили, с одной стороны, приезд в первый период на завод квалифицированных рабочих из крупных центров автомобильного производства России, параллельно массовые командировки молодых рабочих завода в те же центры, а с другой — специальное обучение молодежи в местных ремесленных училищах.

Конкретные данные проливают свет на такой процесс: за весь период существования автозавода, т. е. с 1946 г. по сегодняшний день, выращено несколько тысяч молодых рабочих и инженерно-технических работников на родственных автозаводах Союза и непосредственно на данном заводе.

Так, например, в 1946 г. были подготовлены 181 человек; среди них на Горьковском автозаводе — 118 чел., на Кутаисском автозаводе — 63.

В 1947 г. подготовлены 704 человека; Среди них на Московском автозаводе имени Лихачева — 126 человек, на Горьковском автозаводе — 172, на Павловском авто-инструментальном заводе им. Жданова — 87, на Кутаисском автозаводе — 319 человек.

Начиная с 1948 года подготовка молодых рабочих велась в основном на месте в цехах, путем прикрепления их к опытным мастерам и высококвалифицированным рабочим.

Следовательно, после первой действенной помощи на Кутаисском автозаводе была создана база для местной подготовки новых кадров.

В настоящее время внутризаводским обучением кадров руководят опытные инженеры с большим производственным и преподавательским стажем.

Из числа молодых специалистов инженеров и техников многие выдвинуты на должности начальников цехов и их заместителей, начальников техчастей, бюро и секторов, начальников отделений и участков цеха.

Поскольку автомобильное производство является высокотехнической отраслью машиностроения, где рабочие имеют дело со сложными черте-

ეროვნული ბიბლიოთეკა

жами и измерениями в микронных масштабах, работа на таком предприятии требует высокой технической подготовки рабочего. В создании контингента высококвалифицированных рабочих автозавода большую роль играет привлечение на производство молодежи со средним образованием.

Следует отметить как заслуживающий внимания факт, что комплектование рабочего кадра завода молодежью со средним образованием носит добровольный характер; более того, все больше растет стремление молодых людей со средним образованием к освоению сложной профессии рабочего автомобильного завода. Как известно, еще недавно, воздерживались от поступления вообще на завод молодые люди со средним образованием.

Кутаисский автозавод быстро растущее предприятие, поскольку оно широко использует и внедряет новые производственные достижения родственных заводов Союза, их практический опыт, новые рациональные формы труда. Но, конечно, это не одностороннее явление; Кутаисский автозавод сам вносит значительный вклад в дело развития социалистической индустрии. Большинство изобретений и предложений молодых рационализаторов завода внедрено именно на тех автомобильных заводах, при помощи которых этот завод вступил в строй впервые.

Мысль передовых рабочих и инженерно-технического персонала Кутаисского автозавода направлена на повышение производительности труда, поскольку эта сторона, как учил В. И. Ленин, «в конечном счете самое важное и самое главное для победы нового общественного строя».

Активное отношение к машинам, в том числе к сложнейшим машинам, является одним из характерных качеств советского рабочего. Он всячески старается увеличить производительность труда, т. е. продвинуть вперед социалистическое производство. Этим свойством советский рабочий качественно отличается от рабочего капиталистического предприятия, где этот последний относится к машине безразлично и ни что другое, как «придаток» к машине.

Сто лет тому назад Кутаиси представлял маленький городок с числом населения не превышающее 3500 человек. В городе насчитывался 481 дом, в том числе 15 каменных, остальные деревянные. Основным типом жилого дома была «ода сахли». По народным преданиям территория, занимаемая ныне автозаводом, в прошлом принадлежала князьям Цулукидзе и называлась «Маглакис вели». Она была незаселенная, заросшая кустарниками.

В корне изменилось лицо сегодняшнего Кутаиси, обновленного социалистического города. Кутаиси ныне является вторым крупным индустриальным и хозяйственно-культурным центром Грузии. Он растет и благоустраивается. За годы Советской власти радикально изменялись и его окрестности, в том числе и «Маглакис вели». Эта территория застроена крупнейшими корпусами автозавода и многочисленными жилищно-бытовыми постройками.

Рост Кутаисского автозавода своим чередом имел благотворное влияние на дальнейшее благоустройство самого города Кутаиси.

На территории автозавода постепенно создаются все необходимые условия для максимального удовлетворения постоянно растущих материально-культурных потребностей рабочих автозавода, что своим чередом способствует дальнейшему росту и укреплению основного производственного кадра и созданию новых рабочих семей, так же как и увеличению удельного веса женщин на производстве.

ალად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959.
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959.
ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ქორიძე

თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის

1. ნაძალადევსა და თბილისის სხვა ადგილებში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ზოგიერთი საბრძოლო იარაღი

თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალათა შორის ცოტაა ისეთი, რომელიც გეგმაშეწონილი არქეოლოგიური ძიებით იყოს მოპოვებული. მასალათა უმრავლესობა შემთხვევით არის აღმოჩენილი საშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს. ერთ ჩვენს ნაშრომში („თბილისის არქეოლოგიური ძეგლები", ნაწილი 1) გამოვაქვეყნეთ საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული თბილისის არქეოლოგიური მასალები ენეოლითის პერიოდიდან დაწყებული გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ჩათვლით. მაგრამ იმის გამო, რომ არქეოლოგიის განყოფილებაში არის შემთხვევით აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს პერიოდის რამდენიმე მეტად საინტერესო ნივთი, რომლებიც ზემოხსენებულ ნაშრომში ვერ გამოვაქვეყნეთ, გადავწყვიტეთ მათი ცალკე გამოქვეყნება.

ასეთი ოთხი ნივთია: ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები — სატევრები და შუბისპირები, აღმოჩენილი ნაძალადევსა, ბლეხანოვის გაზრისა და ნავთლუღში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების საინვენტარო წიგნში გატარებულია ბრინჯაოს ორი მეტად საინტერესო საბრძოლო იარაღი: ერთი (ინვ. 12—32:40) გრძელი სატევარია, ხოლო მეორე (ინვ. 13—32:27)—მასარაგახსნილი გრძელი შუბისპირი (ორივე ნივთის აღწერილობის გასწვრივ საინვენტარო წიგნში სათანადო გრაფაში ერთისა და იმავე შინაარსის ჩანაწერია: ნაპოვნია ნაძალადევში ჩერქეზიშვილისა და რუსთაველის ქუჩის კუთხეში 1926 წელს). ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივის (სადაც თავდაპირველად დაცული იყო ეს ნივთები) გადათვალიერების დროს ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს ბრინჯაოს იარაღები შესაძლოა ერთ სამარხში ყოფილიყო აღმოჩენილი.

ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საინვენტარო წიგნის მიხედვით სატევრის ნომერია 4333, ხოლო შუბის პირისა 4334. ამ საინვენტარო წიგნის სათანადო გრაფაშიც ეკითხულობთ, რომ აღნიშნული ნივთები აღმოჩნდა 1926 წელს, საფლავში, ნაძალადევში, რუსთაველისა და ჩერქეზიშვილის ქუჩის კუთხეში. ამგვარად დასტურდება, რომ ეს ნივთები ერთი სამარხისაა.

ვადგენთ ნივთების აღწერილობას:

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 12—32:40, ძვ. № 4333). მთლიანადსხმული. თავი (ტარის „ქუდი") ნახევარსფეროსებრია და სამკუთხოვნად არის დაფანჯრული. ეკუდთი ფანჯრები ორწყებადაა განლაგებული წვერებშექცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით, ხოლო ზემოდან 4 მოზრდილი სამკუთხოვანი ფანჯარაა. სახელური (ტარი) განიკვეთში მრგვალია, ბოლოები ოდნავ გაფართოებული აქვს შუა ნაწილთან შედარებით. ვიდა ოვალური მოყვანილობისაა, დაბალია და მკვეთრწიბოიანი. პირი ბრტყელია, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისა, წვერო მომრგვალებულია. პირს წვეროდან ორივე მხარეზე ოდნავ შესამჩნევი ქედი მიეუყება, ტარისაკენ იგი თანდათან დაბლდება და ვიდასთან აღარ შეიმჩნევა. პირი შემკულია ჩვეულებრივი ხაზოვანი ორნამენტით, ხაზები საკმაო ღრმადაა ამოკვეთილი; ასეთი სამი წყვილია. თითოეული წყვილის ზედა ბოლო შეერთებულია მომრგვალებული ხაზებით. ხაზები ფხების პარალელურად არის გაკეთებული. ამიტომ ქედის უახლოესი ხაზები უფრო მალე წყდება და ამდენად უმოკლესია, ხოლო განაპირა ხაზი უგრძესია.



სურ. 1

იარაღის მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგი ასეთია: ლითონის მოწამვლის შემდეგ კრისტალის ფორმა მკვეთრად არის გამოყოფილი. სატესტო ჩამოსხმულია ცვილის ყალიბის გამოყენებით, შემდეგ კი ნაპირები ციცად არის გამოკვერილი.

მისი ქიმიური შედგენილობა ასეთია:

სპილენძი (Cu) — 88,0%	სულ 99,94%
კალა (Sn) — 11,94%	

სხვა შენარევი მასში არა ჩანს[1] (სურ. 1₂).

ზომები: სიგრძე — 44,8 სმ, ტარის სიგრძე — 11.2 სმ, სახელურის სიგრძე — 9.0 სმ, უდიდესი სიგანე — 7.6 სმ, ქუდის დიამეტრი — 5.0 სმ.



სურ. 2

შუბისპირიბრინჯაოსი (ინვ. 13—32:27. ძვ. №4334). გრძელმასრიანი, რომელსაც შეუკერელი მილის მოყვანილობა აქვს, იმგვარად, რომ გახსნილობა ბოლოსაკენ უფრო ფართოა, პირისაკენ თანდათან ვიწროდება და პირის დასა-

[1] ბრინჯაოს ეს ნიმუში მეტალოგრაფიულად შეისწავლა და ქიმიური ანალიზიც ჩაიკეთა საქ. სახ. მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო კაბინეტის თანამშრომელმა რ. ბაბტაძემ, ც. აბესაძემ და ნ. დვალმა, პროფ. ფ. თ ა ვ ა ძ ი ს ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყისში მასრა შეკრულია. ფრთებს შორის მოქცეული მილი, რომელიც სატარე ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს, მომრგვალებული ქედის სახით გაუყვება პირს წვერამდე. მასრას ბოლოზე ორი სამსჭვალი აქვს. ქედის ამაღლებულ ნაწილზე ორი ღარის გაკლების შედეგად სამი რელიეფური ზოლია გამოყოფილი, რომლებიც, უახლოვდება რა წვერს, ქრება. პირი ფოთლისებურია. მხრები მომრგვალებული (რკალისებურად); მისი მომრგვალება თითქმის შუამდე გრძელდება. შუას ქვევით კი სამკუთხაა და მკვეთრად ვიწროვდება. წვერი წვეტიანია.

ნივთის მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგები ასეთია: შუბის პირი ძირითადად ჩამოსხმულია. მასრა ცხელი ჭედვით სამარკვზეა გამოყვანილი, რის შემდეგ იგი დამუშავებულია ლითონის მჭრელი ინსტრუმენტებით; ამის საშუალებას ადვილად იძლეოდა თვით ლითონის ქიმიური შედგენილობა (სარ-ბილე).

ქიმიური შედგენილობა:

სპილენძი (Cu)—97,41%	
კალა (Sn)—1,28%	
ტყვია (pb)—კვალი	სულ 99,71%
ანთიმონი (Sb)—1,02	
თუთია—(Zn)—კვალი	

ზომები: სიგრძე — 31.8 სმ. პირის სიგრძე — 14.5 სმ. პირის უდიდესი სიგანე —4.6 სმ. მასრის უდიდესი დიამეტრი —1.8 სმ (სურ. 1_1 ან სურ. 4).

* * *

1954 წლის გაზაფხულზე სახლის მშენებლობის დროს ნავთლუღში იმ ადგილას, სადაც 1950 წელს გათხრილი იყო რეა ორმოსამარხი[2], მოქ. ი. ზოლნიკოვმა შემთხვევით აღმოაჩინა ბრინჯაოს სატევარი და თიხის ჭურჭელი. მუზეუმში მან მხოლოდ სატევარი მოიტანა, თიხის ჭურჭელი კი, იმის გამო, რომ დამტვრეული იყო, გადაყარა.



სურ. 3

სატევარი ბრინჯაოსი (ინვ. 5—54:1). მთლიანადსხმული. სახელური განივკეთში მრგვალია, შუა ნაწილზე რამდენიმე წყებად ძაფისებური რელიეფური ხვიაა შემოვლებული. სიგრძეზე კი მოზრდილი წერტილების ოთხი მწკრივია. ტარის თავი („ქედი") მომრგვალებულია (ნახევარსფეროსებრი). მისი ქვემო ნაწილი თავშეკეცული სამკუთხედებითაა დაფანჯრული, ზემო ნაწილზე სეგმენტური ორი ფანჯარაა და ერთი ფანჯრის კუთხეში მანჭვალია შერჩენილი. ვადა ოვალურია, პირი ტოლფერდა სამკუთხედს წარმოადგენს, მომრგვალებული წვერით. იგი ბრტყელია და ორივე მხარეზე წვერისაკენ ოდნავ შესამჩ-

[2] დ. ქ ო რ ი ძ ე. გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), ავად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-B. თბილისი, 1954, გვ. 5—89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკი ქედი გააჩნია, რომელიც დაახლოებით შუა ნაწილამდე აღწევს და ქრება. პირზე გაელებულია სამი წყვილი ჩაღრმავებული ხაზი; ისინი ფხების პარალელურია. ამიტომ ქედის უახლოესი ხაზები ჩქარა წყდება (სურ. 3).

სატევრის ქიმიური შედგენილობა ასეთია:

სპილენძი (Cu) — 87,8%	
კალა (Sn) — 10,7%	
დარიშხანი (As) — 00,2%	სულ 98,7%
ოკინა (Fe) — კვალი	

ზომები: სიგრძე — 39,0 სმ. ტარის სიგრძე — 10,3 სმ, სახელურის სიგრძე — 8,0 სმ. უდიდესი სიგრძე — 7,3 სმ.

თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცულ გვიანი ბრინჯაოს პერიოდის იარაღთაგან ჩვენ უნდა შევჩერდეთ აგრეთვე შუბისპირზე, რომელიც აღმოჩენილი ყოფილა პლეხანოვის გამზირზე. იგი მუზეუმისათვის შემოუწირავს მოქ. ა. სლოვიცკის. ა. სლოვიცკის გადმოცემით შუბისპირი 1880 წელს ყოფილა ნაპოვნი, მიწის სამუშაოების დროს პლეხანოვის გამზირის № 46-ში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეზე.

სურ. 4

შუბისპირა ბრინჯაოსი (ინვ. 3—36). ფოთლისებრი მოყვანილობით, მასრაგახსნილია. მასრა პირის მახლობლად შეიკვრება და მილის სახეს იღებს. ფრთებს შორის მოქცეული მილი, რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს და პირს მთელ სიგრძეზე მომრგვალებული ქედის სახით გაუყვება, თანდათან დაბლდება და წვერამდე აღწევს. პირი ქედის გასწვრივ ოდნავ ჩაღრმავებულია, ხოლო ფეხებს აშკარად ემჩნევა ლესვის კვალი. მხრები დაქანებულია, წვერი კი მომრგვალებული. მასრა დაზიანებულია.

იარაღის მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგები ასეთია: შუბისპირი ნაჭედია სპეციალურ სამარჯვზე ფურცლოვანი სპილენძისაგან ცხელი ჭედვით (მისი ქიმიური შედგენილობა იძლეოდა ჭედვის საშუალებას), არალითონური ჩანართები აქაც არის. შუბის ბრტყელი პირი გამოკვერილია, რაც კარგად ჩანს შუბის მოწამლულ ზედაპირზე (სურ. 2).

მისი ქიმიური შედგენილობა ასეთია:

სპილენძი (Cu)) — 94,25	
კალა (Sn) — 0,32	
დარიშხანი (As) — 3,82	სულ 99,06%
ანთიმონი (Sb) — 0,97	

ზომები: სიგრძე — 23,8 სმ, პირის სიგრძე — 14,0 სმ, პირის უდიდესი სიგანე — 4,5 სმ.

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ნავთლუღის არქეოლოგიური მასალების შესწავლის დროს ჩვენ მოგვიხდა მუშაობა ე. წ. კახური ტიპის სატევრებზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დასკვნამდე მივედით, რომ მთლიანადსხმული (ე. წ. კახური ტიპის) სატევრები დიდხანს არ ყოფილა ხმარებაში. იგი მალე გამოსულა ხმარებიდან და ადგილი დაუთმია დიდი ზომის სატევრებისათვის, რომლებიც მოყვანილობით ისეთებია, როგორებიც მთლიანადსხმული სატევრები, იმ განსხვავებით, რომ პირველები უფრო დიდებია, ამიტომ სხვა სახელით—მახვილადაა წოდებული[3]. გ. ლომთათიძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში, ეთანხმება რა ბონესა და სხვათა აზრს, თელის, რომ 40 სმ-ზე დიდი სიგრძის იარაღი მახვილია, ხოლო მასზე ნაკლები სიგრძისა — სატევარი[4]. ამრიგად, ჩვენ მიერ წოდებულ მახვილებსა და სატევრებს შორის ზღვარი ნებისმიერია. 40 სმ-ზე მეტი სიგრძის იარაღს, მაჯთალია, ნებისმიერად მახვილი უწოდეს, მაგრამ ხშირად ასეთი იარაღი სატევრის ფუნქციას ასრულებდა და სატევარს წარმოადგენს.

ნაძალადევში აღმოჩენილი იარაღი სიგრძით 44,8 სმ-ია, მაგრამ იგი თავისი ჩამოსხმა-გამოჭედილობით და ფუნქციით არაფრით არ განსხვავდება სამთავროსა და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ზოგიერთი კახური ტიპის მთლიანადსხმული სატევრისაგან (პირის ტოლფერდა მოყვანილობა, პირზე სამწყუებად ღრმა ღარების გაკეთება, ტარის მოყვანილობა, ტარის ქუდის დაფანჯვრა სამკუთხედებად. წვერისათვის ელიფსოიდური ფორმის მიცემა და სხვ.).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს „მახვილი" ჩვეულებრივი აღმოსავლურ-ქართული ტიპის მთლიანადსხმული სატევრის ზუსტი განმეორებაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 40 სმ ოდნავ გადაცილებულ სიგრძეს; მთლიანადსხმული კახური ტიპის სატევრების თანადროული ან ოდნავ მოგვიანია.

გ. ლომთათიძე თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ სამთავროს სამაროვანზე ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევრების შემცველი ორმოსამარხები წინ უნდა უსწრებდეს მთლიანადსხმული სატევრებისა და მახვილების შემცველ სამარხებს[5]; ამავე მოსაზრებას იზიარებს რ. აბრამიშვილი[6].

ჩვენ ვიზიარებთ გ. ლომთათიძის და სხვათა მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გვგონია, რომ ეს ორი თითქმის ერთგვარი ტიპის სატევრები დროის მცირე მონაკვეთში იყო ხმარებაში, თუმცა შედგენილტარიანი სატევრები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დღემდე აღმოჩენილი კომპლექსების მიხედვით (სამთავროს № 44, ნავთლუღის № 1 სამარხი და სხვ.) ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს მთლიანადსხმულ სატევრებს.

აშკარად შეიმჩნევა, რომ აღმოსავლური ქართული ტიპის სატევრები დროთა განმავლობაში დიდდება სიგრძითა და წონით. იგი თანდათან სრულყოფილი ხდება როგორც საბრძოლო იარაღი, რაც უდავოდ დაკავშირებულია მეტალურგიის განვითარებასთან, მის თანდათან სრულყოფასთან.

---

[3] დ. კ ო რ ი ძ ე. გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-B, თბილისი, 1954, გვ. 83.

[4] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1944, გვ. 71.

[5] ი ბ ე ვ ე

[6] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ოკინის წარმოების საკითხისათვის ძველ საქართველოში (სამთავროს სანაოროვანზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით), ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IV სანეცნიერო კონფერენციის მოხსენების თეზისები, თბილისი, 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძალადევში აღმოჩენილი ზემოთ აღწერილი სატეგრის პარალელები მრავლად მოიპოვება ქართულ არქეოლოგიურ მასალებში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი რამდენიმე მთლიანადსხმული სატეგარი; მათ შორის: 1939 წელს № 97 სამარხში აღმოჩენილი მთლიანად სხმული ბრინჯაოს სატეგარი, 34.0 სმ სიგრძისა, ამავე სამარხში აღმოჩენილი მთლიანმასრიანი შუბისპირი, თხელფირფიტოვანი ისრის წვერები და სხვ.

ახლო პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ სამთავროს ჩრდილოეთ უბანზე 1946 წელს № 240 სამარხში აღმოჩენილი გრძელი სატეგარი (სიგრძე — 44,5 სმ). სამარხის ინვენტარი საინტერესო ნივთებისაგან შედგება: ბრინჯაოს მოკლე სატეხი, მოზრდილი აღმოსავლური ქართული ცული, ბრტყელი სამკუთხა მოყვანილობის ბრინჯაოს ისრის წვერები, ორმის რქის ძირი (დამუშავებული), ფახნაგოვანი ბრინჯაოს სადგისები (ორი ცალი), თეეზის ფორმის საკიდი (ბრინჯაოსი) და სხვ. რკინის რაიმე ნასახი სამარხში არა ჩანს.

ბრინჯაოს მთლიანადსხმული აღმოსავლური ქართული ტიპის სატეგრები სამთავროს რამდენიმე ორმოსამარხში აღმოჩენილი (№ 39, 87, 88, 275, 279), მაგრამ არც ერთ მათგანთან რკინის რაიმე იარაღი არ არის ნამოგნი. ჩვენ მრავალი ანალოგიის მოტანა შეგვეძლო, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

ნაძალადევის გრძელი სატეგარი რომ ჩვეულებრივი აღმოსავლური ქართული ტიპის სატეგრის თანადროულია, გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ნაყოფია, ამაზე აშკარად მეტყველებს მასრაგახსნილი, მეტად ლამაზი და კოხტად ნაკეთები გრძელმასრიანი შუბისპირი, რომელიც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ზემოთ აღწერილ სატეგართან ერთად უნდა ყოფილიყო სამარხში აღმოჩენილი. ასეთი ტიპის შუბისპირები იშვიათად გვხვდება არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში. ასეთი შუბისპირების უმრავლესობა დასავლეთ საქართველოში აოის აღმოჩენილი, თუმცა გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიაც. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს. ფაბლოვინთან ასეთი ფორმის მასრაგახსნილი შუბისპირი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე 1946 წელს № 232 ორმოსამარხში (სურ. 5). სამარხის ინვენტარი არქაული იერის მატარებელია. მასში აღმოჩენილია ბრინჯაოს ფოთლოვანი ტარშეურჩენელი სატეგარი, მაღალ- და ვიწროქედიანი ორი სამანჭველით (საკ. ინვ. 5005); მრგვალთავიანი საკინძი და ქოთანი თიხისა, რომლის ტანის ზემო ნაწილი ზუსტად ისევეა გოფრირებული, როგორც ნავთლუღის № 7 სამარხში აღმოჩენილი თიხის ქოთნის (ინვ. 3—50:40) ტანის ზემო ნაწილი. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი (სურ. 5).

ნაძალადევში აღმოჩენილი მასრაგახსნილი შუბისპირის ახლო პარალელად შეიძლება ჩაითვალოს საჩხერის რაიონის სოფ. დურეევში აღმოჩენილი ორი შუბისპირი (საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია. ინვ. 27—44:1.2). კოლექცია 27—44:1—28-ში შემავალი არქეოლოგიური ნივთები აღმოჩენილი ყოფილა „ნაეენახევი“ აღგილის დამუშავების დროს, მაგრამ ზუსტი ცნობები აღმოჩენის ვითარებაზე არა გვაქვს. კოლექცია ბრავალფერფოვანი მასალისაგან შედგება. მასში არის კოლხური ტიპის ცული, ყუანილიანი ცული, არის გრძელი განშტოებულთავიანი საკინძები, ტარშეურჩენელი. ყუნწიანი სხვადასხვა ზომის სატეგრები და სხვა მასალები. ეჭვს არ იწვევს მასალის ქრონოლოგიური სხვადასხვაობა. მაგრამ არის ერთი ჯგუფი ნივთებისა. სახელდობრ, შუბისპირები, კოლხური ცულები, სატეგრები, რომლებიც დაახლოებით თანადროული უნდა იყოს. ჩვენთვის აუჯერად, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ორი შუბის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი (ინვ. 27—44:1,2) და ერთი სატევარია (ინვ. 27—44:7) საინტერესოა ბრონ-ზის პირს ორივე მხარეზე განიერი ქედი გაუყვება, ხოლო ქედის ამაღლებულ

სურ. 5

ნაწილზე ორი ღარის გავლების შედეგად ისეთივე სამი რელიეფური ხოლია გამოყოფილი, როგორიც ნაძალადევის შუბისპირის ქედზეა გამოყვანილი (სურ. 6).



სურ. 6

ბრინჯაოს შუბისპირთაგან ერთი (ინვ. 27—44:2) გრძელმასრია-ნია, რომელსაც შეუკვრელი მილის მოყვანილობა აქვს. ბოლოსაკენ დიამეტრი ოდნავ განიერი აქვს, რადგან აქ გასხნილობაც მეტია. პირის დასაწყისში კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასრა შეკრულია. ფრთებს შორის მოქცეული მალი, რომელიც სატარე ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს, ორწახნაგა ქედის სახით გაუყვება პირს წვერამდე. ქედის ამაღლებული ნაწილი მკვეთრადაა გამოყოფილი რელიეფური ხაზის სახით. პირი ფოთლისებერია, ბრტყელი—მომრგვალებული. ფრთები რკალისებერია და შუბისპირის შუა ნაწილს სცილდება. წვერისაკენ პირი სამკუთხა და მკვეთრად შევიწროებულია. სადაა, ოდნავ დაზიანებული (სურ. 6_3).

ზომები: სიგრძე — 31.0 სმ, პირის სიგრძე — 14.0 სმ, პირის უდიდესი სიგანე — 3.2 სმ, მასრის უდიდესი დიამეტრი —1.5 სმ.

მ ე ო რ ე შ უ ბ ი ს პ ი რ ი (ინვ. 27—44:1) დაახლოებით იმავე ფორმისაა, როგორისაც ზემოთ აღწერილი (ინვ. 27 — 44:2) შუბისპირი, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი შემკულია სახეებით. მასრას ამკობს სიგრძით ხუთ წყებად გამავალი სპირალური ჩარმავებული ხაზოვანი ორნამენტი. ფრთებს შორის მოქცეული ორწახნაგა ქედის თითოეულ წახნაგზე სპირალური სახეების ერთი რიგია ამოკაწრული. პირი ნაკლულია (სურ. 6_2).

ზომები: სიგრძე 31.0 სმ. მასრის სიგრძე — 19,5 სმ, პირის უდიდესი სიგანე —4.5 სმ, მასრის უდიდესი დიამეტრი — 1,5 სმ.

ნაძალადევში აღმოჩენილი შუბისპირის ერთგვარ პარალელად შეიძლება ჩაითვალოს ავრეთვე ეშერში აღმოჩენილი გრძელმასრიანი შუბისპირი, რომელსაც ბ. კუფტინი[7] გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ნივთად თვლის.

ჩვენთვის საინტერესოა ავრეთვე ეშერში აღმოჩენილი მეორე გრძელმასრიანი შუბისპირი, რომლის მასრა შემკულია ჩარმავებული ხაზოვანი სახეებით და პირის (ფრთების) მოყვანილობით ნაძალადევის შუბისპირს წააგავს[8].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული ზოგიერთი ხელშუბის პირი თავისი ფორმით (ფრთების რკალური მოყვანილობა; გრძელი, გახსნილი მასრა; წვეტიანი სამკუთხა წვერი) ნაძალადევში აღმოჩენილი შუბისპირის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს. მათგან აქ მოვიტანთ ერთ მეტად დამახასიათებელ ნიმუშს. იგი აღმოჩენილი ყოფილა 1927 წელს სოფ. ზინდისში სურამის მახლობლად (ინვ. 13—32:36; სურ. 6_4). იქედანვეა რამდენიმე მასრაგახსნილი ხელშუბის პირი, ოღონდ ჩვეულებრივი ტიპისა (ინვ. 13—32:34,35).

პლეხანოვის გამზირზე აღმოჩენილი შუბისპირის მსგავსი იარაღები საკმაო რაოდენობით მოიპოვება არქეოლოგიურ მასალებსა და ლიტერატურაში. ჩვენ მაგალითისათვის მოვიტანთ მხოლოდ ერთს. მეტეხში (ასპის რაიონი) 1937 წელს აღმოჩენილი და მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული ერთი კომპლექსი (კოლექცია 5—37) სხვა მასალათა შორის შეიცავს მასრაგახსნილ შუბისპირს, რომელიც პირის მოყვანილობით სრულიად მსგავსია პლეხანოვის გამზირზე აღმოჩენილი შუბისპირისა. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ პლეხანოვის გამზირზე აღმოჩენილ შუბისპირზე ქედის გასწვრივ უფრო ღრმა ღარებია გამოყვანილი. კოლექცია № 5—37-ში, გარდა შუბისპირისა, არის შემდეგი ნივთები: ყუაზე შვერილიანი დიდი ზომის ცული; ტარშეურჩენელი განიერქედიანი ფოთლისებრი სატევარი; სატეხი ბრინჯაოსი და თიხის

---

[7] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. I, Тбилиси, 1949, გვ. 192, ტაბ. XX.

[8] იქვე, ტაბ. XIV, სურ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭელი. რაც შეეხება ნავთლულში აღმოჩენილ სატევარს, იგი ჩვეულებრივ კახური ტიპის სატევარია, ამ ტიპის სატევრების თანადროულია და დროით სრულიად შეესატყვისება იმ მასალებს, რომლებიც ნავთლულის სამაროვანზეა აღმოჩენილი[9].

ჩვენ წარმოვადგინეთ ნაძალადევში აღმოჩენილი სატევრისა და შუბისპირის პარალელები სამთავროს სამაროვნიდან (№ 240, ორმოსამარხი). ამ სამარხში გრძელი სატევარი არის აღმოჩენილი. ორმოსამარხი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს პერიოდით[10].

მთლიანადსმული სატევრების შემცველი ორმოსამარხები (№№ 88, 39, 87, 279, 275) თარიღდება გვიანი ბრინჯაოს პერიოდით. ორმოსამარხი № 232, რომელშიაც ნაძალადევის შუბისპირის მაგვარი მასრაგახსნილი შუბისპირი არის აღმოჩენილი, თარიღდება გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრე საფეხურით[11].

ჩვენ წარმოვადგინეთ ბეტეხში აღმოჩენილი კომპლექსი, რომელშიც პლეხანოვის გამზირზე აღმოჩენილ მასრაგახსნილი შუბისპირის მაგვარი იარაღია და თარიღდება გვიანი ბრინჯაოს პერიოდით.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილი სატევრები და შუბისპირები (ნაძალადევიდან, პლეხანოვის გამზირიდან და ნავთლულიდან) გვიანი ბრინჯაოს პერიოდში შექმნილი იარაღებია.

ეს იარაღები შეიძლება დავათარიღოთ ძვ. წ. XIII—XI სს. ამ მოსაზრებას უთუოდ მხარს უჭერს ზემოთ აღწერილი ნივთების ქიმიური შედგენილობა და ჩამოსხმა-გამოჭედილობა.

ამ მცირე მასალით ზოგადი დასკვნების გაკეთება იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო თუ კულტურული განვითარების დონის შესახებ თითქმის შეუძლებელია. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის, რომ შესანიშნავი, კოხტა და ლამაზი შუბისპირისა და აგრეთვე ფრიად მაღალხარისხოვანი საბრძოლო სატევრების მკეთებელი ადამიანები არ შეიძლება არ ყოფილიყო განვითარების მაღალ დონეზე, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყვნენ იმ დროისათვის კარგი მეტალურგები, რომ ისინი ახლო ურთიერთობაში იყვნენ მეზობელ და დაცილებულ რაიონებში მოსახლე ტომებთან (დასავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, კახეთში მცხოვრებ ტომებთან), ღებულობდნენ მათგან და მათაც უზიარებდნენ კულტურულ-გამოცდილებებს და მონაპოვრებს.

2. ერთი კოლექციისა საბურთალოდან

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია თბილისში (საბურთალო) 1939 წელს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები (კოლექცია 4—39:1—6).

ნივთების აღმოჩენის ვითარებაზე სანივენტარო წიგნში ჩაწერილია, რომ ისინი ნაპოვნია ქ. თბილისში (მეოთხე ახალშენის ქ., № 12, საბურთალო) შემთხვევით, მიწის სამუშაოების შესრულების დროს, როდესაც მოქ. იპოლიტე მინას ძე კობერიძე საკუთარ სახლს სარდაფს უკეთებდა.

[9] დ. კ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I, ენეოლითი-გვიანი ბრინჯაოს პერიოდი. თბილისი, 1955, გვ. 207.

[10] რ. ა ბ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, რკინის წარმოების საკითხისათვის ძველ საქართველოში (სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით), ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IV სამეცნიერო კონფერენციის მოხსენების თეზისები, თბილისი, 1953.

[11] Т. Н. Ч у б и н и ш в и л и., Древнейшие грунтовые погребения Самтаврского могильника. КСИИМК, XLVI, М., 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთები აღმოჩენილი ყოფილა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეზე. მათი აღმოჩენის ადგილი მაშინვე შეუთვალეს პროფ. გ. ნიორაძეს. კოლექცია შედგება ექვსი ნივთისაგან; მათ შორის თიხის ოთხი ჭურჭელია და ბრინჯაოს ორი ნივთი.

საინვენტარო წიგნის მიხედვით არ ჩანს ნივთები სამარხს ეკუთვნოდა, კულტურულ ფენას თუ სხვა წარმოშობისა იყო. პროფ. გ. ნიორაძემ გვამცნო, რომ კოლექცია სამარხეულია, რასაც მოწმობს ნივთებთან ერთად აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ძვლებიო.

აქვე წარმოვადგენთ ნივთების აღწერილობას:

1. ქ ო თ ა ნ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. 4—39:1). შავად გამომწვარი, მომაღლო განიერი ყელით, მკვეთრად გამობერილი მუცლით, ვიწრო ძირით. ყურანანი. ყურის ერთი ბოლო ჭურჭლის განიერ ნაწილზეა მიძერწილი, მეორე უშუალოდ პირს უერთდება. მხარზე ირგვლივ განიერი ღარი შემოვლებული. ჭურჭელი აღდგენილია და ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული (სურ. 7_3).

ზომები: სიმაღლე — 13,8 სმ, პირის დიამეტრი — 12,0 სმ, ძირის დიამეტრი — 6.0 სმ.

2. ჭ ურ ჭ ე ლ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. 4—39:2). შავად გამომწვარი, მაღალი, ცილინდრული. განიერი გოფრირებული ყელით. ოდნავ გადმოშლილი პირით მთავრდება. ტანი დაბალია და მუცელი გამობერილი, ტანის განიერ ნაწილთან შემოვლებულია ჩაღრმავებული ხოლი. მხრები შემკულია სამკუთხედებით, რომელთა მოედნები დამრეცი, ჩაღრმავებული ხაზებითაა დასერილი.

ჭურჭელს ძირი და ზოგიერთი სხვა ნაწილი აკლია (სურ. 7_2).

ზომები: სიმაღლე — 12.7 სმ, ყელის სიმაღლე — 6,2 სმ, პირის დიამეტრი — 6,3 სმ.

3. ჭ ურ ჭ ე ლ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. 4—39:3). მოშავო-მონაცრისფეროდ გამომწვარი, პირგადმოშლილი, დაბალი ცილინდრული ყელით, კვერცხისებური ტანითა და ვიწრო, ბრტყელი ძირით. მხრები და ყელის ქვემო ნაწილი შემკულია გამოსახულებებით. განიერ ნაწილსა და ყელის ძირს ირგვლივ უვლის ორ-ორი ღარი; ღარებს შორის გავლებულია კლაკნილი წვრილ-წვრილი ხაზები. მხრებზე ასიმეტრიულად განლაგებულია ოთხი სამკუთხედი, რომელთა ფუძეები განიერ ნაწილს ებჯინება. ხოლო წვეროები ყელამდე აღწევს. თითოეული სამკუთხედის მოედანი მათში ხაზების გავლებით დაყოფილია ოთხ-ოთხ პატარა სამკუთხედად. რომელთაგან სამ-სამი ჭდეებითაა შემკული. ჭურჭლის ერთ გვერდზე ძალზე სქემატურად პროფილში გამოსახულია წვრილფეხა რქოსანი ცხოველი (თხა?). მას კუდი და თავი მაღლა აქვს აწეული, რქები უკან გადაშვებული. თავისა და ყელის შეერთების ადგილას დიდი წერტილია. ცხოველის ტანი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჭდეებითაა შემკული. აღდგენილია (სურ. 7_1 ან სურ. 8).

ზომები: სიმაღლე — 33,5 სმ, ყელის სიმაღლე — 6,3 სმ, პირის დიამეტრი — 10.5 სმ. ძირის დიამეტრი — 10,5 სმ.

4. ქ ო თ ა ნ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. 4—39:4). მოშავო-მონაცრისფეროდ გამომწვარი. პირგადმოშლილი, მრგვალი ტანითა და ვიწრო, ბრტყელი ძირით. ტანის განიერი ნაწილი შემკულია ტალღისებური ხაზებითა და ღარებით. აღდგენილია, ნაწილი აკლია (სურ. 7_4).

ზომები: სიმაღლე — 27,0 სმ, პირის დიამეტრი — 24,0 სმ, ძირის დიამეტრი — 10,3 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. 4—39:5). თავხვია. განივკვეთში მრგვალი, ღერო თავიდან წვეროსაკენ თანდათანობით წვრილდება. თავი გაბრტყელებულია და მოხვეული (სურ. 7_6).

ზომები: სიგრძე —10.1 სმ. ღეროს უდიდესი დიამეტრი — 4,0 მმ.

6. სპირალი (ხვია) ბრინჯაოსი (ინვ. 4—39:6). წვრილი გაბრტყელებული მავთულისაგან ნაკეთები 8 ხვიაა, როგორც ჩანს ნაწილი მოტეხილია (სურ. 7_3).

სურ. 7

ზომები: სიგრძე — 1,3 სმ. დიამეტრი — 5,0 მმ.

მიუხედავად ნივთების სიმცირისა, კოლექცია ყურადღებას იპყრობს. მათში შემავალი თიხის ჭურჭელი ახლო მსგავსებას პოულობს ღრმა-ღელის ყორღანული ტიპის სამარხებში მოპოვებულ თიხის ზოვიერთ ჭურჭელთან.

პირველ ყოვლისა საყურადღებოა ის ჭურჭელი, რომელიც მოყვანილობით უყურო ჩაფს მოგვაგონებს და რომლის მხრები და ყელის ქვემო ნაწილი შემკულია კლაკნილი ხაზებით, სამკუთხედებით და სხვ. (ინვ. 4—39:3). შემკულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ეს მოტივები იმეორებს ღრმა-ღელის სხვადასხვა სამარხებში აღმოჩენილ ზოგიერთ ჭურჭელთა სამკაულს (იხ. ინვ. 2—50:6, 19, 20).

მეორე, ავრეთვე უყურო ჭურჭელი (ინვ. 4—39:2) მაღალი ცილინდრული და გოფრირებული ყელით, სავსებით ემსგავსება ღრმა-ღელის № 4 სამარხში აღმოჩენილი ორი ჭურჭლის (ხელადების) ყელს.

საბურთალოზე აღმოჩენილი ზემოთ აღნიშნული უყურო, ჩაფის ფორმის ჭურჭელი იმითაცაა საინტერესო, რომ მასზე ცხოველის (თხის?) სქემატური გამოსახულებაა. ცხოველის კონტური, რომელსაც აწეული ხაზისებრი კუდი და უკან გადაზნექილი რქები აქვს, ამოღარვის წესითაა გაკეთებული. მისი ტანი შემკულია წიწვოვანი თუ მარცვლოვანი ჭდეებით, ტანის სხვადასხვა ნაწილებს შორის არ არის დაცული პროპორცია: უკანა ფეხი მხოლოდ ერთი მოჩანს და ტანთან შედარებით გრძელია.

უნდა შევნიშნოთ, რომ თიხის ჭურჭელზე ამოკაწრვისა თუ ამოღარვის წესით გაძოყვანილი ცხოველის სახეები (მათ შორის თხისა) იშვიათად გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში.

დამახასიათებელია, რომ აღნიშნულ ჭურჭელზე გამოხატული თხის სქემატური გადმოცემის მსგავსი სამკაული გვაქვს ღრმა-ღელის № 4 სამარხში აღმოჩენილ თიხის ჩაფზე, რომლის მხოლოდ ზემო ნაწილია გადარჩენილი (სურ. 9). აქ ჩაფის მხრებზე მოთავსებულია ერთისა და იმავე ცხოველის — თხის სამი ერთგვარი სქემატური გამოსახულება. აქაც ცხოველის კონტური ამოღარვის წესითაა გაკეთებული და მისი ტანიც ოვალური ჭდეებითაა შემკული. ტანის ნაწილებს შორის აქაც არ არის პროპორციულობა დაცული: წელი მოკლეა და გაწვრილებული. ერთმანეთისადმი მიმყოლი ცხოველები გრძელი, უკან გადაწეული რქებითა და მაღლა აშვერილი ხაზისებრი კუდებითაა აღჭურვილი. გრძელი ფეხები ერთი წინა და ერთიც უკანა (წყვილ-წყვილი არა ჩანს) თანაბარი სიმსხოსია ტანთან შეერთების ადგილას და ქვევით.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ჰუმელის მიერ გათხრილ № 34 ყორღანში აღმოჩენილი მუცელგანიერი ქოთანი[12]. შემკული ცხოველთა სახეებით. საბურთალოსა და ღრმა-ღელეში მოპოვებულ ჭურჭელზე ცხოველთა გამოსახულებები ჭურჭლის მხრებზეა მოთავსებული. ამ ყორღანში აღმოჩენილი ქოთნის ზედაპირზე ცხოველები განლაგებულია ჭურჭლის ქვემო ნაწილზე. ამასთან, აქ გამოსახულია არა ერთი და იგივე, არამედ სხვადასხვა ცხოველები. თხების ჯოგს, რომელთა შორის ცოცხებიც ურევია, წინ ირემი მიუძღვის.

შეიძლება მივუთითოთ ავრეთვე აწყურში (ახალციხის რაიონი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ქაძრის ბალთის შემკულობაზე (ინვ. 56—14:19). ბალთაზე გამოსახულია პირით ერთმანეთისაკენ მიქცეული ორი თხა; თხები ძალზე სქემატურადაა გამოსახული და ემსგავსება ღრმა-ღელისა და საბურთალოს ზემოთ აღწერილ თიხის ჭურჭელზე ამოკაწრულ თხების გამოსახულებებს. რაც შეეხება ბალთაზე გამოხატული შემკულობის სხვა მოტივს (ჯვრისმაგვარი ორნამენტი), იგი განჯა-ყარაბაღული კულტურისათვის არის დამახასიათებელი. უნდა მოვიხსენიოთ ავრეთვე თრიალეთში აღმოჩენილ თიხის სასმისზე გამოხატული ზედ-

[12] Е. И. Гуммель, Археологические очерки, Баку, 1940, გვ. 28, 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიწევნით სტილიზებული ცხოველთა სახეები, რომელნიც აგრეთვე თხები უნდა იყვნენ[13].

თავხვია საკინძი, რომელიც სატურთალოზე მოპოვებულ ზემოთ აღწერილი კოლექციის შემადგენლობაშია, მრგვალ განივკვეთიანია. როგორც ცნობილია,



სურ. 8

თაკხვია — თავმოკაული ე. წ. მარტივი საკინძები კავკასიის ტერიტორიაზე ენეოლითის პერიოდიდან ჩნდება[14].

---

[13] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I. Тбилиси, 1941, ტაბ. LIII, სურ. 1 და III.

[14] Б. А. Куфтин, Урартский Колумбарии у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, ჟურ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIII-B, გვ. 117, სურ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავხვია საკინძები ბრინჯაოს პერიოდში, მის მოგვიანო სტადიაზე, ... გვარი გვხვდება: ოთხკუთხა და მრგვალგანივკვეთიანი. იმის თქმა, თუ რომელი მათგანია უფრო ადრეული, ძნელია ისეთი დოკუმენტირებული მასალების მიხედვითაც კი, როგორიცაა სამთავროს უძველესი ორმოსამარხების ინვენტარი, მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე გვქონდა აღნიშნული[15], ჩვენც ვფიქრობთ, რომ მრგვალგანივკვეთიანი საკინძები ადრეული. უფრო მარტივი სახე უნდა იყოს ამ საკინძთა შორის. ასეთი დასკვნის საფუძველს ისევ სამთავროს მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა იძლევა, სადაც მრგვალგანივკვეთიანი საკინძები გვხვდება უფრო არქაული იერის მატარებელ სამარხებში. მართალია, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული მრგვალგანივკვეთიანი საკინძები უფრო მოკლეა (სიგრძე მერყეობს 4-დან 8 სმ-მდე), ვიდრე ჩვენი საკინძი (სიგრძე— 10 სმ), მაგრამ მათი დამზადების ტექნიკა ერთგვაროვანია.



სურ. 9

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ კავკასიის მიწა-წყალზე დღეისათვის გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალათა შორის თავხვია საკინძები მრავლად გვხვდება, მაგრამ ისინი აღარ ჩანან გვიანი ბრინჯაოს შემდეგ პერიოდში. ეს გარემოება ამ საკინძებს მისი თანმხლები ინვენტარის დათარიღების დროს ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ მასალად ხდის. ზოგიერთი მკვლევარი საკინძების ადგილობრივ წარმოშობას უარყოფს. კერძოდ, ფრ. ჰანჩარი, ნემს-ქინძისთავების ფორმებს კავკასიის ბრინჯაოს კულტურაში გადმოღებულად, იმიტირებულად თვლის და დასაშვებად მიაჩნია საკინძების ტროა VI-დან შემოტანა (ასევე გვიანი ბრინჯაოს პერიოდში ამერკავკასიის მიწა-წყალზე წარმოქმნილი კულტურა მას მიაჩნია ეგეოსისა და ხმელთა შუა ზღვის აუზის კულტურების გამოშუქებად)[16]. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ჩვენს ნაშრომში[17] უარგვეყო ფრ. ჰანჩარის ეს მოსაზრება და აღგვენიშნა, რომ ქინძისთავები ისევე, როგორც მატერიალური კულტურის სხვა დამახასიათებელი სახეები კავკასიის მიწა-წყალზე, ადგილობრი-

[15] დ. ქ ო რ ი ძ ე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I, ენეოლითი-გვიანი ბრინჯაოს პერიოდი, თბილისი, 1955, გვ. 173.

[16] F r a z H a n č a r, Die Nadelformen des prähistoriashen kaukasus gebietes, Eurasia septentrionalis Antiqua, VII, Helsinki, 1932, გვ. 129.

[17] დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I, ენეოლითი-გვიანი ბრინჯაოს პერიოდი, თბილისი, 1955, გვ. 173—174

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი წარმოშობისაა და მათ გავლილი აქვთ თავისი განვითარების გრძელი გზა. ჩვენი აზრით, ასევე არ არის საეჭვო თავზეია საკინძების ფუნქციაც: იგი გარკვეული დროის განმავლობაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა მარტო შალის უხეში ქსოვილის შესაკრავად (როგორც ამას უვაროვა და სხვები ფიქრობდა), არამედ უფრო წმინდა მასალისაგან ნაქსოვი და შეკერილი ტანსაცმლის შესაკრავადაც.

ცილინდრულად წაგრძელებული ბრინჯაოს სპირალი (ხვია) იშვიათად გვხვდება არქეოლოგიურ მასალებში. მის დანიშნულებაზე გარკვეული არაფრის თქმა შეგვიძლია. შეიძლება სამკაული ყოფილიყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაბრტყელებული მავთულისაგან ნაკეთები სპირალი აფხაზეთის № 1 დოლმენშია აღმოჩენილი[18]. იგი ახლო პარალელად შეიძლება ჩაითვალოს საბურთალოზე აღმოჩენილი. ზემოთ აღწერილი სპირალისებრ დახვეული ბრინჯაოს ნივთისა. აფხაზეთის დოლმენების ინვენტარს ბ. კუფტინი ათარიღებს ძვ. წ. III და II ათასწლეულის მიჯნით[19].

გაბრტყელებული მავთულისაგან ნაკეთები სპირალები აღმოჩენილია აგრეთვე სამთავროს № 288 სამარხში. სამარხის ინვენტარი თავისი შედგენილობით აგრეთვე არქაულია. მასშია აღმოჩენილი ბრტყელი (უქუდო) და ვიწრო ტარშეურჩენელი სატევარი, მრგვალგანივკვეთიანი ოთხი თავზეია საკინძი, ლუქის ფერის, ტლანქად დახეხილი სარდიონის მძივები და არქაული ფორმის მახათი. ამრიგად, გაბრტყელებული მავთულისაგან დახვეული სპირალები გვხვდება ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისშიაც და გვიანი ბრინჯაოს პერიოდშიც.

სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა ინვენტართან სიახლოვე (თავზეია საკინძი, სპირალი) და აქაური თიხის ჭურჭლის ღრმა-ღელის ყორღანულ სამარხებში მოპოვებულ თიხის ჭურჭელთან ახლო კავშირი ჩვენ უფლებას გვაძლევს დავათარიღოთ საბურთალოში აღმოჩენილი ზემოთ განხილული მასალა გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრე საფეხურით, ანუ ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებით.

ზემოთ განხილული და თბილისის სხვა უბნებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. მეორე ათასეულის მეორე ნახევარში თბილისის ტერიტორიის მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები დასახლებული იყო მონათესავე ტომებით, რომ ისინი ახლო ურთიერთობაში მყოფნი უნდა ყოფილიყვნენ.

Д. Л. КОРИДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ПАМЯТНИКОВ Г. ТБИЛИСИ

Резюме

I

Автором изучен обнаруженный в Надзаладеви, Навтлуги и на Плехановском проспекте 2 т. н. кахетинский тип кинжала (рис. 1 и 3) и 2 наконечника копия (рис. 1 и 2).

---

[18] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949, ტაბ. XXVIII, სურ. 3, 6.

[19] იქვე, გვ. 287.

ეროვნული ბიბლიოთეკა

На основании изучения материала и подходящих параллелей данное бронзовое боевое оружие датируем XIII—XI вв. до нашей эры.

II

Нами изучен один комплекс (инв. 4—39: 1—6), обнаруженный в Сабуртало 1939 году, который состоит из 4-х глиняных посуд, бронзовой булавки, с закрученной головкой и бронзовой спиралью (рис. 7). На основании изучения обнаруженного материала с помощью параллелей датируем комплекс ранней ступенью позднебронзового периода, т. е. XIV—XIII вв. до нашей эры.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B. 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ა. ბაკრაძე

თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რომელიც სამხრეთ საქართველოს შიდა ქართლთან აკავშირებდა, იყო კლდეკარის გზა. ის, მოემართებოდა რა სამცხე-ჯავახეთიდან, გადმოდიოდა თრიალეთზე და აქედან კლდეკარის გზით შემოდიოდა შიდა ქართლში. ეს გზა ეკონომიური თვალსაზრისით ყველაზე მოკლე და ხელსაყრელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ამ გზის მფლობელნი კლდეკარის ერისთავნი აღწევდნენ დიდ პოლიტიკურ სიძლიერეს და თითქმის ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ებრძოდნენ საქართველოს მეფეებს. კლდეკარის ერისთავთა სამფლობელო მეტად ფართო ტერიტორიას მოიცავდა. როგორც ვ. კოპალიანს აქვს აღნიშნული, კლდეკარის საერისთავო შეიცავდა ე. წ. „ზემო ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს: მასში შედიოდა თრიალეთი, მანგლისის ქვევი და სკორეთი (ვერე)"[1]. კლდეკარის საერისთავო დაარსდა IX საუკუნეში, როდესაც არგვეთის ერთი მფლობელი ლიპარიტ ბაღუაში გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში და თრიალეთის მხარეში დამკვიდრდა. ვ. კოპალიანის აზრით, ბაღუაშთა აქ გადმოსვლა და ახალი საერისთავოს დაარსება გამოწვეული იყო აფხაზთა სამეფოს გაძლიერებით. ამ გარემოებამ აიძულა ლიპარიტი ქვემო ქართლში დამკვიდრებულიყო, სადაც აფხაზთა მეფის ხელი ვეღარ მისწვდებოდა. ამავე თვალსაზრისით მან იპატრონა არა გვარამი, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ეს ტერიტორია, არამედ დავით ბაგრატის ძე. ამ უკანასკნელის სამფლობელო შედარებით შორს იყო და ამის გამო მისი ყმობაც ნომინალური იქნებოდა.

კლდეკარის ერისთავთა მფლობელობა თრიალეთში მტკიცდება მთელი რიგი წარწერებით. ეს წარწერები საშუალებას იძლევიან გავითვალისწინოთ თრიალეთის მხარის პოლიტიკური ისტორია. თრიალეთის ეპიგრაფიკა ორმაგ ცნობას იძლევა: უპირველეს ყოვლისა, ის მასალაა ლიპარიტთა სამშენებლო მოღვაწეობის შესასწავლად, ხოლო, მეორე მხრით,—მასალა ამ მხარის პოლიტიკური ისტორიისათვის, ვინაიდან საქართველოში ეკლესიის აშენება ფეოდალის მიერ და მასზე წარწერის გაკეთება შეიძლება ჩაითვალოს მისი ამ მხარეზე გარკვეული უფლების ქონების ნიშნად.

ზოგიერთი შემთხვევაში ცოტათი რთულდება იმის დადგენა, თუ კლდეკარის რომელი წარმომადგენელი იგულისხმება ამა თუ იმ წარწერაში. რამდენადმე ამ საკითხის გარკვევას შველის ქორონიკონი ანდა ტექსტის შინაარსი.

[1] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, კლდეკარის საერისთავო. სადისერტაციო შრომა, ინახება სტალინის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბოძარეთი[2] (სამხრეთ კარზე):

1. ⰻⰾⰻ Ⱂⰻⰴⰻ ⰗⰻⰹⰔ Ⱅⰻⰻ
ⰴⰒ ⰷⰻⰽⰻⰽⰻ
Ⱆⰻⰽⰻ Ⱂⰻⰽ

„ქრისტე ადიდე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი ამინ“ ექვ. თაყაიშვილის აზრით, აქ მოხსენებულია ლიპარიტი, რომელიც 1022 წ. გარდაიცვალა. კლდეკარის ერისთავთაგან ცნობილია სულ ხუთი პიროვნება ამ სახელის მატარებელი: ლიპარიტ I—IX ს. მოღვაწე და ფუძემდებელი საერისთავოსი; მისი შვილი ლიპარიტ II—X საუკ. მოღვაწე; ლიპარიტ III—გიორგი I-ის თანამედროვე; ლიპარიტ IV—ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე და ლიპარიტ V—დავით აღმაშენებლის დროს. გაურკვეველია, თუ რა საბუთით ამტკიცებს ექვ. თაყაიშვილი თავის მოსაზრებას. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტით თქმა იქისა, თუ რომელი ლიპარიტია, ძნელია.

2. ⰻⰾⰻ Ⱂⰻⰴⰻ ⰗⰻⰹⰔ
Ⱆⰻⰽⰻ Ⱂⰻ Ⱇⰻⰻⰷ
ⰴⰻⰖⰒ

„ქრისტე ადიდე სული დიდისა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისაჲ“.

3. ⰻⰾⰻ ⰗⰻⰻⰲⰻⰓ ⰴⰻⰻⰓ Ⱂⰻⰴⰻ
ⰗⰻⰹⰔ Ⱅⰻⰻ ⰴⰒ ⰷⰻⰽⰻⰽⰻ Ⱆⰻⰽⰻ

„ქრისტე მეუფეო დიდებისაო ადიდენ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი“.

პირველი წარწერა გაკეთებული უნდა იყოს ლიპარიტის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან მოხსენიებულია „სული ლიპარიტ ერისთავისა“. ექვ. თაყაიშვილის აზრით აქ იგულისხმება ლიპარიტ III, ხოლო მეორე წარწერაში ლიპარიტ V.

4. ⰹⰹⰒⰻⰓⰔ ⰻⰓⰔⰔⰔ ⰴⰔⰻⰓⰔ Ⱇⰻⰻ
ⰒⰻⰓⰔⰔ ⰻⰓⰔ ⰻⰓ Ⱇⰻⰻ ⰖⰒⰹⰔ Ⱇⰻⰻ ⰓⰻⰓⰔ ⰕⰻⰻⰓ ⰔⰔⰔ

„სახელითა ღმრთისა. დაიდვა ბალავარი ესე, ადიდენ ღმერთმან, ერისთავთ-ერისთავი—ლიპარიტიმ უფლებასა ქორონიკონი იყო სნდ“.

ქორონიკონი სნდ უდრის 254—1034 წ. მოცემული თარიღი აადგილებს მოხსენიებული ლიპარიტის პიროვნების დადგენას. ის არის ლიპარიტ IV, რომლის ერისთავობა მოდის XI საუკუნის 30-იანი წლებიდან 1057 წლამდე. ლიპარიტ IV ჩანს 1027 წლის ახლო ხანებში, ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მოწყობილი განდგომილების დროს[3]. ხოლო 1057 წ. იგი ბერად აღიკეცა და საბერძნეთს წავიდა.

შეპიაკი (სამხრეთ კარზე):

5. „ⰽ. სახელითა ღვთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღ˜თის მშობელისაითა და ძალითა და შეწევნითა ყ˜ლთა წმიდათა მისთაითა მე ჯარეეჩინ აღეაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი ზეობასა ად˜დენ ღთ˜ნ რატ ერისთვისასა სალოცველად მზეგრძელობისა და სულისა მათისათუის და სალოცველად ძისა მ˜თისა ლიპარიტ ერისთვისა მზეგრძელობისათუის და საკსრად სულისა ცოდვილისა ჩემისათუის დაიწერა...“[4].

---

[2] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 83—87.

[3] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 182_{29}.

[4] Е. Такайшвили, Арх. экскурсии..., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია აშენებული ყოფილა რატი ერისთავის და მისი ძის ლიპარიტის ზეობაში. ამგვარი ნათესაური დამოკიდებულება კლდეკარის საგვარეულოს წევრებიდან მხოლოდ ერთხელ არის ცნობილი. რატი ერისთავი არის X—XI ს. მიჯნაზე მოღვაწე პიროვნება, რომელიც 989 წ.დაამარცხა ბაგრატ III-მ. ის დაიღუპა 1021 წ. ბასილ კეისართან წარმოებულ ბრძოლაში. ხოლო მისი შვილი ლიპარიტ III. შეიძლება გვეფიქრა, რომ წარწერა გაკეთებულია 1021 წლამდე, მაგრამ აქ სხვა გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. 989 წელს ბაგრატ III-მ წაართვა თრიალეთის მფლობელებს კლდეკარის ციხე და დამარცხებული რატი არგვეთს გაგზავნა. ამ ხანიდან ბოლომამდი საქართველოს მეფის მორჩილი ყმები ხდებიან და მონაწილეობას იღებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ საეჭვოდებელია, რომ შეპიაკის წარწერა გაეკეთებინოთ 989 წ., სანამ კლდეკარის ერისთავნი ამ მხარის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ. რატი აქ მხოლოდ ერისთავის ტიტულით იხსენება. მაგრამ ასეთ შემთხვევებს სხვა წარწერებშიც აქვთ ადგილი; მაგ., ატენის მცირე გუმბათთან ეკლესიაზე რატი და მისი მამაც ლიპარიტი მხოლოდ ერისთავებად იწოდებიან.

იმერ[5] (სამხრეთ კარზე):

6. ᲩᲘ ᲨᲝᲨ ᲗᲣᲔ ᲣᲘ ᲰᲘ ᲡᲗᲐᲓᲔᲒᲜᲔᲡᲗ ᲗᲣᲔ

„ქრისტე ადიდენ ლიპარიტ ერისთავთ—ერისთავი ძე სულკურთხეულისა ლიპარიტ[ისა]“.

ექვ. თაყაიშვილის აზრით, აქ იგულისხმება XI ს. მოღვაწე ლიპარიტი შვილი ლიპარიტისა (1022—1063 წ.). ვ. კოპალიანის მიერ კლდეკარის ერისთავთა ახლად დადგენილი გენეალოგიით ჩანს ორი ლიპარიტ ლიპარიტის ძე. მეორე მათგანი X საუკუნის მოღვაწეა.

გოხნარი[6] (სამხრეთი კარის ზევით):

7. ᲗᲮᲝᲡᲜᲔᲨᲘ[ᲝᲡ]ᲡᲗ ᲚᲘ ᲘᲜᲘᲡᲗ ᲰᲔᲜᲚᲔᲡ[7] ᲗᲮ ᲰᲔᲜᲮ ᲩᲔᲔᲝᲜᲘ
ᲗᲮ ᲚᲘᲗᲮᲘᲰᲡᲗ[8] ᲩᲜ ᲘᲜ[1] ᲮᲜ ᲠᲘᲡᲘᲜᲘᲚᲔᲗ ᲩᲜᲔᲡᲗ ᲨᲐᲜᲔᲡᲗ
ᲗᲜᲩᲧᲚ... ᲨᲘᲗᲘᲚᲝᲜᲔᲡᲗ ᲩᲜᲔᲡᲗ ᲚᲘ ᲗᲮ ᲚᲘᲡᲐᲜᲔᲡᲗ[9] ᲗᲗᲘᲚᲜᲔᲡᲗ
ᲗᲮ ᲜᲚᲜᲔᲡᲗ[10] ᲥᲘᲜᲔᲮᲔ ᲩᲜᲔᲡᲗ[1]...Თ ᲛᲐᲜᲔ ᲙᲜᲔᲡᲗ...ᲚᲘ[11]..ᲩᲮᲘ
ᲥᲝᲜᲔᲡᲗ
ᲰᲔᲡᲗ ᲩᲜᲔᲡᲗ ᲮᲘᲜᲔᲡ...ᲜᲚᲰ...Ე ᲚᲘᲡᲗ ᲗᲮ ᲚᲘᲡᲗ
ᲗᲮ ᲨᲐᲚᲔᲡᲗ[12] ᲥᲘᲗᲮᲚᲰᲔᲡᲗ...ᲗᲮ ᲡᲮᲥᲚᲰᲔᲗ ᲥᲗᲘ
ᲜᲔᲡ ᲡᲜᲘᲡᲗ ᲰᲘᲜᲔᲡᲗᲘᲜᲘ...ᲡᲮᲔᲝᲥᲝᲗ ᲡᲮᲘᲜ
ᲚᲘᲰᲝᲗ ᲥᲗᲘᲩᲘᲰᲝᲗ Ხ...Ლ...ᲜᲘᲚᲔᲡᲗ ᲗᲮ ᲥᲘᲜ
ᲩᲘᲰᲝᲗ ᲗᲮ ᲮᲔᲜᲘᲚ... [ᲗᲮ]ᲝᲮᲔᲜᲘᲥᲝᲗ ᲥᲘᲝ
ᲩᲮᲔᲨᲗ ᲡᲮᲘ...ᲚᲘ ᲮᲝ
ᲗᲚᲝᲮᲥᲮ ᲗᲮ ᲰᲮ...ᲨᲰᲘᲩ ᲗᲮ[13]

---

[5] E. Такайшвили, Арх. экскурсии... вып. IV. Тифлис, 1913, გვ. 13.

[6] იქვე, გვ. 5—7. წარწერა შემოწმებულია შ. ხანთაძის მიერ, რომლის გადმონაწერიც მოგვყავს აქ.

[7] ექვ. თაყაიშვილი კითხულობს: მწუსა.

[8] „ „ გვაღრსა.

[9] „ „ დაესრულე.

[10] „ „ ზვსა.

[11] „ „ კათალიკოსობასა თუ კეისრობასა გიორგისა.

[12] „ „ მისა.

[13] „ „ დგომად რა და... ვა და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲮᲛᲪᲣᲘ ᲫᲘᲠ...ᲦᲪ ᲪᲨᲘ
ᲩᲨᲘ ᲬᲠᲘ ᲨᲠᲐᲠ...ᲪᲢ ᲬᲔ
ᲨᲘᲐᲮᲔᲘᲡᲔᲡᲔᲘ ᲪᲐ...ᲨᲠᲘᲨᲔᲨ ᲘᲐᲛᲐᲘᲨᲘ
ᲨᲢᲚᲠᲘᲚᲘᲔᲡᲔᲘ ᲪᲐ...ᲨᲠᲘᲨᲔᲨ ᲘᲩᲘ
ᲩᲨᲔᲡᲔᲘᲢ ᲪᲨᲠ....ᲭᲚᲩᲚ....

ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა ერისთავთ-ერისთავ ლიპარიტის დროს და დასრულებულა მისი შვილის ზეობისას და „ᲫᲨᲛᲨ ᲪᲨᲠᲨᲐ... ᲨᲒ...“-სა. ლიპარიტს სამი შვილი ჰყავდა: რატი, ივანე და ნიანია[14]. აქ დასახელებულია ორი მათგანი რატი ერისთავთ-ერისთავი და ივანე. ასოთა კომპლექსს „ᲫᲨᲛᲨ ᲪᲨᲠᲨᲐ... ᲨᲒ...“ ექვ. თაყაიშვილი კითხულობს ორნაირად: ან კათალიკოსობასა გიორგისა ან კეისრობასა გიორგისა. გიორგის სახელით საქართველოში ცნობილია კათალიკოსი გიორგი ტაოელი ბაგრატ IV-ის მეფობაში[15], ხოლო გიორგი კესარიოსის ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდეს გიორგი II, რომელიც ატარებდა ამ წოდებას[16], რაც, ჩვენი აზრით, საეჭვოა. გელათში დაცული სახარების მინაწერებში ლიპარიტის შვილებიდან პირველად რატი იხსენიება[17]. ეს ფაქტი იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ის, როგორც ლიპარიტის უფროსი შვილი, მამის შემდეგ ერისთავთ-ერისთავის წოდების მატარებელი იქნებოდა. გოხნარის წარწერა მას, მართლაც, ამ ტიტულით იხსენიებს. როგორც ნარატიული წყაროებიდან ირკვევა, ლიპარიტ IV-ის ბერად აღკვეცის შემდეგ ერისთავად მისი შვილი ივანე ჩანს, ხოლო, როგორც ვიცით, ერისთავთ-ეროისთავობა გვარში ერთ პირს ეკუთვნოდა. გიორგი II-ის მეფობაში კლდეკარის საგვარეულოდან სამოღვაწეო ასპარეზზე ივანეს ვხვდებით, რატის შესახებ კი არაფითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

გოხნარის ეკლესია საყურადღებოა იმით, რომ იგი წარმოადგენს უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს, სადაც ეპიგრაფიკულ მასალაში ვხვდებით კლდეკარის მფლობელთა სახელებს. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ კლდეკარის საერისთავო ეპიგრაფიკული ძეგლების საფუძველზე გოხნარამდე ვრცელდებოდა.

ტაშ-ბაში[18] (ეკლესიის ახლოს, ქვაზე):

8. ᲨᲘᲨᲬᲘᲢ ᲘᲘᲢᲘᲢ ᲭᲨᲘ ᲨᲘᲐᲮᲔ ᲘᲨ

„მადლითა ღმრთისაჲთა ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ-ერისთავი“.

9. ᲭᲨ ᲜᲔᲛᲔᲘᲢ ᲘᲘᲢ ᲨᲔᲭᲘᲢ....ᲭᲔ ᲨᲘᲢᲘᲢ...

„ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა ჩვენ ახალქალაქელთა... რატ ერისთავთ-ერისთავთა“.

უკანასკნელი წარწერით ირკვევა სოფ. ტაშ-ბაშის ძველი სახელწოდება, რომელსაც ჯავახეთის და თეძმის ხეობის ახალქალაქისაგან განსხვავებით თრიალეთის ახალქალაქი ეწოდება. ექვ. თაყაიშვილის აზრით, ეკლესია აშენებული ან განახლებული უნდა ყოფილიყო ახალქალაქის პატრონთა მიერ ერისთავთ-ერისთავ რატის დროს.

სანტა[19] (სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში):

---

[14] თ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1893, გვ. 191.

[15] M. B r o s s e t, Historie de la Géorgie... t. I, St. P., 1858, გვ. 335.

[16] E. T a k a i š v i l i, Arx. ekskursii..., vip. IV, Tiflis, 1913, გვ. 7.

[17] თ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1893, გვ. 191.

[18] E. T a k a i š v i l i, Arx. ekskursii.... vip. IV, Tiflis, 1913, გვ. 77—78.

[19] იქვე, გვ. 53—54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ნ-ჴდ-ნ ი-ნ ჱჴ-ᲗᲔ ᲧᲗᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗ Ი-ᲔᲚ ᲗᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗ ᲜᲔ ᲜᲔᲜᲔ ᲗᲔ ᲗᲔᲜᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗ ᲘᲜ ᲜᲔᲜᲔ ᲗᲔᲜᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗ ᲜᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗᲔᲜᲔᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიგრაფიკაში ჩანს. ლივადისა და დიდი გომარეთის წარწერები პალეოგრაფიულად XI საუკუნით თარიღდება[26].

გაურკვეველია საკითხი, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ზვიად ერისთავს თრიალეთთან. ვინაიდან ზვიადი აქ ერისთავობით იხსენიება, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ იგი ადგილობრივი ფეოდალია. XI საუკუნეში თრიალეთს კლდეკარის ერისთავნი ფლობენ. გამოდის, რომ ზვიადი ამ საგვარეულოს წევრია. ამ აზრს იცავდა ვ. ბროსე, რომელსაც დასამტკიცებლად შემდეგი გარემობა მოჰყავდა: წყაროები ასახელებენ ლიპარიტის ძმებად რატს და ზვიადს[27]. პირველად ექვი იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ზვიად ერისთავი კლდეკარის საგვარეულოს, გამოთქვა ექვ. თაყაიშვილმა. მისი აზრით, დასაშვებია, რომ ზვიადს არავითარი კავშირი ამ გვართან არ ჰქონდეს[28]. ვ. კოპალიანი ქართულ და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით სავსებით გამორიცხავს ზვიადს კლდეკარის საერისთავოს საგვარეულოდან[29]. ჩვენი აზრითაც, ზვიადის მიკუთვნება ბალუაშთა საგვარეულოსადმი შეუძლებელია, ვინაიდან ამ საგვარეულოში სახელი ზვიადი საერთოდ არ გვხვდება.

ვ.კოპალიანის აზრით, ბაგრატ III-ის შემდეგ კლდეკარის ერისთავები რჩებიან თრიალეთის მხარის მფლობელებად. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი სცნობენ სამეფო ხელისუფლებას და ემორჩილებიან მას[30], მაგრამ კლდეკარის ერისთავები რომ დარჩენილიყვნენ თრიალეთის მფლობელებად, შეუძლებელია მათ არ ესარგებლათ გიორგი I-ის მეფობაში ატეხილი არეულობით თავიანთი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად. გიორგი I-ის გამეფებისთანავე მეფეს განუდგნენ კახეთ-ჰერეთის აზნაურები, ხოლო შემდგომ კი მას გართულებული მდგომარეობა აქვს ბიზანტიის კეისართან.

ჩვენი აზრით, კლდეკარის ერისთავებმა დაჰკარგეს თრიალეთის ქვეყანა. „მისცა ციხე თუისი ბაგრატს, და თუით დაჯდა მამულსა თუისსა არგვეთს"[31], მათ თრიალეთზე უფლება აღიდგინეს ბაგრატ IV-ის მეფობაში იმ ერთგული სამსახურის შედეგად, რომელიც მათ გიორგი I-ს გაუწიეს ბასილ კეისართან ბრძოლაში.

თრიალეთის ეპიგრაფიკაში მოხსენიებული ზვიადი უნდა იყოს ბაგრატ III-ის მოხელე, დაყენებული თრიალეთში მის მიერ ბალუაშთა განდევნის შემდგომ.

როგორც ჩანს, ზვიადი მარუშიანთა საგვარეულოს წევრია. სხვა წყაროებში ზვიადი მარუშიანად არსად იწოდება. მარუშიანი იგივე მარუშისძე უნდა იყოს. მათი ერთი წარმომადგენელი ქვეყნის გაერთიანების აქტიური მონაწილეა. მას იხსენიებს თამარის ისტორიკოსი: „და უბოძა ჩუხჩარხოსაჲ მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარიხისასა"[32] და ავრეთვე ლიხაურის წარწერა[33].

---

[26] Е. Такайшвили, Арх. экскурсий..., вып. I, Тифлис, 1905, გვ. 87.

[27] M. Brosset, Additions..., გვ. 213.

[28] Е. Такайшвили, Арх. экскурсии..., вып. IV, გვ. 85.

[29] ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი.

[30] იქვე.

[31] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 175$_{34}$.

[32] „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი", კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 79.

[33] Дм. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Аджарии, СПБ, 1878, გვ. 109, 111—112, 263—269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა წარწერაში დასახელებული გიორგი აფხაზთა მეფე, რომელიც უნდა იყოს გიორგი I (1014—1027 წწ.). საყურადღებოა, რომ იგი იხსენიება მხოლოდ როგორც აფხაზთა მეფე. როგორც ეპიგრაფიკული მასალიდან ჩანს, გიორგი I-სა და ზვიადს შორის მომხდარა კონფლიქტი, რა ნიადაგზე გაურკვეველია. ზვიადი შეპყრობილ იქნა, ხოლო კლდეკარი დაუბრუნდა ბაღუაშებს.

წარწერიდან ირკვევა ზვიადის შვილის სახელი — ვარდა.

ამბარლო[34] (სამხრეთ კარზე):

14. †ᲥᲗᲚ ᲘᲗᲥ ᲡᲐᲜᲘᲗ
† ᲨᲔᲗᲚᲔᲗ ᲘᲠᲗᲔᲗ ᲨᲘ ᲘᲗᲥᲐᲜᲘᲗ ᲨᲘᲡᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲚᲐᲜᲘ ᲨᲔᲗᲜᲔᲜᲘᲗ
ᲚᲔᲚᲔ ᲨᲐᲛᲝᲡᲔ ᲡᲜᲒᲔᲗᲔ ᲫᲐᲗᲔ ᲩᲘᲚᲔ ᲘᲠᲜᲔᲗ ᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲝ ᲨᲔᲚᲔᲗ
ᲘᲗᲜᲔᲗᲘ ᲘᲗᲘᲗᲐ ᲩᲘᲚᲔ ᲘᲠᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲨᲔᲛᲔᲜᲘᲗ

„ქორონიკონი იყო სმიბ (252—1032) ქ. მოწყალებითა ღმრთისაჲთა მე თეოდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისᲗ. ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცᲗველად“ და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა. მას ჯამსა მიწყია (მიწყვია)[35] ბალავარი, ოდეს შეიპყრ[ა] ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმან ამირაჲ“.

წარწერა ადასტურებს და ავსებს ქართლის ცხოვრების თხრობას.

1032 წ. ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავს შეუპყრია თბილისის ამირა. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა, ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას ძემან ქართლისა ერისთავმან, მუსხიგუერდსა [და] გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, შეიტყუეს და ᲙᲔᲚᲗᲐ შეიპყრეს“[36]. „სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა“ შესაძლოა ნიშნავდეს ბაგრატის მცირეწლოვანობის ხანს. ბაგრატ IV ტახტზე ავიდა 1027 წ., როდესაც იგი მხოლოდ 9 წლის იყო, და 1932 წ. იგი, მართლაც, მცირეწლოვანი იქნებოდა. ვ. კოპალიანს ეჭვი შეაქვს ამბარლოს წარწერის თარიღში. ამ მოსაზრებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: ბაგრატმა ლიპარიტის მიერ დატყვევებული ამირა გაათავისუფლა, მაგრამ ლიპარიტისაგე რჩევით „შემდგომად მცირედისა ჟამისა“, როგორც მემატიანე აღნიშნავს, ისევ ბრძოლა დაუწყო. ამირას წინააღმდეგ ბრძოლა განახლებულა 1037 —38 წწ. ამრიგად, თუ ამბარლოს წარწერის თარიღს, —დასძენს ვ. კოპალიანი, —მივიჩნევთ ამირას პირველად შეპყრობის თარიღად, გამოვიდა, რომ მის წინააღმდეგ ხელახალი ბრძოლის დაწყებამდე 6 წელი გასულა. ამ შემთხვევაში მემატიანე ვეღარ იტყოდა, რომ ბაგრატმა ამირას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო „შემდგომად მცირედისა ჟამისაო“. მაგრამ თუ „მატიანე ქართლისაჲ“ ცნობას იმის შესახებ, რომ „დიდი ხანი დაჰყეს ტატიბრობასა შინა“, ისე გავიგებთ, რომ ამირა რამდენიმე წლის განმავლობაში შეპყრობილი იყო. მაშინ ამბარლოს ეკლესიის წარწერის თარიღი მისაღები იქნება[37]. ეპიგრაფიკული მასალა ყველა დანარჩენ წყაროსთან შედარებით უფრო სანდოა, რის გამოც ამბარლოს ძეგლი, ჩვენი აზრით, არავითარ შესწორებას არ საჭიროებს.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ ამბარლოს წარწერა იხსენიებს საქართველოს მეფეს იმ დროს, როდესაც სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში მათი სახელი

---

[34] Е. Такайшвили. Арх. Экскурсии..., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 100.

[35] ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი კითხულობს: წწყა ან წწვა.

[36] „მატიანე ქართლისაჲ“, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 184.

[37] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსად არ გვხვდება. ამ წარწერაში გარკვევით ჩანს თარიღი, რომელიც „ეფესა-ბამება ბაგრატ IV-ის მეფობის ხანას. საქართველოს მეფის მოუხსენებლობა კლდეკარის საერისთავოს ტერიტორიაზე აიხსნება იმ მტრული დამოკიდებულებით, რომელიც არსებობდა მეფესა და კლდეკარის ერისთავთა შორის. ვ. კობალიანის გამოკვლევით, ლიპარიტ IV-ის მოღვაწეობის ხანა ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს მისი მეფესთან ურთიერთობის საფუძველზე. პირველი პერიოდი აღინიშნება ლიპარიტის კეთილგანწყობილებით ბაგრატ IV-თან და ბრძოლით მეფის მოწინააღმდეგეებთან, ხოლო მეორე პერიოდი — კავშირით მეფის მტრებთან და ბრძოლით მეფის წინააღმდეგ. პირველი პერიოდი გრძელდება XI საუკუნის 40-იან წლებამდე[38]. მომდევნო ხანაში მეფესა და კლდეკარის ერისთავს შორის დამოკიდებულება კვლავ მწვავედება, რომლის უშუალო საბაბი შესაძლებელია იყოს მათი ურთიერთობა თბილისის ამირასთან. „მატიანე ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედველად თავის პატრონისაგან“[39]. ამბარლოს წარწერა გაკეთებული უნდა იყოს ლიპარიტის მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როდესაც კლდეკარის ერისთავთაფვის აუცილებელი და სავალდებულო იქნებოდა საქართველოს მეფის მოხსენიება თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების მშენებლობის დროს.

აღსანიშნავია, რომ ბაგრატ IV არ იხსენიება კურაპალატის ტიტულით, რომელიც მან 1031 წ. მიიღო.

კლდეისი[40] (ეკლესიის ახლოს, ქვაზე):

15. ✝ ᲮᲔᲛ ᲘᲘᲝᲐᲜᲔ ᲫᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲔ ᲘᲛᲔᲡᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲗᲕᲘᲗ...ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲗᲐ...[ᲠᲔᲚᲘᲥ] ᲕᲐᲠᲗᲕᲘ [ᲗᲘᲗᲘᲡ]ᲫᲐᲜ

„ᲮᲔᲛ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲫᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲔ ᲘᲛᲔᲡᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲗᲕᲘᲗ...ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲗᲐ...ᲠᲔᲚᲘᲥ ᲕᲐᲠᲗᲕᲘ [ᲗᲘᲗᲘᲡ]ᲫᲐᲜ“.

ეს წარწერიანი ქვა ნაპოვნი ყოფილა კლდეისის ეკლესიის ეზოში. შინაარსიდან ეტყობა, რომ ქვა ეკლესიას ეკუთვნოდა. კლდეისი კლდეკარის ერისთავთა სამფლობელოს ფარგლებში შედიოდა. ვინაიდან აქ საქართველოს მეფის სახელი არ გვხვდება, საფიქრებელია, რომ მაშენებელი კლდეკარის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელია. ამ სახელისა და ტიტულის მქონე პირი ამ საგვარეულოდან მხოლოდ ერთია ცნობილი, ეს არის ივანე ლიპარიტ IV-ის ძე, რომელიც მამის შემონაზვნების შემდეგ რამდენიმე ხანი ბიზანტიაში იმყოფებოდა. 1059 წ. დათარიღებული კაცხისადმი შეწირული ხელნაწერიდან ჩანს, რომ ამ დროს იოანე დამოუნებულია საქართველოში[41], ისე რომ დასახელებული წარწერა, თუ კი აქ მართლაც იოანე ლიპარიტის ძე იგულისხმება, გაკეთებული უნდა იყოს 1059 წლის შემდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილი წარწერებიდან მიღებული ცნობებით შეიძლება დადგენა, სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივ, იმ ადგილებისა, რომლებიც შედიოდნენ კლდეკარის საერისთავოში. ეს სოფლები შემდეგია: იმერა, შეპიაკი, დიდი გომარეთი, ტაშ-ბაში, კლდეისი, გოხნარი, სანტა და ამბარლო. გარდა ამისა ირკვევა, რომ თრიალეთის მფლობელნი (ბალუაშთა საგვარეულო) სამშენებლო საქმიანობას ეწევიან თავიანთ მიწა-წყალზე. განხილულ ეპიგრაფიკაში, როგორც დავინახეთ, იხსენიებიან ადგილობრივი ფეოდალნი, ძალიან ხშირად

[38] ვ. კ ო ბ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი.
[39] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 185_{15}
[40] Е. Т а к а й ш в и л и. Арх. экскурсии.., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 119—120.
[41] Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей церковного музея, т. II, გვ. 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

• როგორც მაშენებელნი, მაგრამ სრულიად საქართველოს მეფის სახელი ჩვენ არსად არ გვხვდება, გარდა ამბარლოს წარწერისა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კლდეკარის ერისთავთა პოლიტიკა განკერძოებითია, საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობისკენ მიმართული. თრიალეთის მფლობელნი თავის თავს მთავრებად თვლიდნენ, ცდილობდნენ ეს მდგომარეობა შეენარჩუნებინათ და არ აღიარებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ამიტომაც ისინი არ სცნობდნენ საჭიროდ სრულიად საქართველოს მეფის სახელის მოხსენიებას სამშენებლო წარწერებში.

თრიალეთის ეპიგრაფიკა იძლევა ცნობებს ამ საერისთავოს შემდგომი პოლიტიკური ისტორიისათვის. ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე წარწერა, რომლებიც ადასტურებენ, რომ კლდეკარის ერისთავნი აქაური მუდმივი მფლობელნი არ ყოფილან. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა, განდევნა რა საქართველოდან ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავი, ბოლო მოუღო ამ საგვარეულოს. მათი უკანასკნელი წარმომადგენელი გარდაიცვალა XII საუკუნის დასაწყისში „და ასრეთ დასრულდა სახლი ბაღუიანთა, სახლი განმამწარებელთა“[42].

არჯევან-სარკანი[43] (აღმოსავლეთ ფასადზე):

16. ✝ ᲔᲮᲚᲗᲜᲔ ᲘᲗᲜᲔ ᲨᲔᲛᲬᲔᲚᲔ ᲘᲗᲜ ᲨᲔᲛᲬᲔᲚᲔᲗᲜᲔ ᲪᲘᲠᲮᲕᲘᲗ ᲥᲔ ᲜᲗᲗᲜᲔᲜᲔᲡ ᲨᲗ ᲨᲔᲛᲮᲛᲗ ᲨᲔ ᲨᲗᲜᲔᲜᲔ ᲨᲜᲔᲜᲔ ᲜᲘᲗᲔᲮᲗᲜᲔᲜᲔ ᲰᲜᲔᲜᲔ. ✝. ᲛᲘ ᲨᲘᲥᲔᲜᲔᲜᲔ ᲨᲘᲗᲔ ᲜᲔᲘᲥᲔᲜᲔᲡᲨᲘ ᲨᲗᲜᲘᲗᲔᲜᲔ ᲨᲔᲜᲔ.

„სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობლისათა აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ მე მექარეე და შვილთა მისთა[44] სიგლახაკითა ჩვენითა გიორგი მეფეთა მეფობასა შიგან, სალოცველად მეფობისა მათისა“.

არჯევან-სარკანის წარწერა გაკეთებული უნდა იყოს კლდეკარის ერისთავთა თრიალეთიდან განდევნის ხანაში. წინაღმდეგ შემთხვევაში წარწერა მოიხსენიებდა რომელიმე მათგანს. როგორც ამ ეხარის უშუალო ბატონ-პატრონს. ექვთაყაიშვილის აზრით, აქ მოხსენიებული გიორგი უნდა იყოს გიორგი I ან გიორგი II[45]. ჩვენი აზრით, აქ გიორგი II-ის გულისხმობა სავსებით გამორიცხული უნდა იყოს, ვინაიდან მის მეფობაში კლდეკარის ერისთავად არის ივანე, რომელიც მონაწილეობას იღებს მეფის წინააღმდეგ მოწყობილ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლაში. განდგომილ ფეოდალთა მეფის მიერ დასაჩუქრების შედეგად, იოანე კვლავ აჯანყებულა. იმის მაგიერ, რომ გადამწყვეტი ღონისძიება მიეღო ურჩი ყმის წინააღმდეგ, გიორგი II პირიქით იქცევა და „უბოძა ივანეს სამშვილდე. და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანი და დაამტკიცა ივანე კლდეკართა და სამშვილდესა ზედა“[46]. ამ პირობებში გიორგი II-ის მოხსენიება მშენებლის მიერ საეჭვო უნდა იყოს. ამ წარწერაში დასახელებული მეფე უნდა იყოს გიორგი I ან III. არჯევან-სარკანის წარწერა შესაძლოა დათარიღდეს გიორგი I-ის ხანით, ე. ი. იმ დროით, როდესაც თრიალეთი დროებით მეფისადმი დაქვემდებარებული მხარე გახდა, ანდა გიორგი III-ის მეფობის ხანით, როდესაც კლდეკარის ერისთავნი საბოლოოდ დამარცხებული და განდევნილნი არიან.

---

[42] ცხორება მეფეთა-მეფისა დავითისა, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 206[36].

[43] Е. Такайшвили. Арх. экскурсии..., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 62.

[44] ე. თაყაიშვილის აზრით, არასწორად არის ნაბმარი. იქვე, გვ. 62.

[45] იქვე. გვ. 63.

[46] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 198[8].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეშთაშენი[47]:

17. ᲮᲔᲛᲬᲝᲜᲘ ᲘᲜᲘᲬᲝᲜᲘ ᲜᲔ ᲛᲬᲝᲜᲔᲜᲘ ᲰᲜᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲰᲐᲓᲘ ᲪᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲘᲠᲔᲚᲘ ᲚᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲮᲜᲔᲡᲗᲐ ᲨᲝᲡ ᲭᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲡ ᲨᲘᲜ ᲥᲐᲠᲗᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐᲜᲐᲓᲐᲜᲘᲡ ᲨᲝᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვეპოვება. ამრიგად, თრიალეთი ბაღუაშთა განდევნის შემდეგ მამიზვე სამეფო არ გამხდარა. ის ცოტა ხნის განმავლობაში სახელმწიფო მამულია, რომელსაც სახელმწიფო მოხელე—ერისთავი მართავს.

ქვემო ჯინისი[51] (აღმოსავლეთ კედელზე):

† ნ-ᲔᲑᲘᲗ Ი-ᲗᲝᲗ ᲗᲪ ᲨᲔ-ᲦᲘᲗ ᲩᲜᲔ Ი-ᲝᲜᲐᲨᲔ-ᲦᲜᲔᲗ ᲗᲪ Ჩ-ᲜᲔ ᲠᲗ ᲜᲝᲜᲐᲨᲔ ᲨᲔᲜᲔᲗ ᲗᲔᲜᲔᲗ ᲨᲘᲜᲔᲗᲨᲔᲠᲝᲥᲝᲐᲔ-ᲠᲘᲜᲔ ᲪᲐᲨᲔᲜᲔᲗ ᲪᲘᲜᲔᲗ-ᲪᲘ ᲩᲜᲔ ᲪᲐᲨ ᲜᲝᲜᲔᲜᲔᲗ ᲩᲐᲠᲗᲐᲨᲔᲠᲝᲥᲝᲐᲔ Ი-ᲝᲜ ᲨᲘᲜᲔᲗ ᲨᲐᲜᲔᲠᲗ Ꭲ ᲩᲜᲔᲗ ᲨᲗᲔᲜᲔᲗ ᲚᲐᲜ-ᲠᲔᲜᲔᲗ ᲐᲜᲔᲠᲗ ᲪᲘᲚᲘᲗ ᲨᲘᲜᲔᲗ

„Ქ. სახელითა ღმრთისაᲒთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისა და წმიდისა იოანე ნათლისმცემლისათა, მომმადლა ღმერთმან მე, ხოშაქსა, ერისთავთა-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულსა, აღგებაᲒ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისმშობლის სამსახურად. 10 წლისა მკუდარი გამაცოცხლა, ძლიერი დიდებაᲒ მიბოძა. ესე მცირედი მსახურებაᲒ მიძღვნია“.

როგორც წარწერიდან ჩანს, ვინმე ხოშაქს აუშენებია ქვემო ჯინისის ეკლესია 10 წლის ავადმყოფობის შემდეგ ვარძიის ღვთისმშობლის სამსახურისათვის. წარწერა XII საუკუნისაა; უფრო ზუსტად ის გაკეთებული უნდა იყოს 1177—84 წწ. შორის, ვინაიდან ამ პერიოდში ცნობილი აფრიდონ მსახურთუხუცესი, დაწინაურებული გიორგი III-ის მიერ 1177 წ. იმ ამბოხის შედეგად, რომელიც მოეწყო დიდებულების მიერ დემნა ბატონიშვილის მეთაურობით სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. „კუალად აფრიდონ, აზნაურისა ყმობისაგან ღმრთისმობაძავის წყალობითა კაცქმნილი და მსახურთ-უხუცესობამდის მიღწეული, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობითა აღზეებული“[52]. საფიქრებელია, რომ ეს მხარე ამ პერიოდში მსახურთუხუცესის ხელში იყო. ამის საფუძველს იძლევა აგრეთვე თამარის ანონიმი ისტორიკოსის სიტყვები: „სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობითა აღზეებული“. მართალია, მსახურთუხუცესობა ამ დროს ჯერ კიდევ არ შედიოდა სავაზიროში, მაგრამ ის უკვე საკმაოდ სპპატიო კელი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს თამარის პირველი ისტორიკოსი: „უბოძეს... მსახურთ-უხუცესობაᲒ, კელი შინაური და სპპატიო“[53].

ამ წარწერაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისეთი თანამდებობის პირნი, როგორიც მსახურთუხუცესია (და საერთოდ ვაზირები), საღარბაზისკარო მოხელეობასთან ერთად ზოგჯერ ერისთავთ-ერისთავებიც არიან. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი ანდრა, მოციქულის ხატის წარწერაში, სადაც აბულასანი იხსენიება მეკურპალეთუხუცესად და ერისთავთ-ერისთავად. ფეოდალურ საქართველოში სადარბაზისკარო კელის მპყრობელი მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. ვაზირებს სამსახურისათვის მფლობელობის სხვადასხვა სახით ეძლეოდათ მამულები. სადაც ისინი ერისთავებად გამოდიოდნენ. ერისთავი მეფის მოხელე—საქვეყნოდ გამრიგეთა რიგის იყო.

---

[51] Е. Такайшвили, Арх. экскурсии..., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 51.

[52] ისტორიანი და აზნაური შარაულიძეთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 77Ა.

[53] იქვე. გვ. 94.

5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანდელ ხანას ეკუთვნიან ლიპარიტისუბნის და გომარეთის მანგლისეულ ეკლესიათა ფრესკები, ბოჭიანეში არსებული ეკლესიათა წარწერები, სადაც მოხსენიებული არიან თამარი და დავით სოსლანი[54].

ის გარემოება, რომ თრიალეთის ქვეყანა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მფლობელის ხელშია, მაჩვენებელია ამ მხარის რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა. თრიალეთი ძველი დროიდანვე წარმოადგენდა შემაერთებელ, დამაკავშირებელ მხარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისას, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, აქ გადიოდა ჯავახეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმავალი გზა. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ამ გზით მოდის ნინო „და ვითარ მოიწია ზაფხული, აღმვიდა მთათა ჯავახეთისათა და მივმთხჳა ტბასა, რომელსა ეწოდების ფარავნაა“[55]. ფარავნის ტბა კი თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზეა და მასზე გადმოდიოდა გზა თრიალეთში. ამას მოწმობს ქართველის ნანგრევები, რომელსაც ეხვდებით სოფელ როდინონოკაში. მართალია, რომ, როდესაც ნინომ „იხილნა მთანი ჩრდილო ჩრდილოსანი ქამსა ზაფხულისასა სავსენი თოვლითა, შეძრწუნდა“[56], უკან გაბრუნებულა და მტკვრის ხეობით გადმოსულა შიდა ქართლში ქ. ურბნისს[57]. რატომ წამოვიდოდა ნინო ფარავნისაკენ და თრიალეთზე, თუ კი აქ გზა არ არსებობდა? საფიქრებელია, რომ თრიალეთზე გამავალი გზა, როგორც ყველაზე ხელსაყრელი, ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებობდა და ნინომ იცოდა ამ გზის არსებობის შესახებ. ამიტომ წამოვიდა იგი ამ მხრით. თრიალეთიდან რომ გზა არსებობდა ქართლ-ჯახეთისაკენ, მოწმობს მთელი რიგი ფაქტები, დაცული ქართლის ცხოვრებაში. მირიან მეფეს კეისრის მიერ მოვლინებული სამოციდ ელჩისა ამ გზით მოუვიდა: ჯვრის ნაწილები მათ დატოვეს ერუშეთს და მანგლისს. როდესაც ქართლში გამეფებულ ბაგრატ III-ს აუჯანყდა ადგილობრივი აზნაურობა, დავით კუროპალატმა „გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა. მოვიდა თრიალეთს შთასლვად ჯახეთად“[58]. „წარგზავნა კაცი მოსწრაფედ. აწუია სპათა აფხაზეთისათა და ქართლისათა, და თუით წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა... დადგა თიანეთს და იწყო შემუსრა ჯახეთისა“[59]. ვ. კოპალიანის აღნიშვნით ბაგრატმა იმიტომ განცალო „ხიდი მცხეთისა“, რომ იგი კლდეკარით იყო გადმოსული და არა სხვა რომელიმე გზით. რაიმე უფრო ხელსაყრელი გზა რომ არსებულიყო, ბაგრატი ამ გზით წამოვიდოდა და მაშინ იგი თბილისის ხიდს გაიცლიდა[60], რაც ყოველად შეუძლებელი იყო. ვინაიდან თბილისი ამ ხანებში საამიროში შედიოდა. თრიალეთიდან ქართლში გადმოსასვლელი გზა მანგლისზე გავლითაც არსებობდა. თურქ-სელჯუკთა გაერთიანებული ლაშქარი, წამოსული დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ, „მოვიდა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“[61].

---

[54] Е. Такайшвили. Арх. экскурсии..., вып. IV, Тифлис, 1913, გვ. 88—89, 111—112.

[55] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ნინოს ცხოვრება, ტ. I, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1946, გვ. 220.

[56] იქვე.

[57] Е. Такайшвили. Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, 1902—1904, გვ. 749.

[58] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 173_{13}.

[59] იქვე, გვ. 176_{19-21}.

[60] ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი.

[61] ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 217_{12}.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეკარის ერისთავთა ექსპანსია თრიალეთის საზღვრებსაც სცილდება, ის ზოგჯერ ატენის ხეობამდე აღწევს. „მატიანე ქართლისაჲ“ ცნობით „იყო მათ ჟამთა ერისთავთ-ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარისა სამხრით კერძო ყოველივე“[62]. ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, გაურკვეველია ჩვეულებრივად ასე იყო, თუ ატენი საზოგადოდ ქართლის ერისთავს ემორჩილებოდა[63]. XI საუკუნეში კლდეკარის ერისთავთა ერთ-ერთ წარმომადგენელს, სახელდობრ ლიპარიტ IV-ს, ბაგრატისაგან ქართლის ერისთავობა ჰქონდა ნაბოძები[64]. მაგრამ კლდეკარის საერისთავოს ტერიტორიისადმი ქართლის საერისთავოს მცირე ნაწილს შეერთებაც კი არ მოახდენია. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ვ. კოპალიანის აზრით, ატენი კლდეკარის ერისთავმა ხელთ იგდო მაშინ, როდესაც თეოდოსი უსინათლოს სისუსტის გამო სამეფო არეულობამ მოიცვა და ქართული უპატრონოდ დარჩა, ანდა იმ დროს, როდესაც ქართლის აზნაურები ბაგრატ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად მოემზადნენ და მოერისის თავს დაესხნენ. თუ რატ ერისთავს ბაგრატის წინააღმდეგ მოწყობილ ბრძოლის მონაწილედ ჩათვლით, დასძენს ვ. კოპალიანი, მაშინ ეს დრო ყველაზე ხელსაყრელად ჩაითვლება იმისათვის, რომ რატს ატენი ხელში ჩაეგდო და იქ გამაგრებულიყო. მაგრამ ამ საკითხს ვ. კოპალიანი ღიად ტოვებს დამსაბუთებელი ფაქტების უქონლობის გამო[65]. ვ. კოპალიანს არ უსარგებლია იმ ეპიგრაფიკული ძეგლით, რომელიც ჩვენ ატენში მოგვეპოვება და ადასტურებს კლდეკარის ერისთავთა მიერ ატენის ხეობის მფლობელობას. ატენის მცირე გუმბათიან ეკლესიაზე გვაქვს წარწერა, რომელიც მოგვითხრობს კლდეკარის ერისთავთა მშენებლობის შესახებ ატენის ხეობაში.

ატენი[66]:

№ 1. „ქრისტე ადიდე ორსავე ცხორებასა აქა ხორც�elebr და წინაშე შენსა სულიელებრ რატ ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმიდაი ეკლესიაი საღოცველად სულისა მათისა“.

როდის შეიძლებოდა კლდეკარის ერისთავებს ატენის ხეობაში მშენებლობა ეწარმოებინათ. როგორც აღნიშნავს ლ. რჩეულიშვილი, სამშენებელო მოქმედების საშუალება თრიალეთის მფლობელებს ჰქონდათ 989 წლამდე. სანამ ბაგრატმა არ დაიმორჩილა ბაღუანში და არ ჩამოართვა კლდეკარის ციხე. ან 1045 წ. შემდეგ. როდესაც ლიპარიტი საქართველოს ფაქტიური პატრონ-პატრონი გახდა. ლ. რჩეულიშვილი აქ მოხსენიებულ რატს თვლის ბაგრატ III-ის თანამედროვედ და თანაც დასძენს, რომ ასეთი მტკიცება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე სახელის მქონე სხვა პირთა არსებობას ვუარყოფთო. ეს კი შეუძლებელია. ვინაიდან ამ გვარში ტრადიციულია როგორც რატის, ასევე ლიპარიტის სახელი[67]. ჩვენი აზრითაც, აქ მოხსენიებული რატი და „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები რატი ატენის ციხის მფლობელი ერთი და იგივე პირია.

---

[62] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 174[29].

[63] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 34.

[64] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 186.

[65] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი.

[66] ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, „ქართული ხელოვნება“, ტ. I, 1942, გვ. 33.

[67] იქვე, გვ. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მატიანე ქართლისაჲ“ იხსენიებს რატ ერისთავთ-ერისთავს ბაგრატ III-ის [illegible] თლში მეორედ გადმოსვლისას. როგორც ივ. ჯავახიშვილს[68] აქვს გამორკვეული, ეს ფაქტი მოხდა 980 წ. შემდეგ. რატი II ცნობილია გიორგი I-ის მეფობაში, როდესაც კლდეკარის ერისთავებმა დაჰკარგეს თავისი სამფლობელო. რატი III ერისთავის ტიტული არ ატარებდა, ერისთავად მისი ძმა ივანე იყო. XI საუკუნის 60-იანი წლებიდან ატენი სამეფო სამფლობელო გახდა, რაზეც მიუთითებს ატენის ქალაქის მშენებლობის წარწერა. ისე რომ, ატენის მცირე გუმბათიან ეკლესიაზე ნახსენები რატი შეუძლებელია იყოს XI საუკუნის ამ სახელის მატარებელი რომელიმე პიროვნება. თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში გამოცემული აქვს ატენის ეკლესიის კანკელზე გაკეთებული წარწერა: „ქ... განკაცენ შუა ცხოვრებათა წე̄ლრს მსხ̄რბლდ წ̄ საა დ დი̄დსა შენისა ტ̄ძრსა ყ̄დ წ̄ოლ̄ის მშობელი შ... მე ეე ნე... აი“. „ქ... განკაცენ შუა ცხოვრებათა წერილ არს მსახ̄ერებად წმიდისა და დიდისა შენისა ტაძარსა, ყოველად წმიდაო ღვთისმშობელო შ[ემიწყალ]ე მე ე̄ ნეა[5]ი[ა]“[69]. თ. ჟორდანია ამ წარწერას ათარიღებს 1048—59 წწ., სოლო ნიანიას რატ ერისთავთ-ერისთავის ძედ თვლის, მაგრამ თვით ჟორდანიას აზრით, ასეთი წაკითხვა მეტად საეჭვოა. ამიტომაც ამ ცნობაზე დაყრდნობა სახიფათოა.

ატენის ციხისათვის ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში მუდმივ სწარმოებდა. მატიანე „ქართლისაჲ“ დაცული აქვს ცნობა, რომელიც გაუწყებს, რომ „იუანეს ლიპარიტის თანა კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხისუფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა“[70]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ XI საუკუნის 30—40-იან წლებში ატენი კლდეკარის ერისთავთა ხელში იყო ალრა ყოფილა და მაგი ბრძოლა ციხის კვლავ ხელში ჩასაგდებად მარცხით დამთავრებულა. საფიქრებელია, რომ კლდეკარის მფლობელებმა ატენის ხელობა დაკარგეს 989 წ., როდესაც ბაგრატ III-მ დაიმორჩილა რატი ერისთავი და განდევნა იგი კლდეკარიდან. ეს მხარე ბაღუაშებს ვეღარ დაუბრუნებიათ. ამას ამტკიცებს ატენის ქალაქის მშენებლობის წარწერა.

სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ატენის უძველესი წარწერები. როგორც თრიალეთის ეპიგრაფიკა, ასევე ატენის წარწერები იძლევა საშუალებას მეტ-ნაკლებად დავადგინოთ ამ მხარის პოლიტიკური ისტორია.

ატენის კეარცხლბეკი[71]:

ᲜᲗᲜ Ჯ̄Ⴑ ᲭᲔᲡᲐ ᲗᲘ ᲩᲘᲪᲔᲡ ᲪᲔᲠᲬᲐᲮᲚᲘᲗᲐᲗᲘ ᲨᲘᲡᲬᲘᲗᲐᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲚᲔᲐᲜᲘᲡ ᲩᲘᲗᲘᲡ ᲨᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲭᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲭᲔᲨᲘ ᲨᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲜ ᲗᲘ ᲩᲘ. ᲗᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲜ ᲗᲘ ᲩᲘ...Შ ᲨᲘᲗ ᲩᲔᲪᲘᲡᲐᲗᲕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლი დაუთარიღებელია. აკად. ივ. ჯავახიშვილი მას პალეოგრაფიული თავლაზარისით ათარიღებს VII—VIII სს. დასათარიღებლად ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს აგრეთვე სახელ „ეეეან“-ზე რომელიც უნდა წარმოადგენდეს სახელ „ბეეან“-ის უძველეს ფორმას. ამ ფორმის ხმარების მიხედვითაც წარწერა VII—VIII საუკუნეებისაა. IX საუკუნიდან იხმარება უკვე ბეეან[72]. ჩვენი აზრითაც, ძეგლი დადებული უნდა იყოს არა უგვიანეს VIII საუკუნისა, ვინაიდან მომდევნო პერიოდში (დაწყებული IX საუკუნის ნახევრიდან) ატენის ხეობას ფეოდებენ სხვადასხვა პირები, იქნებიან ეს ადგილობრივი ფეოდალნი, თრიალეთის პატრონნი თუ სამეფო საგვარეულო. მათი მოხსენიება, როგორც ამ მხარის უშუალო პატრონისა, ატენელი მამასახლისის მიერ აუცილებელი იქნებოდა ზემოხსენებულ წარწერაში, თუმცა ჩვენ გვხვდება ისეთი ძეგლებიც (მაგ., წყისე, უკანგორი), სადაც ასეთ შემთხვევას ადგილი არა აქვს. ჯერის ამართვისას ვინმე კოსტანტი არავის არ იხსენიებს. ვეკან ატენელის მიერ არავის არ მოხსენიება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იგი ამ ხეობის სრული ბატონ-პატრონია. ე. ი. გამოდის, რომ ატენის ხეობას მამასახლისი განაგებს.

№ 2 (სამხრეთ აფსიდის დასავლეთ კედელზე)

† Ф-ЪС ЕЦ.ЧЪЕЦЪЕС Г-ЪС ЗП-ЪС ЗЧЦ.ЧС [†Ц.Ф]Ц.ЖЪЧЦ.ЖЪС Ц-Ц-ЪС ЛГ ВГЪЪС ЪЪ-ЧЪС [†СЪ]СГ† ВФГЪЪГ ЗСВЦ.ЪС Ц.Ц.ЧВС ЗС ЗГГГЧЦ-ФС СЗЪГФС ЪСЪЪСЧ ЗС ЗЦ.ЧЪС ЗС ЗСЪЪГ Ф-ЪС [СЦ.Ф.Ч]ВЦ.ЪС ЧГ-ЪС З-ЛЪС ЗГЦ.Ц-ЪСГЪГ ЪЪФС† [ЗГГГЧЦФС ЧСЦГСЪ ЗС ФЪ ЗЪГЪ ФСЪФЧЦЪ

„თთოჭესა აგოსტტოსსა 5-სა, დღესა შაბათსა[ა] [ქორ]ონიკონსა 73-სა ისმაიტელთა (?) წელსა სლთსა [ქალ]აქი ტფილისი დაწოჭა ბოჭღა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკლ;და მასვე თთოჭესა [აგოჭს]ტოსსა 26-სა დღესა შაბათსავე ზორაქ [შ]ეიპყრა კახეჲ და ძℳ მისი თარკოჭჭი“[73].

წარწერა მოთავსებულია ატენის სიონის სამხრეთ-დასავლეთ შიგნით კედელზე. ის იძლევა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცნობებს ქართულ-არაბული ურთიერთობიდან. ცნობა ეხება არაბი სარდლის ბუღა თურქის ლაშქრობას. IX საუკუნის არაბეთში დაწყებულმა ფეოდალიზაციის პროცესმა გამოიწვია არაბების მიერ დაპყრობილი ქვეყნების მმართველთა სეპარატიზმი. ამით იყო გამოწვეული არაბთა მიერ მთელი რიგი დამსჯელი ექსპედიციების გამოგზავნა. ამ ექსპედიციებიდან ერთი ყველაზე მთავარი ყოფილა ბუღას ლაშქრობა. ამის შესახებ ქართული ცხოვრება გვაუწყებს. რომ „მოვიდა (ბუღა) და მოადგა ტფილისს ზალაქსა, რამეთუ არა მორჩილობდა საკა ამირა: მოკლა საკა; შემუსრა ტფილისი. დაწუა ციცხლითა და მოაოჯრნა ყოველნი არენი მისნი. და თეოდოსი, აფხაზთა მეფე, გამოვიდა წინაღმდგომად მისა, დადგა კუერცხოს, ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარმოადგინნა ზორაქ. სპასალარი თუისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კულაპარატისა: შეიბნეს და გააქციენეს აფხაზნი. და მოსწყუიდნეს სიმრავლე ურიცხუი“[74]. ჩვენი წარწერა დასტურებს და ავსებს კიდეც ქართლის ცხოვრების ცნობებს. ატენის ეპიგრაფიული ძეგლი იძლევა ბუღას შემოსვლის ზუსტ თარიღს. მოხსენიებული პირები ბუღა, ზორაქი და ამირა საპაკი, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ნარატიული წყაროებით ცნობილნი არიან.

---

[72] ივ. ჯავახიშვილი., ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949 წ., გვ. 167—168.

[73] И. Джавахишвили, О времени построения Атенского храма. „Христианский Восток“, т. I, вып. 3, 1912, გვ. 278. ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათია, თბილისი, 1934. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ივ. იმედაშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1949.

[74] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მოგვეპოვება ცნობები კახას შესახებაც. წარწერის კახა და უცნობი ავტორის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების „კონსტანტინე კახას მარტვილობის“ მთავარი პირი ერთი და იგივეა. ამას ამტკიცებს ერთი და იგივე თარიღი. წარწერის ქორონიკონი ემთხვევა თხზულებაში აღნიშნულ წელს. ქორონიკონი ოგ უდრის 73, ე. ი. 853 წ., ხოლო კონსტანტინეს წამებით „წელიწად იყვნეს ექვს ათას ოთხას ორმეოცდა ათშვიდეს, ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთასა ორას ოცდა ათორმეტსა“[75]. წარწერის მიხედვით კახა შეუპყრიათ 26 აგვისტოს, ხოლო თხზულების მიხედვით იგი 10 ნოემბერს დაუსჯიათ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 26 აგვისტოდან 10 ნოემბრამდე სწორედ ის დროა, რაც მოუხდებოდა შეპყრობილი კახას ჯერ ტფილისში მოყვანას, მერე კი სამარიამდე მგზავრობას და იქ მისი საქმის გამოძიებასა და გარჩევას[76].

ს. ჯანაშიას აზრით, კახასა და მისი შვილის მოხსენიება ატენის წარწერაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთგვარი მოწმობა იმისა, რომ კახა ამ მხარის მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელია. წარწერა ხომ არ იხსენიებს არც ერთ სხვა ადგილმბრივ (ქართველ) პოლიტიკურ მოღვაწეს[77].

რომ კახა ატენის ხეობის მფლობელი დიდი ფეოდალი იყო, ეს მტკიცდება შემდეგი ცნობით. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორს ნათქვამი აქვს. რომ „იყო ვინმე ქეყანასსა ქართლისასსა, სანახებსა ზენა-სოფლისასსა კაცი, რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახი და დიდ ყოველსა ქეყანასსა ქართლისასსა, ფრიადი სიმდიდრჱ აქუნდა“[78]. თუ ზენა სოფლის ქვეშ სამხრეთ საქართველოც იგულისხმება, მაშინ ატენის ხეობა მასთან გაერთიანებულ ერთ პოლიტიკურ ერთეულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, ს. ჯანაშიას აზრით, ზენა სოფელი ჰქ. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება ნიშნავდეს მერმინდელ „ზემო ქართლს“, ე. ი. სამცხე-ჯავახეთს და მათ სამხრეთ მდებარე თემებს[79]. ხოლო რაც შეეხება თრიალეთს, ის ამ დროს ბაგრატიონთა ხელში იყო.

კახას შვილის თარხუჯის სახელი პირველად ატენის ამ წარწერაში ჩანს. წარწერის მიხედვით კონსტანტინე ამირას მომხრეთა დასშია.

ამრიგად IX საუკუნის შუა წლებისთვის ატენის ხეობა ერთი გარკვეული პიროვნების ხელშია.

№ 3. ‡ ᲥᲐᲜᲬᲠᲘᲗ ᲛᲔᲜᲘᲗ... ᲨᲘᲜᲔ ᲧᲐᲜᲔ ᲫᲜᲔᲜᲘᲗᲐᲜᲘᲗᲥᲐᲜᲘᲗᲥᲐ... ᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲘᲡᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲚᲐᲓᲔᲠᲘᲗ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲗᲐ ᲓᲐᲜᲐ ᲨᲘᲠᲘᲡᲐᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲗᲐᲜᲘᲗᲥᲐᲜᲘᲗᲥᲐ ᲨᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲜᲘᲗ ᲨᲔ ᲨᲔ ᲘᲜᲐᲗ ᲥᲜᲔᲜᲘᲗ ᲨᲔ ᲨᲔᲗᲘᲜᲐᲗ ᲨᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲜ ᲩᲔᲨᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲜᲘᲗ ᲨᲔᲗᲘᲜᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავნ წმიდათა და რჩეულთა მისთა თანა წმიდათ ეკლესიათ შეეწიე განკითხვისა...სა...".

ამ წარწერაში ზუსტად ყოფილა მოცემული დასახელებული პიროვნების გარდაცვალების წელი, თვე და საათი. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს ადგილი აღარ ჩანს. ამიტომაც იმის დადგენა, თუ რა დროისაა წარწერა, მეტად ძნელი ხდება. მით უმეტეს, რომ ამ სახელის მქონე პიროვნება ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება. მხოლოდ, როგორც აღნიშნავს ს. ბარნაველი, ატენის სიონის XI—XII საუკუნის ფრესკაზე (იგ. ჯავახიშვილის დათარიღებით) წარმოდგენილია პორტრეტი, რომელიც სუმბატ აშოტის ძისა უნდა იყოს. შესაძლოა იგი იყოს ამ ახლად აღმოჩენილი წარწერის მამფალი სუმბატი, რომელიც ატენის სიონთან რაღაც დაკავშირების გამო მოჰყვა ტაძრის მონატულობაში[81]. მოხსენიებული პიროვნება ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრი უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს დასახელებული პირის სახელი. სახელები სუმბატ და აშოტ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ბაგრატიონებში. ბაგრატიონები, როგორც ვიცით, IX საუკუნიდან სამხრეთ საქართველოში, სახელდობრ ჭოროხის ხეობაში, დამკვიდრდნენ; ხოლო აქედან მათ ნელ-ნელა გაფართოეს თავიანთი სამფლობელო. აშოტის ერთ-ერთმა შვილმა გუარამმა თრიალეთი და მისი მიმდგომი ქვეყანაც დაიპყრო. წარწერიდან ჩანს, რომ დროებით ატენიც ბაგრატიონთა ხელში ყოფილა. ს. ბარნაველი წარწერას სტილის მიხედვით ათარიღებს X საუკუნით[82]. საფიქრებელია, რომ მოხსენიებული სუმბატი კახას შემდგომ ფლობდა ამ ადგილებს. ს. ჯანაშიას აზრით, ატენის ხეობა ვმოჩჩილებოდა ბაგრატს აშოტ კურაპალატის ძეს, რომელმაც ის მიიღო არაბთა სარდლის მოპამედ ხალილის ძისაგან[83].

სუმბატ აშოტის ძე, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ადარნესეს შვილიშვილი, აშოტ კეკელას ძე, რომელიც X საუკუნის მოღვაწეა. ის, სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, იწოდებოდა არტანუჯელად და ანტიპატრიკად. სხვა ამ სახელისა და მამის სახელის მატარებელი პიროვნება ბაგრატიონებში ცნობილი არ არის. გუარამის შვილის ნასრის სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო მისი ძმების ჩამომავლებს ერგოთ. როგორც წარწერიდან ჩანს, ატენის ხეობა X საუკუნეში ადარნესეს ჩამომავალთა ხელშია და არა ბაგრატისა, როგორც ამას აკად. ს. ჯანაშია ფიქრობს.

X საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც თრიალეთის ეპიგრაფიკის განხილვისას ვნახეთ, ატენი კლდეკარის ერისთავთა ხელშია.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა სავსებით შეცვლილია. თუ აქამდე ატენი სამხრეთ საქართველოს მფობელთ უპყრიათ, ახლა როგორც ატენის სიონის ქალაქის სამშენებლო წარწერის საფუძველზე ირკვევა, აქ მეფის ბრძანებით წარმოებს ქალაქის მშენებლობა[84].

---

[81] ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის ადალი წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ VII, 1946, გვ. 83—88.

[82] იქვე.

[83] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, აღმოსავლურ ქართველი ეთნოგრაფიული ცენტრების საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 253.

[84] M. B r o s s e t, Rapports sur un voyage aschéologique dans la Géorgie et dans l' Arménie. IV. გვ. 22—53; თ. ჯ ო რ ბ ა ნ ა ძ ე, ქრონიკები, ტ. I, 1892, გვ. 206; Материалы по археологии Кавказа (МАК), вып. IV, გვ. 152—153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 4. „ქ. სახელითა ღვთისათა. მე გრიგოლ-მან[85] მირიანის ყმა-მან თარონ-ნის[86] ძისა-მან, ატენის ციხის თავ-მან. ავაგე ატენს სახლნი და ქულბაქი ეს ეკლესია ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფე-მან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა[87] ქალაქის აშენებაჲ: გაუმარჯჳნა[88] ღმერთ-მან და ბედ-მან მეფეთ მეფობისა მათისა-მან. ვითა სწადდა მეფობასა მათსა ეგრე აეშენენთ დარბაზი და ქალაქი: შეგჳწყალნა მეფობა-მან მათ-მან სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი ჩაჯდრად. ნებიერობით გჳბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაც შენებაჲ შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა[89]. საყოფელსა წმიდისა ღთის-მშობლისსა[90], სალოცველად ჩგანმცა უკუნისამდე ძრიელი[91] მეფეთა მეფე[ბ] ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისა-ჲს[92]. დაცდეს დღე თევდორობაჲ აღაპად გარდაიქდიდეს მამასახლისი წინამძღვარი[93] სიონისაჲ ვინც იყოს ქრისტე შეიწყალე“.

წარწერა გაკეთებულია XI საუკუნეში. მოხსენიებული ბაგრატი ბაგრატ IV-ა, რომელსაც რიგ-რიგად ჰქონია მიღებული სხვადასხვა ბიზანტიური ტიტული. 1030—31 წლიდან ის კურაპალატია, 1058 წ. შიომღვიმის სიგელში—ნოველისიმოსი. ატენის წარწერაში ბაგრატი სევასტოსად იწოდება. ეს ტიტული ბაგრატს მიღებული უნდა ჰქონდეს 1059—60 წ., ვინაიდან კულალისის წარწერაში იგი უმაღლესი წოდებით იხსენიება. კულალისის წარწერა 1060 წ თარიღდება.

გიორგი კურაპალატი ბაგრატ IV-ის შვილია, რომელიც მამის სიცოცხლეშივე ატარებდა ამ საპატიო ტიტულს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ატენის წარწერა გაკეთებულია 1059—68 წწ., ვინაიდან 1068 წლიდან იწყება თურქსელჯუკთა შემოსევები, რაც ყოველგვარ კულტურულ მუშაობას დაამბოლებდა[94]. ატენის ძეგლიდან ირკვევა, რომ ამ ქალაქის მშენებლობა მარტო სტიქიური, ბუნებრივი და თანდათანი ზრდის შედეგი კი არ არის, არამედ ერთდროულიც, მთავრობის განკარგულების შედეგია, ამ შემთხვევაში ბაგრატის ბრძანებისა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამ წარწერის შემწეობით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ როგორ ხდებოდა ქალაქების მშენებლობა არა.მარტო XI საუკუნეში, არამედ უფრო ადრეულ პერიოდშიც[95]. XI საუკუნემდე ატენი ქალაქი არ ყოფილა. მაგრამ ეს იმის მაჩვენებელი არ არის, რომ აქ წინათ მოსახლეობა არ იყო. ამის ცხადი დამადასტურებელი ძეგლია ატენის სიონი და ატენის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა: სიონი კი

---

[85] თ. ჟორდანიას წაკითხვით—გარგანელმან.
[86] „ „ თარხონის.
[87] „ „ სეფესა ზოვრაა შინა.
[88] „ „ გაუმარჯოჳ.
[89] „ „ ატენისასა.
[90] „ „ ღთისმშობლისასა.
[91] „ „ ძლიერი.
[92] „ „ ჩემისა-ჲნ (Sic).
[93] „ „ წინა-ძღუარი.

[94] И. Джавахишвили, О времени построения Атенского храма. „Христианский Восток“, т. I, вып. 3, 1912, გვ. 286.

[95] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946, გვ. 32—35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებულია VII საუკუნეში. ბროსე ტაძრის აშენებას და წარწერასაც ბაგრატ III-ს მიაწერდა[96], მაგრამ შემდეგში მან შეიცვალა თვალი აზრი და მაშენებლად ბაგრატ IV მიიჩნია. ამავე აზრს იზიარებდა დ. ბაქრაძეც[97], სანამ არ აღმოჩნდა წარწერა ბუღა-თურქის შესახებ. თ. ჟორდანია აშენების თარიღად 1058—64 წწ. მიიჩნევს[98], თუმცა არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავს. ზეგოთ მოყვანილი წარწერა ეხება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მშენებლობას. მხოლოდ XI საუკუნის ატენში დაეწყოთ იმ ნაგებობათა აგება, რომელნიც ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყვნენ ყოველი ქალაქისათვის. „ქართლის მოქცევაში“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ მეფობდა ბრატმან, რომელსაც „ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო“[99]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი „ქალაქის“ ეტიმოლოგია გაურკვეველია. მარი მას უკავშირებდა ასურულ „ქარ-ქ“-ს, რომელიც ერთგვარი მოზღუდვილობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო[100], მაგრამ ეს დებულება მან თვითონვე უარყო.

ქალაქის მშენებლობა ხდება მეფის ბრძანებით, რომელსაც ახორციელებენ ცალეული პირები. ამ შემთხვევაში ასეთი პირია გრიგოლ ატენის ციხისთავი და მირიან თარხონის ძე. ბაგრატს იმათთვის უწყალობებია ადგილები, „რომელთაც შენებაჲ შეეძლო“, ე. ი. ქალაქისათვის შესაფერი შენობების აგება შეეძლოთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალაქი აუშენებიათ სეფე-ზუარსა შინა. წარწერაში ნათქვამია, რომ „ავაშენეთ ქალაქი და დარბაზნი“. აქედან თითქოს ისე გამოდის, — ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — ვითომც დარბაზი ქალაქში კი არ იყო, არამედ მისგან დამოუკიდებლივ. მაგრამ ორივე მათგანი ერთსა და იმავე ადგილზე „სეფესა ზუარსა შიდა“ ყოფილა აგებული. გამოდის, რომ ქალაქი მოზღუდული ადგილის მნიშვნელობით არის ნახმარი და დარბაზი, თუმცა ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებული, მაინც ამ მოზღუდული ადგილს გარეთ მდებარე ნაგებობად არის ნაგულისხმევი. დარბაზი ამ შემთხვევაში არ უნდა გულისხმობდეს ქალაქის დარბაზს, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, მაგ., თბილისში ამირას დარბაზი. ქალაქში, ცხადია, უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი სახლები, მაგრამ ეს ფაქტი არ არის ნიშანდობლივი ქალაქისათვის. ქალაქის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქში იყო საქულბაქე ადგილები. მეფეს მიუცია „სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი“, რომელზეც აუგიათ ეს უკანასკნელნი. „ქულბეჰ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს სავაჭრო ადგილს, დუქანს. X—XI საუკუნეში იხმარებოდა ქალბუქი[101].

ქალაქის აშენებამდე ატენში ციხეც ყოფილა. ამაზე მიუთითებს ტერმინი ციხისთავი, რაც ციხის უფროსს ნიშნავს. ციხისთავთა ინსტიტუტი ძველია. იგი ჯერ კიდევ უძველეს საისტორიო თხზულებებში გვხვდება. ციხისთავი ერისთავთა-ერისთავის ქვეშეთ მოხელედ ითვლებოდა[102]. გრიგოლ ციხისთავი მირიან თარხონის ძის, რომელიც ერთ-ერთი წარწერით ერისთავთ-ერისთავად იხსენიე-

---

[96] M. Brosset, Rapports... VI, გვ. 22—23.

[97] Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 32.

[98] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1892, გვ. 206.

[99] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 8.

[100] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946, გვ. 32—35.

[101] იქვე.

[102] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 1, ტფილისი, 1928, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ყმად ითვლება[103]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ციხისთავებად იმ დროს ეპატარა ქალაქების უფროსები იწოდებიან. ის, რაც დიდი ქალაქისათვის ამირთ-ამირა იყო, პატარა ქალაქისათვის ციხისთავი ყოფილ[104]. ამ შემთხვევაში ქალაქის და ციხის უფროსი გაიგივებულია. ეს კი შესაძლებელია იმ დროს ყოფილიყო, როდესაც ქალაქში არსებული ციხე მისი დაცვის მთავარი პუნქტი იყო.

ატენის წარწერით გაფურკვეული რჩება მირიანის ვინაობა. ამის დადგენის საშუალებას იძლევა ვერეს ეკლესიის წარწერა.

ვერე[105]:

ᲩᲝ ᲘᲜᲯᲝᲓᲜᲝᲜᲯᲡᲜᲝ ᲨᲗ ᲣᲐᲜᲐᲠᲗ ᲯᲐᲠᲜᲔ ᲗᲪ ᲰᲔ ᲣᲑ ᲩᲔᲠ ᲐᲜᲜᲔᲜᲔ

„წმიდაო ღვთისმშობელო ვერისაო ადიდე ერისთავი მირიან და მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა“.

ვერეს ეკლესია მდებარეობს ტანის ხეობაში. რაც შეეხება მირიანს, ის საკმაოდ დიდი ფეოდალია. როგორც წარწერიდან ჩანს, იგი მთელი ტანის ხეობის მმართველი — ერისთავი უნდა იყოს.

ატენის წმ. გიორგის ეკლესიის ახლოს ნაპოვნი წარწერიანი ქვაც ამტკიცებს იმას, რომ ეს მხარე XI საუკუნეში სამეფოა. ეს ძეგლი გვაძლევს აგრეთვე დამატებით ცნობას მირიანის შესახებ.

ატენი[106]:

**№ 5. ᲰᲔᲝ Უ...ᲡᲣᲗ.....ᲨᲔᲜᲔᲛᲘᲗᲪᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲘᲝᲐᲜ...ᲘᲜᲘ ᲗᲪ ᲗᲣᲠᲣᲜᲔᲜᲔᲡ ᲓᲔ|ᲛᲝᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲗᲔᲠᲘ ᲓᲔᲜᲘᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲗᲔᲠᲗᲐ ᲰᲔᲠᲗᲐ ᲰᲔᲠᲗᲐ Ჰ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენდა ეს ინსტიტუტი და რა უფლება-მოვალეობის მატარებელი იყო—ქართული წყაროებით გაურკვეველია. ტანუტერი სომხური სიტყვაა (*տանուտեր*) და ნიშნავს მამასახლისს. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტანუტერი სოფლის მამასახლისი არ უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად ის აღნიშნავს, რომ გაურკვეველია ტანუტერი სოფლის მამასახლისის ტოლი თუ უფრო მაღალხარისხოვანი მოხელე იყოო[108].

ვერეს წარწერაში მირითანი ერისთავის წოდებით იხსენიება, ხოლო ატენიაში ტანუტერად. ეს გარემოება საფუძველს აძლევს ს. ბარნაველს ტანუტერის თანამდებობა ერისთავობის ექვივალენტად ჩათვალოს. ეს თითქოს იგულისხმება კიდეც ოპიზართა სიგელში ხელისუფალთა ჩამოთვლის დროსაც: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი. შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერთა და ყოველთა ქველისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ“[109].

აქ ხელისუფალნი დასახელებული არიან უფროს-უმცროსობის მიხედვით, ხოლო ტაოსი და კლარჯეთის ტანუტერნი დასახელებულნი არიან ერისთავთა შემდეგ. ე. ი. როგორც მნიშვნელობით მათზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი მოხელენი ან, რაც უფრო საფიქრებელია, როგორც ერისთავთა თანაბარი მოხელენი ტაოსა და კლარჯეთში[110]. „მატიანე ქართლისაჲ“ იხსენიებს ტაოელ ერისთავთ გორგი I-ის მეფობაში[111], თუ ტაოში არსებობდნენ ერისთავნი, საფიქრებელია, კლარჯეთშიც იქნებოდნენ ამავე თანამდებობის პირები. შესაძლებელია, რომ ისინი აქ ტანუტერის სახელს ატარებდნენ. ამ სომხური ინსტიტუტის არსებობა საქართველოში მეტად საყურადღებო ფაქტია. როგორც ს. ბარნაველი ფიქრობს, ამ თანამდებობის სომხური სახელწოდება შეიძლება იყოს ტაო-კლარჯეთის წინადროინდელი ნარევი მოსახლეობის ნაშთი[112]. ატენის ხეობის და ტაო-კლარჯეთის მმართველთა საერთო სახელის—ტანუტერის საფუძველზე ს. ბარნაველი ფიქრობს, რომ ამ სახელში აირეკლა პოლიტიკური ცხოვრების განვლილი საერთო ეტაპი, საერთო სამთავროში ყოფნა[113].

ამრიგად, ატენის ხეობა XI საუკუნის 60-იანი წლებიდან სამეფო და ადგილობრივ მმართველად აქ ერისთავია დაყენებული. ამ მხრივ ატენში თრიალეთის ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი. ნარატიული წყაროებითაც მტკიცდება ატენის სამეფო მფლობელობა. ბაგრატ IV-ეს და ლიპარიტს შორის წარმოებულ ბრძოლაში ლიპარიტის მომხრეებმა „ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხის უფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა“[114].

ატენის ხეობის კავშირი თრიალეთთან XI საუკუნეშიც არსებული. თუ აქამდე სამხრეთ საქართველოს მფლობელნი აწარმოებენ მშენებლობას შიდა ქართლში, ახლა, ეტყობა, ატენის ხეობის მოხელენი გადმოდიან თრიალეთში.

---

[108] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, ნაკვ. 1. ტფილისი. 1928. გვ. 202.

[109] საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 4.

[110] ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის ახალი წარწერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1946, გვ. 83—88.

[111] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი. 1942. გვ. 181$_{14}$.

[112] ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი. ატენის ახალი წარწერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 2, 1946, გვ. 83—88.

[113] იქვე.

[114] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1942, გვ. 185$_{28}$.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამაზე მიუთითებს წალკის რაიონში ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლი ზემოთ ჩამოთვლილ პირთა შესახებ. წარწერა მთთავსებულია ბარმაქსიზის ხიდზე[115].

ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲒᲚᲘᲗᲘ ᲗᲘ ᲨᲘᲠᲘᲜ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲜᲔᲪᲘᲗᲘᲗ ᲨᲔ ᲘᲠᲮᲘ
ᲨᲘᲗᲘᲠᲘᲜ ᲒᲘᲠᲘᲡ ᲗᲘᲡ ᲜᲘᲜᲔᲡ ᲡᲘᲗᲘᲠᲘᲗ ᲒᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲗᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲪᲘᲜᲔᲪᲘᲗᲘᲡ
ᲘᲠᲘ ᲡᲚᲘᲥᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲧᲐᲠᲘᲡ ᲛᲚᲘᲥᲘ ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲗ ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲪᲘᲜᲔᲪᲘᲗᲘᲡ

„სახელითა ღმერთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ, წმიდაჲ ეს ეკლესიაჲ, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისაჲ, სალოცავად, აკოცხლენ ღმერთმან, საგარეოს[116] (?) შინ[ა] ქამთას ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“.

წარწერა იმავე პერიოდისაა, რაც ატენის მოყვანილი წარწერები, ვინაიდან აქაც იხსენიება ბაგრატ მეფე სეკასტოსის ტიტულით. ვინაიდან ბარმაქსიზის ☆ლოს დიდი ეკლესიის არაეთარი ნაშთი არ არის. ექვ. თაყაიშვილის აზრით, წარწერიანი ქვა მოტანილი უნდა ‘იყოს მეზობელი სოფლიდან. სახელდობრ, გუნია-ყალადან. სადაც უნდა ყოფილიყო კათედრალური ეკლესია[117]. XI საუკუნის 60-იან წლებში თირიალეთი კლდეკარის ერისთავთა ხელშია. ს. ბარნაველის აზრით, ერისთავ მირიანის პირობენებში. ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ლიპარიტის მეტოქე, რომელიც ატენის ძველ მფლობელთა საგვარეულოს წევრი უნდა ‘ყოფილიყო. ის აყავშირებს კახას და მისი შვილის თარხუჯს გვარს მირიან თარხუნის ძის გვართან. IX საუკუნეში გვხვდება თარხუჯი, ხოლო XI საუკუნეში თარხუნი. ძველ წარწერებში „ო“-ნის და „უ“-ნის ალრეულად გამოხატვის გამო გარკვეეთ ოქმა ინაზა. თუ როგორ გამოთქმოდა ეს სახელი — თარხონ თუ თარხუნ —არ შეიძლება[118]. როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ეს და კლდეკარის მფლობელთა შორის წარმოებული ბრძოლა სპარლოოდ ლიპარიტის ღამარცხვით დამთავრდა. 1057 წ. ლიპარიტმა „გამოიღო თავისი ხუთსტაგი და ჩაიცუნა ჩოქანი“. ხოლო მისი შვილი ივანე „გაიპარა და წარვიდა სპერძნეთს, დაყუნა მუნ წელნი რაოდენნიმე“[119]. იგი დაბრუნებულა 1059 წ.. რასაც ადასტურებს კაცნის მონასტრისადმი შეწირული ხელნაწერი[120] და მიუღია „მამელი ორგულთისა და ქართლისა და მონებდა ერთგულობითა“[121]. შესაძლებელია ეს წარწერა გაკეთებული იყოს იმ დროს, როდესაც ივანე ლიპარიტის ძემ ალიარა მეფის ხელისუფლება. რაც შეეხება მირიან თარხონის ძეს, ის შესაძლოა მეფის მიერ ურჩ ერისთავთა საკონტროლოდ იყო აქ დაყენებული. ბარმაქსიზის ხიდის წარწერით მას გარკვეული უფლება ჰქონდა თირიალეთის მხარეზე.

ამრიგად, თრიალეთის წარწერები, გარდა საამშენებლო ხასიათის ცნობებისა, იძლევიან ჯერეთვე ცნობებს ამ მხარის პოლიტიკური ისტორიისათვის. უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელი ხდება მეტ-ნაკლებად დადგინდეს კლდეკარის საერისთავოში შემავალი ადგილები, სოფლები. მეორე მხრივ, ირკვევა, რომ

---

[115] Е. Такайшвили, Арх. экскурсии..., вып. IV. Тифлис, 1913, გვ. 67.

[116] სხვა წარწერების ანალოგიების მიხედვით მოსალოდნელი უნდა ‘ყოფილიყო „სიგრძეს“ („აკოცხლენ ღმ სიგრძესა შინა ქამთას ბაგრატ“...) ექვ. თაყაიშვილი კითხულობს „საგარეოს“ და მას თარგმნის როგორც—внешняя. т. е. земная жизнь.

[117] Е. Такайшвили, Арх. экскурсии..., вып. IV. Тифлис, 1913, გვ. 73.

[118] ს. ბარნაველი, ატენის ათაული წარწერები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IX. № 1—2, 1948, გვ. 33—38.

[119] მატიანე ქართლისაჲ. ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 190$_{31}$.

[120] Ф. Жордания, Описание рукописей церковного музея, т. II, გვ. 59.

[121] მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 190$_{33}$.

თრიალეთის მფლობელნი დამოუკიდებელ სამშენებლო საქმიანობას ეწევიან თავიანთ მიწა-წყალზე. თითქმის ყველა წარწერაში იხსენიებიან ადგილობრივი ფეოდალნი (ჭშირად როგორც მაშენებელნი), ხოლო საქართველოს მეფის სახელს კი არსად ვხვდებით. ეს გარემოება ადასტურებს კლდეკარის ერისთავთა განკერძოებით, საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობისაკენ მიმართულ პოლიტიკას. ერთი შემთხვევაა, როდესაც ადგილობრივ ფეოდალთან ერთად მეფეც იხსენება (ამშარლო). ეს წარწერა გაკეთებულია ბაგრატ IV-ის მეფობის იმ პერიოდში, როდესაც ლიპარიტი კეთილგანწყობილებაშია საქართველოს მეფესთან.

თრიალეთის ორ ეპიგრაფიკულ ძეგლში მოხსენიებულია ზვიად ერისთავი, ხოლო ერთ მათგანში აფხაზთა მეფე გიორგი. ჩვენი აზრით, ეს წარწერები შესრულებული უნდა იყოს ბაღუაშთა თრიალეთიდან განდევნის შემდგომ (989 წლის შემდეგ), როდესაც გიორგი I-მა აქ თავისი მოხელე ერისთავი ზვიადი დააყენა.

თრიალეთის მხარე დაკავშირებული იყო კლდეკარის გზით შიდა ქართლთან, რაც თრიალეთის მფლობელთ ატენის ციხის ხელში ჩაგდების საშუალებას აძლევდა. ბაღუაშთა დამარცხებისა და მათი თრიალეთიდან განდევნის შემდგომ დავით აღმაშენებლის მიერ ეს მხარე იქცა ჯერ სახელმწიფო მამულად, რომელსაც მეფის მოხელე — ერისთავი მართავს (ბეშთაშენი, ქვემო ჯინისი), ხოლო შემდეგ კი სამეფო დომენია (გუნია-ყალა)[122].

ეპიგრაფიული მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აგრეთვე ატენის ხეობის პოლიტიკური ისტორიის გათვალისწინება. VIII საუკუნეში ამ მხარეს მამასახლისი განაგებს (ვეკან ატენელის წარწერა); IX საუკუნის შუა წლებში იგი ადგილობრივი ფეოდალის ხელშია. X საუკუნის დასაწყისში ატენს ჯერ ბაგრატიონები ფლობენ, მერე კი ის ბაღუაშთა ხელში გადადის. მხოლოდ XI საუკუნის სახევრიდან იქცევა ატენი სახელმწიფო მამულად, რომელსაც ადგილობრივი ერისთავი — მეფის მოხელე მართავს. ამ ერისთავს ხელი საბრძოლ საქართველოზე მიუწვდება.

А. К. БАКРАДЗЕ

ЭПИГРАФИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ТРИАЛЕТИ И АТЕНИ КАК ИСТОЧНИК ИСТОРИИ

Резюме

Эпиграфические памятники Триалети и Атени дают нам интересные сведения о политической истории упомянутых местностей. На основании этого материала можно установить населенные пункты — села, деревни, входящие в состав Кдекарского эриставства. Как выясняется по эпиграфическим данным, владетели Триалети (Кдекарские эристави) вели независимую строительную деятельность в своих владениях. Почти во всех надписях упоминаются местные феодалы (часто как строители), в то время, как имена грузинских царей отсутствуют. Это еще раз указывает

---

122 ა. ბაკრაძე, XIII საუკუნის წარწერა გუნია-ყალადან, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1953, გვ. 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

на независимую политику Клдекарских эриставов, т. к. упоминание в надписях какого-либо лица служит потверждением власти данного лица в этой местности. Только в одном случае вместе с феодалом упоминается царь Баграт IV, и то эта надпись сделана в тот период царствования Баграта, когда между царем и Клдекарским эриставом временно устанавливаются мирные отношения.

В конце X века Клдекарские Эристави владеют также и Атенским ущельем. В 989 г. они вместе с Триалети теряют и Карталинские владения. С этого времени Триалети управляет эристав Звиад, который, по нашему мнению, является чиновником царя, назначенный им вследствие временного поражения Багуашов, т. е. местних феодалов.

После окончательного поражения Клдекарских эриставов Давидом строителем, эта область становится сперва государственной вотчиной, которой управляет эристав, а после царским доменом[123].

По эпиграфическим данным можно также установить политическую историю Атени. В VIII в. этим ужельем управляет мамасахлиси. В середине IX в. оно в руках местного феодала, в начале X в. им владеют Багратиони, а после оно в руках Клдекарского эристава.

Только с середины XI в. становится Атени государственной вотчиной, которой управляет местный чиновник царя — Эристав.

---

[123] А. К. Бакрадзе, Надпись XIII в. из Гунна-Кала, Вестник Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVII-В, 1953, стр. 225.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ციხკარიშვილი

ახალქალაქის დაკარგული წარწერის წაკითხვისათვის

ახალქალაქის წარწერა, რომელიც კარგა ხანია დაკარგულად ითვლება, ორჯერ არის გამოქვეყნებული: პირველად ივ. როსტომაშვილის[1], ხოლო მეორედ ე. თაყაიშვილის მიერ[2], რომელსაც წარწერის ფოტოსურათიც აქვს დაბეჭდილი. წარწერა ქვაზე ყოფილა მოთავსებული და ახალქალაქში ფერიცვალების ეკლესიის ეზოში დებული.

ქვას წინა მხარეს შუაში ჯვარი ჰქონია გამოსახული და ჯვრის აქეთ-იქეთ — წარწერა. როგორც ორივე გამომცემელი აღნიშნავს და ფოტოსურათიდანაც კარგად ჩანს, ქვის მომტვრევის გამო წარწერის მარცხენა ნაწილისაგან აღარაფერი ყოფილა დარჩენილი. მარჯვენა ნაწილი კი კარგად შენახულა.

წარწერას ე. თაყაიშვილიც ისევე კითხულობს, როგორც ივ. როსტომაშვილი, თუ არ მივიღებთ ბეჭდველობაში, რომ ე. თაყაიშვილმა აღადგინა ერთი ასო, რომელიც როსტომაშვილმა ვერ წაეკითხა, და ერთი ასოს წაკითხვაც შეასწორა. წარწერის გაშიფრვაში კი ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ივ. როსტომაშვილს არა აქვს გაშიფრული მეოთხე სტრიქონის პირველი ორი სიტყვა და. ამას გარდა, ე. თაყაიშვილმა აზრის მიხედვით აღადგინა ქვის მარცხენა, მოტეხილი ნაწილის სამი სიტყვა: ორი — პირველ სტრიქონში და ერთი — მეორე სტრიქონში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განსხვავება არსებითს არაფერს იძლევა.

წარწერა ექვსსტრიქონიანია. განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი ყოველი სიტყვის შემდეგ. ე. თაყაიშვილი მას ასე კითხულობს:

- - - ᲨᲘᲠᲯᲗ : ᲜᲗ : ᲒᲗ
- - - ᲜᲡᲢ : ᲨᲢ : ᲨᲐᲠᲘᲡᲣ
- - - ᲚᲐᲗᲮᲜᲔᲢ : ᲐᲗᲘᲢ :
- - - ᲨᲐᲮᲔᲡ ᲣᲔᲐᲩᲔᲚᲢ : ᲣᲗ
- - - ᲝᲒᲜᲔᲣᲨ ᲡᲜᲘᲢ : ᲨᲢ[3]:
- - - Ტ : ᲜᲨᲢᲚᲔ : ᲣᲗᲨᲜ:ᲘᲠᲜᲢᲠᲗ

„[Во имя Бога] построил сию святую [церковь]... в амиршасаларство... сыновей Гамрексли...в господство Рата...в моление за душу и Исдиага да помилует Бог амин"[4].

---

[1] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 25, 1898, გვ. 37.

[2] Е. Такайшвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, გვ. 22—25.

[3] ამ სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო ასო დ. როსტომაშვილს ვერ წაეკითხავს, ხოლო მეორე სიტყვის შუა ასო — ი შეცდომით ე-დ აქვს წაკითხული.

[4] Е. Такайшвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, გვ. 22—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. როსტომაშვილი არაფერს ამბობს წარწერის ხნოვანებისა და ადგილსამყოფელის მოხსენიებულ პირთა ვინაობის შესახებ.

ე. თაყაიშვილს ახალქალაქის წარწერა პალეოგრაფიის მიხედვით XI ს-ისად მიაჩნია და მასში მოხსენიებულ პირთა შესახებაც აქვს მოსაზრება გამოთქმული. წარწერაში მოხსენიებული რატი, ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, რატი III-ა, შვილი იმ ლიპარიტისა. რომელიც არა ერთხელ შეებრძოლა ბაგრატ IV-ს და ბოლოს ბერად შემდგარი ათონში გარდაიცვალა. გამრეკლები ჯერ კიდევ X ს-ში არიან ცნობილნი, ხოლო ისეიაგი ცნობილი არაა[5].

თორელთა გვარის გენეალოგიის საკითხთან დაკავშირებით ახალქალაქის წარწერას ლ. მუსხელიშვილიც შეეხო. მან წარწერის მნიშვნელოვანი ნაწილი ასე აღადგინა: „[ქ.] ალვაშენე ესე წმიდაი [ეფოფთასა თამარ]ასა და ამირ-ს[ასალარისა] გამრეკელისა ძეთა [და]—რატისა პატრონობასა შინა... „ცხადია,— ამბობს ლ. მუსხელიშვილი, — რომ წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი არის „დიდი გამრეკელი თორელი. სხვა ამირ-სპასალარს გამრეკელს ჩვენ არ ვიცნობთ. პალეოგრაფიულად წარწერა თამამად შეგვიძლია XII ს-ისად ჩავთვალოთ. კონტექსტიდან საფიქრებელია. რომ გამრეკელი ამ დროს უკვე გარდაცვლილია. ე. ი. რომ წარწერა 1190—91 წლების შემდეგაა გაკეთებული, როდესაც ჯავახეთს მისი შვილები ჰპატრონობდნენ"[6]. რატის შესახებ კი იქვე სქოლიოში აღნიშნავს: „რატი შეიძლება ქართლის ერისთავი რატი სურამელი იყოს, რომლის ხელი ამ დროს ეგება ჯავახეთსაც მისწვდებოდა, ან კიდევ მას შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში. მაშინ შეიძლება ნაკლული ადგილიც შეავსოთ: „....გამრეკელისა ძეთა [და ქართლისა ერისთავის] რატისა პატრონობასა შინა"[7].

სწორი უნდა იყოს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წარწერა 1190—91 წლების შემდეგაა გაკეთებული". მართალია ისიც, რომ ამირსპასალარს გამრეკელს მხოლოდ ერთს ვიცნობთ, მაგრამ არ არის უეჭველი, რომ ახალქალაქის წარწერაში ამირსპასალარი გამრეკელის ეპითეტია, როგორც ამას ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს.

წარწერის პირველი სტრიქონის მარცხენა დახიანებულ ნაწილში ლ. მუსხელიშვილს მხოლოდ ერთი ასო—ქ აქვს ნავარაუდევი, რაც ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია. მარტო ერთი ასოს გულისათვის წარწერის გამკეთებელი ჯვარის მარცხენა მხრიდან არ დაიწყებდა წერას. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ საშენებელო ხასიათის წარწერები ყოველთვის შემდეგი სიტყვებით იწყება ხოლმე: „სახელითა ღმრთისადამ", „დედაო ღმრთისაო", „ქრისტე შეიწყალე", ანდა „ამა წმიდისა" და სხვ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ პირველი სტრიქონის მარცხენა დახიანებულ ნაწილში ქ-ს გარდა ორი სიტყვა ჯინც სხვა იქნებოდა. მართალია, ამ შემთხვევაში პირველი სტრიქონის დაზიანებული ნაწილის აღდგენას დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის, რადგან არსებითს არაფერს იძლევა, მაგრამ ეს აღდგენა სიტყვათა რაოდენობის მხრი-

---

[5] Е. Такайшвили, Материалы по археологии кавказа, вып. XII, 1909, გვ. 22—25.

[6] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 64.

[7] იქვე, სქოლიო 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაა საინტერესო; ეს ერთგვარად დაგვეხმარება მომდევნო სტროიქონებში დაზიანებულ სიტყვათა რაოდენობის განსაზღვრაში[8].

მეორე სტროიქონის დაზიანებული ნაწილი ლ.მუსხელიშვილს ასე აქვს აღდგენილი: „მეფობასა თამარი“... რაც კონტექსტის მიხედვით გაუმართლებელია. პირველი სტროიქონი ასე მთავრდება: „აღვაშენე ესე წმიდაი“, და ამის შემდეგ მეორე სტროიქონს დასაწყისში ხომ იქნებოდა ნათქვამი სახელდობრ რა „აღვაშენა“. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მეორე სტროიქონის დასაწყისში იქნებოდა „აკლესიასა“. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ „სსა“-ს მიხედვით ისევე შეიძლება სხვა მეფეების სახელის აღდგენაც, როგორც თამარისა.

წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე სტროიქონის დაზიანებული ნაწილის აღდგენას. ლ. მუსხელიშვილი აქ მეორე სტროიქონის უკანასკნელი სიტყვის გადატანილ ნაწილს ფულისხმობს მხოლოდ, რაც ჩვენ ასოების რაოდენობით ცოტა გვეჩვენება. ამ სიტყვის მარჯვენა ნაწილი — „ამრსა“ უხმოვნოდაა დაკარაგმებული, უნდა ვიფიქროთ. მარცხნივ გადატანილი ნაწილიც ასევე იქნებოდა დაკარაგმებული— „სლრსა“, რაც პირველ და მეორე სტროიქონთან შედარებით მოკლეა. ამ სტროიქონებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღდგენის მიხედვით დაახლოებით ათი ასო მაინც მოდის, ამიტომ მესამე სტროიქონის მარცხენა ნაწილში ერთი სიტყვა კიდევ უნდა იყოს სავარაუდო, — ამირსპასალარის სახელი კონტექსტის მიხედვით. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, „ამირსპასალარი“ გამოკლილ ეპითეტი არაა.

მეოთხე სტროიქონის დაზიანებულ ნაწილში ლ. მუსხელიშვილს ნავარაუდევი აქვს—„და ქართლისა ერისთავის“, რაც მარჯვენა ნაწილის პირველი სიტყვის „რატის“-ად გაშიფრვის მიხედვით აქვს აღდგენილი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლ. მუსხელიშვილმა ახალქალაქის წარწერა თამარის დროით დაათარიღა და ამიტომ დასაშვებად მიიჩნია: შესაძლებელია მასში მოხსენიებული რატი ქართლის ერისთავი, რატი სურამელი იყოს, რომლის ხელი „ამ დროს ეგებ ჯავახეთსაც მიწვდებოდა. ან კიდევ მას შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონშიო“[9]. ლ. მუსხელიშვილის ეს მოსაზრება ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან „არტს“-ის „რატის“-ად წაკითხვა არაა სწორი, როგორც ამას ივ. როსტომაშვილი და ე. თაყაიშვილიც ფიქრობს.

ა ასო რომ ამ სიტყვას არ ეკუთვნოდეს და ის მარცხენა დაზიანებული ნაწილის უკანასკნელი სიტყვის მარჯვნივ გადატანილი ბოლო ასო იყოს, როგორც ამას ჩვენი ავტორები ფიქრობენ. მაშინ ის მომდევნო ასოსაგან აუცილებლივ ორი წერტილით იქნებოდა დაშორებული, როგორც ამას ყოველი სიტყვის შემდეგ აკეთებს ამ წარწერის ამომბეჭდელი, რაც მშვენივრად ჩანს ე. თაყაიშვი-

---

[8] მსგავს ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომლებსაც შუაში ჯვარი აქვთ გაკეთებული, როგორც წარწერის ორივე მხარის, ასევე ცალკე მხარის სტროიქონებს შორის ასოთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად ზუსტადაა ხოლმე დაცული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბოლო სტროიქონს, რომელიც ხშირად პატარა ანდა დიდია ხოლმე სხვა სტროიქონებთან შედარებით. ასე მაგალითად, ზედა ვარძიის წარწერის მარცხენა ნაწილში სტროიქონებს შორის მხოლოდ ერთი ასოთია განსხვავება (11—12 ასოა), მარჯვენა ნაწილში კი სამი ასოთი (8—11 ასოა). დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევა სხვა წარწერებიც. ჩვენი წარწერის გადარჩენილი მარჯვენა ნაწილის სტროიქონებს შორის ორი ასოთია განსხვავება (10—12).

[9] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები. თბილისი, 1941, გვ. 64. შენიშვნა 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიერ გადმოხატული წარწერიდანაც. წარწერის ბოლო სტრიქონიდან ცხნიდან მარჯვნივ გადმოტანილი ა ასოც მომდევნო სიტყვისაგან ორი წერტილითაა დაშორებული. ამიტომ, ეფიქრობთ, ა-ს მომდევნო ასოებს ვერ დავაშორებთ. ის ან სიტყვის დასაწყისი ასოა ანდა სიტყვა ორადაა გაყოფილი: ნაწილი ასოებისა მარცხნივ იქნებოდა და ნაწილი („არტს") კი მარჯვნივაა გადმოტანილი. კონტაქტების მიხედვით აქ, მართლაც, კაცის სახელი უნდა იყოს და, ეფიქრობთ, რომ მეორე შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, ე. ი. სიტყვა ორადაა გაყოფილი. მარცხნივ იქნებოდა „ლიპ" (ან „ლპ"), ხოლო „არტს" მარჯვნივ არის გადატანილი. ამიტომ მთელი სიტყვა ასე უნდა იქნეს წაკითხული — „ლიპარიტის".

წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესია აშენებულია გამრეკელის ძის ლიპარიტის „პატრონობასა შინა", ე. ი. ლიპარიტი ახალქალაქის მფლობელია.

ლ. მუსხელიშვილის თქმით, „სრულიად უდავოა, რომ XII ს-ის დამლევს თორელები ჯავახეთს ჰფლობენ"[10]. ასევე ჩანს XIII საუკუნეშიაც. მონღოლებმა საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფისას ისევე თორელებს დაუტოვეს ჯავახეთის[11]. 1259 წელს[12] ახალქალაქის ერისთავად, კახა, თორელი იხსენიება[13].

პალეოგრაფიულად ახალქალაქის წარწერა XII—XIII სს-ისად გამოიყურება. ეფიქრობთ, რომ იგი XII ს-ის მეორე ნახევარზე ადრინდელი არ არის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ მასში სიტყვა „ამირსპასალარი" გვხვდება. ეს სიტყვა კი, აკადე. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „პირველად მხოლოდ გიორგი III და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გვხვდება". ამაზე ადრინდელ ყველა წარწერაში კი მოხსენიებულია „სპასალარი", ხოლო სიტყვა „ამირსპასალარი" არა ჩანს[14]. ამიტომ ჩვენ წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტ გამრეკელის ძე XII ს-ის პირველი ნახევრის შემდეგაა საძიებელი.

XII ს-ის მეორე ნახევარში თორელთაგან ლიპარიტ გამრეკელის ძე არაა ცნობილი. იმ ცნობილ გამრეკელ-თორელს, რომელიც გარდაცვალებისას (1190—91 წლებში) ამირსპასალარად იხსენიება, ისეთი შვილი არა ჰყოლია, რომ ლიპარიტი რქმეოდეს: მის შვილებს ერთს შალვა ერქვა და მეორეს ივანე. ეს ის შალვა და ივანეა, რომლებიც ჩვენს ისტორიაში ახალციხელთა სახელწოდებით არიან ცნობილნი[15].

XIII ს-ში თორელთაგან ლიპარიტი მხოლოდ ერთია ცნობილი, რომელიც „1249 წელს იხსენიება"[16]. ეს ის ლიპარიტია, „რომელსაც დევისყურაცა ეწო-

---

[10] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 64.

[11] ქართველიშვილი, მარიამისეული ქართული ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 623.

[12] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 69.

[13] ქართველიშვილი, მარიამისეული ქართული ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 671.

[14] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწილი I, თბილისი, 1928, გვ. 141.

[15] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 62—67. ლ. მუსხელიშვილის ეს შესანიშნავი ნაშრომი სპეციალურად თორელებისადმია მიძღვნილი, მათი გენეალოგიის დადგენის ცდასთან დაკავშირებით, ამიტომ თორელებზე ჩვენ არ ვსჯრდებით.

[16] იქვე, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა"[17]. ქამთაალმწერელი არაფერს ამბობს, თუ ვისი ძეა ეს ლიპარიტი. ლ. მუსხელიშვილი სვამს კითხვას, „ხომ არ არის ეს ლიპარიტი გამრეკელ II-ის ძე"[18]. მართლაც, იმ გამრეკელ-თორელის ძე უნდა იყოს ეს ლიპარიტი, რომელიც მონღოლების შემოსევის შემდეგ რამდენიმეჯერ და უკანასკნელად კი ცნობილ კოტტასთავის შეთქმულებაში (1247 წ.) არის მოხსენიებული სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად[19]. ყველა ზემოთქმულის შემდეგ, მოსაზრების სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტი. ქამთაალმწერლის მიერ 1249 წლის ქვეშ მოხსენიებული ლიპარიტი უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ ახალქალაქის წარწერაში მოხსენიებული ლიპარიტი და 1259 წ. ქვეშ მოხსენიებული კახა თორელი ძმები იყვნენ. რკონის სიგლის („დაწერილის") მიხედვით კახას ძმები ჰყავს, ერთი მათგანს ასიბა რქმევია[20]. ახალქალაქის წარწერის მიხედვითაც გამრეკელს რამდენიმე შვილი ჰყავს, „გამრეკელისა ძეთა"-ო —ნათქვამია მასში და ჩამოთვლილიცაა მათი სახელები, მაგრამ, სამწუხაროდ, წარწერის გაფუჭების გამო, მხოლოდ ბოლო სახელი ლიპარიტი-ღა იკითხება. თუ ეს ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რომ კახა უფროსია ლიპარიტზე. რადგან ახალქალაქის ერისთავად ის იწოდება და ჩვენს წარწერაშიაც ლიპარიტი გამრეკელის ძეთა ჩამოთვლისას ბოლოშია მოხსენიებული.

ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის წარწერაში მოხსენიებული მეფე დავით ლაშას ძეა, ხოლო ამირსპასალარი—ავაგი, ანდა ზაქარია შანშეს ძე[21]. და წარწერა ასე უნდა იქნეს აღდგენილი:

„[სახელითა ღმრთისაჲთა] აღვაშენე ესე წმიდაი
[ეკლესიაი მეფობასა დავითი]სსა და ამირსპ[ასალარობასა
ავაგისა და] გამრეკელისა ძეთა [კახაჲ და ლიპ]არიტის
პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა და... ისდიაგს
შეუნდეენ ღმერთმან! ამინ".

უნდა დავასკვნათ, რომ, როგორც უნდა იქნეს აღდგენილი ახალქალაქის წარწერა, ერთი რამ უდავოა, მასში არ არის მოხსენიებული რატი. ამიტომ უნდა უარყოფილ იქნეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზემოაღნიშნული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს რატი სურამელს ხელი მიუწვდებოდა ჯავახეთზე ან იქნებ ადგილები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში.

---

[17] ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1900, გვ. 655.

[18] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 69.

[19] ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 634.

[20] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, თბილისი, 1897, გვ. 133—143.

[21] ქ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 624—641.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В. Г. ЦИСКАРИШВИЛИ

К ЧТЕНИЮ ПРОПАВШЕЙ АХАЛКАЛАКСКОЙ НАДПИСИ

Резюме

Ахалкалакская дефектная надпись, которая в настоящее время считается пропавшей, была издана дважды. В чтении и датировке этого эпиграфического памятника ученые не сходились. Находя, что в надписи упоминается «Рати», одни предполагали, что это есть Рати, сын известного Липарита, жившего в XI веке, а вторые — что это есть Рати, Эристав Картли. Исходя из этого, надпись датировали XI веком или временем царствования царицы Тамары (XII—XIII вв.).

Полагая, что в сохранившейся части дефектной надписи (правая сторона которой была отломлена) в четвертой строке вместо ᲠᲐᲢᲘ (Рати) надо читать [ᲚᲘᲞ]jᲐᲠᲘᲢᲘ (Липарит), мы иначе восстанавливаем всю надпись и получаем иное содержание, нежели то, которое вкладывали в нее другие исследователи. Так, этот Липарит, по нашему, никто иной, как Липарит Гамрекели-Торели, упоминаемый у хрониста под 1249 годом.

Таким образом, дата надписи, содержащей весьма важные исторические сведения, передвигается в XIII век.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XXB, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მეტრეველი

შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციას შავ მთაზე მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქვეულია, რომ უკვე VI საუკუნეში მთელს ქრისტიანულ აღმოსავლეთში განთქმულ სვიმონ წმიდის მონასტერში ქართველებიც მოღვაწეობდნენ: „სვიმონთან, როგორც მისი ზიოგრაფიიდან ვგებულობთ, ხშირი, მასობრივი მიმოსვლა ჰქონდათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში, რჩებოდა საბერძნისაზვნო მოღვაწეობისათვის"[1]. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. კ. კეკელიძე, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროისათვის ქართველები იქ უკვე ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, „ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ამ დროს აქ საზოგადოდ რაიმე ლიტერატურული მუშაობა წარმოებდა"[2].

არ არსებობს არც იმის საბუთი, რომ ქართველებს ამ დროს იქ საკუთარი მონასტერი ჰქონოდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, სარწმუნოებრივი მღელვარების საუკუნეში, როდესაც ერთმანეთს მძლავრად დაუპირისპირდა მონოფიზიტური და ნესტორიანული მწვალებლობა და როდესაც სირიელმა საქრისტიანო მწერლობამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია, ქართველთა მოღვაწეობა ანტიოქიის სანახებში და სვიმეონ წმიდის მონასტერში შემოხვევითი და ეპიზოდური ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს VI საუკუნეში ცამეტი სირიელი მამის საქართველოში ჩამოსვლა და სირიელი მწერლობის აშკარა გავლენის კვალი ადრეულ ქართულ სასულიერო მწერლობაზე.

VII საუკუნიდან სირია არაბებმა დაიპყრეს. თუ რამდენად ცხოველი იყო ამ დროიდან ურთიერთობა სირიასა და საქართველოს შორის, ამის შესახებ ჩვენამდე ცნობებს არ მოუღწევია. საფიქრებელია, რომ სირიაში ქართველთა მიმოსვლის ტრადიცია არც ამ საუკუნეებში შეწყვეტილა. მით უმეტეს, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა პუნქტებში, კერძოდ პალესტინაში, სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ძლიერი ქართული სამწერლობო კერა.

ქართული წერილობითი წყაროებით XI საუკუნის 30-იანი წლებიდან დასტურდება შავ მთაზე ქართველთა არა მარტო ცხოვრება, არამედ ქართულ მონასტრებში გაშლილი სამწერლობო მოღვაწეობაც.

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951, გვ. 76.
[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო ინ ახალმა ვითარებამ, რომელიც შეიქმნა X საუკუნის მიწურულში სირიასა და ბიზანტიაში.

ნიკიფორე ფოკას მეფობის დროიდან მუსლიმანთაგან ქრისტიანული აღმოსავლეთის განთავისუფლება ბიზანტიის იმპერატორთა საბრძოლო ამოცანად იქცა[3]. ნიკიფორე ფოკას მმართველობის უკანასკნელ წელს (969 წ.) ბიზანტიის ჯარებმა ანტიოქია დაიკავეს. ფოკას მომდევნო იმპერატორებმა კი არა მარტო დამკვიდრეს ფოკას მოპოვებული წარმატებები, არამედ გაიფართოეს კიდეც სამფლობელოები შემდგომი ომებით[4].

ნიკიფორე ფოკასა და იოანე ციმისხის დაპყრობით ომებს სირიასა და პალესტინისათვის სიმშვიდე არ მოუტანია, მაგრამ ამ დროიდან სირია მართლმადიდებლური ბიზანტიის მფლობელობისა და მფარველობის ქვეშ იყო, რაც, რა თქმა უნდა, გაადვილებდა ქართველ ქრისტიანთა მიმოსვლასაც აღმოსავლეთში, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ზავი დაიდვა ბასილი მეორესა და ეგვიპტის ხალიფას შორის: „В самом начале XI в. между императором и египетским халифом из династии фатимидов Хакимом был заключен мир. После того у Василия II до самого года его смерти (1025. — ე. მ.) серьезных столкновений с восточными арабами не было"[5].

მაგრამ ბასილი II-ის მეფობის დროს დამყარებული მშვიდობიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ბასილის გარდაცვალებით გამოწვეულმა არეულობამ კვლავ გაამხნევა აღმოსავლეთის მუსლიმანები და ხელ-ფეხი გაუხსნა მათ საომარი მოქმედების განახლებისათვის. XI საუკუნის შუა წლებში კი ბიზანტიას აღმოსავლეთში ახალი ძლიერი მტერი გაუჩნდა თურქ-სელჯუკების სახით, რის გამოც ბიზანტია იძულებული იყო შეტევიდან დაცვაზე გადასულიყო იმპერიის ყველა საზღვარზე. თურქ-სელჯუკები „1055 წელს, ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, განაგრძობენ შეტევას ბიზანტიის სამფლობელოებზე სირიაში, მესოპოტამიასა, მცირე აზიასა და სომხეთში, სისტემატურად არბევენ, ხოლო შემდეგ იპყრობენ მათ და ბიზანტიელებს ზღვისაკენ ერეკებიან"[6].

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიის უფლებები აღმოსავლეთში ყოველდღიურად იკვეცებოდა. ბიზანტიის დასუსტებული ჯარები ვეღარ იგერიებდნენ თურქ-სელჯუკთა შემოტევებს. 1073 წელს თურქების სირიაში ლაშქრობის დროს ანტიოქიის დუკი ისაკ კომნენი ტყვედ ჩავარდა[7], ხოლო 1084 წელს სულთანმა სულეიმანმა აიღო ანტიოქია და საბოლოოდ გააძევა იქედან ამ დროისათვის სირიაში ფეხმოკიდებული ყოფილი ბიზანტიის სევასტოსი, კილიკიის მთავარი ფილარეტი[8]. ამით დამთავრდა ბიზანტიის მფობელობის ხანა სირიაში. XI საუკუნის მიწურულიდან ჯვაროსანთა პირველი რაზმების გამოჩენით დაიწყო ახალი ხანა ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში.

---

[3] А. Васильев, Лекции по истории Византии, т. I, 1917, გვ. 283.

[4] იქვე, გვ. 285.

[5] იქვე, გვ. 286.

[6] შეა საუკუნეების ისტორია, ა. უდალცოვის, ე. კომინსკის და ო. ვაინშტეინის რედაქციით, ქართული თარგმანი, თბილისი, 1947, გვ. 225.

[7] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., 1884, გვ. 194.

[8] იქვე, გვ. 195. აგრეთვე Г. Г. Микаелян, История Киликийского государства, Ереван, 1952, გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, 969 წლიდან 1084 წლამდე ანტიოქია ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა. ანტიოქიის თემს, ანუ ეპარქიას, კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი დუკი მართავდა. ანტიოქია იყო ცენტრი, საიდანაც ვრცელდებოდა ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული გავლენა მის სამფლობელოებზე: „Антиохия была главным операционным базисом Византии в её военных предприятиях против Триполя и Халеба, и из нее как из центра, распространялось влияние Византии на Сарацинские владения в Сирии"[9].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზანტიის წარმატებებმა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ბასილი მეორის მეფობის დროს, ხელი შეუწყეს ქართველთა სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლებას შავ მთაზე. XI საუკუნის დამდეგიდან შავ მთაზე შენდება ქართული მონასტრები, ხოლო ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ მონასტრებში ფართოდ იშლება შემოქმედებითი მუშაობა.

ეფრემ მცირემ თავის მრავალრიცხოვან ნათარგმნ თუ ორიგინალურ შრომათა ანდერძებში[10] ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის ფასდაუდებელი მასალა შემოგვინახა შავი მთის სამწერლობო კერის ისტორიისათვის. ეფრემ მცირე და მისი მოძღვრები თუ შეგირდები, თანამოღვაწენი თუ თანაშემდგომნი—კირილე ბერი, საბა თუხარელი, ეფრემ ოშველი, იოანე მთვარაანსძე, ანტონ ტბელი, გაბრიელ ჭულეველი, იოანე ფარნაკელი, საბა მღვდელი, არსენ იყალთოელი, კალიპოს წინამძღვარი ბასილი — ქმნიან შავ მთაზე ძლიერ ფილოლოგიურსა და ფილოსოფიურ სკოლას, ამკვიდრებენ ქართულ მწერლობაში მოწინავე ფილოლოგიურ მეთოდებს.

ეფრემ მცირის შესანიშნავი სკოლის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო XI საუკუნის პირველი ნახევრის შავი მთის ქართულმა კოლექტივმა, რომლის მუშაობას წარმართავდა გიორგი მთაწმიდელი.

ათონის ქართული კოლონიის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი მთაწმიდელმა შავ მთაზე თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის დროს შემოიკრიბა ახალი შემოქმედებითი ძალები, დააკავშირა შავი მთა ივერიის მონასტრის ქართულ კერას და ამით მისცა მას გარკვეული მიმართულება.

ივერიის მონასტრის ქართველთა კოლონია X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის პირველ ნახევარში უძლიერესი სამწერლობო კერა იყო. ამ დროის მანძილზე ათონზე აღიზარდა ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი თაობა. ივერიის მონასტრიდან ვრცელდებოდა ქართული და ბიზანტიური მწერლობის უკანასკნელი მიღწევები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებში. შავი მთის ქართველთა მცირერიცხოვანი კოლექტივიც ხანგრძლივად იმყოფებოდა ივერიის მონასტრის კულტურული გავლენის ქვეშ. გიორგი მთაწმიდელის მოძღვრის გიორგი დაუუდებულის სიტყვით, „ხიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოჲთა წიგნითა მაგის წმიდისა ადგილისაგან განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ღმერთმან ახლად მანდეთ შეამკვნა"[11].

---

[9] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., 1884, გვ. 420.

[10] ეფრემის ანდერძები თავმოყრილია თ. ჟორდანიას წიგნში: ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1893, გვ. 217—234.

[11] Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ნაწ. I, გვ. 45. პროფ. კ. ტყეშელაშვილ გამოარკვია, რომ ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ამ სიტყვების შემცველი ანდერძი გიორგი დაუუდებულს ეკუთვნის. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951, გვ. 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვათა თქუენთა, რომელნი-ესე ამას წიგნსა ქსენებულ ვართ და ჩუენ არღარა ქელგუეწ-ფებოდის აღმოკითხვად, ვითარცა ჩუენსა პირველთა წარსულთა მამათა და ძმათა.

და ესე ჭეშმარიტად უწყი და ვერ დავარწმუნე სინანული განლეგებულსა გულსა ჩემსა, და სძლია მარცხენითმან სასწორმან და დღითი-დღედ დამძიმ-დების. ამისთჳსცა კუალადცა გეეედრები, მითხოვეთ ლხინებაჲ...“ (გვ. 103).

დავით ჯიბისძის ესა გამოირჩევა თავისი ლაკონიური და ნათელი სტილით. როგორც ვხედავთ. ამ მცირე ზომის ანდერძების მიხედვითაც კი დავით ჯიბის-ძე წარმოგვიდგება როგორც მწიგნობრობისა და წიგნის დიდი დამფასებელი, ღრმა და განათლებული პიროვნება, რომელიც შესანიშნავად გრნძობს ქართული სიტყვის სიღრმესა და სილამაზეს. ის ქართული სიტყვის ოსტატი.

ქართული ხელნაწერების ანდერძები ერთი უძვირფასესი წყაროა არა მარ-ტო ხელნაწერის ისტორიის შესასწავლად, არამედ ძალიან ხშირად იმ ისტო-რიული და კულტურული ვითარების შესასწავლადაც, სადაც იქმნებოდა ესა თუ ის ხელნაწერი.

ხელნაწერის ანდერძები სხვადასხვა ტიპისაა. ერთი ჯგუფი ანდერძებისა, რომელიც უმთავრესად იწერებოდა მთარგმნელებისა ან ავტორის ძიერ, ჩვე-ულებრივ შეიცავენ ცნობებს ამა თუ იმ ძეგლის თარგმნის ისტორიიდან; ამჟღა-ვნებენ ამ ძეგლისადმი ავტორის დამოკიდებულებას და ამასთან დაკავშირებით მის ისტორიულსა და ლიტერატურულ თვალსაზრისს. ამ რიგის ანდერძებით ხშირად ვეცნობით იმ სიძნელეებსა თუ ხელშემწყობ პირობებს, რომლებიც ანდერძის ავტორს ხვდებოდა მუშაობის პროცესში. ამგვარ ანდერძებს ურთავ-დნენ თავის შრომებს მიქაელ მოდრეკილი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვები. ამ ტიპის ანდერძები თავისი ში-ნაარსითა და დანიშნულებით ავტორის წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაო-ბას უდრის.

დავით ჯიბისძის ანდერძი, მიუხედავად იმისა, რომ ის ხელნაწერის მომ-გებლის ანდერძს წარმოადგენს, თავისი კომპოზიციური ორიგინალობით, ლი-რიკული წიაღსვლებით, პოეტური თქმებით და ეგზეგეტიკის მნიშვნელობის ზოგადი განმარტების ფონზე „ფსალმუნთა თარგმანების“ როგორც ლიტერატუ-რული მოვლენის შეფასებით, რა თქმა უნდა, სცილდება ჩვეულებრივი ტიპის ანდერძებს და უახლოვდება ანდერძების იმ ჯგუფს, რომელსაც ქმნიდნენ ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი. ეს კი მოწმობს დავით ჯიბისძის არა მარტო ფართო განა-თლებას, არამედ შემოქმედებით უნარს. მოვლენების ანალიზისა და შეფასების უნარს. ძნელია იმის დაშვება, რომ ასეთი ადამიანი არ ყოფილიყო ჩაბმული მწიგნობრულ და შემოქმედებით მუშაობაში.

ივანე ჯიბისძის გადაწერილი სვინაქსარის ერცელი ანდერძი საგრძნობლად განსხვავდება დავით ჯიბისძის ანდერძისაგან პირველ რიგში იმით, რომ აქ ავ-ტორი არ გამოდის გადაწერის ანდერძის ფარგლებიდან. ივანეს ანდერძი შედ-გება ანდერძისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტისგან: ღვთაების შექება, მოხსენიება და შექება მომგებლისა, ცნობები თავის თავზე, გადაწერის ადგილისა და თარიღის აღნიშვნა, მაგრამ ამავე დროს მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ეცეს შესაფალის დიდი მოცულობა. საღვთისმეტყველო შესავალს ივანე ჯიბისძის ანდერძის თითქმის ორი მესამედი უკავია. ფაქტი-ურად ეს შესავალი წარმოადგენს ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირის დოგმატიკური ხასიათის ნაშრომს სამების ერთარსების შესახებ[42]. ცხადია, ეს ანდერძიც განსწავლული მწიგნობრისა და დახელოვნებული მწერლის ხელიდანაა გამოსული.

ამგვარად, დავით და იოანე ჯიბისძენი შატბერდის შესანიშნავი კულტურული კერის ღირსეული წარმომადგენლები არიან. მათი სახით შატბერდის კოლექტივმა კარგად შერჩეული კანდიდატები გააგზავნა შავ მთაზე ძელი ცხოველის ეკლესიის ასაშენებლად და იქვე ახალი მწიგნობრული კერის შესაქმნელად.

აბ გზით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა დიდებული შატბერდის ლავრის მწიგნობრული ტრადიციები შავი მთის ქართულ საკანებში.

დამატება

იოანე ჯიბისძის ანდერძი[43]

[450v] რამეთუ ერთარსებაჲ საკჳრველი სამებაჲ გურწამს და აღვიარებთ: მამაჲ უშ/[2]ობელი, ღმერთი სრული, ძე შობილი მამისაგან, ღმერთი სრული და სული წმიდაჲ, მომცემელი მადლთაჲ. მარადის ღმერთი/[3]სრული ერთღმრთეება, ერთბუნება, ერთნება სამსახეობისაჲ სრული, ხოლო **რაჲოდენი რაჲ/[4]არს** [არსებ]... [მ^ღრსა]... ბ^ნი შემსწველელ [იყოს] ღმრთეებისა, ვითარ რაჲ არს/[5] ჴეშმარიტად [გამოთქუმად]: ღმერთი ყოველსა ნათელ არს და ყოველთავე მსჱნელ, და ყოველთავე მხეფ/[6]ველ; ყოვლისასვე, რაოდენცა არს, ყოველივე ძალ არს, ყოველივე სიბრძნე არს, სული ცხოველი, ცეც/[7]ხლი შემწუველი, განუზომელ, უცვალებელ, სიმდიდრე, სიკეთე უშსგავს. საკჳრველ, მიუწუ/[8]ველელ გონებითა და ზრახჳითა, გარეშე ყოველთა სიტყუჲთა; არა თუალითა სახილველ, /[9]არცა მოგონებათა გულისათა შეუძლონ მიწჳვნად რაჲსა, ცანი ყოველთავე და სოფელი ყოველითურთ, /[10]და ცის კიდეთა ყოველთა ზე აპყრობაჲ ვერ შეუძლონ.

და სიტყუჲსა მისსა ზ**ჱ** უტ^ჯრთავს და/[11]უპყრიეს ყოველი და ძალსა ბრძანებისა მისისასა დამოჰკიდავს [და დგას]. თ^ჳთ და[3]ხუევიეს /[12]ყოველსა ქუესკნელსა და ზემო ყოვლისა, გარეშე ყოვლისა და ყოველი მის თანა არს, და ყოველივე მისა, და ყოველი /[13]დიდებასა მისსა. ვითარცა იტყჳს ნეტარი მოციქული პაველ**ჱ**: რომელისა მიერ ყოველი არს და ყოველი მის მიერ, რამეთუ ღმერთი ἐσὰ 451r]/[1] უწ^დრომელ და განუზომელ და განუყოფელ და გამოუძიებელ და შეუხებელ; და ვერ/[2]გულისხმის-საყოფელ არს ყოველთა დაბადებულთა, გამოუჩინებელ ხილვად და [საცნობელ] ყოველთა. /[3]და სახე მისი არავინ ცნა. და არავინ არს მისსა უწ^ინარეს სხუაჲ, რომელმან მიერითგან მოაქც�/[4]დე მას სახელს-სდგას, რამეთუ ყოველივე მის მიერ არს, ხოლო იგი თ^ჳთ თავადი

---

[42] ანდერძების ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლები, რომლებიც დოგმატიკური ტრაქტატების ხასიათს ატარებენ, დამახასიათებელია სირიელი წარმოშობის ხელნაწერებისათვის (იხ. P—3). ჩვენი აზრით, ეს უნდა აიხსნას მწერალ-ბერებისთან იმ გამწვავებული სარწმუნოებრივი ბრძოლით, რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში ხანგრძლივი დროის მანძილზე.

[43] ხელნაწერი H-2211. ანდერძის ტექსტი მეტად დაზიანებულია. ¹ის ადგილები, რომლებიც სრულიად არ იკითხება, მრავალწერტილითაა აღნიშნული. გადასული ადგილების საკარაუდო წაკითხვები ყვადრატულ კავებშია მოთავსებული. ტექსტში ვიცავთ სტრიქონების რიგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს ..ს დაუსა/[5]ბამო, გარე-შეუწერელ, ყოველთა შეუძლებელთა მეფეთ-მეფ-ლებაჲ;...ების.. აწ ყოველსა /[6]შემოქმედმან ღმერთმან, ყოველსა დამბადებელ-მან, ყოველსა მბრძანებელმან, ყოველად მეცნიერმან, ყოველსა მპყრობელმან, [ყოველსა] /[7]ბოვნერმან, ყოველად მკურნალმან, ყოველად სიბრძნემან. რაჟამს ეტყოდა ყამად-ყამადი [ღმერთი] მამათა ჩუენთა /[8]ჩუენებათა შინა გამოოუთქუმ-ელთა, მოუგჳლელებ[ე]ლთა ცვალებათა მართალთა მიმართ საშინელებისაგან, /[9]დაი-ფარის თჳთ, რათა ღმერთებისა ესენი მახლობელ ყვნეს, არა თუ ვითარ ..[ებას], /[10]ანრამედ ჩუენსა ამის უძლურებისაებრ კაცთა ხატად და ანგელოზთა მსგავ-სად ეჩუენის, რათა გო/[11]ნებითი [და ნებითი შემძლებელ] იქმნენ წმიდანი იგი ხილვად მისა და თჳთ [ძესა ღმრთეებისა] /[12]ჰგიე[ს] და... ცოცხალსა განსაჯ[ა]რებელსა სიკეთესა და შუენიერებასა. ქებულსა ღმრთეება/[13]სა, ხატსა, რომელი იგი გამოეცხადა ზრახვითა მით მართალთა მათ მამათა ჩუენთა და ეტყოდა [მართალ]/[14]თა სულთა წმიდათა. და ეხარა სოფელსა წმიდათა მიერ წინაჲსწარ-მეტყუელთა და ნეტართა მიერ მოციქულთა, /[15] რომელთა მიერ ვისწავეთ თავეუუანის-ცემაჲ ერთარსებისა სამებისაჲ.

და მოგუეცა ჩუენ სიმტკიცე /[16]სარწმუნოებისაჲ. რათა სარწმუნოებით ვეგ-ნეთ ჭეშმარიტებასა: ერთ ღმერთ, მამაჲ და [სული წმიდა]..., /[17] ყოველსა მხოლოდ შობილი ძე, რომელი მამისა მიერ და მამისა თანა და მამისა მიმართ და [წმიდისა სულისა], /[18]რომელ არსებისა მისისა მიერ და ერთობით ყოველი შეიქმნა. რომელ არს ერთი უფლებაჲ, [ერთი ძალი], /[19]ერთი ფლობილებაჲ, ერთი კელმწიფებაჲ, ერთი პატოსაჲ. ერთი სიმდიდრე, [ერთი] /[20]მეცნიერებაჲ, ერთი დასაბამი ძლიერებაჲ, ერთი სამებაჲ სრული, ერთი ნებაჲ სრული გამო-უთქუამელისა /[21]და გამოუძიებელისა ერთის ერთობისა სამებისაჲსა, ერთარსებაჲ, ერთბუნებაჲ, ერთი /[22]ღმრთეებაჲ], მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ, სახელი და ერთი ძალი ღმრთეებისაჲ, /[23]რამეთუ ზესკნელნიცა იგი ძალნი დაადგენენ და იტყჳან: - წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს. სამგზის «წმიდაარსი» თქჳან და /[24]ერთჯერ «უფალსა», რამეთუ ერთ არს უფლებაჲ წმიდისა სამებისაჲ.

[ᲗᲮᲣᲓᲐᲕ] ერთობასა მას სამებასა /[25]ჭეშმარიტსა? და არათუ თჳ ს-თჳს ღმერთთა ვიტყჳთ, რამეთუ არა სხუა და სხუა არსებისაგან /[26]არიან და არა ითქ-უმის კუალად ერთ ხოლო, რაჲთა არა ჰურიათა და საბელიანთა [გონებისა მი...]

[v] /[1]... მას სამებაჲ თავადი და ერთარსებაჲ და არა ვიტყჳთ /[2]...მეუფეთესანო, ჩუენ წარმართთთა, რომელნი-იგი მრავალსა ღმერთსა /[3]... ჭეშმარიტისა სარწმუ-ნოებისაგან მიაქციეს, და მიდრკეს იგინი /[4]...ნა ძეთჳსი სოფლად, რომელი მო-ვიდა და იშვა დედაკაცისა მ[უცლით] /[5]... წმიდისა სულისაგან თჳთ ძე მოვიდა და იშვა ქალწულისაგან, [თჳთ...] /[6]...[დაგ]ა] უნდა მსგავსად სიტყჳსა, ვითარმედ ფლობაჲ მაქუს დადებად /[7]...[და ფლობაჲ] მაქუს. მერმე აღებად მისა მოვიდა და აღასრულა /[8]...[მომავლინებელისა] თჳსისაჲ, მსგავსად სიტყჳსა მის, რომელ თქუა: მოვედ აღსრულე/[9]ბად [სიტყჳსა] მომავლინებელისა ჩემისა მამისა, რათა გჳ ჩუენოს ჩუენ ერთობაჲ იგი /[10]...გასუშორებელი და განუყოფელი.

/[11] ამა [სარწმუნოებითა] სამებისაჲთა და სასოებითა უკუდავისა მის ცხორ-/[12]ებისაჲთა ჯელ-ეყავ] აღწერად და გასრულებად მე, უძლურმან /[13] კორციათა და დაკსნილმან სულითა ი ვ ა ნ ე, მომადლებითა მხოლოჲსა /[14]... [სკმილისა!]... დასა-ბამისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს /[15]... მეცნიერე-ბისა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ და მისა მიმართ მეოხებითა უმე/[16]ტეს კურ-თხეულსა დედოფლისა ჩუენისა წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალ-წულისა /[17]მარიამისითა], ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაჲთა /[18] და მეოხებითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთაჲთა და ყოველთა დასთა განწყობილთა /[19] ზეცისა უკორცოთაჲთა. მადლითა და შეწევნითა წმიდათა დიდებულთა ქე/[20]რობინთა და სერაფინთაჲთა, თავითა მის წინაჲსწარმეტყველთაჲსა წმიდისა წინამორბე/[21][დისა იოვანე ნათლის]მცველისაჲთა, უხითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა. ღირსთა მღდე/[22]ლთ მოძღუართა, აწოვანთა მოწამეთა, და სანატრელთა მამათაჲ და ყოველთა წმიდათა[ჲთა], /[23][რომელნი სათნო] ეყვნეს წმიდასა [სამებასა] და სათნო მისა არიან, რომელთა შეამკეს /[24][სამკაულითა] ღმრთის მეცნიერებისაჲთა. ამათ ყოველთა მეოხებითა /[25]... დიდების ხ...ნი [დაი]დგა დედამან ჩუენმან კათოლიკე ეკლესიამან. მარად ჟამად ჰყოფს ჭსენებასა უფლისა[სა] და მადლითა აღმავსებს შვილთა თჳ სთა.

[452r][1] უცხოებით მწირობასა შინა ჩემსა დავნუსხე ესე სჴნაწსარი [სალოცავად] /[2]ჩემ მიერ ტყუე-ქმნულისა საწყალობელისა სულისა ჩემისა, [მოსაკუნებელად] /[3]და სალოცველად შემდგომად ღმრთისა შემოქმედისა და ღმრთეებრ მწყალობელისა ჩემ მიერ... /[4]ლისა და წინაშე ღმრთისა დაშჯელისა, ტკბილისა მშობელისა, მოძღურისა და მამისა /[5]ჩემისა დ ა ვ ი თ ჯ ი ბ ი ს ძ ი ს ა, რამეთუ იგი არს მოქმედი და იგი არს მიზეზი [ყოვლისა] /[6] ჩემ ზედა კეთილისაჲ. სალოცველად სულისა მშობელთა მისთა ი ო ა ნ ე ს ი ს ა და [შუშანისისა][7] და სულისა მშობელთა ჩემთა, ძმათა, დათა და ყოველთაჴ სთა ჩემთა [ჲსა, ცოცხალთა] /[8] და მიცავლებულთა, და ყოველნი. რომელნი ამას წიგნსა თანა [შემწე არიან] /[9] სიტყვით და საქმით, მათ ყოველთა სალოცველად.

/[10] ხოლო დაინუსხა წმიდაჲ ესე წიგნი წინამძღუარი ეკლესიისაჲ უცთომელ /[11]ად მომთხრობელი ღუაწლისა წმიდათაჲსა ქუეყანასა ა ს უ რ ა ს [ტ ა ნ ი ს ა ს ა, სანახებ]/[12]ა წმიდისა ᲮᲛ ე ო ნ ᲮᲙᲠ ე ე ლ თ მ ო ქ მ ე დ ი ს ა ს, საზღვართა [ა ნ ტ ი ო ქ ი ს ა თ ა, დიდ]/[13] ბულსა, სახელ-განთქმულსა და ცრემლთა ნაკადულითა მორ[წყულსა] ...[მონაზონს]/[14]თა სიმრავლითა განშუენებულსა რ ო მ ა ნ ს წ მ ი დ ა ს, საყოფელსა [წმიდისა ღმრთის მშო]/[15]ბელისასა. მამობასა მ ი ქ ა ე ლ ᲗᲥ ე ᲛᲚ ᲝᲑ ᲘᲚ ᲘᲡ Ა, რომელი-იგი მექმნა მიზეზ [ამი]/[16]სა. მუნ იყო დედაჲ უცთომელი და მართალი. უფალმან ღმერთმან [სასყიდელი ზეცისაჲ]...

/[17]ყოველთა ლოცვა ყავთ გ ა ბ რ ი ე ლ ი ს თ ჳ ს, ი ა კ ო ბ ი ს მოწაფე [ყოფილისა]. [რამეთუ] ...[ცოდვილისა] /[18]ქველითა ჩემითა იწერებოდა. არამედ თანამზრუნველობითა და [თანა შემწეობითა]... /[19]რომელი ეგზების ᲡᲘᲧᲣᲐᲠᲣ ᲚᲘᲗᲐ Შ ᲐᲢᲑ ᲔᲠ ᲓᲘᲡᲐᲗᲐ, ვითარცა [ცეცხლითა]. და მოქადულ [არს]/[20]მატბასა მისსა ზედა სულიერისა მის და ᲭᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘᲡᲐ ცხორებისა...

/[21] ხოლო კუალადცა გეკედრები,—ᲭᲡᲚᲔᲑᲔᲣᲚᲗᲐ ვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა—, Ჭ ნათესავნო, მო/[22]მავალნო და აღორძინებადნო. გქონდინ ᲭᲡᲚᲔᲑᲐᲐ ჩუენ წარსულთაჲ ამათ [წარმა]/[23]ვალთა და დავიწყებადთა, რათა ერთობით ვადიდებდეთ მამასა, ძესა და [წმიდასა სულსა] /[24]აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

/[25]ხოლო ითარგმნა ბერძენთა ენისაგან ქართულად გ ი ო რ გ ი ს მიერ, რამეთუ დიდითა შრომითა და ხარკებითა /[26]... ათარგმნია მოძღუარმან მისმან გ ი ო რ გ ი დ ა ყ უ დ ებ ᲣᲚ ᲛᲐᲜ. მოიღო მ თ ი თ წ მ ი დ ი თ [ვ] /[1] ...[ყოველთა] მონასტერთა, რომელთა ნამუშაკევი მოი/[2]...

ყოველთა გეკედრები, ვინცა სწერდეთ, ნუ სცეა/[3]ლებთ [სიტყ]ᲕᲣᲐᲗ, გინა თუ წერტილსა, რამეთუ ამისა [პირი]ᲗᲐᲗᲬ /[4]... ვედრებულ იყო. სახელებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად უცხოები და ძნელ /[9]... ჰპოოთ, დასწერდით; მე ვითა მიპოვნია, დამიწერია. და /[6]...[ვნით] შემიწამება, რამეთუ იქმნუ ვის გაქუს. ესე სახე /[7]...[ბლ]... არსო. და გ ი ო რ გ ი მ ა ო ر შ ე მ ნ ე ლ ი ს ა თ ვ ს ლოცვა ყავთ /[8]და [ულადცა] გეევდრები, ლოცვა ყავთ დ ა ვ ი თ ჯ ბ ი ს ძ ი ს ა თ ვ ს და შმობელთა /[9][მისთა] ი ვ ა ნ ე ს თ ვ ს, შ უ შ ა ნ ი ს თ ვ ს, ძმისა მისისა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს თ ვ ს /[10]... თ ა თ ვ ს.

/[11]...ლოცვა ყავთ ამისა მწერლისა ი ვ ა ნ ე ს თ ვ ს, /[12]მშობელთა ჩემთა. გ ა ბ რ ი ე ლ ი ს თ ვ ს და [მ ა რ ი ე მ ი ს თ ვ ს] და ძმათა ჩემთა /[13]... გ ი ო რ გ ი ს თ ვ ს და დ ა ვ ი თ ი ს თ ვ ს და დისა ჩემისა შ უ შ ა ნ ი ს ა.

/[14]ბრძანებითა მამის ძმისა ჩემისა დ ა ვ ი თ ი ს ი თ ა დიდვა წმიდაჲ ესე /[15][წიგნი] მის მიერვე აშენებულსა ეკლესიასა, საყოფელსა წმიდისა /[16]ძ ე ლ ი ს ა ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ს ა. სამსახურებელად ყოველთა წმიდათა და სამო/[17][ძღურებლად]. ვინ აქა იყოს, არავის ჭელწოფების წაღე/[18][ბად, ვიდრემდის ესე] ეკლესიაჲ იყოს და შიგან [კაცი]. და რაჲ ესე ეკლესიაჲ /[19]არა იყოს და შიგან კაცი არა იყოს, მაშინ [წიგნნი] ამის ეკლესიისაჲ შ ტ ბ ერ/[20]დისა დიდსა ეკლესიასა დაისხნენ. და თუ კუალად ვინმე გამოუჩნდეს ამას/[21]ვე ეკლესიასა, კუალადვე აგნენ. კუალად რაჲ ესე ეკლესიაჲ ვინმე განახლოს, /[22]მაშინცა არავის ჭელწოფების გამოკუებაჲ. და ვინ გამოაკუას /[23][ესე] წიგნი ამას წმიდასა ძ ე ლ ს ა ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ს ა, ესემცა წმიდაჲ ძელი ცხორებისაჲ /[24][არს] მოსაჯული წინაშე ღმრთისა, რომელმან მას ზედა ჭელნი განიპყრნა და საღმრთოჲთა /[25][მით სისხლითა] სხურებაჲ ყო ძელი ესე ცხორებისა ჩუენისაჲ, ამენ.

II

ზ ა ვ ი თ ჯ ი ბ ი ს ძ ი ს ა ნ ა ნ დ ო ბ ა[44]

[255r] ფრიადი კეთილი კაცთმოყუარისაგან კაცთა და მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს: მ ზ ჱ და მთოვარე კორცთა ჩუენთა საქმარად დაბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუმადლნა, რომლისთჳსცა წმიდაჲ ფსალმუნი დავითისი თავი არს და პირი ყოველთა წიგნთაჲ, შემამკობელი ყოველთა მორწმუნეთაჲ, რომელსა გალობდა დავით ათ ძალითა მით ფსალმუნისაჲთა და წ ̄ ტ ̄ ყ ̄ ლ ̄ ბ ̄ ი ̄ თ მოასწავებდა მისლვასა ძისა ღმრთისასა ქუეყნად და განჭორაციელებასა წმიდისაგან ქალწულისა. ვითარცა იტყჳს: გარდამჭედეს, ვითარცა წ ̄ ჳ ̄ მ ̄ ა ̄ ჲ ̄ ნ ̄ ს ̄ ბ ̄ ი ̄ ს ̄ ზ ̄ ე ̄ დ ̄ ი ̄ ა ̄ ზ ̄ ე ̄ და ვითარცა ცუარი რაჲ ცურინ ქუეყანასა ზედა და შემდგომი ამისი.

და კუალად თქუა: წ ̄ ი ̄ ნ ̄ ა ̄ ზ ̄ ე ̄ ყ ̄ ო ̄ ს ̄ ი ̄ ა ̄ ყ ̄ ო ̄ ფ ̄ ე ̄ ლ ̄ ი ̄ ა ̄ ზ ̄ ე ̄ ა ̄ ბ ̄ ა ̄ ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა მისისაჲ, და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაჲ არა არს დასასრულ.

და კუალად თჳთ თავადი ეწამა დავითს: ვპოვე დავით მონაჲ ჩემი და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას, რომლისათჳსცა სულითა წმიდისა წუევნითა იტყოდა გალობასა ამას სულიერსა შესხმასა ღმრთისასა და განშუენებასა ყოველთა წიგნთასა, რომელ არს მოძღუარი ყოველთა მოძღუართაჲ და მასწავლელი ყოველთა ახალ მოსწავლეთა. რომლისა სწავლაჲ მეფეთაცა გული უთქუამს და წადიერებით და სარწმუნოებით უპყრია საუფრთელად თავისა თჳსისა, რათა წურთითა მისითა საონო ეყვნენ ღმერთსა.

ამისთჳსცა მე, დავით ჯიბისძეman, ტჯრთმძიმემან ცოდვითა და უდებმან სინანულითა დავწერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამათ მთავრისა შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაჲთა, რომლისა დამეკადრა და მერწმუნა საწყალობელი სული ჩემი.

დავწერე ჴელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე ჴელითა შვილისა ჩემისა ივანესითა, და შევძოლე ულირსითა ჴელითა ჩემითა, და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობელისასა, სამოძღურებელად მორწმუნეთა, საალხილებელად ცოდვათა ჩემთა და საალხინებელად საწყალობელისა სულისა ჩემისა. და სადიდებელად ეზრა მამათ მთავრისა და მამისა ეფრემისთჳს და მიცვალებულთა პირველთა მოძღუართა თეოდორეს და ᲮᲙმონისთჳს და მშობელთა ჩემთა ივანესთჳს და შუშანისთჳს, სულიერთა ძმათა და ჩემთანა აღსარებულთა ყოველთათჳს Ქრიცელთა და-ძმათა ჩემთა გაბრიელის და მარიემისთჳს, შატბერდისა დახანძთისა ცოცხალთა და მიცვალებულთა და ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს. აწ. გეგედრები ყოველთა მომავალთა ნათესავთა, რომელნი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალსა ცხორებასა. რაჟამს მოგეცეს ფლობაჲ ყოფად ხილულსა ამას მზესა ქუეშე და ჩუენ მტუერ და ნაცარᲥმნილ ვიყვნეთ, მოგᲫᲙᲘᲡენენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა. რომელნი-ესე ამას წიგნსა ᲙᲘᲡენებულ ვართ და შთაწერილ. მოკლედ მოვლენან ქამნი დაუსრულებელნი და ჩუენ არღარა ᲥᲔᲚᲒᲣᲔᲤᲘᲓᲝᲓᲘ აღმოჴოხვად. ვითარცა ჩუენსა პირველთა წარსულთა მამათა და ძმათა. და ესე ᲔᲠᲗᲨᲐᲠᲘᲢᲐᲓ უწყი და ვერ დავარწმუნე სინანული განლიგებულსა გულსა ჩემსა, და სძღლია მარცხენითმან სასწორმან და დღითი-დღედ დამძიმდების. ამისთჳსცა უკუალადცა გეეგედრები, მითხოვეთ ლხინებაჲ მისგან, ოვალმან ᲰᲠᲥუა განრღუეულსა მას: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდეო. და მიპბადლი მეძავსა მას— მიგეტევნენ მრავალნი ცოდვანი შენნიო. მან ასმინა ᲥᲛაᲔ სანატრელი ავაზაკსა, ვითარმედ დღეს სამოთხეს ჩემთანა იყოო. რომლისა არს დიდებაჲ და არა არს დასასრული სუფევისა მისისაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუკი უკუნისამდე, ᲐᲜ.

ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲔᲢᲠᲐᲢᲘ ᲙᲐᲢᲐᲔᲐᲡᲐ საფასოᲗᲐ ვიყიდე. ლოცვასა გეედია, ღმერთმან დაგაჯეროს... ვინ ესე წიგნი ამას ეკლესიასა გამოᲙᲣᲡას, წმიდაᲔᲪა ღმრთის მშობელი არს მოსაᲯული მის და არსმცა ცოდვათა ჩემთა მზღველი წინაშე ღმრთისა. დაიწერა ᲥᲝᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲡᲐ ᲡᲜᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

დავით ჯიბისძის ანდერძი[45]

აქუეს დასრულდა დავითისა ფსალმუნთა თარგმანი ბასილი კესარიელისა ბრძანებული და ბერძენთა ენისაგან ეფთ[ჴ]მეს მთაწმიდელისა მიერ თარგმნილი. ესე აქეთგან წაღმართ დავითთა შიგან ვპოე თ[ჴ]თო მუჴლასა ზედა თარგმანი, ხოლო სახელი არა ეწერა, თუ ვისი თარგმნილი არს, მეცნიერთა უწყინ. მე, დ ა ვ ი თ ჯ ი ბ ი ს ძ ე მ ა ნ. ტ[ჴ]ნ[ა]ძიმემან ცოდვითა, უდებმან საქმითა და უგუნურმან გონებითა, ამის წიგნისა ბოლოსა ჩავწერე. ვისაც მოგუხდეს და გულისკმის-ყოფით იკითხვიდეთ და სიტყუაჲ სიტყუასა წინა აღუდგეს, ნუ შეორგულდებით,—დავითი მდინარე არს წყლისა ცხოველისაჲ და თარგმანნი მუშანია დაუძინებელი დაუსაბამოჲსა დამბადებელისანი. მის მდინარისაგან ზოგი ვენაჯსა შეუგდებს და ზოგი ყანასა, და სხუაჲ სათიბესა, ხოლო ძალი თქუმულთა მათთაჲ ერთ არს.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

К ИСТОРИИ ГРУЗИНСКИХ КУЛЬТУРНЫХ ОЧАГОВ НА ЧЕРНОЙ ГОРЕ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XI ВЕКА

Резюме

История грузинского культурного очага на Черной Горе (в Сирии) мало изучена. Особенно мало знаем о первых грузинах-колонистах Черной горы.

Сведения о деятельности грузин на Черной Горе в первой половине XI века до нас дошли также в незначительном количестве. Мы ничего не знаем о строительстве черногорских монастырей, Калипоса и Романы, в которых к этому времени развернули культурную работу грузины.

С точки зрения истории черногорского культурного очага заслуживает внимания один документ—запись грузинской рукописи, хранящейся в Институте рукописей (Н 2211). По сведениям записи устанавливается, что в 60-ых годах XI-го века при поддержке коллектива Шатбердского монастыря группа грузин под предводительством Давида и Иоанна Джибисдзе направилась из Южной Грузии (Тао) на Черную Гору, отстроила там монастырь имени Животворящего креста и развернула культурную деятельность, переписывая рукописи для вновь построенного монастыря.

О существовании этого монастыря на Черной горе и о деятельности Давида и Иоанна Джибисдзе мы узнаем благодаря вышеназванному документу. Документ публикуется впервые.

---

[45] ხელნაწერი А—135, 215г-в.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B. 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

თ. ინწკირველ

საბუთი ყორჩიბაშის სარგოსა და სახელოს შესახებ

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების Ad ფონდში (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ძველ საბუთთა ფონდი) 1349 ნომრით დაცულია საბუთი, რომლის V-ზე ტექსტისაგან ხელით მიწერილია: „ყორჩიბაშის ჯამაგირის წიგნი".

საბუთში ჩამოთვლილია არა მარტო სარგო ყორჩიბაშისა, არამედ მისი ფუნქციებიც. სხვა ასე ჩამოყალიბებული და ამდენი ცნობების შემცველი საბუთი ყორჩიბაშის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამდენად ამ საბუთის მთელი ტექსტის გამოქვეყნება და გაცნობა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ამ საბუთის გამოქვეყნება საშუალებას მისცემს სპეციალისტს გაეცნოს, თუ რა სახე მიიღო საქართველოში სეფიანთა ერანის სახელმწიფო წყობილებიდან აღებულმა ყორჩიბაშთა სამოხელეო ინსტიტუტმა. ერანში ყორჩიბაშობა ყიზილბაშურ სამხედრო თანამდებობად ითვლებოდა. ყორჩიბაში ყორჩების მეთაური, ბელადი იყო. მინორსკის აზრით, იგი ყველაზე გავლენიანი ამირათაგანი იყო სპარსეთში.

ქართველ ყორჩიბაშთა და საერთოდ საქართველოს სამოხელეო წყობილების შესახებ ცნობები პირველად მოგვცა XVIII საუკუნის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა. მეტად საყურადღებოა ვახუშტის მიერ განხილული და აღწერილი საქართველოს სამოხელეო წყობილება. ჩვენს საკითხთან დაკავშირებით მას აღნიშნული აქვს: „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა შსახურთუხეცესსა ყორჩიბაში"[1]. ასევე აქვს განმარტებული ყორჩიბაში ამავე საუკუნის ცნობილ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს. მართლაც, ქართლის საბუთებში ეს სამოხელეო სახელი, როგორც ეს უკვე ვ. გაბაშვილმაც აღნიშნა[2], როსტომის შემდეგ გვხვდება.

„როსტომის გამეფებით (1632 წ.) იწყება ახალი ეტაპი სპარსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში. ამიერიდან ვიდრე1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ, რომელთაც ქართლის „ვალი", ე. ი. შაჰის მოადგილე ეწოდებოდა"[3]. საქართველოს მეფედ დანიშნული როსტომი სპარსეთიდან დიდი ჯარით გამოისტუმრეს ქართლის მტკიცედ ხელში დაპერისათვის.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 23.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის ტიპის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე", ტ. XIII, 1940.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943, გვ. 313.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომი პირველ ხანებში ამ ჯარს ეყრდნობოდა. ცხადია, სპარსეთიდან გამოყოლილ ამ ჯარს თავისი სამშობლო ქვეყნისათვის დამახასიათებელი წესი და რიგი ჰქონდა. როსტომის გამარჯვებისა და მის მიერ საქართველოში მტკიცედ ფეხის მოკიდების შემდეგ იწყება საქართველოში ყიზილბაშური სახელმწიფოდან სამხედრო სამოხელეო ინსტიტუტების შემოტანა და შერწყმა ადგილობრივთან. ერთ-ერთი ასეთთაგანია ყორჩიბაშის სამოხელეო ინსტიტუტი. ასეთი შერწყმის შედეგად ყიზილბაშური სამოხელეო ინსტიტუტები იცვლებიან ადგილობრივის ზეგავლენით. ირანული სახელწოდების ქვეშ ეს ინსტიტუტები იძენენ მრავალ ადგილობრივი მოხელეობისათვის დამახასიათებელ ფუნქციას.

ყორჩიბაშთა ინსტიტუტის საკითხს პირველად შეეხო დოც. ვ. გაბაშვილი, რომელმაც თავის ნაშრომში „დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით"[4] ყორჩების შესახებ არსებული მასალების („დასტურლამალი"; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II წიგნი, I ნაკვეთში მოთავსებული ნარკვევი „სახლთუხუცესის" შესახებ) ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად წამოაყენა მნიშვნელოვანი მოსაზრებანი. ავტორის აზრით, „ყორჩიბაში ისევე, როგორც ყულარაღასი, სახელმწიფო მოხელეა. მაგრამ ამ მოხელისადმი დაქვემდებარებული ყორჩები, რომლებიც ყულებივით სასახლის და მეფის მცველები იყვნენ, სამხედრო თვისებებთან ერთად, სასახლის შიგამდგომა თვისებითაც იყვნენ აღჭურვილი. ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ყორჩის გაიგივება მსახურთან... სრულიად საქართველოს მსახურთუხუცესიც სახელმწიფო მოხელე და სასახლის შინაურ დაწესებულებათა და ხელშინაურ მსახურთა გამგებელი იყო"[5]. აქვე დოც. ვ. გაბაშვილი არკვევს, თუ რატომ იყო ხელშინაურ მსახურთა გამგებელი სახელმწიფო მოხელე. და აღნიშნავს, რომ „მსახურთუხუცესის გავაზრება, რაც რუსუდან მეფის დროს მოხდა, ამ ჯელის გართულებასთან ან მოქმედების სარბიელის გაფართოებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო სავაზიროში მხოლოდ დიდი სახელმწიფო მოხელის შეყვანა შეიძლებოდა. მსახურთუხუცესის ხელქვეით მყოფი დაწესებულებებიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „საწოლი", რომელსაც განსაკუთრებული მოხელე „მესაწოლეთუხუცესი" განაგებდა. ამ მოხელეს ემორჩილება „მესაწოლენი". კარის გარიგების მიხედვით მათი რაოდენობა 700 არის. ყველა შუბოსანია (შეიარაღებულია) და მეფის საწოლი დაწესებულების მცველებად ითვლებიან. საწოლის მეკარე და კარის დარაჯა სავაზირო დარბაზის კართან მცველად იდგნენ და დიდი დარბაზობის და პურობის დროსაც მცველის მოვალეობას ასრულებდნენ. მსგავს მოვალეობას ასრულებდნენ გვიანფეოდალური საქართველოს „ეთოოფენი" (ყულები და ყორჩები).

მესაწოლენი წინათ მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ, ხოლო გვიანფეოდალურ ეპოქაში ყორჩები—ყორჩიბაშსო. „დასტურლამალში" კი მხოლოდ ყორჩიბაშის და ყორჩების სიაა მოყვანილი და აღნიშნულია, რომ დარბაზის ცერემონიალის დროს ყორჩიბაში ისევე, როგორც ყულარაღასი, განაგებს ყულებისა და ყორჩების საქმეს[6].

---

[4] „ენიმკის მოამბე". ტ. XIII, 1943.
[5] იქვე, გვ. 202.
[6] იქვე, გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, დოც. ვ. გაბაშვილის აზრით, ყორჩიბაშმა ქართული სამხედეო ინსტიტუტის — მსახურთუხუცესის რამდენიმე ფუნქცია შეითვისა.

ზემოთ მოყვანილი ვ. გაბაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება მთლიანად გაიზიარა პროფ. ივ. სურგულაძემ. ეს არის და ეს, ამის მეტი საქართველოში არსებული ყორჩიბაშის შესახებ არსად არაფერია თქმული.

ამ პირობებში ხსენებული საბუთის გამოქვეყნება უთუოდ საინტერესოა. ეს საბუთი ადასტურებს ზემოგამოთქმულ მოსაზრებას და საშუალებას იძლევა დოკუმენტალურად დასაბუთდეს ყორჩიბაშის სახელოს უფლება-მოვალეობანი და სარგო.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საბუთი Ad № 1349 წარმოადგენს ყორჩიბაშის სარგოს წიგნს, რომელიც ყორჩიბაშს ვახტანგ ამილახორშვილისათვის მიუცია საქართველოს გამგებელს ბაქარ ვახტანგის ძეს. იგი დედანია; დაწერილია მხედრული ხელით 1717 წლის იანვრის 15-ს, XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის საკმაოდ ცნობილი მდივანმწიგნობრის გივი თუმანიშვილის მიერ. ტექსტი დასაწყისში მცირედ დაზიანებულია. საბუთის ბოლოს დასმულია ოთხკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქრისტე ღმერთია სასოება ბაქარ დავითიანისა“. აქვე მოგვყავს ტექსტი მთლიანად.

„...ღთივ დამყარებულ[მან] ზეცით გვირგვინოსანისა იასიან, დავითიან, სოლომონ[ან, პანკ]ატიანისა ქართველთა მეფისა და სრულიად ერანის [ს]ასალარისა, თავრიზისა და ადრიბეჯანის ბეგლარბეგის, მამის ჩვენის მეფის, პატრონის ვახტანგის მგბერად მყოფმან. საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ბაქარ, ესე დასტურლამისა და ყორჩიბაშობის სარგოს და რიგის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა და წესისებრივ ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა ამილახორიშვილს ყორჩიბაშს ვახტანგს, მას ჟამსა ოდეს, შენის ყორჩიბაშობის სარგოს წყალობას გვიჯენით. ვისმინეთ აჯა თქვენი და ვითაც ძველითგანაც ასრე გარიგებული ყოფილიყო, ჩვენც იმ წესით გიბოძეთ: წელიწადში თორმეტი თუმანი ჯამაგირი. ყორჩების ჯამაგირი რომ გამოვიდოდეს ყორჩისთავს ან თითო მარჩილი ან თითო ლეანი, რაც ჯაბახანიდან გაიცემოდეს, იმისის დუშალიკის ნახევარი, როდესაც ყაბახზედ თასი დარჩეს ჩამოუგდებელი—თქვენია. როდესაც მაყახზედ მობუთალს ფარჩა დარჩეს დაუზეველი — ის ერთი ფარჩა თქვენ უნდა მოგეცეს. ბატონის დროშის სარდალი ყორჩიბაშია, ვინც ბატონის დროშის კაცი გაიყრებოდეს და კომლზედ მარჩილი რომე აიღება, იქიდამ ერთი აბაზი ყორჩიბაშისა არის. ლაშქარს რომ დაუძახო და დავთარზედ ვინც დაგვაკლდეს, ნარბევი როგორც სხვის სარდლებისა არის, ისრე ჩვენის დროშის ნარბევი თქვენია. როდესაც ქართლი აიწერებოდეს, ბატონის დროშაზედ ყორჩიბაში და მდივანი უნდა წავიდოდნენ და ასწერდენ. ლაშქრობაში ფანჩიქი ყორჩიბაშმა და მდივანმა უნდა ასწერონ და აიღონ ნა ბატონს მიართვან და ათისთავი ნახევარი ყორჩიბაშისა [ა]რის და ნახევარი მდივნებისა. დაიწერა ბრძანება ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანშვილის გივისითა ქ[ორონი]ქონს უე, იანვრის იე. ქეშოკის საქმესაც ყორჩიბაში უნდა არიგებდეს“.

საბუთიდან ირკვევა, რომ იგი შედგენილია ძველად გარიგებული ყორჩიბაშის სარგოს მიხედვით: „ვითაც ძველთაგანაც ასე გარიგებული ყოფილიყო“.— ნათქვამია საბუთში. საკვირველია, რომ ეს სარგო შემუშავდა საქართველოში ამ ხელის გაჩენასთან ერთად, როსტომ მეფის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთის მიხედვით, ყორჩიბაშის ჯამაგირს შეადგენს: ფულადი თანხა 12 თუმანი წელიწადში; რაც ჯაბახანიდან (სამხედრო საწყობი) გაიცემა, მისი დუშალიკის ნახევარი; ყაბახზე რომ თასი დარჩება ჩამოუგდებელი, ყორჩიბაშისაა; მაყაზე („ბურთის სათამაშო მოედნის ბოლოებში დასმული ნიშნები“[7]) მობურთალისაგან დარჩენილი დაუხეველი ფარჩაც ყორჩიბაშისაა (ეტყობა, ფარჩა საკმაოდ დიდი და ფასოვანია. რომ ყორჩიბაშს ჯამაგირში უთვლიან); ბატონის (მეფის. — თ. ე.) სადროშოში თუ ვინმე გაიყრება, კომლზე მარჩილიდან ერთი აბაზი ყორჩიბაშისა არის; ლაშქრის შეგროვებისას თუ დავთარზედ კაცი დაიკლდება (ეტყობა, იმას არბევენ), ბატონის სადროშოს ტერიტორიაზე შეგროვილი ნარბევი ყორჩიბაშისაა.

ყორჩიბაშის მოვალეობის შესახებ საბუთში აღნიშნულია: ბატონის დროშის სარდლად ყორჩიბაში ითვლება; მას ევალება ბატონის სადროშოს აწერა მდივანთან ერთად; ლაშქრობის შედეგად მოპოვებული ნადავლიდან 1/5-ის აღწერა და ბატონისათვის მორთმევა, რომლიდანაც 1/10 მას და მდივანს ეკუთვნის. საბუთში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ უდავოა, რომ თამაშობების ყაბახისა და მაყას ორგანიზაციაში ყორჩიბაშს „დიდი როლი აქვს დაკისრებული, ხხვა შემთხვევაში მა საოც თასი დარჩებოდა და არც ფარჩა მაყას ფინნშისა. მეფის სადროშოს კაცის გაყრაშიც იღებს იგი მონაწილეობას.

ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ყორჩიბაშს საკმაოდ დიდი მოვალეობა აკისრია. ყორჩიბაშის მოვალეობებიდან ყველაზე დიდი ისაა, რომ იგი ბატონის სადროშოს სარდლად ითვლება და მას ევალება აღწერა ამ სადროშოსი. ეს საბუთი რომ „ჭველად გაჩენილის“ პირი არ იყოს და ამ პერიოდშიც ყორჩიბაშს ის უფლებანი ჰქონდეს, რაც ამ საბუთით ეკუთვნის მას, უდავოა, „დასტურლამალნი“, რომელიც სახელმწიფოს ძირითად კანონს წარმოადგენს და დაახლოებით იმავე პერიოდის ძეგლია, პოვებდა გამოხატავს.

„დასტურლამალის“ 27-ე თავში[8], სადაც ქართლის აღწერაზეა ლაპარაკი, ვკითხულობთ: „...საციციანის მკარეს სადგერს აქვთ ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა და მდივანი წაჰყვება, მდივანი აღსწერს...“. ცნობილია, რომ ბორჯომის მიდამოებში მყოფი სადგერიდან მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჩამოყოლება თბილისამდე ბატონის სადროშოა. ეს არცთუ ისე მცირე ტერიტორიაა და მისი სარდლობა არ არის პატარა თანამდებობა თუ ხელი, ამიტომ ვფიქრობთ. რომ იმ პერიოდში, როცა „დასტურლამალი“ იქმნებოდა, ყორჩიბაშის უფლებანი იმ სიმაღლეზე რომ იყოს, როგორც ეს ამ საბუთშია მოცემული. იგი უთუოდ პოვებდა ასახვას „დასტურლამალში“. საბუთების შესწავლამაც დაგვარწმუნა, რომ როსტომის შემდეგ ეს ხელი და თანამდებობა. შეიძლება ითქვას, არა ჩანს. მაშასადამე, ჩვენი საბუთი უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს, ვიდრე ეს საბუთის დაწერის დროს იყო. „დასტურლამალის“ მიხედვით ყორჩიბაშს უკვე აღარ ევალება მეფის სადროშოს აღწერა და სარდლობა.

ახლა ისმება საკითხი: თუ ასეა, მაშ, როგორ შეიქმნა ჩვენთვის საინტერესო საბუთი? ამ საბუთის გაჩენა ჩვენ ასე გვეხატება. 1716 წ. ვახტანგის მიერ

---

[7] ალ. რობაქიძე, ცხენბურთი ქართული ნაციონალური სპორტის ერთი სახეობა, თბილისი, 1952.

[8] „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება ისეთ ფაქტად მიიჩნიეს, რომ ამიერიდან შესაძლებელი იყო სპარსული წარმოშობის ინსტიტუტების გაძლიერება. ვფიქრობთ, ამიტომ ითხოვდა ამ დროს ვახტანგ ამილახორიშვილი თავის ყორჩიბაშობის სარგოს წყალობას და ბაქარ მეფეც, „ვითაც ძველითგანაც ასრე გარიგებული ყოფილა“, იმ წესით უბოძებდა.

ამრიგად, მოტანილი საბუთი, რომელშიაც აღნიშნულია ყორჩიბაშის სარგო და უფლება-მოვალეობანი, მიუხედავად იმისა, რომ გაცემულია 1717 წელს, შინაარსით უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს და წარმოადგენს ადრე გარიგებული ყორჩიბაშის სარგოს საბუთის პირს.

ყორჩიბაშის სარგო და ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობანი საქართველოში როსტომის მეფობის დროს უნდა ყოფილიყო მხოლოდ. შემდეგში კი, როგორც ეს „დასტურლამალიდან“ ჩანს, ყორჩიბაშის ფუნქციები (მეფის სადროშოს სარდლობა, მეფის სადროშოს აღწერა და სხვ.) სხვა მოხელეებზე გადასულა.

Т. П. ЭНУКИДЗЕ

ДОКУМЕНТ О ДОЛЖНОСТИ И ДОХОДАХ КОРЧИБАША В ГРУЗИИ

Резюме

Публикуемый документ, составленный карталинским царем Бакаром III-ним, датированный 15-ым января 1717 года, данный на имя Вахтанга Амилахоришвили, является весьма интересным историческим памятником.

В научной литературе неизвестен документ, в котором с такой полнотой были бы изложены функции и доходы грузинского «корчибаша».

Должность «корчибаша» заимствована из Персии, где она являлась военной должностью.

В Грузии эта должность претерпела значительные изменения: она приобрела некоторые функции «мсахуртухуцеси» грузинского чиновничьего института.

Публикуемый документ составлен в 1717 г.; но в нем отражаются полномочия «корчибаша» в Грузии и в более ранний период, а именно в эпоху царя Ростома (1632—1657 гг.), с правлением которого и связано введение этой должности.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959
ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ძ ი ბ ო ძ ე

დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში

პროცესუალური სამართლის ზოგიერთი საკითხის კვლევისათვის ყველაზე შთავარი პირობა იყო შესწავლა სასამართლო აქტებისა და განჩინების წიგნებისა, ე. ი. იმ იურიდიული ძეგლებისა, რომლებიც წარმოადგენენ მოქმედებაში მყოფი სამართლის რეზულტატს და თავის მხრივ ასახავენ სასამართლო წარმოების მეთოდებს. სტადიებსა და ხერხებს.

სასამართლო პრაქტიკის ამსახველი მასალის ღირებულების შესახებ ჯერ კიდევ ადრე აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სამართლის ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მეტადრე სიგელ-გუჯრებში არის შემონახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო. იმიტომ, რომ იგი მომქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს“[1].

ქართული საპროცესო სამართლის საკითხთა კვლევა მთელ რიგ იურისტს უწარმოებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ნაშრომები: ნ. ურბნელი. ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი; ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან; ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის; ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი,—სადაც ავტორთ ქართული პროცესუალური სამართლიდან არა ერთი საყურადღებო საკითხი დაუსვამთ და გადაუჭრიათ კიდეც.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა საპროცესო სამართლის ისტორიიდან ზოგიერთი საკითხი და ამის საფუძველზე გარკვეული შეხედულება შეგვემუშავებინა.

სასამართლო გარდაწყვეტილების წიგნები და სასამართლო აქტები სასამართლო ძიების პროცესსა და გასამართლებას „გაბჭობას“ უწოდებენ[2]. გასამართლებისავე ცნებას შეესატყვისება „სამართლის მიცემა“[3] და „სამართლის ქნა“[4], რომელიც „გაბჭობის“ მსგავსად მთელ სასამართლო პროცესს ასახავს. „სამართალი ექნნიო“ — წერდა თეიმურაზ II, როცა ქანდიერიშვილსა და გოგნიაშვილს ასამართლებდა და „სამართლის მიცემის“ შედეგად განაჩენსაც გამოიტანდა. გასამართლების ასეთსავე ფორმულირებას სამართლის სხვა ძეგლებშიც ეხვდებით. წინარეხის მამულებზე დავის დროს კირილე კათალიკოსი

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1928 გვ. 129.

[2] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd. № 946, 2217.

[3] იქვე, ფ.Hd. № 2809; ფ. Sd. № 1149.

[4] იქვე. ფ. Hd. № 509, 2705.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდა: მომჩივანთ „სამართალი უყაკიონ“[5]. ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით, „სამართლის ქნა“ გასამართლების შინაარსს ატარებს და სასამართლო წარმოებას ასახავს. თუ გასამართლებაზე ქართულ სამართლის ძეგლებს შემოუნახავთ გამონთქვამები „სამართალი უყაკიონ“, „სამართალი ვქენით“ და „სამართლები გეიქნია“, ამავე პერიოდის სასამართლო აქტებში ეხვდებით გამონთქვამებს, „სამართალს მოახსენა“[6], „სამართალში დავსხედით“[7] ან „სამართალში ვილაპარაკეთ“[8], სადაც „სამართალი“ სასამართლოს მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს და იმ დაწესებულებას უნდა გულისხმობდეს, რომელიც სადავო საქმეს იხილავს და განაჩენს ადგენს.

სასამართლო წარმოება გვიანფეოდალურ საქართველოში გარკვეულ სტადიებს და საფეხურებს შეიცავდა. ძიების ობიექტად იქცეოდა საგანი და გამოსაძიებელი საქმე შეიქმნებოდა მაშინ, როცა ამა თუ იმ საქმის გამო საჩივარი თუ სარჩელი შედგებოდა. საჩივარს, რომელსაც მომჩივანი სასამართლოში შეიტანდა, ქართული სამართლის ძეგლები „სარჩელს“ უწოდებენ. „სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ“[9], — წერია XVII საუკუნის განჩინების წიგნში. XVIII საუკუნის თუმანიშვილებისა და ქარუმიძეების განჩენის წიგნის მიხედვით, სასამართლოს „სარჩელი“ მოუსმენია, ასევე ერეკლე II-ს პაატა მეთრის „სარჩელი“ გაუსინჯია.

„სარჩელი“ სიტყვიერს თუ წერილობით გაფორმებულ საჩივარს წარმოადგენდა, რომლის საფუძველზე საქმის გარჩევა დაიწყებოდა. ასეთივე მნიშვნელობის მატარებელია „სარჩელი“ საბასთან და მოსამართლესთან ჩივილს ნიშნავს[10].

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ტერმინები „სარჩელი“ და „საჩივარი“, ისინი არ შეესატყვისებოდნენ სისხლისა თუ სამოქალაქო სასამართლო წარმოებას. ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლო ისმენდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეს და იწერებოდა: „სარჩელი“ და „საჩივარი“ მოვისმინეთო[11]; მაგრამ ქართულ პროცესუალურ სამართალში ამ ორი ტერმინის ქვეშ არ იგულისხმებოდა სხვადასხვა სამართლის დარგი, რადგან ამისვე პარალელურად გვხვდება ისეთი საბუთები, სადაც სასამართლოში „სარჩელის“ შესწავლის დროს განიხილება სისხლის სამართლის საქმე[12], ხოლო „საჩივრის“ შესწავლის დროს კი სამოქალაქო[13]. ამრიგად, გვიანფეოდალური სასამართლოს წარმოებაში ყმაზე, მამულზე, წყალზე თუ სისხლის დაურვებაზე დავა იწყებოდა მას შემდეგ, როცა სასამართლოს უდგენდნენ როგორც „საჩივარს“, ისე „სარჩელს“.

სასამართლო აქტებისა და განჩინების წიგნების მიხედვით სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმების შესაბამისი ტერმინები „სარჩელი“ და „სა-

---

[5] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd. № 2105.

[6] იქვე. № 2809.

[7] იქვე. № 2995.

[8] იქვე. №№ 4950, 13095, 14474.

[9] იქვე. № 6259.

[10] სულხან საბა-ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 299.

[11] საქართველოს სახ. მუზეუმი. ფ. Hd, № 6259.

[12] იქვე. №№ 1797, 1805.

[13] იქვე. №№ 3002, 10155, 2220, 2654, 1669, 14657.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩივარი“ დადგენილი არ არის (და ერთსა და იმავე სასამართლო სხდომაზე ირჩევა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სასამართლო საქმე.

იურიდიული აქტი, რომელიც შედავება-ჩივილს ასახავდა და „სარჩელის“ სახით გაფორმებული სასამართლოში შევდოდა, სამართლის ძეგლებში „სარჩლობის“ სახელწოდებას ატარებდა (ეს მომენტი განსაკუთრებით შეიმჩნევა XVI—XVIII სს. სამართლის ძეგლებში).

როცა XVI ს. იურიდიული ძეგლი ამბობს —„ფინეზ სარჩლობდა“ თავის სახლიკაცს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფინეზ ედავებოდა თავის წილ საქონელს. ფინეზის „სარჩლობის“ შედეგად მოსამართლეთ უძიებიათ საქმე[14]. შედავებისა და ჩივილის მნიშვნელობითვე ვხვდებით „სარჩლობას“ იმავე საუკუნის (დასავლურ სასამართლოს წიგნში, სადაც ეკითხულობთ: „სხვის ნამეკობრევსა სარჩლიდეს ელია მაჭავარიანი კოსტანტინეს“[15]. XVII ს. „სამართლის წიგნის“ მიხედვითაც, მას შემდეგ, რაც „სარჩლა პირველად ბატონმა მოურავმა (ქაიხოსრო ჯავახიშვილი)... ისთვნი უკაცრაული მკადრა და მესისხლად ამიჩნდა“, მოსამართლეთ გასამართლება დაუწყიათ[16].

ბეკა-აღბუღას სამართალიც სარჩლობის ქვეშ დავასა და ჩივილს გულისხმობდა (§ 77). ასევე XVIII საუკუნის სამართლის სბუთებშიც ხშირია მაგალითები, სადაც სიტყვა „სარჩლობით“ შედავებაა გამოხატული[17]. და ბოლოს, ამასვე ადასტურებს ვახტანგ VI-ის სამართლის 213-ე მუხლი, რომლის მიხედვით „სარჩლობა“ შედავების შინაარსს ატარებს. მას შემდეგ, რაც მომჩივარი „სარჩელს“ თუ საჩივარს შეადგენდა, დაიწყებოდა სასამართლო წარმობა.

გამოსაძიებელი საქმის მასალის შესაკრებად და შესაგროვებლად, ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ბეჭთა და მდივანმეგთა მიერ იასაული იგზავნებოდა, რომელსაც უნდა შეეტყო და გამოეძიებინა საქმის ზუსტი ვითარება. „იასაულს გაგზავნიან: გასინჯე, მოკითხული ჰქენიო და მართალი ამბავი მოიტანე“[18], — წერს ვახტანგ VI.

გამოსაძიებელი საქმის წინასწარი შესწავლის შესახებ სამართლის ძეგლებსაც შემოუნახავთ ცნობები[19].

გასარჩევი საქმისათვის მასალის წინასწარი შეკრება და განხილვა ზოგჯერ გასამართლების ერთ-ერთ პირობად ჩანს. „ამათ სახლებში წერილი და სბუთი მოიძებნოს“[20], — ადგენდა სასამართლო.

ამრიგად, სასამართლო ზოგჯერ სამსჯავრო განხილვისას აქტიურსა და მოქმედის როლში გამოდის და სასამართლო წარმოების პროცესის დროს საგამომძიებლო ფუნქციას ასრულებს.

სასამართლო აქტების ანალიზის საფუძველზე გადაჭარბებული არ იქნება განვაცხადოთ, რომ XVII—XVIII სს. საქართველოს პროცესუალურმა სამართალმა განვლო საბრალმდებლო პროცესის ფორმა. ცხადად ჩანს საგამომძიებ-

---

[14] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 1025.
[15] იქვე, № 1797.
[16] იქვე. № 6259.
[17] იქვე ფ. Hd, №№ 14669, 15059.
[18] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 49.
[19] იქვე, ფ. Ad, № 1251.
[20] იქვე, ფ. Ad, №№ 818.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო პროცესის ჩასახვის ნიშნები. მართალია, საქართველოში, ანალოგიურად დასავლეთ-ევროპასა, არ მომხდარა საგამომძიებლო-ინკვიზიტური პროცესის სრული ჩამოყალიბება. მაგრამ ნიშნები საბრალმდებლო პროცესის სრული განვითარებისა და საგამომძიებლო პროცესში გადასვლისა ხშირია. პროცესის ამ საფეხურს ვახტანგის სამართალიც იცნობს. 143-ე მუხლში ვკითხულობთ: „მოსამართლემ კარგად გულისყური უნდა გაავლოს და კარგად გამოძებნოს, თუ გამოძებნით შეიტყო, ხომ კარგი იქნება...“.

სასამართლო პრაქტიკაშიც ეხვდებით მაგალითებს. როდესაც სასამართლო ადგილზე ახდენს საქმის შესწავლას. ითხოვს „მოსაქმემ ნახოს“[21] ადგილზე ესა თუ ის აღძრული საქმე, ე. ი. შეისწავლოს იგი სასამართლო წარმოების საჭიროებისათვის. სასამართლო აქტები „გამსინჯავ მოსაქმესაც“[22] მოუწოდებენ ბოროტმოქმედებისა თუ სარჩელის საფუძველის ადგილზე შესწავლას. საგამომძიებო აქტის დადასტურებას იძლევა არა ერთი სასამართლო გადაწყვეტილების წიგნი, სადაც ნათქვამია „მოკითხული ვქენით“[23] ან „მახსოვართ მოკითხული ექნა“[24]. ცხადია, „მოკითხვაში“ ნაგულისხმევია გამოძიების გარკვეული მეთოდი. ძიების გარკვეული ეტაპი.

როდესაც მარნეულელთ და გოსტაშაბიშვილებს ღოლოვანის მამულებზე დავა მოსულიათ, ვახტანგ VI-ს საქმის „გასასინჯავად“ მდივანი გივი მიუჩენია და გაუგზავნია კიდეც[25]. იმავე მისიით იგზავნება ოტია მდივანბეგის მიერ. სასამართლო პროცესის დაწყებამდე ორი ისაული. რომელთაც საქმე ადგილზე უნდა გაერჩიათ[26]. საინტერესო ცნობებს იძლევა ზაზა სოლოღაშვილისა და ზაზა მსაჯულიშვილის სისხლის სამართლის პროცესი. სასამართლოს ისაულად დაუდგენია ტეტია გაბაშვილი და „სამსაჯულოს წევრი“ — თურქმანიშვილი ნინია, რომელთაც საქმის გამოძიება დაკისრებიათ. სასამართლოს მოუთხოვნია ხალხის დაკითხვა განსაკუთრებულ გულისყურითა და სიფრთხილით. უფრო მეტიც. სასამართლოს პირდაპირ ჩამოუყალიბებია კითხვები პუნქტებად. რომელზედაც პასუხისგაცემა წარგზავნილთ დაკისრებიათ. სასამართლო ითხოვდა უთანხმოების მიზეზის და ბოროტმოქმედების ადგილის გარკვევას. იმ პირობების დადგენას. რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა განაჩენის გამოტანაში[27]. ადგილზე საქმის შესწავლის მაგალითს წარმოადგენს ბაიდარიშვილებისა და მირზა აბრამას საწისქვილეზე დავის საქმე.

„ჩვენ წავედით. სადაო ადგილები დავიარეთ და გავსინჯეთ სამართლის ძალი“[28], — წერდნენ მოსამართლენი.

მოგვიანო ხანის სბუთებში უკვე პირდაპირ ვხვდებით ტერმინ „გამოძიებას“.

შერმაზან აფხაზიშვილის მკვლელობის გამო წარმოებული საქმისათვის დადგენილია, „მრავალგვარის ფრთხილად გამოძიებით“ გამოკითხეთ და „ამ

[21] საქართველოს სახ. მუზეუმი, Hd. № 5188.

[22] იქვე. ფ. Sd. № 858.

[23] იქვე. ფ. Hd. № 6259, 14669; ფ. Sd. № 484.

[24] იქვე. ფ. Qd. № 503.

[25] „საქართველოს სიძველენი“. ტ. I, გვ. 81, 127.

[26] იქვე. ტ. II. გვ. 296; ტ. III, გვ. 220.

[27] იქვე. ტ. III, გვ. 220.

[28] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 5288; საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 14874; ფ. Ad. № 694.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის გამოჩხრეკა, ჩუმნ საქართველოს მსაჯულთშეკრებილებას გვიბრძანა“,— წერდნენ მდივანბეგნი. მართლაც, გამოძიება მომხდარა, მაგრამ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეს აქტი დიდი სიფრთხილით წარმოებულა[29].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს. მართლმსაჯულებაში საგამომძიებლო პროცესმა დანერგვა ვერ შეძლო. სრული სახით იგი საქართველოში ვერ განვითარდა, რაც ეიხსნება ქართული ფეოდალიზმის გახანგრძლივებით საქართველოში.

„Инквизиционный процесс в Западной Европе явился одним из тех боевых снарядов, посредством которых западный монархизм поборол феодальную анархию“[30]. ამისი თქმა საქართველოს მიმართ არ შეიძლება. საქართველოში „დაჩიხულმა“ ფეოდალიზმმა ხელი შეუშალა პროცესუალური სამართლის შემდგომ განვითარებას და საგამომძიებლო-ინკვიზიციური პროცესით საბრალმდებლო პროცესის სრულ შეცვლას.

საქმის ძიების მიმდინარეობისათვის ფეოდალურ სასამართლოს გარკვეული ნორმები ჰქონდა შემუშავებული. ხშირად სასამართლო წარმოება დაფუძნებული იყო აღძრული საქმის ირგვლივ არსებული წერილობითი იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე. სასამართლოში წარდგენილი ნასყიდობის, გაირიგების, პირობის, მანულისა და ქონების ნუსხების, მზითვისა და თამასუქის წიგნები საქმის ძიებას გარკვეულ მიმართულებას აძლევენ[31]. თეიმურაზ II-ს გერმანოზიშვილების ყმისა და მამულზე დავა მზითვისა და ნასყიდობის წიგნებით გაურიგებია[32]; რიზმანაშვილისა და ბაადურიშვილის საქმე საამ ბარათაშვილს არსებული დოკუმენტებით გაურჩევია[33]. ქაიხოსრო მეეთრიშვილისა და მისი ძმების საწილო ყმა-მამულის გასამართლება იურიდიული დოკუმენტით მომხდარა[34]. ასევე გაყრის ნუსხით გამხდარა შესაძლებელი ედიშერ და ოთარ მდივნის მამულებზე დავის მოსპობა[35]. ცხადია, სასამართლო მიიღებდა მხოლოდ ისეთ იურიდიულ დოკუმენტს, რომელსაც დაცული ექნებოდა იურიდიული სიზუსტე და გაფორმებული იქნებოდა ყველა იმ მოთხოვნილების მიხედვით, რომლებიც წაყენებული ჰქონდა ფეოდალური ხანის იურიდიულ საბუთს: გამცემისა და მიმღების ხელმოწერა ან ბეჭედი, შემდგენლის დადასტურება, ე. ი. ორივე მოპირდაპირე მხარეთა დასტური ამა თუ იმ აქტზე. ხშირად ასეთი ტიპის იურიდიული დოკუმენტი წუვეტდა სადავოდ აღძრულ საქმეს. ეს იყო დამამტკიცებელ საბუთთა ერთ-ერთი სახე.

მართალია, ეახტანგის სამართალში ჩვენ არ ვხვდებით დამამტკიცებელ საბუთთა ამ სახეობას, მაგრამ, როგორც ვნახეთ, არა ერთი პროცესი წარმართულა იურიდიული წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკაში არსებული დამამტკიცებელი საბუთთა ეს სახეობა განვითარებული სა-

---

[29] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 5524.

[30] А. Я. Вышинский, Теория судебних доказательств в Советском праве, 1950, М., გვ. 60.

[31] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Sd, №№ 1236, 2280; ფ. Ad, № 143; ფ. Hd №№ 2251, 2786, 6629.

[32] იქვე, ფ. Hd, № 6772.

[33] იქვე, ფ. Sd, № 73.

[34] იქვე, ფ. Hd, № 2995.

[35] იქვე, №№ 2162, 5319, 9437, 14847, 13103

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მართლის წარმოებაზე მიგვითითებს. კოვალევსკი წერს: «Новыми способами следует признать свидетельские и письменные документы» [36]

„სარჩელისა“ და ბრალდების უარყოფა სამართლის წიგნებში გამოხატულია „აშოროსა და აშას თქმით“. XVI—XVII სს. სასამართლო აქტების მიხედვით მოპასუხე თუ ბრალდებული მომჩივარს „სარჩელზე“ „აშოროს უპასუხებდა“[37], „აშოროს ეტყოდა“[38] ან „აშოროზე დადგებოდა“[39]. „აშოროს თქმა“ და „აშოროზე დადგომა“ ბრალდებულის მიერ „ცილის“ თავიდან აშორებას ნიშნავდა და მოითხოვდა ბრალდებულისა თუ მოპასუხისაგან უარყოფის დამტკიცებას.

გვიანფეოდალური ხანის საპროცესო სამართლის ამსახველ ქართულ მასალას შემოუნახავს დამტკიცებული საბუთები: მოწმე, ფიცი, შანთი და ხმალი. XVI ს. განჩინების წიგნიდან ირკვევა, რომ „ფიცი ჩნდება“, ანუ თავის მართლება იწყება, როცა ბრალდებული ცდილობს ცილება თავიდან აიშოროს. მოსამართლეთ მხოლოდ მის შემდეგ „გაუჩენიათ ფიცი“, როცა მოპასუხე სარჩელის. და დავის გამო „აშოროზე დამდგარა“. ამის შემდეგ მოპასუხის დამამტკიცებელ პირობად სასამართლოს მისთვის ფიცი გაუჩენია[40].

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და გიორგი საკაძის „სარჩლობის“ დროს, როდესაც საკაძეს ქაიხოსრო ედავებოდა. „ყველაკა ჩემი სამადულობა სახლიდამ გამოიტანეს და დამიფორიანქესო“. გიორგი საკაძე „აშოროზე დადგა“. აშოროზე დამდგარ მოურავს სასამართლომ ფიცი გაუჩინა[41].

ბრალდების თავიდან აცილება ანუ „აშოროს“ განცხადება მოითხოვდა თავის გამართლებას. ქაიხოსრო ჯავახიშვილს მაშინ მოუნდომებია ხმლით თავის მართლება, როცა გიორგი საკაძეს ბრალდების გამო აშორო განუცხადებია[42]. მოსამართლეთ შანთი განუწესებიათ, როცა საჩინო ბარათაშვილი აშოროზე დამდგარა პაპუნა წერეთლის დავის გამო[43].

მაშასადამე, XVI—XVII სს. საბუთების მიხედვით საქმის გამოძიებისა და განხილვის პროცესში შემდეგი თანამიმდევრობა შეიმჩნევა: მოდავის მიერ „ბრალის დადება“—სარჩლობა, „ცილისა“ და ბრალის თავიდან აშორება, ანუ მოპასუხის თუ ბრალდებულის მიერ „აშოროს განცხადება“, და „აშოროს განცხადების“ შემდეგ მოწმეთა, ფიცის, შანთის და ხმლის საშუალებით თავის მართლება. როგორც აღვნიშნეთ, გასამართლება იწყებოდა იმ შემთხვევაში დავის გამო, თუ ბრალდებული ან მოპასუხე „აშოროს“ განაცხადებდა.

რაც შეეხება „აშოროს“, იგი სასამართლოს პროცესში საპასუხისგებო აქტი იყო. „აშოროს თქმა“ და „აშოროს განცხადება“ მოითხოვდა მოპასუხისაგან საქმის ზუსტ ცოდნას. „თუ არ იცოდა, რას უაშორებდა“[44], — წერია სასამართლო აქტში.

---

[36] П. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II. М., ვგ. 341.

[37] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 2118.

[38] იქვე, № 498.

[39] იქვე, № 6259.

[40] იქვე, ფ. Sd, № 1025.

[41] იქვე, ფ. Hd, № 6259.

[42] იქვე.

[43] იქვე, ფ. Sd, № 1147.

[44] იქვე, ფ. Hd, № 13810.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რომ ყოველ „აშოროს“ თავისი შესაბამისი გასამართლება უნდა მოჰყოლოდა. უმეტეს შემთხვევაში თითო აშორო თითო გამართლებათა საშუალებით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ზოგჯერ რამდენიმე აშოროს ერთი ფიცი, ერთი შანთი და ერთი ხმალი ჩნდებოდა. „ამ ორს აშოროზე ფიცი გაუჩნდა. ეს ორი აშორო ერთი იყოო“[45].

„აშოროს“ განცხადების გამო მტკიცების ხერხების მოშველიებას ვახტანგის სამართალშიც ვხვდებით, სადაც ეკითხულობთ: „თუ აშა (აშორო.—მ. ქ.) თქვას, როგორც დაგვიწერია, ფიცით თავი იმართლოს“[46].

ასე რომ, ქართულ საპროცესო სამართალში შედავების თავიდან აცილება წინა სტადია იყო სადავო საქმის შემდგომი მიმდინარეობისა. გასამართლების ეს საფეხური — „აშოროდან“ თავის გამართლებაზე გადასვლა, როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის სამართალშიცაა დაცული და XVIII ს. განჩინების წიგნებშიც არა ერთხელ გვხვდება.

პაპუა გერმანოზაშვილს თავისი რძალი მარიამი თამასუქების განაღდებას ედავებოდა. ცილის წამებაზე პაპუამ აშორო თქვა. მას სასამართლომ დაფიცება მოსთხოვა[47].

1737—39 წწ. ქართლში შემდგარ სასამართლოს გაუჩენია: „რახან აშორო ქნა სოლომონ, თითონ წადგეს და დავითს შეეფიცოსო“. თავის გამართლებისათვის შანთის გაგდება მის შემდეგ გამხდარა აუცილებელი, როცა თამარაშვილის ჩივილზე მაჭავარიანი „აშოროზე დამდგარა“[48].

ამრიგად, ბრალდების თუ სარჩელის უარყოფა, მისი თავიდან აცილება ფეოდალურ საპროცესო სამართალში ერთ-ერთ გარკვეულ იურიდიულ მომენტს წარმოადგენდა, მის შემდეგ წარმოებდა სასამართლო პროცესი. სასამართლო წარმოების ეს სტადია ახასიათებს, როგორც ვახტანგ VI-ის წინადროინდელ ხანას, ისე ვახტანგის სამართალს და აქედან გამომდინარე მთელ XVIII საუკუნეს.

დამამტკიცებელ საბუთთა შორის ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში ექვს სახეობას აყალიბებს: „საქართველოს რიგი და სამართალი ექუსი არის, რომე თავი ამითი იმართლების; პირველი—ფიცი, მეორე — შანთი, მესამე — მდუღარე, მეოთხე — ხმალი, მეხუთე — მოწამე, მეექვსე — ცოდვის მოკიდება“[49]. მტკიცების ყველა ეს სახე გარკვეულ შემთხვევაში იხმარებოდა და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა საქმე უნდა გარჩეულიყო. „ამათ თვითოს და თვითოს თავისი საზღვარი აქუს, თუ რომელი რომელ საქმეზედ უნდა დაედვას და ქნით, როგორ უნდა ქნას“[50].

ვახტანგ VI-ის სამართლის მეექვსე მუხლი, როგორც აღვნიშნეთ, იძლევა მტკიცების სხვადასხვა სახეს და ჩვენ ვნახავთ, რომ გასამართლების ყველა ეს წესი ვახტანგის კანონების შექმნა-ჩამოყალიბებამდე არსებული ქართული ფეოდალური სამართლის მოქმედ ადათ-წესად ყოფილა აღიარებული.

---

[45] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 6259.

[46] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 86

[47] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 15059.

[48] იქვე, № 2705.

[49] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 50.

[50] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ VI დამამტკიცებელ საბუთთა პირველ სახეობად დაფიცებას თვლის და მტკიცების სახეობათა ჩამოთვლისას პირველ რიგში ფიცს ასახელებს. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა დაფიცებას სასამართლო მოწმეთა ჩვენებების დაეკვების შემთხვევაში მიმართავდა და პირველ რიგში მოწმეებს მოიწვევდა ხოლმე: „რადგან ამდენ კაცი მოწმობდა, ფიცი აღარ უნდა დაგვედვა"[51], — წერია ერთ-ერთ სამართლის წიგნში.

არა ერთი იურიდიული საბუთი მეტყველებს იმის შესახებ, რომ სასამართლო სადავო საქმეს მოწმეთა დაკითხვით არჩევს და მთელი პროცესი მოწმეთ დაკითხვით მიმდინარეობს[52]. ნაზარალიხანი მოწმეების საშუალებით იძიებს ფავლენიშვილებისა და ქსნის ერისთავის საქმეს[53]. თეიმურაზ II გიორგი გოგნიაშვილისა და ზაზა ჯანდიერიშვილის დავას მოწმეთა დაკითხვით არიგებს[54], ასევე სანდოდ მიუჩნევია ერეკლე II-ს მოწმეთა ჩვენება: „ბერომ ორი-სამი სარწმუნო მოწმეები იშოვა, რომ სამართალი შეიწყნარებდეს იმათს მოწმობას"[55].

სასამართლო გარკვეულ მოთხოვნილებებს უყენებდა მოწმეებს. იგი მხოლოდ სარწმუნო და სანდო მოწმეთა ჩვენებებს შეიწყნარებდა. „სარწმუნოს მოწმისაგან სწორე შეიტყვეთო"[56], — წერდნენ ბრძენნი. სასამართლოსაც მოწმეთა ჩვენების საფუძველზე გადაუწყვეტია დავა. გრიგოლ სახლთუხუცესის საქმეც სასამართლოში სანდო მოწმეთა ჩვენებით გადაუწყვეტიათ. „სახლთუხუცესმა გრიგოლ ასეთი მოთამაური მოწმები წარმოაყენა, რომ სამართალში იმას დაჯერებოდეს... იმითი გარდაწყდეს"[57].

მთავარ პრობად მოწმეთა ჩვენებებში სასამართლო ობიექტურობას მოითხოვდა, რათა მოწმეთა ჩვენებაზე პირად განწყობას გავლენა არ მოეხდინა. „ეგენი რომ მოწმად მოგყავს, ზოგნი შენი სახელონი არიან და ზოგნი შენი ყმანი"[58], საყვედურობდა სასამართლო, ანდა „მოყვრის მოწმობა არ შეიწყნარებაო"[59].

ასევე მიუღებელი იყო სასამართლოსათვის ისეთი ჩვენებები, რომელნიც მოწმის მიერ მრავალჯერ შეიცვლებოდა. „სამართალში სიტყვა ბევრჯელ გამოიცვალა"[60] და სამართალი მოწმის უარყოფითად გადაწყდა. ამრიგად, სასამართლო სრულიად გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად იღებდა სარწმუნოდ ამა თუ იმ ჩვენებას.

ვხვდებით ისეთ საყურადღებო შემთხვევას, როცა მოწმეები სასამართლოში არ გადიოდნენ და გზავნიდნენ წერილობით ჩვენებებს. ამ მხრივ საინტერესოა მანაბლისა და ფალავანდიშვილების სასამართლო პროცესი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ბქეთ სამართალი უწარმოებიათ ამილახორისა, ავალი-

---

[51] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 14657.
[52] იქვე, №№ 13018, 13395, 14187, 4798.
[53] იქვე, № 14906.
[54] იქვე, ფ. Ad, № 1421.
[55] იქვე, ფ. Ad, № 1326; ფ. Hd, № 2596.
[56] იქვე, ფ. Ad, № 2813.
[57] იქვე, ფ. Hd, № 2220.
[58] იქვე, ფ. Ad, № 613.
[59] იქვე, ფ. Hd, 2851.
[60] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილისა, ციმაკურიძის, ხუმრაძისა და სხვათა წერილობითი ჩვენებების საფუძველზე[61]. ამრიგად, სასამართლო პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას განვაცხადოთ, რომ სასამართლო ძიება გვიანფეოდალურ საქართველოში მარტო ზეპირსიტყვიერი არ ყოფილა. ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლო პროცესს წერილობითი ხასიათი აქვს მიღებული. ცხადია, სასამართლო წარმოების ასეთი სახე განვითარებული პროცესუალური სამართლისათვის იყო დამახასიათებელი.

გვიანფეოდალური ქართული სასამართლო წარმოებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მოწმეთა დაკითხვის ფიქსირების დროით განსაზღვრის ფაქტები. „მოწმების გატარება ამ გასულს ინარამდის უნდა გადაწყდეს“[62],—ადგენდა სასამართლო. ამრიგად, ქართულ გვიანფეოდალური ხანის სასამართლოში საქმის გარჩევა მოწმეების საშუალებით ჩვეულებრივი და გავრცელებული წესი ყოფილა და ვერ დავეთანხმებით პროფ. ალ. ვაჩეიშვილს, რომ ამ დროს მოწმეთა ჩვენებების საპროცესო ღირებულება საერთოდ მცირე ყოფილიყოს[63].

ისეთ შემთხვევაში, თუ მოწმეთა ჩვენება დაეჭვებას იწვევდა, სასამართლო ფიცს გაიჩენდა ანდა სასამართლოში წამოყენებული მოწმე თავის ჩვენებას შეცვლიდა, სასამართლო ფიცს მოითხოვდა: „მოწმეთაგან სხვაგვარ სიტყვის ცვლად განისაჯა ფიცი“[64].

„ფიცის გაჩენა“ და მოფიცართა დადგენა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა სახის საქმე უნდა გარჩეულიყო. „რასადენიცა მოფიცარი მოუნდებოდეს, იმ ზომი ერთი მოფიცარი წამოაყენოს ელია შაჰვარიანმა“[65], —ადგენს XVI საუკუნის სასამართლო. მაშასადამე, მოფიცართა რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო სასამართლოს წინაშე წამდგარი საქმის მიხედვით.

მტკიცების ამ წესს ჩვენ ვახტანგის სამართლის მე-12 მუხლშიც ვხვდებით, სადაც ნათქვამია: „ჯერ ფასი დაადვან (სარჩელს.—მ. ქ.) და მერე მოფიცარი შეაგდონ“[66]. ამავე შინაარსს ატარებს ვახტანგის სამართლის 37-ე მუხლი, სადაც იგივე აზრია გატარებული: „ტოლი ფიცი დაადონ“ გამოსაძიებელ საქმესო[67].

საპროცესო სამართლის ეს მომენტი გვიანფეოდალური ხანის ძეგლებშიაც არის დაცული: „წამოდგეს პაპუნა და ხუთასი მარჩილის, რომ ეკადრებოდეს, იმდენი კაცი შეაფიცოს ზა[ა]ლს“[68].

ამრიგად, მოფიცართა რაოდენობის დადგენასა და მოფიცართა ვინაობის განსაზღვრას იძლეოდა სადავო ობიექტი, რომლის საფუძველზე უნდა შერჩეულიყვნენ მოფიცარნი.

„როგორც ამ ურიას მართებულ იყოს, იმდენი კაცი შეაფიცოს პაპუნამ“[69].

---

[61] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 2220.

[62] იქვე, № 17874.

[63] ალ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1946, ტ. II, გვ. 87.

[64] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 7262.

[65] იქვე. № 1797.

[66] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 869.

[67] იქვე.

[68] საქართველოს სახ. მუზეუმი ფ. Hd, № 13810.

[69] იქვე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რაც შეეხება დაფიცებას, ისიც გარკვეული წესით მიმდინარეობდა. სასამართლო „ფიცს დაადებდა“ მას, ვისაც ბრალი „შეეჩნდებოდა“, ე. ი. მოპასუხეს. XVII ს. სარჩელის მიხედვით, როცა გიორგი საყაძე ქაიხოსრო ჯავახიშვილს ბრალს დებდა ლუარსაბ მეფესთან ურთიერთობის გამწვავებაში, სასამართლო ქაიხოსროს აკისრებს ფიცს. ქართული სამართლის მიხედვით შედავების უარსაყოფად დაფიცება მოპასუხეს ეკალღობოდა. როცა შანშე ერისთავს იოთამ ამილახარი ახნაურიშვილს უგანაძეს ედავებოდა, შეცილების თავიდან აშორებისათვის დაფიცება შანშეს ხვდა წილად. როგორც უგანაძის უწინდელ პატრონს[70]. ასეთივე ხდება ელიარაშვილისა და დოლმახაშვილის მამულზე დავის შემთხვევაშიც[71].

ამრიგად, XVII ს. ქართული სასამართლო აქტების მიხედვით ფიცი ეკისრებოდა მას, ვინც სასამართლო წარმოების დროს სადავო საგნის მფლობელად ჩანდა. სასამართლოს განხილვის ეს მომენტი დაცული იყო ვახტანგის სამართალშიაც, სადაც ვკითხულობთ: „ვისაც მამული თუ სადაო რამე ხელთ უჭირავს, ფიცი ამისი არის“[72]. საკვირაველია, რომ ვახტანგ VI ხელმძღვანელობდა სასამართლო წარმოებას იმ გავრცელებული წესით, რომელიც დაცული იყო სასამართლო აქტებში.

სამსჯაროს განხილვის ეს მომენტი XVIII საუკუნეშიც ფართოდ გავრცელებული[73]. როცა ზაქარია და დემეტრე ციციშვილები ქარელზე დაობდნენ, ფიცი დემეტრეს დაედო. „რადგან ის პატარა ქარელი ახლა დემეტრეს უჭირავს, სამართლით ფიცი ამას ერგება“[74], ადგენენ ბქენი.

იმავე ამბავს ეხედებით სხვა შემთხვევაში: „რადგან ენდრონიკაანთ დღეს მამული ხელთ უჭირავს, ფიცი სამართლით ენდრონიკაანთ დაადევით“[75], ანდა „სამართლის განწესება არის, რომ ვისაც მამული ხელთ უჭირამს, იმას ერგება ფიცი“[76].

ამრიგად, სასამართლო განხილვის დროს ფიცის მოპასუხისათვის დაკისრებას არა ერთგზის ეხედებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

იყო ისეთი შემთხვევა, როცა გასამართლების ეს თანამიმდევრობა ირღვეოდა და ფიცი მომჩივარს—ბრალმდებელს დაედებოდა. ეს შემთხვევაც გარკვეული მიზეზით იყო გამოწვეული. სასამართლო მომჩივანის ბრალის დადებისას დასაბუთებასაც მოითხოვდა. როცა გივი ზევდგინიძეს მისი სახლისკაცი მკვლელობას აბრალებდა, ზედ ატანდა: „ამისი ფიცი შემიძლიაო“. სასამართლოსაც დაუდგენია, რადგან „განაჩენი არა ჰქონდა, თითონვე ფიცს შემოიძლიეო“[77].

პაპუნა წერეთელი ზაალ აბაშიძეს სათავისთავო ტყეებს ედავებოდა, „ცილიც“ შესწამა. ზაალმა თავისი „აშორო“ დამადასტურებელი წიგნითა და

---

[70] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 14669.

[71] იქვე, ფ. Sd, № 466.

[72] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ.

[73] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, №№ 6277, 9451, 15039.

[74] იქვე, ფ. Hd, № 866.

[75] იქვე, № 14036.

[76] იქვე, № 1805.

[77] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმით გაამაგრა, ამიტომ „აშორო“ პაპუნას დარჩა[78] და ფიციც სასამართლომ პაპუნას დაადო.

ამრიგად, დაფიცება ხდებოდა იმ მხარის მიერ, რომლის ხელთ იყო სადავო ნივთი და რომელიც საჭიროებდა ამ ობიექტზე შედავების უარსაყოფად თავის უფლების განმტკიცებას.

გვიანფეოდალურ საქართველოში დაფიცებისათვის მოფიცართა ინსტიტუტი არსებულა. დაფიცება მოფიცართა საშუალებით ხდებოდა. „მოფიცარნი გააჩინონ, რადგან სამართალზედ იყო მოკიდებული ამათი ფიცი“[79]. მოფიცართა შესახელება, ანუ „გაპირობება“, უმეტეს შემთხვევაში მოსარჩლის თუ ბრალდებულის უფლებას წარმოადგენდა.

როცა ასლამაზს მისი სახლისკაცი ფინეზ 56 თუმნის ხარჯში გარეკვას უპირებდა, ხოლო ასლამაზ ცილის თავიდან აშორებას ლამობდა, მას ერთი მოფიცარის საშუალებით ფიცი შეაჩნდა. დაფიცება კი იმ მოფიცრით უნდა მომხდარიყო, რომელი „კაცი ფინეზ შეესახელოს“[80].

ბრალმდებელის თუ მოსარჩლის მიერ მოფიცრის დადგენა XVII ს. იურიდიულ საბუთებშიც გრძელდება. როდესაც ბორტი მანუჩარს წისქვილს ეკუთვებოდა და ფიცი მანუჩარს დაედო, მას ოთხი მოფიცრით უნდა დაეფიცნა, „ვინც ბორტი შეუსახელოს, იმათ დაიფიცოს“[81]. წერია განჩინების წიგნში.

ამრიგად, თუ ფიცი დაედებოდა ბრალდებულს ან მოპასუხეს, მოფიცარის „შეგდება“-„შესახელება“ ბრალმდებლის ან მოსარჩლის უფლებას წარმოადგენდა[82].

ამ მომენტის დადასტურებას შემდეგ საუკუნეებშიც ვხვდებით. თუ გავითვალისწინებთ დავითიშვილებისა და რამაზაშვილების სასამართლო პროცესს, დავითიშვილებს დაუფიცნიათ იმ მოფიცართა საშუალებით, რომელნიც „რამაზაშვილებისაგან იყვნენ შეგდებულნი“[83]. სასამართლოს მიერ დადგენილი მოფიცრებიდან ბრალდებულს ან მოპასუხეს უნდა მოეყვანა სასამართლოში ნახევარი, მეორე ნახევარზე ზრუნვა კი მის ვალდებულებაში არ შედიოდა. „თუ დიდებულთ იფიცოს, ოთხი შეუგდონ და იმისგან ორი იშოვნოს და ისრე იფიცოს. თუ შეა თავადი იფიცონ, ორმოცი შეუგდონ და ოცი იშოვნოს და მით იფიცოს და თუ უმეცროსის თავადით აფიცონ, ასოცი შეუგდონ და სამოცით შეჰფიცოს. თუ ვერ იფიცოს, ზემორებრ სისლი გარდიხადოს“[84], — სწერია ვახტანგ VI-ის სამართლის 37-ე მუხლში. მოსარჩელისა და მოპასუხის ამ მოვალეობის დამადასტურებელ მასალას იძლევიან XVI—XVII სს. სასამართლო აქტები.

ელიაშვილის მამულზე დასაფიცებლად ოთხი მოფიცარი შეუგდო, სასამართლომ მას „ოთხში ორი უშოვნოს და ისრე იფიცოს“[85]. ასევე კახა სავანელს, როდესაც სამნიშვილის მსახურის მიტაცება „შეაჩნდა“, მას სამოცი მოფიცარით ფიცი „გაუჩნდა“, სასამართლომ კი დაადგინა: „სავანელი ოცდაათის

---

[78] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd. № 13810.

[79] იქვე, № 866.

[80] იქვე, ფ. Sd, № 1025.

[81] იქვე, ფ. Hd. № 1485.

[82] იქვე, № 466.

[83] იქვე. № 6418.

[84] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 60.

[85] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Sd. № 455.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის კაცით წადგეს და შეფიცოსო". ბრალდებულის ამ მოვალეობაზე მიგვითითებენ უფრო გვიანდელი საბუთებიც, რაც მოწმობს იმას, რომ მტკიცების პროცესი, რომელიც შემონახულია ვახტანგ VI-ის სამართალში, მთელი XVIII ს. მანძილზე მოქმედ სამართლად ჩანს და XVI—XVII სს. სასამართლო პროცესისაგან თითქმის არ განსხვავდება.

გიორგი ფალავანდიშვილის გიორგი მაღალაშვილთან ვალის გასწორების გამო „ფიცი გაჩენილა" ორი მოფიცრის საშუალებით: „ორი ერთი იშოვნოს' და ისე შეაფიცოს"[86], ადგენს სამართალი ან კიდევ „ოთხი შეგდებულიდამ ორი იშოვნოს და მამასახლისმა შემფიცოს"[87], „ორი ახნაურიდან ერთი იშოვნოს და ოთხი გლეხიდან ორი იშოოს" — ელიზბარ დავითაშვილმა[88]. XVIII ს-შიც ყველა ზემომოყვანილი მაგალითიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ მოფიცართა რაოდენობიდან, სასამართლოს წინაშე ნახევრის წარდგენა ბრალდებულის მოვალეობას წარმოადგენდა.

მოფიცრები განსაკუთრებული თვისებებით უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი. XVI—XVII სს. ქართული იურიდიული საბუთები მოფიცრებს შემდეგნაირად ახასიათებენ: მოფიცარი „უმტერო კაცი"[89], „საპატიო კაცისშვილი"[90] და „სარწმუნო მოძღვრიანი კაცი"[91]. ასეთი ეპითეტებით საზღვრავენ მოფიცარს ვახტანგის სამართლამდე არსებული იურიდიული დოკუმენტები და ასევე ახასიათებს ვახტანგის სამართალიც: „ფიცი ისეთს კაცს არ დაედების, რომ ან ყმაწვილი იყოს, ან ჭკუა-მოკლე. თუ ფიცი არ იცის და არ სწამს, იმ გვარის კაცის ფიცი რომ დადვას, მოსამართლის ცოდვა არის"[92].

მოფიცრად ჩვეულებრივ საერო კაცს შეავდებდნენ ხოლმე. „საღმრთო კაცი" დასაფიცებლად არ მიჰყავდათ: „სესიას მოყვანილს ფიცი განუწესეთ. ერთ-ერთი ტერტერაა. იმისაგან კი ფიცი არ იქნება, რადგან საღმთო კაცია"[93], ანდა „ელისაბედისშვილი მღვდელი იესე ფიცით ხომ ვერ დაიფიცავს"[94].

უნდა ვიფიქროთ, რომ „საღმთო კაცს" დფიცებას ვერ შეჰკადრებდნენ, მისი სიტყვა დაუფიცებლად უნდა ყოფილიყო სანდო, როგორც ღმრთისაგან მინდობილი კაცისა. ამრიგად, მოფიცრად ხშირად ერისკაცი გამოდიოდა და ისიც გარკვეული თვისებების მატარებელი.

„ორი სარწმუნო მოძღვრიანი კაცი შეაფიცოს, რომ არც ნათესავი იყოს და არც მტერი და ისე ფიცოს"[95]. — წერია ერთ-ერთ განჩინების წიგნში.

XVI—XVIII სს. სამართლის საბუთებში მოფიცართა ორი კატეგორიაა დამოწმებული. არსებობენ „შესახელებული" და „შეუსახელებელი" მოფიცარნი. „შესახელებული" ანუ „შეგდებული" მოფიცრის მითითება მომჩივარის უფლებას წარმოადგენდა და მხოლოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, სასამართლოს წიგნებიდან (ფ. Sd, № 1025; ფ. Hd, №№ 466, 1485 და 6418) ირკვევა, რომ „შეგდებული", „შესახელებუ-

[86] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Ad, № 1879.
[87] იქვე. ფ. Hd, № 13996.
[88] იქვე.
[89] იქვე, №№ 1805, 3040, 6259.
[90] იქვე, № 1805.
[91] იქვე, № 2619; ფ. Ad, № 1879.
[92] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 62.
[93] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 1740.
[94] იქვე, ფ. Hd, № 1741.
[95] იქვე, № 2119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი“ მოფიცრის მითითება და დადგენა ხდება მომჩივარის მიერ, სადაც მოპასუხეს და სასამართლოსაც მისი დაფიცების მიხედვით გამოაქვს განაჩენი.

„შეუსახელებელი“ მოფიცარი კი ბრალდებულს, მოპასუხის მიერ ინიშნებოდა და, ცხადია, ნდობას სასამართლო „შესახელებული“ მოფიცრისადმი უფრო იჩენდა.

„შესახელებული“ და „შეუსახელებელი“ მოფიცრები ბექა-აღბუღას სამართალში მოხსენიებული „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ მოფიცრების სინონიმებს წარმოადგენენ. მათ შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთო მოსაზრებაა გავრცელებული. ნ. ურბნელი[96], პროფ. ი. ვაჩეიშვილი[97] და დოც. ი. დოლიძე[98] ერთი აზრისა არიან, როცა თვლიან, რომ „დაუსახელებელიც“ მოფიცარი გვარისეული მოფიცარია, „დასახელებული“ კი გარეშე, უცხო პირი.

ზემოჩამოთვლილ მკვლევართა გამოთქმული მოსაზრებანი სრულიად დასტურდება ფეოდალური ხანის მოქმედი სამართლის ამსახველი მასალით, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი.

„დაფიცებაში“ სოციალური მომენტი დიდ როლს თამაშობდა. მას შემდეგ, რაც დასაფიცები საქმე შეფასდებოდა და მოფიცართა რაოდენობა დადგინდებოდა, სასამართლო იმასაც დაადგენდა, თუ მოფიცრის როლში ვინ უნდა გამოსულიყო. მოფიცართა გაპირობებას და მათ შერჩევას სოციალური სარჩული ედო საფუძვლად. ამავე მოტივით ხდებოდა გამოსაძიებელი საქმის წინასწარი განსაზღვრა—„ფასის დადება“ და შემდეგ მოფიცართა დადგენა. მცირე მაძულისა და გლეხზე დასაფიცებლად მოფიცრად თავადს არ შეაგდებდნენ. თავადს, როგორც მაღალი სოციალური კატეგორიის წარმომადგენელს, უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმის დასაფიცებლად იწვევდნენ. როცა ციციშვილებს სასამართლოში სადავო საქმე ჰქონდათ წარდგენილი, მოფიცრებად სასამართლოს ახნაურსა და მსახურებთან ერთად თავადებიც შეუყვანია: „წადგეს პაპენა (ციციშვილი) ორი მისის სწორის კაცითა“[99].

მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ თავადიშვილთა საქმის გასარჩევად თავადიშვილებსაც იწვევდნენ ხოლმე, უკიდურეს შემთხვევაში კი მსახურს[100].

ანალოგიური მდგომარეობაა გიორგი საკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასამართლო პროცესის დროს, სადაც ქაიხოსრო ჯავახიშვილს გიორგი საკაძის ცილისწამების თავიდან ასაცილებლად უნდა დაეფიცნა „მოურავის ყადარი კაცით“[101].

ქართულ ფეოდალურ პროცესუალურ სამართალში მოფიცართა რაოდენობის დადგენაში სოციალურ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია მოპოვებული. სამართლის ძეგლებში ჩვენ ვერ შეეხვდებით ისეთ შემთხვევას, რომ თავადიშვილი და ახნაური გლეხის საქმეზე იფიცებოდეს. ყოველ მოფიცარს

---

[96] ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბილისი, 1890, გვ. 285.

[97] აღ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1946, ტ. II, გვ. 80.

[98] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1954, გვ. 94.

[99] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 1030.

[100] იქვე, № 1030.

[101] იქვე, № 6259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის საკადრის საქმეზე მიიწვევდნენ. „თუ დიდი ბამული არის, თითონ ის სა-პატიოს კაცის შვილი უნდა აფიცონ. თუ უმდაბლე რამ არის, აზნაურიშვილი უფიცონ, კიდევ მის უმდაბლეზედ — მსახური. მათ ქვეითზედ — გლეხი იქნე-ბის. ერთპირი სოფელიც აფიცონ და იქნების ის საპატიო კაცის შვილი თავის მსახურ-აზნაურიშვილით და ყმითაც აფიცონ“[102]. ამ სიტყვების ავტორს, ცხადია, არსებული სამართლის წიგნების საშუალებით უნდა ჰქონოდა შემზადებული ნიადაგი, როცა იგი 143-ე მუხლის შედგენაზე მუშაობდა.

XVIII ს. სასამართლო კი უკვე ვახტანგის სამართლით ხელმძღვანელობდა, როცა მოფიცართა შორის სოციალურ ზღვარს ავლებდა. „მაჩაბელი აღარ დავაფიცეთ ერთს კომლ კაცზედა. მაჩაბელს ფიცი არ ეკადრებოდა“[103],—წერს XVIII ს. სასამართლო. ამავე მოტივით ფასიტაშვილს უმნიშვნელო საქმეზე არ აფიცებს ფეოდალური სასამართლო: „ფასიტა აზნაურიშვილია, ასე ცოტაზე არ დაეფიცებაო“[104]. ამის დამადასტურებელ მასალას XVIII ს. სხვა იურიდიული საბუთებიც იძლევიან[105].

ამრიგად, გასამართლების დროს საღავო საქმის ვითარების საფუძველზე ხდებოდა მოფიცართა სოციალურობის განსაზღვრა. სასამართლო აგრეთვე ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, თუ ვინ ფიცებდა, და იმის მიხედვით საზღვრავდა ფიცის მნიშვნელობასა და დროს. „ესაა უნდა გავსინჯოთ — თუ მოფიცარი უფრო დიდგვარია, უფრო ხამს და თუ გვარდაბალია, უფრო ბევრი ხამს“[106].

სამართლის ძეგლებს, გარდა დაფიცების ჩვეულებრივი წესისა, სხვა მეტად საინტერესო წესიც შემოუნახავს. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დაფიცების ერთი თავისებური წესი. XVI საუკუნის იმერულ საბუთში ვკითხულობთ: „ნახევარმან ნაბნით და ნახევარმან ხელშეხრით დაიფიცოს“[107].

მოფიცართა „ხელშეხრით“ დაფიცება ნათელია. მოფიცარი გულზე ხელის დადებით კიდევ უფრო ამაგრებდა თავის ფიცს. „ხელშეხრით დაფიცებას“ უნათესავდება დაფიცება „ხელის დაკერით“, რომელიც XVIII ს. იურიდიული დოკუმენტის მიხედვით დაფიცების სახეობას უნდა წარმოადგენდეს. სახლის-კაცები ლოლაძეები საერთო თეთრის დახარჯვას ერთმანეთს ედავებოდნენ. სასამართლოს გაუჩენია: „ბერმა ასე ხელი დაუკიროს“ და ისე დაიფიცოსო[108].

რაც შეეხება „ნაბნით“ დაფიცებას, აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, წმინდა ჯვარსა და წმინდა ხატის ნაბან წყალზე ჩატარებული დაფიცების რიტუალი იყო. წმინდა წყლის არსებობა ქართულ სასულიერო პრაქტიკაში საყოველთაოდ ცნობილია, აგრეთვე კურთხევანში დაცული წმინდა წყლის ლოცვანი და განგებანი[109]. ბაგრამ ძნელია თქმა იმისა, რომ ის წმინდა წყალი წმინდა სხეულთან ნაბანი წყალი ყოფილიყოს და არა, ვთქვათ, ნაკურთხი. ყოველ შემთხვევაში ეს ვარაუდი ჯერ კიდევ საძიებელია. ერთი კი ცხადია, რომ ამ ორი სახის დაფიცებაშიაც (იგულისხმება „ნაბნით“ და „ხელშეხრით“) სოციალური ზღვარია

---

[102] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 86.
[103] საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა, ფ. Hd. № 3492.
[104] საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 229, დ. 30, № 10.
[105] საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა, ფ. Sd. № 1147; ფ. Hd. № 6277, 6221.
[106] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 86.
[107] საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა, ფ. Hd, № 1797.
[108] იქვე, № 10344.
[109] იქვე, ფ. H, №№ 1326, 1399, 1442, 1720, 1726, 1743.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაელებული. მთელი სასამართლო პროცესის დროს „ხელშეხრით“ აზნაურნი ფიცებდნენ. ზოგჯერ გლეხნიც. ხოლო „ნაბნინი“ კი მარტო გლეხნი. მაშასადამე, დაფიცებათა ამ სახეობაშიც ჩანს სოციალური მომენტი.

დაფიცებას, როგორც დამამტკიცებლის ერთ-ერთ სახეს, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. თუ მოფიცარი დაიფიცებდა და ფიცი „ამართლებდა“, მოპასუხე მხარეს ფიცი აღარ ედო. სადავო საქმის „ფიცით გატანა“ მოფიცართა ფუნქციას წარმოადგენდა.

„თუ დაიფიცოს და ფიცმა ამართლოს. არა ზედაც“[110], წერია XVI—XVII სს. სასამართლო წიგნებში. იმ შემთხვევაში, თუ მოფიცარი ვერ დაიფიცებდა და ფიცი „ამტყუნებდა“, საცილებელი საქმე მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ გადაწყდებოდა[111].

მაშასადამე, საქმე დაფიცების საშუალებით წყდებოდა და განაჩენიც დაფიცების მიხედვით დგებოდა. ფიცი და დაფიცება დროით იყო განსაზღვრული. სასამართლო წინდაწინ ადგენდა დაფიცების ვადას: „ორმოც დღემდე თუ შეიძლო, ფიცი ის არის და თუ ორმოც დღემდის ვერ შეიძლო, ფიცი ვერას შეუა“[112].

იმავე ცნობას იძლევა მეორე იურიდიული დოკუმენტი: „ერთი კვირა ვადა არის დაფიცებისა“.

დაფიცების ვადის განსაზღვრა ნებისმიერი იყო და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ საქმე რა ვითარებაში უნდა ძიებულიყო. დაფიცება ზოგჯერ თვისა და ზოგჯერ კვირის განმავლობაში უნდა მომხდარიყო[113].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დაფიცების დროს საეკლესიო წეს-ჩვეულებათა დაცვას: „წმიდის მარხვაში ფიცი არ იქნება, ხსნილში უნდა დავაფიცოთ“[114].

იყო შემთხვევა, როცა მოფიცარის ტყუილ დაფიცებაზე სასამართლო სასჯელს ადგენდა: „ტყუილათ ფიცისათვის ჯარიმაც გარდახდება“[115].

ამრიგად, გვიანფეოდალური საპროცესო სამართალი იცავდა ერთხელ და საბოლოოდ შემუშავებულსა და დადგენილ წესებს და მათი უგულებელყოფისათვის საზღაურს ახდევინებდა.

ჩვენ განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება და შეეჩერდით დაფიცებაზე, რადგან მტკიცების საშუალებათა ეს სახე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული წესი ყოფილა ქართულ ფეოდალურ საპროცესო სამართალში და ცხადად გვიჩვენებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული „სიდმოთ მსჯავრს“ სასამართლოში.

მტკიცების სხვა სახეობას „შანთის გაგდება“ წარმოადგენდა. ვახტანგის სამართალში დამამტკიცებელთა შორის გავარვარებული „შანთის გაგდებას“ მეორე ადგილი უჭირავს[116].

---

[110] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Ad, № 1218; ფ. Sd, № 1025; ფ. Hd, №№ 1797, 2113; 6259.

[111] იქვე, ფ. Hd, № 1797, 6259.

[112] იქვე, ფ. Ad, № 1396.

[113] იქვე, ფ. Hd, № 13103.

[114] იქვე, №№ 7242, 9437.

[115] იქვე, № 10395.

[116] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანთს ისე, როგორც ფიცს, მიმართავდნენ სასამართლოში გბრალდებული ლებელი საქმის თავიდან აცდენის მიზნით. ასეთ შემთხვევაში საქმის გარემოების აღიარება ხდებოდა შანთის ქვეშ: „...ან ფიცით, ან შანთით გამართლდეს“[117], — წერია ვახტანგის სამართლის 39-ე მუხლში.

სასამართლოს წინაშე თუ შანთს გაუგდებდა ბრალდებული, მაშინ მომჩივარი „დაიაჯებდა“.

როდესაც საჩინო ბარათაშვილს სასამართლოს წინაშე თავის მართლება დასჭირვებია, დაუდგენიათ: „წამოაყენოს საჩინომ ერთი კაცი და ასე შანთი გაგდებინოს“.

„შანთის გაგდება“ დაფიცებას უთანაბრდება. როგორც დაფიცების შემდეგ ბრალდებული ფიცის საშუალებით ან გამტყუენდებოდა ან გამართლდებოდა. ასევე შანთსაც უნდა გაეჩინა სამართალი: „თუ შანთი გაუგდოს, არას ემართება“[118] ბრალდებულიო. კონკრეტულად რა შემთხვევაში მიმართავდნენ ბეჭენ შანთს და რა შემთხვევაში შეიცვლებოდა ფიცი შანთით, ვერაფერს ვიტყვით. რადგან საამისო მასალა არ გაგვაჩნია. მაგრამ, ჩვენი ეარაუდით, შანთის ხმარება გამოსაძიებელი საქმის დამძიმებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, როგორც ამას ასხვავებს ვახტანგ VI-ის სამართლის მე-7 და მე-11 მუხლები.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ საჩინო ბარათაშვილისა და ბაბუნა წერეთლის სასამართლო პროცესზე „შანთის გაგდება“ ხდება აზნაურიშვილის გაძარცვის. ყმის გაყიდვის შემთხვევაში, ხოლო უფრო მცირე დანაშაულისათვის, მაგ. ცხენის წართმევისათვის. მოპასუხეს სასამართლო ფიცს აღებს. ცხადია, რომ „შანთს“ მიმართავენ ხოლმე შედარებით მძიმე დანაშაულზე[119].

შანთის გაგდების შესანიშნავ ცნობას იძლევა დ. ბაქრაძე: „Весьма интересен лист серой бумаги с явными следами огня и с изложением полного обвинительного акта при испитания так называемым расколенным железом“[120]. ეს ქაღალდი დ. ბაქრაძეს ჩვენამდნია ხელთ სხვა გურულ საბუთებთან ერთად და მეტად საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს სასამართლოში დამტკიცებული საშუალებათა ერთ-ერთი წესის ასახვი თვალსაზრისით. პატივცემული მკვლევარი მეორე არა ნაკლებ საყურადღებო საბუთს იძლევა ქართული ფეოდალური სამართლის ამ წესის დაცვის შესახებ. როდესაც გიორგი თაყაიშვილს შეუწამებია ამდურამანს ქათამაძისათვის იორდანე ლომჯარიას ოჯახის მოთხრა, ამდურამანს ღმერთისათვის შეუფიცრებია: „...თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი, გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ უფნებლად გამომიყვანე და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ...“[121] ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ საბუთი XIX ს. ეკუთვნის და საინტერესოა სასამართლოს ძიების ამ წესის XIX ს-ში შემონახვის თვალსაზრისითაც.

---

[117] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Sd, № 1147.

[118] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd. № 13770.

[119] იქვე. ფ. Sd. № 1147.

[120] Д. Бакрадзе, Археологические путешествие по Гурии и Аджаре, СПБ, 1878, გვ. 113.

[121] იქვე. გვ. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამტკიცებლის სახელობა წარმოადგენდა ხმალი, შესაძლებელია ხმლით თავის მართლება. როდესაც გიორგი საკაძე ქაიხოსრო ჯავახიშვილს უჩიოდა მასზე თავდასხმას და მოკვლის განზრახვას, ბრალის თავიდან ასაცილებლად ქაიხოსრო „აშოროს“ უპასუხებდა, თან „ხმალს აგდებდა“. „ხმლის გაგდება“ ქაიხოსროს არაბრალდებულების დამამტკიცებელი აქტი იყო. „ქაიხოსრო ამაზედ ხმალი გაგდო, რომე მაგრის მოშორე კაცი მოვიდეს, რომ მაგ საქმის მქნელი ვიყო, მოსამართლედა ერთმანეთს ხმალი ვკრათო“[122].

ქართული სასამართლო წარმოება მტკიცების ამ სახეს გაურბოდა. „თუ ხმალი გაგვეჩინა, შუაზედ სისხლი იქნებოდა ან ერთი მოკვდებოდა ან მეორე“[123]. — წერია XVII ს. განჩინების წიგნში. მაგრამ საინტერესო ცნობა შემოუნახავს ფარსადან გორგიჯანიძეს, სადაც ვრცლადაა აღწერილი „ხმლის გაგდების“ ერთ-ერთი შემთხვევა. ფარსადანი აღნიშნავს, რომ რადგან საქმე ეხებოდა ბატონიშვილს, „ამ რიგი საქმენი უხმლოდ არ გარდაწყვეტის“[124]. „ხმლის გაგდებას“ უთანაბრდება „შუბზე გატარება“. „შუბზე გატარება“ ასახულია XVIII ს. სასამართლო პროცესში, სადაც დგინდება, რომ ქაიხოსრო წერეთელმა „შუბზე კაცი გამოატარის და თუ შუბმა ამართლოს, არა ემართლება“ გოგია ჯაფარიძეო[125].

ამრიგად, ხმლის გაგდება და შუბზე გატარება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დაცული. მაგრამ იზმარებოდა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ქართული ფეოდალური სასამართლო თავის სხვა წესების დაცვათა შორის დამამტკიცებელ სუბუთთა მოტანის დროსაც ზღუდავდა. როცა იოანე ამილახოს უნდა დაემტკიცებინა მისი საკუთრება მამულზე. სასამართლომ „ოთხი დღე პაემანი დაუდო“[126]. ძიების ეს მომენტიც მიუთითებს საქართველოში საპროცესო სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

ქართულ სასამართლოს გვიანფეოდალურ ხანაში პატიებისა და შეწყნარების უფლება ჰქონია მოპოვებული. თუ ბრალდებულს ან მოპასუხეს დანაშაული დაუფასტურდებოდა. ცოდო „შეეჩნდებოდა“. სასამართლოს შეეძლო მისი შეწყნარება-პატიება. „უპატიო ამისთვის ვერ გავაჩინეთ. რომ ვერ გარდიხდიდა და არც იქნებოდა“[127].

მოსამართლეთ იპატიეს სიმონ ზვედგინიძის დასაურვებლად განსაზღვრული 30 კომლი ელეხი, 12 თუმანი თეორი, ერთი გუთანი ხარი, 3 ათასი კოდი პური, 100 კოკა ღვინო და სამაგიეროდ 6 კომლი კაცი დაადვეს[128]. ასეთი მაგალითები სასამართლოს მიერ გამოტანილი მსჯავრის პატიებისა ქართული სამართლის ისტორიაში მრავალია[129].

თუ. ერთი მხრივ, ქართული სასამართლო იპატიებდა თავის გარდაწყვეტილებას, მეორე მხრივ, თავის განაჩენის დაცვას მტკიცედ მოითხოვდა. წინაღმ-

---

[122] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd. № 6259.

[123] იქვე.

[124] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. საქართველოს ისტორია, „სასტორიო მოამბე“, ტ. II, 1946., გვ. 264.

[125] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Sd. № 1148.

[126] იქვე. ფ. Hd. № 2220.

[127] იქვე. № 1797.

[128] იქვე. № 1805.

[129] იქვე. ფ. Hd, № 2989; ფ. Ad, № 1421.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ შემთხვევაში სასამართლო ჯარიმის გადახდას აკისრებდა დამრღვევთან. „ამ ამ განაჩენს გარდავა, ქელმწიფემ თავისად შეცოდებად მოაკითხოს და თორმეტი თუმანი ჯარიმა ბატონისათვის გამოიღოს“[130], — ვკითხულობთ XVIII ს. სამართლის ძეგლში. მეორე ადგილას წერია: „ვინც ამ ბეჭობასა და სამართალს გარდავა, თვით კარგი სოფელი ქელმწიფეს დაუდონ“[131].

როგორც ვხედავთ, ფეოდალური სასამართლო „განაჩენის გარდასვლას“ ქვეყნის და ხელმწიფის შეცოდებად თვლიდა. სასამართლო გადაწყვეტილების დარღვევა ან შეუსრულებლობა პირველ ყოვლისა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძანართულ მოქმედებას ნიშნავდა და ჯარიმაც ასეთ შემთხვევაში მეფის სასარგებლოდ მიდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო თავისი გარდაწყვეტილების დაცვას დაუბრკოლებლივ მოითხოვდა, გვიანფეოდალური სამართლის ისტორიაში მაინც გვხვდება განაჩენისა და გასაჩივრების შემთხვევები. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით რომელიმე მხარე დაკმაყოფილებული არ იქნებოდა, მას გასაჩივრების საშუალებაც ჰქონდა. იყო შემთხვევები, რომ მომჩივარნი მოითხოვდნენ ხელახალ ძიებას. მაჩაბლებისა და ფალავანდიშვილების სასამართლო პროცესის განაჩენით მაჩაბელი უკმაყოფილო დარჩენილა და განუცხადებია: „კიდევ სასამართლოში შესვლას ვითხოო“[132]. სასამართლო ხელახლა შემდგარა, რათა მიღებული განაჩენი დაერღვია. მაგრამ ხელმეორედ მოწვეულ სასამართლოს ერთხელ მიღებული განაჩენის წინააღმდეგ სარწმუნოდ ვერაფერი მიუჩნევია და „სამართლის დიდათ გამოძიებით ესევ განაჩენი დავამტკიცეთო“[133].

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევასთან, სადაც ხდება მსაჯულთა ხელმეორედ შეკრება.

გასაჩივრების მეორე შემთხვევას ვხვდებით გერმანოზიშვილისა და ლომტაშვილების საქმის ძიების დროს, როცა გერმანოზიშვილი განაჩენით უკმაყოფილო დარჩენილა, სამსჯავროს განხილვა ხელახლა გამხდარა საჭირო[134].

აღებული ხანის სასამართლო წარმოების შედეგად გამომდინარე ერთ-ერთ სტადიას იურიდიული დოკუმენტები „ჩარონენებს“ უწოდებენ. სამართლის ეს ტერმინი გვხვდება ვახტანგ VI მოღვაწეობამდელ იურიდიულ ძეგლებში, ვახტანგის სამართალში, XVIII ს. საპროცესო სამართალშიც და ატარებს ერთსა და იმავე შინაარსს. „ჩარონენება“ უნდა ნიშნავდეს სასამართლო განხილვის შედეგად გამომდინარე იურიდიულ აქტს—გაბარას. იურიდიული ძეგლებისაგე მსგავსად, დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „ჩარონენება“ გაბრას უდრის[135].

XVII ს. სამართლის ძეგლი გვამცნობს, რომ გიორგი საკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმის გარჩევისას „ნალაპარაკევი ერთმანეთს შევუდარეთ და ჩავარონენეთო“[136].

მაშასადამე, ბეჭედ „ნალაპარაკევი“, ე. ი. მოსარჩლეს ან ბრალდებულს და მოპასუხეს სასამართლოს წინაშე წარმოთქმული, ერთმანეთისათვის შეუჯე-

---

[130] იქვე, ფ. Hd. № 9292.
[131] იქვე, ფ. Ad. № 1030.
[132] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 14874.
[133] იქვე.
[134] იქვე. № 10384.
[135] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული, თბილისი, 1887, გვ. 273.
[136] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 6259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიათ. შეუდარებიათ და მის საფუძველზე მოუხდენიათ გაბრა. ამ თავლსაზრისით, საინტერესოა იგივე ზემოდასახელებული სასამართლო განაჩენი, სადაც ნათქვამია: „ნახეევარი უზოოს და ნახეევარი ჩაგვირონინებიაო“[137]. ამრიგად, „ჩარონინება“ სასამართლო წარმოების ერთ-ერთი საფეხური იყო, როდესაც ბეჭეთ მომჩივართა ჩვენებების შეჯერება-შეფარდების საფუძველზე უნდა მოეხდინათ გაბრა. იგი სახლაურის გადახდის საწინააღმდეგო აქტად ჩანს და თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენდა. ამის დადასტურებას იძლევა ციცოშვილების სასამართლო წიგნიც. როდესაც შაჰ-აბასის შემოსვლის დროს ქართლის აწოოკებისა და ლუარსაბის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ არეულობა მომხდარა, ერთმანეთს წაკიდებული თავადები სასამართლოში წამდგარან საჩივრით: „იჩივლეს და რომელიც ჩასარონინებელი იყო, ერთმანეთს შეუფარდეთ და ჩავარონინეთო“[138]. ამ შემოხვევაშიც, სასამართლოს შეუფარდებია, შეუდარებია და, რაც გასაბრელი ყოფილა, გაუბრია, გაბრის შედეგად კი დანაშაულის მიხედვით განაჩენი გამოუტანია. ტერმინს — „ჩარონინებას“ ვახტანგის სამართალშიაც ვხვდებით, იმ ადგილას. სადაც საუბარია მკვლელობის შემოხვევაში შურისძიებისა და სისხლის აღების შესახებ. ვახტანგი აღნიშნავს, რომ საჭიროა ნამართი სისხლისა და დაზარალებულის სისხლის შეჯერება: „რაც ნამართებმა სისხლმა შეიფარდოს, ჩაარონინეთ, და რაც მეტი დარჩეს, მიაცემინეთ“[139]. ვახტანგსაც „ჩარონინება“ ჯაბრის მნიშვნელობით აქვს მოცემული.

როგორც ზევი თვნახეთ, სპროცესო სამართლის ზოგიერთი ნორმა (ზოგიერთს ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ აქ ყველას არ შეეხებივართ) შემუშავებულია ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენამდე, ასახულია ვახტანგის სამართალში და შემდეგ კი საყოველთაო სახელმძღვანელოდაა ქცეული მოსამართლეთათვის.

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართული გვიანფეოდალური პროცესუალური სამართალი იცავს საქმის ძიების ეტაპებს; კერძოდ, სარჩელის შედგენას, საგამომძიებლო მოთხოვნის აცილებას, მოწმეთა ჩვენებებს, საქმის გაბრას, სასამართლო წარმოების საგამომძიებლო ფუნქციისა და ხელახალი გამოძიების შემთხვევებს. ამით იგი გვიანფეოდალურ საქართველოში განვითარებული სამართლის არსებობას ადასტურებს. ამავე დროს ქართული სპროცესო სამართალი ინახავს ძიების ისეთ მეთოდებსა და ხერხებს, რომელნიც ორდალების სახეს ატარებენ. რითაც პროცესუალურ სამართალში „საღმთო მსჯავრს“ და ადათობრივ სამართალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ადათობრივი სამართალის ქართულ პროცესუალურ სამართალში დანერგვა და XIX საუკუნემდე შემორჩენა უნდა აიხსნას საქართველოში ფეოდალიზმის გახანგრძლივებითა და ფეოდალიზმის „დაჩიხულობით“, რამაც გამოხატულება პოვა სპროცესო სამართალშიც.

---

[137] საქართველოს სახ. მუზეუმი, ფ. Hd, № 6259.

[138] იქვე, ფ. Ad. № 1030.

[139] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 59.

9. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

М. Г. КИКОДЗЕ

К ИСТОРИИ СУДЕБНЫХ ДОКАЗАТЕЛЬСТВ В ПОЗДНЕ – ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

1. Материал, отображающий процессуальное право в позднефеодальной Грузии, сохранился в судебных актах и памятниках права данного периода. В памятниках грузинского права судебный процесс называется «габчоба» и «самартлис мицема». Название «самартали» (право) носит также орган, который производит судебный разбор спорных дел.

2. Судебное разбирательство начинается с того момента, когда словестно или письменно оформленный иск попадает в суд. Иск и жалоба отождествлены, т. е. не выделяются дела возбудимые по уголовному или гражданскому праву.

3. В том случае, когда ответчик при споре объявляет отвод — «ашоро», т. е. отрицает обвинение и старается отвести спорное дело, суд позднефеодальной Грузии прибегает к доказательствам.

4. Процесуальному суду позднефеодальной Грузии известны методы доказательства: юридические документы, свидетели, присяга, раскаленное железо и меч. Из них в практике самым распространенным является присяга (особый интерес представляет присяга — «набнит» и «хелшехрит»). Все эти разновидности доказательства встречаются в XVI—XVIII вв. и создаются на традиционной почве местных обычаев. Вахтанг VI при составлении параграфов судебного производства исходил из обычного права отображенного в судебных актах и документах.

5. Грузинский позднефеодальный суд осуществляет право помилования и смягчения приговора.

6. Грузинское процессуальное право допускает обжалование решения — случаи апелляции.

7. Процессуальное право придерживается определенной последовательности судебного производства: составление иска, отвод обвинения, показание свидетелей, смягчение приговора и случаи апелляции, что указывает на существование развитого процессуального права. В тоже самое время грузинское процессуальное право сохраняет такие методы судебного следствия, которые носят характер ордалии, в силу чего в процессуальном праве «суду божьему» и обычному праву придается почти что решающее значение. Внедрение и сохранение в процессуальном праве обычного права и «суда божьего» объясняется затяжным характером и застоем феодализма в Грузии, что находит соответствующее отображение и процессуальном праве.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ლ. ჟუთათელაძე

ერთი ლექსის ავტორის საკითხისათვის

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება აწარმოებს თავისი ფონდების მეცნიერულ აღწერას და პუბლიკაციას. ამ დარგში მომუშავე პირები განსაკუთრებით განიცდიან XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის მრავალრიცხოვან პოეტ-მოღვაწეთა ლიტერატურული მემკვიდრეობის სათანადოდ შეუსწავლელობასა და გამოუცემლობას. ამის გამო ხშირად ძნელდება ხელმოუწერელი ან შეცდომით ამა თუ იმ პოეტისათვის მიკუთვნებული თხზულების ავტორის სწორად დადგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ხელნაწერებში, არამედ ჩვენი ძველი პერიოდიკის ფურცლებზედაც ინიციალებით აღნიშნულ ავტორთა ვინაობა ზოგჯერ სწორად ვერ იშიფრება. ასე მაგალითად, სოლომონ დოდაშვილის ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ № 2-ში მოთავსებული ლექსი „მთოვარე“ ხელმოწერილია „ა...“ ინიციალით. იგი ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილის ვარაუდით ალექსანდრე ჭავჭავაძისა უნდა იყოს[1]. ამავე აზრისაა პროფ. შ. რადიანიც[2]. დასახელებული ლექსი ეკუთვნის ალექსანდრე ორბელიანს და არა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ამას ადასტურებს ყოფ. საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის ხელნაწერიც H-№2684.

ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს ერთი ლექსის — „დაკარგე ფერითა მდიდრად შემკული, ვსტირ მომეფარა“... — ავტორის დადგენა.

ეს ლექსი ჩვენი ფონდების სხვადასხვა კრებულებში ბევრგან მოიპოვება. მაგალითად, საქართველოს მუზეუმის კოლექციის (Q) ხელნაწერში №27; ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში: H-№№ 101, 772, 774, 2730; ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში: S-№№1540, 1575, 2385 და სხვ. ეს ლექსი დასახელებულ ხელნაწერებში ზოგან უავტოროდ და უსათაუროდაა წარმოდგენილი, ზოგან სხვადასხვა პირს მიეწერება. შედგენილობის მხრივაც ვარიანტულ სხვაობებთან გვაქვს საქმე. გავეცნოთ მას:

---

[1] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი და ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, ბიბლიოგრაფიის მოამბე, № 1, თბილისი, 1940.

[2] შ. რ ა დ ი ა ნ ი, ნ. ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი, გვ. 13, თბილისი 1946.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიშ რა გვიამას ყმაზედ სათქმელი

ა. დავჰკარგე ფერითა მდიდრად შემკული, ვსტირ მმეფარა,
ეროიქოს მტილსა აღჰყავებული. ვსტირ მმეფარა.
რაბამ სურნელებით გამრავლებული, ვსტირ მმეფარა.
გონება მას შევსწირე,
თვალთ ცრემლი მოვიხშირე,
გულს დანა განვიგმირე,
სიცოცხლე დამშთა მცირე.

ბ. ვიცი მომშორდა იგ განრისხებული, ვსტირ მმეფარა,
ოდეს განვიცდიდი მისსა ველსა, ვსტირ მმეფარა.
ამაყად ვარდს მღიმარს, ნაზად სურნელსა, ვსტირ მმეფარა,
ჯი, მე ვეღარ ეჰსჴვრეტ მზისა ნათელსა, ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე...

გ. მწყალავს ღაწვთა ლალობა, ვარდთა ბაგობა, ვსტირ მმეფარა,
ნარგიზთა ლამაზად სათთ გუშაგობა, ვსტირ მმეფარა,
ჴინდელთა მშვილდოსანთ ამხანაგობა, ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე...

დ. მაკვირვებს პირზედა მთვარის სფერობა, ვსტირ მმეფარა,
განმაკრთობს სუმბულთა ნაკვთიერობა, ვსტირ მმეფარა,
უზადო ხალთა მათ მიქნეს მტერობა, ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე...

ე. წელისა სიწვლილით მახსოვს სარობა, ვსტირ მმეფარა,
რხევა სწადელი, სლვა, ნარნარობა, ვსტირ მმეფარა,
მკლავთა ალვის რტოებრ მომზიდარობა, ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე...

ვ. დამშთა ოდენ ხსოვნა სანეტარადა. ვსტირ მმეფარა,
მზე ალპიის მთასა გარდამკდარადა. ვსტირ მმეფარა.
რად გიკვირს გლახ მდინდეს ცრემლი ღვარადა. ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე...

ზ. ნეტტუნ განმრისხდა ვიცი სრულადა. ვსტირ მმეფარა,
უკიანოს ფსკერს მყო დაფარულადა. ვსტირ მმეფარა,
მისთვის სიკვდილი მჩანს სახარულადა, ვსტირ მმეფარა,
გონება მას შეეჰსწირე,
თვალთ ცრემლი მოვიხშირე,
გულს დანა განვიგმირე,
სიცოცხლე დამშთა მცირე,
ვიცი მომშორდა იგ განრისხებული, ვსტირ მმეფარა.

(H—№ 174, 5r—6r)

განვიხილოთ თანამიმდევრობით ჩვენთვის საინტერესო ლექსის შემცველი, ზემოთ დასახელებული. ხელნაწერები: Q-№27-ის 1r-ზე ვკითხულობთ: „ეს ლექსთ ალბომი ეკუთვნის კნიაინა სოფიო მაყაევის ასულს. გადიწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანვრის 20-სა, 1868-სა წელსა". დასახელებული „ალბომი" სხვადასხვა პირთა ლექსების კრებულს შეიცავს. აღნიშნული ლექსი ამ კრებულში მოთავსებულია 16r-ზე უსათაუროდ. შემდეგი წარწერით: „გ ი ო რ გ ი კ ნ ი ა ზ ი ს ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი თ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ზ ა ქ ა რ ი ა ზ ე". როგორცა ჩანს, სოფიო მაყაშვილის ალბომის შემდგენელს თუ გადაწერს ლექსი, რომელიც იწყება: „დავკარგე ფერითა მდიდრად შემკული, ვსტირ მიმეფარა...", მიუღია მამისაგან შვილის, კერძოდ ზაქარია ერისთავის. გარდაცვალებაზე დაწერილ ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო ლ ე ქ ს ა ს დ ა გ ი ო რ გ ი კ ნ ი ა ზ ი ს ა ვ ი ს მიუკუთვნებია[3].

გიორგი იისეს ძე ერისთავს მიაწერს ამ ლექსს აგრეთვე პეტრე უმიკაშვილიც (S-1540). დასახელებული ხელნაწერი წარმოადგენს ლექსთა კრებულს. მას გარე კანზე ტექსტის ხელით აწერია: „ალბომი, 1860 წლისა". აქვე პეტრე უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „სხვადასხვა ლექსები ნიკ. ბარათაშვილისა, ალექს. ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავისა, მაყაშვილისა, ბესარიონ გაბაშვილისა, კნიაზნა სალომე მაყაევისა და სხვათა". ᲐᲐ. უმიკაშვილსვე ეკუთვნის წარწერანი ზემოთ: „პეტრე უმიკაშვილის მიერ"[4], ქვევით — „ალექსანდრე ბაქრაძისა", რაც უნდა გავიგოთ ასე: ლექსები შეკრებილია პეტრე უმიკაშვილის მიერ, „ალბომი" კი შეადგენს ალექსანდრე ბაქრაძის კუთვნილებას (ან მის გადანაწერს). ამ კრებულში ლექსთა დიდი უმრავლესობის ავტორები დასახელებულნი არიან, ხოლო იმ ლექსებს, რომელთა ავტორები გადამწერისათვის (ან შემკრებისათვის) უცნობი ყოფილა, მიწერილი აქვთ ნომერი. საძიებელ ლექსსაც ასეთი ნიშანი უსდა. პეტრე უმიკაშვილი (როგორც შემკრები?) ამ ლექსს ავტორს უძებნის და თავისი ხელით ნომრის გვერდით უწერს: „სენაკორის თავ. გიორგი ერისთავისა"; ამასთანავე შენიშნავს იქვე: „1850 წლებში მღეროდნენ" ექვ. თაყაიშვილსაც, ᲐᲐ. უმიკაშვილის ამ მინაწერის გამო, დასახელებული ლექსის ავტორად მიჩნეული ჰყავს გიორგი იასეს ძე ერისთავი[5].

ლექსთა კრებულში H-№101 იგივე ლექსი უავტოროდაა შეტანილი. მის სახეცვლილებას და დამახინჯებას ეხედნი ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის ᲐᲐ. უმიკაშვილისეულ ხელნაწერშიც (S-№ 1575).

ა. დავკარგე ფერი (!) მდიდრად შემკული, მსტირი მეფარე,
ვარდი ჰქონდა დილასა (!) აყაევებული, მსტირი მეფარე,
ვარდმან სურნელებით განმრავლებული, მსტირი მეფარე,
ია, ვარდო გაშლილო, მსტირი მეფარე...

ასევე უავტოროდ, ნაკლულად, რეფრენის შეცვლით და მცირე ვარიანტული სხვაობით იგი წარმოდგენილია H კოლექციის ხელნაწერში №2730, რომელიც პოეტ-აკადემიკოსს ი. გრიშაშვილს ადრევე უნახავს და მის შესახებ წერა: „ამ ბოლო ხელნაწერში (H-№2730.—ლ. ქ.) ამ ლექსს (ალ. ჭავჭავაძის «თქმული

---

[3] გიორგი იასეს ძე ერისთავი „დიდ კნიაზად" წოდებული, გენერალ-ლეიტენანტი და სენაკორი, დაიბადა 1760 წელს, გარდაიცვალა 1863 წელს („ეკვანი", 1863, № 86). მას ჰყავდა ორი ქალი და ერთი ვაჟი—პოლკოვნიკი ზაქარია, რომელიც 1850 წელს ლეკებმა მოკლეს.

[4] ზუსტად ასევე აწერია ᲐᲐ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ხელით სხვა ლექსთა კრებულის (S—1534) გარეკანსაც. ცხადია, იგი ამ შემთხვევაშიაც შემკრებია დაესტამბავი ლექსებისა.

[5] Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения", т. II, Тифлис, 1906, გვ. 391. ალწერილობაში აღნიშნული არ არის, რომ ლექსის ბოლოს ავტორი მიწერილია არა ტექსტის ხელით და რომ იგი ეკუთვნის ᲐᲐ. უმიკაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულდამწვარზე». — ლ. ქ.) მოსდევს ერთი ლექსი, რომლის ავტორიც ვერ დავადგინეთ, ლექსი ასე იწყება:

«დაკკარე ფერითა მდიდრად შემკული, ჩემი სიცოცხლე,
ეფრქოთ მლოდეს იყვავებული, ჩ. ს. [ჩემი სიცოცხლე]
რაბამს სურნელებით განმრავლებული, ჩ. ს...» [ჩემი სიცოცხლე]»[5]

ეს ლექსიც იგივეა, რაც Q-№27 ხელნაწერში მოთავსებული, მხოლოდ აქ (H-№730) იგი წარმოდგენილია არა სრულად და რეფრენცულად.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ს. მაყაშვილისეულ ალბომში (Q-№27) დაცული წარწერის („გიორგი ენიაზისაგან თქმული თავის შვილ ზაქარიაზე») საფუძველზე ეს ლექსი მოექცა გიორგი იასეს ძე ერისთავის ლექსების რიგში[7]. ამ უკანასკნელზე დამყარებით დასახელებული ლექსის ავტორად ჩვენ მიერაც გიორგი იასეს ძე ერისთავია გამოცხადებული[8].

ხელნაწერების დამუშავებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია H-№772-სა და №774 კრებულებში შესულმა ამ ლექსმა. თუ დღემდე დასახელებულ ლექს ვიცნობდით უავტოროდ ან გიორგი იასეს ძე ერისთავისად, ამ ორმა ხელნაწერმა მისი ნამდვილი ავტორი გამოაჩინა, სახელდობრ, გ ი ო რ გ ი ე გ ნ ა ტ ე ს ძ ე თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. გავეცნოთ დასახელებულ ხელნაწერებს.

H-№772 ხელნაწერი წარმოადგენს XIX საუკუნის ხელით გადაწერილ კრებულს, რომელშიაც შესულია: ნ. ბარათაშვილის ლექსები, ანტონ I წერილები, დავით და გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილების ლექსები. ამ უკანასკნელის 26 ლექსს შორის ჩვენთვის საინტერესო თხზულებაც იპოვება, შემდეგი წარწერით: „ვიშ რა გვიამას ჭმაზედ სათქმელი გაფი“.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ყველგან უსათაუროდ წარმოდგენილი ლექსის სათაურის მაგიერმა წარწერამაც მიიქცია ჩვენი ყურადღება.

H-№774 ხელნაწერი არის ნაწილი რომელიღაც დიდი კრებულისა. ამაზე მიგვითითებს ძველი, ანბანური პაგინაცია. პირველ გვერდს აწერია ფუგ (593), მეორეს ფუდ (594) და ა. შ., ვიდრე ქიბ-მდე (612). აქამდე ეს ნაწყვეტი ათფურცლიან დამოუკიდებელ ხელნაწერს წარმოადგენს, მხოლოდ და მხოლოდ გიორგი თუმანიშვილის ლექსებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაინტერესებულ პირს სხვადასხვა თხზულებათა შემცველი დიდი კრებული დაუშლია და გიორგი თუმანიშვილის ლექსები ცალკე წიგნად აუკინძავს. ხელნაწერი გადაწერილია კალიგრაფიული ხელით XIX საუკუნის 20—30-იან წლებში (ჭვირნიშანი 1827).

ორივე ამ ხელნაწერში საძიებელ ლექსს სხვა ნუსხებისათვის უცნობი სათაური აქვს: „ვიშ რა გვიამას ჭმაზე სათქმელი“. რასაკვირველია, ძნელი დასაჯერებელია, რომ 90 წლის ღრმად მოხუც მამას, ერთადერთი ვაჟის დასატირებლად და თავისი უბედურების გამოსახატავად, ლექსის ამგვარი ხმა აერჩია, თუნდაც იმ

---

[6] ალ. ბ ა ვ ბ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გ რ ი ბ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 305.

[7] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ფრაგმენტები, სენატორი გიორგი იასეს ძე ერისთავი, პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1941.

[8] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, თბილისი, 1946, ილ. აბულაძის რედაქციით, გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხერხულობის თავიდან ასაცდენად, რომ უდიდესი მწუხარების ამსახველი „ვა-
წარმოები („ვიშ რა გვიამს ჰმაზე სათქმელი“) სასიმღერო არ გამხდარიყო.

დასახელებული ლექსის შინაარსის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი სატრ-
ფიალო ხასიათის თხზულებაა და ლექსის ობიექტი: „უზადო ხალთა“, „ვარდ-ბა-
გეთა“, „ლალ-ღაწვთა“, „წვრილი წელის საწადელად მრხეველი“ ქალია და არა
ლეკების მიერ მოკლული პოლკოვნიკი ზაქარია ერისთავი. მოვიგონოთ რამდენი-
მე ადგილი:

...მწყლავს ღაწვთა ლალობა, ვარდთა ბაგობა, ვსტირ მიმეფარა,
ნარგიზთა ლამაზად სათთ გუშაგობა, ვსტირ მიმეფარა,
ჟინდელთა მშვილდოსანთ ამხანაგობა, ვსტირ მიმეფარა.

მაკვირვებს პირზედა მთვარის სეერობა, ვსტირ მიმეფარა,
განმაკრთობს სუმბულთა ნაკვთიერობა, ვსტირ მიმეფარა,
უზადო ხალთა მათ მიქნეს მტერობა, ვსტირ მიმეფარა.

წელისა სიწვლილით მახსოვს სარობა, ვსტირ მიმეფარა,
რხევა საწადელი, სლვა ნარნარობა, ვსტირ მიმეფარა,
მკლავისა ალვის რტოებრ მომზიდობა, ვსტირ მიმეფარა...

თვალ-წარბ-წამწამთა მეტაფორების ასეთი მოჭარბებული ხმარება, ვაჟკა-
ცის მკლავების ალვის რტოებრ მომზიდობასთან შედარება, თანაც მამისაგან
გარდაცვლილ ვაჟზე თქმა: „უზადო ხალთა მათ მიქნეს მტერობაო“ არაპუნებ-
რივია, მით უფრო, რომ არსებობს გიორგი იასეს ძე ერისთავის ლექსი —
ზაქარიას ეპიტაფია (ს. იკორთაში):

შვილო ჩემო, საყვარელო, სიამოვნეგ, რისთვის დამაგდე მე შენა,
მწუხარების მძიმე ლოდნი მტკიცედ. მყარად გულსა ჩემსა მეშენა,
ცრემლნი ცხელნი მომდინარე, წამწამთაგან ისრის მსგავსად მეშენა,
მსურს ჩავწვე ბნელს საფლავსა, გვერდით შენსა მსწრაფულ მელოდ
მე შენა.

თვალთა ნათელო, დათა დიდებავ, მამის გვირგვინო, ესე ყოველი
სრულად მოგვეღო,
მზე მიგვეფარა, ბნელმან დაგვფარა, შვება განქარდა, უბედობისა
კარი გაგვეღო.

მე, მამა შენი, ვფიცავ ზესთა ძალსა უძლოსა,
დაჭკნა შვების ყვავილი, ვით წალკოტსა უწყლოსა,
მე მაშინ მივიწიო სიხარულსა უცხოსა.
როს ვიხილავ მე შენსას სასუფევლს შვებასა[9].

ამ ლექსში გამწარებული მშობლის ბოლმიანი ქვითინი ისმის, „ვიშ რა გვია-
მას ჰმაზე სათქმელში“ კი მიტოვებული მიჯნურის მოგონებები წარსულ ბედნიე-
რებაზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთგან (S-№ 1540) აღნიშნულ ლექსზე
წარწერილი სხვა ნუსხებისათვის უცხო სათაურიც: „არშიკის მოშორვება“. სრუ-

[9] ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილის დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად დასაშვებია, რომ იგი ემღერათ 1850 წლებში. როგორც ამაზე მეცნიერ პ. უმიკაშვილი (S-№ 1540), მაგრამ გასარკვევი რჩება საკითხი: რისთვისაა ამ ლექსთან დაკავშირებული გიორგი იასეს ძე ერისთავის სახელი?

აღნიშნული ლექსის ყოველი ტაეპის დაბოლოება—„ესტერ მიმეფარა", როგორც გადმოსცემს მწუხარებას. მახლობელი ადამიანის დაკარგვის („მიფარვის") გამო. და ამასთანავე ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ლექსს მღეროდნენ 1850 წლებში, ხომ არ გახდა საფუძველი საძიებელი ლექსის პოლეკოვნიკ ზაქარია ერისთავის სიკვდილთან დაკავშირებისა და მის ავტორად ზაქარიას მამის, პოეტობითაც ცნობილი გიორგი იასეს ძე ერისთავის მიჩნევისა?

განხილული ლექსის ავტორი, რომ გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილია და არა გიორგი იასეს ძე ერისთავი, ამას ამ ლექსს გიორგი თუმანიშვილის სხვა სატრფიალო ლექსებთან შედარებაც ნათელყოფს, მაგალითად:

ახალ ალნაგოს ჯვაზედ თქმული	ვიშ რა გვიამას ჯვაზედ თქმული
...წელი სინაზით მრხეველი	წელისა სიწვლილით მახსოვს სარობა,
საროს სიწვლილით მძლეველი	ვსტირ მიმეფარა,
სლვით სურნელებს მფრქვეველი	რხეეა საწადელი, სლვა ნარნარობა,
ნეტარ მას ვინ ებაგოდა,	ვსტირ მიმეფარა,
თავი არ გაიშმაგოსდა	მკლავთა ალვის რტოებრ მიმზიდობა,
. . . . .	ვსტირ მიმეფარა,
ნარგიზთა გარე გიწერნი	
მდგომნი ტურფად მშვენიერნი.	. . . . .
მკლავს მე სენი, მის მიერნი,	
ნეტარ მას ვინ ებაგოდა,	მწყლავს ღვაწთა ლალობა, ვარდთა
თავი არ გაიშმაგოსდა...	ბაგობა, ვსტირ მიმეფარა,
	ნარგიზთა ლამაზად სათთ გუშაგობა,
	ვსტირ მიმეფარა,
	ინდელთა მშვილდოსანთ ამხანაგობა,
	ვსტირ მიმეფარა.

შედარებული ლექსების შინაარსი, ფაქტური, პოეტური ხერხების გამოყენების ერთგვაროობაც გვარწმუნებს, რომ ორივე ლექსი სატრფიალოა და ერთ ავტორს ეკუთვნის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს და ამაგრებს ჩვენთვის უკვე ცნობილი ორი ხელნაწერი H-№№772 და 774. ამ უკანასკნელის გადამწერი არ კმაყოფილდება პირველ ლექსზე გაკეთებული სათაურით: „მისი ბრწყინვალების, თავადის შტაცკის სოვეტნიკის და კავალერის გიორგის ეგნატის ძის თუმანოვისაგან თქმული ლექსი" და თითოეული ლექსის სათაურთან იმეორებს ავტორის სახელისა და გვარის ინიციალებს—თ. გ. თ.[10] [თავადი გიორგი თუმანიშვილი]. ამასთანავე ბოლოში, თითქოს მეტი დამაჯერებლობისათვის, მიაწერს: „ეს ზემოთქმული ოცდაოთხი სიმღერა არის თქმული თავადის გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი ს ა მიერ ე გ ნ ა ტ ი ს ძ ი ს ა, სტატსკის სოვეტნიკისა და კავალერისა".

[10] ამავე ინიციალებით (თ. გ. თ) ეს ლექსი მოწერილია სხვა ხელნაწერშიც (S-№2385). აქედან ასევე ავტორის სახელისა და გვარის გაუშიფრავადაა იგი შესული ეკ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს „Описание"-ში, ტ. II, 1906—1912, გვ. 377.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ლექსი „დავკარგე ფერითა მდიდრად შემკული“... ანუ „ვეშ რა გვიამას ჭმაზედ სათქმელი“ არის სატრფიალო თხზულება, დაწერილი ქალზე, მასთან განშორების გამო და ეკუთვნის გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს და არა გიორგი იასეს ძე ერისთავს. ამ უკანასკნელის ავტორად გამოცხადება ნაწილობრივ სოფიო მაყაშვილისეული ხელნაწერის (Q-№27) შემდგენელ-გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომა-გაუგებრობაზეა აგებული.

Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ

ОБ АВТОРЕ ОДНОГО СТИХОТВОРЕНИЯ

Резюме

Стихотворение „დავკარგე ფერითა მდიდრად შემკული“ встречается во многих рукописных списках начала XIX века, без указания автора. Только в одном списке П. Умикашвили, который собирал стихи и составлял сборники неизвестных и не изданных авторов, названное стихотворение приписывает Георгию Евсеевичу Эристави (S - № 1540), что и отразилось в «Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения»—Е. Такайшвили, т. II, 1906-1912, стр. 391.

Кроме того, при публикации (Труды Педагогического института им. А. С. Пушкина, 1941, № 2) оно на основе данных лишь одной рукописи середины XIX в. (коллекция Государственного музея Грузии им. Акад. С. Н. Джанашиа, Q—№ 27) было приписанно также Георгию Евсеевичу Эристави, как произведение, якобы, написанное отцом, при трагической смерти единственного сына—полковника Захария Эристави, убитого дезгинами в 1850 г.

На основании детального изучения рукописных списков, в которых нашло место означенное произведение и сличения его с другими лирическими произведениями, доказываем, что оно принадлежит не Георгию Евсеевичу Эристави, а другому поэту конца XVIII и начала XIX вв. — Георгию Игнатьевичу Туманишвили.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. ხანთაძე

სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში

აკად. ნ. ბერძენიშვილი ქართული ფეოდალური საზოგადოების შინაპოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა შემდეგს: „თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ უხვად მოიძია ფეოდალური ხანის მწერლობასა თუ სხვა წყაროებში მასალა ჩვენი საზოგადოების ბრძოლისა და ზრდის შესახებ. მან უდავოდ ცხადყო, რომ ფეოდალურ საქართველოში საზოგადოებრივი საშინაო თანხმობის შესახებ მოგონებაც კი გამქრალი იყო“[1].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას მართლაც დიდი რაოდენობით მოპოვება ცნობები ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლების შესახებ. თავადური ოპოზიციის ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეების ქალაქების ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ. გლეხთა მასების ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და სხვა ამგვარი მოვლენები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან დიდი ხანია სპეციალური შესწავლის საგნად იქცა.

ასეთივე ხასიათის მოვლენას წარმოადგენს სათავადო აზნაურების ბრძოლა თავადების წინააღმდეგ მათი ყმობიდან განთავისუფლების მიზნით. გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიაში მრავლად გვხვდება ამ ბრძოლის ეპიზოდები. თავადების ყმობიდან განთავისუფლებისათვის იბრძვიან, მაგალითად, აზნაურები საყვარელიძეები (დავითიშვილების წინააღმდეგ), თულაშვილები (ქსნის ერისთავების წინააღმდეგ) და სხვანი.

თავადის აზნაურთა ეს ბრძოლა გარკვეული ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. იგი სათავადოთა სისტემის შერყევის საფუძველზე ჩაღდება და თვითონაც ხელს უწყობს ამ სისტემის დაშლას. ამიტომ იგი ყოველთვის ერთგვარი სიძლიერით როდი ჩანს. განსაკუთრებით თვალსაჩინო ძალისაა ეს ბრძოლა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, როცა ქართულ საზოგადოებაში სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა იწყება (ერეკლე მეორე...) და რუსეთთან შეერთება კი ბოლოს უდებს სათავადოთა პოლიტიკურ სისტემას.

მაგრამ ასეთი ხასიათი თავადის აზნაურთა ბრძოლას ობიექტურად ჰქონდა მხოლოდ. თვითონ აზნაური კი თავადობისაკენ ისწრაფოდა და, მაშასადამე, სოციალურ აღზევებას ლამობდა. ამ „მოჯადოებულ წრეში“ დიდხანს იყო ფეო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-16—17 საუკუნეების მიჯნაზე, მასალები..., ნაკვ. I, 1944, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალური ქართული საზოგადოება, სანამ საქართველოს ირგვლივ არსებული მტრული გარემოცვა არ გაირღვა, სოციალ-ეკონომიური ძალების შემდგომ განვითარებას გზა არ გაეხსნა და ახალი საზოგადოებრივი ძალები არ წარმოშობენ... ეს ამბები უკვე მე-19 საუკუნის 30—40-იან წლებზე მოდის.

თავადის ყმა აზნაურთა ბრძოლის ეპიზოდებიდან ჩვენ ერთ-ერთს ვიღებთ: ესაა აზნაურ ფიცხელაურთა ბრძოლა ქსნის ერისთავების წინააღმდეგ, მათი ყმობიდან განთავისუფლების მიზნით. ქვემოთ დავინახავთ, რომ ფიცხელაურები მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში ამყღვავებენ მტრულ დამოკიდებულებას თავიანთ პატრონთან, ქსნის ერისთავებთან, აგრძელებენ ამ ბრძოლას მე-19 საუკუნეშიც, სანამ რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით თავიანთ მიზანს არ მიაღწიეს. რა ნიადაგზე წარმოებდა ეს ბრძოლა, რა მიზანს ისახავდნენ ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპზე ფიცხელაურები, რა ადგილი ეკავა ამ ბრძოლას ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებაში და რამ განაპირობა მისი წარმატებით დამთავრება — აი, ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც საუბარი გვექნება წინამდებარე წერილში.

ჩვენ მიერ აღებული მოვლენა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უცნობი არაა. თავადის აზნაურთა მისწრაფებების მიზნისა და მიზეზების შესახებ ზოგად დებულებებს ვხვდებით პროფ. ნ. ბერძენიშვილის ნარკვევში: «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, XIII—XVI вв.» (1938 წ.) აქ აღნიშნულია, რომ თავადის აზნაურები მეფის აზნაურებად გახდომას ცდილობდნენ, ვინაიდან მეფის აზნაურს ეკონომიური გაძლიერებისა და სოციალური აღზევების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

თავადის აზნაურთა მდგომარეობის დახასიათებას და მათი ბრძოლის ცალკეული ხერხების მითითებას ჩვენ ვხვდებით პროფ. დ. გვრიტიშვილის ნაშრომში —„ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან" (1955 წ., გვ. 236—250.) აქ აღნიშნულია, რომ თავადთან ბრძოლაში აზნაური იყენებდა თავადის სახლიკაცების მტრობას ერთმანეთს შორის, გლეხთა გამოსვლებს თავადების წინააღმდეგ. სხვა აზნაურთა უკმაყოფილებას, მიმართავდა მეფეს მფარველობის თხოვნით და სხვა (გვ. 241). აქვე დ. გვრიტიშვილი გაკვრით ეხება ქსნის ერისთავების წინააღმდეგ ფიცხელაურებისა და სხვა აზნაურების ბრძოლასაც.

აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი სპეციალურადაა შესწავლილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. აკოფაშვილის მიერ, ნაშრომში— „აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში"[2]. ავტორის ძირითად მიზანს წარმოადგენს აზნაურის „პირადი თავისუფლების" საკითხის შესწავლა. „რა მდგომარეობაშია აზნაურის ეს უფლება სახელმწიფო სამართლის მიხედვით, როგორ უყურებს მას თავადი და ამის შედეგად რა რეალური შესაძლებლობა აქვს აზნაურს ამ უფლების ცხოვრებაში განხორციელებისათვის" — ასეთია გ. აკოფაშვილის კვლევის მიზანდასახულობა. ამ საკითხებს ჩვენი თემისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ქვემოთ ვიყენებთ კიდეც ავტორის დასკვნებს.

---

[2] „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის" (შემდეგში: მსკი), ნაკვ. 32, თბილისი, 1955, გვ. 85—110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზნაურების მდგომარეობას გვიანფეოდალურ ხანაში ეხება აგრეთვე ვ. ჯაფ-ბუტია, რომელსაც საყაფლანშვილოს აზნაურობა აინტერესებს („ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან", თბ., 1955).

სხვა მეტი ჩვენს ლიტერატურაში ხელშესახები არა მოიპოვება რა.

წყაროების მხრივ ასეთი მდგომარეობაა. მასალების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია[3], მაგრამ გამოუქვეყნებელი მასალებით მათი შევსება აუცილებელია. საარქივო გამოუქვეყნებელი მასალა დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში და ლენინგრადის ცენტრალურ საისტორიო არქივში. ეს მასალები, რა თქმა უნდა, კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს. ბრძოლის პროცესში შექმნილი მასალა ყოველთვის ტენდენციურია და ამა თუ იმ მებრძოლი მხარის ინტერესებითაა ალბეჭდილი. გარეშე დამკვირვებელიც კი ვერ აღწევს თავს ამ ტენდენციურობას. ფიცხელაურებისა და ერისთავების ბრძოლას საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით აფასებდნენ ქართლის აზნაურები (ჭილაძე, ფურცელაძე...), თავადები (ბარათაშვილი, მუხრან-ბატონი, ორბელიანი...), სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები თუ ცარიზმის მოხელეები.

ჩვენ ეცდილობდით ყველა დოკუმენტის გამოყენების დროს მისი შემქმნელის ინტერესები გაგვეთვალისწინებინა.

ფიცხელაურთა ვინაობა და სოციალური მდგომარეობა

ფიცხელაურები წარმოშობით ქსნის ხეობიდან იყვნენ. მე-18 საუკუნეში, ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობათა მიხედვით, ფიცხელაურები ცხოვრობდნენ—სოფ. იკოთში (5 ოჯახი), სოფ. წირქოლში (1 ოჯახი)[4]. ამავე სოფლებში ჰქონდათ მათ ყმა-მამული. ამავე დროს მათ ყმა-მამული ჰქონდათ სხვაგანაც. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ საბუთში იხსენიება ფიცხელაურთა „მამაპაპის მამული" ერედას[5] (სამხრანიში). მეორე საბუთში დასახელებულია ფიცხელაურთა ყმა-მამული სოფ. მეჯვრისხევსა და ახშადს (მეჯუდაზე)[6].

ფიცხელაურები ქსნის ერისთავების ყმა აზნაურები იყვნენ. 1754 წ. დავით ქსნის ერისთავი არჯევან ფიცხელაურს თავის „ერთგულსა და თავდადებით ნაშახტურ ყმას" უწოდებს[7], ხოლო მეორე საბუთში (1762 წ.) ერთ-ერთი ფიცხელაური წერს: „ჩვენ ქსნის ერისთვის აზნაურშვილმა ფიცხელაურმა" მოგყიდეთ მამულიო[8].

ყველაზე ადრეული საბუთი, სადაც ფიცხელაურები აზნაურობით იხსენიებიან, ჩვენ მოგვეპოვება 1713 წლისა[9]. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა ფიცხელაური ჯერ კიდევ არ იყო გააზნაურებული. 1724 წლის საბუთში, როგორც ვაცნობეთ, ერთ-ერთი ფიცხელაური, არჯევანი, იხსენიება მსახურად: „შენ ყარალაშვილის მსახურს ფიცხელაურ არჯევანს"

---

[3] „საქართველოს სიძველენი", ტ. II; Акты..., ტ. IV, V, VI, VII.

[4] თსუ ზრომები, ტ. 45, 1951, გვ. 23, 23, 51, 53, 54. სოფ. წირქოლში, სოფლის განაპირას დღემდეა შენმონახული მოძცრო ზომის საბრძოლო კოშკი, რომელსაც „ფიცხელაურთა კოშკს" უწოდებენ.

[5] „საქართველოს სიძველენი", ტ. II, გვ. 474.

[6] იქვე, გვ. 470: საქართველოს ცსსა, ფ. 226, საბ. № 8898.

[7] „საქართველოს სიძველენი", ტ. II, გვ. 455.

[8] საქართველოს ცსსა, ფ. 226, საბ. № 513.

[9] „საქართველოს სიძველენი", ტ. III, გვ. 500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზატობა გიბოძეთო[10]. როგორც ჩანს, ამ ხანებში არჯევან ფიცხელაური კახეთშია გახიზნული და ყარალაშვილებთანაა შეკედლებული. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ყველა ფიცხელაური ახნაურიშვილი ჩანს.

თავადის ყმა ახნაურთა სოციალური მდგომარეობა გვიანფეოდალურ საქართველოში ორმხრივია. ერთი მხრივ, იგი მემამულეა, ყმებისა და მიწის მფლობელი, მეხოვრები თავისი ყმეების ექსპლოატაციითა და ჩაგვრით. მეორე მხრივ, ყმაა, დამოკიდებული წოდების წარმომადგენელი, რომელიც ხშირად განიცდის მიჩძლევრებასა და შევიწროებას თავისი პატრონისაგან.

ფიცხელაურთა საგვარეულო საბუთებში საკმაო მასალას ვპოულობთ მათი სოციალური მდგომარეობის დასახასიათებლად. ამ მასალის მიხედვით კარგად იხატება მათი მემამულური, ბატონური სახე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ცნობები არჯევან ფიცხელაურის შესახებ.

არჯევან ფიცხელაურის ყმას, ლამისყანელ მჭედლიშვილს, „მრავალჯერ უჩივლია“ გიორგი ბატონიშვილთან იმ შევიწროების გამო, რომელსაც განიცდიდა იგი თავისი ბატონისაგან. ერთ-ერთ საჩივარში 1785 წელს იგი წერს: „წრეულს თიბათვეში ერთი ხარი გამამიშვა გუთნიდამა და გუთანიც ჩამიშალა და არც რა მახვნევინა; და ექვსი კოდი პური კიდეც ჩემით მომირთმევია და ახლა ოცდაერთს კოდს ახლა მოხოვს და იასაულიც შინ მიდგას. მე დანაშაული არა მაქვს რა. ამას გევედრებით, რომ შეძლებით მიმსახუროს“[11].

არჯევანი არ ცმაყოფილდება მხოლოდ თავისი ყმეების ჩაგვრით. იგი ცდილობს მიიტაცოს სახაზინო გლეხები. 1777 წ. ლამისყანელი ქეიფაე გიორგი ბატონიშვილთან ჩიოდა: „თქვენი ყმა ვარ და არჯევანისა არა“, დამეხსნასო[12].

ყოველივე ამასთან ერთად არჯევანი, როგორც ჩანს, ბოროტად იყენებდა თავის სამოხელეო თანამდებობას. 1779 წ., როცა გიორგი ბატონიშვილმა არჯევან ფიცხელაურს ახალგორის მოურავობა უბოძა, საგანგებოდ გააფრთხილა იგი: „ყოვლის სამართლიანის საქმით შენს სარგოს აიღებდე და უსამართლოდ ნურას აღებ, ნურც არას უსამართლოდ ინდრემებო“[13]. ჩანს, ამ მოხელეს ჩვეულებად ჰქონდა „უსამართლოდ სარგოს აღება“ თუ სხვა „უსამართლო“ საქციელი.

ზემით მოყვანილი ცნობების მიხედვით, ჩვენ წინაა ტიპიური მემამულე, ყმა გლეხთა ექსპლოატატორი და მჩაგვრელი[14].

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების სიმცირე, სამწუხაროდ, არ იძლევა შესაძლებლობას ფიცხელაურთა მამულიანობა დაეახასიათოთ, წარმოვადგინოთ მათი ყმა-მამულის საერთო რაოდენობა. არსებული ცნობებიდან ჩანს, რომ ფიცხელაურები წკრილი მემამულეები იყვნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ახნაურთა ფენისთვის საქართველოში საერთოდ დამახასიათებელია მცირე ყმა-მამულიანო-

---

[10] სსმ, Qd, 6712.

[11] საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. 24, საბ. № 109. საბუთზე გიორგი ბატონიშვილი აწერს: „ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებს არჯევანს! ამ არზით ეს კაცი რომ ასე გიჩივის, ვფლავაც მრავალჯერ უჩივლია, რათ ვერ დაეჯერე გუფლ... შეაღავათით მოექეც და რიგიანათ, რომ აღარ ეჩივლოს, შენც ჯამოგადგეს და შენს შვილსაც, შეძლებისამებრ იმსახურე“.

[12] „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 456—457.

[13] იქვე, გვ. 460.

[14] შდრ. ტ. ფარცხალაძე, ფიცხელაურიანთ ოჯახის „ეკონომიური პოლიტიკა“, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 2, გვ. 65—72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა[15]. ქვემო ქართლში, საყაფლანიშვილოში, მაგალითად, 1721 წელს 21 სოფელად უყმო აზნაურია დასახელებული[16].

ამავე დროს აზნაურები არ იყვნენ მათი ყმა-მამულის ერთადერთი მესაკუთრენი. მათ ყმა-მამულზე უზენაესი უფლებები ჰქონდა მათ პატრონს — თავადს, ეკლესიას ან კიდევ მეფეს. „Независимых, сидящих лишь на собственных наследственных вотчинах азнауров, —წერს პროფ. ნ. ბერძენიშვილი,—к этому времени (გვიან ფეოდალურ ხანაში.—შ. ხ.), как общее явление давно уже нет. Азнаури являются либо царскими, либо церковными, либо княжескими“[17].

აზნაურის ყმობას საფუძვლად ედვა სამიწო ურთიერთობა პატრონთან. ამ ურთიერთობით იყო განსაზღვრული მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელიც დამახასიათებელია აზნაურული მიწის მფლობელობისათვის საქართველოში და რომელსაც იერარქიულ ან დანაწევრებულ მიწის საკუთრებას უწოდებენ. ფეოდალური ურთიერთობისათვის მიწის საკუთრების ეს ფორმა ყველაზე ტიპიურია და ამ ურთიერთობის განვითარებული საფეხურისათვისაა დამახასიათებელი[18].

აზნაურის ყმა-მამულზე განკარგულების უფლება ჰქონდა აზნაურის პატრონს—თავადს, მეფეს ან ეკლესიას. ფიცხელაურების მამულზე ასეთი უფლება ჰქონდა ქსნის ერისთავს, მათ პატრონს. ეს უფლება ყველაზე ნათლად მეცდავნდებოდა მამულების ყიდვა-გაყიდვის საკითხში. ფიცხელაურებს არ ჰქონდათ უფლება გაეყიდათ მამული ისეთ პირზე, რომელიც ქსნის ერისთავის ყმა არ იყო, თუკი ამისათვის ერისთავისაგან სათანადო დასტურს არ მიიღებდნენ. ასე მაგალითად, 1761 წელს როცა ბეჟან, ფრიდონ და ამირან ფიცხელაურებს დაჭირდათ „სამთავე ძმათა საერთო ბარათში გამოყოლილი“ მამული და ყმების გაყიდვა, მათი დედა „ბატონებს შეხვეწნოდა მამულის გასყიდვას“ და მათაც

---

[15] ი. ანთაძე. ყმების მფლობელობის ზასიათი საქართველოში XVIII საუკუნეში, „კრებული“, 1916. თბილისი, ი. ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 51 და შ.; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

[16] გ. ჯაბური ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 114.

[17] Н. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 38.

[18] А. Венедиктов, Государственная социалистическая собственность, 1948, გვ. 101.

ზოგი მკვლევარი არ ეხიარება დანაწევრებული საკუთრების ცნებას და ცდილობს სპეციალურად გაიხაროს ფეოდალური მიწის საკუთრების არსი. ასე მაგალითად, პროფ. ლ. დემბო თვლის, რომ ფეოდალი სრული მესაკუთრეა, მაგრამ მისი უფლებები სხვადასხვა მოცულობისაა მისი მამულის სხვადასხვა ნაწილის მიმართ. ამაშია, მისი აზრით, ფეოდალური მიწის საკუთრების თავისებურება და მისი განსხვავება ანტიკური და ბურჟუაზიული საკუთრებისაგან. (Л. Дембо, Юридическая природа феодальной земельной собственности, Ученые записи ЛГУ, 1948, № 106, серия юридических наук, გვ. 389). კოლგანოვი კი საერთოდ უარყოფს საკუთრების არსებობას ფეოდალურ საზოგადოებაში, ვინაიდან იქ, მისი აზრით, არავინ არაა მესაკუთრე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფეოდალური მიწის საკუთრების ნაცვლად, იგი ლაპარაკობს ფეოდალურ მიწისმფლობელობაზე (Колганов, Собственность в социалистическом обществе, 1953). კოლგანოვის შეხედულებათა კრიტიკა იხ. ჟურნ. „Коммунист“-ში, 1953, № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დასტური დაეცათ“. საბუთზე მიწერილია: „ჩვენ ერისთვის დასტურით გაყიდა და იყიდა“[19].

პატრონის უფლებები აზნაურის ყმა-მამულზე გამომდინარეობდა იმ ფაქტის აღიარებიდან, რომ აზნაურს ეს ყმა-მამული მიღებული ჰქონდა პატრონისაგან. აზნაურის მთელი სამკვიდრო მამული პატრონისაგან ნაწყალობევად ითვლებოდა[20]. მართალია, ამასთანავე აზნაურს ზოგჯერ ჰქონდა ისეთი მამული, რომელიც არ იყო პატრონისაგან ნაწყალობევი და რომელზედაც იგი სრულ მესაკუთრედ ითვლებოდა (ასეთი იყო უმთავრესად აზნაურის ნასყიდი მამული), მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი მამული აზნაურს ყოველთვის ცოტა ჰქონდა და იგი აზნაურის დამოუკიდებლობის საფუძვლად არ გამოდგებოდა და, შემდეგ, გვიანფეოდალურ ხანაში პატრონი ხელს იწვდის აზნაურის ასეთ მამულზედაც და ფეოდალური ანარქიის პირობებში ხშირად სასურველ მიზანსაც აღწევს. პროფ. ნ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „Не только пожалованное, но и все недвижимое имение азнаура-вассала патрони склонен со временем рассматривать как достояние своего „дома“ и в случае отхода вассала, он посягает и на эту часть его собственности“[21].

აზნაურული მიწის საკუთრების აღნიშნული იერარქიული (ანუ დანაწევრებული) ფორმა გვიანფეოდალურ საქართველოში დიდხანს განაგრძობდა არსებობას მიწის საკუთრების სხვა ფორმების გვერდით. იგი მოისპო მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ასევე დიდხანს დარჩა საქართველოს აზნაურობა თავადების თუ ეკლესიის ყმობაში.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მიწის საკუთრება და მასთან დაკავშირებული სოციალური ფენა („ვასალის ვასალი“) რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაქრა. თავის დროზე მიწის საკუთრების ამ ფორმას და მასთან დაკავშირებულ სამხედრო რაზმების სისტემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწარმოებელ საზოგადოებაზე ფეოდალთა ბატონობის განმტკიცების საქმეში. სწორედ მიწის ამგვარ საკუთრებაზე იყო აღმოცენებული ის ასოციაცია, ორგანიზაცია, რითაც თავადაზნაურობა უპირისპირდებოდა მწარმოებელ საზოგადოებას, ახორციელებდა „პარეშეეკონომიურ იძულებას“. „Иерархическая структура земельной собственности,—წერდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი,—и связанная с ней система вооруженных дружин давали дворянству власть над крепостными. Этот феодальный строй был ассоциацией направленной против порабощенного производящего класса...“[22].

---

[19] საქართველოს ცსსა, ფ. 226, საბ. № 2452. თავადი ეცილებოდა აზნაურს მისი ყმების ექსპლოატაციის საქმეში. იგი მეგრავდა და იმსაუბრებდა აზნაურის ყმებს, ირთმევდა მათ სასეფეწოფო გადასახადებს და სხვ., ე. ი. დახიანებული იყო აზნაურის არა მარტო სამამულო უფლებები, არამედ მისი მებატონური უფლებებიც (საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. 627, ფურც. 54).

[20] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88. ქართველი ელჩები რუსეთის კარზე 1801 წ. აპრილში აცნობებდნენ: „თვითეფუფლთა მეფის ძეთა და თავადთა, ყოველად სამღვდელოთა საქართველოსათა ჰყავს აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანცა მათ აქვს ‘მიწა მიცემული...“ (А. Цагарели, Грамоты..., ტ. II, გვ. 202).

[21] Н. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 38.

[22] К. Маркс, Ф. Энгельс, Немецкая идеология, 1933, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოში მიწის საკუთრების ეს ფორმა სხვასთან ერთად დიდ როლს თამაშობდა ე. წ. „სათავადოთა სისტემის“ ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში. „სათავადოთა სისტემა“ საქართველოში წარმოადგენდა თავად-აზნაურთა კლასის გარკვეულ ორგანიზაციას („ასოციაციას“). ჩამოყალიბებულს ამ კლასის სოციალური ბატონობის უზრუნველყოფა-განმტკიცების მიზნით. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის სათანადო სოციალური და ეკონომიური პირობების არარსებობის დროს საქართველოს თავადაზნაურობა თავის ბატონობას („გარეშეეკონომიურ იძულებას“) და გლეხობის ექსპლუატაციას ახორციელებდა საკუთარი სამხედრო რაზმების (აზნაურები, მსახურები), თავისი ორგანიზაციულობის („სათავადო“) საშუალებით.

დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებამ, ბიუროკრატიული მმართველობის წარმოშობამ და ცენტრალიზებული სახელმწიფოების გაჩენამ თავადაზნაურთა კლასის ასეთი „თვითმოქმედი“ ორგანიზაცია ზედმეტი გახადა და გააქრო. საქართველოში კი გვიანფეოდალურ ხანაში მე-19 საუკუნემდე ბურჟუაზიული ელემენტები მეტად სუსტად იყო განვითარებული, ქვეყნის გაერთიანებისათვის, მტკიცე აბსოლუტისტური ხელისუფლების ჩამოყალიბებისათვის სათანადო სოციალურ-ეკონომიური პირობები მე-19 საუკუნემდე არ შექმნილა. ამის გამო მიწის საკუთრების აღნიშნულმა ფორმამ, მასთან დაკავშირებულმა სოციალურმა ფენამ და აგრეთვე „სათავადოთა სისტემამ“ მე-19 საუკუნემდე გაძლო. ცხადია, რომ ამ დროისათვის იგი უკვე საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ჩამორჩენილობად გამოიყურებოდა. წინსვლა გულისხმობდა მიწის საკუთრების ამ ფორმის აღმოფხვრას, მასთან დაკავშირებულ (და სხვა ფაქტორებთაც გაპირობებულ) „სათავადოთა სისტემის“ დაშლასა და ქვეყნის ცენტრალიზაციას მტკიცე სამეფო ხელისუფლების ქვეშ. ეს ამოცანები საქართველოს ეკონომიურსა და სოციალურ წინსვლასა და განვითარებას უნდა გადაეჭრა, რისთვისაც საჭირო პირობები ჩვენმა ქვეყანამ მე-19 საუკუნეში, რუსეთთან შეერთების შემდეგ მოიპოვა.

აზნაურსა და მის პატრონს შორის არსებულ სამეწო ურთიერთობაზე იყო აღმოცენებული აზნაურის ვალდებულებანი პატრონის წინაშე. აზნაურს ევალებოდა პატრონს ხლებოდა ლაშქრობაში და ნადირობის დროს, ემსახურა პატრონის ამალაში. აზნაურის ერთ-ერთ ძირითად სამსახურს წარმოადგენდა სამოხელეო სამსახური პატრონის სამფლობელოში.

ფიცხელაურებს რამდენიმე სამოხელეო თანამდებობა ეკავათ ქსნის საერისთავოში. მე-18 საუკუნის 20—40-იან წწ. იხსენიება ბოქოულთხუცესი გიორგი ფიცხელაური[23]. ავთანდილ ფიცხელაური 1747 წელს იყო ახალგორის მოურავი და ქსნის სახლთუხუცესი[24], ხოლო ამავე დროს თეიმურაზ ფიცხელაურს ჰქონდა წირქოლის მოურავობა და ქსნის ბოქოულთხუცობა[25]. ამის შემდეგ ავთანდილ ფიცხელაურის შემკვიდრეები არიან ახალგორის მოურავები (არჩევან, ნიკოლოზ) და ქსნის სახლთხუცები, ხოლო თეიმურაზის შემკვიდრეები (ზურაბ და სხვ.) წირქოლის მოურავები და ქსნის ბოქოულთხუცები[26]. შემდეგში ფიცხე-

[23] საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. № 24, სან. 102, 116.
[24] იქვე,ფ. 227, სან. 380.
[25] იქვე.
[26] იხ. საბუთები; საქართველოს ცსსა, ფ. 226, № 2452; ფ. 229, დავთ. 23, სან. № 137. დავთ. 24, სან. № 110 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაურებს ვხედავთ სხვა თანამდებობებზედაც—მათ აქვთ ჟამურის მოურავობა[27], ჟურთისხევის მოურავობა[28]; მოურავებად იხსენიება ლომი ფიცხელაური და გოგია ფიცხელაური[29], თუმცა არა ჩანს ეს უკანასკნელნი სად არიან მოურავებად.

ამ მოხელეობას ისევე, როგორც აზნაურის სამხედრო სამსახურს პატრონის წინაშე, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფიცხელაურთა სოციალური მდგომარეობის დასახასიათებლად. აზნაურის მოხელეობა და სამსახური თავადის წინაშე ბევრი უმეტეს მდგომარეობის ამსახველია. აზნაურთა (ვასალთა) სამსახურს ზოგი მკვლევარი განიხილავს როგორც პროდუქტთა იმ ნაბატის გაყოფას თავადსა და აზნაურს შორის (სენიორსა და ვასალს შორის), რომელსაც ითვისებს აზნაური. სამხედრო სამსახური მართლაც ატარებს ასეთ ხასიათს. მისი საშუალებით,—როგორც აღნიშნავს ა. ვენედიქტოვი,—„часть прибавочного продукта, непосредственно присвоенного вассалом с подвластных ему крепостных, направлялась на удовлетворение общих интересов класса феодалов,—притом направлялась в форме выполнения повинности самого вассала перед ближайшим сеньором. Эта своеобразная (замаскированная, если так можно выразиться) форма дележа прибавочного продукта, непосредственно присвоенного вассалом...“[30]

ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდა აზნაურის მოხელეობასაც, თუმცა ამ უკანასკნელს გააჩნდა მეორე მხარეც: იგი ამავე დროს წარმოადგენდა აზნაურის მიერ თავადის ყმა გლეხთა ექსპლოატაციით შექმნილი ზედმეტი პროდუქტის ნაწილის მითვისების საშუალებას. მოხელეობის წყალობით აზნაურთა შემოსავლის წყარო იზრდებოდა, აზნაური ითვისებდა პროდუქტთა ნაბატის ნაწილს თავადის გლეხებისაგან.

ამით აიხსნება, რომ ფიცხელაურთა ოჯახებს შორის მე-18 საუკუნეში ეკონომიურად წინაურდებიან და იზრდებიან სწორედ ის ოჯახები, რომელთა წევრებსაც რაიმე სამოხელეო თანამდებობა გააჩნდათ. ქსნის საერისთავოში ასეთები იყვნენ ავთანდილ და თეიმურაზ ფიცხელაურების ოჯახები და მათი მემკვიდრეები. იმ დროს, როცა ფიცხელაურთა სხვა ოჯახების წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ სისტემატურად გაეყიდათ თავიანთი ყმები და მამულები, ეს ორი ოჯახი, პირიქით, გამალებით იძენდნენ მათ შევიწროებული სახლიკაცებისაგან თუ გაუპირვებაში ჩავარდნილი მეზობლებისაგან, მდიდრდებოდნენ, წინაურდებოდნენ. ამგვარსავე ხასიათს ატარებს გოგია ფიცხელაურის საქმიანობაც, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლები მასშტაბისაა.

ყიდვის გარდა მოხელე აზნაურები ერთგული სამსახურისათვის იღებენ პატრონისაგან ყმებსა და მამულებს წყალობის სახით.

ქსნის ხეობის ბოქოულთხუცობა და მამასახლისობა საპატიო და შემოსავლიანი მოხელეობა იყო. ბოქოულთხუცესი და სახლთხუცესი იყვნენ ფაქტიურად ქსნის ხეობის გამგებლები. „რაც საჩვენო საქმე იქნება რიგიანად ესენი გაარიგებენ“,—წერს მათ შესახებ გიორგი ბატონიშვილი ერთობლივ ქსნის მოხელეებსა და ქსნისხეველებს[31].

---

[27] საქართველოს ცსსა, ფ. 227, სად. № 381-ა.
[28] იქვე. ფ. 229. დავთ. 24, სად. № 111.
[29] იქვე. ფ. 229, დავთ. 24, სად. № 117: ფ. 226, სად. № 2859.
[30] А. Венедиктов, Государственная социалистическая собственность, 1948, გვ. 142.
[31] საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. 24, სად. № 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე გიორგი დავით ბატონიშვილს წერდა: „რაც ქსანზედ ჩვენის ბრძანებით თუ მენით ოქმი დაიწერებოდეს და საიასულო საქმე იქნება ოქმი ყოველთვის ბოქაულთხუცეს ზურაბზედ უნდა დაიწერებოდეს, რომ ეს უნდა გაარიგებდეს“. მეფის მიერ ქსანზე გაგზავნილი მოხელე თუ შიერიკი „უნდა ამ ბოქოულთხუცესთან მივიდოდეს და იქ საქმეს აღასრულებდეს“[32]. ამ საქმიანობაში ბოქოულთხუცესს სარგო ჰქონდა განწესებული. „როგორც განწესება არის ამ ბოქოულთხუცეს თავის წილს უნდა მისცემდეს უკლებრივ“, — ვკითხულობთ იქვე.

ამრიგად, ქსნის ხეობის მართვა-გამგეობის საქმე ფიცხელაურებს ებარათ და ეს იყო ფიცხელაურთა ზოგიერთი ოჯახისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

მრავალი დოკუმენტი თუ წყარო ადასტურებს, რომ გვიანფეოდალურ ხანაში აზნაურებს შენარჩუნებული ჰქონდათ პირადი თავისუფლება. ეს ნიშნავდა იმას, რომ მათ შეეძლოთ წასელოდნენ თავიანთ ბატონს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ უნდა დაეტოვებინათ ბატონისათვის მისგან ნაწყალობევი და სამკვიდრო ყმა-მამული. აზნაური თავადის ყმად ითვლებოდა იმდენად, რამდენადაც მას მამული ჰქონდა მიღებული პატრონისაგან და ამ მამულზე პატრონი უფლებებს ინარჩუნებდა. თუკი აზნაური მიატოვებდა მამულს, პატრონს იურიდიულად უფლება არ ჰქონდა აზნაურისათვის წასვლა დაეშალა. ეს იყო საერთო წესი, ნორმა, რომელიც ცხოვრებაში ფაქტიურად ერთობ იშვიათად ხორციელდებოდა. აზნაური ძნელად თუ მოახერხებდა მისთვის არასასურველი პატრონისაგან განთავისუფლებას, წასვლას.

გ. აკოფაშვილს ხსენებულ წერილში შესწავლილი აქვს თუ როგორ გადალახავ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ აზნაურები თავადების ყმობიდან განთავისუფლების გზაზე. თავადები სადავოდ ხდიდნენ აზნაურთა პირად თავისუფლებას, წინააღმდეგობას უწევდნენ მათ წასვლას.

მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ერთი საბუთიდან ჩანს, რომ მე-18 საუკუნის 60-იან წლებამდე თავადებს მიტაცებული ჰქონდათ უფლება თავიანთი ნებასურვილის მიხედვით მიეცათ აზნაურებისათვის წასვლის უფლება. მხოლოდ ერეკლე მეორემ შეძლო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, როცა თავადისგან აზნაურის წასვლა დამოკიდებული იყო არა თავადის, არამედ თვით აზნაურის სურვილზე[33].

აზნაურთა პირადი თავისუფლების შელახვის ერთ-ერთი ნიშანი იყო ის გარემოება, რომ თავადები ხშირად გაიჩუქებდნენ, ყიდდნენ და მზითევში აყოლებდნენ ხოლმე აზნაურებს[34].

ფიცხელაურები არც ამ მხრივ წარმოადგენდნენ გამონაკლისს. ქსნის ერისთავები ყოველგვარად ზღუდავდნენ მათ პირად თავისუფლებას. 1713 წელს დავით ქსნის ერისთავმა თავის ქალიშვილს მზითევში გაატანა აზნაურიშვილი ფიცხელაური ზაზა და „აზნაურიშვილის ფიცხელაურის ქალი პატიოსანი“[35].

ერისთავებმა თვითნებურად გაჰყიდეს ფიცხელაურების ყმა სალუქაშვილი გოგია და მიჰყიდეს იგი ბატონის (მეფის) რძალს[36].

---

[32] იქვე, ფ. 229, დავთ. 24, საბ. № 108.

[33] საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. № 678, ფურც. 116.

[34] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[35] „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. 50.

[36] საქართველოს ცსსა, ფ. 226, საბ. № 2452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულების გაყოფისას თავადები იყოფდნენ აზნაურებსაც. 1768 წ. ერეკლე თავებმა გაყოს დროს გაინაწილეს აზნაურ ფიცხელაურთა ოჯახებიც. ყოველიფერ ეს, რა თქმა უნდა, აზნაურთა პირადი თავისუფლების შელახვას წარმოადგენდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში აზნაურები იბრძვიან თავიანთი პირადი თავისუფლების შენარჩუნებისათვის (თუ აღდგენისათვის), ყოველგვარი საშუალებით იგერიებენ თავადების ძალმომრეობას.

ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ის მტრული დამოკიდებულება, რომელიც შეიმჩნევა ფიცხელაურებსა და ერისთავებს შორის ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის დამლევიდან.

ფიცხელაურებისა და ქსნის ერისთავების ურთიერთობის ისტორია XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე

ფიცხელაურთა საგვარეულო საბუთებში დაცულია ცნობები ფიცხელაურებისა და ქსნის ერისთავების ურთიერთობის მტრული ხასიათის შესახებ XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე.

ამ ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული საბუთი ფიცხელაურების შესახებ. ესაა 1690 წლის საბუთი, რომლითაც ერეკლე პირველი (ნაზარალიხანი) არჯევან და შიომ ფიცხელაურებს „ძველთ კელმწიფეთაგან“ მინიჭებულ წყალობას (ყმებისა და მამულის სითარხნეს) უახლებს და უმტკიცებს[37]. უეჭველია ეს წყალობა ფიცხელაურებს ერეკლე პირველისაგან რაღაც სამსახურისათვის უნდა მიეღოთ.

გავიხსენოთ, რომ XVII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე პირველსა და გიორგი XI-ს შორის ქართლში გაბატონებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ეფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ფიცხელაურებს ერეკლესათვის სამსახური სწორედ ამ ბრძოლაში გაუწევიათ. ახლა თუ გავიხსენებთ, რომ ქსნის ერისთავი დავითი ეკუთვნოდა ერეკლე პირველის მოწინააღმდეგეთა რიცხვს, რომ იგი გიორგის მომხრე იყო, შესაძლებლობა გვეძლევა ფრაგი საინტერესო ვითარება დავადასტუროთ: ფიცხელაურები და ქსნის ერისთავები ურთიერთ მოწინააღმდეგეთა რიგებში არიან: ფიცხელაურები ქსნის ერისთავთა მოწინააღმდეგე ბანაკს მიმხრობიან, მას სამსახურს უწევენ და ამისათვის წყალობას იღებენ. ერთი სიტყვით, აქ უკვე მეღიანნება ის მტრული ურთიერთობა ფიცხელაურსა და ერისთავებს შორის, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო ნათლად იჩენს თავს.

XVIII საუკუნის დამდეგს ქართლში გიორგი XI-ის ხელისუფლება იქნა აღდგენილი. ქსნის ერისთავების მდგომარეობა განმტკიცდა. შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოების გამო ვხედავთ ჩვენ 1724 წელს ფიცხელაურების ერთ ნაწილს კახეთში გახიზნულს. ამავე ხანებში ხდება ფიცხელაურების მზითევში გატანება ერისთავების მიერ.

XVIII საუკუნის 40-იან წლებში ფიცხელაურებმა თეიმურაზ მეფისაგან მიიღეს მამულები და რამდენიმე სამოხელეო თანამდებობა ქსანზე (ახალგორისა და წირქოლის მოურავობა, ბოქოლთხუცესობა, მამასახლისობა)[38]. ეს მოხდა 1747 წლამდე. ფიცხელაურების მიერ მეფისაგან წყალობის მიღება ამ ხანებში მეტად საგულისხმო ფაქტია. XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე ქსნის ერისთა-

---

[37] საქართველოს ცსსა, ფ. 226, სან. № 8890; შდრ. იქვე, ფ. 227, სან. № 380.

[38] იქვე, ფ. 227, სან. № 380-ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები აგრძელებენ ადრე დაწყებულ ბრძოლას მეფის ხელისუფლების წინააღმ-ლეგ. ამ საუკუნის 20-იან წლებამდე ქსნის ერისთავები სამჯერ მაინც აჯანყდნენ მეფის წინააღმდეგ და, როცა 1719 წელს ვახტანგ VI-მ ქსნის საერისთავოს ჯარი შეუსია, მხოლოდ მაშინ შანშე ერისთავი „ჯრმალ კისერკიდული მოვიდა წინაშე მეფისა. მფიცარი ერთგულებისა ზედ“[39]. 40-იან წლებში კი ქსნის ხეობა თეიმურაზმა დაიპყრო და სამი წელი (1744—1747) განაგებდა მას. სწორედ ამ დროს თეიმურაზი აჯილდოებს ფიცხელაურებს. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ფიცხელაურებმა მეფეს ქსნის ხეობაში დამკვიდრების დროს ერთგულება უჩვენეს და სამსახური გაუწიეს. ეს ფაქტი კიდევ მოწმობს, რომ ფიცხელაურები ქსნის ერისთავების ერთგულნი არ იყვნენ და მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

ამ მტრობის აშკარა გამომჟღავნებას ჩვენ ვხვდებით XVIII საუკუნის 70-იან წლებში. 1770 წელს დავით ქსნის ერისთავი არჯევან ფიცხელაურმა ორგულობაში დაბეზღა ერეკლე მეორესთან. მეფემ მას „სამართალში მოუწოდა“. არჯევანმა ვერ შეძლო ამ ბრალდების დამტკიცება და სასამართლოს გაეპარა. ამის გამო მეფემ არჯევანი და მისი ძმა რამინი ერისთავს „ხელო მისცა“[40].

მალე ამის შემდეგ ერეკლე მეორემ ქსნის ერისთავებს ჩამოართვა მათი სამფლობელო და თავის შვილს გიორგის ჩაუბარა.

ამ საქმეშიც ფიცხელაურები მეფეს ემსახურებიან და მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ. 1777 წელს ერეკლე მეორემ არჯევან ფიცხელაურს ყოველგვარი დანაშაული ახსნა[41] და ბრძანება ქსნის მამულების ჩამორთმევის შესახებ ქსნისხველებთან სწორედ მას გაატანა[42].

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე ფიცხელაურთა მოქმედებას გასდევს ერისთავებისადმი მტრული დამოკიდებულების ხასიათი. ამავე ხანებში კარგად შეიმჩნევა ფიცხელაურების კავშირი მეფის ხელისუფლებასთან, მათი ერთგული სამსახური მეფის სასარგებლოდ.

რა დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს აქედან? ერთადერთი: ფიცხელაურებს სურდათ ერისთავების ყმობიდან განთავისუფლებულიყვნენ და მეფის აზნაურები გამხდარიყვნენ. მათ ამ მისწრაფებას საკმაო საფუძველი გააჩნდა. პროფ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები რომ გავიმეორით: „Царские азнауры находятся в сравнительно лучших условях, чем их социальные собратья. Возможностей экономического усиления и социального возвышения у царского азнаура больше...

В таких условиях, конечно, азнауры феодалов стремятся стать царскими“[43].

მაშასადამე, ეკონომიური გაძლიერებისა და სოციალური აღზევების მეტი შესაძლებლობა—აი, რა იზიდავდა თავადის აზნაურს მეფის აზნაურის მდგომარეობაში. აი, რატომ ცდილობდა იგი მეფის აზნაურად გახდომას. სიახლოვე მეფესთან ამის საწინდარი იყო. მეფის აზნაურს შეეძლო მიეღო სამეფო სამოხელეო თანამდებობა, რომელიც გაცილებით მეტ ეკონომიურ სარგებლობას იძლეოდა, ვიდრე თავადის მოხელეობა. თავადის აზნაურები კი სამეფო სამოხელეო თანამ-

---

[39] ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება ქართლისა, 1854, გვ. 81.
[40] საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. 23, სან. № 141; შდრ. „საქართველოს სიძველენი“ ტ. III, 458. შესაძლებელია, არჯევანი მეფეს მოახსენებდა დავით ერისთავის კავშირის შესახებ ტოტლებენთან ნ? სამწუხაროდ, საბუთიდან აო ჩანს ქსნის ერისთავის „ორგულობის“ შინაარსი.
[41] „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 456.
[42] იქვე, გვ. 457
[43] Н. Бердзенишвили, Очерк..., гв. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობაზე, როგორც წესი, არ ინიშნებოდნენ. მეფის წინაშე სამსახური აწინაურებდა მეფის აზნაურს. არა ერთი შემთხვევა ვიცით, როცა ასეთ აზნაურს დაწინაურების შემდეგ თავადობამდე მიუღწევია. ასე გათავადდნენ, მაგ., ოსეშვილი, სააკაძე, თუმანიშვილი და სხვანი.

ისევე, როგორც თავადთა სხვა ყმა აზნაურების ანალოგიურ ინტერესებსა და პოზიციებს, აზნაურ ფიცხელაურთა მისწრაფებას და მათ პოზიციებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამაოი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ მათი წყალობით სამეფო ხელისუფლებას უადგილდებოდა ბრძოლა თავადურ ოპოზიციასთან. თავადის ყმა აზნაურთა უთანხმოებას პატრონთან მეფის ხელისუფლება თავის სასარგებლოდ იყენებდა: ამ სოციალურ ფენაში მეფე ხშირად თავის მოკავშირეს პოულობდა. და თუკი მეფის ხელისუფლება და მისი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, სათავადოთა სისტემის გაუქმებისათვის პროგრესულ საქმეს ემსახურებოდა, ცხადია, ასევე პროგრესული მნიშვნელობა ენიჭება თავადის ყმა აზნაურთა მისწრაფებას თავადის ყმობიდან განთავისუფლებისაკენ. მაგრამ მე-19 საუკუნემდე თავადის ყმა აზნაურთა ბრძოლა თავადების წინააღმდეგ მეტად სუსტია და უშედეგოც. იგი ატარებს შემთხვევითი გამოსვლების, ლოკალური და არაორგანიზებული ბრძოლის ხასიათს. ეს აიხსნება ამ ბრძოლის გაფართოებისათვის სათანადო პირობების არარსებობით. ქვეყნის ეკონომიური განვითარების საერთო შეფერხებამ, ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის სისუსტემ, ქალაქებისა და ქალაქური მოსახლეობის უძლურებამ, დაბოლოს აქედან გამომდინარე მეფის, ცენტრალისტური ხელისუფლების სისუსტემ წარმოქმნეს არახელსაყრელი პირობები თავადის ყმა აზნაურთა ბრძოლის წარმატებისათვის. სათავადოთა სისტემა ინარჩუნებდა ძალას, ფეოდალური იერარქია ჯერ კიდევ მტკიცე იყო.

ფიცხელაურები – სამეფო აზნაურები

ერეკლე მეორის მიერ ქსნის საერისთავოს გაუქმებამ ფიცხელაურები მეფის აზნაურებად აქცია. ამ დროისათვის გიორგი ბატონიშვილი არჯევან ფიცხელაურს უკვე „ჩუჭნს აზნაურშვილს“ უწოდებს[44]. 1783 წ. ტრაქტატისადმი დართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში ფიცხელაურები შეტანილნი არიან მეფის აზნაურებად. ასეთი მდგომარეობა ფიცხელაურებმა შეინარჩუნეს მე-19 საუკუნის დამდეგამდე.

ამ პერიოდში ფიცხელაურთა საქმიანობა ძირითადად მიმართულია მათი ყმამამულის გამრავლებისაკენ. თავდაპირველად მათ ახალი პატრონისაგან, გიორგი ბატონიშვილისაგან თავიანთი სამოხელეო თანამდებობების დამტკიცება მოახერხეს[45].

ამის შემდეგ ქსნის მამულების მართვა-გამგეობის საქმე მთლიანად ფიცხელაურების ხელში იყო. „არჯევანს თავისი მამის სახელო სახლეთხუცობა ქსნისა უბოძეთ, — წერდა გიორგი ბატონიშვილი ქსნის მოსახლეობას 1786 წ.,—ბოქოულეთხუცესი ზურაბ იქნება და ეს სახლეთხუცესი იქნება დღეის იქით; და რაც საჩვენო საქმე იქნება რიგიანად ესენი გაარიგებენ და თქვენ ვერავინ რაზე შეგაწუხებთ უბრალოდ“[46].

---

[44] საქართველოს ცსსა. ფ. 227 საბ. № 381-ა.
[45] იქვე. ფ. 227, საბ. № 381-ა; ფ. 229, დავთ. 24, საბ. № 107,
[46] იქვე. ფ. 229, დავთ. 24, საბ. № 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადად ფიცხელაურთა ეს ორი ოჯახი—არჯევანისა და ზურაბის ამბავნი. მოებენ მამულების შესყიდვას და დაგროვებას.

აი, არასრული ჩამოთვლა არჯევან ფიცხელაურის მიერ ამ პერიოდში შეძენილი მამულებისა:

1782 წ. არჯევანმა თუქთუმან ბოქოულთხუცისშვილისაგან (ხურაბ ფიცხელაურის ძმა) იყიდა იკოთის მინდორს წაწულასშვილის ნაქონი მიწა.

1783 წ. ბერი ფიცხელაურისაგან მან იყიდა ახშადს დემეტრეს ნაქონი მამული. 1784 წ. იოსიბ ფიცხელაურისაგან შეიძინა წილში ნარგები სარიჯაშვილისეული მამული. იმავე წელს თექთუმან ბოქოულთხუცესშვილისაგან არჯევანმა იყიდა ბარათში ნარგები სახლკარის მიწა და ზურაბის ნარგები სახლკარი.

1785 წ. ბერი ფიცხელაურისაგან არჯევანმა იყიდა თავისი სასახლის იქით ბასაყოფი მამულის წილი. 1788 წ. მისგანვე შეიძინა მიწა ერედს და საკირის ხევს.

არჯევანის ამგვარ საქმიანობას განაგრძობს მისი მემკვიდრე ნიკოლოზიც, რომელმაც 1799 წ. ბერი ფიცხელაურისაგან იყიდა „ერედას რაც მამა-პაპის შენული“ ჰქონდა[47].

ყიდვის გარდა არჯევანი ყმა-მამულს იღებს წყალობის სახით. ასე, მაგალითად, 1777 წ. გიორგი ბატონიშვილმა მას უწყალობა ლამისყანელი გლეხი ჟითეძე; 1778 წ. მანვე უბოძა ლამისყანელი როინ ბარაყანიძის მამული და, ცხოტს რაც მამული ჰქონდა, ისიც; 1788 წ. უბოძა სოფ. ძეგლევი[48].

ასეთივე სურათი გვაქვს ჩვენ ზურაბ ფიცხელაურის შესახებ. არსებულ ცნობებითაც.

1785 წ. მან გიორგი ბატონიშვილისაგან მიიღო მეჯუდაზე თოლაშვილის ნაქონი სასახლე და მამული, წყურეთს—ერთი საკომლო, ჭალასუბანს—ფსტიტეთა მამული, ვილაფს ორი კომლი და საკომლო მრეულიშვილების მამული და „რაც ამ ხეობაზე სამბატონიშვილო დარჩა“[49].

1787 წ. ზურაბმა თავისი ძმისაგან, თექთუმანისაგან, იყიდა ბარათში ნარგები ყმები მამულითურთ. 1790 წ. ავთანდილ კორინთელისაგან მან შეიძინა ყმები და მამული სოფ. წირში. 1791 წ. გიორგი ბატონიშვილმა მას სოფ. წირქოლში ხოდაბუნები უწყალობა. 1793 წ. იქვე უწყალობა ყმები და მამული[50].

ფიცხელაურთა ამგვარ საქმიანობას, მიმართულს ყმა-მამულის დაგროვებაგამრავლებისაკენ, სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მიაქცია განსვენებულმა პროფ. გ. ნათაძემ. არჯევანის მიერ მამულების გამალებული შეძენა მან თავისებურად შეაფასა. მისი აზრით, არჯევანი მიზნად ისახავდა სამფლობელოების დამრგვალებას: „повидимому для ведения рационального хозяйства“[51] პროფ. გ. ნათაძის ამ მოსაზრების სისწორეში ეჭვი შეიტანა დ. უჩანეიშვილმა, რომელმაც მიუთითა, რომ ამ დროინდელ ფეოდალურ მეურნეობაში არავითარი რაციონალიზაცია არ შეიმჩნევა[52].

---

[47] „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 456—457, 470—474.

[48] იქვე, გვ. 456—457; საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. 24, სად. № 106.

[49] საქართველოს ცსსა, ფ. 229, დავთ. 34, სად. № 103; შდრ. იქვე, ფ. 226, სად. № 8900.

[50] იქვე, ფ. 229, დავთ. 34, სად. № 104, 105, 112, 115.

[51] Г. Наташзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, იხ. ეტრნ. „История классовой борьбы в Закавказье“, т. I, 1930, გვ. 129—130.

[52] Д. Учанейшвили, К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII века, მასალები..., 1937, ნაკვ. V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მართლაც არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ აზნაურებს მამულების შეძენას აწარმოებდა მეურნეობის რაციონალიზაციის მიზნით. ამ შემახვევაში, საფიქრებელია, მას სხვა მიზანი ამოქმედებდა. თუკი გავიხსენებთ აზნაურთა ანალოგიურ საქმიანობას ამ პერიოდში და მათ მიზანდასახულებას, არჯევანის მიზანიც ნათელი გახდება. კერძოდ, მიეუთითებთ იესე ოსეშვილის მაგალითზე, რომელმაც ყმა-მამულთა სათანადო რაოდენობის დაგრიების შემდეგ ერეკლე მეორეს თავადობის დამტკიცება გამოსთხოვა და მიიღო კიდეც. ცხადია, არჯევანსაც სურდა: „сколотить достаточное для тавада состояние, и потом, в соответствующий момент вымолить у царя официальное подтверждение своего нового социального положения“[53].

ამრიგად, თავადის ყმა აზნაურიდან მეფის აზნაურობისაკენ, მეფის აზნაურობიდან თავადობისაკენ — ასეთი იყო ის გზა, რომელზედაც მიისწრაფოდნენ ფიცხელაურები, და ეს მისწრაფება დამახასიათებელია საერთოდ აზნაურთა ფენისათვის ფეოდალურ საქართველოში. მაგრამ ფიცხელაურთა ამ მისწრაფებას ხორცი არ შეესხმია.

ფიცხელაურთა დაბრუნება ერისთავების ყმობაში, ბრძოლის განახლება

სამეფო აზნაურებად ფიცხელაურები რჩებიან მე-19 საუკუნის დამდეგამდე. ამ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ეკონომიურად ძლიერდებიან, ქსანზე დიდი გავლენით სარგებლობენ, ქსნის მამულების მართვა-გამგეობის საქმეს უძღვებიან.

გარდატეხა მათ მდგომარეობაში ხდება მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, ხოლო ქსნის ერისთავებმა თავიანთი ყმა-მამულის დაბრუნება შეძლეს.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა ქართლ-კახეთში სამეფოს გაუქმება. მძიმე შინაპოლიტიკურ ბრძოლაში თავადურ ოპოზიციასთან და ტახტის მემკვიდრეობის ირგვლივ დაწყებულ უთანხმოებაში ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლება დასუსტდა. მან თავი ვერ გაართვა შექმნილ ვითარებას და რუსეთის მეფის მთავრობას შეავედრა თავი.

ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებამ პირველ ხანებში ფართო გასაქანი მისცა თავად-აზნაურთა აქტიურობას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. რუსეთის მთავრობას, ცხადია, არ შეეძლო დამოუკიდებლად გარკვეულიყო საქართველოს შინაგან ვითარებაში და ცხოვრების წესში. ამიტომ მან ქართველი თავად-აზნაურების ნაწილი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ჩაიბა. თავად-აზნაურებს მხოლოდ ახსნა-განმარტებისა და რჩევის მიცემას თხოვდნენ, საკითხების გადაწყვეტისას ამას რამდენადმე ანგარიშს უწევდნენ.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციებში ქართველ თავად-აზნაურებს მრჩეველთა თანამდებობები ეკავათ. ისინი აქტიურ როლს თამაშობდნენ საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოს მუშაობაში, სადაც რუსეთის ხელისუფლება ახდენდა საქართველოში არსებული წესებისა და კანონების გამორკვევას ამა თუ იმ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში თავად-აზნაურთა როლის ასეთმა ზრდამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ერისთავებს მათი მამულების დაბრუნება-

---

[53] Н. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათვის. მართალია, მათ ჯერ კიდევ რუსული მმართველობის გახსნამდე მოახერხეს ქართველი ბატონიშვილებისაგან, იულონისა და დავითისაგან, თავიანთი მამულების მიღება[54], მაგრამ რუსული მმართველობის გახსნის შემდეგ ბატონიშვილების ამ განკარგულებას ძალა დაეკარგა.

ქსნის ერისთავები იმთავითვე ჩადგნენ რუსეთის ხელისუფალთა სამსახურში და დიდი როლი შეასრულეს ქართლში მათი ძალაუფლების დამკვიდრებაგანმტკიცების საქმეში. 1801 წ. 21 თებერვალს ლაზარევი კმაყოფილებით წერდა ალორინგს: „Сей тишины... большая причина занятие Ксани князьями Эристовыми и Душети егерскими ротами"[55].

ამასთანავე ერისთავებმა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე დააყენეს საკითხი მათთვის ქსნის მამულების დაბრუნების შესახებ. ამ საკითხზე მათ თხოვნა მიართვეს გენ. ალორინგს ჯერ კიდევ 1801 წ. მაისში[56], ხოლო 1802 წლის ზაფხულში მათ განმეორებით რამდენჯერმე ითხოვეს მამულების დაბრუნება[57].

დაბოლოს, იმავე 1802 წლის 4 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა საქართველოს უმაღლეს მთავრობასა და მთავარმართებელს მიანდო ამ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა.

1803 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ განიხილა ქსნის ერისთავებისათვის მამულების დაბრუნების საკითხი. მთავრობის წინაშე ორი საკითხი იდგა: 1. იყვნენ თუ არა ქსნის ერისთავები ქსნის მამულების მფლობელები და 2. რა მიზეზით ჩამოართვა ერეკლე მეორემ მამულები ქსნის ერისთავებს.

პირველი საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ იყო. ქსნის ერისთავებმა წარადგინეს თავიანთი საგვარეულო საბუთები, საიდანაც კარგად ჩანდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ ქსნის მამულების მფლობელები. იგივე დაადასტურეს ქართლის თავადებმაც.

ქსნის ერისთავთა სამამულო უფლებების უარყოფით გამოვიდა ვახტანგ ბატონიშვილი. თავის მოხსენებაში რუსეთის მთავრობის სახელზე იგი ამტკიცებდა, რომ ქსნის ერისთავები იყვნენ მეფის მოხელეები, არც მეტი და არც ნაკლები, რომ მათ უკანონოდ მიითვისეს მეფის მიერ მართვა-გამგეობისათვის ჩაბარებული ქვეყანა[58].

საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ ამ განცხადებას ყურადღება არ მიაქცია.

რაც შეეხება მეორე საკითხს — ერეკლე მეორის მიერ ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევის მიზეზებს—ამ საკითხზე ვრცელი ახსნა-განმარტება იქნა წარდგენილი საერთო კრებაზე, ერთი მხრივ, ერისთავების მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, ბატონიშვილების — ვახტანგისა და იოანეს მიერ.

ქსნის ერისთავები ამტკიცებდნენ მეფის მიერ მათი მამულების ჩამორთმევის უკანონობას და მეფის მიერ ამ საქციელის ჩადენას მეტად თავისებურად ხსნიდნენ. მათი მტკიცებით ერეკლეს მიერ ერისთავების მამულების ჩამორთმევის მიზეზი იყო მათი (ერისთავების) ერთგულება რუსეთისადმი. როდესაც ტო-

---

[54] სსმ, dS 1701, dH 6148.
[55] Акты..., ტ. I, გვ. 324.
[56] იქვე, გვ. 500.
[57] საქართველოს ცსსა, ფ. 226, საბ. № 9166, 9171.
[58] Акты..., ტ. I, გვ. 500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტლებენი საქართველოში იყო, დავით ერისთავი მას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა და ემსახურებოდა „из особливой привязанности к России“[59].მეფე ჯერ თითქოს („казалося“) კმაყოფილი იყო ამით, მაგრამ შემდეგში სპარსეთის შაჰის სიამოვნების მიზნით მან ჩამოართვა მამულები რუსეთის ერთგულ ერისთავებს.

როგორც ჩანს, ერისთავები თავიდანვე ავრცელებდნენ ასეთ აზრს რუსეთის გავლენიან მოხელეებს შორის. ისინი თავიანთ თავს ხატავდნენ როგორც წამებულს რუსეთის ერთგულების გამო. მათი ეს ცდა არცთუ უშედეგო იყო. 1802 წ. გრაფი მუსინ-პუშკინი ერისთავებს იხსენიებს რუსეთის ერთგულთა შორის და დასძენს: „лишившиеся имения от усердия к державе Российской“[60].

ერისთავთა ამ თვალსაზრისს ბატონიშვილებმა დაუპირისპირეს სრულიად მართებული ახსნა იმ მიზეზებისა, რომელთა გამო ერეკლემ ერისთავებს მამულები ჩამოართვა. ისინი აღნიშნავენ ერისთავების ორგულობას მეფისადმი, მათი დაკავშირებას შინაპოლიტიკურ ბრძოლაში მეფისა და ქვეყნის მტრებთან (ლეკები და სხვანი), მათ თვითნებობას. ქვეყნის აწიოკებასა და სხვა ამგვარებს. ყოველივე ეს გახდა მიზეზი ერისთავების მამულების ჩამორთმევისა[61].

საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ საკითხი ერისთავების სასარგებლოდ გადაწყვიტა[62].

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოულოდნელს არაფერს შეიცავს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საერთო კრება შედგებოდა ქართლ-კახეთის დიდგვაროვანი თავადებისაგან (ნაალ ბარათაშვილი, გიორგი ამილახვარი, იოანე და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილები, ესტატე ციციშვილი და სხვ.) და ნათელი გახდება, რომ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მოსალოდნელი არც იყო.

რუსეთის მთავრობამ საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრების გადაწყვეტილება დაამტკიცა. რუსეთის გავლენიან მოხელეთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, ერისთავებს უკვე მოხვეჭილი ჰქონდათ ერთგულთა სახელი. 1802 წ. 5 აგვისტოს მათ კნორინგიც იხსენიებს რუსეთის ერთგულთა შორის[63].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის მთავრობა უპირველეს ყოვლისა მსხვილი თავადების გადაბირებასა და თავის სამსახურში ჩაყენებას ცდილობდა. ამიტომ იყო, რომ იგი მხარს უჭერდა და აკმაყოფილებდა მსხვილი თავად-აზნაურების მოთხოვნილებებს. ამით იგი თავის სოციალურ დასაყრდენს იმტკიცებდა ახლად შემოერთებულ ქვეყანაში. შემდეგში მდგომარეობა იცვლება. მეფის მთავრობა ცდილობს მსხვილ თავადაზნაურობას წვრილი და მსახურეული თავადაზნაურობა დაუპირისპიროს და ამით პირველის გავლენა შეასუსტოს, მორჩილებისა და ერთგულების გუნებაზე დააყენოს იგი.

ამრიგად, მე-19 საუკუნის დამდეგს ხელსაყრელ პირობებში ჭსნის ერისთავებმა დაიბრუნეს მამულები. ამასთანავე ფიცხელაურები კვლავ მათ ყმობაში აღმოჩნდნენ. მტრობამ მათ შორის ახალი ძალით იფეთქა.

---

[59] Акты..., ტ. I, გვ. 500.

[60] ცსსალ, ფ. 1284, 1802, საქ. № 13, ფურც. 30.

[61] იქვე, ფ. 1284, 1803, საქ. № 30, ფურც. 272—273, 294—295. შდრ. Акты..., ტ. I, გვ. 500—501.

[62] საქართველოს ცსსა, ფ. 1284, 1803. ფურც. 272—278. შდრ. Акты..., ტ. II, გვ. 500.

[63] იქვე, ფ. 1284, 1802, საქ. № 13, ფურც. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერისთავებმა ჩამოართვეს ფიცხელაურებს სამოხელეო თანამდებობანი ქსნის ხეობაში, წაართვეს მათ მეფისაგან და ბატონიშვილებისაგან ნაბოძები მიწულები, დაიწყეს მათი შევიწროება. „თავადთა ერისთავთა მიიღეს რა იგივე მამული საერისთო მართებლობისა დროსა შინა —ჩიოდნენ ფიცხელაურები და ქსნის სხვა აზნაურები რუსეთის იმპერატორის წინაშე—იწყეს მოიკემად ჩვენდა ვითარცა მდაბიოთა ერთა მრავალი შეურაცხებანი და უფიცხელესნი შეჭირვებანი, ვიდრე სიცოცხლისაცა მიღებამდე... სურთ მათ დამდაბლება ჩვენი და მოკლება თავისუფლებისა ჩვენისა და წართმევა ჩვენთა კერძთა მამულთა... და უკანასკნელ შერაცხეა მდაბიოთა კაცთა თანა“[64].

ერისთავები ფიცხელაურებს თავიანთ მამულებში არ ატარებდნენ. 1804 წ. ახალგორს მისული ნიკოლოზ ფიცხელაური მიხეილ ერისთავსა და მის მხლებელებს გაულახავთ[65].

1807 წელს ერისთავთა საგვარეულოში გაყრა მოხდა. მამულების გაყოფისას ერისთავების ოჯახებს შორის უსიამოვნება და შფოთი ამტყდარა. ერისთავები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, ყმა-გლეხებსა და მამულებს ურბევდნენ და უწოკებდნენ.

ფიცხელაურები სარგებლობენ ამ გარემოებით და იყენებენ ერისთავთა ურთიერთ ბრძოლას[66]. 1807 წ. ფიცხელაურებმა ააჯანყეს ქსნისხეველები „против помещиков своих Эристовых“[67]. მათივე წაქეზებითა და მონაწილეობით იმავე წელს ქსნისხეველებმა ვრცელი საჩივარი შეადგინეს ერისთავების წინააღმდეგ და მიართვეს საქართველოს მთავარმართებელს[68].

ქსნისხეველთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ფიცხელაურების საქმე გაარჩია იმ დროს დროებით თბილისში მყოფმა ელისავეტოპოლის სამაზრო სასამართლომ. ფიცხელაურთა საქციელის მიზეზად სასამართლომ პირდაპირ დაასახელა მათი ჩაგვრა ერისთავების მხრივ. „Они,—წერდა სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში,— будучи князьями Эристовыми угнетаемы, могли решиться на преступление“[69].

ორიოდე წლის შემდეგ 1809 წელს ნიკოლოზ და გლახა ფიცხელაურები ისევ ბვეელნებიან ქსნისხეველების წამქეზებლებად ერისთავების წინააღმდეგ აჯანყების საქმეში. აჯანყების მიზეზების გამოსარკვევად ქსანზე გაგზავნილი გლახა ჭილაძე საქართველოს მმართველს ატყობინებდა, რომ ქსნისხეველები „были руководимы, по показанию всего народа ксанского единогласно дворянами (Sic) бокоултхунесом Глахою Пишхелауром“[70].

ნიკოლოზ და გლახა ფიცხელაურის წაქეზებით აჯანყებული ჯურთისხეველები და ახალგორელები იკოთში შანშე ერისთავის სახლკარს დასხმიან თავს, დაუწვავთ იგი და აუწოკებიათ. ერთ-ერთი მონაწილე ამ თავდასხმისა, გაბრიელ ილურიძე, თავის ჩვენებაში ამბობდა, რომ გლახა ფიცხელაურს და შიო რუსიტაშვილს, რომელთაც ხელთ იგდეს შანშე ერისთავი, განზრახული ჰქონდათ მის-

---

[64] საქართველოს ცსსა, ფ. 2, საქ. № 8802-გ, ფურც. 248.
[65] იქვე, ფ. 226, საბ. № 8134.
[66] იქვე. სსფ, საქ. № 239, ფურც. 165.
[67] იქვე.
[68] იქვე, ფ. 26, საქ. № 6409, ფურც. 6—7.
[69] იქვე, სსფ, საქ. № 239, ფურც. 118.
[70] იქვე, ფ. 2, საქ. № 8789, ფურც. 44. შდრ. Акты..., ტ. IV, გვ. 458.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის თვალების დათხრა[71]. ფიცხელაურები მოუწოდებდნენ აჯანყებულ ქსნისხევ-ველებს: „князей Эристовых отнюдь в Ксанское ущелье не впущать и аробе не давать“[72].

ამავე ხანებში აჯანყდნენ ოძისელებიც „по обнадеживанию и побуждению зачинщиков бокоултхупесса дворянина Гаахи Пицхелаурова и других“[73]. ქსნისხეველების ეს აჯანყება ჩაჭრობილ იქნა. ნიკოლოს და გლახა ფიცხელაურები პასუხისგებაში მისცეს. მათ 6 თვის პატიმრობა მიესაჯა.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლის განმავლობაში ფიცხელაურები თავგამოდებით იბრძვიან ქსნის ერისთავების წინააღმდეგ. მათი მიზანი, ისევე როგორც ადრე, იყო ერისთავთა ყმობიდან განთავისუფლება, მამულების შენარჩუნება და სახაზინო აზნაურებად გადაქცევა. ეს კარგად ჩანს აჯანყებული ქსნისხეველების ჩვენებიდან. ბერი ბაშარული უჩვენებდა, რომ ლუარსაბ და ნიკოლოს ფიცხელაურებმა „собрали народ и уговаривали... сделаться казенными“. ამასავე იმეორებს ოსი ჩიქელა მუსაშვილი. მისი სიტყვით, გლახა ფიცხელაური ხალხს მოუწოდებდა „требовать от правительства сделать их казенными“. იგივე ჩვენებას იძლევა ზაალ იალღუზიძეც[74].

დაბოლოს, თავიანთი ეს მისწრაფება ფიცხელაურებმა და ქსნის სხვა აზნაურებმა (ფურცელაძე, გარაყანიძე, ჩერქეზიშვილი) პირდაპირ გამოთქვეს თავიანთ მიმართვაში იმპერატორისადმი 1810 წელს. აქ ისინი აღნიშნავენ, რომ ერეკლე მეორემ ისინი გაათავისუფლა ერისთავთა ყმობიდან, აქცია მეფის აზნაურებად, და თხოვენ რუსეთის იმპერატორს ისევ მოგვენიჭოს ის „თავისუფლებაო“[75]. ფიცხელაურთა და სხვა აზნაურთა ეს ბრძოლა ჯერჯერობით უშედეგოდ რჩებოდა.

ფიცხელაურებისა და ქსნის ერისთავების ბრძოლა მე-19 საუკუნის 10-იან წლებში. დოსითეოს ფიცხელაური

ფიცხელაურებისა და ქსნის ერისთავების ბრძოლის ყველაზე საინტერესო ფურცლები დაკავშირებულია ქსნის ერისთავთა წინააღმდეგ დოსითეოს ფიცხელაურის გამოსვლასთან მე-19 საუკუნის ათიან წლებში. დოსითეოსმა თითქმის მიაღწია მიზანს, ქსნის მამულების ხაზინაში გადარიცხვის შესახებ იმპერატორის ბრძანებულებაც კი გამოიცა, მაგრამ ბოლოს მან ბრძოლა მაინც წაგო. მე-19 საუკუნის 10-იან წლებში ფიცხელაურებმა ერისთავთა ყმობიდან თვის დახსნა ვერ შეძლეს და ამას თავისი მიზეზები გააჩნდა.

დოსითეოს ფიცხელაური არჯევან ფიცხელაურის შვილი იყო. იგი დაიბადა 1774 წ. ოქტომბერში სოფ. იკოთში. ერისკაცობაში მას დიმიტრი ერქვა. 1791 წლიდან იგი სასულიერო წოდებაში ჩაირიცხა და ხოფის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში აღიკვეთა მონაზვნად. 1795 წ. იგი უკვე ამავე მონასტრის არქიმანდრიტია. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იგი სწრაფად წინაურდება. დოსითეოსი ანტონ II-ის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა და მადლიერი კათალიკოსი მისთვის წყალობას არ იშურებდა. 1801 წ. მან დოსითეოსს მიანდო იკოთის წინამძღვრო-

---

[71] საქართველოს ცსსა, ფ. 2, საქ. № 8789, ფურც. 96.
[72] იქვე, სსფ. საქ. № 239, ფურც. 118.
[73] იქვე, ფურც. 166.
[74] იქვე, ფ. 2, საქ. № 8789, ფურც. 95, 99, 100.
[75] იქვე, ფ. 2, საქ. № 8802-გ, ფურც. 248—249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. იმავე წელს ქვაბთახევის მონასტერიც მას ჩაბარა. 1803 წ. დოსითეოსს ... ...
ლროებით წილენის ეპარქიასაც მართავდა. 1806 წ. ანტონმა დოსითეოსს შიო-
მღვიმისა და თერის მონასტერთა წინამძღვრობა უბოძა, ხოლო 1808 წ. მასვე
ჩაბარა ურბნისის ეპარქიაც. ასე რომ 1810 წლისათვის დოსითეოსი განაგებდა
ხუთ ეპარქიას—იკორთის, ქვაბთახევის, შიო-მღვიმის, თერისა და ურბნისის[76].

დოსითეოს მე-19 საუკუნის 10-იან წლებამდე ანტონისადმი ერთგულებას
იჩენდა და მის მოწინააღმდეგეებს ებრძოდა. ამ ნიადაგზე მოუხდა მას შეჯახება
თბილელ მიტროპოლიტ არსენთან 1810 წელს[77].

როდესაც 1810 წელს კათალიკოსი ანტონ მეორე რუსეთის მთავრობამ
პეტერბურგში გაიწვია, ანტონის ამალაში რუსეთს გაემგზავრა დოსითეოს ფი-
ცხელაური.

პეტერბურგში დოსითეოსს თან გაჰყვა მისი საგვარეულოს დაუკმაყოფი-
ლებელი ინტერესები. მას თან წაუღია თავისი საგვარეულო საბუთები, ცხადია
იმ მიზნით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის
მისი საგვარეულოს განთავისუფლება ერისთავების ყმობიდან და მამულების
დაბრუნება.

დოსითეოსი ცდილობს დაიმსახუროს მთავრობის ყურადღება. ამას იგი
აღწევს კიდეც. 1811 წლის 18 სექტემბერს იგი მიუღია პეტერბურგის მიტრო-
პოლიტს, რომელსაც მისთვის ეპისკოპოსად კურთხევა ალუთქვამს[78].

მალე დოსითეოსს ხელსაყრელი შემთხვევა ეძლევა თავისი მიზნის განხორ-
ციელებისათვის და ისიც დაუყოვნებლივ სარგებლობს ამ შემთხვევით.

მე-19 საუკუნის 10-იან წლებში რუსეთის წინაშე ახალი ძალით წამოიჭრა
ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი. ეს საკითხი მთავრობის
წინაშე წამოჭრა გენ. ტორმასოვმა. 1811 წლის 29 იანვარს იგი იმპერატორსა
და სინოდის ობერპროკურორს თხოვდა განახლებულიყო ქრისტიანული სარ-
წმუნოების ქადაგება ოსებს შორის, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის
გასწვრივ ოსებში, ხოლო ეს უკანასკნელნი იქცეოდნენ „იმპერატორის საუკუ-
ნოდ ერთგულ ქვეშევრდომად[79]. ტორმასოვის აზრით, ქრისტიანობის გავრცე-
ლება ოსებში უნდა დაკისრებოდა იეზუიტებს (კათოლიკებს).

ოსებს შორის ქრისტიანობის გავრცელების აუცილებლობა დავას არ იწ-
ვევდა, მაგრამ მთავრობამ არ გაიზიარა ტორმასოვის აზრი, რომ ეს საქმე იეზუ-
იტებს მინდობოდა. მან სინოდის ობერპროკურორს ა. გოლიცინს დაავალა
მართლმადიდებლური რწმენის მისიონერები შეერჩია.

ოსების გაქრისტიანებისათვის საჭირო საშუალებებისა და გზების გამო-
სარკვევად გოლიცინმა საჭიროდ დანიშნა რჩევა ეკითხა პეტერბურგში მყოფი
ქართველებისათვის. ეს საკითხი მან დაუსვა დოსითეოს ფიცხელაურს.

1811 წლის დეკემბერში დოსითეოსმა წარუდგინა ა. გოლიცინს მოხსე-
ხება აღნიშნულ საკითხზე.

---

[76] იხ. სსმ, Sd 2172. Архиепископ Досифей—Биография გან. „Тифлисские ведо-
мости", 1830, № 96.

[77] Акты..., ტ. IV, გვ. 142—143.

[78] სსმ, dS 5389.

[79] ცსსალ, ფ. 797, ანაწ. 2, 1810, საქ. № 5451, ფურც. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ აქ, ამ მოხსენებაში დოსითეოსმა დააყენა საკითხი ერეკლეს სათვის ქსნის მამულების ჩამორთმევის აუცილებლობის შესახებ. დოსითეოსი მიუთითებდა, რომ რუსეთთან შეერთებამდე ოსები საქართველოს მეფის უშუალო მორჩილებაში იყვნენ. შემდეგ კი ისინი მოექცნენ ერისთავების ბატონობის ქვეშ. ერისთავები საშინლად ჩაგრავენ ოსებს, არბევენ და აწიოკებენ მათ, ართმევენ შეიღებს და ჰყიდიან უცხოეთში. ეს არის ძირითადი მიზეზი, რომელიც დოსითეოსის აზრით იწვევს სიძულვილს ოსების მხრივ და მათ ურჩობას ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. კიდევ მეტი, ეს გარემოება იწვევს ურჩობასა და შფოთს კავკასიის მთელ მოსახლეობაში, რომელთაც ეშინიათ არ ჩავარდნენ ისეთსავე დღეში, როგორშიდაც ოსები არიანნო.

ამის გამო დოსითეოსს საჭიროდ მიაჩნია ჩამოერთვას ქართველ თავადებს კავკასიის მთიანეთის მთელი მოსახლეობა, რომლებიც მათ დაუბრუნდათ რუსეთთან შეერთების დროს[80]. ეს ნიშნავდა ქსნის ერისთავებისათვის მათი მამულების ჩამორთმევას, ვინაიდან სწორედ მათ დაუბრუნდათ ყმა-მამული ქართლის მთიანეთში რუსეთთან შეერთების შემდეგ. ეს გარემოება მართებულად აღნიშნა გენ. ტორმასოვმა, რომელსაც შენიშვნებისათვის გადაუგზავნეს დოსითეოს ფიცხელაურის მოხსენება[81].

დოსითეოსის ამ მოხსენებას მსჯელობა აღარ მისცემია. იგი მარკიზ პაულუჩს გამოუგზავნეს შენიშვნებისათვის საქართველოში 1812 წლის იანვარში, მაგრამ აქედან პასუხი აღარ მიუღიათ. ახლოვდებოდა ომი ნაპოლეონთან და ოსების გაერისტიანების საკითხისათვის აღარავის ეცალა.

ამ საკითხს დაუბრუნდნენ 1814 წელს, როცა რუსეთის მთავრობის წინაშე დადგა საკითხი საქართველოს ეკლესიის მმართველობის ახლებურად მოწყობის შესახებ. საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეფორმების შესახებ პროექტის წარდგენა რუსეთის მთავრობამ დაავალა დოსითეოს ფიცხელაურს.

1814 წლის 27 ივლისს დოსითეოს ფიცხელაურმა სინოდის ობერპროკურორს ა. გოლიცინს წარუდგინა ვრცელი მოხსენება-პროექტი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახლებურად მოწყობის შესახებ, რომელიც დამტკიცდა და საფუძვლად დაედვა ქართული ეკლესიის მმართველობის რეფორმას 1814 წელს.

დოსითეოსის მოხსენების § 27-ში ნათქვამი იყო: „Для успеха в обращении осетинцев и горных жителей необходимо нужным считаю я и то, чтобы дать обещание грузино-кавказским народам, что они будут пользоваться теми-же самыми правами, какие они имели прежде при царях грузинских, о чем я имел честь представить вашему сиятельству в 1811 году“[82].

რუსეთის მთავრობამ დოსითეოსის მოხსენების ამ პუნქტის დამტკიცებაზე თავი შეიკავა და ავტორს დამატებითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა. იმავე წლის 30 აგვისტოს დოსითეოსმა წარადგინა ასეთი ახსნა-განმარტება, სადაც პირდაპირ აღნიშნა. „Все... ксанское имение с сопряженным сним имением, называемым Гвердис-Дзири, которое поступило по открытии уже в Грузии российского правительства, во владение князей Еристовых по

---

[80] ცსსალ, ფ. 797, ანაწ. 2, 1810, საქ. № 5451, ფურც. 8—10. შდრ. Акты..., ტ. V, გვ. 48—49.

[81] იქვე, გვ. 11.

[82] ცსსალ, ფ. 796, ანაწ. 94, 1814, საქ. № 798, ნაწ. I, ფურც. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ходатайству покойного князя Цицианова, отобрать от оных и положить за казенное, как было предоткрытием российского правительства"[83].

ასე და ამრიგად 1811—1814 წლებში დოსითეოს ფიცხელაურმა რუსეთის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი ქსნის ერისთავების მთელი მამულების ჩამორთმევის შესახებ. ამ ღონისძიების საჭიროება დასაბუთებული იყო ოსების გაქრისტიანებისათვის მისი აუცილებლობით. აქ, ეტაპამდე, ამ მიზნით წამოყენებული თავადებისაგან მათი სოციალური განთავისუფლების მოთხოვნა. ცხადია, ეს განთავისუფლება შეეხებოდა არა მარტო ოსებს, არამედ ყველას, ვინც ქსნის ერისთავთა მამულებში ცხოვრობდა, და მათ რიცხვში ფიცხელაურებსაც.

დოსითეოსი არ კმაყოფილდება ამით. მას სურს ქსნის მამულების მართვა-გამგეობის სათავეში ჩაყენოს თავისი საგვარეულოს წევრები. ამიტომ ჯერ კიდევ 1811 წელს წინადადებას იძლეოდა ოსების საკითხის მოგვარება მინდობოდა სხვათა შორის ნიკოლოზ და გლახა ფიცხელაურებსაც, დოსითეოსის ძმებს. დოსითეოსი ამ წინადადებას იმეორებს 1814 წელსაც.

ამრიგად, დოსითეოს ფიცხელაურის მიზანდასახულობა კარგად ჩანს. მისი საგვარეულოს განთავისუფლება ერისთავების ყმობიდან, ქსნის მამულების მართვა-გამეგობის ხელში ჩაგდება — აი, რა აინტერესებს, უპირველესად ყოვლისა მას.

1814 წლის 31 აგვისტოს გამოიცა იმპერატორის ბრძანებულება ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევის შესახებ. ბრძანებულებაში აღნიშნული იყო, რომ ამ ღონისძიების გატარება აუცილებელია ოსების გაქრისტიანების საქმისათვის. ერისთავებს კი ენიშნებოდათ პენსია წლიურად 10 000 მანეთის რაოდენობით[84].

პეტერბურგში გადაწყდა ქსნის ერისთავების მამულების ჩამორთმევა. უნდა შევნიშნოთ, რომ იქ ეს საკითხი რამდენადმე ნაჩქარევად იქნა გადაწყვეტილი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთავრობა არ ითვალისწინებდა მისალოდნელ შედეგებს, რომელთაც იგი იძულებული გახადეს ორიოდე წლის შემდეგ უკან წაეღო ეს განკარგულება.

ოსების გაქრისტიანების საქმე რუსეთის მთავრობამ დოსითეოსს მიანდო. დოსითეოსის მიერ წარდგენილი მოხსენება-პროექტის მიხედვით საქართველოში იქმნებოდა ოსეთის ეპარქია ანანურისა და თელავის მაზრებისაგან. ამ ეპარქიასთან არსდებოდა სასულიერო კომისია, რომლის ადგილსამყოფელიც თბილისში უნდა ყოფილიყო. ოსეთის ეპარქიის არქიერი საქართველოში დაარსებულ სინოდალური კანტორის წევრი იყო, მაგრამ მას მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებული უფლებები: მას, მაგალითად, შეეძლო სინოდალური კანტორის გარეშე, პირდაპირ ეწარმოებია მიწერ-მოწერა სინოდთან.

დოსითეოსი დაინშნა ოსეთის ეპარქიის არქიერად და ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელად. ყოველივე ამან მას დიდი გაელენა მოუპოვა. გლახა ჭილაძე დოსითეოსის შესახებ 1814 წელს პეტერბურგიდან საქართველოში იწერებოდა: დოსითეოსი „მისის დიდებულების ყ[ოვლა]დ მოწყალის

[83] იქვე, ფურც. 8.

[84] საქართველოს ცსსა, სსუ, საქ. № 239, ფურც. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფისაგან ასე ნაცნობია, რომ ვინც საქართველოდამ აქ რუსეთის მოსულა ამისი პატივი არავის მიუღია და ვერც არავინ მიიღებს"[85].

დოსითეოსმა ოსეთის სასულიერო კომისიისათვის ხალხი პეტერბურგშივე შეარჩია და 1814 წლის 29 დეკემბერს პეტერბურგიდან გამომგზავრა. 1815 წლის 28 მაისს დოსითეოსი თბილისში ჩამოვიდა[86].

1815 წლის 2 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ოსეთის სასულიერო კომისია, კომისიის წევრებმა მიიღეს ფიცი. კომისიის გახსნას დაესწრნენ საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები და თავადაზნაურობა[87].

იმპერატორის განკარგულებამ ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევის შესახებ საქართველოს დიდგვარიან თავადებს შორის სერიოზული შეშფოთება გაუოიწვია. ერისთავები ითვლებოდნენ რუსეთის ხელისუფლების ყველაზე ერთგულ თავადებად საქართველოში. ჯერ კიდევ ციციანოვი წერდა მათ შესახებ: „Столько верны, сколько и я верностью своею гордиться могу, да и естественно ли, чтобы получа по милости Е. И. В. 4000 дымов, отнятого царями у них имения, они столь были неблагодарны. Напротив, они суть одни, на коих я столько полагаюсь, сколько положился бы на русских"[88].

ახალი ხელისუფლებისადმი ასეთივე ერთგულება შეინარჩუნეს ერისთავებმა ციციანოვის მერმინდელი მთავარმართებლების დროსაც. და თუ მთავრობა ასეთ ერთგულ თავადებს ყოველგვარი დანაშაულის გარეშე ართმევდა მამულებს, რიოსი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ სხვებს, რომელთაც არ შეეძლოთ ასე გაბედულად ელაპარაკათ თავიანთ დამსახურებაზე რუსეთის მთავრობის წინაშე.

მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში რუსეთის მთავრობა საქართველოში თავისი პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებაზე ზრუნავდა. მას აქ ესაჭიროებოდა საიმედო დასაყრდენი ძალა, რომელსაც ქართველ თავადაზნაურობაში ხედავდა. თავად-აზნაურთა მიმხრობა, მათ წრეში დაწყებული პოლიტიკური მოძრაობის (თავად-აზნაურთა ე. წ. „ნაციონალური" მოძრაობის) ლიკვიდაცია — წარმოადგენდა მთავრობის უპირველეს შინაპოლიტიკურ ამოცანას საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში.

ჯერ კიდევ 1801 წლის მანიფესტით იყო დადასტურებული საქართველოს თავადაზნაურობის სამამულო უფლებების ხელშეუხებლობა, ხოლო შემდეგ მთავრობის ორგანოებში სისტემატურად მიმდინარეობდა ქართველ თავადაზნაურთა სამამულო უფლებების დამტკიცება-დადასტურება[89].

ასეთ ვითარებაში ქსნის ერისთავების მამულების ჩამორთმევას შეეძლო თავად-აზნაურთა ერთგული ნაწილიც კი გადაესროლა მთავრობის მოწინააღმ-

---

[85] სსმ, ᲫS 5461.

[86] ცსსალ, ფ. 796, ანაწ. 95, 1814, საქ. № 798, ნაწ. 1, ფურც. 199. კომისიაში დოსითეოსმა შეარჩია: ფარსადან ციციშვილი, არქიმანდრიტი ეპიფანე, არქიმანდრიტი ათანასი და კანცელარიის მოხელეები: პ. პროტოპოპოვი, ვ. პარიჟსკი, პ. ტიშინი, ნ. პოკროვსკი, ი. კირილოვი და პორორვიჩი.

[87] იქვე, ფ. 797, საქ. № 4727, ფურც. 5.

[88] Акты..., ტ. II, გვ. 177.

[89] საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. № 5, 13, 16, 17, 68, 76, 100, 150 და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგეთა ბანაკში. მთავარმართებელი რტიშჩევი კარგად გრძნობდა ამას და კიდეც ამიტომ მან თავი შეიკავა იმპერატორის ბრძანებულების სისრულეში მოყვანისაგან. მან სახაზინო ექსპედიციას დაავალა ქსნის მამულებისა და მათი შემოსავლის აღწერა. თვითონ კი ვრცელი პატაკი გაგზავნა პეტერბურგში, სადაც ასაბუთებდა ამ ღონისძიების სისრულეში მოყვანის შეუძლებლობას. მისი აზრით, ეს ღონისძიება ფასს დაუკარგავდა ქართველ თავად-აზნაურთა ერთგულებასა და სამსახურს რუსეთის მთავრობის წინაშე.

გარდა ამისა, ამ განკარგულებამ რტიშჩევის სიტყვით „поселило в умах не только фамилии князей Эристовых но и протчих дворян недоумение в их собственности...“[90].

რტიშჩევი ითხოვდა დამატებით განკარგულებას იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეოდნენ ქსნისა და მეჯუდის ხეობაში მოსახლე სხვა თავადები მამულებს, რომლებშიც ისებიც ცხოვრობდნენ (ასეთი თავადები იყვნენ: ბაგრატიონები, ძაჩაბლები, თუმანიშვილები და სხვ.). რტიშჩევი ითხოვდა აგრეთვე მითითებას, ჩამოერთმიათ თუ არა ერისთავებისათვის ქრისტიანი მოსახლეობაც.

ყოველივე ზემოთქმულის გამო რტიშჩევმა ქსნის ერისთავთა მამულების ხაზინაში გადარიცხვა შეაჩერა. მან მხოლოდ ყადაღა დადვა ამ მამულების შემოსავალს, სანამ იმპერატორისაგან დამატებით მითითებებს მიიღებდა. რუსეთის იმპერატორი ამ ხანებში საზღვარგარეთ იყო (ვენის კონგრესზე). უმაღლეს ხელისუფლებს რუსეთის იმპერიაში ახორციელებდა მინისტრთა კომიტეტი, რომელმაც 1815 წლის განმავლობაში ორჯერ მოითხოვა რტიშჩევისაგან (ივნისსა და ნოემბერში) ბრძანებულების დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანა[91]. რტიშჩევი არ დაემორჩილა მინისტრთა კომიტეტის განკარგულებებს და დაჟინებით მოითხოვდა დამატებით მითითებებს იმპერატორისაგან. იგი თავის განმეორებით მოხსენებაში იმპერატორისადმი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ ღონისძიებას შეუძლია ზიანი მოუტანოს მთელ მხარეს[92].

მთავარმართებლის ასეთმა პოზიციამ, რომელიც ნაკარნახევი იყო რუსეთის პოლიტიკური ინტერესებით აღებულ ხანაში, ქსნის მამულების გადარიცხვა ხაზინაში დაგვიანა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო საქართველოს საერო ხელისუფლების წარმომადგენელი გამოვიდა ქსნის მამულების ჩამორთმევის წინააღმდეგ, არამედ სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელიც — ეგზარხოსი ვარლამი. ამ უკანასკნელის პოზიცია ადვილი გასაგებია: ვარლამი ერისთავთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ერთადერთი ადამიანი ხელისუფლებაში, რომელიც იბრძოდა ამ განკარგულების სისრულეში მოსაყვანად, იყო დოსთეოს ფიცხელაური. იგი დაჟინებით მოითხოვდა მთავარმართებლისაგან ქსნის მამულების ჩამორთმევას, განუწყვეტლივ წერდა მოხსენებით ბარათებს სინოდსა და სინოდის ობერპროკურორს გოლიცინს. მიუთითებდა, რომ ქსნის მამულების ჩამოურთმევლობა აბრკოლებს ოსების გაქრისტიანების საქმეს. დოსთეოსი უჩიოდა მთავარმართებელს, ეგზარხოს ვარლამს, ერისთავებს, რომლებიც, მისი სიტყვით, ხელს უშლიდნენ მას

---

[90] საქართველოს ცსსა, სსფ, საქ. № 239. ფურც. 277.

[91] ცსსალ, ფ. 1263. საქ. № 78, ფურც. 391; საქ. № 83. ფურც. 503.

[92] საქართველოს ცსსა, სსფ. საქ. № 239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეისონერო საქმიანობაში, არ ასრულებდნენ იმპერატორის განკარგულებას[93]. დოსითეოსის პატაკებიდან ჩანს, რომ მას 1815 წლის მაისიდან 1816 წლის ბოლომდე გაუქრისტიანებია 10 506 სული, მაგრამ ამათ შორის ქსნის ხეობის ოსები არ იხსენიებიან[94]. ქსნის ხეობაზე გაგზავნილი ხალხი (შაქრო თულაშვილი და სხვ.) დაეთ ერისთავს გაულახია და გამოუდევნია[95].

რტიშჩევმა არც დოსითეოსის მეორე თხოვნა — ოსეთის კომისიაში აზნაურ ფიცხელაურთა, ფურცელაძეთა და ჩერქეზიშვილთა დანიშვნა—მოიყვანა სისრულეში. მისი დავალებით, აღმასრულებელი ექსპედიცია გაეცნო ამ აზნაურთა წარსულს, მათ დამსახურებას რუსეთის ხელისუფლების წინაშე და გამოარკვია, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ქსნისხეველთა აჯანყებებში, დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებთან; ამასთანავე თავადებმა უჩვენეს, რომ ეს აზნაურები თავიდანვე ერისთავების ყმები იყვნენ და ერეკლე მეფემ უსამართლოდ ჩამოართვა ისინი ერისთავებსო[96]. საქმეს ვერ უშველა ზურაბ ფურცელაძისა და ფიცხელაურების დაჯინებითმა მტკიცებამ, რომ ისინი მეფის აზნაურები იყვნენ, მითითებამ 1783 წლის ტრაქტატისადმი დართულ სიაზე და სხვამ. რტიშჩევმა შეუძლებლად მიიჩნია ქსნის მამულების მართვა-გამგეობის მინდობა ამ აზნაურებისათვის: „Так как,— пишет рти'щев,—они тогда из княжеских дворян сделаются властелинами на место господ своих...“[97]

როდესაც გოლიცინმა რტიშჩევის მოსაზრება დოსითეოს ფიცხელაურს შეატყობინა, ამ უკანასკნელმა განკაში ასტეხა. იგი მიუთითებდა ტრაქტატზე, პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტებზე, სადაც ქართველი აზნაურები გათანაბრებული იყვნენ რუსეთის კეთილშობილთა წოდებასთან და აცხადებდა: „Не бывало ещё примера, чтоб в России дворянин был в подданстве у дворянина, то каким же образом стали принадлежать Грястовым, рекомендованные мною дворяне?...“[98]

ეს განცხადება მეტად საინტერესოა! დოსითეოსი იშველიებდა რუსეთში არსებულ ვითარებას, სადაც უკვე დიდი ხანია აღარ იყო თავადის ყმობაში მყოფი აზნაურები და ამაზე მითითებით სურდა დაემტკიცებინა ერისთავთა ფიცხელაურებზე ბატონობის უკანონობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის მთავრობა საერთოდ ცდილობდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნორმები რუსულთან დაეახლოებინა, ან რუსულით შეეცვალა, დოსითეოსის ეს განცხადება ნოყიერ ნიადაგზე უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ ამ ხანებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლებას ორიენტაცია აღებული ჰქონდა საქართველოს მსხვილ თავადებზე და წვრილ აზნაურთა (თავადის ყმა აზნაურთა) ინტერესების დაკმაყოფილება მას ჯერ კიდევ არ შეეძლო. გარდა ამისა რტიშჩევი თვლიდა, რომ თავადის ყმა აზნაურები არ მიეკუთვნებოდნენ კეთილშობილთა წოდებას. მისი აზრით, ესენი იყვნენ თვით თავადის მიერ დაწინაურებული გლეხები და მეტი არაფერი. ამის

---

[93] იხ. ცსსალ, ფ. 797, ნაწ. 2, საქ. № 4723, ფურც. 40, 42, 43, 62 და ა. შ.

[94] იქვე, ფ. 796, საქ. № 793, ნაწ. II, ფურც. 8—222. გაქრისტიანებულთა სიები.

[95] იქვე. ფ. 797, ნაწ. 2, საქ. № 4727, ფურც. 59.

[96] საქართველოს ცსსა, სსფ, საქ. 239, ფურც. 134—135, 142—144.

[97] იქვე. სსფ, საქ. № 239, ფურც. 286.

[98] ცსსალ, ფ. 797, ანონაწერი 2, საქ. № 4723, ფურც. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამო დოსითეოსის განცხადება, რომ საქართველოში თავადის ყმობაში აზნაური არ უნდა იყოსო, უყურადღებოდ დარჩა.

დოსითეოსი არ ცხრებოდა. 1816 წელს მისი ინიციატივით ქსნის ხეობის აზნაურებმა იმპერატორს მიართვეს თხოვნა, სადაც გამოთქვამდნენ სიხარულსა და მადლობას ერისთავების ყმობიდან მათი განთავისუფლების გამო, ითხოვდნენ დატოვებას ხაზინის განკარგულებაში და დაცვას იმ შევიწროებისაგან, რომელსაც განიცდიდნენ ერისთავების მხრიდან[99]. ეს თხოვნა განსახილველად პეტერბურგიდან საქართველოს მთავარმართებელს რტიშჩევს გამოუგზავნეს.

ქსნის მამულების ჩამორთმევის შესახებ განკარგულების გამოსვლიდან 2 წელი გავიდა. ქსნის მამულები ჯერ კიდევ არ იყო გადასული ხაზინის განკარგულებაში, ფიცხელაურები, ფურცელაძე და ჩერქეზიშვილი არ იქმნენ დანიშნულნი ოსეთის კომისიაში. დოსითეოსის ცდები უშედეგოდ რჩებოდა. საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლება ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევის საკითხში მის წინააღმდეგ ამხედრდა... ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ერისთავებს მიეღოთ ზომები მამულების შენარჩუნებისათვის. მათ მიართვეს თხოვნები იმპერატორსა და მთავარმართებელს; მიუთითებდნენ თავიანთ დამსახურებაზე, ერთგულებაზე, უდანაშაულობაზე, მთავრობას სთავაზობდნენ თავიანთ აქტიურ მონაწილეობას ოსების გაქრისტიანების საქმეში[100].

ქსნის ერისთავებმა 1814 წლის დეკემბერში ქსნის ხეობის მოსახლეობის ერთი ნაწილს (გლეხებსა და აზნაურებს) დაუწერინეს თხოვნა იმპერატორის სახელზე. ქსნისხეველები ითხოვდნენ ერისთავების ყმობაში დატოვებას[101]. ხელისმომწერთა შორის ერთი ფიცხელაურიცაა დასახელებული. ბუნებრივია, ისმის საკითხი, რამ გამოიწვია ქსნისხეველების ამ ერთი ნაწილის გამოსვლა დოსითეოსის წინააღმდეგ? ამაზე პასუხს ჩვენ ვპოულობთ აქვე, მათ თხოვნაში. ქსნის აზნაურები და გლეხები აღნიშნავენ, რომ დოსითეოსს სურს „თავისი ძმები მოგვაყენოს და აგვაწიოკოსო“, ე. ი. ისინი ქსნის მამულებში ფიცხელაურთა (დოსითეოსის ძმებისა და ნათესავების) გაბატონების წინააღმდეგნი არიან. ეს იწვევს მათ პროტესტს ხაზინაში გადარიცხვის წინააღმდეგ.

სხვათა შორის დოსითეოსი წინააღმდეგობას წაწყდა ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობის ერთი ნაწილის მხრივაც. ისინი ხაზინაში გადარიცხვას არჩევენ ძველებურად ერისთავთა ყმობაში დარჩენას. ქსნის ხეველების, ქსნის აზნაურებისა და ქსნის ოსების ერთი ნაწილის დარჩენა ერისთავების მხარეზე, მათი გამოსვლას ხაზინაში გადარიცხვისა და ოსეთის კომისიის განკარგულებაში გადასვლის წინააღმდეგ ადვილი ასახსნელია. ქსნის ხეობის აზნაურებს არ სურთ ბატონად გაიხადონ მათი სოციალური „ძმები“, აზნაური ფიცხელაურები, ფურცელაძეები და ჩერქეზიშვილები. მათ თვითონ სურთ ქსნის მამულებში ბატონობა და დამოუკიდებლობა მოიპოვონ. თავადის აზნაურთა შორის წინააღმდეგობა და ურთიერთბრძოლა აღმოცენებულია სწორედ მათი მიზნებისა და მისწრაფების ერთგვარობაზე. გავიხსენოთ მარქსისა და ენგელსის შენიშვნა: „Отдельные индивиды образуются класс лишь постольку, поскольку им приходится вести общую борьбу против какого-нибудь общего класса; в остальных

[99] ცსსალ, ფ. 797, ანაწ. 2, 1814, საქ. № 4723, ფურც. 93—94.

[100] საქართველოს ცსსა, სსფ; საქ. № 239, ფურც. 35.

[101] იქვე, სსფ, საქ. № 239, ფურც. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

отношениях они сами противостоят друг другу враждебно в качестве конкурентов"[102]. ეს კონკურენცია აზნაურთა კლასის წევრებს შორის, როგორც ჩანს, სძლევდა მათ ჯერ კიდევ სუსტ კლასობრივ ბრძოლას თავადების წინააღმდეგ. თავადის ყმა აზნაურთა ბრძოლა ყმობიდან განთავისუფლებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ასული იმ დონემდე, რომ ეს სოციალური ფენა საერთო მოთხოვნილების ქვეშ დაერაზმა. მართალია, ეს ბრძოლა მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში რამდენადმე უფრო აქტიური და ფართო ხდება, მაგრამ ორგანიზაციულ სისრულეს იგი ვერ აღწევს. აზნაურთა მეტოქეობა და ქიშპი ხშირად აქცევს მათ ერთმანეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკში და აკავშირებს კიდეც მათ საერთო მტერთან. სწორედ ეს გარემოება, თავადის ყმა-აზნაურთა ბრძოლის განუვითარებელი ხასიათი, შეიძლება იქნეს დასახელებული ფიცხელაურთა წინააღმდეგ ქსნის აზნაურთა ერთი ნაწილის ამხედრების მიზეზად.

რაც შეეხება ოსებსა და გლეხობას, მათი განწყობილება ხაზინაში გადარიცხვის წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, აიხსნება სახაზინო გლეხთა ძმიმე მდგომარეობით მე-19 საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, რუსეთთან შეერთების შემდეგ მმართველობის ახალი სისტემა ძირითადად სახაზინო გლეხობას დაეწვა კისერზე. ეს სისტემა კი გაცილებით უფრო რთული, ძმიმე და უჩვეულო იყო, ვიდრე ძველი ქართველი მეფის მმართველობა[103].

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქსნის ერისთავებმა სხვა გზასაც მიმართეს: 1815 წლის ივლისში საქართველოს მთავარმართებლის მხარდაჭერითა და ხელის შეწყობით მათ გაგზავნეს დეპუტაცია პეტერბურგში, რომელმაც მოახერხა იმპერატორისათვის მათი თხოვნის წარდგენა. ამ თხოვნაში, სხვათა შორის, ერისთავები ამყოვნებენ დოსთეოს ფიცხელაურის პირად ინტერესებს. მას სურსო,—სწერენ ისინი,—„исторгнуть из зависмости нашей ближайших родственников своих"[104].

საკითხი განსახილველად გადაეცა მინისტრთა კომიტეტს, რომლის სათავეში ამ დროს იდგა არაკჩეევი. არაკჩეევმა შეკრიბა ცნობები ქსნის ერისთავთა მამულების შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსების გაქრისტიანების საქმისათვის ქსნის მამულების ჩამორთმევა სრულიადაც არაა აუცილებელი. ამავე დროს მან შეუძლებლად ჩათვალა ქსნის ერისთავთა სამამულო უფლებების შელახვა და მათი მამულების ჩამორთმევა მათივე თანხმობის გარეშე[105].

მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე 1816 წლის 22 თებერვალს განხილული იქნა ქსნის ერისთავთა მამულების საკითხი. კომიტეტი დაეთანხმა არაკჩეევს და ოსების გაქრიტიანებისათვის ქსნის მამულების ჩამორთმევა არ მიიჩნია აუცილებლად. ამავე დროს კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში დოსითეოსი უფრო პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ვიდრე საქმის საერთო ინტერესით.

---

[102] „Немецкая идеология", გვ. 44. ამასვე იმეორებს კ. მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკეში", გვ. 189.

[103] ამას სხვათა შორის ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ძირითადად სახაზინო გლეხები ჯანყდებოდნენ (1804, 1812).

[104] საქართველოს ცსსა, სსფ, საქ. № 239, ფურც. 214.

[105] იქვე, საქ. № 239, ფურც. 257—269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის წევრებიდან ქსნის მამულების ჩამორთმევის მომხრეებად გამოვიდნენ სინოდის ობერპროკურორი გოლიცინი და შინაგან საქმეთა მინისტრი კოზოდავლევი. მათ განაცხადეს, რომ, ვინაიდან განკარგულება ქსნის მამულების ჩამორთმევის შესახებ უკვე გაცემულია, ამჟამად ამ ღონისძიებაზე ხელის აღება მთავრობის პრესტიჟს დასცემსო. მათი მოსაზრება კომიტეტმა არ გაიზიარა. კომიტეტმა დაადგინა საქმე საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაგზავნილ ყოფილ საქართველოს მთავრმართველსა და საქართველოს უმაღლეს მთავრობას.

კომიტეტის აზრი და მთელი საბუთები 1816 წელს გადაუგზავნეს საქართველოში მთავრმართველად ახლად დანიშნულ ერმოლოვს. ამ უკანასკნელმა რტიშჩევისაგან მოითხოვა ქსნის ერისთავთა მამულების განთავისუფლება ყადაღისაგან. რტიშჩევმა შეასრულა ეს მითითება და 1816 წლის აგვისტოში ქსნის ხეველებს გამოუცხადეს, რომ ისინი კვლავ რჩებიან ერისთავების სრულ მფლობელობაში[106].

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ერმოლოვმა მოიწვია საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც უნდა განხილულიყო საკითხი: აუცილებელია თუ არა ოსების გაქრისტიანებისათვის ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევა. კრებაზე მიწვეულ იქნა დოსითეოს ფიცხელაურიც. ეს იყო „გენერალური ბრძოლა". დოსითეოსი ორჯერ გამოვიდა ამ სხდომაზე და ამტკიცებდა ამ ღონისძიების აუცილებლობას ოსეთის კომისიის საქმიანობის წარმატებისათვის. თავის მეორე გამოსვლაში დოსითეოსი ამასთან ერთად გადავიდა მეორე საკითხზე და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ერისთავები მათი მამულების არაკანონიერი მფლობელები არიან, რომ მათ უკანონოდ დაუბრუნდათ მამულები ჯერ 1803 წელს და მეორედ ახლაო. ეს უკვე სახიფათო ნაბიჯი იყო. მთავრობის გადაწყვეტილებათა უკანონობად გამოცხადება შეიძლებოდა არ ეპატიებიათ დოსითეოსისათვის და მას მართლაც მიეცა მითითება ამის შესახებ. დოსითეოსი მთავრობისაგან მოითხოვდა განხილული ყოფილიყო ქსნის ჯზაურებისა და საერთოდ ქსნისხეველების საბუთები ერისთავთა ყმობიდან მათი განთავისუფლების შესახებ.

დოსითეოსის წინააღმდეგ გამოვიდა მთელი კრება. ერმოლოვმა უარყო დოსითეოსის თხოვნა განეხილათ ერისთავთა ყმობიდან ფიცხელაურებისა და ქსნის სხვა ჯზაურების განთავისუფლების საკითხი. ქსნის ჯზაურთა განცხადება ამ საკითხზე, რომელიც მას განსახილველად გამოუგზავნეს პეტერბურგიდან, ერმოლოვმა სამაზრო სასამართლოს გადასცა. კრებაზე დოსითეოსის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი მრჩეველები: დავით ბარათაშვილი, თეიმურაზ მუზრან-ბატონი, იოსიბ ძელიქიშვილი, ზურაბ ორბელიანი, აბესალომ ბებუთიშვილი და სხვანი; ქართველი სასულიერო პირები — ეგზარქოსი ვარლაამი, პროტოიერეი დიმიტრი ალექსის ძე, არქიმანდრიტი ელეფთერი, რუსი მოხელეები და სხვ.

საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა საერთო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ქსნის მამულების ჩამორთმევა ოსების გაქრისტიანებისათვის აუცილებელი არაა.

ეს იყო დოსითეოს ფიცხელაურის დამარცხება. ერმოლოვის მოხსენების საფუძველზე იმპერატორმა 1817 წ. 8 თებერვალს გამოსცა განკარგულება

---

[106] საქართველოს ცსსა, ფ. 112, ანაწ. I, საქ. № 112, ფურც. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსნისა და გვერდისძირის მამულების ერისთავების სრულ ჭფლობელობაში დატოვების შესახებ, ხოლო დოსითეოსი განთავისუფლებულ იქნა ყველა თანამდებობიდან და იმავე წლის მაისში გაწვეულ იქნა რუსეთში.

1829 წლამდე დოსითეოსი ცხოვრობდა მოსკოვში, მას დაენიშნა პენსია 2000 მანეთის რაოდენობით. 1829 წელს მას საქართველოში დაბრუნების ნება დართეს. აქ იგი მკურნალობდა მინერალური წყლებით ბორჯომში, ერთხანს თავის მშობლიურ სოფელს იკოთსაც ესტუმრა. გარდაიცვალა 1830 წლის 19 ნოემბერს[107]. თბილისის გაზეთში—„Тифлисские ведомости"-ში გამოქვეყნდა ნეკროლოგი[108].

დოსითეოსი ფრიად ენერგიული, განათლებული და კულტურული კაცი იყო. ანტონ მეორე მას ახასიათებს როგორც უნარიან და ენერგიულ პიროვნებას[109]. ამასვე მოწმობს სხვა ცნობებიც დოსითეოსის შესახებ, რომლებიც შეეხებიან მის საქმიანობას ეპარქიათა სათავეში.

რუსეთში დოსითეოსი ბიბლიურ საზოგადოებას დაუკავშირდა და მისი დავალებით მოსკოვში ქართულ ენაზე ახალი აღთქმის წიგნების ბეჭდვას ხელმძღვანელობდა[110]. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" დოსითეოს ფიცხელაურის შესახებ წერს: „ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი[111], იოანა ხელაშვილი ამ წიგნში გამოყვანილია, როგორც დოსითეოსის მოწაფე და იგი ამით თავს იწონებს კიდეც.

დოსითეოსს რუსულიდან უთარგნია მილტონის „დაკარგული სამოთხე"[112], 1827 წ. მოსკოვში არქიმანდრიტ ტარასის რუსულიდან უთარგმნია „წიგნი თანამდებობათათვის სამრეველოთა მღვდელთასა" და მას იგი დოსითეოსისათვის გადაუგზავნია განსახილველად. დოსითეოსმა მოიწონა თარგმანი, მისცა ავტორს შენიშვნები და რეცენზია დაუწერა რუსულ ენაზე. ამასთანავე ურჩია ტარასის სხვა საეკლესიო წიგნების გადმოთარგმნაც[113].

* * *

როგორც ვხედავთ, დოსითეოს ფიცხელაურის გამოსვლა ქსნის ერისთავების წინააღმდეგ მე-19 საუკუნის 10-იან წლებში და ერისთავთა მამულების ჩამორთმევის მოთხოვნა დამთავრდა მარცხით. მთავრობას არ შეეძლო მხარი დაეჭირა ქსნის საერისთავოს მთელი მოსახლეობის განთავისუფლებისათვის ერისთავთა ყმობიდან, ვინაიდან ეს მას ქართველ თავადაზნაურობაში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გაუმრავლებდა.

ფიცხელაურებმა საქმე წაიგეს სასამართლოშიც. თბილისის სამაზრო სასამართლომ, სადაც გადაიგზავნა ფიცხელაურთა თხოვნა ერისთავების ყმობიდან მათი განთავისუფლების შესახებ, საკითხი ერისთავების სასარგებლოდ გადაწყვიტა და ფიცხელაურებს მათ სარჩელზე უარი უთხრა. საინტერესოა აღი-

---

107 სსმ. № 2108, ფურც. 333

108 „Тифлисские ведомости", 1830, № 96.

109 სსმ, dS 2172.

110 ცსსალ, ფ. 797, ანაწ. 2, საქ, № 4722, ფურც. 102.

111 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, 1948, ტ. II, გვ. 207.

112 „Тифлисские ведомости", 1830, № 96.

113 საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1948, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნოს, რომ ამ საკითხის განხილვისას სასამართლომ ანგარიში გაუწიაქართველების გამარჯვებას მმართველობის საერთო კრებაზე: სასამართლოში საკითხის განხილვას აშინურებდნენ, სანამ არ მიიღეს ცნობა, რომ მმართველობის საერთო კრებამ დოსითეოს ფიცხელაურის მოთხოვნა უარყო და ქსნისხეველები ერისთავების ყმობაში დატოვა. ამის შემდეგ გამოიტანა სასამართლომ გადაწყვეტილება ერისთავების სასარგებლოდ[114].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დოსითეოს ფიცხელაურის ბრძოლას ერისთავების წინააღმდეგ იმდროინდელი ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს.

დიდი სიმპათიით შეხვდნენ ერისთავთა წინააღმდეგ დოსითეოსის გამოსვლას ყოფილი სამეფო ოჯახის წევრები, კერძოდ. ბატონიშვილები იოანე, ბაგრატი და დავითი[115]. ამათი პოზიცია გასაგებია: სამეფო ოჯახსა და ქსნის ერისთავებს შორის დიდხანს წარმოებდა ბრძოლა, გარდა ამისა ბატონიშვილები ქსნის საერისთაოს თავიანთ საკუთრებად, სამეფო მამულებად თვლიდნენ.

ფიცხელაურთა ბრძოლით დაინტერესებას იჩენენ აზნაურებიც. არაგველი აზნაური გლახა ჭილაძე, რომელიც ამ დროს რუსეთში იყო, თხოვს გიორგი ტერეშელს: „გარჩევით მომწერე არქიერის. (იგულისხმება დოსითეოსი.—შ. ხ.) და ერისთავიანთ საქმე, როგორ მოხდა, ქსნიანი ვინ არქიერის მხარეს იყო და ან ერისთავიანთ მხარეს ვინ იყო, ან აზნაური და ან გლეხი"[116].

გლახა ჭილაძის დაინტერესების მიზეზს გვიხსნის მისი წერილი იოანე შარავაშიძისადმი. აქ იგი წერს: „დოსითეოს არქიერი მოვა მანდა, ასეთი უფლება აქვს, რომ არაგეზედ მოურავებს ვისაც უნდა შესცელის და ვისაც უნდა მისცემს... და შენ ეცადე, რომ სარსახური აჩვენო (ხევის მოურავობისთვის შენ ვერ მოიცლი. ლომნია ნახე და ლომნიას გამოუცხადე...)"[117].

მაშასადამე, არაგვზე სახელოების მიღება, არაგვის მამულების მართვა-გამგეობის ხელთ გდება—აი, რა აინტერესებს ფიცხელაურთა ამ სოციალურ მოძძეს. ფიცხელაურის გვერდით. როგორც ვნახეთ, იბრძოდნენ ქსნის სხვა აზნაურებიც (ფავლენიშვილი, ფურცელაძე, ხმალაძე და სხვ.).

ქართველი თავადაზნაურების, გლეხობისა და რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებაზე ამ მოვლენასთან ზემოთ ვილაპარაკეთ.

ფიცხელაურთა განთავისუფლება ერისთავთა ყმობიდან

ფიცხელაურთა ხანგრძლივი ბრძოლა ერისთავთა ყმობიდან განთავისუფლებისათვის საბოლოოდ მე-19 საუკუნის 20—30-იან წლებში მათი გამარჯვებით დამთავრდა. ეს საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყდა საერთოდ თავადის ყმა აზნაურთა საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ფიცხელაურთა ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია: როგორც კი თავადის ყმა აზნაურთა საკითხი წამოიჭრა (1819 წლიდან), მეფის მთავრობამ გაიხსენა ფიცხელაურთა საქმე და სხვა ანალოგიური საქმეები. მან ისინი მხედველობაში მისაღებად დაურთო თავადის

---

[114] საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. № 678, ფურც. 121—191, გადაწყვეტილების ოქმი.

[115] იოანე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II. 1948. გვ. 207; ბაგრატ ბ ა ტ ო ნ ი-შ ვ ი ლ ი, ალალი მოთხრობა, 1941, გვ. 146—147; საქართველოს ცსსა, საგანგებო ფონდი, საქმე № 239.

[116] სსნ, ф5 5494.

[117] იქვე. ф5 5464.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმა აზნაურთა საკითხის რკვევასთან დაკავშირებით შეკრებილ მასალებს[118]. საკითხი თავადის ყმა აზნაურთა შესახებ წამოიჭრა საქართველოს თავად-აზნაურთა წოდების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევასთან დაკავშირებით.

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ. შემდეგ კი სენატმაც. 1819 წლის მაისში და ივლისში კავკასიის მთავარმართებლის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საბუთებში საქართველოს ზოგიერთი აზნაური თავადის ყმა აზნაურად იხსენიებოდა. ერმოლოვს დაევალა გამოერკვია ეკუთვნიან თუ არა ეს აზნაურები კეთილშობილთა წოდებას. შეიძლება თუ არა მათი გათანაბრება ყოფილ სამეფო აზნაურებთან?[119] ამ საკითხზე პასუხის გაცემა ერმოლოვმა დაავალა საქართველოს თავად-აზნაურთა ახლად ჩამოყალიბებულ დეპუტატთა საკრებულოს და საქართველოს „უმაღლესი მთავრობის“ საერთო საკრებულოს.

დეპუტატთა საკრებულომ 1820 წელს წარუდგინა მთავარმართებელს თავისი მოხსენება, სადაც იგი ადასტურებდა, რომ თავადის ყმა აზნაურები კეთილშობილთა წოდებას ეკუთვნიანო[120], იგივე აზრი გამოთქვა თავის მოხსენებაში საერთო საკრებულომაც, რომელმაც ამასთანავე მთავარმართებელს წარუდგინა ამ საკითხის გამოძიების ვრცელი ანგარიში. 1820—22 წლებში საერთო საკრებულომ დაჭკოთხა როგორც თავადის ყმა აზნაურთა წარმომადგენლები[121], ასევე თავადები[122]. საკრებულოს დასკვნაში, რომელიც მთავარმართებელს 1822 წლის 16 მარტს წარუდგინეს, აღნიშნულია, რომ ყველა თავადის ყმა აზნაური, თუკი მისი აზნაურობა მეფის მიერაა დამტკიცებული, ხოლო მისი გვარი შეტანილია 1783 წლის ხელშეკრულებაზე დართულ თავად-აზნაურთა სიაში, უნდა ჩაითვალოს კეთილშობილთა წოდებაში და გათანაბრდეს სამეფო აზნაურებს[123]. ერმოლოვი დაეთანხმა საერთო საკრებულოს, დამტკიცა მისი დასკვნა და ეს აზრი საფუძვლად დაედვა აზნაურთა საჩივრების განხილვას თავადების ყმობიდან მათი განთავისუფლების შესახებ. 1825 წ. საერთო საკრებულომ თავადის ყმა აზნაურთა სამამულო უფლებების შესახებაც წარუდგინა მოხსენება მთავარმართებელს. აქ აღნიშნულია, რომ აზნაურებს თავადის ყმობიდან წასვლის უფლება აქვთ, თუკი ისინი თავადისაგან ნაბოძებ ადგილ-მამულს დასტოვებენ[124].

შემდეგი ეტაპი ამ საკითხის განვითარებაში იყო სენატის რევიზიის (მეჩნიკოვისა და კუტაისოვის) მიერ აზნაურთა განთავისუფლების შესახებ საკითხის დასმა. ამას მოჰყვა 1833 წლის 11 ივნისის ცნობილი კანონი, რომლის ძალითაც თავადის ყმა აზნაურები განთავისუფლებულ იქმნენ თავადების ყმობიდან.

ამასობაში ფიცხელაურებისა და ქსნის სხვა აზნაურთა დავა ერისთავებთან გრძელდებოდა. თბილისის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო აზნაურებმა (ფიცხელაური, ფაღელნიშვილი, ხმალაძე, ფურცელაძე) 1821 წელს საქმე გადაიტანეს სენატში. აქ ეს საქმე 1827 წლამდე განხილულა, სანამ ბოლოს სენატის მეოთხე დეპარტამენტმა არ დაადგინა: შეიცვალოს

---

[118] საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. № 678.
[119] Акты..., ტ. VI, ნაწ. I, გვ. 112.
[120] საქართველოს ცსსა, ფ. 1, საქ. 627.
[121] იქვე, ფურც. 27—29.
[122] იქვე, ფურც. 45. 48, 50. 53, 54.
[123] Акты..., ტ. VI, ნაწ. I, გვ. 112.
[124] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილება, აზნაურები — ფურცელაძე. ფიცხელაური, ხმალაძე, ფავლენიშვილი—„ყოვლის მათის სახლობითა და მამულით განთავისუფლებული იქმნან ერისთავთა ყმობიდან და ჩაირიცხონ ხაზინაში“[125].

ერისთავების საჩივარმა საქმეს ვერ უშველა. მთავრობამ მხოლოდ 1833 წლის კანონის გამოსვლის შემდეგ უპასუხა ერისთავებს და მათ სარჩელზე უარი უთხრა.

ამრიგად, 1827 წლიდან ფიცხელაურები განთავისუფლდნენ ერისთავთა ყმობიდან და სახაზინო აზნაურთა რიგებში გადავიდნენ. 1829 წელს მათ საქართველოს თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში წარადგინეს საბუთები მათი აზნაურობის შესახებ და მიიღეს კიდეც დამტკიცება[126].

ამის შემდეგ დავა გრძელდებოდა მამულების გამო. თავადის აზნაურთა ყმამამულების საკითხი საერთოდ ძნელი გადასაწყვეტი შეიქმნა. თავადებსა და აზნაურებს შორის დავა ამ საკითხზე გრძელდებოდა მე-19 საუკუნის დამლევამდე და მე-20 საუკუნის დამდეგამდე. ზოგი მათგანი გადაწყვეტილი არ იყო რევოლუციის წინაც.

Ш. А. ХАНТАДЗЕ

ЭПИЗОД СОЦИАЛЬНОЙ БОРЬБЫ В ПОЗДНЕФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В работе изучена история борьбы дворян Пицхелаури за ликвидацию их зависимости от князей Эристави. Борьба княжеских азнауров (дворян) за освобождение от княжеской зависимости была довольно распространенным явлением в позднефеодальной Грузии. Она имела определенное социальное значение—распатывала систему грузинских феодальных отношении, систему „сатавадо“. Однако, вплоть до XIX века эта борьба не имела успеха. Иерархическая система землевладения, на которой базировалась зависимость княжеских дворян от князей, долго сохраняла силу. И лишь в XIX веке, после присоединения Грузии к России, экономические и социальные сдвиги страны создали условия для окончательной ликвидации иерархической системы землевладения и освобождения княжеских дворян. Играла в этом определенную роль и политика царского правительства.

Борьба Пицхелаури против Эристави рассматривается на этом общем фоне. Выясняется отношение отдельных социальных групп к этой борьбе.

---

[125] საქართველოს ცსსა. ფ. 227, სან. № 1738.
[126] იქვე, ფ. 1, საქ. № 468.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. გოზალიშვილი

მოგონებათა ერთი ფურცელი დიდი რუსი მწერლისა და დრამატურგის ა. გრიბოედოვის ცხოვრებიდან

დიდი რუსი ხალხის გამოჩენილი მწერალი-დრამატურგი ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი მთელი თავისი ნათელი შინაარსიანი ცხოვრებითა და შემოქმედებით მეტად დაახლოებული იყო საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქართული ხალხის ბუნებას, მის კულტურასა და ცხოვრებას, ისტორიულ წარსულს, მის საჭიროებასა და მოთხოვნილებას.

ალექსანდრე გრიბოედოვს ნამდვილად უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. უყვარდა მისი კულტურა და პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა მას. და ეს ხომ არც გასაკვირია! საქართველომ და მისმა ხალხმა ისევე შეიყვარა და შეიტკბო რუსი ხალხის ეს დიდი ადამიანი, მწერალი-დრამატურგი და მოქალაქე. სახელმწიფო მოღვაწე-დიპლომატი, როგორც პუშკინი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლევ ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე, ჩეხოვი და აკაკი წერეთელი, ტურგენევი და ალექსანდრე ყაზბეგი, ტარას შევჩენკო და ლესია უკრაინკა.

დიდი რუსი ხალხის ცხოველმყოფელი ძმური მხარდაჭერით ქართველი ხალხის პროგრესული ძალები ცარიზმის ისტორიული უყურმართობის პერიოდშიაც ხალხთა მარადიული ურთიერთმეგობრობის იმედით ჰვრეტდა მომავალს უკეთესი, თავისუფალი ცხოვრების მოსაწყობად.

ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვს ბევრი რამ აკავშირებდა საქართველოსთან. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სწორედ აქ, საქართველოში დიდრეს მწერალს ჰყავდა მრავალი მეგობარი როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისევე კავკასიაში მაშინდელი დროის სამხედრო თუ სამოქალაქო დარგში მოღვაწე ნაკლებად თუ მეტად ცნობილ პირთა შორის.

იმდენად, რამდენადაც სწრაფად გავრცელდა მაშინდელ რუსეთის იმპერიაში გენიალური კომედია „ვაი ჭკუისაგან“ და საერთო მოწონება, აღიარება და პოპულარობა დაიმსახურა, ისევე მისი ავტორის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მისი ნათელი ხსოვნა საქართველოში დიდხანს იყო ცოცხლად შენახული მის მეგობართა (და არა მარტო მეგობართა) შორის და თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის კავკასიაში მოღვაწე მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელ მეგობართა შორის აღსანიშნავია კავკასიის 40—45-იანი წლების ბრძოლების ერთ-ერთი გამოჩენილი მხედარი, არტილერიის გენერალი ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინი 1858 წლიდან 1881 წლამდე თბილისის კომენდანტად იყო. მან თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა. იგი პირადი ღირსებებით იყო დაჯილდოებული. გულკეთილი ადამიანი, უაღრესად პატიოსანი და სტუმართმოყვარე, ყველასათვის საყვარელი ყოველთვის უდიდესი პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა მაშინდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებაში. მას ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ასული ბაბალე და გრიგოლ ორბელიანის უახლოესი მეგობარი იყო[1].

ალექსი ოპოჩინინს თავისი ცხოვრების უკანასკნელ დრომდე უყვარდა ლიტერატურა და ხელოვნება. განსაცვიფრებელი მეხსიერების პატრონი ყოფილა, ხშირად მხატვრულ თხზულებებს მთლიანად ზეპირად იხსომებდა და საჯაროდ წარმოთქვამდა ხოლმე. თვითონაც წერდა ლექსებს და ინახავდა. მისი ლექსთა კრებული დღემდე უცნობია. იგი შემონახულია ევგენი ვაიდენბაუმის არქივში[2].

ა. ოპოჩინინს ლექსები უკანასკნელად ერთ მთლიან რვეულში გადაუწერია 1883 წელს და ბოლოში ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „Конец. Вероятно больше не буду стихи писать. Апреля 6-го, 1883-го года“.

დიმიტრი ორბელიანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ა. ოპოჩინინს კოჯორში 1874 წლის აგვისტოში დაუწერია, იმ დროისათვის ცნობილ ქართველ პირებთან ერთად იხსენიებს „ყველასათვის დაუვიწყარ ნეგობარს, შესანიშნავ ქართველ პოეტს“ გრიგოლ ორბელიანს („Незабвенный общий друг и замечательный грузинский поэт“). თვით გრ. ორბელიანიც თავის პირად წერილებში ხშირად სიყვარულით იხსენიებს ალექსი ოპოჩინინს და მის მეუღლეს ბაბალე იაკობის ასულ ორბელიანს.

აი სწორედ ამ ლექსთა კრებულში შემოგვინახა ცალკე ერთ ფურცელზე უკანასკნელ დროს გადაწერილი (ავტოგრაფი) ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის დღემდე უცნობი მოგონება რუსეთის გენიალურ მწერალ ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის შესახებ.

ალექსი ოპოჩინინის ეს მოგონება მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ალექსანდრე გრიბოედოვისა და მისი კომედიის „ვაი ჭკუისაგანის“ შესახებ და ამდენად მისი მიკვლევა და გამოქვეყნება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. მოგონებათა ავტორი გადმოგვცემს:

„რომ გასაგები გახდეს ის, თუ რაც ვაფასებ ასე ჩემ მიერ დაკარგულ რვეულს კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ მთლიანი ხელნაწერით, მე შემდეგი უნდა გაცნობოთ: 1826 წლის შემოდგომისას მე ჩამოვედი საქართველოში სამუშაოდ უშუალოდ კადეტთა კორპუსიდან. ა. ს. გრიბოედოვი იმყოფად თბილისში იყოფებოდა. ხმა კომედიის „ვაი ჭკუისაგანის“ შესახებ და იმის შესახებ, რომ ეს კომედია ავტორმა დაამთავრა, ამ დროისათვის უკვე უცილობელ ამბად იქცა. ცოტა ხანში საზოგადოებაში ავტორის ნაცნობ პირთა შორის გამოჩნდა კომედიის მთლიანი ხელნაწერები. ბატარეაში. სადაც მე გამამწესეს. მაშინ მსახუ-

[1] მის შესახებ იხ. გაზ. „Кавказ“. № 127, 1885; Словарь Кавказских деятелей. Тифлис, 1890, გვ. 58; გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II. თბილისი, 1937, გვ. 107, 119 და სხვ.

[2] იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. ვაიდენბაუმის არქივი, № 366. ა. პ. ოპოჩინინის ლექსები — „Стихи, писанные мною в продолжении всей моей жизни, начиная с 1828-го года и теперь переписанные в одну тетрадку. 1838-го года. А. Опочинин“.

[3] ტექსტის ქართული თარგმანი მოგვაქვს მთლიანად, რუსულად იხ. ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზია“. 1957. № 1. გვ. 134-135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა შტაბს-კაპიტანი რიუმინი, რომელიც მეგობრობდა გრიბოედოვს. ერთხელ რიუმინთან ჩემი მისვლის დროს მის მაგიდაზე დავინახე უხეში ლურჯი ქაღალდის რვეულები, სათაურით ყდის ქაღალდზე: „ვაი ჭკუისაგან“, კომედია ა. ს. გრიბოედოვისა. მე ნებართვა ვითხოვე წასაკითხად რვეულის წაღებაზე. ძნელი გადმოსაცემია ის გრძნობა დაძაბული ყურადღებისა, რომელიც ჩემში გამოიწვია კომედიის კითხვამ. მე მაშმაგებდა შესწორებებით აღსავსე, გაფრაქციული ხელი. მე ორჯერ ზედიზედ წავიკითხე რვეული და უკვე ბევრი რამ ვიცოდი ზეპირად, არაჩვეულებრივად კარგი მეხსიერების წყალობით, რომელიც მახასიათებდა მე ახალგაზრდობაში და კარგა ხანს შემდეგშიც. დავუბრუნე რა რვეული რიუმინს, მე განუწყვეტლად კვლავ ვართმევდი მას ამ რვეულს; ვკითხულობდი და ვკითხულობდი, და არ მბეზრდებოდა. ყველგან, საცა კი შესაძლო იყო, მე ვამბობდი მონოლოგებს კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“ და აღტაცებული ვიყავით მით. რიუმინმა, რომელიც უკვე კარგად გამეცნო მე, როგორც მახლობელ თანამოსამსახურეს, და რადგან ჩემში ხედავდა ამ კომედიის ასეთ აღგზნებულ თაყვანისმცემელს, სპარსეთში ჩვენი ლაშქრობის დროს მაჩუქა რვეული და ამიხსნა, რომ იგი მის მიერ არის გადაწერილი. შესწორებები კი შესრულებულია გრიბოედოვის ხელით. 1840 წლის დამლევს, სამსახურებრივი დანიშნულების გამო, მე სავსებით უნდა გადავსულიყავი ხაზზე; როგორც ცოლ-შვილის პატრონს. მე ბევრი ბარგი აღმომაჩნდა; ისე რომ, ჯელალ-ოღლი—თბილისის პირდაპირი გზის თითქმის დასაწყისშივე გარემოებათა გამო იძულებული გავხდი ბარგის ნაწილი დამეტოვებინა ყაზახთა საგუშაგოს სალისში. ბარგთან ერთად იყო ჩემოდანი წიგნებით, რომელშიაც იყო საბედისწერო რვეული. ვიდრე მე მოვეწყობოდი ელადაკვაკაზში, სალისის ყაზახთა საგუშაგო გაუქმებულ იქნა და ჩემ მიერ დატოვებული მთელი ბარგი საგუშაგოსთან ერთად უკვ-ლოდ დაიკარგა. ეს ცუდად მომენახა. მაგრამ ეს შეუძლებელი გამოდგა. აქ კი დაიწყო მრავალი წლის დავიდარაბა მთიულებთან და დანაკარგი თანდათან მომავიწყდა. იმ დღის შემდეგ სულ მალე, თავში ხელი ვიტაცე, რადგან მესმოდა რაოდენ ძვირფასი იყო ეს რვეული ახლა. მაგრამ იმედად დამრჩა ის, რომ მთელი კომედია სწორედ ამ რვეულით მე თავიდანვე ზეპირად შევისწავლე. ახლა, როდესაც თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო იმ დროიდან, მე, რასაკვირველია, აღარ შემიძლიან შეუჩერებლად ზეპირად ვთქვა მონოლოგები; მაგრამ თუ ხელთა მაქვს წიგნი და ვკითხულობ მას, ყოველთვის შევამჩნევ თუ რაიმე ისე არ არის, როგორც მე აღმებეჭდა მეხსიერებაში. მაგრამ ეხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ ხანიდან, რაც დაწერილი იყო ეს ლურჯი რვეული, ა. ს. გრიბოედოვის სოკვდილამდე სამმა წელმა განვლო და საკვირველი იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ავტორს არც ერთხელ არ მოსვლია ახრად შეეტანა ახალი შესწორებანი ან ცვლილებანი, თავის ნაწარმოებში. და ამიტომ ვადგენ მთელ ამ ჩემს ნაამბობს მცოდნეთა და მოყვარულთა სამსჯავროზე, რადგან არ მიმაჩნია უფლება მქონდეს დავუშვა, რომ ჩემს მეხსიერებაში შერჩენილი კომედიის მთელი ტექსტი ავტორის მიერ საბოლოოდ უცვლელად ყოფილიყოს დატოვებული“.

ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის მიეწყვეტული ეს მოგონება დაწერილი უნდა იყოს მისი ცხოვრების უკანასკნელ—1880—1883 წლებში. ცხადია, მოგონებათა ავტორი პირადად ახლოს იცნობდა არა მარტო ა. გრიბოედოვის ახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარს—რიეზინს, არამედ თვით ა. გრიბოედოვსაც, რომელსაც იგი, საფიქრებელია, ხშირად ხედებოდა 1826—1829 წლებში.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემობა, რომ ცნობილი ქართველი დრამატურგი დავით ერისთავი იხსენებს კოზედია „ვაი ჭკუისაგანის“ სწორედ იმ ერთ ხელნაწერს ს. გრიბოედოვის შესწორებებით, რომელიც ინახებოდა გენერალ ოპოჩინინთან და რომლის შესახებაც მოგონებაში არის საუბარი.

იმდენად, რამდენადაც დღემდე ა. გრიბოედოვის შინაარსიანი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის გარშემო არსებული ლიტერატურისათვის უცნობია ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის მოგონებათა ეს ფურცელი, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და საინტერესო ცნობებს შეიცავს.

Ш. Н. ГОЗАЛИШВИЛИ

ОДНА СТРАНИЦА ВОСПОМИНАНИЙ ИЗ ЖИЗНИ ВЕЛИКОГО РУССКОГО ПИСАТЕЛЯ-ДРАМАТУРГА А. С. ГРИБОЕДОВА

Резюме

Выдающийся писатель-драматург великого русского народа Александр Сергеевич Грибоедов всей своей светлой, содержательной жизнью и творчеством теснейшим образом был связан с Грузией и грузинским народом. Он прекрасно был знаком с природой грузинского народа, с его культурой и жизнью, с его историческим прошлым, с его нуждами и чаяниями.

Александр Сергеевич Грибоедов искренне любил Грузию и грузинский народ, любил его культуру и с уважением и бережно относился к ней. И это не удивительно! Грузия и грузинский народ полюбили и сроднились с великим сыном русского народа — писателем-драматургом и гражданином, — как с светлыми образами Пушкина и Николоза Бараташвили, Лермонтова и Александра Чавчавадзе, Льва Толстого и Ильи Чавчавадзе, Чехова и Акакия Церетели, Тургенева и Александра Казбеги, Тараса Шевченко и Леси Украинки.

При братской животворящей поддержке великого русского народа, прогрессивные силы грузинского народа — и в беспросветную пору царизма с надеждой на вечную дружбу народов взирали на лучшее будущее, на торжество свободы.

Александра Сергеевича Грибоедова многое связывало с Грузией. Поэтому неудивительно, что именно здесь, в Грузии имел великий русский писатель многочисленных друзей, как в грузинском обществе, так и среди широко или малоизвестных лиц, служивших тогда в армии или в гражданских учреждениях на Кавказе.

Как быстро распространилась во всей Российской империи того времени гениальная комедия «Горе от ума», заслужив общее признание, любовь и популярность, так после трагической гибели ее автора, светлая память о нем жила и сохранялась среди его друзей (и не только друзей) и переходила из поколения в поколение.

Среди многочисленных писателей и друзей Александра Сергеевича Грибоедова, деятельность которых проходила на Кавказе, нужно отметить одного из выдающихся деятелей борьбы на Кавказе в 40-ых—60-ых годах, генерала от артиллерии Алексея Петровича Опочинина.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Алексей Петрович Опочинин с 1858 по 1881 год состоял комендатом гор. Тбилиси. Большую часть своей жизни он провел в Грузии. Он отличался положительными личными свойствами, был отзывчивым, исключительно честным и гостеприимным человеком, всегда пользовался общей любовью, большим уважением и популярностью в передовом грузинском обществе того времени. Он был женат на дочери Якова Орбелиани — Варваре (Бабале) и был ближайшим другом поэта Григория Орбелиани.

Алексей Петрович Опочинин до последних дней своей жизни любил литературу и искусство. Обладая удивительной памятью, он часто запоминал наизусть целые художественные произведения и декламировал их перед обществом.

Он и сам писал стихи и хранил их. Сборник его стихов до сих пор остается неизвестным; он хранится в архиве Евгения Ваиденбаума. («Стихи, писанные мною в продолжении всей моей жизни, начиная с 1828-го года и теперь переписанные в одну тетрадку. 1883-го года А. Опочинин»[4]).

А. П. Опочинин наконец в 1883 году переписал стихи в одну тетрадь и сделал в конце следующую приписку: «Конец. Вероятно больше не буду стихи писать. Апреля 6-го 1883 года».

В одном стихотворений, посвященном Димитрию Орбелиани, написанном А. П. Опочининым в августе 1874 г. в Коджори, он среди других известных грузинских деятелей упоминает Григория Орбелиани: «Незабвенный общий друг и замечательный грузинский поэт».

Сам Гр. Орбелиани в своих письмах часто с любовью вспоминает А. П. Опочинина и его супругу Варвару (Бабале) Яковлевну Орбелиани.

Именно в этом сборнике стихов сохранилось написанное (автограф) на одном отдельном листе до сего дня неизвестное воспоминание Алексея Петровича Опочинина о гениальном писателе Александре Сергеевиче Грибоедове.

Это воспоминание Алексея Петровича Опочинина дает весьма интересные сведения о А. С. Грибоедове и его комедии «Горе от ума».

Это забытое воспоминание Алексея Петровича Опочинина должно быть написано в последние годы его жизни — в1880—1883 гг. Автор воспоминаний, безусловно, лично был близко знаком не только с близким другом А. С. Грибоедова—Рюминым, но и с самим А. С. Грибоедовым, с которым, он нужно полагать, часто встречался в 1826—1829 гг.

Поскольку в литературе, посвященной содержательной жизни и творчеству А. С. Грибоедова, неизвестна эта страница воспоминаний А. П. Опочинина, она, благодаря имеющимися в ней интересным сведениям, приобретает особое значение, и настолько исследование ее и опубликование не лишено интереса.

---

[4] См. Архив Е. Ваиденбаума, № 366, стихи А. П. Опочинина. Институт рукописей Академии наук Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბურჯანაძე

თავადი ზურაბ წერეთელი

ზურაბ წერეთელი იყო შვილი იმერეთის ზემო მხარის სარდლის ქაიხოსრო წერეთლისა, რომელიც სოლომონ პირველის მხარეზე იბრძოდა თურქების ინტერვენციის დროს (1760-იანი წლები). დადიანის მიერ ქაიხოსროს მოკვლის შემდეგ (1769 წ.) მისმა შვილებმა — პაპუნამ და ზურაბმა—განაგრძეს მამის ერთგულება მეფისადმი და დიდი მონაწილეობაც მიიღეს ქაიხოსრო ლევანის ძე ამაშენძისა და როსტომ რაჭის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. წერეთლების ბრძოლას ფეოდალური მიზანი ამოძრავებდა: ყმა-მამულების შეძენის ხალისი. ამაშენძემ და ერისთავმა ალექსანდრე V-ის მეფობაში მთელი ზემო იმერეთი და რაჭა დაიპყრეს და შეავიწროეს წერეთლებიც. სოლომონ პირველის დროს, როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბრძოლა განაახლა მძლავრი თავადების წინააღმდეგ, წერეთლები მეფეს ამოუდგნენ გვერდში საწერეთლოს გაზრდის სურვილით. მათ მიზანსაც მიაღწიეს: გაიმარჯვა რა მეფემ, ზემო იმერეთსა და რაჭაში დიდი ყმა-მამულები უბოძა პაპუნა და ზურაბ წერეთლებს, პაპუნა სარდლად დასვა და ზურაბს სახლთუხუცესობა მისცა (დავით ამაშენძის გადაყენების შემდეგ, 1778 წ.).

წერეთლებმა დავითის მეფობაშიც ბევრი შეიძინეს. სოლომონ II-ის დროსაც ისინი კვლავ პირველობდნენ. პაპუნა რომ მოკვდა, პირველობა სათავადო გვარში ზურაბს დარჩა. ქაიხოსრო პაპუნას ძმე მას დაუთმო და ასეთი პირობა მისცა: „უმფროსობა და ბატონობა დაგანებეთ ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის ოჯახისა, ცხისა, ქალქისა, ახნაურისა, მოურავისა, გლეხისა; რაც რომ ჩვენ გვაქ, ყოვლის უმფროსობა და ბატონობა დაგანებეთ... თუ შენ ჩვენი დასამდაბლებელი არა ქნათ რა. ჩვენ თქვენი მორჩილი ვიქმნეთ. და ვინც ჩვენი ან მოურავი, ან მოხელე, ან მეციხოვანი, ან ახნაური, ან გლეხი შენს ბრძანებას გადახტეს და არ გემორჩილოს, —როგორც უბრძანთო— ...გამოსცვალო თუ გადაახდევინო—ჩვენც თქვენი შეშწე ვიყოთ"[1].

1805 წელს ზურაბ წერეთელმა სოლომონ მეფეს ხელახლა დაამტკიცებინა ის ყმა-მამულები, რომლებიც სამმა უკანასკნელმა მეფემ უბოძა მათ[2]. ამით ზურაბმა იურიდიული დასტური განიახლა იმ ქონებაზე, რომელსაც იგი მაშინ ფაქტიურად ფლობდა.

ზ. წერეთელს ქართლშიაც ჰქონდა მამული: სოფ. არადეთი მისი იყო. ეს სოფელი მას ერეკლე მეფემ უბოძა იმ სამსახურის ნიშნად, რაც მან სოლომონ

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd. № 1209, უთარიღო დედანი.

[2] 26 აპრილის ცნობილი სიგელი, რომელიც გამოცემული აქვს ს. კაკაბაძეს: წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. I, 1914.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II-ს გაუწია მისი გამეფების დროს. 1794 წ. 3 ივლისს ერეკლე წყალობის წიგნში ზ. წერეთელს უწერდა: „თქვენ... როდესაც ჩვენმა შვილმა მეფე სოლომონ იმერეთი დაიპყრა, იმერეთის ჯარით მოუდეგ და... ერთგულებით მსახურე... ამისად სამაგიეროდ... გიბოძეთ ქართლშიდ ჩვენი სახასო-სადედოფლო სოფელი არადეთი ყოვლის მასშიგან მსახლობელის აზნაურისშვილის იშხნელი“ და გლეხებით... ენენახოთა... სახნავითა“[3].

ეს მამული საზიარო იყო და ვეიან მისი დახსნა მოინდომა ზურაბმა. 1822 წ. 8 მარტს მან ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა ლევან გრიგოლის ძე დადიანს: „თქვენისთანა დიდ ოჯახს მოყვრათ მიტომ მოსძებნის ჩემისთანა კაცი, რომ გაპირვების დღეს გამოადგეს. ბიძა თქ[ვე]ნმა, იოანე ბატონიშვილმა, ჩემი სიძე რომ იყო მისთვის[4], და მე მეფეს უდეგი(!); თავისი ჯარი და თავისი თავი სასიკეთილოთ გამოიმეტა და ისე გაამარჯვებია მეფეს (სოლომონ II-ს.—შ. ბ.). რომ ჩვენ გავეკეთებულიყავით. და იმდენი სიკოცხლე გაქ, რამდენი ქესის მაშინ ჩემმა ოჯახმა შეიძინა!... თუ შეგიძლიათ, მიბოძე და შემომაწიე; თუ სულ მოცემა არ შეგიძლია, დღეს ქვეყანას ისე დაანახე, ვითამ გიბოძებია, და სესხებით მასესხე ათი ქესა თეთრი“. ეს ფული მჭირდება ზიარი სოფლის დასახსნელად, რომლის ნაწილსაც ჰყიდიან ჩემი ძმა ბერი და ძმისწული ქაიხოსრო. „თუ არ ვიყიდე, ყოველს ქვეყანას თავი მომეკვრება. გურიელმა[5] აქ გამომიარა და უთქმელად ათი ქესა თეთრი შემომაწია“. „დღეს არის წახდენა და გაკეთება“ ჩემი ოჯახისა. „თქვენის უგანთლებულესობის... სიმამრი... წერეთელი ზურაბ“[6].

ეს წერილი, რომელიც ანგარული მიზნითაა დაწერილი, წარმოადგენს საბუთს ზურაბ წერეთლის უთავმოყვარეო ამპარტავნობისას; მას სწადია ხელში ჩაიგდოს საზიარო საკუთრება და ამით დიდმამულიანის სახელი მოიხვეჭოს, მაგრამ, ამავე დროს, არც ის ეთაკილება, რომ ურცხვად ითხოვოს საჩუქარი. ესაა მომხვეჭელობით სულისკვეთება. რომელიც აღმოცენდა ზურაბ წერეთელში მისი თავადობის მანძილზე. მან საკუთარი სისხლით დაიმსახურა სოლომონ I-ის ყურადღება: მიიღო მრავალი ყმა, დიდი მამულები და მაღალი სახელო. ამით ის გამდიდრდა და ძლიერი გახდა. ზ. წერეთელში გაიზარდა მისწრაფება შემდგომი განდიდებისაკენ.

სახლთუხუცესმა ფული შეიყვარა, რომლითაც იგი ახალ-ახალ მამულებს იძენდა. და ვაჭრობა დაიწყო. რუსეთში ყოფნამ ამ მხრივ მის ეკონომიურ ინტერესებს ასპარეზი გაუფართოვა.

1786 წ. სექტემბერში ზ. წერეთელმა, რომელიც პეტერბურგიდან იმერეთს ბრუნდებოდა, ბოზდოკიდან ვაჭარ პავლე მიქიაშვილს სტამბოლში ბეწვი გაატანა გასაყიდად და დალალად ბეჟან ბაინდურაშვილი გააყოლა[7]. 1787 წ. 9 ნოემბერს ზურაბი მიქიაშვილს სწერდა: „ჩემი ვექილი შენ ხარ და შენთვის გამიტანებია ჩემი საქონელი... ეს ჩემი წიგნი სამართალში მიიტანე და თუ ვინმე

---

[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Qd, № 6919, პირი.

[4] იოანე გიორგის ძე ბატონიშვილს ცოლად ჰყავედა ზ. წერეთლის ასული ქეთევანი.

[5] მაგია გურიელი, რომელიც დისწული იყო ზ. წერეთლისა.

[6] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 2011, დედანი. ზურაბს მოუგროვებია საპირო ფული და გამოუსესია არადეთი. მარტო ქაიოსროსთვის მას 2800 [ვერცხლის მანეთი გადაუხდია (იქვე, ფონდი S, ზ. წერეთლის არქივი, გვ. 171, 1822. 10. V).

[7] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი H. № 2299, 2r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბტილება, ეს ჩემი წიგნი გაგამართლებს... როგორც იქნეს და მორჩი და გაბაჯ-მე. და თუ ყირიმსა და მაგა შუა გზა იქნეს, იმაზედ წამოდი; სხვა გზაზე არ წამოხვიდე, არ დამამსო. და... თუ მოზდოქს მოხვიდე, წიგნი მომწერე და შემატყობინე"[8]. 11 დეკემბერსაც გაუგზავნა წერეთელმა მიქიაშვილს წერილი და ამბის შეუტყობინებლობას უსაყვედურებდა: „ყოვლისფერი შენი ამბავი დასწერე და ახალციხეს ქაიხოსრო აბაშიძეს გამოუგზავნე, და ის მე გამომიგზავნის"[9].

მიქიაშვილს სტამბოლში დავა დაუწყეს გასაყიდ საქონელზე, რომლის ხელში ჩაგდება მოიწადინეს. ამან უთანხმოება გამოიწვია, რაც რუსეთის საელჩოს ყურამდეც მივიდა, სადაც ბაინდურაშვილმა შემდეგი განაცხადა: „მე კოსტანდილეკოლს საყარიბოთ ვიყავი და... ხელი მოვიმართე. მოვაშორე... სახლსა... და მოვაწე მოზდოგს. იმ დროს ბატონი სახლთუხუცესი აღარ მამეშვა: უნდა ისევ დაბრუნდეო ერთი გზობა კიდევაო. და საქონლის მოცემას გარდა, სხვა იმედებსაც დამპირდა. და დავემორჩილე ჩემის სარგებელის გულისათვისაც... და ხმელეთი და შავი ზღვა გასავალი მქონდა... ხმელეთის რაზბონიკსაც... ზღვის ფურთნასაც... დიდს ჭირსაც... ოსმალოს არეულობის ჯუკამსაც... კიდე თეთრი ზღვისაგან და უცნობს ქვეყანაშიდ ხმელზედ სიარულისაგანაც მოვრჩი... ის საქონელიც ხომ დაიკარგა და პავლეც ხომ პატივის წიგნების წერამ ადამაღლა და ვეღარ გაიგო რა, თავისი არ იცოდა რა და სხვის სწავლას არ მიიღებდა; თავის სიგიჟით თავიც ზედ დადვა[10]. ის გამოგზავნილი ბერძენიც[11] ხომ ამ საქმეზედ მოკვდა... თავიც სიმართლით გამოვიტანე და ის კაციც[12] გავამტყუნე და გადასახადიც დავადე"[13].

ის, ვინც დავა დაუწყო მიქიაშვილს, რუსეთის ვაჭართა საქმეების მოსამართლე ვირდინეი იყო, რომელიც ელჩ ბულგაკოვის უნებართვოდ ჩაერია წერეთლის საქმეებში. ამიტომ იმპერატორმა პავლემ 1800 წ. 8 ივლისს შემდეგი ბრძანება გაგზავნა სტამბოლში: „ვირდინს რამდენი ულუფაც რომ ეძლეოდეს სამართლით გაწწესებული საფუძველსა ზ[ედ]ა, იმის ულუფიდამ ოთხიათას ხუთასი რუბლი გამოდით და მაგ ბეჟანს მიეცით"[14].

მაგრამ ზ. წერეთელი მაინც არ იყო კმაყოფილი ბეჟან ბაინდურაშვილისა[15]. 1804 წ. 25 თებერვალს მან იმას ასეთი წერილი მისწერა: „ჩემის მოწმობის წიგნით რუსის ელჩმა წამხდარი ბეწვები მოგცა. და ესეც სარწმუნოებით ვიცი, რომ რვა ქესათ კიდეე გაყიდე და პირველს ბეწვებს რომ ქუდათ იკერემდი და სტამბოლშიდ დიდკაცათ დახვიდოდი. ვინც ახალციხელი ვაჭრები თან დაგესწრენ და იციან შენი ანბავი, ყველა მართალი ბეჯითი შენი საქმე ამათ მითხრეს. და მაშინ პეტერბურულს წახვედი. და მაშინ რვა ქესა სამას თუმანს იქმოდა. და ეს

---

[8] იქვე, 4r-v.
[9] იქვე, 5r.
[10] მიქიაშვილი დაჭრილ იქნა. იქვე, 2r.
[11] ვასილ ბერძენი, რომელიც ზურაბმა დამხმარედ გაუგზავნა მიქიაშვილს. იქვე, 1r.
[12] ის, ვისაც დავა დაუწყია მიქიაშვილისათვის.
[13] იქვე, 13r-v.
[14] იქვე, ფონდი Sd, № 5020, ბირი.
[15] ბაინდურაშვილები (წარმოშობით სომხები) ზ. წერეთლის ყმები იყვნენ იმერეთში. იხ., Акты, т. II, გვ. 458.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამასი თუმანი დიდკაცობაშიდ ყავესა და ჩაიზედ პეტრებეურტს შესწერეს ოცი ფული ბეგარა. ეს წელი გავიდა, რომ ჩემს თეთრს ასე პლუტობითა სეკამ"[16].

ვაჭრობის გზით ზ. წერეთელი ბევრ ფულს აგროვებდა. მის „ფულიანობას" მეტყველებს მისი წერილი, გაგზავნილი 1810 წ. 15 სექტემბერს შვილისადმი— გრიგოლ წერეთლისადმი: „ღვინო გეთხოვნა. და სხვა ვერ მოვახერხე და ასს საპალნეს კი ვაგზავანი... პურის თეთრი შემოგეთვალა. სხვა არ მქონდა და ათასიოდე ოქრო კი მქონდა, მაგრამ ქუთაისს დამრჩა"[17]. მაშასადამე, ათასი ოქრო ზურაბისათვის „პატარა ფული" იყო[18].

ზურაბ წერეთელი ვაჭრობდა და ფულს აგროვებდა. იგი ამ ფულით ყმა-მამულებს ყიდულობდა, ყმა-მამულები კი მის ნატურალურ მეურნეობას აფართოებდა. მაშასადამე, ფული და ვაჭრობა თავად წერეთლის ფეოდალურ მეურნეობას ემსახურებოდა.

მაგრამ მთავარი წყარო ყმა-მამულების გამრავლებისა თავად წერეთლისათვის ძალმომრეობა იყო. ზურაბი, რომელსაც ბევრი ყმა ჰყავდა და ძლიერ ლაშქრის გამოყვანაც შეეძლო, ახერხებდა ყმა გლეხებისა და მამულების მიტაცებას ეკლესიისა და ახნაურებისაგან. ამ მხრივ წერეთელი თავისუფლად გრძნობდა თავს, ვინაიდან სოლომონ მეფისა მას არ ეშინოდა.

1809 წლის აგვისტოში სოლომონ II-მ ჯრუჭის მონასტერს ყმა-მამულები დაუმტკიცა. ამ საბუთში ლაპარაკია თავად წერეთელთა მძლავრობაზე, რომელთაც ჯრუჭის ეკლესიის მამულები მიუტაცნიათ. მეფე შეეცადა ბოლო მოეღო მათი ძალმომრეობისათვის. სიგელში აღნიშნულია: რათა წერეთელმა უდაბნოს ყმა-მამულები „არა ჰგონს... ვითარცა... საკუთარი თვისი". ამიტომ გვინდა „განახლება ტაძრისა". ჯრუჭის მონასტერს „ვინცა თავადთაგანი... მიიმძლავრებდენ... ჰყოფდენ საერისკაცოდ და არა საკრებულოდ". ასე იყო სოლომონ 1-მდე, რომელმაც ჯრუჭი „გამოუტკეა ორთა თვისთა დიდთა თავადთა, რ[ომე]ლნიც... მონასტერსა ამას მისტაცებდენ... ერთი-ერთსა — რაჭის ერისთავი და წერეთელი და რ[ომ]ლიცა მიიღებდა, განამგრებდა ციხეთა მსგავსად". მეფემ „თვით მიიღო მონასტერი", სადაც შეკრიბა ბერები და შესწირა მათ „ყმანი და ნივთნი". წერეთელს კი მონასტერი მარტო სასაფლაოდ დაუტოვა. სოლომონ I-მა ვეღარ მოასწრო ჯრუჭისათვის სიგელის დადება. ამიტომ ეს საქმე „აწ ჩ[ტ]ენ ვიგულისმოდგინეთ... შეესწირეთ გლეხნი უმეტეს ორმეოცისა, ხოლო კანონი მის მეფისანი ვერა დაუტევენ და სასაფლაოდ მივეცით წერეთელს, მაგრა არა საერისკაცოდ". აქვე ღვინიშნავ, რომ „ვისთაგან უდაბნო ესე არს სასაფლაო წერეთლისა. არა ჰგონს ნათესავმან წერეთლისამან ყმანი უდაბნოსა ამისნი, ვ[ითარ]ცა თვით საკუთარი თვისი და არა რ[ომ]ლსამე ქაშა მოინდომოს განყოფად ყმანი უდაბნოსანი. რაოდენნაც იქმნეს"[19].

ზ. წერეთელი დაუნდობლად ანადგურებდა ახნაურებსაც; საწერეთლოში იგი სრული ბატონობისაკენ მისწრაფოდა; ერთადერთი ბატონი აქ თვითონ

---

[16] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი H, № 2299, 14v, 15r.

[17] იქვე, ფონდი Sd. № 1470, დედანი.

[18] მაშინ, როცა იმერეთში ამ დროს ერთი საპალნე ღვინო 3 მარჩილი (9 აბაზი) ღირდა და ერთი ხარი—20 მარჩილი (60 აბაზი). იქვე, ფონდი Hd, № 2176, დედანი, 1808 წ. 1000 ოქროში შედიოდა 3-4 ათასი მანეთი, ანუ 15-20 ათასი აბაზი.

[19] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Hd. № 1329. დაბეჭდილია: ს. ყ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, ტ. I, თბ., 1928, გვ. 46—47.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო. აზნაური იოანე ბერის ძე ღაბუაშვილი-წერეთელი 1823 წელს აი რას ჩიოდა რუსეთის მთავრობასთან: სოლომონ I-ის დროს „ძალმოკლებულსა მამასა ჩემსა აწუხებდენ ო[ვ]ლდი წერეთლები". ესენი (პაპუნა და ზურაბ ქაიხოსრის ძენი და გიორგი ნიკოლოზის ძე) რომ გაიყარნენ, გაიყვეს „ყოველივე ძველი თუ ახალი: მეფეთაგან ბოძებულება, სამკვიდრო, მიმძლავრებული თუ სხვა რაც ეკუთვნოდათ... შემდგომად მისა ჩვენც მიგვიმძლავრეს საკუთრად... პაპუნა წერეთელმა და... თა[ვ]ადმა ზურაბ წერეთელმა". სოლომონ პირველი მოკვდა. „მეფე დავითსა და უკანასკნელს მეფეს სოლომონს... არ ძალედვათ იმერეთის კანონიერთად შემოვლა და იყენენ უძლურებასა შინ[ა] მიწევნილნი". მამაჩემი ფაშასა და ერეკლესთან წავიდა შუამდგომლობის გამოსათხოვად თავად წერეთლების წინაშე, რათა ამათ „ჩვენი სამკვიდრო მამული ჩვენადვე დაებრუნებიათ და ანუ მოეცათ სამაგიერო". უკან გამობრუნებისას მამაჩემი გზაში მოკლულ იქნა. დავრჩით ობლად და ვთხოვეთ თავად ზურაბ წერეთელს ჩვენი სამკვიდრო მამული. მან რამდენნიმე ყმა გლეხი დაგვიბრუნა, მაგრამ „ესენიც ისევე წაგვართვა. და ყოველივე ჩვენი მამული სამად გაიყვეს" (ზურაბმა, მისმა ძმამ ბერმა და მათმა ძმისწულმა ქაიხოსრომ). „ჩვენი ოჯახი დაქცეული არის თავადის წერეთლებისაგან ამსახედ". მათი საქციელი უკანონოა, იმიტომ რომ, „არც დებულება ყოფილა სამფლობელოსა შინ[ა] იმერეთისასა აზნაურიშვილის მამულის წართმევა და ვერც-ვის ხელწიფებოდა წართმევა მამულისა თვინიერ მეფისა ანუ ბატონიშვილისა". გთხოვთ დამიბრუნოთ ჩემი სოფელი მოძვი[20].

ამიტომ იყო, რომ აზნაურობა (ისევე როგორც ეკლესიაც) ზურაბ წერეთლის წინააღმდეგ გამოდიოდა და მეფის მხარე ეჭირა; აზნაურები ხედავდნენ, რომ მათი წვრილი მამულების გადარჩენა ტახტის ხელისუფლების განმტკიცებაზე იყო დამოკიდებული. მოურავმა ქაიხოსრო ამდუშელიშვილმა, რომელიც ზურაბ წერეთლის აზნაური იყო, 1810 წ. 15 დეკემბერს შემდეგი შინაარსის მორჩილების პირობა მისცა თავის ბატონს: „დღეის ამას იქეთ არასფერს შენს საზიანოს საქმეში აღარ გავერიო და არც საწინააღმდეგო თქვენი საქმე ვისაქმო არას მიზეზით: არც მეფის[21] მიზეზით, არც თქვენ[ს]ნის ძმის[22] მიზეზით და შვილის[23] და ძმისწულების[24] მიზეზით—სულ არას საწინააღმდეგო საქმეშიდ მე არ გავერიო"[25].

ბრძოლა, რომელიც საწერეთლოში არსებობდა თავადსა და აზნაურებს შორის, თავის გავლენას ახდენდა ზ. წერეთლის პოლიტიკაზე. იგი ყოველთვის მერყეობდა არჩეული პოლიტიკური გზის შენარჩუნებაში და ამისი მთავარი მიზეზი წოდებრივი წინააღმდეგობა იყო. აზნაურები, რომლებიც მეფობის დასაყრდენი იყვნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ თავადობას (სისტემას), რომელიც ანგრევდა მეფობას. ამ წინააღმდეგობის ძალაზე იყო დამოკიდებული მეფობის ბედი გვიანდელი ფეოდალიზმის დროს საქართველოში.

---

[20] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 2100, დედანი.
[21] სოლომონ II.
[22] ბერი.
[23] სიმონი.
[24] ქაიხოსრო და როსტომ პაპუნას ძენი. ესენი მეფის მხარეზე იბრძოდნენ და ამალელიზეში იყვნენ მას წაყოლილი.
[25] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი S. ზ. წერეთლის არქივი, 31-ფურცლიანი პაკეტი, ფურც. 7, დედანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდან აზნაურობა თანდათან სუსტდებოდა და თავადობა კი უფრო ძლიერდებოდა, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება აღარ ხერხდებოდა; მეფობის ბრძოლა ამ მხრივ უილაჯო ღონისძიებას წარმოადგენდა. პოლიტიკური გაერთიანების გარეშე კი ქართველ ხალხს თავის დაცვა აღარ შეეძლო; იგი მსხვერპლად ეწირებოდა მაჰმადიან დამპყრობლებს. ქართველ ფეოდალურ საზოგადოებაში ამ დროს არ ყოფილა არც ერთი სოციალური ძალა[26], რომელსაც შეეძლო თავადური სისტემის მოშლა და საქართველოს კუთხეების პოლიტიკურად გაერთიანება. მაშასადამე, ქართული სახელმწიფოებრიობა დაქუცმაცებისა და ნგრევის გზაზე იყო დამდგარი.

ზ. წერეთლის შემოსავალს ზრდიდა ქუთაისის სტამბაც, რომელსაც იგი ზედამხედველობდა. 1803 წ. 8 ივნისს სოლომონ II-მ ზ. წერეთელს წყალობის წიგნი მისცა: „ეიგულისმოდგინე... რათამცა ქვეყანასა ჩემსა ყოფილიყო სტამბა.. და... ვემენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ... და აწ.. წერეთელსა... ზურაბს გარწმუნებ ზედამხედველობასა ჩემისა ამის სტამბისასა“[27]. მეორე სიგელში ზურაბისათვის მეფე წერს, რომ „რაც სტამბას ესაჭიროება... უნდა შენ ახარჯო. და როდესაც... სადღესასწაულო დაიბეჭდვის, შენ ხარჯს უნდა გამოხვიდე ზარალში... და, მუშების ჯამაგირს გარდა, რაც დარჩება, ნახევარი ჩემი იქნება—ათასის სადღესასწაულოს ანგარიშით—და სხვა მოგება, ნახევარის გარდა, შენი იქნება“[28].

მდიდარი და ძლიერი წერეთელი დიდი გავლენით სარგებლობდა სამეფოში, რომლის პირველი ვეზირი თვითონ იყო. ამას გარდა, ის მნიშვნელოვან დიპლომატიურ როლსაც თამაშობდა იმერეთის სახელმწიფოში: 1785 წელს იგი იყო რუსეთის იმპერატორის კარზე როგორც დავით მეფის ერთ-ერთი ელჩი. ამის შემდეგ მან რუსული ენაც შეისწავლა, ისე რომ 1802 წელს თარჯიმან-კომენტატორის ფუნქციას ასრულებდა მეფესა და სოკოლოვს შორის: სოლომონი რომ შეეშვდა იმპერატორის სიგელის ქართული თარგმანის სიზუსტეში, მაშინ სოკოლოვმა რუსული დედანი თავის თარჯიმან იაკოვლევს წაკითხა, ხოლო ამ დროს ქართულ თარგმანს თვალს ადევნებდა ზ. წერეთელი, რომელსაც „კარგად ესმის რუსული“[29]. კარგად იცოდა ზ. წერეთელმა ბურქული ენა, რომელსაც იგი დიპლომატიურ მოლაპარაკებაში იყენებდა. სოკოლოვი წერდა: „იაკოვლევი თურქულად უთარგმნიდა თავად ზურაბ წერეთელს, ეს-კი ქართულად უმარტავდა მეფეს... მე... ამნაირად ვსაუბრობდი მეფესა და მის დიდებულებთან“[30].

აღზევდა ზურაბ წერეთელი მიწიერი სიკეთისაგან: გაიფართოვა მამული, გაიმრავლა ყმები და მოიპოვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობანი. მ ი ს

---

[26] ერეკლე მეფის ჩათვლითაც. იგი იბრძოდა თავადების წინააღმდეგ. მან მოახერხა რამდენიმე თავადის მოსპობაც, მაგრამ თავადური სისტემა ქართლში კვლავ უცვლელი დარჩა. ბატონიშვილები, რომლებმაც ყოფილ სათავადოებში ყმა-მამულები და ციხეები დაიპყრეს, წინანდელ თავადებზე უფრო დამოუკიდებელი გახდნენ. ეს იყო მთავარი მიზეზი იმ სამხედრო უძლურებისა, რომელიც ქართლ-კახეთის ეფემერულმა სამეფომ გამოიჩინა თბილისის დამბობის დროს.

[27] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Hd. № 14 758. დედანი. დაბეჭდილია: გაზ. „კვალი“, 1896, № 27, გვ. 471.

[28] იქვე, ფონდი SD, № 1205. დედანი 17. XI, 1803.

[29] Соколов, Путешествие мое в Имеретию, М., 1874, გვ. 47.

[30] იქვე, გვ. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრუნავი საკუთარი სათავადოს დაცვა და შემდგომ ფეოდალიზმის გადიდება გახდა. მან თავისი პოლიტიკა გაიჩინა, დაიწყო სამეფოს ინტერესები დაენი აიღო მეფის სამსახურზე. აქედან მოყოლებული თავადი ზ. წერეთელი იმერეთის სამეფოში გვევლინება როგორც სოლომონ მეორის პოლიტიკური მტერი. განდიდებულ წერეთელს, იღწვოდა რა იგი თავისი შემდგომი გაძლიერებისათვის, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის მებრძოლი სოლომონი სახიფათოდ ძალად ეჩვენებოდა; თავადი წერეთელი გრძნობდა, რომ ძლიერი მეფის გვერდით მას არ შეეძლო დამოუკიდებელი ძალა გამხდარიყო; მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში იყო შესაძლებელი ძლიერი თავადის გახელმწიფება, რაც იმერეთში 1700-იან წლებში მოხდა თავად გიორგი აბაშიძის გამეფებით, რისთვისაც ზურაბ წერეთელიც ასე იღწვოდა.

თავადმა ზურაბ წერეთელმა იმერეთის მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო 1792 წლიდან, როცა სოლომონ მეორემ ოდიშის მთავარს შეუტია იმერეთის სამეფოსათვის ლეჩხუმის შესაერთებლად. მან მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში ლეჩხუმიდან ბაკა ჩიქოვანიც ჩაიბა. სოლომონმა საიდუმლოდ გამოარკვია წერეთლის დანაშაულებრივი მონაწილეობა ლეჩხუმის საქმეში და მას კიდევაც ჩამოაცილა იგი[31].

სოლომონ მეორე რომ 1800-იან წლებში რუსეთთან იმერეთის შეერთების წინააღმდეგი გამოვიდა, მეფისადმი მტრობამ თავადი წერეთელი შეერთების მომხრე გახადა და ამიტომაც იყო, რომ მან მხარი დაუჭირა 1804 წლის ისტორიულ აქტს (რისთვისაც რუსეთის იმპერატორისაგან ძვირფასი ნივთიერი საჩუქარი მიიღო[32]).

1805 წელს იმერეთში რუსეთის სარდლობა შემოვიდა. თავად ზ. წერეთელმა რუსეთის ჯარში დაინახა ძლიერი ძალა, რომლის გამოყენებითაც, მისი ვარაუდით, შეიძლებოდა სოლომონის გადაგდება. იგი ფიქრობდა, რომ რუსეთის მთავრობა მას მიანიჭებდა იმერეთში პირველობას, თუ იგი ერთგულად იბრძოლებდა სოლომონის წინააღმდეგ. ზურაბი ამ გზას დაადგა პრაქტიკულად.

რუსეთის სარდლობამ სწორად შეიფასა წერეთლის ზრახვები და ადრიდანვე მასთან შესაფერის ენაზე გამართა საუბარი. 1807 წ. 26 ივნისს გენერალმა რიკჰოფმა მას მისწერა, რომ სოლომონ მეფე მტერია რუსეთისა და ამიტომ შეეცადეთ, რათა „მიიღოთ ყოვლისა იმერეთისა მმართებლობაჲ..., ხოლო მეფე... იპყრათ სადმე“[33]. წერეთელმა მიიღო რიკჰოფის გამოწვევა და მას აცნობა, რომ „თუ მეფე არ შეიცლის თავის აზრებს, მაშინ მყუდროების აღსადგენად ერთი რჩება — თვითონ იკისროს მმართველობა“[34]. მაგრამ გუდოვიჩმა უარი თქვა ზ. წერეთლის გბატონებაზე იმ მოსაზრებით, რომ ეს იმერეთში აჯანყებას გამოიწვევდა, რასაც რუსეთის სარდლობა ერიდებოდა[35].

---

[31] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1142, დედანი.

[32] იქვე, ფონდი S, ზ. წერეთლის არქივი, ფურც. 163—164, 8. VII. 1804.

[33] იქვე. ფონდი Sd, № 1621, თარგმნილი დედანი.

[34] Акты, т. III, გვ. 146 (რიკჰოფის 18. I. 1808 წერილი გუდოვიჩთან).

[35] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. V, СПБ, 1889, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1809 წ. 30 ივლისს ზ. წერეთელმა თავი გააცნო ახალ მთავარსარდალ ტორმასოვს და შემდეგი მისწერა მას: „ბედნიერებად ვთვლი, რომ საკუთარი არჩევანით ვრჩები ერთგული სახელოვანი ხელმწიფისა“. მე ერთგულად ვემსახურებოდი ციციანოვს, რიკპოფსა და გუდოვიჩს და თქვენი ერთგული ვიქნები. „მიბრძანეთ ერთი პოლკი სიმონოვიჩითურთ... უბრძანებთ რა იმას ისე იმოქმედოს, როგორც მე ვეტყვი. ამასთან ერთად ფულიც გამომიგზავნეთ“[36]. ტორმასოვმა მიიღო წერეთლის წინადადება და 1809 წ. 17 დეკემბერს დაავალა მას დახმარებოდა სიმონოვიჩს, რომელიც ქუთაისში გაგზავნა სოლომონის დასაჭერად და იმერეთის სამეფოს გასაუქმებლად: „უმჯობესი იქმნება“. „საკუთარის თქვენის სარგებლობისათვის“, „უმსწრაფლესად დაასრულო საქმე ესე“. და თუ ამას იზამთ, მაშინ „ერთაუოდენ სანიადაგოდ თქვენი საკუთარი ქონება და მამული იქმნებიან დაცულ“. არამედ ზედმეტსაც მიიღებთო[37].

ზ. წერეთელი არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც უანგაროდ ეხმარება სხვას და თვითონ უსარგებლოდ რჩება. იგი ცდილობდა, რომ რუსეთის სარდლობას მხოლოდ ისე დახმარებოდა, რომ ამით თავისი მამულის უშიშროება უზრუნველეყო და თანაც გამდიდრებულიყო. ის იბრძოდა როგორც თავადი; მისი პოლიტიკა ამაზე შორს არ წასულა. 1809 წ. 30 დეკემბერს მან ტორმასოვს მისწერა, რომ მარტო იმ შემთხვევაში შესრულდება თქვენი განზრახვა, თუ „ჯარებს ჩაიყენებთ იმერეთის სხვადასხვა ადგილებში“; „მე... თქვენგან სასწრაფოდ ველი ჯარის გამოგზავნას... და როცა მივიღებ და... ერთ ბატალიონს ჩემს სახლში დავაყენებ. მაშინ ვინოქმედებდ ამბარად, უშიშად“ და „იმერეთის საქმე ამ ზამთარშივე დამთავრდება“. „უწყოდეთ... რომ სულელის მოსაკვანებლად ჯოხია საჭირო... როგორც აქაურმა ალამ, ვიცი ყველაზე უფრო რა გზით შეიძლება ჩვენებური ხალხის მოზიდვა. მე ვცდილობ. აგრეთვე, მათს მოსყიდვას... ოქროთი, მაგრამ ამ ლითონის სიძვირე მაბრკოლებს“. „მე რომ ყოველთვის მქონოდა ფული ასეთი დანიშნულებისათვის, საქმე უფრო უკეთ იქნებოდა, რასაც თქვენს განსჯას მოვანდობ“[38].

სანამ რუსეთის სარდლობამ ჯარები არ გააფიდა იმერეთში და საგანგებო რაზმი არ გაგზავნა საჩხერეში, მანამ ზურაბ წერეთელი მერყეობდა თავის პოლიტიკაში. 1810 წ. 22 თებერვალს იგი აი რას სწერდა ტორმასოვს: „თუმცა ძლიერ ჯარს ყველაფერი შეუძლია. მაგრამ აქ ისეთი კლდიანი ადგილებია, რომ მეფე ადვილად დაიმალება... და როცა სხვა გარემოება გაიძულებთ აქედან ჯარი გაიყვანოთ, მაშინ არც ერთი იმერელი... ესერის მეფეს... ატყდება აჯანყება... ამას წინად მეფემ ორჯერ დაადგა ყველა თავადი და აზნაური, რათა არავინ დაგიახლოვდეს თქვენ არც მეგობრობით, არც ვაჭრობით, არც ქვეშევრდომობით, ხოლო ბრძოლის შემთხვევაში მეფისათვის მოკედნეს... ამასთანავე (მეფემ.—შ. ბ.) იმერეთის ყველა კუთხე დაფიცა, რომ... ისინი ერთმანეთისათვის მოკედნენ... გთხოვთ... რომ საქმე მშვიდობიანად დამთავრდეს, გამოართვათ მეფეს მძევლები და დეპუტატები... ნუ მოსთხოვთ მეფეს ქუთაისში მოსვლას“. „მე მალაპარაკებს თქვენდამი ერთგულება და სრულებითაც არა მეფისადმი ბედნიერების სურვილი... ნუ მიაქცევთ ყურადღებას მეფის განუსჯელობას, აპატიეთ მას... და ნუ წაართმევთ სამეფოს... ასე უკეთესი იქნება და იმერე-

---

[36] Акты, т. IV, გვ. 206.

[37] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1699, თარგმნილი. დედანი.

[38] Акты, т. IV, გვ. 213—214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით ჩვენ უფრო მეტად ვისარგებლებთ". ამით თქვენ ხელში ჩაიგდებთ მეფეს და „როგორც უმჯობესია, ისე მოიქეცით: სრულებით ნუ მისცემთ მას უფლებას მემკვიდრე იყოლიოს"[39]. დაინახა რა, რომ იმერეთის თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილი მეფის მხარეზე იდგა, ხოლო რუსეთის ჯარი იმერეთში ცოტა იყო, ზ. წერეთელმა განმარტოებულად იგრძნო თავი და შეშინდა, ამიტომ მან ზომიერი პოზიცია ამოირჩია და მეფისა და რუსეთის სარდლობის მშვიდობიანად მორიგებას შეეცადა. იგი ამით ვარაუდობდა აჯანყებისა და ომის თავიდან აშორებას. რაც მის მამულს განადგურებას უქადდა.

თავად ზ. წერეთლისათვის ასეთი მერყეობა სავსებით ბუნებრივი იყო. იგი, როგორც პირადი ინტერესებისათვის მებრძოლი თავადი, პატივს სცემდა ნივთებს, რომელთა მოხვეჭის მიზნით სწორედ ემორჩილებოდა ფაქტიურ მდგომარეობას. 1804 წ. 30 თებერვალს ის გრიგოლ იოვანეს ძე ბატონიშვილს ასე ეარგებდა: „ყოველი ფიქრი ქამისად დამარხე და აწ, ვითა ამ ქამს შვენოდეს და შეეფერებოდეს, ისე ეცადეთ... თუ არა... უსარგებლობა საქმისა გამოვალ უთუოთ"[40]. მაშასადამე, მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს თ ა ნ შ ე გ უ ბ ე ბ ა პ ი რ ა დ ი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს — ეს იყო თავად ზურაბ წერეთლის პოლიტიკა.

რუსეთის სარდლობაც ამჩნევდა ამ მერყეობას ზ. წერეთელს. სიმონოვიჩი 1810 წ. 3 ივნისს ტორმასოვს ატყობინებდა ზურაბის შესახებ: „არა მგონია, რომ იგი სავსებით ერთგული იყოს ჩვენი... მას საკუთარი სარგებლობა აიძულებს ჩვენთვისაც იყოს რამდენადმე სასარგებლო"[41]. ამიტომ იყო, რომ რუსეთის სარდლობა მასთან ფრთხილად იქერდა თავს და გულახდილობას ერიდებოდა[42].

მაგრამ რუსეთის სარდლობამ იმერეთში ჯარები გაამრავლა და სამხედრო რაზმები ზ. წერეთლის მამულში ჩაყენა. გადაწყვეტილ იქნა სამეფოს გაუქმება და სოლომონ მეფის რუსეთში გადასახლება[43]. ზ. წერეთელმაც თავი მიანება ყოყმანს და იარაღით ხელში გვერდში ამოუდგა რუსეთის სარდლობის ჯარებს. წერეთელმა, რუსეთის ჯარის გამოყენებით, თავისი ყმები იმპერატორის ქვეშევრდომებად დააფიცა[44]. შემდეგ გაჰყვა სიმონოვიჩის ჯარებს სოლომონ მეფის დასაჭერად. თავის მამულში მან შვილი (გრიგოლი) დატოვა, რომელსაც ჯიხაშიდან სწერდა (1810, 6. III): „შენ თავს უფრთხილდი ქარგათ. სალდათები დეიყენე". აქედან ოფიცერი წამოვიდა მანდედან ჯარის წამოსაყვანად და თუ მან „სულ წამოიყვანოს ჯარი, შენ მანდ აღარ დადგე, თან წამოყევი: საცა წევიდეს—მაგასთან იყავი". აგრეთვე, „კიდეე ერთი წიგნი ჩემს სძალს[45] მოაწე-

---

[39] Акты, т. IV, გვ. 231-232.

[40] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 5021, პირი.

[41] Акты, т. IV, გვ. 277.

[42] იქვე, ტ. III, გვ. 156 (ტუდოევიჩის 20. III. 1808 წერილი რიკოფთან).

[43] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, СПБ, 1889, გვ. 272, 290. Акты, т. IV, გვ. 232.

[44] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1692, თარგმნილი დედანი (1810. 22. II).

[45] ეხება ალი, ასული დავით მეფისა და ცოლი სიმონ ზურაბის ძე წერეთლისა. იქვე, ფონდი Hd, № 9666, პირი, 1803. 20. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინე სვიმონისათვის[46]—ეგების გამოეცალოსთ. ასე მოსწეროს ძალიანის ფიცით: თუ არ წამოდდი, ან თავს მოვიკლამ და ან რუსეებშიდ შევერეევიოქვა"[47].

დაიპირეს მეფე. იგი თბილისში წაიყვანეს მთავარსარდალთან. ზ. წერეთელიც მას გაჰყვა. ახლა იგი გულსრულად გაეერთგულდა რუსეთის სარდლობას. თბილისიდან ის თავის შვილს (გრიგოლს) სწერდა: „როგორც დასჭირდეს ჯარს, პრაეინტი არ დააკლდეს. ალილე... რამდენიც გთხოვონ, ქერი აძლიე... და თუ ვერც ქერი აშოვნო, რამდენიც გთხოვონ, პური ხორბალი აძლიე. და ხანდახან სახორცე ძროხაც მიეცი ჯარს ჩემს მაგიერათ"[48]. ამას გარდა, ზ. წერეთელმა ტორმასოვს სიტყვა მისცა, რომ შეკრებს 500-დან 1000-მდე ცხენოსანსა და რუსეთის სარდლობის საქმეს მოახმარს იმერეთსა და ახალციხეში[49].

მაგრამ სოლომონ მეფე რუსეთის სარდლობას თბილისიდან გაეპარა და იმერეთის თავადაზნაურობა აიჯანყა. ზ. წერეთელი შეშინდა და კვლავ მერყეობა დაიწყო. იგი თავის შვილს (გრიგოლს) აფრთხილებდა (1810. 17. VI): „უყარაუფლოთ ნუ დასდგები.. .მაგ სასახლეში ძალიან გაამთხილე ყარაული რუსი. და დედათქვენი, ყმარწვილები და ჩემი რძალი—დადიანის ქალი[50] ციხეზედ გაგზავნე და იქ დაიყენე... და ჯარი (!) სასახლეშიდ დაიყენე და ზარბაზნები—როგორც გითხარი, ისე. და დადიანს... ასი კაცი შესთხოვე და იქნება გამოგზავნოს: და მად სასახლეშიდ დაიყენე... ორას-სამასი კოდი პური მაინც არ შეიტანონ ციხეში ახლავე—ნუ იქ. თუ ჩამოვიდე[51], უთუოდ მაინც და მაინც ჩამოსვლას და მად წამოსვლას სწორს იქმენ". „ხატზე დაუფიცებელი ვინც იყოს, დაიფიცე. და ვინც იუაროს, როგორც შეგეძლოს, ისე აუოხრე სახლი და კარი მაგ რუსებითო,

ცოდე". „როგორც შეიტყო ამბავი...[52] კაცი გაგზავნე ქართლს და... შეატყობინე გორს კამენდატს ამბავი"[53].

ზ. წერეთლის მერყეობას სოლომონ მეფემაც მიაქცია ყურადღება და შეეცადა მის გადაბირებას თავის მხარეზე. 1810 წ. 24 მაისს ახალციხიდან მეფემ გრ. ზ. წერეთელს მოსწერა: „სალთუხუცესს წიგნი მოვართვინი. და შენ იცი, რასაც... ჩვენთვის დათხეულთ მამა-პაპათ სისხლს დღეს განაახლებთ"[54]. შეშინებულ თავადზე გავლენა მოახდინა მეფის მოწოდებამ; მან ტორმასოვს სთხოვა სოლომონის მოწვევა და მისთვის მეფობის დაბრუნება. მაგრამ იმერეთის საქმეებში ახლა რუსეთის სარდლობის ძალა სჭარბობდა. ამიტომ მისი გავლენა უფრო მეტად მოქმედებდა ზ. წერეთელზე, ვიდრე გადადგებული მეფისა. ტორმასოვმა დატუქსა ზ. წერეთელი და მის თხოვნას „უშვენი აზრი" უწოდა[55].

ზ. წერეთელი და მისი შვილები — გრიგოლი და დავით (ხინოს) მიტროპოლიტი — წელში გაიმართნენ, როცა იმერეთში ქართლიდან ჩავიდა დამსჯელი ექსპედიცია როზენის სარდლობით[56]. თავადი წერეთელი გვერდში მიჰყვე-

---

[46] უფროსი ვაჟი ზურაბისა. იგი მეფის ბანაკში იყო, როგორც მისი ერთგული.

[47] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1456, დედანი.

[48] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1480, დედანი (1810. 24. IV).

[49] Акты, т. IV, გვ. 282.

[50] ელისაბედი, ცოლი გრიგოლისა.

[51] მეფე და მისი ლაშქარი.

[52] ლეფისა და მისი ლაშქრის მოახლეებისა.

[53] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1473, დედანი.

[54] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1548, დედანი.

[55] იქვე, № 1693. თარგმნილი დედანი (1810. 8. VI).

[56] Акты, т. IV, გვ. 295; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1477, დედანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა რუსეთის ჯარებს, რომლებიც აჯანყებულებს ანადგურებდნენ და იმერეთის მოსახლეობას იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდნენ[57].

მეფე მარცხდებოდა და გამარჯვებულმა წერეთელმა შესაფერის ენაზე დაიწყო ლაპარაკი: „შენ ჯარი ნუროფერი გაქ, — სწერდა იგი თავის ძმა— გრიგოლს.— ...ამოდენ (!) ჯარი გუყავს და ქუთაისს ვდგავართ. და რა გვიჭირს. ჩვენც უნდა გეკიდ-გამოვიდეთ აქეთ-იქით და... რასაც მივადგებით... თანგაუტანელი როგორ მოგვირჩება“[58].

ზ. წერეთელი მონაწილეობდა ახალციხის ლაშქრობაშიაც, სადაც იგი სარდალი იყო იმერეთის ჯარისა და იბრძოდა რუსეთის სარდლობის მხარეზე.

თავადი წერეთელი კმაყოფილი იყო თავისი მამულისა და ოჯახის ხელშეუხებლობით: მას ეს თავისი ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად მიაჩნდა. იგი 1818 წ. 3 სექტემბერს თავის ძეს გრიგოლს ფარდობის წიგნში უწერდა: მეფე რომ რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა, მაშინ „შენ მე შემრჩი და... ჩვენს... ოჯახის სიმტკიცის გულისათვის ჩემს ნებათ... იქცეოდი... და ჩვენი ოჯახი არ წახდა“[59].

ერთგულმა ქვეშევრდომმა იმპერატორისაგან მიიღო დამსახურების სიგელი (1811. 16. VI), რომელშიც შემდეგი ეწერა: 1784 წელს ზ. წერეთელმა თავისი ელჩობის დროს პეტერბურგში „განაცხადა მრავალნი... გამოცდილებანი... ერთგულებისა... რუსეთის ტახტისადმი“; 1804 წ. მან „ოსსდრიკა მეფე დამტკიცებასა ზედა... ტრახტატისასა“ და შემდეგ „წინათვე ატყობინებდა... რიკლოფსს ყოველთა არაკეთილმწადნელობითთა განზრახულებათა... მეფისათა“; მანვე ჩამოაშორა მამია გურიელი შერიფ-ფაშას, რომელიც ფოთის ციხის საშველად იყო მოსული; სოლომონ მეფე რომ გადაგდებულ იქნა, მაშინ მან იმერეთის მოსახლეობის „არა მცირედი ნაწილი... ოსსდრიკა რუსეთის მართებლობის მჭარეზედ“ და თავისი ლაშქრით „რუსეთის მეკედრობათა-თანა“ იმყოფებოდა; ამ დროს მან თავისი ყმები აჯანყებისაგან შეაკავა; ახალციხის ლაშქრობაში ის „იმერეთის ჯარებითურთ იმყოფებოდა“ და ჰყავდა ავრეთვე „საკუთარის... ხარჯით უმეტეს ასისა კაცისა ქვეითი და ცხენოსანი თვისის ჭელქვეშე იმერლები“[60].

რუსეთის მთავრობამ დააჯილდოვა ზურაბ წერეთელი ჯერ პოლკოვნიკისა და შემდეგ გენერალ-მაიორის ხარისხით[61].

სოლომონ მეფემ თავად ზ. წერეთელს მას შემდეგ, რაც იგი აშკარად ჩადგა რუსეთის სარდლობის სამსახურში, 300 კომლი კაცი ჩამოართვა და კოსტანტინე ბატონიშვილს უბოძა. წერეთელი მეფემ გადააყენა სახლთუხუცესობიდანაც, რაც მას წლიურად 4000 მანეთამდე შემოსავალს აძლევდა. მან დაკარგა ავრეთვე სოფ. წირქვალი, მოდანახის ციხე და რაჭის მოურაობა, რომლებიც მეფემ ქაიხოსრო წერეთელს გადასცა[62].

---

[57] იქვე. № 1486, დედანი (1810. 25. VIII); იქვე, № 1468, დედანი (1810. 19. X); იქვე, №1478, დედანი.

[58] იქვე, № 1487, დედანი (1810 წ.).

[59] იქვე, № 1554, დედანი.

[60] იქვე, № 1682, დედანი.

[61] იქვე, ფონდი S, ზ. წერეთლის არქივი, ფურც. 206.
Акты, т. III, გვ. 160—161; იქვე, ტ. IV, გვ. 214; იქვე, ტ. V, გვ. 471.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1810 წელს, როცა სოლომონ მეფე გაძევებულ იქნა, ზ. წერეთელმა კვლავ დაიპყრო თავისი მამულები. მაგრამ ახლა იგი უფრო ძლიერ ძალას დაუპირისპირდა, ვიდრე მისთვის სოლომონ მეფე იყო. ეს იყო რუსეთის სარდლობა. რომელიც ვერ ითმენდა თავის ქვეშევრდომებში დამოუკიდებელ ძალას, ვინც არ უნდა ყოფილიყოს ის — მეფე თუ თავადი. რუსეთის სარდლობას თავადი რუსულად ესმოდა. ეს კი ნიშნავდა ისეთ მემამულეს — помещик, რომელსაც არც ციხე ჰქონდა და ვერც ლაშქრად შეპყრიდა თავის ყმებს[63], მისი თავადობა უნდა გამოხატულიყო ბეგარის აკრეფასა და ყმა-მამულების დასაკუთრებაში. ქართველი თავადი კი თითქმის მეფე იყო; მას ჰქონდა ციხე და ჰყავდა საკუთარი ლაშქარი, რომელსაც იყენებდა მამულების გასაფართოებლად სუსტი მეზობლების ხარჯზე. ზ. წერეთელიც ასეთი იყო. ამიტომ რუსეთის სარდლობასა და თავად წერეთელს შორის, იმის მიუხედავად, რომ იგი იმერეთის მმართველის თანაშემწედ დანიშნა, წინააღმდეგობამ იჩინა თავი. გენერალმა სიმონოვიჩმა უარყოფითი შეფასება მისცა ზ. წერეთლის მძლავრობას აზნაურების მიმართ; მანვე ჩამოართვა მას რაჭაში მიტაცებული მამული, რომელიც ანტონ რაჟის ერისთავს დაუბრუნა; მოსთხოვა ყმა-მამულების დაბრუნება აზნაურ ფალავანდიშვილისათვის; უარი უთხრა პურის გადახდაზე, რომელიც წერეთელმა რუსეთის ჯარს დაახარჯა[64]. რუსეთის სარდლობამ ზ. წერეთელს მოსთხოვა რქოსანი პირუტყვისა და ცხენის ჯოგების გაყვანა ვარციხის მხარიდან (რომელიც მეფის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს საკუთრება გახდა). თუ არადა გადაეხადა ვარციხის მოურავისათვის საბალახე ბეგარა[65].

რუსეთის სარდლობის ტოტალურმა ღონისძიებებმა სული შეუხუთეს თავაშვებულ თავადს. ზ. წერეთელი ახალი რეჟიმის უკმაყოფილო გახდა. მისი პირადი მდგომაოობა ბევრად უკეთესი იყო მეფობის დროს, როცა იგი დამოუკიდებლად ცხოვრობდა. მრავალ ყმა-მამულს ფლობდა და უმაღლესი თანამდებობა ეჭირა სახელმწიფოში. მან მთავარსარდალ რტიშჩევთან იჩივლა. იგი ნაღვლიანად სწერდა: რუსეთის სარდლობამ წამართვა ქუთაისელი ვაჭრები, ონის ქალაქი, სოფელი წირქვალი[66]; ჩამომერთვა სახლთუხუცესობის შემოსავალი, რომელიც უდრიდა წლიურად 20 ქესას; დამეკარგა მარიამ დედოფლის იჯარის 12 ქესის ათისთავი; წამერთვა „სახელო ჩხერი და ჩხერის შემოსავალი"; „იყო ვარციხე და კეკეჭირი ჩ[ემ]ი სახელო და მიდგა იქ ჩ[ემ]ი საკუთარი ჯოგები და ვხნემდი და ვსთესემდი. და ღალა არ მეთხოვნოდა და არც ჯოგის დგომა დამეშლებოდა. და ახლა ჩ[ემ]ი სახელო ალარ არის. და თუ დავსთესე, მთხოვენ ღალას"; „იყო ჩემი სახელო მთლად რაჭა და მიდგა კაცი. და მოვაკლდი

---

[63] ნიშანდობლივია იოანე ბატონიშვილის 1816 წლის 26 სექტემბერს მანუჩარ თუმანიშვილისთვის რუსეთიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც მიმდგომი ალნიშნული: „ე ვ ო ტ ბ ა შ ი თ ა ვ ა დ ი დ ა ა ხ ნ ა ვ ა რ ი ე რ თ ი ა. კახეშვილის სახლიკაცი—ვამბე რომ თავადი და კოხადაღლეკი ახნაური—ვამბე რაში სჯობს კოხადაღლეკს და ტოოშჩისაკენ ან ეიმთლოლოს?" (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Qd, № 7896. დედანი).

[64] Акты, т. IV, стр. 338. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Sd, № 1630, დედანი: იქვე, № 1649, თარგმნილი დედანი: იქვე, № 1673. დედანი: იქვე, № 1671, დედანი.

[65] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი S, ზ. წერეთლის არქივი, გვ. 155—166, დედანი (ნიკოლოზ ხატუნცოვის წერილი ზ. წერეთლისადმი).

[66] წირქვალი—სიბატონიშვილო ჯრუჭულასა და ჭიათურას შუა აზნაურ-გლეხებითურთ სოლომონ მეორემ ძიცა ბზიფავ ახბითად დავითის ასულ ბატონიშვილს, რომელიც სვიმონ ზუროაბის ძე წერეთელზე დაქორწინდა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი Hd, № 9666, პირი, 1803, 20. II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაურს სახელოს“: „მეორდა უკანასკნელის მეფისაგან წერილით მოცემული სტაბა და სტაბმს ადგილი ქუთაისს. და სახლი აიღეს და საპურეთ დადგეს“: არც გენერალ-მაიორობის ჯამაგირი მეძლევა. გთხოვთ, რათა „ამაყოფილ ჰყოთ... მოხუცებულება ჩემი და მე და ძე ჩემი—გრიგოლ—მოკლებულითა ამითა არა ვიქმნეთ საცინელ მტერთა და მეძულეთა რუსეთისთაგან“[67].

როგორც აქედან ჩანს, ზ. წერეთელი სოლომონის დროს მეორე მეფე იყო იმერეთის სახელმწიფოში. იგი მეფის მიწას ამუშავებდა და მეფეს ღალატსაც არ უხდიდა, ე. ი. ისალარიყო მეფის ყმა; და იგი არც სხვა ვინმეს ყმა ყოფილა მეფეზე. ამ მდგომარეობაში მისთვის სოლომონ მეფე საჭირო აღარ იყო და იგი მან თავიდანაც მოიშორა. მეფეზე გაიმარჯვა თავადმა წერეთელმა, მაგრამ მეფესთან ერთად თვითონაც დამარცხდა, იმიტომ რომ წერეთლის გვერდში იბრძოდა მასზე ბევრად ძლიერი ძალა—რუსეთის სარდლობა, რომელიც, მეფობის გარდა, სპობდა თავადობასაც—სოციალურ ნიადაგს ზურაბ წერეთლისას—და ამით პროგრესულ როლს თამაშობდა საქართველოს შემდგომი განვითარების საქმეში. ასე დამთავრდა საქართველოში სამსუკუნოვანი ბრძოლა მეფობასა და თავადობას შორის.

1823 წ. 28 იანვარს თავადი ზურაბ წერეთელი გარდაიცვალა. იგი დამარხულ იქნა ჯრუჭის მონასტერში[68].

Ш. В. БУРДЖАНАДЗЕ

КНЯЗЬ ЗУРАБ ЦЕРЕТЕЛИ

Резюме

Зураб Церетели был сыном верхнеимеретинского военачальника (сардал) Каихосро Церетели. Вместе с отцом он с большим рвением боролся на стороне центральной царской власти против князя Абашидзе и рачинского эристава, которые разоряли владения Церетели. В благодарность за эти услуги Соломон I пожаловал Зурабу и его брату Папуне обширные имения и многочисленных крепостных за счет побежденных рачинского эристава и Абашидзе. Вместе с тем Соломон I сделал Зураба первым визирем; Папуне-же пожаловал военачальство. В 1790 году Папуна скончался, Зураб-же вынудил своего младшего брата Бери и сына Папуны—Каихосро признать его старшим в семье и сделался первым князем в Сацеретло. Зураб ловко воспользовался гражданской смутой,

---

[67] იქვე. Sd. № 1578, დედანი (უთარიღო).

[68] ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება; წიგნში: E. Таквишвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“. т. I, вып. I, Тифлис, 1902, გვ. 56; ქართული ენელნაწერების აღწერილობა, ტ. IV, გვ 95 (H. № 1667, ოთხთავი ჯრუჭისა, მინაწერი დავით: მიტროპოლიტისა, IIIr. იქვე. IIr. არის ზ. წერეთლის მეფლლის თამარის მინაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ თამარი ასული იყო გიორგი დადიანის (შელისა) და ამავე დროს და სოლომონ პიოილისა. რა თქმა უნდა, აქ შეცდომაა).

которая имела место в Имеретии при царе Давиде (1784—89 гг.) и хищнически захватил церковно-монастырские земли и поместья мелких дворян. Зураб Церетели не пренебрегал также торговлею. При посредстве своих агентов он вел сложные торговые операции и стал крупнейшим, богатым помещиком. При Соломоне II-ом он по поручению царя руководил кутаисской типографией, дающей денежные прибыли; как царский чиновник он владел целым рядом земель. Наряду с этим, Зураб сделался придворным переводчиком и коментатором деловой переписки при дипломатических переговорах.

Зураб Церетели сделался сильнейшим и влиятельнейшим тавадом и перестал считать себя вассалом царя. Он обрабатывал царские земли, пользовался пастбыщами царя, но не платил ему подати. Единственной его заботой стали защита и дальнейшее расширение собственного «сатавадо»; наконец он бросил царскую службу. Еще больше: в 1792 году Церетели выступил против Соломона II-го в борьбе царя за присоединение Лечхуми к Имеретии.

Известно, что Соломон II был противником присоединения Имеретии к России. Вражда к царю сделала З. Церетели сторонником присоединения к Росссии. Вот почему он поддержал исторический акт 1804 года.

В 1805 г. в Имеретию вступают русские войска. Князь Церетели учитывая военную мощь России, захотел использовать ее, чтоб свергнуть Соломона. Он предполагал, что царская Россия предоставит ему политическое первенство в Имеретии, если он проявит рвение в борьбе против царя. Зураб практически стал на этот путь.

Но царская Россия, использовав князя Церетели против Соломона II-го, конечно не думала удовлетворять его политические претензии. Даже больше: водворение русской власти положило конец З. Церетели, как независимому владетелю-тавади, уничтожило его власть. Царская Россия полностью уничтожила в Грузии княжескую систему и этим сиграла прогрессивную роль, подготовив почву для последующего социально-экономического развития Грузинского народа.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

Е. Э. ГРАНСТРЕМ

ГРЕЧЕСКИЕ РУКОПИСИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА[1]

В отделе рукописей Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа хранится небольшое собрание греческих рукописей—всего 24 единицы. Большая часть этих рукописей поступила в Музей из бывшего Церковно-исторического музея. Сверх этих двадцати четырех рукописей, составляющих отдельное небольшое собрание, в других фондах Музея хранятся два пергаменных евангелия и несколько десятков документов на новогреческом языке. Эти последние материалы я не могла описать, т. к. они были выданы мне лишь в день отъезда из Тбилиси.

Среди греческих рукописей Гос. музея Грузии наиболее замечательны два вышеупомянутых евангелия. Одно из них—знаменитое Коридетское евангелие, неоднократно описанное и имеющее довольно обширную библиографию, а другое—четвероевангелие IX в., находившееся в своё время в местности Πασένη, в Турции, на границе между Арменией и Грузией, позднее (с 1849 г.) в церкви св. Георгия в Ленинакане (б. Александрополь). В начале этой рукописи приплетены два листа из евангелия XI—XII в., писанного обычным литургическим унциалом; на одном из этих листов имеется миниатюра—евангелист Лука.

Оба евангелия стоят особняком среди прочих греческих унциальных рукописей, т. к. письмо их отличается некоторыми особенностями, наиболее отчётливо выраженными в Коридетском евангелии.

Линии букв грубоваты; заметна своеобразная манера делать некоторые линии почти горизонтальными, тогда как обычно эти линии наклонны—так писец стремится сделать горизонтальными верхнюю косую черту «κ», нижнюю линию овала «α», верхнюю линию овала «ρ», одну из поперечных линий «γ»; с этим связана манера расширять верхние углы некоторых букв (например «δ», «λ») и подчёркивать «υ» снизу чертой, образующей как бы подножку этой буквы.

Видимо, писцами этих рукописей были не греки, а грузины (или армяне?), не привыкшие писать по гречески. На это обстоятельство в отношении Коридетского евангелия указывает также большое число ошибок[2].

---

[1] Рукописный отдел из состава Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа в 1958 г. выделился в Институт рукописей АН Грузинской ССР (примечание редактора).

[2] См. Материалы по археологии Кавказа, вып. XI, Коридетское евангелие, предисловие, М., 1907.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ввиду указанных особенностей датировать эти рукописи нельзя. Было высказано даже мнение о том, что Коридетское евангелие вообще не может быть датировано, т. к. других образцов подобного типа письма не было найдено[3].

Всё же, наиболее правильной представляется датировка IX-ым веком. Даже в том случае, если обе эти рукописи были списаны с более древних образцов, характерные особенности позднего литургического унциала в какой то мере должны были отразиться. В грузинских рукописях XI-ого и XII-ого веков, подражающих константинопольским образцам, ясно видно знакомство писцов и художников с греческими рукописями того же времени[4].

Остальные рукописи менее замечательны; среди них имеется несколько поздних богослужебных сборников на нотах, представляющих известную ценность для изучения истории богослужения.

Номоканоны и лечебник написаны на новогреческом языке. Один из номоканонов был написан в Галаде, в Румынии, где, как известно, было рецептировано византийское церковное право[5].

Рукописи, поступившие из Церковного музея, были описаны Ф. Д. Жордания и М. Г. Джанашвили в «Описании рукописей Тифлисского церковного музея», кн. 1—3, Тифлис, 1903—1908; за исключением Коридетского евангелия и евангелия H 206, все рукописи описаны настолько кратко, что ссылаться на указанное издание не представляется необходимым.

№ 1. Богослужебный сборник. XVIII в. Плохой сохранности.

№ 2. То же. XVIII в.

№ 3. Октоих. XVIII в.

№ 4. „βίβλος καλουμένος θεωρία εἰς τὸν παπισμόν. ἔκδοσις Ι. Συναχθεῖσα μεν παρὰ ἱερομοναχοῦ Μαξίμου“ (Книга, называемая „умозрение против папства“, часть I. Сочинена иеромонахом Максимом). XVIII в.

№ 5. Богослужебный сборник. Отрывок. XVI—XVII в.

№ 6 и № 7. Номоканон, на новогреческом языке. XVI—XVII в.

К № 6 приложено краткое описание этой рукописи, сделанное П. И. Соколовым в 1914 г. в Тбилиси в Дарийском монастыре.

№ 7 представляет вторую часть Номоканона, самые последние листы которого утрачены. На некоторых листах рукописи имеются грузинские пометы XIX в. с указанием, что рукопись принадлежала «большому Михетскому собору», т. е. Свети-Цховели.

№ 8. Канонический сборник. Конец XVIII в. На лл. 183—184 об. заметки 1830-ых—40-ых годов на новогреческом и грузинском языках Тифлисского священника Андрианова, касающиеся членов его семьи.

---

[3] K. Lake, The Text of the New Testament, 6-th ed., London, 1928, стр. 19. Работу Лейк я не могла получить, поэтому цитирую по работе W. Hatch, The Principal Uncial Manuscripts of the New Testament, Chicago, 1938, табл. XLIV.

[4] См., например, Рене Шмерлинг, Образцы декоративного убранства грузинских рукописей, введение, Тбилиси, 1940.

[5] См. например, A. D. Xénopol, Histoire des Roumains de la Dacie Trajane, v. II, Paris, 1896, стр. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 9. Богослужебный сборник. XVIII в.

№ 10. Номоканон. На л. 386 об. приписка писца „Ἐγράφη τὸ παρὸν νομοκάνονον ἐν Γαλάτζῃ, σκάλα μπογδανί(ας) ἐν τοῖς χρόνοις τοῦ εὐσεβεστάτου, ἐνδοξοτάτου καὶ ἐλλαμπροτάτου αὐθέντος καὶ ἡγεμόνος πάσης μολδοβλαχίας κυρίου κυρίου Ἰωάννου Δούκα βοϊβόνδα, διὰ δαπάνης καὶ ἐξόδου τοῦ ἐντιμοτάτου καὶ εὐγενεστάτου ἄρχοντος κυρίου Δριμητράσκου Κωνσταντινουπολίτου Χρυσοσκούλου, τὸ ὁποῖον ἐγράφη διὰ χειρὸς Ἰωάννου ἱερέως Σακούλη καὶ πρώην οἰκονόμου τοῦ Ἀποστολικοῦ θρόνου τῆς μεγάλης ἐκκλησίας τῶν Ἀντιοχέων ἐν ἔτει 1670 ἰουνίῳ 30. Οἱ ἀναγινώσκοντες, ἔρρωσθε κ᾽ἄμου δὲ μέμνησθε. Ἡ μὲν χεὶρ ἡ γράψασα μέλλει φθαρεῖναι, γραφὴ δὲ μένει εἰς χρόνους πληρεστάτους“.

Перевод: «Написан этот номоканон в Галаце, в порту Богдании, в годы благочестивейшего, славнейшего и сиятельного господина и властителя всей Молдовлахии господина Иоанна Дуки воеводы[6], иждивением и издержками почтеннейшего и знатнейшего архонта Дримитраска Константинополита Хризоскула; написан же (этот номоканон) рукой Иоанна иерея Сакулы, (бывшего) ранее икономом апостольского трона великой Антиохийской церкви, в год 1670, июня 30. Вы, читающие, здравствуйте и меня помните. Рука писавшая истлеет, написанное же останется на времена вечные».

Начало рукописи утрачено. В рукописи имеются многочисленные пометы на грузинском языке, содержащие переводы заглавий отдельных глав с греческого на грузинский. На л. 420 помета на греческом и арабском языках владельца рукописи—патриарха Антиохии Макария; на некоторых листах—пометы XIX в. на грузинском языке с указаниями, что рукопись принадлежала Михетскому собору Свети-Цховели.

№ 11. Стихирарь с нотными знаками. XVIII в.

№ 12. Сборник богослужебный. XVIII в.

№ 13. Молитвенник. XVI в. Конец утрачен.

№ 14. Псалтирь. XVI в. Возможно, эта рукопись была написана на Афоне. Конец утрачен.

№ 15. Евангельские чтения—отрывок. XIII в. Пергамен. Текст писан минускулом в 2 столбца.

№ 16. Богослужебный текст—отрывок. XIV в. Пергамен. Палимпсест. Текст писан минускулом. Смытый текст писан также минускулом, не читается. 3 листа.

№ 17. „Προτρεπτικὸς πρὸς τοὺς ἕλληνας“ (Беседа к язычникам—вновь обращаемым). XIX в. Конец утрачен.

№ 18. Отрывок из лечебника на новогреческом языке; содержит только рецепты. XVII в. 2 листа.

№ 19. Ирмологий. XVIII в.

---

[6] Георгий Дука был господарем Молдавии в 1666, 1669—1672 и 1678—1684 гг. См. A. Stokvis, Manuel d'Histoire, de Généalogie et de Chronologie de tous les états du Globe, t. II, Leide, 1889, стр. 513; История Румынии, Под ред. М. Роллера, М., 1950, стр. 180.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱԶԳԱՅԻՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

№ 20. Богослужебный сборник. Конца XVIII или начала XIX в.

№ 21. То же. Плохой сохранности.

№ 22 и № 23. Выписки по истории Грузии из издания:

„Καλλίνικος Δελικάνης, ἀρχιμανδρίτης. Πατριαρχικῶν γραμμάτων τόμος τρίτος, ἤτοι τὰ ἐν τοῖς κώδιξι τοῦ Πατριαρχικοῦ Ἀρχειοφυλακίου σῳζόμενα ἐπίσημα ἐκκλησιαστικὰ ἔγγραφα, τὰ ἀφορῶντα εἰς τὰς σχέσεις τοῦ Οἰκουμενικοῦ Πατριαρχείου πρὸς τὰς Ἐκκλησίας Ῥωσσίας, Βλαχίας καὶ Μολδαβίας, Σερβίας, Ἀχριδῶν καὶ Πεκίου (1564—1863), οἷς προστίθεται ἱστορικὴ μελέτη περὶ τῆς ἀρχιεπισκοπῆς Ἀχριδῶν“. Константинополь, Патриаршая типография, 1905 (по библиографической заметке, напечатанной в XII-ом томе ж. «Византийский временник», 1906, стр. 415—416; перевод: «Каллиник Деликанис, архимандрит. Патриаршей переписки том третий, т. е. подлинные церковные документы, хранящиеся в рукописях Патриаршего архива, касающиеся отношений Вселенского патриархата с церквами России, Валахии и Молдавии, Сербии, Ахриды и Пека (Печской) (1564—1863), которым предпослано историческое обозрение Ахридской архиепископии“.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ ЦУНДСКО-ТМОГВСКИХ ХАЧКАРОВ (КРЕСТОВ-КАМНЕЙ)

В 1954 г. во время работы экспедиции Музея-заповедника Вардзиа АН Грузинской ССР около оз. Цунда в сел. Тмогви и в окрестностях Тмогвского замка было изучено немало армянских хачкаров, среди которых были и с надписями.

К северу от оз. Цунда большая глыба скалы намерено стесана и на ней высечены четыре хачкара (№№ 1—4). Рядом, вправо от глыбы, помещен отдельно стоящий еще один хачкар № 5. К востоку от сел. Тмогви есть маленькая церковь, названная местными жителями церковью св. Мсйсея. Здесь находится два хачкара № 6—7; один, размером 73 x 103 см, лежит на земле снаружи, а другой, размером 34 x 56 см, установлен в церкви, как престол.

У подножия Тмогвской крепости были обнаружены пять кладбищ (рис. 1), среди надгробий которых встречаются и хачкары. Кладбищи расположены возле тропы, идущей на юг к крепости. Первое из них находится на бугре к югу от развилки тропы, идущей к крепости и дороги в с. Зеда Тмогви. Ныне здесь четыре хачкара, № 8—11 и три базы. От этого кладбища, также к югу в 100 м-х за аврагом, находится второе кладбище, где были обнаружены два № 12 — 13 хачкара. Один из них с надписью стоит вертикально, а другой свален на землю. К югу же от второго кладбища преодолев подъем встречаем III кладбище с 6-ю хачкарами № 14—19 и несколькими базами, большинство которых имеют надписи. Еще южнее находится IV кладбище с двумя вертикально стоящими хачкарами № 20—21, из коих один имеет надпись.

Наконец в том же направлении между развалинами строений расположено кладбище, где ныне обнаружен один хачкар № 22 и два фрагмента.

Хачкары имели мемориальное назначение. Их ставили для увековечения какого-либо факта или пожертвования, а также как надгробия, какими являются и наши памятники. Хачкар представляет из себя поставленную на постамент четырехугольную каменную плиту. В большинстве случаев в верху она расширена и заканчивается карнизом. Плита обрамлена рамкой, а в середине изображен художественно выполненный рельефный крест.

Под крестом помещена розета с изображением розы или многоконечной звезды, повидимому, являющихся пережитками символов божества солнца. По обеим сторонам розеты поднимаются к кресту растительные ветви, которые также связаны с языческим культом и являются символическим выражением огненного пламени. Изображения же в верхней части креста — стебли, лозы и виноградные гроздья — известны с древ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

нейших времен и связаны с божествами плодородия и изобиля. Следует отметить, что А. Ш. Мнацаканян эти орнаментальные мотивы признает теми изображениями, непосредственно осмысленными и взятыми первоначально человеком из природы, которые впоследствии разными культами были присвоены[1].



Рис. 1

Не удивительно стечение этих признаков в хачкарах, так как они генетически связаны с ранехристианскими стеллами, а эти последние происходят от Урартских стелл и вишапов.



Рис. 2

Для Цундско-Тмогвских хачкаров характерна особенность. Они не имеют традиционного карниза и кроме того лишены того высокого мастерства исполнения, что характерно как для X—XIII вв., так и для XVI-го века и последующего времени[2]. В простейшем виде представлен

[1] А. Мнацаканян. Армянское орнаментальное искусство, Ереван, 1955, стр. 612—613 (на армянском языке).

[2] В. М. Арутюнов, С. А. Сафарян, Памятники армянского зодчества, Москва, 1951, стр. 60, 62, 64, 67.

Цундский хачкар № 3, изображенный посредством глубокого вреза с расширенными концами стеблей, в нижней части изображены два таких же малых креста. Соседний с ним крест, хачкара № 2, такой же, только на концах стеблей вместо кружков выведены трилистники и в нижней части дополнены ветви (рис. 2).

Рис. 3

Второй вид рельефного креста в наших хачкарах представлен с гладкой, совершенно не обработанной поверхностью. Стебли этих крестов к концам расширены и заканчиваются трилистниками. В свободных местах

Рис. 4

размещены такие же или, выполненные врезом, малые кресты. Встречаются в нижней или в верхней частях и очень упращенные изображения растений или плодов. Хачкары такого типа, в количестве 7, встречаются

ეროვნული ბიბლიოთეკა

на всех кладбищах Тмогвской крепости, кроме I-го (рис. 3). Из надгробий этой группы № 17 хачкар имеет дату 1414 г., № 21—1425 г. и № 22—1417 г.

Наконец, встречаются 11 хачкаров, у которых крест выполнен орнаментальной вязью. Посредством плетения спаренных валиков выведен крест, у которого стебли разветвляется на двое и заканчиваются трилистным орнаментом. Под крестом часто изображена вписанная в круг шестиконечная звезда, состоящая из двух вплетенных треугольников. В середине звезды высечен крест или многолепестковый цветок (роза). Сверху креста часто изображены два изогнутых стебля, заканчивающиеся ви-

Рис. 5

ноградными гроздьями. В свободных местах размещены одна или две пары, крестиков, а иногда розеты. Хачкары большей частью ограничены орнаментальной полосой (рис. 4). С более высоким мастерством выполнен хачкар № 21 (рис. 5). С целью художественного обогащения в нем изображены все вышеперечисленные элементы. Он высечен в цельном четырехугольном камне таким образом, что оставляет впечатление помещенного в нише. Арочная ниша скилевидной арки ограничена валиком. Четырехугольная рамма украшена хорошо выполненным крупным заглавным письмом. В двух свободных местах над аркой имеется надпись ՊՀԴ, т. е. «в год 874» или 1425 год. Этот хачкар выделяется от остальных четкими линиями глубокой резьбой, а также передачей с чувством соразмеримости малых крестов и стеблей нижней части. Хотя перегруженность деталями верхней части и применение простых методов модулирования оставляет отпечаток упадка искусства и сближает с остальными хачкарами, в которых эти явления выражены еще сильнее. Примечательно, что мастерам Цундско-Тмогвских хачкаров был известен выработанный традицией тип хачкара. Это хорошо наблюдается как в этих, так и в более простых, переданных в контурах, крестах. По этому в наших памятниках наблюдается не искание нового, а только попытка передать в простых чертах уже известные, виртуозно выполненные, элементы хачкара. Эти характерные признаки для периода упадка искусства объясняются теми историческими событиями, к которым относятся и сами памятники. Здесь же должны заметить, что изучение этого сложного

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱ

вопроса требует привлечения обширного материала, что, к сожалению, нам удалось сделать лишь частично.

Как было отмечено, в группе Цундско-Тмогвских хачкаров имеются и камни с надписями. Эти надписи в большинстве случаев дают только лишь перечень святых, а полеографических особенностей не выявляют, поэтому ниже приводим только несколько из них. Надпись, выполненная в свободных места хачкара № 2 у Цундского озера читается так: *ԽՈՇԻԿ ՎԱՆԱԿԱՆ Դ՝ԹՆ ՈՐԴԻՔՆ և Ա՝ՄԻՆ ԽԱՍԽԱԹ...* или *Խոշիկն վանական Դավիթն, որդիքն և ամ[ուս]ին խասխա[ս]թ[ուն]*; в переводе: „Хошик инок, Давид, дети его и супруга Хасхатун“.

Правее глыбы скалы имеется отдельно стоящий хачкар № 5, размером 60 x 120 см, который обведен рамкой, а левее за рамкой имеется поврежденная надпись: *ԵՍ ՄԱՐՏԻՐՈՍ և ՔԱՐՃԵՍ ԿԱՆԵՑԱՔ ՁԽԱՉ... ՏԿԻՆ ԱՄԻՆ ԳԱՌՐԻՆ*, т. е. *Ես Մարտիրոսն և Քարճես կան[ե]ցաք զխա[չ]էս տկին ամին գառրին*; в переводе: «Я Мартирос и Карцес воздвигли сей крест». Смысл последних слов нами не разобран.

Прежде, чем перейти к разбору надписей Тмогвской крепости, необходимо отметить, что три надписи частично прочитаны и изданы Е. Лалаяном[3]. В том числе приведена надпись хачкара и базы № 18 из III кладбища, а профессор Меликсетбек указывает и его дату 1356 г.[4].

В настоящее время, виду сильной порчи надписи, мы на ней не остановимся.

На III кладбище находится датированный хачкар, № 17 размером 58 x 132 см, который сброшен с базы. Между большими и малыми крестами расположена надпись: *Թ՝Վ ԶՃԿԳ Ս՝Ք ԳՐԻԳՈՐ Ս՝Ք ՅԱԿՈԲ Ս՝Ք ԳԱԲՐԻԵԼ Ս՝Ք ՄԻՔԱՅԵԼ Ս՝Ք ՄԵՆԱՅՓՐԿԻՉ* или: *Թվ[ին] Զճկգ սուրբ Գրիգոր, սուրբ Յակոբ, սուրբ Գաբրիել, սուրբ Միքայել, սուրբ [ա]մենայփրկիչ*, в переводе: „В год 863 г. (армянского летосчисления — 1414 г.) Святой Григорий, святой Яков, Святой Гавриил, святой Михаил, святой Спас“.

Следующий датированный хачкар находится на IV кладбище (рис. 5). Надпись помещена в обрамляющей камень рамке. Буквы высотой в 4 см. высечены равномерно и четко. Так как нижняя часть памятника была покрыта землей, нам пришлось произвести расчистку. Читается надпись так: *Ով քարեթեւեր քառակուսի յաշեղ աւուրն աներեկի լուսով փա՝ ի մէջ երկր [ի], զոփ սուրբ Ս[ր]գ[իս] լուսավորեա յայնս ատենի, նաեւ եղբայր Իսայդավիթ*; в русском переводе: «О, крыло камня, четырехугольного, в тот страшный день немеркнущим светом свети в мире (сем), святой дух Саргиса освети на том свете, а также брата его Давида“.

Как было сказано, на надписи имеется и дата: *Թ՝Վ ՊՀԴ*—«в год 874», т. е. 1425 г.

Третий датированный хачкар № 22, размером 80 x 155 см, находится на V кладбище. В рамочной обрамлении помещены пять крестов, в сере-

---

[3] Е. Лалаян. Джавахетия, Этнографический журнал (на арм. яз.), 1 книга, Шуша, 1899, стр. 158.

[4] О. Туманян, Взятие крепости Тмогви, перевод и вступительная статья А. Меликсетбека (на грузинском языке), Тбилиси, 1939, стр. 12.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱ

дине большой, а остальные четыре между его тяблей. Дата написана в верхней части *թ՝Վ. ԳԿԶ*, а в нижней надпись: *ԵՍ ՄԽԻԹԱՐԻՉՍ ԵՒ ԿԵՆԱԿԻՑՍ ՋԱՆԽԱՏՈՒՆ ԿԱՆԳՆԵՑԱՔ ՁՄԱԶՍ* или: *Թվ[ին] ՊԿԶ ես Մխիթարիչս և կենակիցս Ջանխ[ա]թունս կանգնեցաք զխաչս*, в переводе: „В год 866 (=1417) я Мхитарич и супруга (сожительница) моя Джанхатун воздвигли крест сей“.

Таким образом, Тмогвские датированные хачкары относятся к 1356—1425 гг., что доказывает существование в эти годы армянских поселении в окрестностях Тмогвской крепости.

Месхетия с 1266 года выделена из восточной Грузии. Саргис Джакели свои владения непосредственно подчинил монгольскому хану, положение в Месхети оказалось сравнительно лучшим, чем в Восточной Грузии, где в период царствования Дмитрия II (1271 — 1289) и особенно Давида VI (1293—1311) политика монголов довела население до крайней нужды. Картли превратилась в арену бесконечных воин, карталинцы для сохранения существования бежали в Месхети[5]. В этот период Месхетией владеет сын Саргиса Джакели Бека I (1285—1306), известный учреждением законов права, устройством сел, строительством церквей и монастырей, справедливостью и чрезмерным одарением вдов и сирот. Еще большим покровительством немочных, отличалась жена Бека[6].

К концу XIII века владычество монголов еще больше обостряет положение и в Армении. Ограбленное население бросает свой кровь и ищет укрытие в соседних и далеких странах. К концу XIII и в XIV веках эмиграция получает широкий характер. Постепенно опустошаются города и села. Столица Армении Ани в XIV веке уже превращается в селение, а другой большой город Двин вовсе прекращает свое существование. Горожане и крестьянство укрываются в разных странах, в том числе и в Грузии[7].

Как выше было сказано, в этот период положение в Месхети было сравнительно лучшим, поэтому можно предположить, что часть армянского населения здесь нашла свое укрытие. Последующее время оно оседает в окрестностях Тмогви-Накалакеви, что доказывается рассмотренными выше кладбищами.

---

[5] И. А. Джавахишвили, История Грузии XI—XV вв. (на грузинском языке), Тбилиси, 1949, стр. 181—182.

[6] „Житье Грузии“ (на грузинском языке), Издание З. Чичинадзе, кн. III, Тбилиси, 1899.

[7] История армянского народа, ч. I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, стр. 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ზაქარაია

სარის ხეობის რამდენიმე ხეროთმოძღვრული ძეგლი

მდ. მტკვარს მარჯვნიდან სადგურ სარის ახლოს შეერთვის პატარა მდინარე სარა. რკინიგზის ხაზიდან ხეობა 3-4 კილომეტრზე იწყება. ხეობა ძალიან ვიწროა, ამიტომ სოფლები და გზებიც მთების კალთებზე მდებარეობს. ამ ხეობაში, არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით, ცხოვრება რამდენიმე ათასი წლის წინათაც ყოფილა. ეს შედარებით მოკლე ხეობა საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა ხეროთმოძღვრული ძეგლით. ამ ძეგლების ერთი ნაწილი პროფ. ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა[1].

ამ ხეობის ძეგლების შესწავლა ჩვენ პირველად მოგვიხდა 1942 წ. მაისში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, მეორედ კი იქ ვიყავით 1953 წ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ შიდა ქართლის ციხე-სიმაგრეების შესწავლის დროს.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ამ ხეობის მხოლოდ ოთხ ძეგლს. მათგან ყველაზე გვიანდელი XVIII ს. ეკუთვნის, ყველაზე ადრინდელი X საუკუნის ნაწარმოებია. ეს ძეგლები დავაჯგუფეთ მხოლოდ მათი დანიშნულების მიხედვით. პირველ ჯგუფში მოვაქციეთ ფორტიფიკაციული ნაგებობანი, კერძოდ სადარაჯო კოშკები, მეორე ჯგუფში — საკულტო ნაგებობები (ეკლესიები). თითოეული ჯგუფი ორ-ორი ძეგლისაგან შედგება.

პირველი ჯგუფის პირველი ძეგლია სოფ. ზემო სარის ცილინდრული კოშკი, რომელიც დგას სოფლის დასავლეთის ნაწილში რკინიგზასთან ახლოს, ვაკეზე. მეორე ძეგლი ქართლის ერთ ნაწილში გავრცელებული ე. წ. „ზურგიანი კოშკია". იგი დგას სოფ. კოშკების სამხრეთით, მდინარე სარის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდობზე.

მეორე ჯგუფის პირველი ძეგლი წარმოადგენს ე. წ. „შალიკაშვილების ეკლესიას". იგი მდებარეობს სოფ. კოშკების ჩრდილოეთის ნაწილში, მდინარის მარცხენა ნაპირას, მთის ფერდობზე. მეოთხე და უკანასკნელი ძეგლი ამ ჯგუფისა მდებარეობს სოფელ კოშკებიდან ჩრდილოეთით მდინარის მარჯვენა მხარეს, მოშორებით.

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. 1, ტფილისი 1907, გვ. 59—66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სადარაჯო კოშკები

ა. სოფ. ზემო სკრა

სოფლის დასავლეთ განაპირას, ვაკეზე დგას ცილინდრული კოშკი. იგი დაბალი და განიერია, თითქოს მიწასთანაა შეზრდილი. კოშკს თავდაპირველი სახით არ მოუღწევია, რადგან აკლია კედლის ზედა ნაწილი და ამ უკანასკნელ წლებში ქვემოთ შესასვლელი გაუჭრიათ მისი საწყობად გამოყენების მიზნით.

კოშკი ორსართულიანია (სურ. 1). შესასვლელი მხოლოდ ერთი ყოფილა, ისიც მეორე სართულზე, ჩრდილოეთის მხარეს. ცალკე მდგარ კოშკებში შესას-



სურ. 1. ზემო სკრა. კოშკი

ვლელის მაღლა მოწყობა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, როგორიცაა, მაგ.: სოფ. მერეთის გარეთ, მდ. ლიახვის ნაპირას მდგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. წ. „ჩასარბენის ციხე", ქსნის სათავეში მდებარე ბაგინის კოშკი, ფანასკერტი (ფრონეს ხეობა) და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ შემთხვევაში პირველ სართულში შესასვლელი დამატებითია, რადგან მეორე სართულზე კარი მაინც კეთდება და ძირითადად მოქმედებაში სწორედ ზედა კარი იყო. კოშკებში შესასვლელის მიწიდან მოშორებით მოწყობა გამოწვეული იყო მტრის მიერ კოშკის გარემოცვის შემთხვევაში, მათი შიგნით შემოკრის საფრთხის უფრო მარჯვედ თავიდან აცილებისათვის.

სკრის კოშკში მეორე სართული კედლის სისქეში მოთავსებული კიბეებით უკავშირდება პირველ სართულს და ბანს (სურ. 1. ა, ბ). ქვემოთ ჩასასვლელი კიბე დასავლეთითაა მოწყობილი, ხოლო ზემოთ ასასვლელი ისევე მზარესაა შესასვლელის არეში. კედლის სისქეში კიბეების მოწყობა ძირითადად დამახასიათებელი XVIII ს-ში აგებული ცილინდრული კოშკებისათვის. ასეთებია შიდა ქართლის ტერიტორიაზე: ხეითი („საბა-წმინდა"), სამაბურო, ქორდი, ქემერტი, ფცა, მერეთი, გარიყული და ზოგიერთი ციხის შემდგენელი კოშკებიც, როგორიცაა: მილაჩეროიანი, მჭადისჯვარი, ქსოვრისი, ქვემო ჭალა და სხვ. გამონაკლისს წარმოადგენს XVII ს. პირამიდული კოშკები, როგორიცაა: ანანურის ციხის დასავლეთის ცენტრალური კოშკი, ძალინას ციხე-დარბაზის კოშკი, ლენინგორი, ძმორეთი და სხვ. კოშკის სქელ კედელში კიბის მოწყობა, საერთოდ, კარგადაა მოფიქრებული. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სართულებს შორის კავშირისათვის ასეთი კიბე უფრო მყარი იყო, ვიდრე ხის კიბე და თანაც ხანძრის შემთხვევაში კიბის უკრედი შედარებით დაცული იქნებოდა. ამის გარდა, კიბის უკრედის გარეთხელი კედელი საშუალებას იძლეოდა დამატებითი სათოფურების მოწყობისათვის. ეს სათოფურები შიგნითა მხრიდან სქელ კედლებში მოწყობილ სათოფურებზე მარტივად კეთდებოდა.

კოშკის ორივე სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარებით. გუმბათები თითქმის კონუსურია. ადრეული საუკუნეების კოშკებში სართულშუა გადახურვა ძირითადად ჰორიზონტალურია, სადაც მასალად გამოყენებულია ხე. XVIII საუკუნეში კი კონუსური გუმბათი ჩვეულებრივია ცილინდრული ფორმის კოშკებში და ეს გასაგებია, რადგან იგი კონსტრუქციულად ყველაზე სწორ გადაწყვეტას წარმოადგენდა. ისევე ფორმის კოშკების სართულშუა ჰორიზონტალური გადახურვის მოწყობა ხის კოჯებზე შედარებით მარტივი და იაფიც იყო, ამიტომ იგი უფრო მეტად იხმარებოდა. კონუსური და საერთოდ გუმბათოვანი გადახურვის კარგ მაგალითებს იძლევა ციხეები — მუხრანი, ქვემო ჭალა, ხადურიანი და სხვ.; კოშკები — ქემერტი, ხეითი, მერეთი, წირქოლი, ფცა და სხვ. პირამიდული კოშკებისათვის ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელი არ არის, ალბათ, ამავე კონსტრუქციულ მოსაზრებათა გამო, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს; ისიც XVII საუკუნის ნაგებობებში. ამათგან საუკეთესოდ უნდა იქნეს მიჩნეული ძალინას ციხე-დარბაზის კოშკი, სადაც გუმბათები დეკორაციულადაცაა გადაწყვეტილი. და ლენინგორის მთავარი ციხე-დარბაზის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კოშკი. რადგანაც გუმბათებს ორივეგან კვადრატული საფუძველი ჰქონდა, ამიტომ ამ შემთხვევაში კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ტრომპების საშუალებითაა.

სკრის კოშკის სართულებიდან პირველი, როგორც ჩვეულებრივ, დამხმარე დანიშნულებისა ყოფილა, მეორე სართული და ბანი კი საბრძოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სართულის კედლებში თითქოს თანატოლი ოთხი ღრმა ნიშაა (სურ. 1 B). თაღებით გადახურულ მცირე ზომის ამ ნიშებს მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება ექნებოდა. ეს სადგომი ნათდებოდა ორი პატარა სარკმლით, რომელთა ხვრეტები მაღლაა „აშვერილი“ იმ მიზნით, რომ გარეგან იგი მიწისთვის მაქსიმალურად დაეშორებინათ.

მეორე სართულის კედლები ისეა დანაწევრებული, რომ მათში რაც შეიძლება მეტი სათოფურები მოთავსებულიყო. რადგან სქელია (2,3 მ), ამიტომ კედლებში სათოფურების მოწყობა თოფების სიგრძის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ამ მიზნით კედლებში სხვადასხვა სიღრმის ნიშებია განლაგებული. ასე, კედლების ხელოვნურად დავიწროების შემდეგ, მოწყობილია სათოფურები, ხოლო იქ, სადაც კედელი თხელი იყო (მაგალითად კიბეების უკრედებში). სათოფურები პირდაპირია გაკრილი. თავისთავად სათოფურები მარტივია: ცალმაგი ან ორმაგი ხვრელობით. ასეთი სათოფურები ჩვეულებრივია XVIII საუკუნეში.

ამ სართულს, აღწერილის გარდა, კიდევ აქვს ბუხარი კარის მოპირდაპირე კედელზე და ერთი პატარა ნიშა კარსა და პირველ სართულში ჩასასვლელ კიბეს შორის (რადგან ამ ადგილას ბანზე ასასვლელი კიბე გადიოდა, არ სურდათ დიდი ნიშით კედლის დასუსტება, ამიტომ კოშკის ამ მხარეს საჭირო სათოფურები კიბის უკრედებშია მოთავსებული). ეს სართული სამი სარკმლით ნათდება და ქვედასთან განსხვავებით მცირედაა „აშვერილი“.

ამ კოშკს ბანი ორიგინალურად აქონია მოწყობილი (სურ. 1B). გუნბათის ირგვლივ სქელ კედელში სპეციალურად დატოვებულია გარსშემოსავლელი მებრძოლთა ჩასადგომად, რომლის სიღრმე ამყამადზოგან 1,5 მეტრამდე აღწევს. ამას, ცხადია, დამატებოდა ქონგურები და კედლებში განლაგებულ სათოფურებთან ერთად საბრძოლოდ კარგად იქნებოდა მოწყობილი[2]. ბანის ასეთი გადაწყვეტა სხვაგან არსად შეგვხვედრია.

კოშკი გარეგან ერთი მთლიანი ცილინდრული მასაა, მორთულობისა და განსაკუთრებული დამუშავების გარეშე (სურ. 1, ტაბ. 1) კედლებზე აქა-იქ ჩანს მხოლოდ სათოფურებისა და სარკმლების ხვრელობები. ჩრდილოეთით მდებარე მეორე სართულის კარის წირთხლები ამოყვანილია თლილი ქვით. მთელი დანარჩენი კედლები კი რიყისქვითაა ნაგები. წყობა, როგორც ეს ხშირად გვხვდება ხოლმე, ჰორიზონტალური და ფხული წყობის მორიგეობითაა შესრულებული.

როგორც ვნახეთ, სკრის კოშკი XVIII ს. ფორტიფიკაციულ ნაგებობათა კარგი ნიმუშია. იგი, ამავე დროს, ქართულ-ახალ კოშკებში ტიპიურია.

ბ. სოფ. კოშკები

მდინარე სკრის მარჯვენა ნაპირას კლდეზე აღმართული კოშკი ე. წ. „ხურგიან კოშკთა“ ტიპს მიეკუთვნება (სურ. 2 და ტაბ. II_1). იგი სანახევროდ დანგრეულია და მის თავდაპირველ სახესთან დაკავშირებული ბევრი საკითხი გაურკვეველი რჩება. ამჟამად კოშკის სართულიანობის დადგენაც არ ხერხდება. რადგან ნაწილობრივ მხოლოდ ექვსი სართულია დარჩენილი. სართულშუა გადახურ-

[2] ათიოდე წლის წინათ გარსშემოსავლელის მიწისაგან გაწმენდის დროს აქ მცირე ზომის ხარბაზანი უპოვნიათ. იგი გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში გადაუგზავნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა ყველგან ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი. კოჭები დალაგებული ყოფილა ნაგებობის სიგანეზე ახლო-ახლოს. ხის წვრილი ღეროები კოჭებზე ზემოდან, როგორც სხვა მსგავს კოშკებში, ისე აქაც, მიჯრით იქნებოდა დაწყობილი. ღეროებს ზემოთ ფილებს დაწყობდნენ და მიწას დააყრიდნენ. კოშკი მდარე ხარისხის ხსნარზეა ნაგები. ამიტომაც კედლები ადვილად დაშლილა. მორღვეულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები თითქმის მთლიანად. საკმაოდ ბევრი აკლია დასავლეთის კედელსაც. ხოლო ჩრდილოეთის კედელი სხვებზე უკეთია შენახული. ხსნარის სისუსტის გამო არსებულ კედლებსაც შესამჩნევი ბზარები აქვს და საკმარისია მცირეოდენი ბიძგიც კი, რომ ძეგლი მთლიანად დაიღუპოს.



სურ. 2. სოფ. კოშკები. კოშკი

კოშკის პირველი სართული თითქმის პირამდე სავსეა კედლებისა და სართულშეა გადახურვისაგან ჩამონაყარი ქვებით. კედლები მთელია (სურ. 2 а, г). როგორც ეტყობა, ეს სადგომი ნათდებოდა მხოლოდ ერთი სარკმლით (გარედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც სხვა ხვრელობი არ ჩანს). ეს სარკმელი ჩრდილოეთის კედლის მარცხნივ ეკრქვეშ მდებარეობდა. ამ კოშკის ერთადერთი კარი მოთავსებულია მეორე სართულის დასავლეთის კედელში (სურ. 2 ბ). კოშკის გვერდის კედლებზე თითო პატარა სარკმელია მოთავსებული, რომელთა ხვრელობები ზემოთაა აშვერილი. მესამე სართულის შერჩენილი კედლებიდან ჩრდილოეთის კედლის შუაში მოთავსებულია მცირე ზომის ბუხარი და ორი სათოფური. დასავლეთის კედელზე მხოლოდ სათოფურებია. სამი—ნიშაში და მარჯვენა კუთხეში—ერთი. მეოთხე სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში ჯერ ქვემ ერთი პატარა სარკმელია და ჩრდილო და დასავლეთის კედლებზე—სამ-სამი სათოფური. მეხუთე სართულის ჩრდილო კედელზე ისევ სამი სათოფურია მოთავსებული. ხოლო დასავლეთის კედელზე შერჩენილია შვერილ აივანზე გასასვლელი კარის ერთი გვერდი (სურ. 2 г. д). ყველაზე მეტად დაზიანებული მეექვსე სართულის ჩრდილო კედელზე მარცხნივ ერთი სათოფური ჩანს, ხოლო შუაზე განერი სარკმელი ყოფილა. ასეთივე სარკმლის კვალი ჩანს დასავლეთის კედელზეც. მხედველობაში თუ მივიღებთ მსგავსი კოშკების უკანასკნელი სართულის კედლებზე (ხშირად ერთზე ან სამზე, იშვიათად კი ოთხივეზე) განერი სარკმლების მოწყობას, მაშინ დასაშვებია აქაც ასეთი გადაწყვეტა ყოფილიყო.

კოშკი მთლიანად ნაგებია ყორექვით. ფასადებზე შედარებით წესიერი წყობა დაცულია ქვემო ნახევარში. სადაც უფრო მსხვილი ქვებიცაა ნახმარი, ვიდრე ზემოთ (სურ. 2 А და ტაბ. III). კოშკს მთავარი ფასადი მიმართული აქვს ხევისკენ. სხვა ანალოგიური კოშკების მსგავსად. აქაც კარი ამ მთავარ ფასადზე მაღლაა მოთავსებული. მეხუთე სართულის მთელ სიგანეზე კოჭებზე დაყრდნობილი ხის შეკრილი აივანი ყოფილა. ამჟამად კედელში ჩანს კოჭების ბუდეები. კარის მარცხენა გვერდი და სამეურნეო დანიშნულების ორი ნიშა. როგორც ცალკე მდგარ, ისე ციხეებში შემავალ პირამიდულ კოშკებში შვერილი აივანი გვხვდება როგორც XVIII ს-ში (ლენინგორის[3], ყორნისი), ისე XVIII ს-ში (ქსნის ციხე[4], ქვემო ჭალა). კოშკებში ასეთი აივნების არსებობა ნაწილობრივ მათ საცხოვრებლად გამოყენებას გულისხმობს.

განსახილველი კოშკი სათოფურების განლაგებისა და შიდა გადაწყვეტის მხრივაც უდგება XVII ს. კოშკებს, როგორიცაა: ლენინგორი, კოდისწყარო, ყორნისი, ნოსტე და სხვ.

როგორც ადრევეც აღვნიშნეთ, სოფ. კოშკების კოშკი „ზურგიან კოშკთა“ ტიპს მიეკუთვნება. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს[5], რომ ეს ტიპი გავრცელებული იყო შიდა ქართლის ტერიტორიის მთიან ნაწილში და ხევში (ახლანდელ ყაზბეგის რაიონში), განსაკუთრებით მოწიფული ფეოდალიზმის ეპოქიდან. მტკვრის მარცხენა მხარეს ასეთი კოშკები ჩვენ ორმოცდაათამდე გვაქვს აღრიცხული, ხოლო მარჯვენა მხარეს, ჯერჯერობით, ეს ერთადერთია. ამათგან, დანამდელებით, მხოლოდ სამი მიეკუთვნება გვიანფეოდალიზმის ხანას. სხვა მსგავსი ფორმის კოშკებთან განსხვავებით, ეს სამი კოშკი ატარებს ყველა იმ ნიშანს, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი შუა საუკუნეების კოშკებისა-

---

[3] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 192, სურ. 17.

[4] იქვე. გვ. 178.

[5] იქვე. გვ. 195-202; П. П. З а к а р а я. Фортификационные сооружения Шида-Картли, Краткие сообщения ИИМК, М., 1952, № 46, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, განსაკუთრებით კი XVII საუკუნისათვის. აღნიშნულ სამ ძეგლში განსაზილველ ობიექტთან ერთად შედის ზემო მლეთის (დუშეთის რაიონი) და ხურთისის (ყაზბეგის რაიონი) კოშკი.

2. ხაკულტო ნაგებობანი

ა. სოფ. კოშკების „შალიკაშვილების" ეკლესია

„შალიკაშვილების" ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო განაპირას, მაღლა მთის ფერდობზე (ტაბ. II_2). ეს ობიექტი ძირითადად ორი განსხვავებული ნაგებობისაგან შედგება. ამათგან ჩრდილოეთით მდებარე დიდი ზომის ძველი ეკლესიაა. ხოლო სამხრეთით მდებარე—გვიანი ეკვდერია კარიბჭით (სურ. 3). 1920 წლის მიწისძვრას ეკლესია თითქმის ნანგრევებად უქცევია, ხოლო ეკვდერისა და კარიბჭისათვის იმდენი ვერაფერი დაუკლია.



სურ. 3. „შალიკაშვილების ეკლესია". გეგმა

ეკლესიის ნანგრევებში მისი თავდაპირველი სახის დადგენა მხოლოდ ზოგად ხაზებში ხერხდება. გასული საუკუნის მიწურულში პროფ. ე. თაყაიშვილს იქ ყოფნის დროს ეკლესია მთელი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარს ისე მოკლედ აქვს იგი აღწერილი, რომ ბევრი საკითხი საბოლოოდ გაურკვეველი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმშობლის ეკლესიას თავდაპირველადვე სამივე მხარეს მინაშენი ჭერდა ჰქონდა. შესაძლოა, ეს მინაშენი ადრეულ ყოფილიყო დანგრეული და სამხრეთის მხარეს მის ნანგრევზე ეკვდერი აღმართეს. ორ დანარჩენ მხარეს მინაშენთა ნანგრევები თითქმის მიწითაა დაფარული. მისი კვალი შედარებით კარგად ირკვევა დასავლეთით.

ამ მოზრდილ ეკლესიას სამივე მხარეს თითო კარი აჰქონ. შიგნით ეკლესიის დარბაზს კამაროვანი გადახურვა ჰქონია (სურ. 4). მიწისძვრას კამარა მთლიანად ჩაუნგრევია და მასთან ერთად ჩრდილოეთის კედელი, აფსიდის მომიჯნავე ნაწილითურთ, თითქმის მოუშლია. კამარა დაყრდნობილი ყოფილა დარბაზის შუაზე გამავალ საბჯენ თაღზე. გვერდითი კედლები ორ-ორი თაღითაა დამუშავებული, რომელთაგან დასავლეთის მონაკვეთი შესამჩნევად ჭარბობს აღმოსავლეთისას. დასავლეთის კედელი ერთი მთლიანი თაღითაა შემოფარგლული. თაღი კუთხის პილასტრებზეა აღმართული. რამდენადაც ამჟამად ირკვევა, განათება ხდებოდა ოთხი სარკმლით. ამათგან თითო მოთავსებულია აღმოსავლეთით და დასავლეთით, ხოლო ორი — სამხრეთის კედელზე, თაღებს შუა.



სურ. 4. „შალიკაშვილების ეკლესია". განაკვეთი აღმოსავლეთით

აფსიდის ცენტრში სარკმელი ყოფილა მოთავსებული, ხოლო მის გვერდებზე გამოკვეთილია თითო მაღალი თაღოვანი ნიშა. საკურთხეველში ასეთი ნიშების მოწყობა ნიშანდობლივია X ს. ბოლოსა და XI ს. ძეგლებისათვის, მაგრამ გვხვდება შემდეგაც. ამათგან დავასახელებთ მხოლოდ ორ დათარიღებულ ძეგლს: ხცისს (1002 წ.)[6] და სავანეს (1046 წ.)[7].

ეკლესიას კონქი და კამარა არ შერჩენია, მაგრამ ესსებული ფრაგმენტების ხაზებს წარმოდგენით თუ გავაგრძელებთ, ვფიქრობთ, ნახევარწრიულ მოხაზულობას მივიღებთ.

---

[6] Р. Шмерлинг, Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси, „ქართული ხელოვნება", ტ. 4, თბილისი, 1955, სურ. 1—3, ტაბ. 54.

[7] ვ. ბერიძე, სავანე, „ქართული ხელოვნება", ტ. 1, თბილისი, 1941, სურ. 3—5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის შიდა კედლები შეღარებით თლილი და ურთიერთმორგებული ქვითაა შემოსილი. აღჯერად კედლებზე აქა-იქ შერჩენილია გვიანფეოდალური ეპოქის ფრესკის ფრაგმენტები. ფხატვრობა კანკელთან ერთად უნდა იყოს შესრულებული. კანკელი, ეკლესიის კედლებისაგან განსხვავებით, აგურით არის ნაგები (აგურის ზომები: 25—27 X 25—27 X 6). შუაში ერთი თაღოვანი კარი ყოფილა, ხოლო გვერდებზე თითო ნიშა. ამ ნიშებიდან მარცხენა ნახევარწრიული თაღით მთავრდება, მარჯვენა კი ისრულით.



სურ. 5. „შალიკაშვილების ეკლესია". მინაშენის გრძივი განაკვეთი

კანკელის წინ, მარცხენა ნაწილში მომაღლო ქვა დგას (70×50×45 სმ), რომლის ზედაპირი ჩაღრმავებულია. მისი კედლები ე. თაყაიშვილის დროს მოხატული ყოფილა. ამ ქვას იგი სასანთლედ მიიჩნევს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ იგი ჯვრის ბაზისი იყოს.

ეკლესიის ფასადები სხვადასხვა ზომის თლილი ქვითაა შემოსილი (ტაბ. II_2 და ტაბ. III_1). ქვები თავიდანვე არ ყოფილა ზუსტად ურთიერთმორგებული და შემდეგში გამოფიტვისაგან ქვებს შორის შრე საკმაოდ გაზრდილია. ფასადების მორთულობა რა სახის იყო არ ჩანს, რადგან არსებულ კედლებზე არაფერია შერჩენილი. მორთულობის ერთადერთ ელემენტს ვხედავთ სამხრეთის კარზე. სწორკუთხა კარის ზემოთ მოთავსებულია ნახევარწრიული თაღსართი მოკლე ჰორიზონტალური ბოლოებით. ასეთი, ოდნავ რელიეფური თაღსართი ადრეული პერიოდისთვის არაა დამახასიათებელი, არამედ უფრო X—XI საუკუნეებისათვის.

გვერდითი და დასავლეთის ფასადებზე ოდესღაც არსებულ მინაშენებზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ კამაროვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. კამარები, ალბათ, ერთი მხრივ, მინაშენის გარე კედლებს ეყრდნობოდა, ხოლო, მეორე მხრივ—ეკლესიის კედლებზე სპეციალურად ამ მიზნით დატანებულ შვერილს. შვერილზე კამარის დაყრდნობაც X—XI საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი, რის კარგ მაგალითს გვაძლევს ატოცის ციხის ეზოში მდგარი ეკლესიის ნანგრევიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიისათვის 1708 წელს ადგილობრივ მფლობელს ედიშერ ᲗᲐᲚᲘᲙᲐ-შვილს მიუშენებია ეკვდერი. მის მიერ აქ ჩატარებულ მშენებლობაზე იგი ვრცლად მოგვითხრობს ეკვდრის დასავლეთის შესასვლელზე არსებულ წარწერაში. ეს მხედრული წარწერა კარის ირგვლივ არსებულ მორთულობაში ისეა ჩაქსოვილი, რომ თანმიმდევრობის აღდგენა მხოლოდ მისი შინაარსით



სურ. 6 „შალიკაშვილების ეკლესია“. სამხრეთი ფასადი

ხერხდება. წარწერა შესრულებულია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მანერით. ზოგან სიტყვებს ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი უზის.

შემოკლებების გახსნით წარწერა შემდეგ სახეს მიიღებს: „ქ. ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოვლის კაცის უნარჩევესმან შალიკაშვილმან ნაზირმ[ა]ნ ედიშერ[მან] აღვაშენე ეკუდარი (sic), კარისაბჯე და სამრეკლო ესე ჩემის მონაღვაწისა ფასით ||[9], ჩვენთა ცოდ[ვ]ათა საოხად და ჩვენთა მიცვალებულთა შესანდობლად (sic). ვინცა აღმოიკითხვიდეთ შენდობას ბძანებდეთ||[10] ჩვენთა მიცვალებ[უ]ლთათვის||[11].

ქ. ამას ქვეშ ცოტა რამე გლების კაცის სასაფლ[ა]ო იყო და ისიც იმათის ნებადართულობით მოვიყიდეთ დისე (sic) უმიზეზოთ და ყოვლის კაცის უცილობლად გავასრულ[ე]ნ||[12] ქორონიკონსა ტყვ“||[13].

წარწერა შეღებილი ყოფილა მუქი ღვინისფერი საღებავით, რაც ახლა მხოლოდ აქა-იქ ემჩნევა.

---

[9] [ ]ასეთ ფრჩხილებში ჩვენ მიერ ჩამატებული ასოებია მოთავსებული.

[9] აქამდე წარწერა მოთავსებულია შესასვლელის მოჩარჩოების გარე სწორკუთხედზე.

[10] წარწერის ეს ნაწილი მოთავსებულია შესასვლელის შემომყოლ ლილვზე.

[11] ეს ორი სიტყვა მოთავსებულია შესასვლელის თაღზე, ლილვის ქვეშ.

[12] ეს წარწერა მოთავსებულია კარის ზემოთ სწორკუთხა ზედაპირზე.

[13] ეს წარწერა ცალკეა, შესასვლელის მარცხნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წარწერიდან ჩანს, ედიშერ შალიკაშვილს აქ აუგია ეკვდერი, კარიბჭე და სამრეკლო[14]. ამათგან მხოლოდ სამრეკლოს არ მოუღწევია ჩვენამდე. ნაგებობის ირგვლივ ცალკე მდგარი სამრეკლოს კვალიც არსად ჩანს (სამრეკლო გასული საუკუნის მიწურულში ე. თაყაიშვილის იქ ყოფნის დროსაც არ მდგარა). ვფიქრობთ, იგი იდგა კარიბჭის თავზე, როგორც ეს ხშირად ვეხვდება XVII—XVIII საუკუნეებში (ზოგა. მუხრანი და სხვ.). ეკვდერი და კარიბჭეც დაზიანებულია. მაგრამ ეს ძირითადად შეეხება მათ სახურავებს.

ეკვდერი თავისთავად მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს (სურ. 3, 4, 5). კვადრატს მიახლოებული დარბაზი გადახურულია ისრული ფორმის კამარით. კამარა ეყრდნობა შუაში გამბარჯენ თაღს. დასავლეთით კედლის თაღს და აღმოსავლეთით აფსიდის კონქს.

დარბაზის გვერდის კედლები ორ-ორი ღრმა თაღით არის დამუშავებული. როგორც ეს თაღები, ისე ყველა დანარჩენი თაღიც ისრული ფორმისაა. ასეთი ფორმის ისრული თაღები გავრცელებული იყო სწორედ როგორც გვიანფეოდალური ხანაში, ისე, კერძოდ, ეკვდერის აგების ეპოქაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა იმავე პერიოდში წარმოშობილი ხუსტად დათარიღებული ძეგლები: ანჩისხატის სამრეკლო (1675 წ.)[15], ჩხიკვთა სიონი (1679 წ.)[16], ტბილისი (1683 წ.)[17], ანანური (1689 წ.)[18] და სხვ. ეკვდერის ინტერიერი კარგად შეხამებული პროპორციების მქონე ელემენტებისაგან შედგება, ამიტომ მთლიანად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ინტერიერში ამ მხრივ გამოირჩევა გვერდის კედლების გამყოფი პილასტრები. ეს ორსაფეხურიანი პილასტრები კედლებიდან ძლიერადაა შეერული (შენებელ ოსტატს ეკვდრისათვის ჩრდილოეთი კედელი არ აუგია, ამიტომ გამოუყენებია ძველი ეკლესიის სამხრეთი კედელი). ამ პილასტრების პირველი საფეხური სწორკუთხაა, მეორე კი ნახევარწრიული (ტას. III-ბ). პილასტრები მთავრდება კაპიტელებითა და ბაზისებით. კედლები ნაგებია ყორექვით. შემოსვის მხრივ ინტერიერში გამოირჩევა კონსტრუქციული ადგილები, როგორიცაა: თაღები, პილასტრები, კარ-სარკმლების წირთხლები და სხვ. ესენი შემოსილია კარგად თლილი ღვინისფერი კვადრებით. კამარა და აფსიდის კონქი კი აგურითაა ამოყვანილი.

პილასტრების კაპიტელები თაღების იმპოსტებთან ერთად რთულადაა მორთული. ქვემოთ ლილვი გაჰყვება სამივე ელემენტს, ხოლო ზედა მაღალი სწორკუთხედის კუთხეები სამყოფია ფოთლის მსგავსადაა დამუშავებული (სამხრეთის ცენტრალურ პილასტს გვერდებზე. კაპიტელს ქვემოთ, რაღაც თითო შვერილი ჰქონია. ისინი ამჟამად მომტვრეულია). თითქმის ასევეა დამუშავებული

---

[14] წარწერაში ერთი გარემოებაც იპყრობს ყურადღებას. ედიშერ შალიკაშვილი წერს, რომ აქ „გალები კაცის" სასაფლაო იყო და ამათი ნებართვით მე შეეისყიდეო. ამ გარემოებას, იგი განსაკუთრებით ფსევმს ხაზს: ჯერ ეოთი, ალბათ, იმიტომ, რომ გვაჩვენოს—მას უსაბრალოლობა არ ჩაუდენია, და მეორეც იმიტომ, რომ მის მემკვიდრეებს შემდეგში მოეცილა არავინ ჰყოლოდა.

[15] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სეფეოოვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936. გვ. 141.

[16] Е. Такайшвили, Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества, вып. I, Тифлис, 1904, გვ. 4—9.

[17] იქვე. გვ 10—12.

[18] პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, გვ. 37—38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზისებიც. ინტერიერში არსებული ყველა კაპიტელი და ბაზისი ძირითადად ერთნაირი დამუშავებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მათ შორის მცირე განსხვავებაც არის. მოკლედ, ოსტატს აქა-იქ ერთგვარი ნიუანსები შეაქვს. კაპიტელებისა და ბაზისების ასეთი დამუშავება ხშირად გვხვდება XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისის ძეგლებში. ასეთებს წარმოადგენს: ანჩისხატის სამრეკლო, ქვემო ჭალის სამრეკლო (კოშკად გადაკეთებული), ანანურის სამრეკლო და სხვ. ყველა მათგანი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითადად ერთ პრინციპზეა აგებული. მათში უკეთესი ოსტატობითაა შესრულებული განსახილველი ობიექტი.

ეკვდრის დასავლეთი ფასადი კარიბჭეშია ჩართული და მასთან ერთად იკითხება. ჩრდილოეთისა არ არსებობს, ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთისა ცალ-ცალკეა დამუშავებული (სურ. 6, ტაბ. II₂, III₁). ინტერიერის მსგავსად აქაც თაღისებური შემოსვაა. თითოეული ფასადი თითქოს ჩარჩოშია ჩასმული, რადგან თლილი ქვით შემოსილია მხოლოდ კონტური, შიგნით კი ყორექვა. მასალის ასეთი განსხვავებისათვის ფერთა კონტრასტს უფრო მეტად გაუსვია ხაზი. ფასადების კარნიზებსა და წიბოებზე შემომყოლი ქვები მუქი ღვინისფერია (ისეთივე, როგორც ინტერიერში იყო გამოყენებული). კედლის შიდა არეზე ყორექვა ნაწყობია კირის მოთეთრო დოღაბზე. კედლების ასეთ თეთრ ფონზე შუაში მოთავსებული სარკმელი და ჯვრის ქვები მკვეთრ განსხვავებას ქმნიან.

ეკლესიის კედლების შემოსვის ასეთი წესი ხშირად გვხვდება გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებში, მაგრამ, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მსგავსება საგარეჯოსთან მდებარე პეტრე-პავლეს ეკლესიასთან[19]. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ეს ორივე ეკლესია XVIII ს. პირველ ათეულშია აგებული.

ეკლესიის კედლების წიბოები თითო ლილვითაა დამუშავებული. წიბოების ასეთი დეკორატიული გადაწყვეტა განსაკუთრებით დამახასიათებელია XVII ს. მეორე ნახევრისა და XVIII ს. დასაწყისის ძეგლებისათვის. ასეთი გადაწყვეტის მაგალითებს იძლევა: 1677 წლის წითელი სოფლის ეკლესია[20], ტბილისი[21] (1683), ანანურის დიდი ტაძარი[22] (1689 წ.), პეტრე-პავლე[23] (XVIII ს. დასაწყისი), თბილისის სიონი (1710 წ. შესრულებულ შემოსვაში) და სხვ. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ამ ნაგებობებში წიბოს მორთვა ყველგან ერთნაირი როდია, მაგრამ საკითხისადმი მიდგომა და გადაწყვეტის პრინციპი ერთია: ე. ი. ამ შემთხვევაში ოსტატები ცდილობდნენ წიბოს სწორი კუთხე შეერბილებინათ და მორთულობის საერთო კომპოზიციისათვის დამთავრებული სახე მიეცათ. ამ ძეგლებში სირთულითა და უკეთესი გადაწყვეტით გამოირჩევა ანანურის ეკლესია. აღნიშნულ ძეგლებში ზოგან ლილვებს გვერდებზე თან მიჰყვება ფესტონები. ასეთი გადაწყვეტა განსახილავი ობიექტის ავტორს თვით ეკლესიის

---

[19] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948, ტაბ. 25—27.

[20] ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, პარიზი, 1929. გვ. 98—99.

[21] Е. Такайшвили, Известия Кавказского отделения..., вып. I, Тифлис, 1904, გვ. 4—9.

[22] ჯ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, ტაბ. 23.

[23] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыры Давид-Гареджи, Тбилиси, 1948, ტაბ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელზე არ გამოყენებია, მაგრამ უცდია კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის სვეტზე.

განსახილველი ეკლესიის ორ ფასადს მცირე დეკორატიული აქცენტებიც აქვს. როგორიცაა სარკმლების მორღვა და ჯვარი. მთელი ეს მორთულობა კედლის სიბრტყეშია ჩამჯდარი ისე, რომ რელიეფი კედლის სიბრტყის შიგნით არის შექნილი. ამ პერიოდის ეკლესიების კედლებზე ძირითადად ზემოაღნიშნული წესითაა მორთულობის ელემენტები ნაკვეთი, მაგრამ რელიეფის კედლის სიბრტყის ზემოთ მოთავსებასაც ხშირად მიმართავდნენ. მაგალითად, ორიენ ხერხია გამოყენებული უკვე მითითებულ ძეგლებზე შესრულებულ შემოსვაში, როგორიცაა: წრთელი სოფელი, ჩხიკვთა[24] (1679 წ.), ტბისი, ანანური, პეტრეპავლე, თბილისის სიონი (1710 წ.) და სხვ.

ფასადებიდან უფრო სადღესასწაულო იერი აქვს აღმოსავლეთისას. ეს მხარე ოსტატს მორთვით კი მოურთავს, მაგრამ მას ნახატურულობის გრძნობა ნაკლები ჰქონია. სარკმლის ზემოთ მოთავსებული დეკორატიული ჯვარი მეტისმეტად უმარტივესია. მისთვის პროპორციები ვერ შეურჩევია ოსტატს, ტექნიკურად კი დიდი მონდომებითაა შესრულებული. სარკმელი მხოლოდ ლილვითაა შემოფარგლული, ჯვრის განიერ მკლავებს კი ფართო მოჩუქურთმებული არშია ვასდევს. ჩუქურთმის მოტივი არ არის ახალი, იგი ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე იხმარებოდა. მაგრამ მას ამჟერად სპეციფიკური, თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. იგი შშრალია, სქემატური, რის გამოც დაკარგული აქვს მიმზიდველობა. ჩუქურთმის მოტივი შედგება ღაროვანი ლენტების ჯაჭვისაგან. წრიული ლენტების წნულში მრავალყურა როზეტია მოთავსებული. მცირედენი განსხვავებით მთელ არშიაზე ასეთი სურათი მეორდება.

სამხრეთის ფასადზე მორთულია მხოლოდ სარკმელი. ამ სარკმლის მორთულობა (თუ ამას მორთულობა ეწოდება), ცხადია, სხვა ხელის მიერაა შესრულებული, ვიდრე აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა. იქ თუ სიმშრალე და სქემატურობა იყო, აქ პრიმიტიულობაა. ამ სარკმლის ოსტატსაც უნახავს წისა საუკუნეების ნამუშევრები, მაგრამ მას არამცთუ მასზე დაყრდნობით ახლის შექმნის უნარი აქვს, არამედ გადმოღებაც არ შეუძლია. სამხრეთის სარკმელს აღმოსავლეთის მსგავსად მხოლოდ ერთი ლილვი გასდევს. მაგრამ განსხვავებით იმისთან ეს ლილვი გრეხილოვანია. ლილვის მთელ სიგრძეზე გრეხილი სხვადასხვანაირია. გრეხილთა ეს სახეები ჯერ კიდევ X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში წარმოიშვა. სკრის ბაგალითი ხარისხის მხრივ დიდად ჩამოუვარდება თავის პროტოტიპს.

ეკვდერს ქართულ ეკლესიებში ძირითადად მიღებული პროფილის მქონე ჩუქურთმა კარნიზი ამთავრებს, ცოკოლი კი არა აქვს, რის გამოც შენობას ზედგრადობა ერთგვაროდ დაკარგული აქვს. ეს შენობა, ძველ შენობასთან ერთად, ნაწილობრივ სუბსტრუქციაზე უნდა იდგეს, ეკვდერისათვის აუცილებელი საძველე კი ქვემოთ უნდა იყოს. ამჟამად შიგნით ,ვვიანი დროის იატაკია და სამარხის არსებობაზე არაფერი არ მიგვითითებს, მაგრამ მისი გამორიცხვა

---

[24] ე. თაყაიშვილი, სომხით-საირბელოს ძეგლების წარწერები, პარიზი, 1929, ვვ. 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება, რადგან წარწერის მიხედვით ვიცით, რომ ედიშერ შალიკაშვილმა აიშენა ეკვდერი, ე. ი. საგვარეულო სამარხი და სალოცავი.

ძველ და ახალ ნაგებობათა სამხრეთი ფასადების კომპოზიციაში კარიბჭესთან ერთად ჩართული იქნებოდა მის ზემოთ მდგარი სამრეკლოც. ამჟამად გარეთა მასაში ერთადერთი მხატვრული ელემენტია კარიბჭე. მისი პროპორციები ოსტატს კარგად აქვს მოძებნილი.

კარიბჭე ორმხრივ თაღოვანი ღიაია (სურ. 5, 6 და ტაბ. IV). ისრული თაღები და სვეტები ისევ მუქი ღვინისფერი ქვითაა ნაგები, გადახურვა კი სფერული გუმბათია. მთლიანად აგურით ამოყვანილი.

კარიბჭის სვეტების დამუშავება პრონიკიაში მსგავსია ინტერიერის პილასტრების დამუშავებისა. სამხრეთ-დასავლეთის სვეტისა და პილასტრების კაპიტელები ქვედა ლილვისა და ზედა სწორკუთხედისაგან შედგება. აქაც ინტერიერის კაპიტელების მსგავსად ზედა სწორკუთხედს კუთხეები სამყურა ფოთლებივითაა დამუშავებული. დაახლოებით ასევე მთავრდება პილასტრების კუთხეები ზემოთ და ქვემოთაც. განსხვავებით მხოლოდ სვეტის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეა ლილვით დამუშავებული. კარიბჭის ფასადებზე, თაღების ზემო ნაწილზე, აგურის კომბინირებული წყობა ყოფილა (ერთი—ჰორიზონტალურად, ერთი—ვერტიკალურად და ა. შ.). აგურის ასეთი წყობა XVII—XVIII სს. ძეგლებისათვის დამახასიათებელია. ამის ანალოგიათაგან რამდენიმეს დავასახელებთ: ანანურის ციხის წყალსაცავი[25], თხინვალის ეკლესის კარიბჭე, თელავის ციხის მთავარი შესასვლელის კოშკი, ქოლაგირის ციხის მთავარი შესასვლელის კოშკი[26] და სხვ.

კარიბჭის მორთულობაში შედის აგრეთვე ეკვდერის პორტალიც. მისი მოკაზმულობა საკმაოდ რთულია, მაგრამ ყველაფერს სიმშრალის დაღი ეზის, ამიტომაც ერთფეროვანია და მიმზიდველობას მოკლებული. შესასვლელის არე შემოფარგლულია ისრულ-თაღოვანი ლილვით. ლილვი დაყრდნობილია ბურთობნად ბაზისებზე. მსგავსი გადაწყვეტა გვხვდება სალვარეკოსთან მდგარ პეტრე-პავლეს ეკლესიაში[27], ლარგვისში (1759 წ.) და სხვ. მთლიანად პორტალი მაღალ სწორკუთხედშია ჩამჯდარი. პორტალის მოჩარჩოებას ქმნის ორნამენტოვანი ორი არშია, რომლებიც ქვემოთ შიგნითკენ უხვევს. პორტალის არშიების შიგნითკენ შემოხვევაც ძირითადად ამ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. სხვები რომ არ დავასახელოთ, ამის კარგ მაგალითს იძლევა იმავე ანანურის გუმბათოვანი დიდი ეკლესია[28]. აღნიშნულ არშიათაგან საუკუნეების განმავლობაში გავრცელებულია შიგნითა ორი ღაროვანი ლენტისაგან მიღებული გრეხილი. გარეთა არშია ლენტოვანი წრეების ჯაჭვს წარმოადგენს. წრეების შუაში სამყურა ფოთლებია. წრეების ჯაჭვი აღმოსავლეთის ფასადის ჯვარზეც ვნახეთ, მაგრამ იგი მკვეთრად იყო შესრულებული, ეს კი დუნედაა. შესასვლელის თაღის გვერდების სამკუთხა არეებიც დამუშავებულია. ამ არეების განაპირებ-

---

[25] პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, ტაბ. 17.

[26] ვ. ბერიძე, XVIII ს-ის ქართველ ხუროთმოძღვართა ნაწაზები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 225—234.

[27] Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948, ტაბ. 26.

[28] პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, სურ. 48, ტაბ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ლენტოვანი წნულისგან შემდეგი ჯვრებია აღმართული, რომელთაგანაც გამოდის ვეზის ყლორტები სამ-სამი ყურძნის ბტევნით (მარცხენა მხარე არაა დამთავრებული). თაღებს ირგვლივ სამკუთხა არეების დამუშავება და მტევნების დეკორად გამოყენებაც აღნიშნული ეპოქისათვისაა დამახასიათებელი (ანანური, პეტრე-პავლე და სხვ.).

როგორც აღრეეც აღვნიშნეთ, პორტალის მორთულობაშია ჩაქსოვილი როგორც დეკორი, ისე საკმაოდ გრძელი მხედრული წარწერაც.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეკვდერი ტიპიურია XVII ს. მეორე ნახევრისა და XVIII ს. პირველი მეოთხედის არქიტექტურისათვის. მასში ნათლად ჩანს ამ დაქვეითების ეპოქის არა ხელოვნების დაღი, არამედ—მაღალი ხელოსნობისა.

ბ. სოფ. კოშკების „ღვთისმშობლის" ეკლესია

მდ. სკრის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის დავაკებულ ფერდობზე დგას საშუალო ზომის ეკლესია (ტაბ. V). მას ირგვლივ გალავანი უვლიდა, ამჟამად ჩრდილოეთით ათიოდე მეტრზე შერჩენილია მხოლოდ მისი კვალი. ეკლესიის ირგვლივ აქა-იქ გვიანი პერიოდის საფლავის ქვებიც მოიპოვება.



სურ. 7. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის" ეკლესია—გეგმა

ძეგლი წარმოადგენს ცალნავიან დარბაზული ტიპის ეკლესიას. ამ ტიპის გენეზისი და გავრცელების დიაპაზონი საკმაოდ გარკვეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ტიპი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ყოველ ცალკეულ მომენტში იგი ღებულობდა ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით მინაშენები ჰქონია (სურ. 7). მათი ფრაგმენტები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მინაშენთა ფორმებზე ვერაფერს ვიტყვით. ამ მინაშენების კედლები ეკლესიის კედლებთან კონსტრუქციულად არ ყოფილა შეერთებული, მაგრამ, როგორც სხვა ძეგლების მაგალითებიდანაა ცნობილი, თავისთავად ეს გარემოება ვერ წყვეტს მათი თანადროულობის საკითხს.

ეკლესიაში შესასვლელი თითოა—სამხრეთით და დასავლეთით. შიგნით დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელიც ეყრდნობა შუაში პილასტრებზე. ამართულ სამრეკლო თაღს და აფსიდის კონქისა და დასავლეთის კედლის მიმყოლ თაღებს (სურ. 8, 9). ნათდება სამი სარკმლიდან შემოსული შუქით, რომლებიც განლაგებულია აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. კედლები შიგნიდან შემოსილია მცირედ დამუშავებული ქვებით, ხოლო კონსტრუქციული ადგილები, როგორიცაა: კამარა, კონქი, პილასტრები, თაღები და კარ-სარკმლების წრეთხლები, —კარგად თლილი კვადრებით.



სურ. 8. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია. განკვეთი აღმოსავლეთით

საკურთხevლის იატაკი ერთი საფეხურითაა აწეული და აფსიდის არედან ცოტათი წინაა გამოსული. აფსიდს ირგვლივ უვლიდა ერთი საფეხური. ამჟამად მისი სამხრეთი ნაწილია შერჩენილი. საკურთხevლის სარკმლის ქვეშ კედელზე მიდგმულია რიყისქვით ნაგები ტრაპეზი. მას ამთავრებს გათლილი კვადრი, რომელსაც არშია გაჰყვება. ეს ტრაპეზი აგებულია გვიან, ძველის დგილზე. აფსიდის კედელზე სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია მოთავსებული, ამათგან ჩრდილოეთისა მოხრდილია, მეორე კი პატარა. აქ თავდაპირველად კანკელის არსებობის მაუწყებელი არაფერი არაა შერჩენილი. საპწუხაროდ, ამჟამად არ არის არც ის ხის კანკელი და ქართული წარწერის ჭქონე ხატები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ჯერ კიდევ ყოფილა ორმოცდაათიოდე წლის წინათ, პროფ. ე. თაყაიშვილის იქ ყოფნის დროს[29].

ეკლესიის შიდა კედლები ფრესკული ბზატერობით ყოფილა დაფარული. ბზატერობიდან შერჩენილია უმნიშვნელო ფრაგმენტები. ეს ფრაგმენტებიც თითქმის დაუფარავს მწყემსების მიერ ნანთები ცეცხლის ბოლს. აფსიდის სარკმლის გვერდზე გაირჩევა შარავანდედიანი ფიგურები. ერთგან ასომთავრული წარწერის ნაწილიც არის დარჩენილი, სადაც იკითხება: ᲝᲚᲗᲝ ზოგან ორნამენტოვანი არშიებიცაა (პილასტრებზე, დასავლეთის კარის თაღზე და სხვ.).



სურ. 9. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია. ჯვაკვეთი სამხრეთით

მხატვრობის ასეთ ცუდ მდგომარეობაში ყოფნის გამო მისი ზედმიწევნით დათარიღება შეუძლებელია. წინასწარი დაკვირვებით კი იგი ეკლესიის თანამედროვე არ უნდა იყოს. ამავე აზრს გვიკარნახებს ეკლესიის კედლების თავისებურება. როდესაც ვხედავთ კარგად გათლილ მოწითალო ღვინისფერი ქვით წესიერად ამოყვანილ პილასტრებს, თაღებს, ზუსტად მოხაზული კამარის აწყობილ კვადრებს, აფსიდის კონქსა და, ბოლოს, მრავალფრად ორნამენტირებულ კაპიტელებს, თავისთავად წყდება ფრესკისა და კედლის არათანადროულობის საკითხი. ის ოსტატი, რომელიც კედლების თლილი ქვითა და ორნამენტით შემოსვაზე ასე ზრუნავდა, ალბათ, კედლების მოხატვაზე არ ფიქრობდა.

ეკლესიის შიდა სივრცის ასეთი გადაწყვეტა უდავოდ გარკვეულ ეპოქაზე მოგვითითებს. X ს. მეორე ნახევრიდან ეკლესიათა შიდა კედლების გადაწყვეტისას ქართველი ოსტატი, გამონაკლისის გარდა, ყოველთვის მხედველობაში

[29] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. 1, ტფილისი, 1907, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობს კედლების მთლიანად შელესვას და მხატვრობით დაფარვას. ჩვენს შემთხვევაში, საფიქრებელია, ოსტატს ეკლესიის მოხატვა რომ ნდომებოდა, მაშინ იგი კედლებს ოლილი კვადრებით არ შემოსავდა და კაპიტელებს ორნამენტაციით არ დაამუშავებდა.

ეკლესიის გვერდის კედლები თითო პილასტრით ორ-ორ მონაკვეთადაა დაყოფილი. თითოეული ეს მონაკვეთი დაბალ პილასტრებზე დაყრდნობილი თაღითაა შემოსაზღვრული. საბრჯენი თაღებისა და კონქის თაღის იმპოსტები თითქმის ერთ დონეზეა, ხოლო კედლის დეკორატიული თაღების კაპიტელები — სხვადასხვა დონეზე. კედლის თაღები არ არის ერთნაირი: ზოგი მაღალია, ზოგი დაბალი, ზოგი — ნახევარწრიული და ზოგიც — ოვალური. სამხრეთის კარის ზემოთ თაღი, სხვებისაგან განსხვავებით, კრონშტეინზე ეყრდნობა, რადგან ოსტატს კარის მოთავსება აუცილებლად მთავარი პილასტრის გვერდით უნდოდა, ამიტომ იქ მეორე პილასტრი არ მოთავსა.

ყველა პილასტრი და აფსიდის კუთხეებიც მთავრდება კაპიტელებით, რომელთა უმრავლესობაც ორნამენტირებული ან პროფილირებულია ძლიერად. მთავარი პილასტრების ბაზისები დაუმუშავებელია, ხოლო კედლის დეკორატიული თაღების პილასტრები პირდაპირ ეყრდნობა კედლების წინ არსებულ საფეხურებს.

ძეგლის ოსტატს ჩამოყალიბებული კონცეფცია რომ არ გააჩნია და იგი ძიების პროცესში რომ არის, ეს, როგორც ვნახეთ, ინტერიერის გადაწყვეტიდან ჩანს. იგივე მდგომარეობა განსაკუთრებით გამომჟღავნებულია ინტერიერში ჩუქურთმის განლაგებაში. როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის შიდა სივრცე ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში მდებარე სარკმლებიდან, რასაც დროდადრო კარებიდან შემოსული სინათლეც ემატებოდა. სინათლის წყაროს ასეთი განლაგებისას ყველაზე მეტად განათებული იყო ჩრდილოეთის კედელი. ოსტატს, რომელიც ამ ნაგებობას ამენებდა, უდავოდ უნდა გაეთვალისწინებინა არსებული გარემოება და ჩუქურთმის უმრავლესობა ჩრდილოეთის კედელზე მოეთავსებინა. იგი კი პირიქით მოიქცა. ამის გამო შიგნით ნაოფთათვის თითქმის იკარგება ის შრომა, რომელიც ოსტატს გაუწევია: ყოველი მხრიდან შემოსული სინათლეც არ არის საკმარისი ეკლესიის შიდა სივრცის ისეთი სიძლიერით განათებლად, რომ სრულყოფილად იქნეს წაკითხული ის მრავალფეროვანი ჩუქურთმა, რომლებიც განლაგებულია კაპიტელებზე. ამასთანავე ერთად ზხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ კაპიტელებზე ამოკვეთილი ჩუქურთმა წვრილადაა დამუშავებული. ასეთი სახის ჩუქურთმა შესაძლოა კარგად იქნეს წაკითხული. მხოლოდ ფასადებზე და ისიც დაბლა; მით უფრო ინტერიერში, მკრთალად განათებულ სამხრეთ კედელზე მათი წაკითხვა ძნელდება.

სამხრეთის კედლის შვიდი კაპიტელიდან ხუთი ორნამენტირებულია, ხოლო ორი დანარჩენი მარტივადაა პროფილირებული. მათგან დასავლეთის კუთხეში მდებარე ცილინდრული კაპიტელი ძლიერადაა შეერილი (სურ. 10[2]). ამ ორნამენტირებულ კაპიტელებში გამოირჩევა სამხრეთის ცენტრალური პილასტრის კაპიტელი (სურ. 10a). ამ კაპიტელის სამივე მხარე ორნამენტირებულია.

---

[20] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სეფეროვი, ქართული არქიტექტურის გზები. თბილისი, 1936, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 10 სოფ. კოშკები, „ღვთისმშობლის" ეკლესიის ინტერიერის დეტალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ისინი მთლიანობაში არ არიან. წინა სიბრტყეზე წარმოდგენილია წრიული რგოლების ჯაჭვი, შუა რგოლი გამოყოფილია და შიგ მკლავებმოხრილი ჯვარია ამოკვეთილი. კაპიტელის გვერდები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. მარცხენა მხარეს ისევ რგოლებია ამოჭრილი, მაგრამ ჯაჭვი მხოლოდ ნახევრადდეა. კაპიტელის მოპირდაპირე მხარეზე კი სულ სხვა სურათია. აქ მოთავსებულია ნაპირებამოწეული. თანაბრად ჩაღრმავებული ოთხი რელიეფი. ასეთი რელიეფი სხვა კაპიტელებზე არაა გამოსახული. ამ კაპიტელს, დამუშავების ხარისხის მხრივ, მოსდევს იმავე მხარეს მდებარე აფსიდის კუთხის კაპიტელი (სურ. 10ж). კაპიტელის ზედა სიბრტყეზე მოთავსებულია თანაბარი ოთხი წრე, რომელთა შუა ნაწილი სფერულად ზოგან ჩაწეულია, ზოგან—ამოწეული. კაპიტელის ქვედა ნაწილი სხვადასხვა ზომის სამკუთხედებად დაყოფილ წახნაგოვან რელიეფს წარმოადგენს. ჩრდილო-დასავლეთის კუთხის კაპიტელი წარმოდგენილია შესამჩნევად გამოწეული პროფილით. ზედა სიბრტყის ორივე მხარეზე ორი ლენტას ურთიერთ გადაჯვარედინებით იქმნება რომბული რელიეფი.

დანარჩენ სამ კაპიტელზე გამოსახულია სხვადასხვა სიღრმის რომბები, გვერდზე ამოკაწრული წრეებითა და სპირალებით და სხვადასხვა გვარი ფიგურებით (სურ. 10 ბ, ბ, გ). ეკლესიის ინტერიერის ჩუქურთმას აშკარად ეტყობა, რომ მათი გამომპრელი ოსტატები მიჩეულნი იყვნენ ხეზე ჭრას. ხეზე ჭრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა მათ თითქმის უკრიტიკოდ გადაიტანეს ქვაზე. ცხადია, მასალის გაუთვალისწინებლობამ თავისებური დაღი დაამჩნია მორთულობას; ის უსახო და უფერ‌ტოა. ინტერიერის ასეთ ორიგინალურ ორნამენტაციას ჯერ‌ჯერობით ცნობილ ძეგლებში ანალოგიები არ გააჩნია. ერთადერთ მოტივს შესაძლოა მიახლოებინთ პარალელი მოეძებნოს. პირველად განხილული სამხრეთი პილასტრის წინაპირზე მოთავსებულიწრეების ჯაჭვი თავისთავად გავრცელებული სახეა და მას საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ (იმავე მოტივს ოსტატი იყენებს აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის მორთულობაში). ეს მოტივი უფრო რთული სახით, ღიროვანი ლენტებით გამოყენებულია ერედვში[31] (906 წ.) და კუმურდოში[32] (964 წ.). X საუკუნის ძეგლებთან (მათ შორის კუმურდოსთანაც)[33] სკრის ძეგლს აკავშირებს ინტერიერის გადაწყვეტის პრინციპი, რადგან ამ დროს ყველა ოსტატი ჯერ კიდევ ინტერიერს წარმოიდგენს თლილი ქვით შემოსილსა და ჩუქურთმით დამუშავებულს. ნაშინ როდესაც იმავე საუკუნის ბოლოს ქვით შემოსვას ცელის ნალესობა, ჩუქურთმით მორთვას—მხატვრობა.

ეკლესიის ფასადების სიბრტყობრივობას არაფერი არღვევს გარდა კარსარკმლების ხვრელობებისა (სურ. 11, 12 და ტაბ. V, VI). ოსტატის მიერ ჩანაფიქრი სახის აღქმას ამჟამად ხელს უშლის მრავალი რამ. მათ შორის აღსანიშნავია: ჩამოცვენილი სახურავი, შესამჩნევად ჩამოძარცული კედლები, ცოკოლზე მიყრილი მიწა და სხვ.

---

[31] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შიდა-ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 129—135.

[32] Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, Москва, 1947, გვ. 12, სურ. 7.

[33] იქვე, გვ. 13, სურ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასადების შემოსვაში და მათ მორთვაში ჩანს გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელი მიდგომა. კედლები შემოსილია ძირითადად თლილი ქვით, ჰორიზონტალური რიგების დაუცველად. ოსტატს მიზნად არ ჰქონია ე. წ. წესიერი წყობა მიეღო: რომელი ქვაც მოხვდა ხელთ, იგი დასდო და მეორე მას-

ა



ბ

სურ. 11. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის" ეკლესია. ა — აღმოსავლეთი ფასადი
ბ — დასავლეთი ფასადი

მოარგო. ამიტომ ერთმანეთის გვერდით დევს დიდი და პატარა, აბსოლუტურად განსხვავებული ქვები. ასეთი წყობის გამო ქვებს შორის შრეებიც სქელია. შედარებით უკეთ გათლილი ქვებია ნახმარი ფასადების ზედა ნაწილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასადების შემოსვაში პოლიქრომიაც სრულიად თავისუფლად აკვნესებს ტა გადაწყვეტილი. იგი ერთმანეთის გვერდით სიზუსტის დაუცველად აწყობს თიხისფერ სილაქვას, მონაცრისფრო პორებიან შირიმსა და მუქწითელ ღვინისფერ პორფირიტს. ფერების ასე თავისუფლად განლაგება საერთოდ დამახასიათებელია ქართული არქიტექტურისათვის, მაგრამ თუ ადრე შუა საუკუნეების ძეგლებში ფერთა შერევას იშვიათად ვხვდებით, მას ხშირად მიმართავენ იმ დროიდან, როდესაც ფასადების მორთვასა და ცხოველხატულობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეს მომენტი კი, როგორც ცნობილია, X საუკუნიდან შეიმჩნევა. ამ წესით ფასადთა შემოსვის გარკვეულ მიდგომას ვხედავთ უკვე კუმურდოს ძეგლში.



სურ. 12. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია. სამხრეთი ფასადი

სკრის ეკლესიაში, როგორც აღვნიშნეთ, ფასადები მარტივადაა მორთული. შემკულია მხოლოდ სარკმლები. ე. წ. გარდამავალი ხანისა და ნაწილობრივ X საუკუნის ძეგლების ასეთი გადაწყვეტა ჩვეულებრივი მოვლენაა. X საუკუნის ბოლოდან კი სამკაულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, ფასადთა ჩუქურთმით მორთვა მანამდეც შესამჩნევი იყო, მაგრამ ამ მომენტიდან კი მას განსაკუთრებული როლი ეთმობა[34]. ამ დროიდან არა მარტო ორნამენტაციას უკავია დიდი როლი, არამედ ფასადთა მორთულობის რელიეფურობასაც. ჩვენი ძეგლის ფასადთა მორთულობის პრინციპული გადაწყვეტა გამორიცხავს მის აგებას X საუკუნის ნახევარზე გვიან.

ყველაზე მეტი ყურადღება ოსტატს აღმოსავლეთი ფასადისათვის მიუქცევია (სურ. 11a და ტაბ. VI). აქ, სარკმლის მორთულობის გარდა, ერთი მოზრდილი რელიეფური გამოსახულებაა მოთავსებული მარცხნივ, კედლის წიბოს-

[34] გ. ჩუბინაშვილი, ვ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ახლოს (სურ. 13). აღმოსავლეთის მაღალ და წვრილ სარკმელს ამთავრებს რელიეფურად დაშუშავებული სხვადასხვა ზომის ორი დიდი ქვა (სურ. 13 და ტაბ. VII). ამ ორი ქვიდან ქვედა ქვა სარკმელზეა მორგებული, მაგრამ მეორე კომპოზიციურად მას არ ერწყმის; ამ ადგილას იგი თითქმის შემთხვევითაა მოქცეული. მაგრამ ამაში შეიძლება დავინახოთ ოსტატის მიდრეკილება, რომ მორთულობა განალაგოს ვერტიკალურად. ამ ტენდენციას არა ასეთი უმწეო, არამედ დამთავრებული სახით ეხვდებით კუბურდოს ტაძრის აღმოსავლეთის ცენტრალურ სარკმელზე[25] და ნაწილობრივ ვალეს (X ს. უკანასკნელი მეოთხედი) აღმოსავლეთი ფასადის გვერდით სარკმლებზეც[26].



სურ. 13. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია. აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობა

უშუალოდ სარკმლის ზემოთ მოთავსებული, თითქმის კვადრატული ქვის შუაზე ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებული ტოლმკლავა „აყუავებული“ ჯვარია გამოსახული. ჯვარი და მის ირგვლივ განლაგებული დეკორატიული ელემენტები შემოსაზღვრულია წვრილი ლილვით და ორნამენტოვანი არშიით. ამ ქვის სხვადასხვა სახის მოტიფულობიდან გარდა ჯვრისა არც ერთი ელემენტს არა აქვს წესიერი სახე. ამ მხრივ მეტად უცნაურია ქვის მოჩარჩოებელი არ-

[25] Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили. Памятники грузинской архитектуры (Кумурдо и Никориминда), Москва, 1947, გვ. 9.

[26] რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი ამშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ქართული ხელოვნება“, ტ. 3, თბილისი, 1950, გვ. 36, ტაბ. 9.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შია. აქ იმდენი ნაირსახეობაა, რომ ძნელია იმის გარკვევა — ოსტატს სურდა ახალი მოტივთა შექმნა, თუ ძველის გადამუშავებას ახდენდა. ამ გრძელ არშიაში ერთის გარდა სხვაგან მოტივთა ამოკითხვა არ ხერხდება. არც ერთ მათგანს არა აქვს რაიმე სისტემაზე აგებული სახე. ის ერთადერთი ელემენტი, რომელიც წესიერია; ესაა ზედა არშიის მარჯვენა მონაკვეთი. აქ მოცემული ლენტოვანი წნული გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. მის ანალოგად ადრეული ძეგლებიდან უნდა აღინიშნოს ისევ კუმურდო[37] და ვალე[38]. ამ ძეგლებში ამ ორნამენტის შესრულება, ისე როგორც სხვა ორნამენტებისაც, გაცილებით უკეთესია. ვიდრე კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის ორნამენტი. ამ ქვაზე ყველაზე წესიერად შესრულებულია ჯვარი. ტოლმკლავა ჯვარს ირგვლივ წვრილი ლილვი უვლის და ამავე ლილვისაგან შედგენილია წრეები, რომლებიც ამთავრებს ჯვრის მკლავების წვეტებს. ლილვების შიგნით წრეების ზედაპირი დაღრეულია რადიალურად. ჯვრის ბუნიკ ამ წრეების მსგავსია, რომლიდანაც ორივე მხარეს გამოდის თითო „აყვავებული ტოტი". ჯვრის ეს თითქოს მცენარეული ნაწილი მისი პროტოტიპის მხოლოდ ზოგად სახეს ინარჩუნებს, სინამდვილეში კი სხვადასხვა ფორმისა და ზომის „თაღებისგან" შედგება.

სურ. 14. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის ეკლესია. რელიეფური გამოსახულება

ზედა რელიეფური ფილა. ქვედასაგან განსხვავებით მოგრძო სწორკუთხედია. ამ ქვის რელიეფური კომპოზიცია მეორესთან შედარებით უკეთაა მოფიქრებული. ფილა ძირითადად ორადაა გაყოფილი. მთავარს წარმოადგენს წესიერ ნახევარწრეში მოთავსებული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ე. წ. „სოლომონის ბეჭედი". წრის გარშემო მდებარე სიბრტყიდან გვერდითი ნაწილები მოკავებული აქვს ორნამენტებს, ზედა ჰორიზონტი კი ასომთავრულ წარწერას, რომლის გაგრძელებაც მოთავსებულია ქვემოთ, ვარსკვლავის გვერდებზე. ფილის ზედა ნაწილის ცენტრში მცირე ზომის ჯვარია. რომელიც მიღებულია ორი ლენტოვანი ოვალის გადაჯვარედინებით. როგორც ეს ჯვარი, ისე ვარსკვლავიც მარჯვნი-

[37] Н. Северови Г. Чубинашвили. Памятники Грузинской архитектуры (Кумурдо и Никоримида), Москва, 1947, зз. 12.

[38] რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი ამშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ქართული ხელოვნება", ტ. 3, თბილისი, 1950, გვ. 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაა გადაქანებული (ვარსკვლავი მეტად, ვიდრე ჯვარი). როგორც ეტყობა, ოსტატი ნაკლებად ზრუნავდა სიმეტრიულობაზე. ამ ფილის გვერდითი ნაწილებიდან მარცხნივ ძალიან სტილიზებული ხე უნდა იყოს გამოსახული, მარჯვნივ კი ლენტოვანი წრეების ჯაჭვის ისეთივე მოტივია, როგორც ინტერიერში საბრჯნი თაღის სამხრეთის იმპოსტზე ვნახეთ.

ამავე ფასადის მარცხენა კუთხეში, თითქმის სარკმლის ქვედა ფილის დონეზე, მოთავსებული გამოსახულებაც დაბალი რელიეფითაა შესრულებული და ძალიან სქემატურია (სურ. 14 და ტაბ. VI). რელიეფზე მოცემულია მამაკაცის წელსზევითი გამოსახულება ვედრების პოზით; თავი ნაჩვენებია en face, ხოლო ხელები არაჩვეულებრივი გრძელი თითებით, ერთი მიმართულებით აქვს აშვერილი. უნდა დავუშვათ, რომ აქ ქტიტორმა თავისი თავი გამოაქანდაკებინა, მაგრამ წარწერა კი არ გააკეთა. რელიეფის ექსპრესიულობა, სქემატურობა და სხვა მხარეები ისევ იმავე ეპოქაზე მიუთითებს, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ[39].

სურ. 15. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის" ეკლესია. დასავლეთი ფასადის სარკმლის მორთულობა

ამავე ფასადზე, სახურავის კეხის ცოტათი ქვემოთ, მოთავსებულია სწორკუთხა ქვა, რომელშიაც თაღია ამოკვეთილი (ტაბ. VI, VII). თაღს ირგვლივ ბოლოებგაშვერილი წვრილი თავსართი გასდევს. ამ ქვას ამ ეკლესიაზე არაფითარი ფუნქციონალური დანიშნულება არ ყააჩნია. როგორც ეტყობა, იგი თავსართინანი სარკმლის ქვას წარმოადგენს, მაგრამ არა ამ ეკლესიიდან. ასეთი განიერი სარკმელი (ღრუს სიგანე 60 სმ) ადრეულ ეკლესიებში გვხვდება, მერე კი მას იშვიათად იყენებენ. ცხადია, ოსტატმა რომელიღაც სხვა ეკლესიის ფრაგმენტი გამოიყენა როგორც დეკორატიული ელემენტი. განსახილველი ეკლესიის დამახასიათებელ თავისებურებად კი უნდა მივიჩნიოთ სწორედ წვრილი და მაღალი სარკმლები. X საუკუნის მომდევნო ძეგლებისათვის სარკმლების სწორედ ასეთი გადაწყვეტაა ნიშანდობლივი. ამ მხრივაც განსახილველი ობიექტის ადრეული პერიოდისათვის მიკუთვნება შეუძლებელია.

ეკლესიის ფასადებიდან მორთულობის მხრივ მეორე ადგილი დასავლეთისას უჭირავს. აღმოსავლეთის ფასადის მსგავსად აქაც მხოლოდ სარკმელია მორთული, სადაც მოჩუქურთმებულია სარკმლის ზედა და ქვედა ქვა (სურ. 15, ტაბ. VIII).

---

[39] ე. თაყაიშვილი თავის ნაშრომში—„არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი" ერთგან წერს: „კედლებში ამ ეკლესიისა ჩატანებულია ქანდაკებანი წმინდანებისა. ერთი მათგანი აღმოსავლეთის კედელში თავდაღმა ჩატანებული" (გვ. 64). ე. თაყაიშვილმა ეს ეკლესია გასული საუკუნის 90-იან წლებში ნახა. ჩვენ კი ძეგლის პირველად ნახვის დროს (1942 წელს) აქ მხოლოდ ერთი ქანდაკება ვნახეთ, ისიც არა წმინდანისა და სწორედ მდგარი. აქ რაღაც გადაჯარობასთან გვაქვს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკმლის ზედა სწორკუთხა ქვაზე გამოსახულია ლენტოვანი წნული, რომლის შუაში ქვემოთ თაღია ამოჭრილი. ბადის შემდგენელი ლენტები სხვადასხვა სიგანისაა, მაგრამ ეს არც კი შეიგრძნევა. ლენტების წვნა შედარებით წესიერია. ზედა და ქვედა ნაპირებში ყოველი ლენტა უხვევს. მაგრამ გვერდით ვერტიკალებზე წვნა წყდება. ასევე წვნა შეწყვეტილია თაღზე. ნაგებობის ოსტატი რადგან სხვაგანაც არ იჩენს სიზუსტეს და არ კრავს კომპოზიციებს, ამიტომ აქაც დასაშვებია ქვის დამუშავების ასეთი გადაწყვეტა. ამ სახის ლენტოვანი წნული (გაცილებით უკეთესი შესრულებით) გამოყენებულია ზემოთ უკვე რამდენიმეჯერ დასახელებულ კუმურდოსა[40] და ეალეს[41] ძეგლებზე.



სურ. 16. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია. დასავლეთის სარკმლის მორთულობა

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სარკმლის ქვედა ქვა მეორედაა გამოყენებული. რა დანიშნულებისა იყო იგი თავდაპირველად არ ჩანს. ამჟამად შვერილი ორფერდა ნაწილიც და გვერდითი წახნაგებიც დამუშავებულია. (სურ. 16, ტაბ. VIII$_2$). გვერდებზე ქვის შორის მოჩანს წრეში მოქცეული მარტივი ჯვრები. ჯვრების ის ნაწილები, რომლებიც კედელშია მოქცეული, თითქმის ათლილია. თუ ეს ქვა ამ ჯვრების გამოსახულებით სხვაგან იყო სადმე და შემდეგ აქ ჩასვეს, არავითარი საეჭვოება არ იყო მათი მოთლისა, რადგან ქვის კედელში ჩაშენებისას მასზე რელიეფის არსებობა ხელს არ უშლიდა. ქვის შვერილი ორივე გვერდი სხვადასხვა სახითაა დამუშავებული: ზემოთ დაბალი რელიეფით დამუშავებული ორნამენტია, ქვემოთ კი მხოლოდ ცხენის გამოსახულებაა. ზედა ორნამენტი, როგორც ეტუომა, X ს. ბოლოსა და XI ს-ში გავრცელებული ორნამენტის სახესხვაობას წარმოადგენს. იგი ამ პერიოდის ძეგლებში სხვადასხვა სახით გვხვდება. ზოგი მათგანი თითქოს მცენარეულია, ფოთლის მოყვანილობა აქვს (მანგლისი, სამთავრო, კაცხი, სავანე), ზოგი კი გეომეტრიულია, ხისტია (ტბეთი, იშხანი, ეხვევი, ზედა ვარძია, ზედა თმოგვი). განსახილველი ობიექტის მოტივი ყველა ამათგან განსხვავდება, რადგან იგი სხვებზე სქემატურია და უფრო მარტივი, ვიდრე, მაგალითად, X ს. შუა წლების დოლისყანის[42] ძეგლზე ვხედავთ. ასე რომ, მისი წარმოშობა (სულერთია, ნაგებობისათვის განკუთვნილი იყო, თუ არ იყო) არ შეიძლება გადაცდეს X ს. შუა წლებს. აღრე კი ამის მსგავსი ორნამენტი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული.

---

[40] Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Памятники грузинской архитектуры (Кумурдо и Никорцминда), Москва, 1947. სურ. 7.

[41] რ. მეფისაშვილი, ეალეს ტაძარი და მისი აშშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ქართული ხელოვნება“, ტ. 3. თბილისი, 1950, გვ. 41, სურ. 18.

[42] გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, „ენიმკის მოამბე“, ტ. V, VI, 1940, გვ. 459.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ქვის ქვედა წახნაგის მარჯვენა ნაწილში მდებარე ცხენის გამოსახულება მეტად მარტივია. რელიეფი მიღებულია მხოლოდ კონტურის ამოღარვით, სადაც ღარის სიგანის ერთნაირობაც არის დაცული (სურ. 16). მიუხედავად ასეთი პრიმიტიულობისა, ოსტატს ექსპრესიულობის გადმოცემა მაინც უდია. ცხენი თითქმის წინა ფეხებითაა შემართული, კისერი ღონივრად აქვს მოხრილი.

ამ ფასადზე სარკმლის მარჯვენივ კიდევ არის ერთი რელიეფი. უსწორო ფორმის ქვაზე გამოსახულია ხელის მტევანი მკლავის ნაწილით (სურ. 17). ესეც, ცხენის მსგავსად, სგრაფიტოს წესითაა შესრულებული, მაგრამ კონტურის ამოღარვა უფრო წესიერია. ამ ხელსაც, აღმოსავლეთის ფასადის ქტიტორის გამოსახულების მსგავსად, წარწერა არ გაჩნია.

ქართული არქიტექტურის ძეგლებზე ხელის გამოსახულება სხვადასხვა გადაწყვეტით ხშირად გვხვდება. ასეთ რელიეფებს ჩვეულებრივ განმარტებითი წარწერები არა აქვს და მათ შესახებ არც ისტორიულ საბუთებში მოგვეპოვება ახსნა-განმარტება. მიუხედავად ამისა, ეფიქრობთ, ხელის გამოსახულება წარმოადგენს მშენებელი ოსტატის—ხეროთმოძღვრის სიმბოლოს. იგი თავისი ნამოღაწარის სიმბოლოდ მშენებელი მარჯვენის გამოსახულებას გვტოვებს. ამ ძეგლზე რელიეფთა განლაგების ხბრივ ისიცაა აღსანიშნავი, რომ თუ ქტიტორმა თავისი გამოსახულება აღმოსავლეთ ფასადზე ყველაზე საპატიო ადგილას

სურ. 17. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის“ ეკლესია ხელის გამოსახულება

მოათავსა, ეს გასაგებიცაა, რადგან იგი მაღალი წოდებისა იქნებოდა. მშენებელი კი, როგორც დაბალი ფენის წარმომადგენელი, მორიდებულად მხოლოდ ხელის მკრთალ რელიეფს ათავსებს, ისიც არა აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ფასადზე.

ამავე ფასადის კარი თითქმის ნახევრამდე მიწითაა დაფარული. ამ ვიწრო და მაღალ კარს არქიტრაული გადახურვა აქვს და მორთულობის გარეშეა.

სამხრეთი ფასადი ორ აღწერილ ფასადზე სადაა. არ ჩანს თუ რა კავშირში იყო ფასადთან მთელ სიგრძეზე მიდგმული ეკვდერი (სურ. 12, ტაბ. V). შესასვლელის ტიმპანზე არსებული ფრაგმენტით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკვდერის კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა. ეკლესიის ფასადის საკმაოდ შესამჩნევი ნაწილი ამკამად მიწითაა დაფარული.

ამ ფასადის მორთულობა მეტად მკრთალია. როგორც ცნობილია, სამხრეთის ფასადს ქართველი ოსტატი ხშირად სხვებზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ რთავდა. მაგრამ, რატომღაც, აქ ეს პრინციპი დარღვეულია (შესაძლოა, აქ ეკვდერის არსებობა განსაზღვრავდა ფასადის მოურთავობას). განიერი და მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი გადახურულია ერთი მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი თაღოვანი ქვით (ესეც თავისთავად ადრეულ პერიოდზე მიუთითებს) და ტიმპანი ღრმაა.

ზემოაღწერილი სარკმლების მსგავსად, აქაც სარკმლის მხოლოდ ზედა ნაწილზეა მორთულობა (სურ. 18, ტაბ. VIII2). თითქმის კვადრატული ქვის შუაზე ცერად მდგარი ჯვარია გამოსახული. მას ზემოდან ერთი დიდი რკალი საზღვრავს, ქვემოთ კი ერთ ჰორიზონტზე განლაგებულია ორი რკალი, რომელზედაც აღნიშნული ჯვარია აღმართული. მთელი ეს რელიეფი ისევ სგრაფიტოს წესითაა შესრულებული ჯვარი უფრო ღრმა რელიეფითაა ამოკვეთილი, წრეები კი დაბალი რელიეფით. მთელი რელიეფი წესიერადაა ამოკვეთილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯვრის ცერად დგომას (როგორც აღრევეც ვნახეთ, აღმოსავლეთის ეკლესიურა ვარსკვლავი და ზედა პატარა ჯვარიც ცერად დგას). რელიეფის ჭრის მხრივ იგი წაგავს დასავლეთის ხელის რელიეფს.



სურ. 18. სოფ. კომკები. „ღვთისმშობლის" ეკლესია. სამხრეთი სარკმლის მორთულობა

ეკლესიის ფასადებზე არსებული რელიეფების განხილვის შემდეგ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ისინი ყველა ერთი ოსტატის მიერ არაა შესრულებული; აქ სამი ოსტატის ხელს ვხედავთ. ამათგან, როგორც ეტყობა, წამყვანი ადგილი ეკავა აღმოსავლეთის სარკმლის რელიეფების შემსრულებელ ოსტატს. შესაძლოა მასვე ეკუთვნოდეს იქვე მდებარე ქტიტორის გამოსახულება და დასავლეთის სარკმლის ქვეშ მდებარე ცხენის რელიეფი (ჭაც და იქაც ოსტატის მოუსვენარი ხასიათი ჩანს). მეორე ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული სამხრეთი სარკმლის რელიეფი, დასავლეთ ფასადზე მდებარე ხელის გამოსახულება და, შესაძლოა, იმავე სარკმლის ზედა გეომეტრიული ჩუქურთმაც. იმავე სარკმლის ქვედა ქვაზე გამოსახული კბილანა ორნამენტი ისეთი სიმეტრიითა და სიმკაცრითაა შესრულებული, რომ სხვა რელიეფებისგან მკვეთრად განსხვავდება, რის გამოც იგი შეიძლება მესამე ოსტატს მიეკუთვნოს.

ახლა რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ იმ წარწერას, რომელიც მოთავსებულია მოჩუქურთმებულ ქვაზე აღმოსავლეთი სარკმლის ზემოთ.

წარწერა ქვაზე განგებ ისეა განლაგებული, რომ იგი მორთულობის როლსაც ასრულებს. წარწერა ოთხი სტრიქონისაგან შედგება. პირველ ორ სტრიქონს ქვის მთელი სიგრძე უჭირავს, ხოლო ორი დანარჩენი სტრიქონი მოთავსებულია ქვემოთ, წრეში, ექვსქიმიანი ვარსკვლავის გვერდებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა შემდეგს შეიცავს:

† ᲚᲔ-ᲘᲘᲠ ᲜᲗᲘ †-ᲗᲪ
ᲨᲘ ᲜᲐᲯᲐᲠᲗ ᲨᲠᲔᲨ
ᲮᲐ ᲥᲔ
ᲘᲠ ᲘᲠ

ეს წარწერა ძეგლის მოკლე აღწერასთან ერთად გამოცემული აქვს პროფ. ე. თაყაიშვილს[43]. მაგრამ მისი წაკითხვა სწორი არ არის. იგი ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერას მხედრული ტრანსლიტერაციით ასე წარმოგვიდგენს: „სახელითა ღვთისათა ესე ქვაᲲ მე ლომმან დავსდევი ქრისტეს მეუფისთათა“. ასეთი წაკითხვა სინამდვილეს საკმაოდ შორდება. მისი მთავარი შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ მან მესამე სტრიქონის პირველი ასო Ჩ მიიჩნია †. ამ ერთი ასოს გამოუცნობლობით არის გამოწვეული ორი უკანასკნელი სტრიქონის გაშიფვრაც. მან იმის მაგივრად, რომ ვარსკვლავის გვერდებზე მდებარე ოთხ-ოთხი ასო ცალ-ცალკე წაეკითხა, წაეკითხა სტრიქონების მიხედვით თანმიმდევრულად. ჩვენ მთლიანად წარწერა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე გვესახება: „სახელითა ღმრთისაᲲთა ესე ქვაᲲ მე ლომმან დავსეი (ან დავსდევი?) ჩემითა ფასითა“.

როგორც ვხედავთ, წარწერის ასეთი გაშიფვრა დიდად განსხვავდება ზემომოყვანილი ტექსტისაგან.

წარწერას ქორონიკონი არ გააჩნია და მასში არც ცნობილი პირია ნახსენები. შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ვინ არის ამ „ქვის დამდები“ ლომი. იგი ამაყად გვატყობინებს: „ესე ქვაᲲ მე ლომმან დავსეი ჩემითა ფასითაო“. ეს წინადადება შეიძლება ორნაირად გავიგოთ: პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თუ პირდაპირ გავიგებთ, მივიღებთ, რომ ლომს მხოლოდ ამ ორნამენტირებული ქვის ფასი გაუღია, ხოლო თუ გადატანითი მნიშვნელობით გავიაზრებთ, მაშინ ლომს ეკლესია მთლიანად თავისი ხარჯით აუგია. თუ ამ უკანასკნელ ვარიანტს მივიღებთ, მაშინ ეს ქტიტორი—ლომი მაღალი წოდების წარმომადგენლად გვეკლინება. ამდენად, იგი შესაძლოა ამ კუთხის მფლობელიც ყოფილიყო.

წარწერა პალეოგრაფიულად საინტერესოა და ხასიათდება X ს. თავისებურებებით. რამდენიმე ასოს გარდა ყველა კუთხოვანია. ამ გარდამავალი ხანისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია: **Თ, Ქ, Ე, Უ** და სხვ.

ბოლოს, დასკვნის სახით თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, მივიღებთ გარკვეულ ხუთათს, სადაც შედარებით განსაზღვრული იქნება ძეგლის მხატვრული და ისტორიული ღირებულება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ეკლესია არის ფეოდალური საქართველოს სოფლის რიგითი ეკლესია. მისი მშენებლებიც რიგითი ოსტატები ყოფილან, მაგრამ ისეთები, რომელთაც შედარებით კარგად ესმოდათ თავიანთი დროის სტილის თავისებურებანი. ძეგლის აგების დროდ როგორც ზოგადი ნიშნებით, ისე დეტალებით X ს. მეორე ნახევარი გვესახება.

---

[43] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტ. I, ტფილისი 907, გვ 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თარიღზე უპირველეს ყოვლისა მიგვითითებს ნაგებობის მხატვრული გადაწყვეტის ძირითადი მხარეები, როგორიცაა: ინტერიერის მორთვა ჩუქურთმებით, შიდა კედლების შემოსვა და ფასადებზე აქცენტი დეკორისადმი. ფასადები მთლიანად კი არ არის მორთული, როგორც ეს XI ს. დასაწყისიდან გვხვდება, არამედ ჯერჯერობით მხოლოდ სარკმლები იმკობა. ხაზია გასმული იმ გარემოებისათვისაც, რომ ჯერ მხოლოდ სარკმლების ნაწილი ირთვება და ისიც ისე, რომ მნახველს თვალში არ ეცემა; რელიეფიც დაბალია. სარკმლების ხვრელობები ვიწრო და მაღალია, რაც თავისთავად სხვა დეტალებთან ერთად X საუკუნეზე ადრე პერიოდს გამორიცხავს. ასეთივე მდგომარეობაა ფასადების შემოსვის პოლიქრომიის საკითხშიც[44].

სკრის ხეობის განხილული ძეგლები, როგორც ვნახეთ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების რიგით ძეგლებს წარმოადგენენ. პირველხარისხოვან და წამყვან ძეგლთა შესწავლასა და გამოზეურებასთან ერთად აუცილებელია შერჩევით შესწავლა ამ რიგითი ძეგლებისაც, რომ გაადვილდეს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის გააზრებისა და მისი უკეთ ათვისების საკითხი.

П. П. ЗАКАРАЯ

НЕСКОЛЬКО АРХИТЕКТУРНЫХ ПАМЯТНИКОВ УЩЕЛЬЯ СКРА

Резюме

Небольшое ущелье Скра находится за г. Гори, на правой стороне р. Куры. Это ущелье по археологическим данным было обитаемо еще за несколько тысяч лет до н. э. Над землей находится несколько разных памятников феодальной эпохи. Эти памятники впервые кратко описал проф. Е. С. Такайшвили[45].

В этой работе мы коснемся из многочисленных памятников ущелья только четырех: два из них фортификационные сооружения, а два — культовые.

Первый наш объект стоит в открытом месте, около р. Куры. Теперь ее почти не видать среди дер. Земо Скра. Вторая башня расположена выше дер. Кошкеби.

Из культовых сооружений первая церковь находится на северной окраине дер. Кошкеби, а вторая — за деревней, на правой стороне р. Скра.

I. ДОЗОРНЫЕ БАШНИ

а. Дер. Земо Скра

На западной окраине дер. Земо Скра стоит цилиндрическая приземистая башня. Она двухэтажная. Вход со второго этажа с северной стороны. В отдельно стоящих башнях устройство входа во втором этаже ча-

[44] „შალიკაშვილების ეკლესიის“ გეგმისა და სამხრეთი ფასადის ნახაზები შესრულებულია რ. მეფისაშვილის მიერ (ეროვნის ქართული ხელოვნების ინსტიტუტს), დანარჩენი კი ჩვენ მიერ.

[45] Е. Такайшвили, Археологические путешествия и заметки, кн. I, Тифлис, 1907, стр. 59—66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

сто встречается. Связь с первым этажом и террасой происходит каменной лестницей, устроенной в толще стены. Оба этажа перекрыты конусообразными куполами. Такое решение междуэтажных перекрытий и устройств лестниц в толще стен тоже характерно для XVIII в.

В стенах первого этажа устроены ниши хозяйственного назначения и выше «направление» окна. Бойницы устроены только в стенах второго этажа и на террасе.

Фасады башни простые. На построенных булыгой стенах видны щели только двери и бойниц. Башня со всеми данными—типичный образец карталино-кахетинских фортификационных сооружений XVIII века.

б. Дер. Кошкеби

На южной окраине дер. Кошкеби, с правой стороны реки возвышается башня. Она по типу принадлежит к башням с «круглой спиной».

Южная и Северная стены башни почти не существуют. Ввиду отсутствия крыши нельзя установить этажность башни. Теперь имеются остатки шести этажей. Вход находится во втором этаже, со стороны ущелья. Первый этаж имеет только окно, а верхние этажи имеют и бойницы. Пятый этаж имеет также дверь, выходящую на висячий балкон. Междуэтажное деревянное перекрытие несохранилось.

Башня целиком построена из слегка обработанного бутового камня.

Тип башни с «круглой спиной» распространен в горной части Шида Картли. Там у нас зафиксировано таких башень около сорока, а на правой стороне Куры пока это единственный случай. Время возникновения таких башень относится к эпохе зрелого феодализма включительно и XVII век. Распространение этих памятников надо отнести именно к эпохе зрелого феодализма, а в позднефеодальную эпоху обращались к такому типу редко. Наш объект относится к этой последней группе и, вероятнее всего, построен в XVII веке.

2. Культовые сооружения

а. «Шаликашвилевская церковь» в дер. Кошкеби

Церковь находится в северном конце деревни, на левом берегу реки. Этот объект состоит из к друг-другу приставленной церкви и усыпальницы. Церковь во время землетрясения 1920 года почти превратилась в руины, а усыпальница сильно пострадала.

Церковь однонефная больших размеров. Она может быть имела с трех сторон обход. С западной стороны и сейчас видны остатки стен. По всей длине трех фасадов имеется выступ (полочка), который частично указывает на то, что на ней опирался свод обхода.

При постройке усыпальницы (1708 г.) южного обхода уже не было.

Церковь имела с южной, западной и северной сторон входы. Окна были устроены по одному с востока и запада и два — на южной стене.

По всем данным, эта церковь, принадлежащая к эпохе зрелого феодализма, была переработана в позднефеодальную эпоху. Из этих работ особенно надо отметить фресковую роспись стен и алтарную преграду.

Тесанным камнем облицованные наружные стены не содержат декоративных элементов, может быть они были на тех частях стен, которые обвалились. Теперь единственным декором является арочное навершие южного входа.

К этой большой церкви с южной стороны пристроена усыпальница. По находящейся вокруг западного входа надписи узнаем, что она была

ეროვნული ბიბლიოთეკა

построена в 1708 году владетелем этого края Эдишером Шаликашвили. Им здесь была построена часовня (в нижней части с криптой) с портиком и над ней стоящей колокольней. Колокольня теперь не существует.

Как декорь интерьера и фасадов, так и целиком эта постройка находит прямых аналогий как в конце XVII века, так и в начале XVIII века.

б. «Церковь Богоматери» в дер. Кошкеби

За деревней на правой стороне реки расположенная церковь тоже претерпела много изменений. Эта однонефная маленькая церковь имела с юга и запада какие-то пристройки. Теперь от них остались только следы.

В церковь вход имеется с юга и запада. Окна расположены по одному с востока, запада и юга.

В интерьере капители пилястр разработаны разными орнаментами. Позже стены были покрыты фресковой росписью, от которой остались лишь незначительные фрагменты.

Фасады церкви облицованы тесанным камнем, без горизонтальных рядов. Крыша и карниз обвалились. Цокол покрыт землей.

Декор фасадов расположен вокруг окон. Лучше всех обработано восточное окно. Здесь над окном на орнаментированном камне находится надпись грузинскими заглавными буквами. Налево от окна находится рельефное изображение ктитора в молитвенной позе.

Церковь по всем данным, вероятно, построена во второй половине X века.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზემო სკრა. კოშკის ჩრდილოეთი ხედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. სოფ. კოშკები. კოშკის დასავლეთი ხედი

2. სოფ. კოშკები „შალიკაშვილების ეკლესია“ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ტფილისი
ბიბლიოთეკა

1. სოფ. კოშკები. „შალიკაშვილების ეკლესია“ სამხრეთ-დასავლეთიდან

2. სოფ. კოშკები. „შალიკაშვილების ეკლესიის“ ინტერიერის პილასტრის ბაზისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. კოშკები. „ზალიკაშვილების ეკლესიის“ კარიბჭე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. კოშკები. „შალიკაშვილების ეკლესიის“ ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სოფ. "კოშკები. „ღვთისმშობლის ეკლესიის" აღმოსავლეთი ფასადი

სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის ეკლესიის“ აღმოსავლეთი ფასადის დეტალი

1. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის ეკლესიის“ დასავლეთი ფასადის სარკმლის დეტალი

2. სოფ. კოშკები. „ღვთისმშობლის ეკლესიის“ სანახრეთი ფასადის სარკმლის დეტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1939 — 1939
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1939

თ. აბრამიშვილი

ნოქალაქევის ბანძი

საქართველოსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ამასთან ერთად ამ ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობაც შეუფერხებლივ ხორციელდებოდა, რასაც მოწმობენ საქართველოს მიწის წიაღში შემონახული იმდროინდელი ბიზანტიური ნუმიზმატიკური ნიშნები, რომლებიც როგორც განძების, ისე ცალკეული ცალების სახით ხშირად ჩნდება არქეოლოგიური გათხრების თუ მიწის სამუშაოების შესრულების დროს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიწა-წყალზე ბიზანტიის თითქმის ყველა კეისრის მიერ მოჭრილი მონეტები არის ნაპოვნ., მაგრამ, ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა კერძოდ კეისარ მავრიკის ოქროს მონეტები, რომლებიც ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების დროს არის აღმოჩენილი.

1930 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის თაოსნობით დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო საყურადღებო ციხე-ქალაქის, ნოქალაქევის (ბიზანტიურ წყაროებში არქეოპოლისის სახელით ცნობილი ქალაქის) არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. ამ სამუშაოს შესასრულებლად საგანგებო კომისია იყო გამოყოფილი, რომელსაც არქეოლოგიური თხრის მიმდინარეობისათვის უნდა ეხელმძღვანელა. გათხრებს, ალბათ, აქაც ისე, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, საყურადღებო შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ თხრა მხოლოდ 1930 წლის სექტემბრიდან 1931 წლის იანვრამდე უწარმოებიათ. შემდეგ ნოქალაქევში არქეოლოგიური სამუშაოები შეწყვეტილა და ოღონდ აღარც განახლებულა. ამიტომ, საფიქრებელია, რომ იქ აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ ნიშნებს შეიძლება კიდევ რაღა დამატებოდა, თუ, რა თქმა უნდა, არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდებოდა. 1930 წლის სექტემბერში, ნოქალაქევში წარმოებული არქეოლოგიური თხრის დროს, „ერთ-ერთ კოშკში, 4 მეტრის სიღრმეზე, დიდი თლილი ლოდების ქვეშ ვიპოვეთ კეისარ მავრიკის (582—602) 23 ცალი ოქროს ფული“[1].

განძი 1931 წელს საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის მეშვეობით შემოსულა და განძების ფონდში №№ 3119—3141-ით არის აღრიცხული.

ნოქალაქევი თავის დროზე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ადგილი ჩანს. ამას მისი ბუნებრივი მდებარეობა და შემდეგ ხელოვნურად გამაგრებაც

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, IV—VII საუკუნეები. თბილისი, 1948, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოდასტურებს. მართლაც, „ქალაქი რამდენჯერმე შემოუზღუდავთ კედლით"[2]. „ქართლის ცხოვრებაშიც" სწორედ ამასვე კეთხულობთ: „...და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი"[3]. კედლები კოშკები ყოფილა ჩადგმული და ერთ-ერთ, სახელდობრ VI, კოშკშია აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო განძი.

წერილობით წყაროებში მოცემული ცნობები ქალაქის კედლებით შემო-ზღუდვის შესახებ ხანმოკლე არქეოლოგიურმა თხრამაც დაადასტურა. ამ სა-მუშაოების დროს ისიც გამოირკვა, რომ ამ კედლების მხოლოდ ნანგრევებია არის შერჩენილი.

ნოქალაქევის ასეთი გამაგრება იმითაც არის გამართლებული, რომ იგი სა-ტახტო ქალაქი ყოფილა, — „ეგრისის პოლიტიკური ცენტრი და მისი მეფეე-ბის საჯდომი — არქეოპოლისი—ნოქალაქევი"[4]. ამ ქალაქს ბერძნებიც არა ნაკ-ლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იქ მათ ჯარიც კი ჰყოლიათ ჩაყენებული.

ქართული წერილობითი წყაროები ამ ქალაქის აშენებას ქუჯი ერისთავს მიაწერენ. „ფარნავაზ[ს]... ერთი დაჲ [მისცა ქუჯის ცოლად]"[5]: დამოყვრების შემდეგ ფარნავაზს ქუჯისათვის ეგრისის გარკვეული ადგილები მიუცია. „მიე-ცა (ქუჯის.—თ. ა.) ქუეყანა ეგრისი[ს] წყალსა და რიონს შუა, ზღვიდგან მთამ-დე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დამატკიცა ერისთავად მუნ, და მან ქუჯი[მ] აღაშენნა ციხე-გოჯი"[6].

ბიზანტიელი მწერლების ცნობებით, ლაზთა სოფლები და ქალაქები მეტ წილად ფაზისის მარჯვენა მხარეს ყოფილა გაშენებული. აკად. ივ. ჯავახიშვი-ლი, ამ ცნობების მიხედვით, არქეოპოლისს ასე მოხაზავს: „რიონის მხარ-მარჯვნივ ლაზიკის უპირველესი და უდიდესი ქალაქი, ძველი ქალაქი (არხაჲ-ოპოლის) მდებარეობდა"[6]. ბიზანტიურ წყაროებში ამ ქალაქის მდებარეობაც არის აღწერილი: „არქეოპოლისი მდებარეობს ერთ მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე, რომელიც ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან ჩამოდის. ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისაკენ რომ გადის; ის, მართალია, მიეუწვ-დომელი არაა, მაგრამ, მისკენ რომ ადიხარ დაბლობის მხრით, ის ადგილი სწორე არ არის. მეორე კარი კი ციცაბო ადგილს გადის და ის ძალიან ძნელი მისასვ-ლელია: ამ კარის წინ ადგილი ბუჩქნარიანია კარგა დიდ მანძილზე"[7]. აკად. ივ. ჯავახიშვილს „ლაზიკაში სხვებზე უფრო თვალსაჩინოდ ძველიქალაქი (არხაჲ-ოპოლის), ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, წიბილი, სკანდა და შორა-პანი"[8] მიაჩნია. ნოქალაქევს ვახუშტი თავისი გეოგრაფიის ტექსტში ციხე-გოჯად თვლის: „სეფაკის ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წო-დებული"[9]. რუკაზედაც ამავე სახელით აქვს დატანილი.

---

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, IV, VII საუკუნე-ები, თბილისი, 1948 გვ. 191.

[3] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბი-ლისი, 1948, გვ. 149_{27}.

[4] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 262

[5] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბი-ლისი, 1948, გვ. 17_{10-14}.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 418.

[7] ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. გამოცემული ს. ყაუ-ჩიშვილის მიერ, ტფილისი, 1934, გვ. 157—158.

[8] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. თბილისი, 1951, გვ 275.

[9] ვაჟუშტი გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 166.

238
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. გ. ჩუბინაშვილმა ნოქალაქევ საგანგებო შრომა („К вопросу о Нокалакеви") უძღვნა. ამ შრომაში მეცნიერი ნოქალაქევს საშუალო საუკუნის ცნობილი ქალაქების (სამშვილდეს, დმანისის, ურბნისის, ვანის, გრეგმის, უფლის-ციხეს) გვერდით აყენებს. ნოქალაქევის სახელწოდების შესახებ კი წერს: ქართული ენის ნორმის საფუძველზე ხმოვანი ასო „ანი" შეცვალა „ონით" და ნაცვლად ნაქალაქევისა მივიღეთ ნოქალაქევი, რამაც ხელი შეუწყო მის სხვა ამ სახელიან ადგილებისაგან განსხვავებას[10]. ამ ჩვენთვის საინტერესო პუნქტს საქართველოს ისტორიულ რუკაზე დაბა-სოფლისა და ციხე-სიმაგრის ნიშანი უზის და აწერია ნაქალაქევი, ციხე-გოჯა[11]. დღეისათვის კი სოფელი ნოქალაქევი, როგორც ის აღნიშნულია თანამედროვე რუკებზე, მდებარეობს ცხაკაიას რაიონში და რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 17 კილომეტრის მანძილზე (ჩრდილო-აღმოსავლეთით).

მოტანილი ცნობები ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, რომ არქეოპოლისი (ახლანდელი ნოქალაქევი) ლაზეთის უძირველესი, უძველესი პოლიტიკური ცენტრი და სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ყოფილა. აქ ქალაქი ან დასახლებული ადგილი ადრეც ყოფილა, რაზედაც ბიზანტიელი მწერლების ცნობებში შემონახული მისი სახელიც მიგვითითებს. ზემოჩამოთვლილი მონაცემების გამო, ნოქალაქევი მუდამ დამპყრობელთა ყურადღების ცენტრში ყოფილა.

ბიზანტიასა და სპარსეთს იბერია-ლაზეთის მიმართ როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ. ხშირად ამ ორი ავრესორის ურთიერთობა ამ მიზნების განხორციელებასთან იყო შეფარდებული.

„ამ ორ მსოფლიო იმპერიას შორის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის ასპარეზს, უმოავრესად, იბერია-ლაზეთის ტერიტორია წარმოადგენდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იბერიასა და ლაზეთს დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. განსაკუთრებით ეს ითქმის ლაზეთზე, რომელსაც მოეპოვებოდა ისეთი მოსაელიანი კუთხეები, როგორიც იყო მუხირისი და ისეთი პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეები, როგორიც იყვნენ შორაპანი და სკანდე, არქეოპოლისი და პეტრა"[12]. ბიზანტიამ ლაზეთის ეკონომიური რესურსები და ვაჭრობის მონოპოლიაც ჩაიგდო ხელში და აქვე შექმნა თავისათვის როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო მოქმედების ბაზები. სპარსეთიც არა ნაკლებ იყო ლაზიკით დაინტერესებული. „მათ (ე. ი. სპარსელებს.—თ. ა.) სურდათ შავზღვაზე გასვლა და სავაჭრო უპირატესობის მოპოვება"[13]. მაგრამ სპარსელების ამ სურვილს წინ ეღობებოდა იბერიაში მათ წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა. გასაგები გარემოების გამო, დრო და დრო ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის დაზავება მაინც ხერხდებოდა. ზავის შემდეგ „ლაზეთი და შავი ზღვის სანაპიროები ბიზანტიას დარჩა. ეტყობა, ბიზანტია სპარსელებისაგან მაინც უზრუნველყოფილად ვერ გრძნობდა თავს და ის ცდილობდა იბერიაშიც შეეჩერებინა სპარსელების

---

[10] Г. Чубинашвили, К вопросу о Нокалакеви, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. XI, 1928/31, გვ. 118.

[11] საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ., აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით.

[12] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, IV—VII საუკუნეები, თბილისი, 1948. გვ. 104.

[13] იქვე. გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაელენა. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მავრიკი კეისრის დროს (591 წლის მახლობლად) იბერია ვიდრე თბილისამდე ბიზანტიელების ხელში ყოფილა"[14]. როგორც ჩანს, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ბრძოლა, მიუხედავად დაზავებისა, მაინც გრძელდებოდა, განსაკუთრებით, არქეოპოლისის გარშემო „რადგან არქეოპოლისს ციხეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროს, როდესაც ირანელების საბოლოო მიზანი იყო შავი ზღვის ნაპირებამდე ჩასვლა (მათი სამშარი ოპერაციის ხაზი იყო როდოპოლის-ტელეფისი, ნესოსი—ფოთი), რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არქეოპოლისის სიმაგრეს, რომელიც ამ ხაზის ზურგში იყო აგებული"[15]. ზემომოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ „არქეოპოლისთან და არქეოპოლისის გარშემო ბრძოლა იყო ბიზანტია-სპარსეთის ომის ერთ-ერთი ძირითად მომენტთაგანი"[16]. ამ ბრძოლაში „ბიზანტიელებმა ორჯერ საშინლად დაამარცხეს სპარსელები. ერთხელ ძველი ქალაქის (არხაᲐოპოლის) მახლობლად, მეორედ ქ. ფოთთან (ფაზისი)"[17]. მართალია სპარსელებმა არქეოპოლისის აღება ვერ მოახერხეს, მაგრამ ალყის შემორტყმა მაინც სცადეს. მერმერო თავის ჯარით „ლაზიკის დედაქალაქს „ძველ-ქალაქს" (არხᲐოპოლის) მიადგა და ალყის შემორტყმას შეუდგა"[18], მაგრამ სპარსელებმა ეს უკანასკნელიც ვერ მოახერხეს. არქეოპოლისი მეოდგად იცავდა თავს, მაგრამ მურვან ყრუს შემოსევა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად არქეოპოლისმაც მწვავედ განიცადა. „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა (და ციხე იგი სამზღუდე. რომელ არს ციხე-გოჯი")[19].

როგორც დავინახეთ, დღევანდელ ნოქალაქევს სამი სახელი ჰქონია: ციხე-გოჯი, არქეოპოლისი და ნოქალაქევი. ციხე-გოჯი ამ ქალაქის უძველესი სახელი უნდა ყოფილიყო. „ჯუანშერი ქალაქს არქეოპოლისს კი არ უწოდებს, არამედ ციხე-გოჯს. ეს სახელწოდება VIII საუკუნეში ვერ გაჩნდებოდა, რადგან მოხრდილ ქალაქს „ციხეს" არავინ უწოდებდა"[20]. მაშასადამე, ციხე-გოჯი შეიძლება იმდროინდელ სახელად ვივარაუდოთ, სანამ მას ბერძნები არქეოპოლისს შეარქმევდნენ. VIII საუკუნეში ამ ქალაქს ისევ ციხე-გოჯის სახელით მოხსენება ხომ არ უნდა მიგვითითებდეს კოლხეთში ბიზანტიური მფლობელობის დამთავრების შემდეგ კვლავ ძველი სახელის აღდგენაზე.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიამ ვაჭრობის საქმეც ჩაიგდო ხელში. განსაკუთრებით მათი ჯარის სარდლები ისე გათამამებულან, რომ ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის უპირატესობაც დაუნარჩუნებიათ. „იოანე ციმა მთელი შავი ზღვის ნავსადგურების აღებ-მიცემობა ძალმომრეობით ხელში ჩაიგდო: არც ბიზანტიელ ვაჭრებს, არც ადგილობრივ მკვიდრთ იგი ერთიერთმანეთისაგან საქონლის

---

[14] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. წიგნი I. IV—VII საუკუნეები, თბილისი. 1948, გვ. 104.

[15] ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბილისი, 1936, გვ. 318.

[16] იქვე, გვ. 61.

[17] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 259—260.

[18] აქვე, გვ. 256.

[19] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 149_{55-58}.

[20] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I. IV—VII საუკუნეები, თბილისი, 1948, გვ. 196

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდეა-გაყიდვის უფლებას არ აძლევდა და მხოლოდ თითონ ყიდულობდა ყველაფერს. შემდეგ კი, როგორც ამისი ნება იყო, იმ ფასად ჰყიდდა"[21]. ბიზანტიის მმართველობამ ისე შეაწუხა ლაზები, რომ სპასელებსაც კი მიმართეს შველისათვის. „მაგრამ სპასელების მიერ ქრისტიანობის დევნამ და ლაზიკის ბიზანტიაზე მოწყვეტამ, რომელთანაც იგი ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებული იყო, ხალხს თვალი აუხილა და დაანახვა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ მას აღებ-მიცემობის უმთავრესი წყარო დაუწყვიტა და სარგებლობის მაგივრ ხიანს უქადდა"[22]. ლაზები მალე იმაშიაც დარწმუნდნენ, რომ ისინი პოლიტიკურადაც მოტყუვდნენ, რადგან „პოლიტიკურადაც სპასელების მთავრობა ბიზანტიის მთავრობაზე გაცილებით უფრო მკაცრი და მედგარი იყო"[23].

ამ ორ დამპყრობელთა გაელენაში მყოფ ქართველებს არც ბერძნები დაარც სპასელები ეხატათ გულზე: „ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო"[24]. საქართველოსათვის კი გაუთავებლად იყო ცილობა, რადგან მასზე, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, სავაჭრო გზაც გადიოდა.

„დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობას ამ დროს ორი მთავარი სავაჭრო გზა ჰქონდა: ერთი იყო სამხეთისა და სომხეთის ქალაქს დვინში მიდიოდა"; „...მეორე, და მთელი საქართველოსათვის უმთავრესი, სავაჭრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისაკენ მიდიოდა და იქ მოჰქონდათ უცხოეთიდან. მეტადრე ბიზანტიიდან სავაჭრო საქონელი და იქვე ყიდულობდნენ ბიზანტიელი ვაჭრები ადგილობრივ ნაწარმოებსა და საქონელს"[25].

ამ ცხოველ სავაჭრო ურთიერთობასაც უნდა შეეწყო ხელი საქართველოში ბიზანტიური ფულების არსებობისათვის. ცნობილია, რომ ფულის განძად შენახვა სხვადასხვა გარემოების გამო ხდებოდა. შესაძლებელია ჩვენ აქ შემოსეული შედეგად გამოწვეულ შიშიანობასთან გვქონდეს საქმე, მით უმეტეს ფულის შენახვის ასეთი წესი კიდეც არსებული: „წარჩინებულნი ჰფლავდეს ქუეყანათა შინა განძთა მათთა, რათა რაჟამს გამოვიდენ ჰპოონ განძი იგი და არღარა ნახონ ჭირი ნაღებისა"[26]. მოთავდებოდა თუ არა შემოსევები, შენახულ სიმდიდრეს უკანვე იღებდნენ და ომით გამოწვეულ გაჭირვებას ისე მწვავედ აღარ განიცდიდნენ. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ფულის შემნახველი იღუპებოდა ან კიდევ განძის დაფვლის ადგილს ვეღარ მიაკვლევდა, და საფიქრებელია, რომ ჩვენამდე სწორედ ამგვარმა ფულადმა განძებმა მოაღწიეს.

ამრიგად, საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობისა და არქეოპოლისის მნიშვნელობის გათვალისწინებით შეეცადეთ მკითხველისათვის წარმოდგენა მიგვეცა იმის შესახებ, თუ რატომ იყო განძი არქეოპოლისში შენახული. განვიხილოთ თვით განძი.

---

[21] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 248—249.

[22] იქვე, გვ. 251.

[23] იქვე, გვ. 251.

[24] იქვე, გვ. 270.

[25] იქვე, გვ. 248.

[26] მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ექვთინე თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, განძი 1930 წელს ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების დროს იყო აღმოჩენილი. იგი მხოლოდ და მხოლოდ მავრიკი კეისარის ოქროს მონეტებისაგან შედგება. მავრიკი კეისარი კაბადოკიელი იყო, კაბადოკიის ქ. არაბისაში დაბადებული, ტიბერიოს კეისრის ჯარების სარდალი. ტიბერიოსმა მას სიკვდილის წინ კეისრობა დაუმტკიცა და თავის ქალიც მისცა ცოლად. მავრიკიმ სიმამრის პატივსაცემად თავის სახელს ტიბერიოსი დაუმატა და იგი მავრიკი-ტიბერიოსის სახელითაც არის ცნობილი; მისი მონეტების მეტ ნაწილზე ეს სახელია აღბეჭდილი. განსახილველი განძი სწორედ ამ მავრიკი-ტიბერიოსის მონეტებისაგან შედგება.

ნუმიზმატიკური მასალა ერთ-ერთი ფაქტია, რომელიც ქვეყანათა შორის არსებულ ეკონომიურ ურთიერთობაზე მეტყველებს. ნოქალაქევის განძი ამ რიგის ძეგლი უნდა იყოს.

არქეოლოგიური სამუშაოების დროს, გარდა მონეტებისა, ნაპოვნი ყოფილა ბრინჯაოსა და რკინის ნივთები და ფრაგმენტები. აგრეთვე თიხისა და შუშის ჭურჭელი და ნატეხები.

ზემოთქმულის თანახმად განძში თავმოყრილი მონეტები მავრიკი-ტიბერიოსს განეკუთვნება და მათი თარიღი 582—602 წლებით განისაზღვრება. მონეტებზე აღბეჭდილი ზედწერილის საშუალებით აგრეთვე ირკვევა, რომ ისინი კონსტანტინოპოლშია მოჭრილი; ზედწერილშივეა მოცემული ლითონის ხარისხი და ზარაფხანის სახელოსნოს ნომერი.

მონეტები ჩვენ ზარაფხანის ნომრის აღმნიშვნელი რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასოების მიხედვით დავანაწილეთ. აღმოჩნდა, რომ განძში მოთავსებული ნუმიზმატიკური ნიშნები კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მე-4, 6, 8, 9, 10 სახელოსნოშია მოჭრილი. ამ თვალსაზრისით განხილული ნოქალაქევის განძი შემდეგ სურათს იძლევა: მეოთხე სახელოსნოდან ათი მონეტა არის გამოსული; მეექვსედან—რვა მონეტა; მერვედან—ორი; მეცხრედან—ორი, ხოლო მეათედან კი ერთი მონეტა.

სხვადასხვა სახელოსნოდან გამოშვებული მონეტები ერთმანეთისაგან ზოგიერთი დეტალით (სფერო, გვირგვინი, ვარსკვლავი) განსხვავდებიან. ჩანს, ზარაფხანას, გარდა იმისა, რომ მონეტას ნიშანს ასვამდა, ატრიბუტებშიც შეჰქონდა სხვაობა. ამის მიზეზი უმთავრესად სხვა ხელოსნის მიერ დამზადებულ სიქაში უნდა ვეძებოთ, თუმცა ხელოსანი უკვე დადგენილი ტიპის შტამპს ამზადებს, მაგრამ მას იგი ზუსტად აღარ იმეორებს ან კიდევ შეიძლება გამოუცდელი ხელოსანი ახალი ბეჭდის დამზადების დროს ადრე მიღებული ნიმუშის ზუსტ განმეორებას ვეღარ ახერხებდა და მხოლოდ მისი უბრალო შეცდომითაც იყო გამოწვეული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არც ნუმიზმატიკური ფონდებისა და არც სპეციალური ლიტერატურის მიხედვით არ მოგვეპოვება ისეთი მასალა, რომელიც განძის დამუშავების დროს შესადარებლად და სათანადო დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარებოდა.

გადავდიეართ თვით მონეტების აღწერაზე. განძი მთლიანად ერთი (სოლიდი) ნომინალისაგან შედგება.

1. 3119[27], დიამეტრი =21/22 მმ, წონა = 4,28 გ.

---

[27] პირველი რიცხვი რიგითი ნომერია, ხოლო მეორე განძის ფონდის საინვენტარო ნომერი; საინვენტარო ნომერს თვით ფონდის დასახელება მოსდევს.

339
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუბლი: ულვერო მეფის ბიუსტი პირდაპირ. თავზე ადგია თვლებით შემკული მუზარადი, რომელსაც დიადემა აქვს შემოხვეული. დიადემიდან აქეთ-იქით ბოლოში თითო თვალით შემკული ორ-ორი ტოტია დაშვებული. სამხედრო სამოსით არის შემოსილი. ზეაღმართულ მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უჭირავს. მარცხენა ხელი დაფარულია (ფარი უნდა ეჭიროს). მარჯვენა მხარეს ექსპერმიანი ვარაკელია. შემოწერილია მარცხნივ ONMAVRI, მარჯვნივ—TIBPAVG მთელი ზედწერილი ხუთი დაუმთავრებელი სიტყვისაგან შედგება: Dominus noster Mauricius -Tiberius perpetuus augustus [28]. მაი ქართული წესატყვისია: ჩვენი უფალი მავრიკი—ტიბერიოსი მუდმივ ამაღლებული. პირველი ორი სიტყვა თითო ასოთია აღბეჭდილი, მესაძე სიტყვა—რვა ასოთი, მეოთხე სიტყვა—ორი ასოთი, მეხუთე სიტყვა—სამი ასოთი. ზედწერილის პირველი ასო D მსგავსია O-ს. ირგვლივ სასოვანი ამაღლებული რკალის მხოლოდ ქვემო ნაწილია შერჩენილი.

ზურგი: ფრთოსანი გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორია (VICTORIA) მთელი ტანით პირდაპირ. ხიტონითა და პეპლოსით აოის შემოსილი. მარჯვენა ხელში უჭირავს გრძელბენიანი ჯვრიხი, რომელიც ქრისტეს მონოგრამით მთავრდება, მარცხენაში კი ჯვრიანი სფერო. სფეროს ქვემოთ ექსპერმიანი ვარსკვლავია. შემოწერილია მარცხნივ VICTORIA, მარჯვნივ—AVCCA. ზედწერილი ერთი დასრულებული, ერთი დაუსრულებელი სიტყვისა და ერთი რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასოსაგან შედგება. ზედწერილი ასე იკითხება: Victoria Augustorum[29], ე. ი. იმპერატორს გამარჯვება. რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასო Δ=4-ს (კონსტანტინოპოლის ზარაფთანის მეოთხე სახელოსნოს უნდა ნიშნავდეს). მონაკვეთის ქვემოთ—CONOB. ეს კი ორი დაუსრულებელი სიტყვისაგან შედგება, რომელიც ასე იხსნება Constantinopolis opryzum[30], ე. ი. კონსტანტინოპოლის სუფთა ოქრო. ირგვლივ ოდნავ ამოწეული რკალის ქვედა მაარეა შერჩენილი.

განში—№№ 3120, 3121, 3122, 3127, 3129, 3130, 3131, 3132, 3139. დიამეტრი 21/22, 22/23, 21, 21/22, 21, 22/23, 21/22, 21/22, 21/22. მმ წონა 4,28, 4.26, 4,28, 4,28, 4,28, 4,29, 4,28, 4,25, 4,25, 4.30 გ. ეს ჩამოთვლილი ცხრა მონეტა, გამოსახულების, შემკულობისა და დამწერლობის მიხედვით, იგივეა, რაც № 3119, ხოლო წონა-ზომაში მათ შორის ისეთი უმნიშვნელო განსხვავებაა, როგორიც თითქმის ყოველთვის არსებობს ერთი რიგის მონეტებს შორის. აღსანიშნავია, რომ № № 3130, 3132 მონეტებზე ზურგის ზედწერილის მარჯვენა მხარე გაცვეთილია და რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასო აღარ ჩანს, მაგრამ როგორც გარეგნულად, ისე დამწერლობის თვალსაზრისითაც № 3119-ისაგან არ განსხვავდებიან. ამიტომ ეს ორი მონეტაც ამავე მეოთხე სახელოსნოს პროდუქციად მიეჩინეთ და ან ჯგუფში მოვაქციეთ. ვ. ვროტს[31] თავისი კატალოგის ტაბულაზე ასეთი მონეტა არ აქვს მოცემული, ხოლო ტექსტში კი აქვს აღნიშნული. ი. ტოლსტოის[32] ჩვენ მიერ აღწერილი მონეტის მსგავსი მონეტა აქვს გამოცემული, მაგრამ იგი პირველ სახელოსნოშია მოკრილი.

---

[28] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, გვ. 509.
[29] იქვე, გვ. 17.
[30] იქვე, გვ. 22.
[31] W. Wroth, Catalogue of the Imperial Byzantine coins in the British Museum, vol. I, London, 1908, გვ. 128, № 5.
[32] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, ტაბ. 35, № 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 3123, დიამეტრი=21 მმ, წონა=4, 19 გ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე, იმ განსხვავებით, რომ აქ გამოსახულება უფრო პატარაა, შესაბამისად მუზარადი უფრო დაბალია და ოდნავ განსხვავებული. სფერონზე მოთავსებული ჯვარი უფრო დიდია. ვარსკვლავი მსგავლი წერტილის მსგავსია. ირგვლივ ამოწეული რკალის მარჯვენა და ზემო ნაწილია შერჩენილი.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე. გამოსახულება უფრო პატარაა. კვერთხი უფრო მოკლეა. უფრო პატარაა ჯვრიანი სფერო და ვარსკვლავიც. ზედწერილი სრულიად იგივეა, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობის ასო S=6-ს (კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მეექვსე სახელოსნო). ირგვლივ ოდნავ ამოწეული რკალი, რომლის მარცხენა ქვემო და ზემო ნაწილი გაცვეთილია.

განაში—№№3124, 3125, 3126, 3128. დიამეტრი 21/22, 22, 21/23, 19/22 მმ. წონა 4,28, 4,29, 4,29, 4,30 გ. ოთხივე მონეტა ისეთივეა, როგორიც № 3123-ზე, თუმცა № 3125 მონეტას ზურგის ზედწერილს ის ნაწილი აკლია, სადაც სახელოსნოს ნომრის აღმნიშვნელი ასო უნდა იყოს აღბეჭდილი; მაგრამ მისი გარეგანი სახე, მათ ერთგვარობაზე მიგვითითებს და ამიტომ ეს მონეტაც S სახელოსნოში მოჭრილ მონეტათა ჯგუფში მოვათავსეთ. ი. ტოლსტოის[33] თავის ნაშრომში, მართალია, მეექვსე სახელოსნოში მოჭრილი მონეტა აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ უვარსკვლავო. ფ. სოლს[34] თავის წიგნში ასეთი მონეტა აქვს გამოქვეყნებული.

3. 3134, დიამეტრი=21/22 მმ, წონა=4,25 გ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 3123-ზე, იმ განსხვავებით, რომ გამოსახულება უფრო დიდია. მუზარადიც უფრო დიდია. ექვსქიმიანი ვარსკვლავიც აგრეთვე დიდი და მკვეთრად აღბეჭდილია. გარშემოვლებული წერტილების რკალის ზემო ნახევარიღა მოჩანს.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 3123-ზე. გამოსახულება უფრო დიდია. კვერთხი უფრო გრძელია. სფერო და მის ქვემოთ აღბეჭდილი ვარსკვლავი დიდია და სფეროზე თითქმის გადაბმული. სახელოსნოს ნომრის აღმნიშვნელი ასო S-ის ნაცვლად არის G=6. გარშემოვლებული რკალის მარჯვენა ნახევარია შერჩენილი. ეს ორი (№№ 3123 და 3134) მონეტა ორივე მეექვსე სახელოსნოს გამოშვებულია, მაგრამ № 3123-ზე, როგორც დავინახეთ, ლათინური ასოთია აღნიშნული სახელოსნოს ნომერი, ხოლო ჩვენი განძის ყველა დანარჩენ მონეტაზე კი ბერძნული ანბანით არის აღბეჭდილი. შესაძლებელია, № 3123-ზეც სწორედ სიგმა უნდოდათ აღებეჭდათ და შეცდომით, ალბათ, „სექსი“ გამოუვიდათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში S, რომელიც 200 უდრის. მართალია, ბიზანტიელ იმპერატორებს ბევრგან და ბევრი ზარაფხანა ჰქონდათ, მაგრამ 200, ვფიქრობ, მაინც არ უნდა ჰქონოდათ.

განაში — სიგმით აღნიშნული სახელოსნოდან გამოსულია აგრეთვე №№ 3133, 3135 მონეტები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან № 3134 მონეტისაგან და ამ ჯგუფში მოვაქციეთ.

4. 3136, დიამეტრი=21/22 მმ, წონა=4,27 გ.

---

[33] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, зз. 513, № 20, ტაბ. 35, № 20.

[34] F. Saulcy, Essai de classification des suites monétaires Byzantines, Metz, 1836, ტაბ. IV, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 3123-ზე, მაგრამ სხვა შტამპით არის მოჭრილი. მიუხედავად ამისა, განსხვავება მათ შორის ისეთი უმნიშვნელოა, რომ მისი აღნიშვნა საჭიროდ არ მიგვაჩნია. გარშემოვლებული რკალის მარჯვენა ნაწილი მოჩანს.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 3123-ზე, იმ განსხვავებით, რომ გამოსახულება უფრო დიდია. დიდია აგრეთვე სფეროც. წარწერის მარჯვენა ნაწილი გაცვეთილია, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასო Н=8 (კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მეოთხე სახელოსნო), მსხვილი გაცვეთილი წერტილების რკალის მარცხენა და ქვედა ნაწილია შერჩენილი. ამავე სახელოსნოს გამოშვებაა № 3141 მონეტა, რომლის დიამეტრი=22 მმ, წონა=4,25 გრამია და არაფრით არ განსხვავდება № 3136-ისაგან.

3. ვროტს[35] მსგავსი მონეტები ტექსტში აქვს მოხსენიებული, ხოლო ტაბულაზე დატანილი არა აქვს. ი. ტოლსტოის[36] ამავე სახელოსნოს უვარსკვლავო მონეტა აქვს გამოქვეყნებული.

5. 3140, დიამეტრი=22 მმ, წონა=4,25 გ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე, იმ განსხვავებით, რომ გამოსახულება უფრო დიდია. მუზარადი ოდნავ განსხვავებულია და უახლოვდება № 3122-ისას. ვარსკვლავი პატარაა. სფეროზე აღმართული ჯვარი უფრო მოზრდილია. გაცვეთილი მსხვილი წერტილების რკალის მარცხენა და ქვემონაწილია შერჩენილი.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე. მაგრამ გამოსახულება უფრო პატარა არის. უფრო პატარა არის აგრეთვე სფერო და მის ქვემოთ აღბეჭდილი ვარსკვლავი. უფრო მოკლეა კვერთხი. ზედწერილში რიცხვითი მნიშვნელობის ასო Q=9 არის (კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მეცხრე სახელოსნო). ირგვლივ გაცვეთილი მსხვილი წერტილების რკალის მარჯვენა და ქვემო ნაწილია შერჩენილი. ამავე სახელოსნოს გამოშვებაა № 3137 მონეტა, რომლის დიამეტრი 21/22 მმ უდრის, წონა 4,22 გრამია, და ისეთივეა, როგორიც № 3140. ვ. ვროტს[37] ამგვარი მონეტა აქვს გამოცემული. ი. ტოლსტოის[38] მიერ მოხსენიებულ ამავე სახელოსნოს გამოშვებულ მონეტას არც შუბლზე და არც ზურგზე ვარსკვლავი არ გააჩნია.

6. 3138, დიამეტრი=22 მმ, წონა=4,23 გ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე. მუზარადი ოდნავ განსხვავდება. ვარსკვლავი უფრო პატარაა. ნაპირები მეტ-ნაკლებადაა შემოცვეთილი და ამის გამო მარცხნივ განლაგებული ზედწერილის მხოლოდ ბოლო სამი — VRI ასოა შერჩენილი. გარშემოვლებული რკალის მარცხენა და ქვემო ნაწილი გაცვეთილია.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 3119-ზე, მაგრამ უფრო პატარაა. შესაბამისად, ჯვრიანი სფერო და ვარსკვლავი აგრეთვე პატარაა. ზედწერილში რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასო I=10 (კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მეათე

---

[35] W. Wroth, Catalogue..., vol. I, L., 1908, გვ. 129, № 11; გვ. 155, № 273.

[36] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, გვ. 514, № 24, ტაბ. 35, № 24.

[37] W. Wroth, Catalogue..., vol. I, L., 1908, გვ. 129, № 12; გვ. 155, № 274, 275, ტაბ. XIX, № 15.

[38] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, გვ. 514, № 27, ტაბ. 36, № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოში მოპრილი უნდა იყოს). გარშემოვლებული რკალის ფრაგმენტი ქვემო ნაწილია შერჩენილი. ე. ვროტმ[39] ამ სახელოსნოს გამოშვებული მხოლოდ უვარსკვლავო მონეტა აქვს გამოცემული. ი. ტოლსტოის[40] კი ორი მონეტიდან ერთი ვარსკვლავიანი, ხოლო მეორე უვარსკვლავო აქვს გამოქვეყნებული.

აქვე გვინდა მოვიხსენიოთ მეათე სახელოსნოს გამოშვებული მონეტა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის მონეტების ფონდში 73 ნომრით არის აღრიცხული. შუბლი ამ მონეტისა, განაში მოთავსებულ ამავე სახელოსნოში მოპრილ და საერთოდ ყველა მონეტასთან შედარებით. განსხვავებულ სახეს იძლევა.

ფ. 73 ბიზ., დიამეტრი=21 მმ, წონა=4,41 გ.

ამ მონეტაზე მეფე განსხვავებული სამოსითა და გვირგვინით არის შემოსილი. მონეტის არეზე ვარსკვლავი არ არის. დამწერლობის სტილში და ასოთა როდენობაში სხვაობა ჩანს: ნაცვლად ONMAVRI TIBPPAVG აღბეჭდილია DNMAVRIC TIbERPPAVG. ამ უკანასკნელში, როგორც ვხედავთ, მეფის სახელი სრულად არის აღბეჭდილი და თავისუფლად იკითხება, ხოლო დანარჩენი ოთხი (Dominus noster perpetuus augustus) სიტყვა ისევეა დაქარაგმებული როგორც № 3138 მონეტაზე. ირგვლივ მსხვილი წერტილების რკალი ნაწილობრივ გაცვეთილია. რაც შეეხება ამ მონეტის ზურგს, მასზე მოთავსებული გამოსახულება თავისი შეჭყლეტილობით ისეთივეა, როგორიც № 3138-ზე, ბაგრამ მასთან შედარებით უფრო დიდი ზომისაა და მსხვილი ხაზებით არის აღბეჭდილი. მონეტის არც ამ მხარეზეა ვარსკვლავი. ირგვლივ მსხვილი წერტილების რკალია. ამრიგად, მოხსენიებული მონეტა ზემოჩამოთვლილი განმასხვავებელი ნიშნების გამო შეიძლება სხვა ტიპად მივიჩნიოთ. ი. ტოლსტოის[41] ასეთი მონეტა გამოცემული აქვს, მაგრამ აღწერილობითა და თანდართულ სურათით ირკვევა, რომ მის მიერ გამოქვეყნებულ მონეტას № 73 მონეტასთან თითქოს ყველაფერი საერთო აქვს, მხოლოდ ი. ტოლსტოის მიერ გამოცემული მონეტის შუბლის ზედწერილის ასოთა განლაგება იმ ნაწილში, სადაც მეფის სახელია მოთავსებული, განსხვავებულ შინაარსს იძლევა, ე. ი. იმპერატორის სახელის შემდგენელმა ასოებმა ადგილი გადაინაცვლეს; ნაცვლად ნავრიკისა პირველ რიგში ტიბერიოსის სახელია აღბეჭდილი, ზურგზე კი მთლოდ სახელოსნოს ნომრის აღმნიშვნელ ასოშია სხვაობა. ზედწერილის სხვაობა ერთსა და იმავე ტიპის მონეტებზე შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ისინი ერთმანეთის ვარიანტებს წარმოადგენენ, ან კიდევ იმით, რომ სხვადასხვა სახელოსნოში მოპრილნი არიან. მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენს განაში თაემოყრილი მონეტები ექვსი სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმია, მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებითი განსხვავება არ ჩანს. მავრიკის ამგვარი ზედწერილიანი მონეტა მხოლოდ მისი მეფობის (როგორც ვიცით ტიბერიოსსა იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს გაამეფა) დასაწყისში რომ გვხვდებოდეს, მაშინ შეიძლება გვეფარაუდა, რომ მავრიკმა თავის მონეტაზე ასეთი ზედწერილი ტიბერიოსის პატივსაცემად აღაბეჭდინა, მაგრამ ამგვარი წარწერა გვიან, მავრიკის მეფობის მე-12,

---

[39] W. Wroth, Catalogue..., Vol. I. L., 1908, გვ. 129, № 13,14, გვ. 155, № 276, ტაბ. XVII, № 3.

[40] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, გვ. 514, № 30, გვ. 515, № 31, ტაბ. 36, №№ 30, 31.

[41] იქვე, გვ. 510, ტაბ. 35, №№ 4 და 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-18, მე-19 წლებში[42] მოპრილ მონეტებზეც გვხვდება. იმ დროისათვის ტიბერიოსი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილია. საფიქრებელია, რომ აქ ძველად ღამზადებული სიქის ხელახალ გამოყენებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ გამზადებული სიქის წარწერის შინაარსს თარიღის ამოკვეთის დროს ყურადღება არ მიაქცია და მიეიღეთ ერთი ტიპის ორი სხვადასხვა ვარიანტი.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი სპეციალური ლიტერატურითა და ფაქტიური მასალით დასტურდება, რომ ბიზანტიის კეისრები ფულს, გარდა კონსტანტინოპოლისა, სკრიდნენ ძილაწში, რავენაში, რომში, ლიონში, ანტიოქიაში, ნიკომედიაში, ალექსანდრიაში, აკვილიაში, კიზიკში და სირმიუმში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მავრიკი-ტიბერიოსის მონეტები ყველა ჩამოთვლილი ზარაფხანის მიერ გამოშვებული გვხვდება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში მისი სახელით კონსტანტინოპოლში, ანტიოქიასა და კიზიკში მოპრილი მონეტებია დაცული.

ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურით აგრეთვე ისიც გამოირკვა, რომ მავრიკის თვისი კეისრობის დროს 34 სხვადასხვა ტიპისა და ვარიანტის (ოქროსი 10, ვერცხლის 8, სპილენძის 16) მონეტა მოუპრია. ტიბერიოსს ოთხწლიან მეფობაში 26 ტიპის ფული მოუპრია (ოქროსი 4, ვერცხლისა 1, სპილენძისა 21); ფოკამ 8 წლის განმავლობაში 20 ტიპისა და ვარიანტის (ოქროსი 7, ვერცხლისა 3, სპილენძისა 10) ფული მოპრა. როგორც ჩანს, ბიზანტიის ნუმიზმატიკაში სამონეტო ტიპის შეცვლა არაფერს არაჩვეულებრივს არ წარმოადგენდა, მაგრამ მაინც საინტერესო არის, რასთან იყო დაკავშირებული მონეტის ტიპის ასე ხშირი ცვლა. შესაძლებელია, ეს გარემოება იმით აიხსნას, რომ იმ მრავალ ზარაფხანაში ფულიც ბევრი იპრებოდა, რის გამოც სიქა ცვდებოდა და ყოველი ახალი სიქის დამზადების დროს, სავარაუდოა, მიღებულ ტიპში პატარ-პატარა ცვლილებები ხდებოდა, რაც საბოლოო ჯამში ახალ ტიპს ან ვარიანტს იძლეოდა. ჩვენი ეს სავარაუდო მოსაზრება შეიძლება ვარიანტებს მიუდგეს, ხოლო ჩვენს განკარგულებაში არსებული ლიტერატურით შესაძლებლობას მოკლებული ვიყავით, გამოგვერკვია ნამდვილი მიზეზი, რა გარემოებაში ხდებოდა მონეტის ტიპის შეცვლა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაცული მავრიკი-ტიბერიოსის 37 ცალი მონეტა ექვსი სხვადასხვა ტიპისაა. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტიური მასალისა და სპეციალური ლიტერატურის საშუალებით ისიც გამოირკვა, რომ თარიღი და ზარაფხანის ნიშანი მავრიკის ყველა მონეტაზე აღბეჭდილი არ არის; ალბათ, ესეც მტკიცე წესად არ ყოფილა მიღებული. მაგალითად, სოლიდზე თარიღი არ არის აღნიშნული, სამაგიეროდ ზარაფხანის ნომერია აღბეჭდილი, ხოლო სემისზე და ტრემისზე არც თარიღი და არც ზარაფხანის ნომერია აღბეჭდილი. ასევე არ არის ვერცხლის მონეტებზე არც თარიღი და არც ზარაფხანის ნომერი; რაც შეეხება სპილენძის ფულს, მასზე აღბეჭდილია როგორც ნომინალი და თარიღი, ისე ზარაფხანის ნომერი; ანალოგიური მდგომარეობაა ტიბერიოსისა და ფოკას სამონეტო სისტემაში. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ინდიქტიონი ზოგჯერ მეფობის წლებს არ ემთხვევა. ცნობილია, რომ მავრიკის მეფობა ოცი წლით განისაზღვრება, მაგრამ მის ზოგიერთ მონეტაზე 21-ე[43] წელია აღბეჭდილი. ალბათ, აქ

[42] И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ, 1913, გვ. 534, № 152; გვ. 535. №№ 154, 155.

[43] იქვე, გვ. 543, № 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოსნის მექანიკურ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. როგორც უკვე ვნახეთ, მავრიკის მონეტების უმეტეს ნაწილს მავრიკი-ტიბერიოსის სახელი აწერია, მაგრამ ზოგიერთ მონეტაზე და განსაკუთრებით იმ მონეტებზე, რომლებზედაც მავრიკისთან ერთად მისი თანამეცხედრე და ძეა გამოსახული, მხოლოდ მავრიკის[44] სახელია აღბეჭდილი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნოქალაქევის განძი მხოლოდ სოლიდებისაგან შედგება, ამიტომაც ჩვენ მოსკოვის ისტორიული და სახვითი ხელოვნების მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებზე მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მავრიკი-ტიბერიოსის იმ მონეტებს, რომლებიც ნოქალაქევის განძისაგან განსხვავებულ ნომინალებს (სემისი, ტრემისი) წარმოადგენენ. ასეთებია სახვითი ხელოვნების მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდის №№ 942, 945, 3699 და ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდის №29. აქედან ორი სემისია და ორიც ტრემისი. ჩვენთვის სწორედ ეს ნომინალები უფრო საინტერესო იყო, რადგან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტს ამ ნომინალის მონეტები არ მოეპოვება. ეს მონეტები გარეგნულადაც განსხვავდებიან სოლიდისაგან. მოგვაქვს მათი აღწერილობა.

8. 942, დიამეტრი=16,7 მმ, წონა=1,421 გ. ტრემისია.

შუბლი: კეკრის ბიუსტი მარჯვნივ. თავზე დიადემა, რომლის უკან ლაგამშეებული და შეკრული ტოტები ჰაერში ფრიალებს. შემოსილია საჰხეფრო სამოსით, რომელიც მარჯვენა მხართან არის შეკინძული. შემოწერილია მარცხნივ DNTIBE, მარჯვნივ RIPPAVG. ზედწერილი სუთი დაუმთავრებელი სიტყვისაგან შედგება. პირველი და მეორე სიტყვა (დასაწყისი) თითო ასოთია აღბეჭდილი, მესამე — ექვსი ასოთი, მეოთხე — ორი (პირველი და მესამე) ასოთი, მეხუთე სიტყვა კი სამი პირველი ასოთია აღბეჭდილი. მისი აღდგენა ასე შეიძლება Dominus noster Tiberius perpetuus augustus; ქართული შესატყვისი: ჩვენი უფალი ტიბერიოსი, მუდმივ აღზევებული. გარშემოვლებული რკალის მარჯვენა ნაწილია შერჩენილი.

ზურგი: ცენტრში ჯვარი. ირგვლივ შემოწერილია VICTOR MAVRAV. ზედწერილის გახსნა ასე შეიძლება: Victorimavrici augustus, ე. ი. მავრიკ იმპერატორის გამარჯვება. მონაკვეთის ქვემოთ conob-Constantinopolis obryzum; ქართული შესატყვისი: კონსტანტინოპოლის სუფთა ოქრო. გარშემოვლებული რკალის ქვედა ნაწილია შერჩენილი.

9. 945, ტრემისი, დიამეტრი=17,1 მმ, წონა=1.465 გ.

შუბლი: ისეთივე, როგორიც № 942-ზე, იმ განსხვავებით, რომ ზედწერილი ნაცვლად DNTIBERIPPAVG არის DNMAVRIC TIBEPPAVG. გარშემოვლებული რკალის ზემო და ქვემო ნაწილი გაცვეთილია.

ზურგი: მარჯვნივ მიმავალი ფრთოსანი ვიქტორია (VICTORIA), გამარჯვების ქალღმერთი, რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა ხელში გვირგვინი უნდა ეჭიროს; მარცხენაში კი ჯვრიანი სფერო, სფეროს ქვემოთ ჯვარია. შემოწერილია—victoria augustorum, ე. ი. იმპერატორების გამარჯვება. მონაკვეთის ქვემოთ—CONOB—Constantinopolis obryzum—კონ-

---

[44] И. И. Толстой, Византийские монеты, вып. V, СПБ. 1913, იქვე, გვ. 566—569; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის ბიზანტიური ფულის ფონდი, № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანტინოპოლის სუფთა ოქრო. ირგვლივ შემოვლებულია მსხვილი ხაზოვანი რკალი.

10. 3699, სემისი. დიამეტრი=19 მმ, წონა=2,154 გ.

შ უ ბ ლ ი: ისეთივე, როგორიც № 945, მაგრამ სხვა შტამპით არის მოჭრილი. ნაცვლად DNMAVRICTIBEPPAVG არის DNMAVRICIPPAVG. გარშემოვლებულია გაცვეთილი მსხვილი წერტილების რკალი, რომლის მარჯვენა ნახევარი არა ჩანს.

ზ უ რ გ ი: ისეთივე, როგორიც № 945, იმ განსხვავებით, რომ უფრო ფაქიზი ნამუშევარია. მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს; მარცხენა ხელით კი ჯვრიანი სფერო. შემოწერილია მარცხნივ—VICTOPI მარჯვნივ—AAVCC. გაცვეთილი მსხვილი წერტილების რკალიდან მარჯვენა ნაწილია შერჩენილი.

№ 29 მონეტა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც № 942. უკანასკნელი ოთხი მონეტის შუბლი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ნომინალებია, ერთისა და იმავე სახისაა, და მოსალოდნელი იყო, რომ ამ მონეტებს ზედწერილებიც ერთნაირი ექნებოდათ, მაგრამ მხოლოდ №№ 942, 29-ზეა ერთი და იგივე ზედწერილი აღბეჭდილი. ალბათ, ეს ორი მონეტა ერთი და იმავე შტამპითაა ჭრილი. № 945 და № 3699 მონეტების ზედწერილები განსხვავდება წინა ორი მონეტის წარწერებისაგან, მაგრამ ამავე დროს ამ ორი უკანასკნელის ზედწერილები თავის მხრივ ერთმანეთისაგანაც განსხვავდება და ამრიგად ერთმანეთის ვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

რაც შეეხება № 945 და № 3699 მონეტებს, ზურგი ერთნაირი აქვთ; წარწერაც შინაარსობრივად ორივე მონეტაზე ერთი და იგივეა, მაგრამ № 945-ზე წარწერა სრულდადა აღბეჭდილი, ხოლო № 3699-ზე კი ნაწილობრივ დაქარაგმებულია. ესენიც ერთმანეთის ვარიანტები უნდა იყვნენ. № 942 მონეტის ზურგი განსხვავებულია № 945 და № 3699 მონეტებისაგან როგორც გამოსახულებით, ისე ზედწერილით. ამრიგად, № 942 მონეტის ზურგი სხვა ტიპისაა. ასეთივე გარეგნობის ვერცხლის მონეტა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის ბიზანტიის ფონდში № 392-ით არის დაცული, მაგრამ ჩვენ მას აქ მხოლოდ მოვიხსენიებთ და მისი დაწერილებითი შესწავლა ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

ამრიგად, ჩვენი განძის შემადგენლობა თავისი ზედწერილის მიხედვით და ის არქეოლოგიური მასალა (უმთავრესად კერამიკა), რომელიც განძის პოვნის მიდამოებშია აღმოჩენილი, ზუსტ თარიღზე მიგვითითებს. „განათხარი კერამიკაც VI საუკუნეს არ სცილდებოდა, ე. ი. კოშკი ჩანგრეული VI საუკუნის გასულს“[45]. ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ VI საუკუნის კერამიკა, მაგრიკის მონეტები და ის ისტორიული მოვლენები, რომლებიც იმ დროს არქეოპოლისის ირგვლივ ხდებოდა, შესაძლებლობას გვაძლევს ვიფარაუდოთ, რომ განძი VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში იყო დაფლული.

ჩვენს ნაშრომს ახლავს სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული და კაბინეტის მიერ შეგროვილი ცნობები ჩვენში ბიზანტიური ფულების (IV საუკუნიდან VIII საუკუნემდე) გავრცელების შესახებ. ამ ცნობებით ირკვევა, რომ სა-

[45] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წიგნი I, IV—VII საუკუნეები, თბილისი, 1948, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში 24, ხოლო დასავლეთში 19 ეგზემპლარ ჯერჯერობით აღნუსხული.

1. 1871 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ მონეტათა შორის ერთი ცალი იუსტინე I-ის (518—527) მონეტა ყოფილა[46].

2. 1872 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების წარმოების დროს აღმოჩენილი იყო ბიზანტიური მონეტები[47].

3. 1900-იან წლებში სოფ. ცხუმარში (ქვემო სვანეთი) ოქროს ძიების დროს ნაპოვნი ყოფილა ლეონ I-ისა (457—474) და ანასტასის (491—518) ოქროს მონეტები[48]. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში, განძების ფონდი, №№ 935—936.

4. 1902 წელს მცხეთის მიდამოებში აღმოჩენილი იყო ირაკლი კეისრისა და მისი ძის ირაკლი-კონსტანტინეს (610—641) ოქროს მონეტა[49].

5. 1904 წელს თბილისში მიიდანთან მანთაშევის ქარვასლის აშენების დროს აღმოჩენილ განძში კეისარ ირაკლის (610—641) ვერცხლის მონეტებიც ყოფილა[50].

6. XX საუკუნის დასაწყისში ბიქვინთასთან (გაგრის რაიონი) აღმოჩენილი ყოფილა ტიბერიოს III ფესმარის (698—705) ოქროს მონეტა[51].

7. 1915 წელს ბიქვინთის (გაგრის რაიონი) მონასტრის ბერებს იუსტინიანე II-ის (685—695) ოქროს სამი მონეტა უპოვნიათ[52].

8. 1919 წელს ლუქსემბურგში (ლუქსემბურგის რაიონი) ვენახში მიწის სამუშაოების შესრულების დროს ½ მეტრის სიღრმეზე უპოვნიათ ლეონ I-ის (457—474) ოქროს მონეტა[53]. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში 1665 ნომრით.

9. 1925 წელს სვანეთში მოგზაურობის დროს პროფ. გ. ნიკოლაძემ იუსტინე II-ის (565—578) სპილენძის მონეტა შეიძინა[54]. ეს მონეტა გ. ნიკოლაძის არქივიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა და აღრიცხულია განძების ფონდში 7869 ნომრით.

10. 1925 წელს ნოქალაქევის (ცხაკაიის რაიონი) ციხის ნანგრევებში ნაპოვნი ყოფილა იუსტინე I-ის (518—527) სპილენძის მონეტა[55].

11. 1927 წელს დრანდას მიდამოებში (გულრიფშის რაიონი) ნაპოვნი იყო ფოკას (602—610) ოქროს მონეტა[56].

---

[46] Е. А. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. II, Баку, 1938, გვ. 16, № 357.

[47] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. 3, 1926, გვ. 42, № 53.

[48] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. V, 1949, გვ. 30, № 1438.

[49] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. 3, 1926, გვ. 44, № 67.

[50] იქვე, გვ. 43, № 59.

[51] Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. V, გვ. 31, № 1442.

[52] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. 3, Баку, 1926, გვ. 45, № 70.

[53] იქვე, вып. V, 1949, გვ. 30, № 7, 1439.

[54] იქვე, вып. IV, 1949, გვ. 330, № 1068.

[55] Е. А. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. II, 1938, გვ. 16, № 358.

[56] იქვე, გვ. 16, № 359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. 1930 წელს ნოქალაქევში (ცხაკაიას რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იყო მავრიკი-ტიბერიოსის (582—602) ოქროს მონეტა[57]. გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტს და აღრიცხულია განძების ფონდში №№ 3119—3141.

13. 1930 წელს ხერსურეთში მიწის დამუშავების დროს აღმოჩენილი ყოფილ კეისარ ბასილიკუსის (477) ოქროს მონეტა[58].

14. 1930 წლის ზაფხულში სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი ყოფილა კონსტანტინე II-ის (641—668) ოქროს მონეტა[59].

15. 1930-იან წლებში სოფ. ღვანკითში (თერჯოლის რაიონი) აღმოჩენილი ყოფილა კონსტანტინე IV-ის (668—685) ოქროს მონეტა[60]. მონეტა გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტს. აღრიცხულია განძების ფონდში 1870 ნომრით.

16. დაახლოებით 1930-იან წლებში ზუგდიდის რაიონის მიდამოებში აღმოჩენილი იყო იუსტინიანე I-ის (527—565) ვერცხლის სამი მონეტა. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში; განძების ფონდი №№ 7178, 7867.

17. 1935 წელს სოფ. ფირცხაში (გუდაუთის რაიონი) აფხაზეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იყო იუსტინიანე I-ის (527—565) სპილენძის მონეტა[61].

18. დაახლოებით 1936 წელს სოფ. წინწყაროში (თეთრი წყაროს რაიონი) აღმოჩენილი მონეტებიდან ერთი კეისარ ირაკლისა და მისი ძის კონსტანტინეს (610—641) ვერცხლის მონეტა ყოფილა[62].

19. 1936 — 1937 წლებში დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ყოფილა იუსტინე I-ის (518—527) და ირაკლის (610—641) მონეტები[63]. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, №№ 7005, 7006.

20. 1937 წელს ცხუმარის მიდამოებში (ზემო სვანეთი) ოქროს ძიების დროს ნაპოვნი ყოფილა ლეონ I-ის (457—474) და ანასტას I-ის (491—518) ოქროს ორი მონეტა[64]. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში 1678—1679 ნომრებით.

21. 1937—1938 წლებში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ არმაზის ხევის უბანზე მუშაობის დროს კულტურულ ფენაში აღმოაჩინა ირაკლისა და მისი ძის კონსტანტინეს (610—641) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა[65].

22. 1939 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმის ჩრდილოეთ უბანზე № 21 ქვაყუთში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩნდა კეისარ ლეონ I-ის (457—474) ვერცხლის მონეტის უხეში მიმპაძველობა.

---

[57] Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. IV, зд. 31, № 1069.
[58] Е. А. Пахомов, Клады Азербайджана, вып. II, зд. 15—16, 356.
[59] იქვე, II, зд. 16, № 361.
[60] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. IV, зд. 31, № 1071.
[61] იქვე, вып. III, зд. 31, № 790.
[62] იქვე, зд. 32, № 792.
[63] იქვე, вып. IV, зд. 35, № 1089.
[64] Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. IV, зд. 30, № 1066.
[65] იქვე, зд. 31, № 1070.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. 1939 წლის ზაფხულში კოდორის მახლობლად სოფ. [illegible] (გულრიფშის რაიონი) ძველი ციხის ნანგრევებში ნაპოვნი ყოფილა იუსტინიანე I-ის (527—565) ოქროს მონეტა[66].

24. 1940 წლის ზაფხულში სოფ. დიდკუოონში (გეგეჭკორის რაიონი) მიწის დამუშავების დროს ნაპოვნი ყოფილა ირაკლისა და მისი ძის კონსტანტინეს (610—641) ოქროს მონეტა[67]. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, № 4852.

25. 1942 წელს სოფ. ჭიორაში (ონის რაიონი) ნაპოვნი ყოფილა ირაკლის (610—641) ოქროს მონეტა. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, № 6665.

26. 1943 წლის ივნისში თელავში (ერეკლეს ქუჩა № 11) საკარმიდამო მიწის საბოსტნეოდ დამუშავების დროს დაახლოებით 0,20 მეტრის სიღრმეზე ნაპოვნი იყო თეოდოს II-ის (408—450) ოქროს მონეტა[68].

27. 1945 წლის თებერვალში სოფელ კაჭრეთში (ბოლნისის რაიონი) მდინარის პირზე ოქროს ძიების დროს „გრუზზოლოტოს“ მუშას უპოვნია ლეონ I-ის (457—474) ოქროს მონეტა.

28. 1945 წლის ზაფხულში სოფ. ირაგასთან (თეთრი წყაროს რაიონი) მიწის თხრის დროს ნაპოვნი ყოფილა თეოდოსი II-ის (408—450) ოქროს მონეტა[69], რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა და ინახება ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, 5083 ნომრით.

29. 1946 წლის აპრილში მცხეთის ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის უბანზე აღმოჩენილი იყო თეოდოსი II-ის (408—450) ოქროს მონეტა[70].

30. 1946 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმის ჩრდილო უბანზე № 619 ქვაყუთში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩნდა ლეონ I-ის (457—474) ვერცხლის მონეტის მინაბაძი.

31. 1947 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმის ჩრდილო უბანზე № 679 ქვაყუთში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი იყო ლეონ I-ის (457—474) ვერცხლის მონეტის მინაბაძი.

32. 1947 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმის ჩრდილო უბანზე № 685 ქვაყუთში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ყოფილა ლეონ I-ის ვერცხლის მონეტის მინაბაძი.

33. 1947 წლის ზაფხულში სოფელ ხიდისთავში (გორის რაიონი) რკინიგზის ბაქანთან ნაპოვნი ყოფილა ლეონ I-ის (457—474) ოქროს მონეტა. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, № 5130.

34. 1948 წლის აპრილში გურჯაანში (გურჯაანის რაიონი) მიწის ბარვის დროს ნაპოვნი ყოფილა კონსტანტინე IV პოგონატის (668—685) ოქროს მონეტა. მონეტა ინახება მპოვნელის — მეკვის ოჯახში.

---

[66] Е. А. Пахомов, Монетные клады, вып. IV, გვ. 30, № 1067.
[67] იქვე, вып. V, გვ. 30—31, № 1441.
[68] იქვე, გვ. 30, № 1436.
[69] იქვე, გვ. 29—30, № 1435.
[70] იქვე, გვ. 30, № 1437.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. 1948 წლის იელისში სოფ. ანდრეწმინდას (ახალციხის რაიონი) ნასოფლარის სასაფლაოზე კოლმეურნეებს მიწის ხვნის დროს უპოვნიათ ლეონ I-ის (457—474) ოქროს მონეტა. ინახება ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

36. 1948 წლის იელისში სოფ. ყორშაკილოს (დმანისის რაიონი) ყანებში მუშაობის დროს კოლმეურნეს უპოვნია მარკიანეს (450—457) მეუღლის პულხერიას ოქროს მონეტა. მონეტა მპოვნელს დარჩა.

37. 1949 წლის 25 აგვისტოს სოხუმში ზღვის პირას ციხის ნანგრევებთან ნაპოვნი ყოფილი ტიბერიოს III ფესიმარის (698—705) ოქროს მონეტა. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, 5388 ნომრით.

38. 1950 წლის იელისში სოფ. ქორეთში (საჩხერის რაიონი) ბორცვიან ადგილზე ყანაში ნაპოვნი ყოფილა ირაკლის (610—641) ვერცხლის მონეტა. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტში.

39. დაახლოებით 1950 წელს წინანდალში (თელავის რაიონი) მიწის ბარვის დროს უპოვნიათ თეოდოსი II-ის (408—450) ოქროს მონეტა. ინახება თელავის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

40. 1950 წელს რუსთავის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ყოფილა იუსტინე I-ის (518—527) სპილენძის მონეტა. ინახება რუსთავის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

41. 1951 წლის ზაფხულში სოფ. ოკაში (ახალი ქილდა, ახალქალაქის რაიონი) სახლისათვის საძირკვლის ჩაღებმის დროს ნაპოვნი ყოფილა კონსტანტინე IV პოგონატის (668—685) ოქროს მონეტა. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის განძების ფონდში, № 7803.

42. 1952 წლის 8 სექტემბერს მუზეუმს საჩვენებლად წარმოუდგინეს ირაკლისა და მისი ძის კონსტანტინეს (610—641) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც სოფ. ატოცის (ქარელის რაიონი) ეკლესიასთან უპოვნიათ. მონეტა მპოვნელს დარჩა.

43. სოფ. სმეკალოვკაში (ბათუმის რაიონი) სელიტრენიკოვის ყოფილ აგარაკის ეზოში მიწის დამუშავების დროს ნაპოვნი ყოფილა იუსტინიანე I-ის (527—565) ოქროს მონეტა[71]. პოვნის დრო ცნობილი არაა.

Т. Я. АБРАМИШВИЛИ

НОКАЛАКЕВСКИЙ КЛАД

Резюме

В Государственный Музей Грузии им. С. Н. Джанашиа поступил клад из 23 золотых монет византийского императора Маврикия (582—602), обнаруженный в Нокалакеви (р-н Цхакаиа, Грузинская ССР) во время археологических раскопок 1931 г.

Нокалакеви с ранних пор был известен как значительный укрепленный город и столица Лазских царей. Древнегрузинские источники на-

[71] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. 3, Баку, 1926, стр. 42, № 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

зывают его Цихе-Годжи, византийские же — Археополисом. Византийцы придавали этому городу большое значение и даже держали там свой гарнизон. Археополис был центром внимания и персов, что иногда вызывало военные столкновения.

Экономические и политические связи с Византией доподлинно известны; при Маврикии византийцы, некоторое время (591 г.) даже занимали Грузию до Тбилиси. Ярким свидетельством этих взаимоотношений является обилие византийских монет, сохранившихся на территории Грузии. К числу таких фактов относится и наш клад, изучение которого является целью настоящей статьи.

Обработкой материала установлено, что монеты Маврикия нашего клада чеканены в шести мастерских Константинопольского монетного двора, которые обозначались номерами соответствующими числительными буквами: Δ=4, ϛ=6 или G=6, H=8, Θ=9, I=10. Наш клад содержит монеты чеканенные: в IV-ой мастерской—10 экземпляров (таб. I, № 11), в VI-ой —8 (таб. I. № 2, 3) в VIII-ой—2 (таб. I, № 4), в IX-ой—2 (таб. I, № 5), в X-ой—1 экземпляр (таб. 1, № 6).

Так как клад состоит из монет, чеканенных в разных мастерских но они отличаются друг от друга некоторыми незначительными деталями (сфера, корона, звезда). Однако следует отметить, что одна монета Маврикия, не снабженная сведениями о месте находки, которая также хранится в Музее Грузии и тоже чеканена в 10-ой мастерской Константинопольского монетного двора (таб. I, № 7), значительно отличается лицевой стороной от аналогичной монеты нашего клада.

Для более ясного представления степени распространения византийских монет (IV—VIII вв.) в Грузии к этой статье приложены сведения об их находках. Для этого были использованы данные специальной литературы и сведения, собранные кабинетом нумизматики Музея Грузии. Согласно этим данным выяснилось, что на сегодняшний день в Восточной Грузии зафиксировано 24 случая, а в Западной Грузии 19 случаев находок золотых, серебряных и медных монет этого времени.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ბერაძეშვილი

1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის ალსანიშნავი მედალი

ქართული და საერთოდ საქართველოს ირგვლივ მომხდარი რაიმე მოვლენის მაუწყებელი მედლები შედარებით იშვიათია. ამიტომაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური მასალის მედლების ფონდში აღნუსხულმა ერთმა მედალმა, რომელზედაც 1783 წელია ამოკვეთილი. ეს თარიღი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტის მოწმეა, ხოლო წარწერამ—„Царю Ираклию" დაგვარწმუნა, რომ ის საქართველოსთან არის დაკავშირებული. საკითხის ინტერესი მოითხოვს ამ მედლის საგანგებოდ შესწავლას.

საძიებელი საკითხის გასარკვევად, საჭიროა მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება, რამაც ხელი შეუწყო მედლის გამოშვებას.

XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო სპარსეთმა და ოსმალეთმა მძიმე განსაცდელში ჩააგდეს. დამარცხებულ საქართველოს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო წაართვა და იქ ქართველების ფიზიკური განადგურებას მიჰყო ხელი. მეორე მხრივ, შაჰ-აბასმა აყვავებული კახეთი ნანგრევებად აქცია და ქართველების დიდი ნაწილი ერანში ტყვედ წაიყვანა. „ქართლი და კახეთი შაჰის სახანგო შეიქმნენ, მაგრამ ბრძოლა ამაზედ არ დამთავრებულა და ქართველ ხალხს მოძალადეთა წინაშე ქედი არ მოუხრია"[1]. თავისუფლებისათვის შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო თანდათან მოღონიერდა და ახალი ძალით გამოვიდა მოძალადე მტრის გასადევნად. ამასთან ერთად ქვეყნის გარეთაც „მათ საწინააღმდეგოდ მოკავშირეებს ეძებდნენ"[2]. ასეთ მოკავშირე ქვეყნად საქართველომ რუსეთი აირჩია. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად მეათე საუკუნიდან ჩანს, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთს საბოლოოდ არ შეუერთდა. რუსი ხალხის დახმარებით ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადარჩა და მას საშუალება მიეცა მშვიდობიანი ცხოვრების, კულტურისა და მეურნეობის აორძინებისა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ერანიდან დაბრუნებულმა ვახტანგ VI-მ იქ არსებული პოლიტიკური გართულებით ისარგებლა და ერანისაგან ქვეყნის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1944, გვ. 173.

[2] იქვე გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლება სცადა. მან მოიშორა მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ადგილობრივი ფეოდალებიც, რომლებიც „საუკუნეთა განმავლობაში ეიმებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს“[3].

ერანის დასუსტების შესახებ იცოდა როგორც რუსეთმა, ისე ოსმალეთმაც. მათ ერანისაგან ზოგიერთი ადგილის ჩამორთმევა განიზრახეს. რუსეთს ოსმალეთის გაძლიერება არ სურდა და ირანის წინააღმდეგ ვახტანგ მეფესთან მოლაპარაკება გაჰართა. ვახტანგ VI სიამოვნებით დათანხმდა, რადგან რუსეთის დახმარებით ფიქრობდა აღმოსავლეთ საქართველო ერანის მონობისაგან გაენთავისუფლებია, ხოლო ოსმალეთისაგან მიტაცებული სამცხე-საათაბაგო დაებრუნებია. მაგრამ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და 1723 წელს საქართველო ოსმალეთმა დაიპყრო, ხოლო 1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ VI შვილებითა და უახლოესი თანამოღვაწეებით რუსეთს გაემგზავრა იმ იმედით, რომ რუსეთისაგან დახმარებას მიიღებდა, სამშობლოში დაბრუნდებოდა და ქვეყანას მტრავალებისაგან იხსნიდა. რუსეთში პოლიტიკური მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართველებმა დახმარება ვერ მიიღეს — აქ კი ოსმალეთის ბატონობა კვლავ ერანის ბატონობით შეიცვალა.

თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველმა ხალხმა დასავლეთ ევროპასაც მიმართა დახმარებისათვის, „მაგრამ 1714 და 1722 წელს აღმოჩნდა, რომ დას. ევროპის სახელმწიფოები ჯერჯერობით კიდევ უფრო ნაკლებად რეალური პოლიტიკური მოკავშირეები არიან საქართველოსი, ვიდრე რუსეთი“[4]. ქართველებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი რუსეთთან კავშირის გაგრძელება, მათ იცოდნენ, რომ „რუსეთი მაინც ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება“[5].

ერანში შექმნილ ვითარებას ნადირ-შაჰის სიკვდილიც დაერთო. ამით ისარგებლეს ქართლ-კახეთის მეფეებმა და თოელი რიგი სახანოები ხელში ჩაიგდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ოსმალეთი მაინც აფიქრებდათ და კვლავ რუსეთს მიუბრუნდნენ. ახლა კი, 1760 წელს, თვით თეიმურაზ II გაემგზავრა რუსეთს დახმარების სათხოვნელად. თუმცა თეიმურაზ მეფე 1762 წელს იქვე გარდაიცვალა, მაგრამ რუსეთში მისი ყოფნა და მოლაპარაკება უშედეგო არ უნდა ყოფილიყო.

იმავე მიზნისათვის ერეკლე II-მ რუსეთს მიავლინა ელჩები, ახლა კი ერეკლე მეფეს ანდრია პირველწოდებულის ორდენი[6] გამოუგზავნეს, ხოლო ლევან ბატონიშვილი წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოეს[7]. ამჯერადაც ელჩობა ამით მოთავდა.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი შექმნილმა მდგომარეობამ დაარწმუნა, რომ მტერი საკუთარი საშუალებით უნდა მოეშორებინათ, მაგრამ მაშინდელი საქართველოს ფეოდალურ ჯარს ამისი შესაძლებლობა არ ჰქონდა. დადგა სა-

---

[3] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, 1947, გვ. 318.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 185.

[5] იქვე, გვ. 186.

[6] Грамоты, т. I, СПБ, 1891, გვ. 444.

[7] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПБ, ч. 1, 1869, გვ. 287.

ეროვნული ბიბლიოთეკა

�itke მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ და შემოღებულ იქნა „მორიგე ჯარი“, რომელიც სამეფოს როგორც გარეშე, ისე შინაურ ძტრებისაგან დაიცავდა. მაგრამ ეს ლაშქარი ჩქარა დაიშალა, რადგან საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არ არსებობდა მტკიცე ეკონომიური ბაზა ამ სისტემის ჯარის შესანარჩუნებლად. ამიტომ ჩვენი იმდროინდელი პოლიტიკოსების ცდა (მორიგე ჯარის შექმნისა) თითქოს ნაადრევი გამოდგა. მიუხედავად ამისა, მორიგე ჯარმა ქვეყანას დროებით მშვიდობიანობა მოუპოვა და ქართლ-კახეთს გამოცოცხლებაც დაეტყო, მაგრამ საქართველო განვლილი უბედურების გამო მინც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. როდესაც რუსეთმა კვლავ აღმოსავლეთი-საკენ იბრუნა პირი, ქართველებს დიდი ხნის საწადელი აუსრულდათ და მფარველობის თხოვნა გაუმეორეს. რუსეთმა სიამოვნებით მიიღო ეს თხოვნა. მოლაპარაკება დასრულდა 1783 წლის 24 ივლისს „მფარველობითი მოკავშირეობის ხელშეკრულების“ (ტრაქტატის) დადებით. ტრაქტატს ერეკლე II-მ 1784 წლის 24 იანვარს მოაწერა ხელი და ბეჭედი დაუსვა. ამის შემდეგ ტრაქტატი ძალაში შევიდა, თუმცა საქართველოს ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მოკავშირეობის კვალი უკვე დამჩნეოდა: ქართულ სახელმწიფო ბეჭედზე რუსეთის ემბლემა, ორთავიანი არწივი დაუმატებიათ (ტაბ. I, სურ. 1).

ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებას თვალისწინებდა. ის დაწერილი ყოფილა ორ ცალად—რუსულ და ქართულ ენაზე. რუსული ცალი აქ დაუტოვებიათ. იგი ახლა აღარ ჩანს, ალბათ, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თუ დაიკარგა, ქართული კი რუსეთში გაუგზავნიათ. იგი მოსკოვიდან 1922 წლის 9 სექტემბერს ჩამოიტანეს და ხელნაწერთა ინსტიტუტში H ფონდის 2073 ნომრით ინახება.

ხელშეკრულების ქართული დედანი ორ ეტრატის რვეულს შეიცავს:

ა) პირველ რვეულში რვა ფურცელია. დაწერილი ექვსი ფურცელი წარმოადგენს ტრაქტატის ძირითად ნაწილს, ერეკლეს მიერ დამტკიცებულსა და სახელმწიფო ბეჭედ დასმულს;

ბ) მეორე რვეულის ექვსი ფურცლიდან დაწერილი სამი ფურცელი (5 გვერდი) უკავია „სეპარატიის არტიკულებს“, აგრეთვე ერეკლეს მიერ დამტკიცებულსა და ბეჭედდასმულს. ორსავე რვეულს გაყრილი აქვს მსხვილი მოვარდისფრო ზონარი, რომლის ბოლოებზე მიმაგრებულია ვერცხლის დაოქრილი მრგვალი დიდი ზომის ბუდე, შიგ ჩასმულია წითელი ფერის ლუქი და სახელმწიფო ბეჭდით არის დაბეჭდილი.

ეკატერინე II-მ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ერეკლე მეორისათვის სამეფო ნიშნების[8] (ინვენსტიტურა), ჯარისა და საომარი იარაღის გამოგზავნა და საგანგებო მეფლის წარწერით („Вера и Верность.“) მოჭრა ბრძანა, ხოლო მოწინავე ქართველების სხვადასხვა საჩუქრებით დაჯილდოება[9]. ეს განკარგულებები სხვადასხვა დროს იქნა შესრულებული, ხოლო თვით მედალი 1790 წელს მოუჭრიათ[10] 1783 წლის თარიღით.

ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი სამეფო ნიშნები: დროშა, ხმალი, სამეფო მანტია, სკიპტრა, გვირგვინი და სიგელი საქართველოში 1784 წლის

---

[8] П. Г. Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. II, გვ. 129, 132.

[9] იქვე, გვ. 129, 131, 132; Б. Эсадзе, Летопись Грузии, вып. I, გვ. 331.

[10] იქვე, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარში მიუღიათ, რაც ერეკლე მეფეს საგანგებო ცერემონიალის შესრულებითა და ერთგულების ფიცის დადებით მიუღია[11], თუმცა ერეკლე II-ის ამ გვირგვინით კურთხევა-დაგვირგვინება არ მომხდარა[12].

ამავე ხელშეკრულებით ერეკლე II-ს უფლება მიეცა, მოეჭრა ახალი ტიპის მონეტა, რომელსაც ერთ მხარეზე მეფის (იგულისხმება ერეკლე II.—თ. ა.) გამოსახულება ექნებოდა, ხოლო მეორეზე ქართლ-კახეთის სამეფო ღერბი. ოღონდ ღერბს ზემოთ რუსეთის სახელმწიფო ემბლემა[13] უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, ერეკლე II-ს ამ ტიპის ფული არც მოუჭრია, რადგან მის მონეტათა შორის, რომლებმაც ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოაღწია, ასეთი მონეტა არა გვხვდება, მაგრამ ნაცვლად ნაბრძანები ახალი ტიპის მონეტისა არსებულ ტიპში შეუტანიათ ცვლილება: ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბის მაგივრად რუსეთის სახელმწიფო ემბლემა—ორთავიანი არწივი და ევროპული თარიღი მოუთავსებიათ[14] (ტაბ. 1, სურ. 2). ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე ცოტა ადრეც შეიმჩნევა რუსეთთან ურთიერთობის კვალი, ასე მაგ., ვახტანგ VI-ის მონეტაზე[15] ევროპული თარიღი (ტაბ. 1, სურ. 3). თუმცა შემდეგ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან ერთად ფულზე ეს პატარა ნიშანკვალიც გამქრალა, მაგრამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, როგორც დავინახეთ, თარიღის გარდა რუსეთის სახელმწიფო ემბლემა ორთავიანი არწივიც დაუმატეს (ტაბ. 1, სურ. 2).

ასეთი პოლიტიკური ვითარების შედეგად მოიჭრა მედალი, რომელიც ჩვენი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს და რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური მასალის მედლების ფონდში 29 ნომრით ინახება. ასეთი მედალი კაბინეტში ერთია, საერთოდ კი რამდენიმე ცალია აღრიცხული.

აქვე ვიძლევით ამ მედლის აღწერილობას. მისი ზოგადი სახეობა ასეთია:

4. 29 მედალი. ბრინჯაო, ზომა=80,00 მმ, წონა=209.900 გრ. მაღალი ოსტატობით არის მოჭრილი.

შ უ ბ ლ ი: ეკატერინე II-ის ბიუსტი[16] პროფილში მარჯვნივ; თავს თვლებით შემკული დაფნის გვირგვინი უმშვენებს, გვირგვინზე ზემოთ თვლებით მოოქვილი ახალი მთვარის მოყვანილობის სამკაულია დამაგრებული, რომლის რკალზე ჯვრიანი სფეროა აღმართული. ყელმოღერებული, ლამაზი ნაკვთები: მაღალი ფართო შუბლი, სწორი ცხვირი, მოშვილდული წარბი, თვალის ქუთუთოები რელიეფური ზოლით არის გადმოცემული, მაღალ აგარცხნილი თმები კულულებად აქვს დაყრილი, რომლის გრძელი კავები ყელ-ყურის არეში და

---

[11] П о т т о, Исторические очерки Кавказских войн от их начала до присоединения Грузии, 1899, გვ. 160—161.

[12] П. Г. Б у т к о в, დასახ. შრომა, ნაწ. II, გვ. 129.

[13] იქვე, П. ф о н В и н к л е р, Из истории монетного дела в России, 1898, გვ. 1; Б. Э с а д з е, დასახ. შრომა, გვ. 10.

[14] М. П. Б а р а т а е в, Нумизматические факты Грузинского царства, 1844, III გვნ., ტაბ. II, 5, 6; П ф о н В и н к л е р, დასახ. შრომა, გვ. 1; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950, გვ. 97. ტაბ. XIV.

[15] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 96, ტაბ. XII, № 164.

[16] ხელოვნებათმცოდნე პროფ. შ. ამირანაშვილთან კერძო საუბრის დროს გამოარკვა, რომ მედლის შუბლზე ამოკვეთილი ეკატერინეს პორტრეტი კოპიოა იმ მბატვრული ქანდაკებისა, რომელიც ცნობილი მხატვარ-ფოქანდაკე რასტრელის მიერ არის შესრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენა მხარეზეა გადაშლილი. წინ წამოწეული გულ-მკერდი შემოსილია ღრმად გულმოჭრილი სამოსით (ფორტუნას ჯავშანი შეიძლება იყოს), რომლის ქსოვილი თეეზის ქერცლის მსგავსად არის დაჩითული. სამოსის ზემოდან სამეფო წამოსასხამი (მანტია) აქვს მოგდებული, რომელიც მხართან ფართო ლენტით არის მიმაგრებული. წინ გადმოდის და მანტიის მარცხენა კალთას იმ ადგილას უერთდება, სადაც რუსეთის სახელმწიფო ემბლემა ორთავიანი არწივია აღბეჭდილი. მარჯვენა მკლავი ნიდაყვამდე ნოუბებიანი სახელოთი და თვლებით (4 თვალი) შემკული სალტით არის წარმოდგენილი, რომელიც ნაწილობრივ ჩანს. ნიდაყვის ქვემოთ შემოტალღულია მანტიის მარჯვენა კალთა, აგრეთვე სახელმწიფო ემბლემთ შემკული; შემოწერილია:Б. М. Екатерина. II Императ. и самедерж. Всероссиис. წარწერა სამი დამოავრებული და ხუთი დაუმთავრებელი სიტყვით არის წარმოდგენილი. პირველი და მეორე სიტყვა თითო ასოთია აღბეჭდილი. ყოველი სიტყვის შემდეგ, გარდა ასო II-სა, თითო მსხვილი წერტილია. იგი აგე შეიესება და გაიწლება: Божей милостью Екатерина II императрица и самодержица Всероссийская. ბიუსტის ქვემოთ მანტიის კალთებს შორის ორსტრიქონიანი წარწერა: Вырезал 1783 г. Тимофей Иванов, ე. ი. Вирезал 1783 год Тимофей Иванов. პირველი სტრიქონი შემოკლებითაა აღბეჭდილი. ამ წარწერაშიც გარდა, ბოლო სიტყვისა, ყველას წერტილი უზის, იქ კი, სადაც ნამდვილად საჭიროა წერტილი, რატომღაც არ არის ამოკვეთილი. აქ ოთხორც ასოები, ისე წერტილებიც უფრო პატარა ზომისა არის. გარშემოვლებულია ორი ვიწრო და ფართო ხაზოვანი რკალი, მათ შორის კი ლარისებრი რკალია.

ზ ურ გ ი: ოთხკუთხოვანი კვარცხლბეკი —საკმაოდ წინ გამოწეული და დაბალ რვა კვადრატული ფორმის ნაწილისაგან შემდგარ საფეხურზეა დაყრდნობილი; მეორე საფეხური კი უფრო მაღალი, ოდნავ გამოწეული, ერთიანი სიბრტყისაა. კვარცხლბეკზე არშია შემოვლებული ძმიმე ქსოვილია (მანტია უნდა იყოს) გადაფარებული, რომელიც წინ, პირველ საფეხურამდე სამ ნაკეცად არის გადმოშვებული, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ კუთხეებში ქსოვილი ისეა აკრეფილი, რომ კვარცხლბეკის ორი ნაწიბური (კუთხე) გარკვევით ჩანს, სამაგიეროდ ამავე მხარეებში ქსოვილის ნაკეცები გრძელდება და დაბლა პირველ საფეხურზე ძმიმედაა დაფენილი, კვარცხლბეკზე თითქოს დიაგონალს ქმნის. კოტა მარცხნივ უკან, კვარცხლბეკის კუთხეს პირისპირ კი არ ემთხვევა, არამედ ჰაერშია გაჩერებული (შეიძლება მასზე, ზემოდან მოთავსებული ნიშნების სიმძიმით იყოს დატოლმეტებული), ბოლო კი მარჯვნივ, წინა კუთხეზეა დაშვებული და უშუალოდ ეხება მას, ხმალი კვარცხლბეკზე უფრო გრძელი ჩანს, რადგან ნაპირებიდან გადადის, როგორც კოტა, ისე ბოლო. ხმლის ბოლოზე მცენაროვანი ორნამენტი უნდა იყოს, კოტაზე კი გრძელფაფრიანი პირღია ლომის თავია ამოკვეთილი; ყელ-ყურის არეში ექვსი კონცენტრული ხაზია, შემდეგ დასხივოსნებული ფარია, რომლის მოშანდაკებული კიდე თვლებით (12 თვალი)

არის მოოქვილი, ცენტრში ეკატერინე II-ის ინიციალი: Ꞓ შემდეგ

თვლებით შემკული გვირგვინი, გვირგვინს ზემოთ, ცენტრში ჯვრიანი სფეროა აღმართული. გვირგვინის ქვედა ნაპირებიდან ორი ლენტი გამოდის — მარჯვენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის ლენტი, რომელზედაც 1783 წელია აღბეჭდილი, გადაივლის ფარი სხივებზე და ხმლის ბოლოსთან ფარის ქვეშ არის შეკეცილი, მარცხენაზე კი წარწერაა Пр. Ираклию. ეს ლენტიც იყეფა გადახვეული ფარზე და ამა კიდეთან ოდნავ შეკეცილი უერთდება გვირგვინთა და შუბებით შემკულ ოვალურ საგანს, შეიძლება ანდრია პირველწოდებულის ორდენის ერთ-ერთი ელემენტიც[17] იყოს. ზემოთ ნახევრრკალისებურად შემოწერილია „Вере и Верности", კვარცხლბეკის ქვემოთ — 1783 года, გარშემოვლებულია ორმაგი ბრტყელი და ვიწრო ოდნავ ამობუქნული ხაზოვანი რკალი, მათ შორის კი მესამე ოვალისებრია (ტაბ. 1, სურ. 4).

ჩვენი მეფალი მეტად საყურადღებოა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების სიმბოლოა, მეორეც იმ მხრივ, რომ მასზე აღბეჭდილი წარწერა „Вере и Верности" 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთ მუხლში გათვალისწინებული ვალდებულების ამსახველია, ხოლო წარწერა „Парю Ираклию" ´არკვევს, რომ ის (ე. ი. მედალი) ნიღნვნილია ერეკლე II-ისადმი. ყურადღებას იქცევს და სანტერესოა აგრეთვე მედალზე გამოხატული რეგალიები: გვირგვინი, ფარი, ხმალი და სამეფო მანტია (შეიძლება ის სამეფო ნიშნებიც არის, რომლებიც ერეკლე მეფისათვის გამოსაგზავნად იყო მომზადებული). აქვე ანდრია პირველწოდებულის ორდენის გამოსახვა აძლიერებს იმ აზრს, რომ მედალზე მოთავსებულია მარილაც ყველა ის ნიშანი, რაც ეკატერინე II-მ გამოგზავნა და რის გამოგზავნაც გადაწყვეტილი ჰქონდა. გვირგვინი, როგორც აღვნიშნეთ, ეკატერინე II-მ სპეციალურად ერეკლე II-ისათვის გააკეთებინა და განკუთვნილი ყოფილა ქართველი მეფეებისა და კერძოდ ერეკლე II-ის დასაგირგვინებლად.

ზემოთქმულის თანახმად ერეკლე II-მ გვირგვინი სხვა სამეფო ნიშნებთან ერთად თავის დროზე მიიღო, მაგრამ ამ გვირგვინით მისი დაგვირგვინება აღარ მომხდარა, ხოლო ჩამოტანილი გვირგვინი (სკიპტრასთან ერთად) 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ქალაქის აღებისა და გაძარცვის დროს გაიტაცა[18]. არსებობს ცნობა, რომ ასეთივე გვირგვინი საქართველოში 1923 წლის 10 აგვისტოს ჩამოტანეს[19]. ის „ქართველ მეფის გვირგვინის" სახელწოდებით იყო ცნობილი და მოსკოვის კრემლის „იარაღთა პალატაში" ინახებოდა. გვირგვინი გამოჭქონდათ მხოლოდ რუსი მეფეების განსაკუთრებული ცერემონიების შესრულების დროს.

---

[17] ცნობილია, რომ წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენი ლენტზეა მიმაგრებული. ეს ლენტი მარჯვენა მხრიდან გადმოვშვება ირიბად და მარცხენა გვერდზე, თეძოსთან ისე მაგრდებოდა, რომ თვით მედალი არ ჩანდა. საგანგებო ცერემონიალის დროს ორდენის კავალერი მას ყელზე იკიდებდა. აქაც კვარცხლბეკის ფერდზე ისეა მიმაგრებული, რომ ზემოდან მისი დანახვა არ შეიძლება.

[18] П. Г. Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. II, გვ. 340; Б. Эсадзе, დასახ. შრომა, გვ. 10.

[19] საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კატალოგი A², გვ. 29. აქ ვკითხულობთ: № 3212—ოქროს გვირგვინი, წოდებული „ქართველი მეფის გვირგვინად", რუსეთს იარაღთა პალატიდან, სადაც იგი ჩაწეოილი ყოფილა № 72-ით. ჩვენს მუზეუმში მიღებულია 1923 წლის 10 აგვისტოს, აკადემიური წარმომადგენლისაგან. აღწერილობა იხ. ჩვენი მუზეუმის (იგულისხმება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.—თ. ა.) საქმეები № 78 ორი ოუველირის „დასკვნა" 1923 წლის 10 აგვისტოს თარიღით და ანგარიშვე დასკვნა რუსის ოუველირის მოსკოვში 1923 წლის 6 თებერვლის თარიღით. გვირგვინი შემკულია უხვად ძვირფასი თვლებით, გვირგვინს ამოკრული აქვს მუქი წითელი ფერის (ბორდო) ბაიერდი. ჩამოთვლილი საქმეები ვერ მივაკვლიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბადება კითხვა ორი ერთნაირი გვირგვინი ხომ არ იყო ერთდროულად დამზადებული, რომელთაგან ერთი აქ ადრე ჩამოიტანეს, რომელიც აღა-მაჰმად-ხანმა გაიტაცა, მეორე კი იქ, რუსეთში, იყო დატოვებული. რუსი მეფეების საგანგებო სამეფო წესების აღსრულებისას გამოსატანად.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ქართველმა ხალხმა თავისი დიდი ხნის მისწრაფება 1801 წელს რუსეთთან საბოლოოდ შეერთებით დაგვირგვინა. ქართველები ასეთი არჩევანი ისტორიამ სავსებით გაამართლა. ამ აქტს ქართველი ხალხის ცხოვრებაში მისი პოლიტიკური თავისუფლებისა, ეკონომიური აღორძინებისა და კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ორსებობს აგრეთვე ამ თარიღის ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოშვებული საიუბილეო ვერცხლის მედალი, რომელიც ჩვენი კაბინეტის მედლების ფონდში 249 ნომრით ინახება, მაგრამ ამ მედლის შესახებ ჩვენ აქ სიტყვის გაგრძელებას არ ვაპირებთ.

ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში ერთ ხანს საკუთარი ქართული ფულის მოჭრა შეწყვეტილა, მაგრამ შექმნილი ეკონომიური პირობების გამო აქ მონეტის გამოშვება აუცილებელი გამხდარა და 1804 წლის 15 სექტემბერს ზარაფხანის საზეიმო გახსნა მოხდა და განახლებულ ზარაფხანაში პირველად ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავი მედალი მოუჭრიათ წარწერით: Тифлиской монети. двор открыт 15 сентября 1804[20]. ასეთი მედალი კაბინეტში ორია №№ 372, 373 (ტაბ. 1, სურ. 5). ქართული მონეტის მოჭრა კვლავ განახლებულა.

ამის შემდეგ ქართულ ნუმიზმატიკაში ფულის ახალი ტიპი ჩნდება, რამაც შეცვალა აქამდე ხმარებაში მყოფი ფული, რომლისაგანაც იგი არსებითად განსხვავდებოდა. ეს მონეტები იჭრებოდა როგორც ვერცხლის, ისე სპილენძისა.

მათი ზოგადი სახეობა ასეთია:

6. **Ფ უ ბ ლ ი: ზემოთ საქალაქო კბილანა გვირგვინი, ქვემოთ პალმისა და ზეთისხილის ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ორი შტო, შუაში ქართული მხედრული ანბანით აღბეჭდილია „ტფილისი“.**

ზ უ რ გ ი: ხუთსტრიქონიანი წარწერა: ოთხი სტრიქონი ქართული მხედრული ანბანით, ხოლო ერთი რუსული ანბანით არის აღბეჭდილი. პირველ სტრიქონზე ამოკვეთილი რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასო ნომინალზე მიგვითითებს; მეორესა და მესამეზე მონეტის სახელწოდება—„ქართული თეთრი“; მეოთხეზე ევროპული თარიღი აგრეთვე რიცხვითი მნიშვნელობის მქონე მხედრული ასოებით არის წარმოდგენილი; მეხუთე სტრიქონზე რუსული ანბანით მონეტის მომჭრელი ხელოსნის ინიციალია (ტაბ. 1, სურ. 6). აღწერილი მონეტისაგან სპილენძის მონეტა იმით განსხვავდება, რომ მასზე „ქართული თეთრის“ მაგივრად „ქართული ფული“ აწერია და მომჭრელის ინიციალებიც[21] არ არის აღბეჭდილი (ტაბ. I, სურ. 7).

როგორც ვხედავთ, მონეტები ანონიმურია, რადგან ამ ფულის მოჭრა ისეთ ისტორიულ ვითარებაში მოხდა, როდესაც საქართველოს მეფე უკვე აღარ ჰყავს

---

[20] М. П. Баратаев, დასახ. შრომა, განყ. IV, გვ. 21; П. Фон Винклер, დასახ. შრომა, გვ. 7; დ. ყაბანაძე, დასახ. შრომა, გვ. 103.

[21] П. Фон Винклер, დასახ შრომა, გვ. 32, 33; დ. ყაბანაძე, დასახ. შრომა, გვ. 101, 102, ტაბ. XVI, №№ 192, 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რუსეთის იმპერატორის სახელით მოკრა კი არსებული პოლიტიკური ურთიერთობის გამო ვერ მოხერხდებოდა.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ამ ხასიათის ძეგლი ჯერჯერობით ზემოთ აღწერილი მედლის გარდა არც სპეციალურ და არც სხვა ხასიათის ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. თუ არ მივიღებთ ახლადფელობაში იმ წერილობით ცნობას, რომელიც სოლომონ ლიონიძემ ერეკლე II-ის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში მოიხსენია: „პრუსიის მეფემ ფიდერიკოს თეთრზე დააწერა,—ევროპაში მე ვარო და ახიაში ღერკულეს უძლეველი საქართველოს გიორგიანთ მეფეო"[22]. პრუსიის მეფისეულ მედალს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ის ჯერ არსად აღრიცხული არ არის.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ აღწერილი 1783 წლის მედალი, როგორც წარწერაც გვამცნობს, ერთადერთია, რომელიც ქართველი მეფის სახელთან არის დაკავშირებული.

Т. Я. АБРАМИШВИЛИ

МЕДАЛЬ 1789 ГОДА В ОЗНАМЕНОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ ТРАКТАТА МЕЖДУ РОССИЕЙ И ГРУЗИЕЙ

Резюме

Медалей, связанных с какими-нибудь важными фактами в жизни Грузии, известно мало. Этим и объясняется наш особый интерес к медали 1783 года, хранящейся в кабинете нумизматики Государственного Музея Грузии.

Эта дата указывает на знаменательное событие в русско-грузинских отношениях, а надпись «Цр. Ираклю» указывает на связь ее с Грузией.

Целью этого письма является изучение вышеупомянутой медали.

В XVI—XVII вв. Грузия, теснимая соседями мусульманами, обращает свои взоры к единоверной России. Русско-грузинские отношения имеют большое прошлое. Эти связи значительно активизировались и расширились в XVIII веке и в 1783 году завершились заключением трактата о дружбе и покровительстве. Этому знаменательному факту и посвящена описанная нами медаль, которую наряду с другими подарками получил царь Ираклий II из России.

Как известно, описанная здесь медаль единственная, носящая на себе имя грузинского царя, т. к. той медали, упомянутой в надгробной речи Ираклю II Соломоном Лионидзе, которую будто бы в свое время приказал выбить царь Прусский Фридрих, пока не видно.

Новый этап в русско-грузинских отношениях нашел отражение и на других нумизматических памятниках этого времени (медные монеты царя Ираклия, медаль в честь открытия монетного двора в Тифлисе, русско-грузинские монеты и наконец медаль выбитая в ознаменование столетия воссоединения Грузии с Россией).

---

[22] მოთხრობა ტრილი, საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა, ზელნაწერთა ინსტიტუტი, H ფონდი , № 1049, გვ. 25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბ. დუკაძე

კირის დამზადება და მისი გავოუძენება მშენებლობაში

(ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ქართველი ეთნოგრაფები დიდი ხანია აწარმოებენ მშენებლობის ხალხური ხერხების შესწავლას და ამ მიმართულებით საგანგებო ნაშრომებსაც აქვეყნებენ. ისინი ამჟამად გახსაკუთრებული გაცხოველებით მუშაობენ, რადგან სწრაფი ტემპით წინსწრებული მშენებლობის ტექნიკა აგების ხალხურ ხერხებს ძირფესვიანად ცვლის. მშენებლობის ადრინდელი ისტორიისათვის საჭირო ეთნოგრაფიული მასალა ქრება და სრულ მივიწყებას ეძლევა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს კირის დამზადებისა და მისი მშენებლობაში გამოყენების დარგშიც. კირის მუდმივ ქურებში გამოწვის წესმა და მშენებლობაში რკინა-ბეტონის გაბატონებამ ქვიტკირის კედელი სრულიად დაჩრდილა და ძველებური საკირის ორმოების ჩამდგმელებსა და ქვიტკირის კედლის მშენებლებს უმთავრესად სოფლად მოსახლე კალატოზებში-ღა ვხედებით.

ამჟამად ჩვენი მიზანია კირის ქვის, ე. წ. გოხის, ანუ შირიმის (შმრ. ხევსურეთი) დამუშავების და გამოყენების ხალხური ცოდნის შესწავლა, რისთვისაც საჭირო მასალა ჩვენ იმერეთსა, ქართლსა და ნაწილობრივ გარე კახეთში მოვიპოვეთ[1]. ხოლო საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი შინამრეწველობის მასალები მოვიშველიეთ[2].

კლდეს, სადაც კირის ქვას ტეხენ, პირქვის ახო ეწოდება. კლდეში მოტეხილი პირიანი — ბილიანი ქვით საკირის თაღოვანი საცეცხლე ადგილი—ე. წ. საკირის ბალავარი—იგება, ხოლო საკირის თავი რიყეზე აკრეფილი ქვითაც შენდება.

ხალხში ამბობენ: „დიდი გოხები არის, იმას ვამტვრევთ კირის დასაწველადო“. საბა ორბელიანის განმარტებითაც გოხი არის „ქვა ქვითკირისა მსგავსი“. გოხის მოტეხა რკინის იარაღების — ურიოსა და სოლების დახმარებით იცეან. აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი სვანური და იმერული შინამრეწველობის მასალების მიხედვით, კირის კლდის ტეხვა ცეცხ-

---

[1] წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი აღწერილობა მთლიანად ხალხურ მეტყველებაზეა აგებული და ყოველი ხმარებელი ტერმინისათვის სათანადო სიტყვა-სიტყვითი სველი ჩანაწერიც მოგვეპოვება.

[2] ხელნაწერი რვეულების სახით დაცულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. წინამდებარე ნაშრომში ფრჩხილებში ჩასმული შემოკლებული მითითება—შმრ. ამ მასალიდან მოტანილ პარალელზე მიუთითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით სცოდნიათ: მიწისაგან გაშიშვლებულ კირის ქვაზე ცეცხლს დაანებებენ, გახურებულზედ ცივ წყალს დაასხამენ და ამ ხერხით კლდეს ლოდებად აქ-ცევენ[3].

იმ ადგილებში, სადაც გოხის კლდეები არ არის, კირის გამოწვა ხდება ბალის ანუ რიყის ქვით (ყუტი ქვა), ხოლო ბალავრისათვის პირ.ქვის მოზიდვა შორეული სბადოდან წარმოებს ან დიდი ზომის რიყის ქვებს აგროვებენ და სათანადო მოყვანილობით პირავენ. კლდის ქვის კირი ხელოსანთა თქმით ბ ო შ ი არის, ხოლო რიყის ქვის კირი ღონიერი კირი გამოდის, ძ ა რ ღ ვ ი მეტი აქვს და კედელს მაგრად ეჭიდება. რიყის ქვებში ნ ა ღ ე ბ ა, ჭ რ ო ღ ა ნ ი და თ ა ფ ლ ა ქვებია კირისათვის გამოსადეგი. რიყეზედ არჩეულ კირის ქვას ხ ა-რ ა გ ე ბ ა დ დგამენ და შემდეგ საკირის ჩასადგმელად ამორჩეულ ადგილზე ურმებით მიზიდავენ. კირის ქვის გადაზიდვა ხშირად უ ლ ა მ ი ს დახმარებით ხდება. გადაზიდვის ამ კოლექტიურ წესს სვანეთში „ლილ-კირალს "უწოდებენ (შმრ. სვანეთი).

კირის დასაწვავ ნაგებობას ს ა კ ი რ ე ჰქვია, საკირის ხელის მცოდნეს— ს ა კ ი რ ი ს ჩ ა მ დ გ მ ე ლ ი ან მ ე ს ა კ ი რ ე (შმრ. ქიზიყი), ხოლო კირის მი-საღებად წარმოებულ პროცესს — საკირის დაწვა[4].

კირის დამზადება სამ ძირითად მომენტს შეიცავს: ა. კირის ქვისა და შეშის დამზადება, ბ. საკირის გაპრა და ჩადგმა, გ. საკირის დაწვა და კირის ამოღება.

საკირისათვის კირის ქვის მესამედი აუცილებლად პირიან-კბილიანი უნდა იყოს, დანარჩენი რიყის ქვა შეიძლება. კბილიან ქვას პ ი რ ქ ვ ა, ბ ა ლ ა ვ რ ი ს ქ ვ ა ან თ ა ღ ი ს ქ ვ ა ეწოდება და საკირის საცეცხლე ადგილის ამოსაგებად და მისი ც ი ს ანუ თ ა ღ ი ს შესაკრავად იხმარება.

საკირის საწვავ მასალად ორნაირი შეშა მ ა რ ა გ დ ე ბ ა: ძნელად საწვავი კუჟ-რიანი კუნძები—საბოლებლად და წიფლის ხმელი შეშა—შესაკეთებლად. შესაკეთებელი შეშა ორ ზომაზე იჭრება: მ ო რ ე ბ ა დ და მცირე ზომის ი ღ-ლ ი ი ს შეშებად.

საკირის გაპრამდე საკირისათვის ნიადაგის შერჩევა ხდება. ზოგმა მიწამ ცეცხლის სიმხურვალის შედეგად ნ ა ღ ვ ე ნ ი ს გამოკონვა იცის, საკირის ქვის კედელს შიგნიდან გაეკრის და დაწვაში ხელს უშლის, ამიტომ მშრალი, ფხვიერი ნიადაგი უნდა შეარჩიონ დაფერდებულ ადგილზე, რომ შესაკეთებ-ლად მისადგომი დ ე რ ე ფ ა ნ ი გვერდიდან ადვილად გაიჭრას.

საკირის ორმოს გასაპრელად ნიადაგის ცენტრში სარს დასამბენ, ზედ სა-ჭირო სიგრძის თოკს მიაბამენ და გაჭიმული თოკის ბოლოზე მობმული ჩხირით წრეს შემოფარგლავენ. წრის შიგნით ორმოს ამოიღებენ, შემდეგ ფერდობის მხარედან ერთი მეტრის სიგანე კ ი ს ე რ ს დატოვებენ და მოგრძო ოთხკუთხედ დერეფანს ჩაჭრიან.

კისერზე ორმოსა და დერეფანს შორის ორი ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი გამოიჭრება— ც უ ნ დ ო ს ლ ი და ე რ დ ო. ერდო ფართო და მოზრდილი კარია; მას შ ე შ ი ს შ ე ს ა კ ე თ ე ბ ე ლ ი, ს ა მ ო რ ე, ს ა თ ვ ა ლ ე ბ ი და ს ა კ ი რ ი ს კ ა რ ე ბ ი ც

---

[3] ამ წესით მოტეხა სხვა ქანის და სხვადასხვა გამოყენების ქვებზედაც მრავალგან დას-ტურდება.

[4] საბა ორბელიანის ლექსიკონის ჩანამატი ანთებულ საკირეს ც ე ც ხ ლ მ ბ ერ ა ვ ად მოიხსენიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქვია; ცუნდული ერდოს ქვემოთაა მოთავსებული და მას სანაცრეს, ს-ბოლებელს ან სუნდულსაც ეძახიან. ერდოსა და ცუნდულს შორის ე. წ. უღელი არის დატოვებული.

საკირე ორმოში ცუნდულის გასწვრივ ირგვლივ „ბაქნად გამოწეული" ქვის დასაწყობი ლიანდაგი არის შეჭრილი, რომელსაც სვანეთში საქუს უწოდებენ (შმრ. სვანეთი). ლიანდაგს შიგნით საკირის დიამეტრთან შედარებით მცირე დიამეტრის ორმოა ამოღებული, რომელსაც ფილიან თილი ჰქვია.



ნახ. 1. საკირის ჩადგმა (ივრის ხეობა)

საკირის გათხრის შემდეგ საკირის ჩადგმა იწყება, რომელსაც საგანგებოდ ამ საქმეში დახელოვნებული საკირის ჩამდგმელი ანუ მესაკირე (შმრ. ქიზიყი) დგამს (სურ. 1, 2). დიდ საკირეს სამი დღე უნდა შენება. კედლის აგება ხდება მშრალად და ფოყად (დარანებით, ფანჯრებით), რადგან საჭიროა ქვებს შორის ალის საგალი ადგილები დარჩეს; ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ყოველი ქვა მაგრად უნდა იყოს ერთიმეორეზედ მოჭიდებული, რომ საკირე არ ჩაინგრეს.

საკირის კედელი უთუოდ პირიანი, გაკუთხული ქვების წყობით უნდა აიგოს, ე. ი. ქვებს კბილი უნდა ჰქონდეს. ამიტომ პირქვის დამზადების პროცესშივე უნდა გაითვალისწინონ ქვების სათანადო მოყვანილობით დახეთქვა; კედლის წყობაში ქვის კბილები ერთიმეორეს უნდა მოეჭიდოს და დაიკბილოს (დაიბეჭოს).



სურ. 2. ჩადგმული საკირე (ივრის ხეობა)

პირქვის პირველი წყობის თითოეული ქვა ფილის თავზე შეჭრილი ლიანდაგის სიფართის გამწდო უნდა იყოს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საკირეში მეტისმეტად დიდი ზომის ქვებს არ აწყობენ, რადგან დიდ ქვებს ცეცხლი ვერ მოერევა და შეიძლება დაუწველი დარჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირიდან პირველი პირი ქვა რომ დაეწყობა, შემდგ მის ზემოთა წყობა ოდნავ წინ წამოსწევენ. ასე უმატებენ ყოველი შემორიგების დროს და მოწინააღმდეგე მხარეებიდან ქვების წყობა თანდათან ერთიმეორეს უახლოვდება, უკან კი ორმოს კედელსა და პირის ქვის წყობას შორის ადგილი თანდათან ფართოვდება და ეს ადგილი მეტი და მეტი ქვის წყობით ივსება. საკირის კედლის შენების დროს ყოველი პირის შემოვლის შემდგ კედლის ოდნავ წინ წამოწევას მ ო ყ ო ს უწოდებენ, მ ო ყ ო ს მანამდის უნდა, სანამ ქვები „ცხვირს ერთმანეთთან მიიტანენ". მოყრილი ანუ მ ო წ ვ ე რ ი ლ ი კედლის თავში კეერცხისებურ ქვას ე. წ. თ ა ღ ი ს ლ უ რ ს მ ა ნ ს ჩაუყრიან და „ც ა შ ე ი კ ვ რ ე ბ ა" ანუ თ ა ღ ი ჩ ა ი კ ე ტ ე ბ ა. სვანურად საკირის ცას დ ე ც ეწოდება (შმრ. სვანეთი).

საკირის ამგებნი მოგვითხრობენ: „ვეტეკამთ ქვებს, ისე არის ერთიმეორეში ჩაწყობილი, რომ საგანგებოდ რომ ეცადოს, მაინც ვერ გამოაძრობს. პირის ქვას რო ერთიმეორე უჭირავს, მერე უკან კიდევ სხვა ქვებს ვუწყობთ შუაში და იმით ვამაგრებთო". უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გარდა ერთიმეორეზე დაკ-ბილვა-დაბეჭვისა, საკირის კედლის თანდათანობით მოყრა-მოწვერვისათვის მნიშვნელობა აქვს თვით წყობის შემადგენელი ქვების მოყვანილობას და მდებარეობას. საკირეში ქვა ვიწრო პირით შიგნითაა მიქცეული, ფართო პირით კი მიწის ორმოს კედლისაკენ. ამ ხერხით ერთიმეორის გვერდით ჩაწყობილი ქვები ერთმანეთს აწვება და შიგნით სამორისაკენ არ გაძვრება, უკან მიქცეული ფართო ბოლო ამის საშუალებას არ მისცემს, წინა ვიწრო ცხვირები კი ერთიმეორეზეა მიყრილი.

უბრალო მრგვალი ქვით საკირის ბალავრის აშენება არ შეიძლება, რადგან ცეცხლის შეკეთების გარკვეულ პერიოდში ქვა ტყრობას იწყებს და მრგვალი ქვით ნაშენ კედელში სკდომის დროს ქვა ადვილად გორდება, რამაც შეიძლება მთელი საკირის ჩაქცევა გამოიწვიოს.

საკირის თაღის სიმძიმის დამშვრად საკირის ანთებულ ცეცხლსაც მიიჩნევენ. ამბობენ: „როცა გახურდება, თითონ ეკიდება ქვა ქვასა და დუღს და აღარ ჩაიქცევაო". „საკირე რომ გახურდება, ის ქვები როგორც ჯამები ისე არის ჩაწყობილი ერთმანეთში და ცეცხლიც იმდენ საშუალებას აძლევს, რომ იმ ცეცხლსაც უჭირავს ის სიმძიმეო". საკირის ბალავრის კარგად შერჩეული ქვის ქანი, კიდევ ზუსტი წყობა და კიდ ზომიერად მოწვერვა სრულიად საიმედო საყრდენს ქმნის მასზედ დაშენებული დიდი სიმძიმის მქონე საკირის ქვების წყობისათვის, რომელსაც ს ა კ ი რ ი ს თ ა ვ ს უწოდებენ. საკირის ბალავრის სიმაგრისათვის სამორისა და ცუნდულის გასწვრივ ორი ქვა უნდა დაიდოს: ერდოს თავზედ დიდი ზომის ს ა მ ო რ ი ს ქ ვ ა და უღელთან — უ ღ ლ ი ს ქ ვ ა.

საკირის ცა რომ შეიკვრება, მას ზემოდან თ ა ვ ი მ ო ე ბ მ ე ბ ა. აქ ქვა ეწყობა შებრუნებით: ვულში ხურდა და ნაპირებზე პირიანი ქვა, რადგან საკირის თავი მიწის ზემოთაა ამოცილებული და მაგრად უნდა დადგეს, პირი არ ჩამოშშალოს. თავის მობმის შემდგ საკირის თავს ტალახით შემოლესენ, ოღონდ წვერში შემოულესავად ს ა ს უ ლ ე ს დატოვებენ.

საკირისათვის, მომარაგებული ქვის რაოდენობასთან შეფარდებით აუცილებელია საკირის მოყვანილობის ზუსტი გამოანგარიშება: მეცდომს დაშვებ— უფრო მაღალი ან უფრო დაბალი საკირის ჩადგმა—კირის დაუწველობას იწვევს: დაბალ საკირეში ც ე ც ხ ლ ი ი ხ რ ჩ ო ბ ა, ხოლო მაღალში წვერში მიდის და ქვა დაბლა დაუწველი რჩება. საკირის მოყვანილობის ამგვარ განსაზღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრას საკირის ავალა ეწოდება (შმრ. ქიზიყი). პატარა საკირეს ბაბალა ავალა, ხოლო დიდ საკირეს მაღალი ავალა უნდა.

საკირის ჩადგმის შემდეგ იწყება საკირის დაწვა. ანთებული საკირე ორ საფეხურს გაივლის: შებოლება ანუ შეჩულვა და შეკეთება.

შებოლება ხდება მხრჩოლავი, ანელად საწვავი კუნძების ანთებით, რომელიც პირველად ჩაეწყობა სამორეში. შებოლების დროს ერდო დაგამანული ანუ დაგულია[ა] და ჰაერი მხოლოდ ქვედა მცირე სათვალეთან — ცუნდულიდან მოძრაობს. საკირეს მხოლოდ ნიავი აქვს, ცეცხლი ადარ ღივდება და ხრჩოლავს. ამ მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული ცუნდულის მეორე საქელწოდებაც — საბოლებელი. შებოლებით ქვაზე ზემოქმედება იწვევს მის დაორთქლებას და ოფლის მოსვლას. ამ ხერხით ქვის შედგენილობიდან გამოიყოფა სითხე, რომელსაც ოფლს უწოდებენ. ამ ოფლში უნდა მოიხარშოს ქვა[ბ].

შებოლების ხანგრძლივობა კირის ქვის თვისებაზეა დამოკიდებული. ქვის ოფლი კლდის ქვიდან ძნელად გამოიყოფა, ხოლო რიყის ქვაში ეს პროცესი სწრაფად ხდება. საერთოდ უკეთესია ხანგრძლივი შებოლება და შეკეთების დასაწყისში ცეცხლის თანდათანობით გაძლიერება, რომ ე. წ. ქვის ტყრობაც, რომელიც ქვის ოფლში გამოხარშვის შემდეგ იწყება, უხიფათოდ ჩაიაროს. ოფლში ქვის სრულ გამოხარშვამდე საკირეში არ შეიძლება ძლიერი ცეცხლის დანთება.: იგი ქვის ძლიერ ტყრობასა და ამის შედეგად საკირის დანგრევას გამოიწვევს.

ოფლში გამოხარშვის პროცესის დასრულებას შემკეთებელი საკირის ერდოდან ადეკენებს თვალყურს: ოფლში გამოხარშული ქვა ჯერ მოიკიდებს შავ მურს. შემდეგ ეს შავი მურიგადაყრება და იწყებს პრიალს. ამ მომენტიდან საჭიროა ძლიერი და გაუნელებელი ცეცხლის შეკეთება. შეკეთებისას პირველად საკირე გატუკრება და ტყრობას რომ მორჩება, ქვა წვაში შეევა.

წვაში შესვლა საკირეს გარეგანი ნიშნებითაც შეეტყობა. ოფლის მოსვლისა და ტყრობის დროს საკირის თავიდან გამუდმებენ ამოდის ბოლი, ქვა რომ წვაში შეევა, მაშინ საკირის თავზე ალი გამოჩნდება. ამ მომენტიდან განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ცეცხლს კეთება. საკირეში ცეცხლი ყოველ კუნძულში განუწყვეტლივ თანაბარი სიძლიერით ზემოქმედებს და კარგად ბუქნამს[გ]. ამ დროს საკირის ერდოსთან მდგომი შეშის მკეთებელი იმდენად მძიმე შრომას ეწევა, რომ ერთი საათის მეტი არ შეიძლება ერდოსთან

[ა] ქიზიყის შინამრეწველობის მასალების მიხედვით მასაკირეები ქვის ოფლს აგროვებენ და წამლად ხმარობენ მტკივან თვალებსა და ოფლიანებულ წასასმელად (შმრ. ქიზიყი).

[ბ] საკირეში სხვადასხვა სიძლიერით შეკეთებულ ცეცხლს სხვადასხვა სახელწოდებაც უნდა ჰქონდეს. ჯოჯელი და მეჯვრისსხვენი მეკეთებელნი ჭეთჭლინი გამოსაწვავ ქურაში ძლიერი ცეცხლის შეკეთებასა ოგის მიცხებას უწოდებენ. როცა იტყვიან „ამა ერთი ოგი მისცხეთო“, საგანგებოდ ამ მომენტისათვის მომარჯვებულ და ხომალდად დაჭრილ შეშას შეუკეთებენ ჭურაში. ოგური ცეცხლის ამგვარი გაგება თუ საქართველოს სხვა კუთხეებშიც დადასტურდა, ეგებ ამან ტერმინი აგური შინაარსიც ასწინა. ალსანიშნავია, რომ ძველ ასურულში u—ggu და aggu ძლიერს, ღონიერს, გაცხარებულს ან გაბრაზებულს ნიშნავს, რაც სრულიად ემთხვევა ოგის ზემოხსენებულ გაგებას (A. Saubin, Lexique Assyrien-francais. т. VI, Paris). ამასვე შეიძლება უკავშირდებოდეს გაბურებული მკის დროის ქართული სიტყვა „ჯური ოგა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომა, მას მეორე ენაცვლება და მეორეს მესამე: ერთი რომ უკეთებს, მეორე შეშას უმარჯვებს, მესამე ისვენებს.

საკირეში ცეცხლის არათანაბარი სიძლიერით დანთება და მისი თუნდაც ცოტა ხნით შესუსტება მთელი საკირის დაზიანებას იწვევს — ქვა იწრთობა და საკირე აღარ დაიწვის. ქვას წრთობის შემდეგ ზომიერი ცეცხლის დანთებაც აღარაფერს უშველის. ზშირად საკირის წრთობა ცუდი ამინდის გამო ხდება, განსაკუთრებით საშიშია ქარი. კირის დამწველ ხელოსანთა თქმით წვიმა ისე არ აშნებს საკირეს, როგორც ქარი. „ქარი აგრილებს ქვას და წრთობას იწვევსო". წრთობის შემდეგ დარჩენილ დაუწვავ კირის ქვებს ნაწურთებს უწოდებენ.

ზოგი ქვა დადნება და კირად კი არ დაიწვის. მაგალითად, თუ სალესავი ქვა ჩაჰყვა საკირეში, ის „სულ წყლად ჩამოვა" და ამ ნადნობისაგან ე. წ. კოხი მიიღება. ქვის ნადნობი კოხი დაჩერტლილია და პრიალა; ბუნებრივ კოხზედ მაგარია და საუცხოო მასალაა კეერების მოსაკოდად.

საკირის დაწვაში ხელის შემშლელია აგრეთვე ნაღვენთი (შმრ. ქიზიყი). ზოგმა ქვამ იცის—ნაღვენთს გამოეკონავს და ზედაპირზედ გადაეკვრის. ამ ნაღვენთს ზოგან ინგლისს ეძახიან. ქვას თუ ნაღვენთი გადეკრა, ე. ი. ქვა გაინგლისდა იგი კირად აღარ დაიწვის[1]. ღიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ერთნაირი ქანის ქვის შერჩევას საკირის ჩასადგმელად. მაგარი და რბილი ქვა არ შეიძლება ერთსა და იმავე საკირეში დაიწვას. ისეთ შემთხვევაში ერთი აღრე იწვის, მეორე დაუწვავი რჩება და თუ განავრძეს ცეცხლის შეკეთება, დამწვარი ქვა წვას გადადის, 'დუღდება და წიდდება. ქვა თუ აღუღდა, საკირეს ხრაკის სუნი აუვა.

ანთებული საკირის მოქმედების განსაზღვრა მისი გარეგნული ნიშნების მიხედვითაც წარმოებს. ოფლის დენისა და ტყრობის დროს სასულედან ბოლი ამოდის, ხოლო დაწვისას ალი იწყებს ამოსვლას. ამ დროს საკირის ღია თავზე თეთრი ქვის წყობა წითლად არის გავარვარებული, რომელზედაც ბოლოს მწკანე ხავსი გაჩნდება, ტალახით შემოლესილი საკირის თავი კი თეთრი ხავსით დაიფარება. ამ ნიშნების გამოჩენაზე საკირის დაწვას სასინჯით შეამოწმებენ: საკირის ქვას ამოაგდებენ და წყალს ასხამენ, დამწვარი ქვა მაშინვე დაიშლება, დაუწვავი კი ქვადვე დარჩება.

კარგად დამწვარი საკირის თავი ოდნავ დაპატარავდება, რასაც ხალხი საკირის ჩაცვენას უწოდებს. საკირე რომ ჩაიცვენა, კირი მზად არის. საკირის ორივე სათვალეს (ერდოსა და ცუნდულს) დაგმანავენ, ერთი კვირის განმავლობაში საკირე გაცივდება და შემდეგ კირის ამოღებას დაიწყებენ.

კირის ამოღება იწყება საკირის თავიდან. საკირის თავის ტალახით შემოლესილი წყობის გარეთა ერთი პირი გამოუწვავი რჩება და გადაიყრება; დანარჩენი კარგი კირია. საკირის დაშლა გვერდიდან მიდგომით უნდა: ზედგომით შეიძლება ჩაინგრეს და ადამიანი კირის სიმხურვალეში ჩაიწვას.

საკირე შეიძლება ქვაკირად ამოიღონ და შეიძლება გააცივონ. ამის მიხედვით კირის ორგვარი სახეობა გვხვდება: ქვაკირი და გაცივებული

---

[1] საკირის ეს მაგნე პროცესი—გაინგლისება—სიტყვა გლესადან უნდა იყოს ნაწარმოები. ს. ორბელიანის განმარტებით გლესა განგოზას ნიშნავს. ქიზიყურ შინამრეწველობის მასალებში ნათქვამია: ღვინი გამოეხვაზა, მთელი საკირის კედლებს გაეკვრის, კედლები ღვინთით გაილესება და მთელი საკირეც აღარ დაიწვისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირი. გაცივებული კირი წყლის დასხმით დაშლილი ქვაკირია. იგივ[illegible] ქვაკირი კი მსუბუქია და შორს წასაღებად მოსახერხებელი. გაცივებულ კირს ზოგან საგანგებოდ გათხრილ ორმოში, ე. წ. ბესაში ინახავენ, რომელსაც შუადმივად წყალი აქვს დასხმული.

არხევენ აგრეთვე ახალ კირსა და დაწოწილ ავებულ კირს. ახალი კარგი კირი დუღს და დაწოწილავებულს არაფერი ძალა არა აქვს. დაწოწილავებული კირი უმი, ცუდად დამწვარი კირი არის. კირი სამ წლამდის ახალკირად ითვლება, სამი წლის შემდეგ კი დაძველდება და ძალა ეცლება.

კირის დაწვის დროს, მოხუც ხელოსანთა გადმოცემით, ძველად საკირის ანთების წინ ამინდის ღვთაება ელიას მსხვერპლს შეწირავდნენ — ციკანს დაუკლავდნენ და შესთხოვდნენ: „ღმერთო, ელიაო, კაი ამინდი დაიპირე, რო საკირე დაგვეწოსო“. თვით საკირეს კი მათი წარმოდგენით სამი ანგელოზი ჰყავდა: ანანია, აზარია და მისრელი. მეჯვრისსველი საკირის ჩამდგმელის გადმოცემით, „საკირე როდესაც მზად არის და ანთების მეტი აღარა უნდარა, პირველად უნდა გადავიდეს შიგა კაცი, უნდა გადაიტანოს ერთი საღვინე ღვინო და ერთი წყალი სანთელი, უნდა ადდეგრძელოს პირველ რიგში საკირის ანგელოზები: გაუმარჯოს ანანიას, აზარიას და მისრელს. ის სანთლები საკირის კარებში უნდა ანთოს და ცეცხლი უნდა მოუკიდოს შიგა. აანთებს, დაყრის, მოუკიდებს და თითონ გადმოდის და მერე მთელი სამი დღის განმავლობაში პურის ჭამასა და ღვინოზე სულ მუდამ ამასვე იტყოდნენ“. სწამდათ აგრეთვე საკირის დაწვაზე ავი თვალის ზემოქმედება, რის საწინააღმდეგოდაც საკირეში ეკალსა ან სხვა ამგვარ საგნებს ატანდნენ, ხოლო საკირეში თუ რკინა ჩაჰყვებოდა, იტყოდნენ: კირი აღარ დაიწვებაო.

კირს ხალი სხვადასხვა საჭიროებისათვის სხვადასხვა წესით იყენებს. 1. იციან კირის შერევა და მოდუღება დანაყილ ბამბასა, ქონსა, ზეთსა, რძესა, დანაყილ აგურსა ან ქვიშასთან. ამ შენაზავს ხმარობენ წყალგაყვანილობაში თიხის მილების შეერთებისა ადგილების დასაგლესად, დაზიანებული ჭურჭლებს დასაწებავად, საწნახელის პირის გასალესად და სხვ. და 2. იციან კირის გადარევა ქვიშასთან ან ლამთან და მისი ხმარება კედლის შინაგან წყობაში საშენებლად. ამ წესით კედლის შენებას ქვიტკიერი ეწოდება.

წყაროების გამყვან მოხუც ხელოსანთა თქმით, სისველეში კირის იმგვარი ხსნარი არ გამოდგება, როგორსაც კედელზე ხმარობენ. წყაროს თიხის მილების ჩაწყობის დროს გამოიყენებოდა ძროხის ქონსა და დანაყილ ბამბასთან ერთად ნადუღი კირის ხსნარი. ქვაბში ქონს გაადნობდნენ, შიგ კირს გახსნიდნენ; შემდეგ დანაყილ ბამბას ჩაყრიდნენ, იმდენს რომ გასქელებულიყო; მოურევდნენ, წამოადუღებდნენ, გადმოიღებდნენ და თხელი სწორპირიანი ხის კოვზით მილებს ცხლადვე შემოაკრავდნენ. შემდეგ ერთიმეორეში მოათავსებდნენ, გარედან იმავე კოვზით შემოასწორებდნენ და თან ხელსაც შემოატარებდნენ, რომ ღია ადგილი არსად დარჩენილიყო.

საინტერესოა საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ჩანამატი; სიტყვა ხორასანის განმარტებაში ნათქვამია: „აგური, კირი, ქვიშა, ერთად დანაყილი და ზეთში მოდუღებული, გასალესავად აუზისა და აგრეთვე წმინდა სამთელში ესეეე წამოდუღებული დასაწებავად“ რისამე, აგრეთვე რძეში გალესილი გასალესავად კედლისა თუ სხვისა რისამე. გლეხნი ხმარობენ ამა სიტყვით ხორასანი შეამზადეო“. ეს ახლნა უთუოდ საინტერესო ცნობას შეიცავს საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირის ხმარების ისტორიისათვის და, თუმცა იგი გვიანდელი ჩანამატია ლექსიკონში, მაგრამ, როგორც იქვე ნათქვამია, იგი ხალხში ფართოდ გავრცელებულ ჩვევებში არის დადასტურებული („ბალენი ხმარობენო“[8]).

კირის ამგვარი ხსნარის ხმარება ხალხური პოეზიის ნიმუშებშიც გვხვდება. მაგ., ქართლში ჩაწერილ ლექსში ნათქვამია: „თავს საწნახელი დამადგი, პირი მოულესე რძითაო“[9]. აშკარაა, რომ აქ რძეში მოლესილი კირით საწნახელს შიდა კედლის პირის გალესვაზეა ლაპარაკი. მეორე ხალხურ ლექსში კი გვაქვს: „ჭირში უნდა გამაგრება, როგორც წყალში იმ ქვიტკირსაო“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხალხმა იცის კირის იმგვარი ხსნარიც, რომელიც წყალში მაგარია, წყალსაც უძლებს. სიმართლის ანარეკლი უნდა ვეძიოთ ციხეების კირისა და რძის ნაზავით აგების შესახებ არსებულ მრავალ გადმოცემებშიც.

კირის სხვადასხვა ნივთიერებასთან შენაზავი წყალგამძლე ხსნარი რომ ადრიდანვე არსებობდა ამას ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული ჟურჟლის საშუბავი ხსნარი ე. წ. კოწიწიც გვიდასტურებს. ეს ხსნარი კირის სხვადასხვა ნივთიერებასთან შერეული კეთდება: ზოგან კირისა და რძის ნაერთს ხმარობენ, ზოგან კირისა, დანაყილი ბამბისა და რძისას. ზოგან კირის, ქონისა და ბამბის ნარევს, კვერცის ცილისა და კირის ნარევს და სხვ. კოწიწის ხმარების დროს საგანგებო ყურადღება ექცევა მის რაც შეიძლება სწრაფად ხმარებას. იგი შეზელვისთანავე უნდა წაუცხონ გატეხილი ჟურჟლის გახურებულ ნაპირებს. ამგვარი კოწიწის სწრაფად ხმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დაყოვნებული კოწიწით ჟურჟელი ორ-სამ დღეზე გაიშლება, სწრაფად დაკოწიწებული სხვა ადგილზე გატყდება და იმ ადგილზე კი მთელი დარჩებაო. ამავე დროს ამკაშადაც ფართოდაა ხალხში გავრცელებული წინასწარ შემზადებული რძეში დამბალი და დანაყილი ბამბისა კირის ნაზავი, რომელსაც მუდმივად გამზადებულს ინახავენ და ზედ რძის დასხმით მუდამ სველად ამყოფებენ. ამგვარი კოწიწი თავის ძალას ინარჩუნებს და ყოველთვის ვარგისია.

რაც შეეხება კირის გამოყენების მეორე გავრცელებულ წესს—ქვიტკირს, რომელიც კედლის შინაგან წყობაში იხმარება საშენებლად, სიმაგრისათვის, იგი ქვიშისა და კირის წყლით შეზავებული ხსნარია, რომელიც კედელში რომ „შეხმარდება“, შიგ დუღილს განაგრძობს და ქვების წყობას ერთმანეთზე აბამს და ამაგრებს.

ქვიტკირის ოსტატები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კირის ძალის გამოყენებას კედელში. ამბობენ: „ძალიანი კირი კედელში რომ შეხმარდება, იქ, კედელშივე განაგრძობს დუღილს და წლების განმავლობაში კედელიც განუწყვეტლივ მაგრდება, რადგან რაც კირს ძალა ეცლება, ის სულ იმ კირით აშენებულ ქვაში მიდის და აბამსო“. „კირის ძალა უსარგებლოდ ჰაერში კი არ უნდა გაიბნეს და ხიაეს გაჰყვეს, არამედ შიგ კედელშივე უნდა გაუჯდესო“. ამიტომ სიმაგრისაათვის ყოველთვის ახალ ქვაკირს ამჯობინებენ. საუკეთესო ხარისხის კირს ასე ახასიათებს თბილისელი მოხუცი კალატოზი დ. ჯანიაშვილი: „წინათ რო მიტანდნენ კირსა, დაასხამდი წყალსა, სუ ტკაცატკუცი გაჰქონდა, კვერცხ-

---

[8] ეგებ „ხორასანი“ გეოგრაფიულ საბელ-ზოდგებასთან კი არა ხეროსთან იყოს დაკავშირებული და ხეროსათვის საკირო კირის შენაზავის შინაარსს აღნიშნავდეს? ხალხურ მეტყველებაში ამგვარი დამსგავსების ხშირი ნაგალითები გვხვდება ხოლმე.

[9] ძველი საქართველო, ტ. III, განყ. II. ტფილისი, 19.3—1914, გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები ბევრჯელ შამიწვია. წყალს რო დაასხამ ხო ცხელია ის კირი და ჩაგვწყვია კვერცხები და შაგვიწვია... ერთი ბეწო რო წყალი დაგესხა, გადაიშლებოდა და კაი ბიჭი იყავი ხელ ჩაიყოფდი".

კედლის განსაკუთრებული სიმაგრისათვის ქვიშის კალოში სრულიად ახალ დამწვარ ქვაკირს ჩაყრიან, სულ ცოტა წყალს დაასხამენ ისე, რომ დადნეს ქვაკირი და მაწონივით გახდეს, ოღონდ დააცდიან, რომ წყალი ყველგან მოხვდეს და ქვაკირი დაშალოს. შემდეგ ეს შედედებული კირი გადაირევა ქვიშაში.

გაუცივებელი —დაუშლელი კირის კედელში შეყოლება მეტად სახიფათოა, მისი მცირეოდენი ნაწილიც რომ შეჰყვეს, „კედელს გაბერავს" და დაანგრევს[10]. ახალი დამწვარი ქვაკირის გარეცხილ ქვიშასთან ნაზავი, ზოგი ხელოსნის თქმით, ცემენტზე მეტ სიმაგრეს აძლევს კედელს.

ქვიტკირის კედელში ქვიშისა და კირის ორგვარი ხსნარი გამოიყენება: დუღაბი — კირისა და ქვიშის თხელი ხსნარი, კედლის საძირკვლისა და კედლის გულში სახმარად, და მუშაკირი—კირისა და ქვიშის სქელი ხსნარი, კედლის პირის წყობაში სახმარად. რაც უფრო მეტი რაოდენობითაა დუღაბში კირი, მით უკეთესია, უფრო მეტი სიმაგრე ეძლევაო კედელს. დუღაბი თხელი უნდა, რომ კედლის ყოველ კუნჭულში შეაღწიოს: თუ თხელი არ არის, გულში ყველგან ვერ გაუვლის. ხვრელები ე. წ. დარანები დარჩება და კედელში თაგვები დაიბუდებენ. დუღაბისათვის ჩვეულებრივ ორი წილი ქვიშა და ერთი წილი კირი იხმარება, ოღონდ განსაკუთრებული სიმაგრის კედელი თუ უნდათ, ორი წილი კირი და ერთი წილი ქვიშა უნდა. ზოგი კალატოზი დუღაბში ოთხ წილ ქვიშასა და ერთ წილ კირს ხმარობს. დუღაბში ქვიშის მაგივად, თუ აქვთ, ძველი ქვიტკირის შენობის ნანგრევი გორახების ნაფხვენს ე. წ. ნაცეხვსაც იყენებენ, რაც, მათი აზრით, ქვიშაზე უკეთესია, მეტ სიმაგრეს აძლევს კედელს.

დუღაბი თუ კედლის გულში სახმარი ხსნარია, კედლის პირისწყობაში მუშაკირი იხმარება, როგელიც კირისა და ქვიშის წყლით შენაზავ სქელ ხსნარს წარმოადგენს და კედლის შემადგენელი ქვისა თუ აგურის ქვეშ გასაგებად, მათი ბუდის ადგილის მოსაფენადაა განკუთვნილი.

მუშაკირისა და დუღაბის ხსნარის დამზადება ხდება ე. წ. კალოებში. არის მუშაკირის კალო და დუღაბის კალო. მაგრამ სანამ კალო გამოელეზოდეს, ერთი კვირით ადრე (ზოგჯერ მეტითაც) ცხრამეტ წილ ქვიშასა და ერთ წილ კირს აიღებენ[11], ცოტა წყალს დაასხამენ, კარგად აურევენ,

---

[10] კირის ეს თვისება ძველი დროის ქართული ქვის მნგრეველობაშიც ფართოდ ჩანს გამოყენებული, რაც ეაათუოდ კლდის წამლილი ნგრევეზე ადრინდელი საფეხურისაა. იხ. ს. ბედუკაძე. ქვის დამუშავების ხალხური ხერხები იმერეთში, 1950 წ. წაკითხული მოხსენება (ხელნაწერი).

[11] შენარეკის რაოდენობა სხვა პროკენტითაც გვხვდება. მაგ., ივრის ხეობაში ერთ მესამედ კირს ადრევე შეურევენ და ასე დატოვებენ (ერთ-ორ კვირამდე), ბოლო კალოა გამოღებისას ერთ მეათედ ნაწილს კირს კიდევ უმატებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთში გადაზელენ და ერთ ადგილზე გუნდასავით მოაგროვებენ. ასე ეს-და იყოს ეს ნარევი ხელშეუხებლად, მისი გაშლა ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა არ შეიძლება. ამ პერიოდში კირის ძალა შიგნით მუშაობს და ამ ქა-ვებს. ეს დამჟავება კირს ლაბას აძლევს. შირას უშვებს. წებოვნების თვისებას იძლევა. მთლიანად ამ პროცესს ხელსონები გადარევას, გადა-ზელას და დადგომას ანუ დამჟავებას უწოდებენ.

ერთი კვირის შემდეგ კალატოზი რომ დადგება კედლის სამუშაოზე, მუ-შებს ეტყვის „აკლ გამოაღეთო“, მაშინ მუშები დამჟავებული ქვიშაკი-რის ნარევს ორ მხარეს ნიჩბებით გამოშლიან და მრგვალ კალოს გააკეთებენ, გულს ჩაღრმავებენ, შიგ სათანადო რაოდენობის კირს ჩაჰყრიან და წყალს დაასხამენ. იწყება მუშაკირის გადაჩვილება, ანუ მეტი ძარღვის მიცემა, რომ სიმაგრე ჰქონდეს და ქვა მიითვისოს — დაიწებოს; „მშრალი კირი არ მიითვისებს და სველი კირი მიითვსებს, დაიკრამს, დაიწებებს ერთმანეთსაო“. ცოდად არეულ მუშაკირს აფშრუკული კირი ეწოდება. აფშრუკული კირი ზემოდან წყალს იღებს, მას გადაზელა— გადაჩვილება აკლია და ხელ-ახალი გადაჩვილება აუცილებელია. თუ გადაჩვილების შემდეგაც წყალს იგ-დებს ზემოდან, მაშინ კირი აკლია. ამ შემთხვევაში ზედ უნდა გადააცრან კირი და ხელმეორედ გადაჩვილონ. მუშაკირისათვის ივრის ხეობაში ორწილ ქვიშასა და ერთ წილ კირს მიიჩნევენ საკუთესო ნაზავად. „ნახევარი რო იყოს კირი, მაშინ იმტკრეგა, სქდება კედელი, მეტ კირ რო აძლევ, ისაშრება კედელი; კირი რო მეტი აქ, მეტი სიცხარე აქ. ისე რომა, მესამედია უკეთესი და მეექვსედი კი ბოშია, ჩამოდის ქვიშა“.

ქვიტკირის კედლისათვის ქვის ჯიშის შერჩევაა საჭირო: ზოგი ქვა ხსნა-რის მიმღებია, ზოგი კი ლიპია და კირის ხსნარს არ იღებს.

ხალხური გადმოცემების მიხედვით, კედლის აგების ხელის თავდაპირველ მასწავლებლად მტრედი ითვლებოდა. თბილისელი მოხუცი კალატოზების გად-მოცემითაც, მათი ამქრის დროშის თავზე, სხვა ამქრებისაგან განსხვავებით, თეთრის მტრედი ყოფილა გამოსახული.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ კირის გამოყენების პირველადი კერის საკითხი ჯერჯერობით დაუდგენელია მეცნიერულ ლიტერატურაში. კირის ხსნა-რის გამოყენება თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის განათხარი მასალის მიხედვით; შემდეგ ელინურ ეპოქაში დე-ლოსზე მისი გამოყენება უფრო სისტემატური ჩანს იმგვარი ხასიათის ნაგებო-ბათა კედლებში, რომლებსაც წყალი მუდმივად ეხება, ხოლო, როგორც კედლის შინაგან წყობაში შემაკავშირებელი მასალა, იგი მხოლოდ რომაულ პერიოდში ვიცილდება ფართოდ[12].

ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, როგორც ზემოაღწერი-ლობიდან ჩანს, კირი წყალგაყვანილობასა, ღვინის დაყენებასთან დაკავშირე-ბულ ნაგებობებსა და კედლის შინაგან წყობაში გამოიყენებოდა. ამავე დროს სითხესთან შებმები კირის ხსნარი და კედლის წყობაში სახმარი ხსნარი შედ-გენილობითა და შემზადების სხვადასხვა ხერხით განირჩეოდა.

---

[12] М. И. Максимова, Сырьевая база и первичная обработка материалов, „Эллинистическая техника“, Сборник статей под редакцией акад. И. И. Толстого, М—Л., 1948, გვ. 45—46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მშენებლობის ხელოვნებაში თითოეული ამ სახეობის გამოყენების ხანგრძლივობის საკითხი ჯერჯერობით გადასაწყვეტია, ოღონდ ძველი აღმოსავლეთის მკვდარ ენებში კირის მსგავსი სიტყვების მსგავსივე ანდა მიახლებითი მნიშვნელობით არსებობა (ასურული kīru[13], ურარტული qirani[14]). გვაფიქრებინებს, რომ კირს ქართველები შორეული წარსულიდან იცნობდნენ ამავე დროს ძველ ბერძნულში კირის აღმნიშვნელად სულ სხვა ძირებია მოცემული τίτανος, κονία, ἄσβεστος, χάλιξ[15].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართლში საკირის დაწვის რიტუალში მოხსენიებული საკირის ანგელოზები ანანია, აზარია და მისერელი ებრაულ დაბადებაში მოხსენიებულ სიბრძნის მეტყველ ანანია, აზარია და მისაილთან პოულობს პარალელს[16]. ამავე დროს ასურულსა და ებრაულში მსგავსი ძირის სიტყვები შეკვრა, შეერთებისა და სიმაგრის მნიშვნელობითაც იხმარება Mēsiru; Ašaru, hašar.[17] ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკირის ანგელოზები ანანია, აზარია და მისერელი საკირის თაღისადმი სიმაგრისა და მყარობის მიმნიჭებელ ღვთაებრივ ძალებად არიან დასახულნი. ამავე დროს ეს საკირის თაღთან დაკავშირებული რიტუალი საკითხს სვამს იმის შესახებ, თუ რა დროიდან შეიძლება მომდინარეობდეს კირის გამოწვის წესი მ ო წ ვ ე რ ი ლ ი — ცა შეკრული საკირის ბალავრის გულში ცეცხლის დანთებით, ცაშეკრული თაღისა, რომელსაც შემამტკიცებელი მასალის დაუხმარებლად უჭირავს მასზედ დაშენებული დიდი სიმძიმის მქონე საკირის თავი. ამ საკითხებზე პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალი კვლევის საქმეა.

აქვე უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ცნობის შესახებ, სადაც ნათქვამია: „ამან არდამ ერისთავმან... მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა. და ამის გამო დაიწყავლეს ქვიტკირი“[18]. თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კედლის შინაგან წყობაში კირის გამოყენება გაცილებით გვიანდელი ამბავია და ქვითკირიც სწორედ კედლის ქვიშაკირის ხსნარით აგების გარკვეული ხერხია, მაშინ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა საქართველოში ქვიტკირით შენების დასწავლის შესახებ კირის გამოყენების მხოლოდ გვიანდელ სახეობას უნდა შეეხებოდეს.

---

[13] A. Saubin, Lexique Assyrien-français, VI, Paris.

[14] И. И. Мещанинов, Халдоведение, История древнего Вана, Баку, 1927, გვ. 240.

[15] Boisaq Emille, Dictionnaire Etimologique de la langue grecque, Heidelberg, Paris, 1938.

[16] დაბადება, II. წინასწარმეტყველება დანიელისა, თავი ა. ვ. გვ. 730, 731; „და არა იპოვნეს ყოველთა მათგან მსგავსნი დანიელ და ანანია და მისაილ და აზარიასნი და დადგეს წინაშე მეფისა და ყოველსა შინა სიტყუასა სიბრძნისა და ზედმიწევნულობასა“.

[17] A. Saubin, Lexigue Assyrien-francais, т. VI, Paris.

[18] ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С. Я. БЕДУКАДЗЕ

ПРИМЕНЕНИЕ ИЗВЕСТИ В СТРОИТЕЛЬНОЙ ТЕХНИКЕ ГРУЗИИ

(по этнографическим материалам)

Резюме

Грузинское строительное искусство было знакомо с употреблением извести еще в первом тысячелетии до н. э. Грузинский термин „кири" (известь) находится в непосредственной связи с ассирийским термином kirु и урартским qirani и ничего общего не имеет с греческим термином τίτανος, κονία, ἄσβεστος, χάλιξ.

Известь первоначально употреблялась для штукатурки стен в целях гидроизоляции, причем ее смешивали с различными веществами (молоко, жир, постное масло, вата, толченный кирпич и т. д.). К концу первого тысячелетия до н. э. ее начали применять и в стенной кладке. Об этом должно свидетельствовать упоминание „Картлис цховреба" об первом использовании извести в строительстве городской крепостной стены Мцхета.

Упоминание в ритуале обжига извести божеств—Ананин, Азарин и Мисрели, заимствованных, по-видимому, из древнесемитического мира в качестве ангелов хранителей каменного свода печки для обжигания извести от разрушительного действия огня, указывает на генетическую связь грузинского строительного дела с древневосточным.

ნ. რამიშვილი

გიშრის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში

გიშრის დამუშავება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე ცოცხლობს. ხალხური ხელოსნობის ეს საყურადღებო დარგი განსაკუთრებით ფართოდ იყო განვითარებული ტყიბულის რაიონში. ახლო წარსულამდე ადგილობრივი მოსახლეობა უკლებლივ აწარმოებდა „მეგიშრეობას". ამას ხელს უწყობდა გიშრის ნედლეულის არსებობა და სიუხვე. „გიშერს აქ ყველგან ფეხი ედგა". აქ დამოწმებული გიშრის დამუშავება ორ მხარეს შეიცავს: ნედლეულის მოპოვებას და ნედლეულისაგან „ხელადის" დამზადებას. პირველს „გიშრის მოჭრა" ეწოდება. მეორეს—„გიშრის თლა" ანუ „გამოქნა". თითოეული ეს სამუშაო თავისებურ მიდგომას და დახელოვნებას ითხოვს. ამ მიმართულებით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველ ხალხს საინტერესო შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება შეუთმშავებია, რასაც ნათლად მოწმობს საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგად ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები.

გიშრის დამუშავება ოკრიბაში (ტყიბულის რაიონი) საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს და იგი ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაშიაც. ქართველი ხალხის ეკონომიური განვითარების ისტორია მკაფიოდ მიუთითებს იმ ვითარებას, თუ როგორ ეუფლებოდა ქართველი ხალხი, თავისი საცხოვრებელი ობიექტური პირობების შესაბამისად, მეურნეობის ამა თუ იმ დარგს. ესა თუ ის ბუნებრივი შესაძლებლობა ქმნიდა წინაპირობას გარკვეული სახის ხელობათა ჩამოსაყალიბებლად. ამ მოვლენას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრების შემდგომი წინსვლისათვის.

საქართველოს ისტორიაში იქ, სადაც ლაპარაკია ჩვენი ხალხის აღებ-მიცემისა და შრომის განაწილების შესახებ წარსულში, აღნიშნულია: „ვაჭრნდა ბევრი სხვა ხელობაც. ზოგი წისქვილის ქვის კეთებაში დოსტატდა, ზოგი—თიხის ჭურჭლისაში. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი ბუნება იყო და ამ ბუნებასთან შეგუებით საქმიანობაც სხვადასხვანაირი. ზოგან ლითონის მადანსა სთხრიდნენ, ზოგან—ქვა-მარილს იღებდნენ. ერთგან მესაქონლეობა უფრო ხელსაყრელი იყო, კარგი საძოვრების წყალობით. მეორეგან მიწათმოქმედებას უფრო ადვილად უძღვებოდნენ, ნოყიერი ნიადაგისა გამო. მაგრამ მეჯოგეს პური აკლდა ხოლმე. ლითონი იქაც სჭირდათ, სადაც მისი მაღაროები არ მოიპოვებოდა. უმარილოდ ხომ ხალხს გაძლება არ შეეძლო. ამიტომ ესენიც ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ...»[1]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1943, გვ. 11—12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსულის ეს მდგომარეობა თავის გამოხატულებას პოვებს ოკრიბის სინამდვილეში. ოკრიბისათვის მეურნეობის წამყვან დარგს „მიწარობა“ შეადგენდა. მაგრამ მხოლოდ მიწარობით ცხოვრება ოკრიბაში კაცს არ შეეძლო. საჭირო იყო სხვა საშუალებათა გამონახვა და მიგნება. რამდენადაც იგი ღარიბი იყო სახნავ-სათესი მიწებით, იმდენად მდიდარი იყო წიაღისეულით. აქ უხვად მოიპოვებოდა სხვადასხვა მადნეული, რომელთა დამუშავებას დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო მოსახლეობისათვის.

როგორც ადგილზე ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული მუშაობის, ისე მხარის მინერალოგიური შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ოკრიბის მოსახლეობას ადრევე მიუყვია ხელი სასარგებლო წიაღისეულის — რკინისა, გიშრისა და სხვათა დამუშავებისათვის.

ამ მიმართებით წარმოებულ ძველ ნამუშევართა ნაკვალევს, თავისი ხასიათითა და მოცულობით, განცვიფრებაში მოჰყავს მეცნიერი აბიხი[2].

ამჟამად ტყიბულის რაიონი განთქმულია თავისი ქვანახშირის დამუშავებით. ახლო წარსულამდე კი ადგილობრივი მოსახლეობის მთავარ საქმიანობას, მიწარობასთან ერთად, შეადგენდა რკინისა და გიშრის დამუშავება.

გიშერი მინერალოგიაში ცნობილია გალენის სახელწოდებით. იგი წარმოადგენს ქვანახშირის სახესხვაობას, ე. ი. მცენარეული წარმოშობისაა. გიშერს გარდამავალი ადგილი უჭირავს ლიგნინტებსა და ქვანახშირს. უფრო სწორად, მურა ქვანახშირს შორის. ქიმიურად მისი შემადგენელი ელემენტებია: C (55—75%), O (26—19%), H (6—3%); გარდა ამისა, SN და მინერალური ნივთიერება — ნაცარი.

ფიზიკური თვისებანი: სიმაგრე — 1; ხვედრითი წონა — 1,2—1,4; ელვარება—სუსტი ბრწყინვალების. მჭრქალიდან აბრეშუმის ელვარებამდე; მონატეხი — ნიჟარისებრი; ხაზი—მუქი ფერის; ადვილად ნთებადი: იხსნება სიმჟავეებში KQH-სა და 10%-იან HNO_3-ში. ჰაერზე იბზარება. ვინაიდან კარგავს სინესტეს, გამოიყენება სანახელავო ქვად. როგორც სანახელავო მასალა კარგია, რადგანაც ადვილად იშლება და ელვარდება (ილესება) და შემდეგ აღარ იბზარება. გიშრის საბადოები გვხვდება ცალკე ბუდეებისა და შუა შრეების სახით ნახშრირიანი წყლების თიხიან ქვიშაქვებში.

გიშრის საბადოების დამუშავება ცნობილია უმთავრესად ტყიბულის რაიონში —ოკრიბაში. მინერალოგი კოიკანოვსკი[3], რომელმაც 1822—24 წწ. საგანგებოდ შეისწავლა ეს მხარე, მინერალოგიური თვალსაზრისით, ხაზს უსვამს ოკრიბის სინამდვილეში რკინისა და გიშრის საბადოების არსებობას და მის დამუშავებას მოსახლეობის მიერ.

გ ი შ რ ი ს ს ა ბ ა დ ო ებ ი. ოკრიბაში გიშრის საბადოები ყველგან იყო ან, როგორც აქ ამბობენ, გიშერს აქ ყველგან ფეხი ედგა. ყველაზე ცნობილი და მდიდარი საბადო — „საგიშრე“ სოფ. ძიროვანში იყო. საყურადღებოა, რომ ეს საბადო, ხალხის ჩვენებით, გამოულეველი მარაგის შემცველად ითვლებოდა. ამასთანავე იგი საუკეთესო ხარისხის მქონე გიშრის მასალას იძლეოდა.

---

[2] А. А б и х, Тквибульские копи каменного угля, газ. „Кавказ“, 1847, № 11, გვ. 20.

[3] К р ы ж а н о в с к и й, Представление Грузинской Горной экспедиции Велямминову, от 8-го мая 1826 года, № 186, АКАК. т. VI, ч. 1, § 231, გვ. 184.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სბადო შესწავლილ იქნა საგანგებოდ ბაცევიჩისა და სიმონოვიჩის მიერ — ამ 80 წლის წინათ, მაგრამ ამაზე ბოლოს.

ძიროვნის სბადოს გვერდით იხსენიება რიგი სხვა სბადო: თხისზურგა, საფლავეთი, ქედუა, ლაშე, ნიგოზასფერდი, ნაბოსლევი, მილიწყარო და სხვ. გარდა ამისა, გიშრის სბადოები მოიპოვებოდა ზოგიერთ სოფლებში: ოჯოლაში, ცუცხვატში, ჯვარისაში, მუხურაში, გელათში, ბობოთსა და სხვაგან.

უწინ. დასახელებულ სბადოთა დამუშავება სწარმოებდა სხვადასხვა დროსა და გარემოებაში; ზოგი კი კვლავაც მუშავდება.

ს ბ ა დ ო ე ბ ი ს მ ი გ ნ ე ბ ა. გიშრის სბადოს ადგილმდებარეობის გასარკვევად და მისაგნებად მცხოვრებთ გამომუშავებული ჰქონდათ ერთგვარი, თავისებური წესები. საერთოდ, გიშრის მოხელეთა დაკვირვებით, გიშერს უყვარს ხულიანი, ჭაობიანი ადგილი. ასეთ ადგილზე გიშრის „ქარიერი“ დაფარულია თხმელის ან წაბლის ტყით. ეს გარემოება აადვილებს გიშრის ძებნას. გარდა ამისა, გაშიშვლებული ქანების მიხედვით ადვილად შეიძლება შეატყოს დაკვირვებულმა თვალმა — არის თუ არა ახლომახლო ადგილას გიშერი.

გიშრის მოხელე ცნობს გიშრის ადგილსამყოფელს ნიადაგიდან აღებული მიწის სუნით ან გამომდინარე ნაკაღულის გემოთი. აგრეთვე გამოცდილებით იცის, რომ იმ არეშარეში, სადაც გიშერი მოიპოვება, მიწის ზედაპირზე რჩება გიშრის ნამცეცები — „ფეტვი“; მაგრამ ყველა ამ ნიშნითაც არ ამოიწურება გიშრის ძებნის ხერხები, არსებობს სხვა ხალხური საშუალებანიც, რომელთა მიხედვით წარმოებს გიშრის მიგნება.

გ ი შ რ ი ს ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა. გიშრის ნედლეულის ამოღება წარმოებს შემდეგი სახით. მიგნებულ სბადოს მოხელე წინასწარ შეამოწმებს, დაიგულვებს და შემდეგ მომზადებული მიდის გიშრის ამოსაღებად. პირველად საჭიროა გასუფთავდეს მიწის ზედაპირი ყოველგვარი ტყისა და ქვათაგან. შემდეგ შეუდგებიან მიწის ზედაპირის გადაცლას ერთი ბარის პირზე და გიშრის ძარღვის ძებნას. გაჰყვებ-გამოჰყვები ნიადაგს კვალებად და, როცა მიადგება „წმინდა“ გიშერს (ამას ატყობს ხმით. ვინაიდან ჰაერის შეხებისას გაიშიშვლებული გიშერი სცდება და გამოსცემს ხმას), ფრთხილად შემოაცლის ერთი მხრიდან მიწას და ჭაკატის პირით მოწვდის და გამოიტანს ნიადაგიდან. ამოღებულ გიშერს აყალო მიწით შემოლესავს, ნეშში გაახვევს და ჩაალაგებს ტომარაში.

გიშრის მოხელეთა დაკვირვებით, გიშერს თუ ჰაერმა „დაჰკრა“, იგი მყის დაიბზარება, დაირღვევა. დირღვევა ორგვარია: შეიძლება გიშერი დაიშალოს კანში ან ტანში. კანში დაშლას „დაბწკალვა“, დაბზარვა ეწოდება, ტანში დაშლას კი „დახაშხაშება“, ანუ დაპობა.

ნიადაგში მყოფ გიშერს თან ახლავს თავისი დამახასიათებელი სინოტიეე— „გიშრის წყალი“. რომლის დაკარგვითაც იგი სწრაფად იფიტება და იფშვნება. ეს თვისება გიშრისა კარგად მოხელეებმა და ცდილობენ შეუნარჩუნონ სინოტიეე. ამისათვის გიშერს მიწისაგან მთლად არ აშიშვლებენ და სახლში მოტანისთანავე მას ისევე ჩადებენ, „მიწას მიაბარებენ“ ეზოში სადმე.

მოხელეთა ჩვენებით, გიშერი მიწაში „ობლად“ დევს, იშვიათად— ფენებადაა განლაგებული წყვეტილ-წყვეტილად და არა გამმით. უმჯობესია, როდესაც გიშერი დიდ ნაჭრებად მოიპოვება, ვინაიდან მოხელე შემდეგ მას თავის გემოზე დააპობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიშრის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიღრმეზე და რა ადგილსაა იგი ნიადაგში: ბარია, მთა, ვაკე თუ მაღლობი. საერთოდ, გიშერი უმჯობესია ვაკე, ჭალა ადგილისა. ჭალის გიშერი სამ ფენად მოიპოვება: პირველი ფენა დევს ერთი მეტრის სიღრმეზე, მეორე —მეტრ-ნახევრის სიღრმეზე (პირველ სჯობია), მესამე ფენა გაცილებით ღრმაღაა და ის საუკეთესო ხარისხისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გიშერი ხშირად ჩაკეტილია თიხქვის კეცებში, ამიტომ საჭირო ხდება ქვის ამომტვრევა. ნიადაგის მიხედვით წითელი აყალო მიწაში მდებარე გიშერი სჯობს ყველას, ეინაიდან აყალო მიწა იცავს მას გამოშრობისა და გამოფიტვისაგან. საერთოდ იქ, სადაც სიმხურვალე „ამოაწვება“ და ჰაერი ადვილად მუშაობს, იმ ადგილის გიშერი მდარე გამოდის.

გიშრის ძველი მოხელის აკაკი ქათამაძის დაკვირვებით, გიშერი უფრო წყალს მიჰყვება აყალოში და როცა თხრის დროს ასეთ ადგილს წერაქვით შეეხება კაცი, „იწივლებს გიშერი“ და ალმა ამოასხამს წყალს. ეს იმის მომასწავებელია, რომ აქ არის გიშერი. ძებნის დროს ხშირად გვხვდება ძველი მაღარო, მაგრამ მეტწილად წყლითაა სავსე და გვეშინია შიგ შესვლის. ეტყობა ჩვენი ძველებიც ამუშავებდნენ გიშერსო, გვეუბნება ა. ქათამაძე.

ამოღებულ გიშერს სახლში რომ მივიტანთ, მიწაში დაგმარხავთ და, როცა გვინდა, ვხმარობთ. რაც მეტ ხანს იქნება დამარხული, უკეთესია.

გიშრის ამოსაღები სამუშაოების ჩატარება ზაფხულში სჯობია, ვინაიდან მუშას ხშირად წყალში უხდება მუშაობა და ზამთარში სიცივეს ვერ აიტანს. გიშრისათვისაც სიგრილე სჯობია. ნაკლებ დაზიანდება ჰაერისაგან.

ხალხის ამ შეხედულებებს ნაშანდობლივად ემთხვევა ადგილზე წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიების ის შედეგები, რომლებიც სპეციალისტებს მოეპოვებათ ამ საკითხის შესახებ.

მაგალითად, ბაცევიჩი და სიმონოვიჩი[4] ოკრიბის გეოლოგიურ აღწერაში ხაზგასმით აღნიშნავენ: „გიშერი ჩნდება ფენებად და ბუდეებად. იგი შავი ხავერდის ფერი და მრუმეა. ჰაერზე ამოღებული ფშვნადი (хрупкий) ხდება, ამიტომ მას ამოღებისთანავე ამუშავებენ. სანამ ნესტი აქვს. ადგილობრივი მოსახლეობა ვულმოდგინედ ამუშავებს გიშრის. მიწისქვეშა სამუშაოები საბადოში დახრილი შახტების წესით წარმოებს. ხშირად გიშრის გროვა საბადოში იმდენად დიდია, რომ წარმატებით მიმდინარეობს მისი ექსპლოატაცია წარმოებისათვის სხვადასხვა სამკაულის დასამზადებლად“.

აქვე დართულია ძიროვანის გიშრის ანალიზი, რომლის მიხედვით მასში ნესტი და მჭოლადი ნივთიერება უდრის 52.5%-ს, კოქსი (ფისი)—47.5%-ს (=100%).

ასევე, ნახშირი მასში შეადგენს 46.95%-ს, ფერფლი—0.55%-ს.

აღგვარად, საბადოდან გიშრის ამოღება თავისებურ ხერხსა და მიდგომას მოითხოვს.

როგორც ზემოთაც ითქვა, გიშრის დამუშავება ორ ნაწილად იყოფა: 1. ნედლეულის მოპოვება და 2. მოპოვებული ნედლეულისგან ნივთების დამზადება. პირველს ეწოდება გიშრის ძებნა, „მოჭრა“, მეორეს — გიშრის ხელობა.

---

[4] Бацевич и Симонович, Геологическое описание части Кутаисской губернии известной под именем Окриба, Материалы для геологии Кавказа, сер. I, кн. 4, Тб., 1872, зд. 19, 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ „თლა“. ვინც პირველი სახნის სამუშაოებს ასრულებს, მას მაძებარი („ბოძვარელი“) ეწოდება, ხოლო მეორეს — გიშრის მოხელე, „მთელი“.

ზემოთ აღნიშნულ სამუშაოთა ორივე სახე, ოკრიბის მცხოვრებთა აზრით, ფაქიზ მიდგომასა და დიდ დაკვირვებას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა სახელმძღვანელო წესების ბეჯითად ცოდნა და დიდი ნებისყოფა. ამ მიზნით წარმოებდა გიშრის დამუშავების პრაქტიკაში დახელოვნება, რასაც აქ „დაგირშვას“ უწოდებდნენ. გამოცდილი გიშრის მოხელე წაფავდა თავის შეგირდს პრაქტიკულ სამუშაოთა სფეროში და აძლევდა მას საჭირო ცოდნას.

გიშრის ტექნიკური დამუშავება—ნივთების დამზადება. როგორც ითქვა, გიშრის მოპოვება დიდ გამოცდილებას მოითხოვს, მაგრამ მისი შემდგომი დამუშავება კიდევ უფრო რთულ საქმეს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი სამუშაო რამდენიმე ეტაპად იყოფა.

1. გიშრის „გაჯანგვა“. გაჯანგვას უწოდებენ ნედლეული გიშრის მექანიკურ გაწმენდას მიწისა და საკუთარი გარეკანისაგან. აშორებენ რა ცილას და ფაქვნიან კანს, დააყენებენ მას გულზე. გაჯანგვას აწარმოებენ დანის საშუალებით.

2. გიშრის „დასახსრვა“. სუფთა გიშერი საჭიროა დაიპოს, დანაწევრდეს წვრილ ნაჭრებად. დაპობა წარმოებს „ბუნებრივი სახსრის“ მიხედვით, რომელსაც მცოდნე მოხელე ადვილად ატყობს. თუ ამ ბუნებრივ სახსართა გაყოლებით არ დაიშალა გიშერი, ისე მისი ნაწარმი პირმტკიცე არ გამოვა და ბოლოს თავისით დაიშლება. ეს თვისება გიშრისა კარგად უნდა გაითვალისწინოს მოხელემ. ეს სამუშაოც დანის დახმარებით სრულდება. მოხელეს მარცხენა ხელში უჭიროავს დასაპობი გიშრის ნაჭერი, მარჯვენაში დანა; უმიზნებს სახსარს და სწრაფად ჩამოკრავს ხოლმე მას დანის პირს. გიშერი იშლება და ცვივა ძირს გაშლილ ტილოზე.

3. ნაპობი გიშერი უნდა დახარისხდეს. დახარისხება მიმდინარეობს სიდიდისა, ფორმისა და ხასიათის მიხედვით.

4. გიშრის „მოყვანა“ ანუ „გაკოპიტება“. სამუშაოს ეს სახე გულისხმობს გიშრის მასალის გათლას და თითოეული კენჭის გამოყვანას გასაკეთებელი ნივთის სახედ, ე. ი. დედანის გამზადებას. აღნიშნული სამუშაო შემდეგი წესით სრულდება: მოხელე ნაჭრებს ერთ ზომაზე აყენებს და შემდეგ თითოეულ მათგანს გაკოპიტებს. „გამოყვანს“ გასაკეთებელი ნივთის სახედ. გამოყვანას აწარმოებს დანის, ქლიბისა და ხერხის საშუალებით. ამის შემდეგ გამოკოპიტებულ ნივთებს ერთიმეორეს ადარებს და ცდილობს ისე „მოიყვანოს“, რომ ერთი მეორეზე უკეთესი და თანაზომიერი იყოს. დატოლებას მოხელე აწარმოებს თვალსაზომით. ეს თვალზომა იმდენად განვითარებული აქვთ, რომ ხშირად შეიარაღებულ თვალსაც კი უჭირს იმ მცირე სხვაობის დანახვა და გარჩევა, რასაც მოხელე სულ ადვილად ამჩნევს. ამგვარად, მეორე სახე მუშაობისა არის გიშრის „მოყვანა“ ანუ „მიმგვანება“. თითოეულ „მოყვანილ“ ნაჭერს „ეკაილა“ ანუ მძივი ეწოდება.

5. დამუშავების შემდეგი საფეხურია „დედნის“ გახვრეტა. მოყვანის შემდეგ თითოეული მძივი უნდა გაიხვრიტოს. გახვრეტა წარმოებს საგანგებო იარაღით—ციმბუდით. იგი მარტივი მოწყობილობისაა, შედგება: შვილდისა, ლარისა, სახვრეტისა, ლაფათინისა და ბოძისაგან. შვილდი წარმოადგენს მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილ ჯოხს, რომელსაც თავებზე გადაბმული აქვს ტყავის ლარი. შვილდიანები-ლასია, ლარი თხის ტყავისაა. სახვრეტი ანუ სადგისი ტარდაგებულია და ბოლოში აქვს მახვილი ლითონის წვერი. ციმრუდის კომპლექსში ლაფათინსა და ბოძს საპატონ ადგილი უჭირავთ. პირველი წარმოადგენს საგანგებო საყრდენს სახვრეტის წვერისას, მეორე — ტარის სამაგრს. ამ უკანასკნელს პატარა ორმო აქვს, რომელშიაც მუშაობის დროს თავისუფლად ტრიალებს სახვრეტის ტარისე, რომ ბოძი და ლაფათინი ვერტიკალურად დგას, ხოლო მასზე ჰორიზონტალურად გადებულია სახვრეტი და იგი თასმის გასმა-გამოსმით წაღმა-უკუღმა ტრიალებს.

ბოხელეს წინ უდგია ციმრუდი. მარცხენა ხელით უჭირავს გასახვრეტი ნივთი, ხოლო მარჯვენათი შვილდს ატრიალებს და ხვრეტს ფრთხილად. მარჯვედ უმიზნებს სახვრეტის წვერს გასახვრეტი საგნის შუაგულს და ცდილობს ურყეად მიუშვიროს და ზომიერად „აკბენოს“ სადგისის წვერი. აჩქარება არ შეიძლება. ამინდიც კარგი უნდა იყოს, თუ სწორად არ წაიყვანა გახვრეტის დროს სადგისი, მრუდე გამოვა და „დაბრუცანდება“. ეს გარემოება აიძულებს მოხელეს გიშრის საძუშაოები აწარმოოს მზიან „წმინდა დარში“.

როგორც ითქვა, მთელი მუშაობის პროცესში გიშრის მასალა წყალში აქვთ და მუდამ სველად ამუშავებენ. წყალი თიხის ჭურჭელში აქვთ, რომ არ დაიჟანგოს გიშერი.

უსწორო ნახვრეტის წყალობით გიშრის ნაწარმი „გვერდელა“ ანუ „ბრუცანი“ გამოდის.

6. გახვრეტას მოსდევს „გ ა ლ ე ს ვ ა“. გალესვა ნიშნავს გიშრის „ხელადისათვის“ პირის გალიპვას, გადალესვას. გალესვა წარმოებს ორგვარი წესით: ხეხვისა და გასმის გზით. გასალესავად იხმარება სპეციალური ხასიათის სალესი ქვა, რომელიც მოიპოვება ადგილზეევე, სოფ. ცუცხვატის მიდამოებში.

მოხელეთა ჩვენებით ეს ქვა „ალმასუანია“. საერთოდ იგი რკინას უნდა „ერეოდეს“, მაშინ ვიშერსაც გაიტანს. სინამდვილეში გიშრის სალესი ქვა მართლაც ფხიანია, ფერად ეს ქვა მოყვითალოა. სალეს ქვაზე ხანგრძლივი ხეხვის შედეგად ჩნდება ღარები, რომელშიაც ადვილად ტრიალებს და ილესება პირმრგვალი „ხელადი“. ლესვის დროს ნივთი უჭირავთ სპეციალური საკვეთი— „ბწკალით“. მით ადვილად აბრუნებენ მას სალესი ქვის ღარში და აძლევენ მრგვალ ფორმას. ბწკალი რკინისაა, რომელსაც ბოლოებზე პირსაკიდი პატარა ქიმები აქვს.

გალესვა წარმოებს ქლიბის საშუალებითაც. ამ შემთხვევაში საგანს კი არ უსვამენ სალესზე, არამედ სალესით ხეხავენ მას. ქლიბით ნამუშევარი გაცილებით ტლანქი და უხეში გამოდის. ამიტომ ამ წესს მიმართავენ, როდესაც შედარებით უხეში რაიმეს გაკეთება სურთ. ქლიბით გალესვა ახალი მოვლენა ჩანს, ქვაზე გალესვა კი საკმაოდ ძველი და საყურადღებო წესია.

7. გ ა წ მ ე ნ დ ა-გ ა ფ ე რ ვ ა. დამუშავების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს გაწმენდა ანუ გაფერვა.

გალესვის შემდეგ „ხელადი“ იმდენად დახვეწილი და პირწმინდა ჩანს, რომ ზოგ შემთხვევაში მისი შემდგომი დაწმენდა-დაფერვა საჭირო აღარ არის. მაგრამ რიგ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთებს მეტი შნო და პრიალა პირი უნდათ მისცენ, მიმართავენ „გაწმენდასაც“. გასაწმენდად ხმარობენ წაბლის ნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირს და ცარცსაც, რომელთაც ფხვნილად გამზადებულს უსვამენ [illegible] ჩერით, ფანელის ნაჭერით, შალისა არ იკარგება, ფხაჭნის. ცარცის გამოყენება მათ მიაჩნიათ უფრო ქალაქის წახდომელებით დანერგილ საშუალებად, ვიდრე მათი საკუთარი ჩვეულებებით გამომუშავებულ წესად.

ცარცი, მათი სიტყვით, კარგად წმენდს გიშერს, მაგრამ იგი უფრო იმ მიზნით იხმარება, რომ მდარე ნაკეთობის გიშერი პირდაბზარული დგება და ამ მზარებს (ანუ „ნაბზკიალებს") კარგად ავსებს და ემანავს ეს ცარცი, თორემ სხვა სარგებელი მას არა მოაქვს რა გიშრის ნაწარმისათვის.

8. დასასრულს საჭიროა გიშრის შემკობა და შემზადება. როდესაც მოთავდება გიშრის „ხელადის" დამზადების ყველა ზემოაღნიშნული პროცედურა, საჭიროა ახალი ნახელავის შემზადება შემდეგი სახით: 2—3 საათს იგი უნდა მოთავსდეს სუფთა წყალში. შემდეგ ამოიღებენ და ფაქიზად გაამშრალებენ ბუსუსიანი ბამბის ჩვრით. შემდეგ ამისა თავსდება ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი არ მოქმედებს. ამისათვის ახვევენ ფანელის ნაჭერში და შეხვეულს ათავსებენ სკივრში ან სხვა რომელიმე ყუთში. ამ მდგომარეობაში იგი ინახება 40—80 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ამოიღებენ და აიცმეკენ აბრეშუმის ძაფზე — „ყაითანზე".

გიშრის „ხელადის" ნაირობა და ანიშნულება. გიშრისაგან აკეთებდნენ მრავალგვარ სამკაულს და სხვა ნივთს (საერთოდ—მძივებს): ყელსაბამს, სამაჯეს, ბეჭედს, საყურეს, ხელსაკრავს (კრიალოსანი), აკვნის ჯვარს, მასრის თავს, სარტყლის ბალთას, გულსაბნევს, გულსადებს, ფოლაქს, საათის საკიდარს, ხელის ტევრს, გულს და ნაირ სახისა და მოყვანილობის მძივებს— „ძიმებს", რომელთაც საერთო სახელად „კაკილს" უწოდებენ და სხვ. გიშრისაგან აკეთებდნენ წვრილ „ოტებს"—„სრავებს", რომელთაც ხმარობდნენ ტანისამოსის გასაწყობად. საერთოდ გიშრის სამკაული „სადიდებლად" ითვლებოდა და მას სამკაულთა შორის ფართო მოწონება ჰქონდა. მაგრამ გიშერს არა მხოლოდ სამკაულად იყენებდნენ, არამედ იგი იხმარებოდა „ავი თვალისა და ავი ფეხისაგან" დასაცავ საშუალებად —ამულეტად. გიშრის ამულეტი განსაკუთრებით „გამჭვრელი" იყო იმის გამო, რომ იგი იყო „უნიშნო შავი" და „შეუვალი" მცველი მჭონებელისა. ამიტომ გიშერს როგორც ავი თვალის წინააღმდეგ საშუალებას იყენებდნენ ადამიანის (ბავშვების), საქონლისა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაგებობის დამფარავ ამულეტად. განსაკუთრებით ლამაზი ქალისათვის ეს აუცილებელი საგანი იყო. ამ შემთხვევაში სამკაულისა და ამულეტის ფუნქციები ერთმანეთში იყო შერწყმული და გულსადები ერთსა და იმავე დროს „საშველიც" იყო და „საშველიც". უფრო აშკარად ეს გარემოება თავს იჩენდა ქალის დაწინდვის წეს-ჩვეულებაში, რომლის მიხედვითაც სასიძის აუცილებლად უნდა მიეტანა ქალისათვის გიშრის ყელსაბამი, რომელიც 50 თვალისაგან შედგებოდა. გარდა ამისა გიშერს ფართო გამოყენება ჰქონდა საეკლესიო ცხოვრებაში — ღმერთმსახურების შესასრულებლად[5].

გიშრის „ხელადი" მზადდებოდა შინამოხმარებისა და გასაღების მიზნით. „ხელნაქნარი" გიშერი ბლომად გაჰქონდათ ოკრიბიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — დაბა-სოფლებსა და ქალაქებში.

---

[5] ამ შემთხვევაში გიშრის აკვნის—„კრიალოსანი" გამოიყენებოდა სათვალავად სხვადასხვა ლოცვათა შესრულებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ხანებში, ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, გიშრის გატანა წარმოებდა საქართველოს გარეთაც: ბაქოსა, ორჯონიკიძესა, ოდესასა და ნოვოროსიაში. ქუთაისსა და სხვა ახლო ადგილებში გიშრის „ხელადი“ ოერიბელ მოხელეებს თავად გაჰქონდათ გასასაღებლად. დაშორებულ პუნქტებში კი უმთავრესად ქუთაისელ ვაჭრებს მიჰქონდათ გასაყიდად. გიშრის „ხელადის“ გადაზიდვას სავანგებო კალათებით აწარმოებდნენ. გიშერს თავის დროზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდა და კარგ ფასადაც იყიდებოდა. განსაკუთრებით დიდ ქალაქებში შეტანისთანავე იტაცებდნენ მას. ოერიბიდან გიშრის გატანა ნედლეულის სახით უკანასკნელ ხანებამდე (XIX საუკუნემდე) არ მოწმდება.

გიშრის სამუშაოებისათვის განკუთვნილი სამუშაო იარაღი. ხელმეურეული ადგილსაწყო. გიშრის სამუშაოებ[6] ფაქტორად ორ ნაწილად იყოფა: გიშრის „მოჭრად“ და გიშრის „თლად“. თითოეული ეს სამუშაო როგორც ფორმით, ისე შინაარსით განსხვავებული ხასიათისაა. გიშრის მოჭრა ძირითადად შეიცავს ნედლეულის ძიება-მოპოვების სამუშაოების შესრულებას, ხოლო „თლა გიშრისა“ სავსებით განსხვავებული სახის სამუშაოებს გულისხმობს. ამდენად აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო იარაღი და ტექნიკური საშუალებანი სხვადასხვაა:

სამუშაოს პირველი სეზონისათვის საჭიროა რკინის კეტი, წერაქვი, წალკატი, თოხი, ნიჩაბი, ურო, სოლი, ბარი, შხუნთი და მუშახელი დასამუშავებლად; ხარ-ურემი, ტომრები—ნედლეულის გადმოსაზიდად საბადოდან სამუშაო ადგილამდე. მოპოვებული ნედლეულის დასამუშავებლად სულ სხვა იარაღი და ხელსაწყოა საჭირო: სპეციალურად ნაწრთობი დანა, ციმრუფი (შვილდი, თასმა, სახერეტი, ბოძი, ლაფთინი). ქლიბი, სალესი (საგორავი, ღარი ქვისა). ბწკალი ანუ საკეცე, ჯამი, სკივრი დამზადებული ნაწარმის ჩასალაგებლად და სხვ. ეი, მთელი ის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც გიშრის მჭრელ-მთელენი აღწევდნენ და აღწევენ საუცხოო ხელოვნებით შესრულებული „ხელადის“ გამზადებასა და მომხმარებლამდე მიტანას.

ამგვარად, გიშრის დამუშავება საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გარკვეულ ხასიათს ატარებს და ფართო მოხმარებისა და აღებ-მიცემის საგანს წარმოადგენს. ეს გარემოება ბუნებრივად აყენებს კითხვას გიშრის დამუშავების წარმომავლობისა და ხნერების შესახებ საქართველოში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დიდად არის დამოკიდებული გიშრის კულტურის ყოველმხრივი შესწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიების ხასიათზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიმართებით არქეოლოგიურ მასალას და მის შედარებას ეთნოგრაფიულ მონაცემებთან. როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა დიდმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ძველი ქართული ნივთიერი კულტურის მრავალი საყურადღებო ძეგლი, მათ შორის გიშრის საინტერესო ნივთები (სამკაული და ამულეტი), აღმოაჩინა. განსთხარი გიშრის მძივები და სხვა სახის სამკაულები თავისი ფორმითა

---

[6] გიშრის დამარაგება ორი მოსაზრებით წარმოებდა: საყოფაცხოვრებო ნედლეულის დასაგროვებლად და გიშრის ნედლად გასაცემად. გიშრის დამარხვა საჭირო იყო და იგი ეზოში იფლეოდა საინტერესოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხასიათით ძირითადად ემსგავსება ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ გიშრის ნახელავს. განთხარი გიშერი, რომელიც მეტ-ნაკლები რაოდენობით თითქმის ყველგან გვხვდება საქართველოში, ნაირი სახისა და დანიშნულებისაა.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული განთხარი გიშრის ყველაზე ადრინდელი ნიმუშები მოგვეპოვება სამთავროს სამაროვნიდან (ყორღანული სამარხი № 243, 1940 წლის გათხრები).

პროფ. ბ. კუფტინი ამ გიშრის წივთებს ათარიღებს ძვ. წ. მეორე ათასეულის შუა ხანებით. ამავე დროისაა ბრილის გიშერი არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის შეხედულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის (16—14 სს. ძვ. წ.) სამარხებში გიშრის ნახელავი თუმცა გვხვდება, მაგრამ იგი ძალზე იშვიათია. შემდეგ ხანებში მათი რიცხვი თანდათან მატულობს და გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის საფლავებში (13—5 სს. ძვ. წ.) შედარებით მეტადაა წარმოდგენილი. გვიანი ელინისტური დროის სამარეთა შესახებ (5—1 სს. ძვ. წ.) ეს აღარ ითქმის, სადაც ქვეერ-სამარხთა ინვენტარში მათი რიცხვი თანდათან მატულობს და თვალსაჩინო ხდება განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის (I—V სს. ა. წ.) სამარხებში. ამ დროის გიშრის „ხელადი" ყურადღებას იქცევს იმ მხრითაც, რომ იგი ძალიან გემოვნებით და დახვეწილი ხელობითაა შესრულებული.

საერთოდ გიშრის ნახელავი წარმოაჩინა აგრეთვე ბაკურციხის, ნარეკვავის, ნაცარგორისა და ბრილის გათხრებმა. ასევე გიშერი თან ახლავს ახალგორისა და ყაზბეგის განძებს[7].

გიშრის ძველი კულტურის მაჩვენებლად ისიც გამოდგება, რომ ძიროვანისა და სხვა სახელგანთქმული სამადოების დამუშავებისას ჩნდება უწინდელი გიშრის ექსპლოატაციის ფართო ხასიათის ნაკვალევი[8]. ასეთი ფაქტები გვხვდება სხვა ადგილასაც. სახელდობრ, სამადო ქედურასა და ნაბოსლევში (სოფ. კურსები). „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრით ძველი ნამუშევარი, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1932 წელს ტყიბულის ქვანახშირის სამადოების დასაღეთ უბნის ფარგლებში სამიებლო მუშაობისას"[9]. ამ ნაკვალევთა მიხედვით ნათლად ჩანს გიშრის წარმოების ისტორიული სურათი საქართველოში.

აღნიშნულ მონაცემებს შეიძლება დავუმატოთ აკად. ა. ფერსმანის მითითება იმის შესახებ, რომ გიშრის შეტანა სამხრეთ რუსეთში X—XIII სს. მანძილზე კავკასიიდან წარმოებდა. იგი წერს: „კავკასიიდან შემოდიოდა სამხრეთ რუსეთში ოფსიდიანი, გიშერი, მარმარილოს ანქვითი და ფირუზი. სწორედ ის საყვარელი ქვები, რომელნიც ცნობილია XII საუკუნის ქართულ ეპიკურ პოემებში"[10]. საქართველოში გიშრის თვითყოფადი კულტურისა და მისი მეზობელ კუთხეებში შეტანის შესახებ გარკვეულად მიუთითებს პროფესორი გ. ნიორაძე კარსნისხევის სასაფლაოსთან დაკავშირებით: „გიშრის მძივებს საერთოდ ბევრს პოულობენ ძველი დროის საფლავებში საქართველოში და სხვაგანაც. მძივები, ეჭეს გარეშეა, ადგილობრივი ნაკეთებია. ჩვენ ვიცით, რომ მათი მა-

---

[7] Смирнов, Ахалгорский клад, Тб., 1934, Таб. II, зд. 18.

[8] А. Абих, Ткибульские копи каменного угля, газ. „Кавказ", 1897, № 11, зд. 18.

[9] Г. Кометиани, Минеральные рессурсы ССР Грузии, Тб., 1933.

[10] А. Ферсман, Из истории культуры камня в России, М., 1946, зд. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალა, რომელიც ერთგვარ ქვანაწმირს წარმოადგენს, დღესაც ბლომად არის საქართველოში, სახელდობრ ოკრიბაში, ქუთაისის მახლობლად. ქართველებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ ეს ქვა გაცნობილი და მისგან სხვადასხვა სამკაულს აკეთებდნენ და ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ერებსაც აწვდიდნენ"[11].

ამბი „საგიშრე" საბადოს დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოში გიშრის დამუშავებას ძველთაგან მისდევენ და მისგან სხვადასხვა ნივთების დამზადებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი აზრით, აქაური გიშერი ახლო ემსგავსება ინგლისურ გიშერს—გაგატს. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს გ. ქომეთიანიც, რომლის აზრით „საგიშრეს" დამუშავება, აღმოჩენილი ნაკვალევის მიხედვით, საკმაოდ ფართო ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

გიშრის „ხელადი" საყოველთაო მოხმარების საგანს წარმოადგენდა არა მარტო სამკაულებისა და ამულეტების სახით, არამედ მას ფართო გამოყენება ჰქონდა პრაქტიკულ საყოფაცხოვრებო ვითარებაში. იგი მომსახურებას უწევდა არა მხოლოდ ერის კაცთ, არამედ სასულიერო პირთაც. როგორც ითქვა, გიშერი იხმარებოდა სალოცავად.

გიშრის დამუშავებისა და მისი ფართო გამოყენების ფაქტებს წარმოადგენს გიშრის „ხელადის" მიღება და დასახელება მზითვის საგნად: „მოვი იეზდისა და შამის თავთები და წმიდა ფერადფერადი ცხრა, ცხრის გიშრის გრეხილებითა"[12]. „კიდევ კირელოსანი გიშრისა ერთი"[13], „სამი აცმა გიშერი"[14].

უნდა აღინიშნოს, რომ სახელი — გიშერი საქართველოს სინამდვილეში პირდაპირ კულტად არის ქცეული. იგი ძლიერ გავრცელებული ეპითეტია როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე ხალხურ სიტყვიერებაში: „მოახსენა მან კაცმან ქურციკი ერთი მინახავს, თუღა რქანი ოქროს ფერნი, თუალნი და ბლიკანი შავნი ვითა გიშერნი" (ამირანდარეჯანიანი, 1_{13}); „გიშრისა სარნო დანატრებულად" (ჩახრუხაძე, თამარიანი, 12_8); „მოახსენა ყმამან მზეო ვინ გიშერი აწამშუმა" (ვეფხისტყაოსანი, 134_1); „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინარხეული" (ვეფხისტყაოსანი, 4_3); „მერამ მოვიდა ტანსარო, თვალ-წარბ გიშერი" (შახნამე, 339_{235}).

გიშრის საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამთო საქმის სპეციალისტების მოვლინება მხარის მინერალური რესურსების შესასწავლად. ამის შედეგს წარმოადგენს ის დიდად ფასეული ცნობები, რომელიც მოეპოვებათ სპეციალისტებს გიშრისა და სხვათა დამუშავების შესახებ საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. პირველი საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის კრიეანოვსკის, მას შემდეგ სიმონოვიჩი, პაცევიჩი და სოროკინი იკვლევენ ამ საკითხს. განსაკუთრებით ფასეულია ამბიხის ცნობები; ასევე კლაპროტისა, ჰეტკპოლდტისა, კ. მურიესი[15] და სხვ.

---

[11] გ. ნიორაძე, ჯარსნისხევის სამარხი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1926.

[12] ს. ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, 1940. გვ 216.

[13] საქართველოს სიძველენი, ტ. III. გვ. 480.

[14] ს. ბარნაველი, ნინო ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სიძველენი, ტ. III. გვ. 18.

[15] მურიემ ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ კლასიკური მწერლობის ქართულ ძეგლებში სიტყვა გიშერი გვხვდება პოეტური შედარების სახით—„მავი ფერის აღსანიშნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა, რომ 19 ს. 40-იან წლებში, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, გიშრის დამუშავება იმდენად ფართო ხასიათისა იყო, რომ იგი არა მარტო აკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ წარმოადგენდა ექსპორტის საგანს. ამ მიმართულებით საინტერესოა ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ს. მესხის წერილი — „გიშრით ვაჭრობა იმერეთში", რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „დროებაში" 1872 წ. (№ 16).

ავტორი ეხება გიშრის დამუშავების საკითხს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ორიგინალური დარგი წარმოებისა განსაკუთრებით გამოცოცხლდა 19 ს. დასაწყისში (1814 წ.). იგი აღნიშნავს, რომ გიშრის დამუშავების გაფართოების შედეგად საჭირო გახდა სპეციალური სავაჭრო მაღაზიის გახსნა. ამ მიზნით 1841 წელს ივ. ნიოლაძეს გაუხსნია ქ. ქუთაისში სავაჭრო მაღაზია, სადაც შეიძლებოდა ეშოვნა კაცს ყოველგვარი სახის გიშრის ნახელავი. იმავე ავტორის ცნობით, მაღაზიის დაკვეთით ადგილზე გიშერზე 15 მოხელე მუშაობდა; გარდა ამისა 200 მოხელე ამავე წარმოებისთვის კიდევ სხვადასხვა ადგილას მუშაობდა. ამასთანავე საქართველოდან გიშრის ნახელავი უხვად გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში, კერძოდ იერუსალიმსა და კოსტანტინოპოლში (ყარაბინჯულის სახელით); განსაკუთრებით ბევრი გაჰქონდათ საფრანგეთში, ინგლისსა და სხვ. გიშრის ექსპორტი წლიურად დაახლოებით 20 000 მანეთ საშუალო მოგებას იძლეოდა.

ამგვარად, გიშრის დამუშავება ოკრიბის სინამდვილეში გარკვეულ ხასიათს ატარებს. გიშრის ადგილობრივი მოხელეები საკმაოდ არიან დაუფლებულნი როგორც ნედლეულის ძიების, ისე დამუშავების მეთოდებს. მართალია, მათ მოქმედებას ამ საქმეში თან არ ახლავს ის მეცნიერული აპარატი, რომლის მომარჯვება უფრო რაციონალურს გახდიდა მათს საქმიანობას, მაგრამ მათ გააჩნიათ საუკეთესო აღღო და პრაქტიკული გამოცდილების დიდი ტრადიცია, აზრმახვილი დაკვირვება და ფხიზელი გონება. ამ მხრივ შესანიშნავ მიმხვდარობას იჩენს გიშრის მძებნელი, რომელიც გამოცდილების მიხედვით ადვილად ერკვევა გიშრის წარმოებასთან დაკავშირებულ რთულ სამუშაოებში და ნიჭიერად ახორციელებს მათ. ცხადია, გიშრის მოხელეთა ამ საქმიანობას წარმართავს ტრადიციით განმტკიცებული მამა-პაპათა ცოდნა-გამოცდილება, რომელიც გამომუშავდა ხანგრძლივი სამუშაო პრაქტიკის საფუძველზე. ეს გარემოება გვარწმუნებს იმაში, რომ გიშრის დამუშავება ოკრიბის მცხოვრებთა ყოფიერების ორგანულ მხარეს წარმოადგენს ისევე, როგორც მელითონეობა, ქვის მოჭრის ხელობა და სხვ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გიშრის დამუშავებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამას მოწმობს: ნედლეული კერების არსებობა და ძველი დამუშავების ნაკვალევი, საქართველოს მიწაწყალზე აღმოჩენილი **განათხარი** გიშრის ნივთები, რომელნიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან იჩენენ თავს, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული გიშრის წარმოების მაღალი კულტურა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ქართულ მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში სიტყვა გიშერის საყოველთაო გავრცელება და ხმარება, ნაირი სახისა და დანიშნულების გიშრის ნივთების დამზადება და მოხმარება საკუთარი მოთხოვნილებისა და აღებ-მიცემის მიზნით, დასასრულ გიშერის გამოყენება როგორც ამულეტისა ავი თვალის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Б. РЕХВИАШВИЛИ

НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ДОБЫЧИ И ОБРАБОТКИ ГИШЕРИ (ГАГАТА) В ГРУЗИИ

Резюме

Производство гишери в Грузии имело собственную базу сырья. Месторождением гишери был особо известен один из уголков Грузии—Окриба, где обработкой гишери занимались издавна.

На основании этнографических данных процесс обработки гишери можно разделить на две ступени; первая ступень—добыча („мочра)" гишери и вторая—выделка („гатла") гишери.

Старую форму производства гишери представляло товарищество „однофамильцев". Были обособлены мастера, добывавшие гишери, мастера выделывавшие гишери, а также торговцы гишери.

Из гишери выделивались изделия разного характера и назначения, как для личного пользования, так и для купли-продажи. Изделия из гишери широко применялись в Грузии и вывозились они в большом количестве из Грузии (акад. А. ферсман, С. Месхи).

Существование в Грузии месторождений гишери, следы древней выработки и высокая техника его обработки, изготовление разного рода и назначения изделий из гишери, связанная с этим богатая терминология, общее распространение термина гишери в Грузинской литературе и устном народном творчестве, а также разнообразие выделок из гишери, найденных на территории Грузии археологическими раскопками, — свидетельствуют о том, что производство гишери в Грузии является древним и характеризуется самобытными чертами.

Изучение народных способов обработки гишери имеет значение как с культурно-исторической, так и с народно-хозяйственной точки зрения. Гишери является предметом широкого потребления в современной технике и быту народа.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XXB, 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. სონღულაშვილი

მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების მიხედვით)

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული ხის ჭურჭლის მდიდარი კოლექციებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხის საწყაოები, რომდენადაც ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფასთან, განსაკუთრებით მემინდვრეობის დარგში.

ჩვენ მიერ ველზე ჩატარებულმა მუშაობამ და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ხის ფონდების შესწავლამ საშუალება მოგვცა ცალკე საკითხად გამოგვეყო მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში.

როგორც სხვა ხის ჭურჭლის, ისე ხის საწყაოების დამზადებას აწარმოებდა მცოდნე და გამოცდილი მოხელე. იგი ითვალისწინებდა ჭურჭლის დანიშნულებასა და ხასიათს; ამასთანავე ანგარიშს უწევდა მის გამძლეობას, ფორმასა და სილამაზეს.

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ხის შემდეგი საწყაო ჭურჭელი: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, ჩხუტი, გვერდი, ნასამალი, რუბი, კოდი და სხვ.

საჭურჭლე ხეს საწყაოსისათვის წინასწარ შეარჩევენ, გაამრობენ და დახერხავენ. „მორის“ ტანს წალდით და ცულით გასუფთავებენ. გულს სატეხით ამოსჭრიან, რომელზედაც ხვედას ურტყამენ. შემდეგ კი „ჩხუტითა“ და სხვადასხვა სახის ხვეწით ამოასუფთავებენ. წყალში დაალბობენ, გაყღინთავენ და ძირს ჩაუდგამენ. ძირჩადგმულ ჭურჭელს, ზოგ შემთხვევაში, სალტეებს შემოუტერენ. სალტეები ხის ან რკინისა კეთდება. ყველა ამ პროცესის გავლის შემდეგ გაკეთებულ ჭურჭელს წყალში ჩაალბობენ; რათა გამაგრდეს და გაიყღინთოს, უფრო მეტი სიმაგრე რომ ჰქონდეს. ამისათვის მიმართავენ მის „გახიზვას“. „ხიზს“ შემდეგნაირად აკეთებენ: აიღებენ ნაცარსა და წმინდა საცერში გაცრიან (ნაცრის რაოდენობა ჭურჭლის სიდიდეზეა დამოკიდებული). გაცრილ ნაცარს ადუღებული ძროხის ან თხის ქონში ურევენ და კვლავ ცეცხლზე წამოადუღებენ. შემდეგ ცხელ ხიზს ნაჭერდახვეული ჯოხით საწყაოს ძირზე წაუსვამენ. ხიზი გაცივების შემდეგ მაგრდება და ჭურჭლის ზედაპირი მოლიანსახეს ღებულობს. დამზადებულ საწყაო ჭურჭელს ესაჭიროება გამოწყვა. საწყაოს გამოწყავენ სწორი და შემოწმებული საწყაოთი. წინათ საწყაოებს ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმებდნენ სოფლის მამასახლისი და თავკაცები ბეჭდის დასმით. შემოწმებული საწყაო მოქმედებდა სოფელში აღებ-მიცემის, გადასახადისა და სხვა საჭიროებისათვის. მარცვლეულს გარკვეულ გამოსაღებს აძლევდნენ აწყაით: მღვდელს, მენახირეს, მეველეს, ძერუეს, მუედელს, დურგალს, კალატოზს, მკელს, მხვნელს, გზირს, დალაქს და ა. შ.

საწყაოების შემოწმება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში თითქმის ყველგან დასტურდება. საწყაოების შემოწმების ნიშნის დადება მიღებული იყო „ყურის ძირზე" ან საწყაოს ფსკერზე. სანიშნე ადგილს ამოკრიდნენ და ლუქავდნენ. ასეთი შემოწმებული საწყაო „ჩანახი" დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის ხის ფონდში. იგი ჩამოტანილია ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ნიერ გრემისხევიდან 1947 წ. $\left(\text{კოლექცია } \frac{№ 9-47}{74}\right)$ ჩანახის სიმაღლე — 28 სმ, პირის — 25 სმ, ძირის — 27,5 სმ, ყურის სიმაღლე —7 სმ. ჩანახი დამზადებულია ერთიანი ხისაგან (ცაცხვი): საგრძნობლად დაზიანებულია. ძირი ცაცხვის მთლიანი ნაწილისა აქვს ჩადგმული. ძირის ცენტრში ამოკრილია მრგვალი ღრუ და შიგ ბეჭედდასმული ლუქია მოთავსებული. ჩანახის ტანს შემოვლებული აქვს ორი რკინის სალტე, რომელთა ბოლოები გადაბმულია სამკუნძებით (იხ. ტაბ. I, სურ. 2). საწყაოსათვის ნიშნის დადება საქართველოში ძველადაც სცოდნიათ. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ძველთაგანვე „არსებობდა ერთი ძირითადი, მტკიცე კანონიერი ოდენობის საზომი, რომლის საშუალებითაც ყველა დანარჩენი საზომი დგინდებოდა და მოწმდებოდა. საზომების ამგვარ შემოწმებას „გამოწყვა". ხოლო შემოწმებულ საზომს „გამოწყული" ეწოდება. კახა ერისთავთ ერისთავს როკონის 1259 წ. სიგელში ნაბრძანები აქვს: „საზომი ღუინო[ისა] და ფქუილი[სა] ანუ სეფისკუერისა და ჭიქაი. კოკაი და კაბიწი ყველაი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს"[1]. ხოლო შემდეგ ერეკლე მეფის დროინდელ ქალაქის მოურავის სარგოს გარიგებაში ხომ საზომების კანონებისათვის თვალყურის დევნება დავალებული აქვს მეფის მოხელეს და თვით ქალაქის მოურავს მისი ხელქვეშეთი მოხელეთურთ. იქ ნათქვამია: „ბატონს (ე. ი. მეფის.—ჯ. ს.) ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადღს. საწყაოს და ყოველივე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს ჯარიმა უნდა წაერთვას"[2]. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, „კანონიერ და სწორ საზომებს „შეშმარიტი" და „მართალი" ერქვა, ხოლო უკანონო და ყალბს— „ნაკლები". „ყინი", „მცირე" ან „დიდი" და საერთოდ „მრუდე" და „ზაკული" ეწოდებოდა"[3]. ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდებში დაცული ხის საწყაო ჭურჭელი: ლიტრა, ჩანახი, რუბი, კოდი და სხვა საწყაოები ამგვარი წესითაა დამუშავებული.

როგორც ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალები მოწმობენ, რომ ხის საწყაოები არა მარტო მარცვლეულის (პური, ქერი, შვრია, სიმინდი) საზომად,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მეზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, თბ., 1925, გვ. 47; თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 137.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[3] იქვე. გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ბაღ-ბოსტნეულის, მესაქონლეობის ნაწარმის საზომადაც იყო გავრცელებული. მაგალითად, გიორგი მეფის მიერ გაცემულ 1682 წ. სააღპო წიგნში ერთობით დიდებულთადმი ნათქვამია „...მიიტანდიდ მცხეთას პურს კოდს — ექვსსა. ღვინოს კოკას ექვსსა... სამ ლიტრა ყველს, ერთს ლიტრას ერბოს... ლიტრა ნახევარ სანთელს, ერთ ჩარექს საკმელს, ერთ ჩარექს სანთლის შულოს, ორ ლიტრა ზეთს"[4].

ამასვე ადასტურებს სამგორის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალა. მაგალითად, ფშაველი მეცხვარეები საწყაოებით არა მარტო საჭირო მარცვლეულს ყიდულობდნენ, არამედ თავიანთ ნაწარმს: ყველს, ერბოს, ხორცს ლიტრობითა და ჩანახობით ჰყიდდნენ. დიდომში მოპოვებული მასალის მიხედვით, ერთი ლიტრა აბრეშუმის პარკიდან ერთი (შული) 4 კვერცხის წონა აბრეშუმი ამოდიოდა. აქვე მოპოვებული მასალის თანახმად, საწყაოებით წყავდნენ როგორც ჭრინახულს, ისე ხილსა და ბოსტნეულსაც.

როგორც აღინიშნა, დასახელებული საწყაოები არა მარტო მარცვლეულის საწყაოდ გამოიყენებოდა, არამედ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს ემსახურებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული საწყაოების (ლიტრა, რუბი, ბინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, გვერდი, ფოთალი და კოდი) ძირითად სახომ ერთიულს ლიტრა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საწყაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავდებიან თავიანთი სიდიდის მეტნაკლებობით.

ლიტრაც ყველა კუთხეში სხვადასხვა სიდიდისაა: ქართლში ლიტრა 10 გირვანქიანია, ხოლო კახეთში „თუ საწყაოა 13 გირვანქა ჩადის, თუ არა მეტ-ნაკლებ 10 ლიტრა ერთი კოდია"[5].

სამგორის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს სოფელ უჯარმაში მუშაობისას ჩაგვაწერინეს, რომ: „ძველად ლიტრში 10 გირვანქას ანგარიშობდნენ და სწორი საწყაო იყო. 12.5-გირვანქიანი ლიტრა გულუხვობისათვის იყო მოგონილი" (სოფ. უჯარმა, მიხეილ ხმალაძე, 60 წ.).

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში დაცულია ხის საწყაო ლ ი ტ რ ა (იხ. კოლექცია № $\frac{89-13}{26}$), ოომლის სიმაღლე უდრის 20 სმ, პირის სიგანე — 18 სმ, ტუჩიდან ყურამდე —26.5 სმ, ძირის დიამეტრი —17 სმ. იგი მუცელგანიერი, ძირჩადგმული, განიზული, ყურტუჩიანია. ყურის ძირიდან სალტის მსგავსად ჩასდევს არშია. ლიტრის კედელი დაზიანებულია (ტაბ. I, სურ. 1).

აქვეა დაცული მეორე საწყაო ჭურჭელი რ უ ბ ი (კოლ. 46—24/14). „რუბის" დიამეტრი—25.5 სმ. სიმაღლე—15 სმ. ჭურჭლის რკალი ფიქვის ყავრისაგანაა შეკრული. ძირი ერთიანი ხისა აქვს ჩადგმული. ჩადის ერთი ლიტრა—4 კილოგრამი (ე. ი. 10 გირვანქა). რუბი იხმარება სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში. აქაური კოდი ერთი ფუთია და კოდის ნაოთხლად ერთ რუბს ანგარიშობენ. რუბი ჩამოტანილია ახალციხის რაიონიდან (ტაბ. I, სურ. 4).

---

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVII სს.), 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

[5] შინამრეწველობის მასალები, ხის ჭურჭელი. ქიზიყი, გვ. 219, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კოლექციებთან ერთად ინახება საწყაო კოდი. ჩამოტანილია ბაზალეთის ხეობის რაიონიდან (ტელ. 46-24/13). პირის დიამეტრი—37 სმ. სიმაღლე—25 სმ. კოდი ნაძვის ხისაგანაა გათლილი. თავები სისწორის დასაცავად და სიმაგრისათვის წნელითაა შეკრული. პირზე თუნუქის სალტე აქვს მოვლებული. კედლის გვერდზე დამაგრებულია რკინის რგოლი. აქვეა ამოკრული თარიღი—1870 (იგი ამ წელს უნდა იყოს დამზადებული). ეგრეთ წოდებული „ბატონის კოდი"—ახალი კოდი ამაზე ორი ოყითაა (6 გირვანქა) მეტი (ტაბ. II, სურ. 2).

XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს საწყაოთა ერთეულები ასეთი სურათის იძლევა: თბილისისა და მცხეთის რაიონში ლიტრა 10 გირვანქას უდრის, კოდი—10 ლიტრას, 40 კგ. ამასთანავე საწყაოდ მიღებული ყოფილა აგრეთვე ფ ო ბ ა ლ ი, რომელიც 5 ლიტრას იტევდა და ნახევარკოდს უდრიდა.

საყურადღებოა, რომ წილკანში და მის მეზობელ სოფლებში საწყაოდ დამოწმებულია ს ა მ ი ა ნ ი, რომელშიც სამი ლიტრა ჩადის, აქაური კოდი სამფუთს უდრის. მსმენი თხი სამიანი ჩადის. გორისა და სტალინირის რაიონებში საწყაოდ გავრცელებულია ჩ ა ნ ა ხ ი, რომელშიაც ჩვეულებრივად ორი ლიტრა ჩადის. აქაური კოდი ოთხფუთიანია. კოდში ანგარიშობენ 8 ჩანახს, ანუ 16 ლიტრას (ტაბ. II, სურ. 3). დუშეთის რაიონში გავრცელებულია საწყაო პ ი ნ ა, ანუ ო რ ი ნ ნ ი. პინაში ჩადის ორი ლიტრა. ფშავში გავრცელებულია კოდი და ლიტრა. აქაური კოდი ათლიტრიანია, ხოლო ლიტრაში 12 გირვანქაა[6]. თუშეთში ჭირნახულის საწყაოდ იხმარება კოდი, რომელიც ათ ლიტრას უდრის. ამაზე მცირე საწყაოა კაბიწი[7] ანუ ლიტრა. აქაური ლიტრა 12 გირვანქას უდრის. ასევე ხევსურეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში საწყაოდ გავრცელებულია კოდი და ლიტრა. ხევსურული კოდი 12 ლიტრაა. ერთი ლიტრა ანუ „ნასამალი"[8], როგორც მას არხოტები უწოდებენ, 10 გირვანქას უდრის. სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფისათვის ჭირნახულის საწყაოდ უფრო დამახასიათებელია რუბი, კოდი და სომორი. კოდის მეოთხედს რუბი ეწოდება. რუბში 10 გირვანქა ჩადის, სომორში 16 ფუთი ჩადის. ამგვარად 16 კოდი ერთ სომორს უდრის (მეთხრობელი მეხ. სონღულაშვილი, 73 წ., სოფ. დიღომი).

როგორც ვხედავთ, ყველა ამ საწყაოს ძირითად საზომად აღებულია ლიტრა. სამას მარცვლი, „ლიტრა აღმოსავალთა აწ რომ არს, იპყარ რიცხეთ: 3 4 ქრთილის მარცვალი ერთი ყირათია, რომელ არს კერატი; 3 კერატი ერთი დანგია; 6 დანგი ერთი დრამია; დრამნახევარი ერთი მიტყალია; 33 მიტყალი ნახევარი ერთი თუხტია, რომელ არს სტერი. ხოლო ქალაქითი —ქალაქად ლიტრისა წონა სადმე ოცი თუხტია. სადამე ეგი და სხვაგან ნაკლები; 48 თუხტის წონა ერთი თილანია; სპარსნი ლიტრის ნაოთხალსა ჩარექას უკმბენენ. რომელსა სომხურად ნუკი და ქართულად გვერდი. გინა ნაოთხალი ეწოდების: ხოლო გვერდის ნაოთხალსა ქსანი ეწოდება: სადა ლიტრათა მცირე-დიდობა არს, ეგრეთვე ნაოთხალი და ქსანი განიყოფები (თემ-თემობით არს[9].

ლიტრი იხსენება ძველ წერილობით წყაროებშიაც. შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია: „მიიღო სეტყვაჲ ლიტრისა სწორი" („Оника-

---

[6] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, თბ., 1934, გვ. 37.

[7] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 50.

[8] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1955, გვ.62.

[9] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

нне", გვ. 754). XI ს. ნიკორწმინდის სიგელში მოხსენიებულია „რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ". „ცვილი ლიტრაი იდ (ქრონიკები, II, გვ. 46, 48). თამარ მეფის 1190 წ. სიგელში ნაბრძანებია: „მიიღბდნენ ყოველთა წელიწადთა შინა ცვილს, თხუთმეტსა ლიტრასა" (შიო მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 22; აგრეთვე დავით ნარინის სიგელი, ქრონიკები, II, გვ. 193, 160). „თხუთმეტი ლიტრა აბრეშუმი კარგი" იხსენება შიომღვიმის 1227—30 წ. სიგელში, ხოლო 1246—50 წლებში „თხუთმეტი ლიტრა ზეთი" („ქრონიკები", I, გვ. 102, 128)[10].

ჩვეულებრივ ლიტრას გარდა „ქალაქური ლიტრაც" იხსენება. მაგალითად, 1124 წ. ერთ სიგელში „გორული ლიტრაა" დასახელებული (ისტ. საბ., II, გვ. 33). სახლთუხუცესის ივანე სოლოლოაშვილის 1519 წ. ქვათახვევისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ შეწირული ყმა „მიიღებდს ქვათა კეესა ოთხსა ლიტრასა ცვილსა და ერთსა ლიტრასა საკმელსა ტფილის ქალაქურითა ლიტრითა" (ისტ. საბ., III, გვ. 48)[11]...

მიცემულ სააღაპო წიგნში ქადაგ არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ 1696 წ. (დიდმელ) ქობულაშვილისადმი ნათქვამია „...მიღებდე... ღვინოს ლიტრასა ორმეტსა ოცის სტილიანითა"[12]. თუ ამ ცნობას დავემყარებით, სავსებით ნათელი ვახდება ლიტრის, როგორც „საწყაოს" საბასეული განმარტება და მისი რეალური მნიშვნელობა, რომელიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემოინახა უკანასკნელ დრომდე.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებაში ცნობილია საზომ-საწონ ერთეულად კვერცის გამოყენება. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთი კვერცის წონა შეეფარდება 50 გრამს, 4 კვერცხისა ერთ სტილს. ამის კვალობაზე ლიტრაში ჩადის 10 გირვანქა მარცვლეული. ლიტრა მოიცავს 80 კვერცხის წონა მარცვლეულს. მართლაც, 20 კვერცის წონა ერთ კილოს ანუ ერთ ჩარქას უდრის. ჩარქა 5 სტილის წონას უდრის, ხოლო ლიტრა, როგორც უკვე ფაქტებმა გვიჩვენა,—20 სტილს.

ვახტანგ VI-ის დასტურლამალის ლექსიკონში სტილი ასეა განმარტებული: „წონა ჩვენს დროში სამი მერვედი (3/8) გირვანქისა ანუ 36 მისხალი ან სამის კვერცხის წონა. აბრეშუმს საქართველოში დღევანდლამდე სტილით (სამის კვერცხის წონით) ვაჭრობდენ"[13]. „ალმასობაში" საწონის განსაზღვრისათვის „ამდეგს ვკითხულობთ „საწონი: ძველად იყო სამი კვერცხი, ერთ სტილად ჩაგდებული. და სამოცი კვერცხის წონა, ერთ ლიტრად ჩაგდებული ვითარცა აწცა ეს წონა გლეხთა შორის, თუ ვინ რასა გაჰყიდდენ"[14].

სერგი მაკალათია ხევსურულ სტილს 2 კვერცხის წონად ანგარიშობს. ერობოსა და ყველს ხევსურეთში „სტილითა" სწონიან. ხევსურული სტილი ორ-ეულ ცხს იწონის და იგი უდრის 200 გრამს. 2 სტილი 4 კვერცხია. ლიტრა 20

---

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

[11] იქვე.

[12] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა, (XV—XVIII სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 100.

[13] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, ტფ., 1886.

[14] ი ო ნ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ალმასობა, ტ. II. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილი (4 კილოა)"[15]. თუ ეს ცნობა პატ. მკვლევრის უნებური შეცდომა არის, მაშინ იგი არ შეესაბამება სისწორეს. საერთოდ ყოფაში საწონის სახობად მიღებულია ქათმის კვერცხი. იგი 50,5 გრამს იწონის. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთ სტილში 4 კვერცხის წონა შედის. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ აკად .ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექციებში დაცული კოლექცია — ხევსურული სტილი, რომელიც შეძენილია პროფ. გ. ჩიტაიას მიერ სოფ. ჩირდილში მამუკა არაბულისაგან. ხევსურული სტილი შედგება სასწორისა და სამი საწონი ქვისაგან. ერთი მათგანი, საზომი „ერთი სტირი" (საქართველოს მუზეუმის კოლექცია, № 12—27/94) წარმოადგენს ბაზალტის მომრგვალო ნატეხს, რომლის უდიდესი დიამეტრია 6,5 სმ, ხოლო სისქე —3 სმ. მის ზედაპირზე ამოკვეთილია ჯვარი, „სტირის" დასამუშავებლად ნახმარია სატეხი და ხელკვერი. იგი იწონის 205,5 გ, ხოლო ოთხი სტირი (საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 15—27/96) წარმოადგენს ბაზალტის უსწორმასწორო ოთხკუთხედ ნატეხს, რომლის უდიდესი სიგრძე 11 სმ-ია. უდიდესი განი —8 სმ, ხოლო უდიდესი სისქე —5 სმ. ქვის ნაწიბურები დამუშავების დროს აქა-იქ ჩამოტეხილია. საჰირო წონითი ოდენობის მიღების მიზნით მის ზედაპირზე ამოკვეთილია ჯვარი. ქვის დასამუშავებლად ნახმარია სატეხი და ხელკვერი. იგი იწონის 827 გ[16].

ისტორიულ ცნობებზე დამყარებით პროფ. გ. ჩიტაიამ დაწვრილებით შეისწავლა სტილის წონითი ოდენობის ცვლილებანი და დასახელებულ ნაშრომში მოგვცა ორი საუკუნის მანძილზე სტილის გრამებში გამოხატული წონითი ოდენობა. ეს ცხრილი შემდეგ სურათს იძლევა:

ვახტანგ VI XVIII ს. დასაწყისი	საბა ორბელიანი XVIII ს. დასაწყისი	ვლადენ-ბეტეტი 1772 წ.	კლაპაროთი 1808 წ.	თბილისის, გორის, თელავის ბაზრები 1845 წ.	სანგილო 1909 წ.	ხევსურეთი 1916—27 წწ.
142,8484 გ	170,9505 გ	156,744 გ	156,744 გ	184,291 გ	204,768 გ	205,5 გ

პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, „ცხრილი საკმაო სიცხადით გვიჩვენებს ორასი წლის მანძილზე ჩვეულებრივი სტილის წონითი ოდენობის უწყვეტელ ზრდას"[17].

ამგვარად, თუ დავუკვირდებით ზემოხსენებულ მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ სტილის წონით ზრდასთან ერთად იცვლება და მატულობს საწყაო ჭურჭლის მოცულობითი სიდიდე, რომელიც ძირითადად „სტილის" ოდენობით განისაზღვრება.

ამგვარად, „ლიტრა", როგორც საწყაო, ადგილთა მიხედვით სხვადასხვაა. საერთოდ მიღებული იყო უმთავრესად 20 სტილის შემცველი ლიტრა, რომელშიაც წონით 4 კგ მარცვლეული ჩადიოდა. ამის მიხედვით იანგარიშებოდა მარცვლეულის საწყაოები: კოდი, ფოხალი, ბათმანი და სხვ.

[15] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 66.

[16] გ. ჩიტაია, ხევსურული სტილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IV, გვ. 285.

[17] იქვე, გვ. 288.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, მაგალითად, დალაქი, რომელიც წლიურად ურიგდებოდა სოფელს, ბოლო სოფელი ნატურით უხდიდა მას გასამრჯელოს, ლეწვის დროს დაუგლიდა თითოეულ ოჯახს და მათგან კუთვნილ პურს ლიტრობით იღებდა, თანახმად გარიგებისა. ამ შემთხვევაში გამოსაღების ოდენობა განისაზღვრებოდა ოჯახის წევრთა მიხედვით, სადაც ანგარიში უნდა გაწეოდა პურეულის ჯიშსაც. სმუაალოდ ოჯახი იხდიდა 6—8 ლიტრა პურს, 10—12 ლიტრა ქერს. ლიტრით უხდიდა სოფლის თითოეული ოჯახი მეველეს: ერთ დღიურზე აძლევდა ლიტრა პურს, ორ დღიურზე ორ ლიტრას და ასე შემდეგ. საინტერესოა, რომ მერუეებს, რომელთაც ჩვეულებრივად შრომის ასანაზღაურებლად ღვინოს აძლევდნენ, ღვინის მოუსავლიანობისას გამოსაღებს ჭირნახულით უხდიდნენ, რასაც ლიტრობით ანგარიშობდნენ: „მერუეები რომ გვყანდა სოფელს არჩეული, ასე ვიხდიდით: თუ ღვინო არ მოგვივიდოდა, მაშინ ჭირნახულს ვაძლევდით ერთ ლიტრას დღიურზე. თუ ბაღ-ვენახები არ გვქონდა და ვრწყავდით, ჭირნახულს მაშინაც ერთ ლიტრას ვაძლევდით, აქედან „მერაბსაც“ წილი ჰქონდა“ (დიღომი, ანტ. სონღულაშვილი, 70 წ.).

ასე უხდიდა სოფელი მენახირესაც: მენახირე დადგებოდა აღება ღამეს, 14 ნოემბერს, როცა წელიწადს გაათავებდა, (აღება ღამეს) დაივლიდა ოჯახებში და მოითხოვდა „ოჯახი დამალოცინეთო“. ოჯახის დასალოცში ზოგი პურს აძლევდა და ზოგიც ღვინოს, ვისაც ფული უნდოდა, ფულს მისცემდა. მეორე დღეს (წლის დაწყების პირველ დღეს) მენახირე ისევ ჩამოუვლიდა ოჯახებს და „საჯოხეს“ მოითხოვდა. „საჯოხეში“ აძლევდნენ თითო პურს. ამ დღიდან დაიწყებოდა „შაფათი პურის“ ძღევა, ვიდრე ამაღლება არ მოვიდოდა (აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე რომ გავიდოდა. ამაღლება იყო). „ამის გარდა, მენახირეს ვაძლევდით კიდევ მარცვლეულს—კალოობას, მეწველ ძროხაზე 5—6 ლიტრა ხორბალს (ზოგან კოდსაც აძლევდნენ). მშრალ ძროხაზე 3 ლიტრა ხორბალს ან 5 ლიტრა ქერს, ფურ კამეჩზე 10 ლიტრა ხორბალს, ცხენზე 10 ლიტრა ხორბალს, თუ ხარ და კამეჩს გავრეკავდით ნახირში, მაშინ ერთი დღე ხვნაში უნდა გვეთხოვებინა მენახირისათვის“ (დიღომი, ანტ. სონღულაშვილი, 75 წ.).

საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილი იყო დაქირავებული შრომის ასანაზღაურებელი შემდეგი სახეები: „კალოს ლეწვა“—ძმიმე კალო, რომელსაც ორი ცხენი და ორი კაცი სჭირდებოდა, ღირდა 6 ლიტრა პური: მსუბუქი კალო, ერთცხენიანი — სამი ლიტრა პური (მაგალითად, ზოგიერთ სოფელში კაცი და ცხენი 4—5 ლიტრა პური ღირდა); ხვნა—ერთი დღიურის მოხვნა ზაფხულის დღეში—2 კოდი, შემოდგომისა და ზამთრის დღეში—15 ლიტრა; შეა—დღეში 3 ლიტრა პური; „კალოზე მშველელი მუშა“ ერთ თვეს—7 მან. და ორი კოდი პური. მთიბავი —3 ლიტრა პური; კალატოზი—4 ლიტრა პური; დურგალი—4 ლიტრა პური; მჭედელი ახალი სახნისის გაკეთებაში იღებდა 3 კოდ პურს, შეკეთებაში—5—6 ლიტრას. საკეთელის გაკეთებაში — 5 ლიტრა პურს, სახნისის გამოწკეპაში —2 ლიტრა პურს; „გ უ თ ნ ი ს ო ს ტ ა ტ ი“—გუთნის გამართვა-გაწყობა ღირდა 5 მანეთი და ერთი დღე ხვნაში შველა ან 2 კოდი პური; „დღიური მუშა საკალატოზო ან სხვა საქმეზე“ ღირდა ორი ლიტრა პური ზაფხულის დღეში, ზამთრის დღეში — ერთი ლიტრა. „წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს მ ინ დ ი“—საფქვავის დაფქვაში იღებდნენ მინდს 12 ლიტრაზე ერთ ლიტრას, ადრე 15 ლიტრაზე—ერთ ლიტრას, უფრო ადრე 16 ლიტრაზე— ერთ ლიტრას. გ ზ ი რ ი—გზირი კომლზე იღებდა ლიტრა პურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერეუების გამოსაღები

სოფლის დასახელება	ყანების მორწყვა	ერთი დღიური ვენახის მორწყვა	ხეხილის ბაღის მორწყვა	ბოსტანის მორწყვა
1. სართიჭალა	1 ლიტრა პური	თუნგი ღვინო და ფული	ფული	—
2. უჯარმა	„	ორი ხელადა	ფული ან ლიტრა პური	—
3. დიღომი	„	ერთი ჩაფი ღვინო	1 ლიტრი პური	ფული

მეველის გამოსაღები

მხარეების დასახელება	ყანების შენახვა დღიურ მიწაზე	სათიბი ბალახის შენახვა დღიურზე	მამულის შენახვა ჩარექ მიწაზე	ბოსტნების შენახვა
1. ერწო	1 ლიტრა პური 1 ლიტრა ქერი ქერზე	2 ლიტრა პური	—	—
2. სართიჭალა	1 ლიტრა პური, სიმინდზე 2 ლიტრა	1 ლიტრა პური	ვენახზე 3 ჩარექა ტკბილი	—
3. უჯარმა	1 ლიტრა პური	2 ლიტრა ქერი ან 1,5 პური	დღიურზე ორი ხელადა ტკბილი	
4. დიღომი	„	1 ლიტრა პური	ერთი თუნგი ტკბილი ან ღვინო	ფული
5. ნიქოზი და ქვემო ხვითი	ერთი ჩანასახი ორი დღის მიწაზე			

მენახირის გამოსაღები

მხარეები და სოფლები	მეწველი ძროხა	ბერწი	მოცადი	ფურ-კალი	შესაბამელი ხარი	კამეჩი	ცხენი
1. ერწო (საყდრიონი)	1 კოდი პური	5 ლიტრა პური და 5 ლიტრა ქერი	3 ლიტრა პური ან 5 ლიტრა ქერი	5 ლიტრა პური და 5 ლიტრა ქერი	3 ლიტრა პური	1 კოდი ქერი	1 კოდი ქერი
2. სართიჭალა	1 თვეში ერთი ლიტრა პური 1 წელში—9 ან 10 ლიტრა პური	5—6 ლიტრა პური	3 ლიტრა პური	—	1 კოდი პური	1 კოდი პური	1 კოდი პური
3. უჯარმა	ერთი კოდი პური	ერთი კოდი ქერი	5 ლიტრა პური	—	—	—	—
4. დიღომი	5—6 ლიტრა პური	3 ლიტრა ხორბალი ან 5 ლიტრა ქერი	3 ლიტრა ქერი	10 ლიტრა პური	ერთი დღე ხვნა	ერთი დღე ხვნა	10 ლიტრა პური
5. ნიქოზი და ქვემოხვითი	6 ჩანახი პური	2 ჩანახი პური	2 ჩანახი პური	6 ჩანახი პური			ერთი კოდი პური
6. სვენეთი	4 ჩანახი პური	2 ჩანახი ქერი	2 ჩანახი პური	4 ჩანახი პური			5 ჩანახი პური

საველე ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს რომ XIX საუკუნის მიწურულში საგადასახადო გამოსაღების (საწყაოების) მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ბარის გლეხობის მთელი მასა 4 ძირითად ფენად იყოფოდა. მაგალითად, შეძლებულ გლეხობას ეწოდებოდა ლიტრიანები, საშუალო გლეხობას—ნახევარლიტრიანები, ღარიბ გლეხობას—ჩარექიანები, ხოლო მთლად ღარიბებსა და ეულებს (ხიზნებს)—ნახევარჩარექიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩარექას“ სბა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტრის ნაოთხალად თვლის. იგი ამბობს „სპარსნი ლიტრის ნაოთხალსა ჩარექას უკმობენ, რომელსა სომხურად ნუკი და ქართულად გვერდი, გინა ნაოთხალი ეწოდების“[13].

ჩვენ ზემოთ ხაზი გავუსვით იმას, რომ გლეხობა ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე „ლიტრის მიხედვით“ იყოფოდა ოთხ ჯგუფად. როცა სოფელზე ხარჯს გასწერდნენ, იტყოდნენ: „ლიტრა-ჩარექაზე გასწერეს ხარჯიო“, „ხარჯი გაითოჯაო“ ან „გაიკენჭაო“, ხოლო, როცა სოფელში ხარჯის გაწერის დრო მოვიდოდა, სოფელი ამორჩეულ ოთვკაცებს და ამით მიენდობოდა სოფელზე ხარჯის გაწერა. ამორჩეული კაცები სოფელზე წერდნენ გადასახადს ქონების მიხედვით. შეძლებულს, მდიდარს, რომელიც ყველაფრით „სავსე“ იყო, ლიტრიანი ეწოდებოდა; საშუალო ქონების პატრონს, რომელიც დიდად მაინცდამაინც არ ჩამორჩებოდა ლიტრიანს—ნახევარლიტრიანი, ხოლო ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსაც ნახევარლიტრიანის „ქონების, ნახევარი გაჩნდა“—ჩარექიანი; ღატაკს, ეუსსა და მედუქნეს—ნახევარჩარექიანი ეწოდებოდა. საერთოდ ლიტრიანებიცა და ნახევარლიტრიანებიც თავის მხრით განსხვავდებოდნენ ქონების მიხედვით. მაგალითად, ლიტრიანები განირჩეოდნენ: სავსე ლიტრიანად, ლიტრიანად და ნაკრულ ლიტრიანად. გადასახადის გაწერის შემთხვევაში ამორჩეული კაცები, როდესაც ლიტრიანს ხარჯს აწერდნენ, „უფარდებდნენ“ მეორე ლიტრიანს და იტყოდნენ: „ეგ სავსე ლიტრა არ არის, მაგას უფარეო“ (ე. ი. არ არის მოლად მდიდარი და ცოტა ხარჯი მიაწერეო). თუ „სავსე“ ლიტრიანი იყო, იტყოდნენ: „მაგას უქანე“ (შეუძლიან გადახდაო). „სავსე ლიტრაო“ ამორჩეული კაცები ხშირად ბოროტად იყენებდნენ ამ უფლებას და, თუ ვისიმე ჯავრი სჭირდათ, ცდილობდნენ იგი „სავსე ლიტრიანად“ მიეჩნიაᲘ და მასზე ხარჯი გაეზარდათ—„ექანებინათ“.

სახელმწიფო გადასახადი შემდეგი სახით ნაწილდებოდა: ლიტრიანს უწევდა ფულად 10—12 მან., ნახევარლიტრიანს—ამის ნახევარი—5—6 მანეთი, ჩარექიანებს—3 მან., ნახევარჩარექიანებს—1 მან. და 50 კაპ. ან 1 მან.

ლიტრიანებად ითვლებოდნენ ის გლეხები, რომლებსაც ჰქონდათ შემდეგი შეძლება: ერთი გუთნეული ხარკამეჩი (გუთნეულში ითვლება 8—10 უღელი) თავისი მოწყობილობით, 20—30 სული ძროხა, 1000 სული ცხვარი, ცხენის ჯოგი (იაბო ცალკე და ფაშატი—ცალკე), 50—100 სული ღორი, 40—50 დღის სახნავ-სათიბი, სამი ან ხუთი დღის ბაღ-ვენახი, რომლებსაც ჰკავდათ მწყემსები და მოწყობილი იყო კალოთი, საბძლით, ბეღლით, ფარეხით, ბოსლით, ჭვევრ-მარანით. ერთი სიტყვით, „ლიტრიანი ყველაფრით სავსე უნდა ყოფილიყო“.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ნახევარლიტრიანის ქონებას შეადგენდა: 3—5 უღელი ხარ-კამეჩი, თავის გამართულობით, 10—15 ძროხა, 300—500 სული ცხვარი, რამდენიმე ცხენი, 20—25 სული ღორი, 10 დღის სახნავ-სათიბი, 2 დღიური ბაღ-ვენახი, კალო, საბძელი, ბოსელი, ფარეხი, ორმო და სხვ.

ჩარექიანის ქონებას წარმოადგენდა: ყვავარი ხარ-კამეჩი, 100—200 სული ცხვარი, 2—3 ცხენი, 9—10 სული მოცადი ქონელი, ცოტაოდენი სახიარო ღორი, 5—6 დღის სახნავ-სათესი მიწა, დღენახევრის ბაღ-ვენახი, ბოსელი, კალო, საბძელი და სხვ.

---

[13] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარჩარექიანს ქონება ძალიან ცოტა ჰქონდა. ზოგიერთ ჩარექიანებს წევი საქონელი არც კი გააჩნდა, მიწა სულ არ ჰქონდა ან. თუ ჰქონდა, ძალიან მცირე. ნახევარჩარექიანები მიწას უმეტესად იჯარით იღებდნენ. ეულებს მიწა სულაც არ გააჩნდათ. დიღმეში ეულები იყვნენ: სისაურები, რაზმაძეები, წითელანი, თალაკვაძეები, ვარდიაშვილები, ზოიძეები, თაბაგრები, ჩიტაძეები, იმერშვილები, ლაზროვები და სხვ.

სოფელში ლიტრიანები და ნახევარლიტრიანები „კაი სახელით" სარგებლობდნენ. ქორწილში ლიტრიანები და ნახევარლიტრიანები სუფრისთავში სხდებოდნენ, ჩარექიანები და ნახევარჩარექიანები—სუფრის ბოლოში. ამასთან დაკავშირებით ასეთი თქმაც არის ხოლმე: „ჩარექჩურუქები ბოლოშეო". ჩხუბის დროს ლიტრიანი ჩარექიანს ეტყოდა: „შე ასეთო, ისეთო, მე ლიტრას ვაძლევ ხარჯს და შენ ნახევარ ჩარექას და შენ მე მედრებიო?" ლიტრიანი რომ ნახევარლიტრიანად დაგეწერათ, ეწყინებოდა. ასევე ნახევარლიტრიანი რომ ჩარექიანად დაგეწერათ, ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა.

წერილობით წყაროებში ლიტრიანი და ჩარექიანი გლეხების შესახებ გარკვეული ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ ერთგან ვახტანგ VI-ის დასტურლამაში — სადდღობლოში წინწყაროს გარიგებისათვის ნათქვამია: „აგრეთვე გასამყრელო აქეთ ამ ფასზედ და სამ ჩარექაზედ აბაზი ხუთი; ორ ჩარექაზედ შაური ათი, ერთ ჩარექაზე შაური ექვსი, ქვრივზე აბაზი ერთი"[19].

განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა ამ ცნობას, აღნიშნავს: „თუ ცნობაში ღალის პურის შესახებ „ჩარექი" შეიძლება წონით საზომად ან საწყაოდ გვეჩვენოს, ან ნამდვილადაც ყოფილიყოს გასამყრელოს შესახებ ცნობაში „ჩარექი", უფრო მიწის საზომად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან გაყრის დროს უმთავრესი მნიშვნელობა მიწის გაყოფას ჰქონდა. თუ აქ ჩარექი მართლაც მიწის საზომის ერთეულის ტერმინია, მაშინ იგი ალბათ დღიურის მეოთხედს უნდა ნიშნავდეს"[20]. მართალია, მიწის საზომი ერთეულები ჩარექებით ისაზღვრებოდა და ოთხი ჩარექა, ანუ ერთი ლიტრა, დღიურს ნიშნავდა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული ცნობებით ლიტრა, ჩარექი არა მარტო მიწის საზომი ერთეულია, არამედ იგი უფრო ფართო ცნებაა, რომელიც ამასთანავე ნიშნავს უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობითს მდგომარეობას.

ლიტრა-ჩარექებად დაყოფის ერთ-ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბარათაანთ და ყორღანთ ყმების ხარჯის გარიგება (1710 წ.). იგი შესრულებულია მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით. აქ ვკითხულობთ: „მეფე ვახტანგის ბრძანებით მოვედით ჩვენ. ერისთვის ძე ეშიკაღაბაში ზურაბ, წინ წყაროს მამასახლისი ავთანდილა, ჩვენ მოვიყვანეთ გლეხები. შეეფარდებინეთ ბატონი ბარათაშვილის ყმანი ენაგელნი მემკვიდრენი და ყორღანანი და თავიანთ გლეხით ასე გავარიგეთ: ენაგეთი გაეყვანთ ხუთ ჩარექად, როცა ხარჯი მოვიდოდეს, ასე უნდა გაიღებოდნენ: ნახევარი ლიტრათ ბარათაანი ყმანი არიან ჩაგდებულნი. ამ ნახევარ ლიტრიდამ ოთხი სტელი საამის-შვილის ქაიხოსროს ყმათ შეხვდებათ. ექვსი სტელი საამის-შვილის ქაიხოსროს ყმათ შეხვდებათ. ექვსი სტელი გოსტაშაბიშვილის, ნამანგლელავის შვილის, გერმანოზიშვილის და თაყანთ

[19] მეფე ვახტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედ., 1886, გვ. 55.
[20] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმათ შეხვდებათ: ნახევარ ლიტრა ყორღანაათ ყმათ შეხვდებათ: ერთი ჩარგალი სახასო ვლეხთ შეხვდებათ; ღალასა და კულუსს თავ-თავის მისცემდნენ სხვა რაც ხარჯი მოვიღოდეს, ის როგორც გაგვრიგებენა ასე უნდა აძლიონ"[21].

როგორც ამ ხარჯის გარიგების საბუთიდან ჩანს, ლიტრა-ჩარექობის მიხედვით სოფლის დიფერენციაცია ძველ ანალოგიურ ტრადიციას ემყარება და ეს ამბავი მე-19 საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო ადრინდელი ეპოქიდან.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებში (კერძოდ ფშაურ ეთნოგრაფიულ მასალებში) თიანეთისა და ერწოს მოსახლეობა XIX საუკუნისათვის სამ ჯგუფად იყოფოდა: წრნანი, შუანანი, უკანანი. ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, იყო მეოთხე ჯგუფიც—ეგრეთ წოდებული „არაფრის მჭონენი". ფშავისათვის ქონების ძირითად გამსაზღვრელად საქონელი და უძრავ-მოძრავი ქონება ითვლებოდა.

მეტად საინტერესოა ლიტრა-ჩარექების შესახებ სოფრომ მგალობლიშვილის ცნობა. რომელსაც თავის მოგონებაში წერს: „სახელმწიფო ხარჯის, ანუ როგორც გლეხობა ეძახის „ფოსტის ფულის" ასაკრებად, სოფელი განაწილებული იყო ოთვი სოფლთაგან ოთხ კატეგორიად: ლიტრის კაცი, ნახევარლიტრისა, ჩარექისა და ნახევარჩარექისა. ძველად სოფელში უმაღლესი ზომა საწონისა იყო ლიტრა—ათი გირვანქა. ნახევარლიტრა—ხუთი გირვანქა, ჩარექი—სამი გირვანქა და ნახევარჩარექი—გირვანქანახევარი. ფუთობით ანგარიში არ იყო... აქედან ლიტრის კაცი იყო ყველაზე შეძლებული, თავისი ოჯახის ქონება-შეძლებითა. ამ ოჯახს მეტი ეჯერა ხარჯი და ასე ქონება-შეძლების მიხედვით"[22].

1820-იან წლებში ყმური დამოკიდებულებიდან თავისუფლების მაძიებელ გლეხთა მდგომარეობის გამწვავების, გლეხებსა და მემამულეებს შორის ამ ნიადაგზე ხშირი უთანხმოებისა და შეტაკებათა გამო ხელისუფლება იძულებული შეიქმნა უფრო აჭტიურად ჩარეოდა ამ საქმის მოწესრიგებაში, სახელდობრ ყმა-გლეხების ბეგარა-ვალდებულებათა აღნუსხვა-შესწავლაში.

ამ მიმართულებით 1822—1826 წწ. წარმოებული შედარებით დაწვრილებითი კვლევა-ძიების შედეგად მოგვეპოვება საინტერესო ცნობები, კერძოდ გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შესახებაც. მემამულისადმი გლეხთა ბეგარა-ვალდებულებებთან ერთად არ შეიძლებოდა არ შეესწავლათ საერთოდ გლეხური კომლის სახელმწიფო გამოსაღებთა მოცულობა და, მაშასადამე, მისი ძირითადი შემოსავლის (საქმიანობის) წყაროები.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს ფინანსური მეურნეობის და ბატონყმური ურთიერთობათა მცოდნე პირებმა, კერძოდ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა უჩვენა, რომ „საქართველოს მცხოვრებთა ძველი ჩვეულების მიხედვით ზოგიერთი გამოსაღებებისა და ბეგარის", სახელმწიფოს თუ მემამულეთა სასარგებლოდ, „გადახდისას გლეხები ამჟამად ნაწილდებიან ოთხკლასად. მათის საცხოვრებელი ადგილისა და შეძლების მიხედვით"[23].

სიღნაღის, თელავის, დუშეთის, გორის, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლებმაც ანალოგიური ცნობები წარადგინეს.

---

[21] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 147

[22] ჯ. გ ე ბ ე ს ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, XIX—XX სს., თბ., 1956, გვ. 423; ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 14.

[23] ჯ. გ ე ბ ე ს ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მაზრის მარშალმა უჩვენა, რომ ამ მაზრაში პირველი კლასის გლეხს უნდა ჰქონდეს: 30 დღიური სახნავი, 40 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 100 ცხვარი და 100 ღორი, ორი-სამი დღიურის ზომის ვენახი (ადგილმდებარეობა ამას ხელს არ უშლის); მეორე კლასისას: 15 დღიური სახნავი, 30 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 30 ცხვარი, 30 ღორი და ადგილმდებარეობის შესაბამისად 1.5 ან 1 დღიური ვენახი. მესამე კლასისას უნდა ჰქონდეს მეორე კლასის ქონების ნახევარი; მეოთხე კლასისას—მესამე კლასის ქონების ნახევარი.

ლუშეთის მაზრის მარშლის ცნობით ამ მაზრაში პირველი კლასის გლეხებს აქვთ: 20 დღიური სახნავი, წისქვილი და 2 ან მეტი დღიური ვენახი, ან მთელი გუთნეული გასამართავად მსხვილრქიანი პირუტყვი, 200 თავი ცხვარი ან ღორი; მეორე კლასისას უნდა ჰქონდეს პირველის ნახევარი, მესამე კლასისას —მეორის ნახევარი, ხოლო მეოთხე კლასისას—მესამის ნახევარი.

თელავის მაზრის მარშალმა აღნიშნა, რომ საერთოდ საქართველოში განსაზღვრული არაა, რა წლიური შემოსავალი უნდა ჰქონდეს სხვადასხვა კლასის გლეხის ოჯახს, რადგან ერთი სოფლის პირველი კატეგორიის გლეხები იშვიათად ეტოლებიან მეორე სოფლის პირველი კატეგორიისას, რამდენადაც სხვადასხვა სოფლის გლეხები სიმდიდრის მხრივ არ არიან თანატოლნი[24].

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კომლთა გადანაწილება ლიტრა-ჩარექების მიხედვით შეპირობებული იყო უძრავ-მოძრავ ქონებასთან.

ამრიგად, „ლიტრა“ და „ჩარექი“ ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოყენებული ყოფილა არა მარტო მარცვლეულის საწყაოდ, არამედ მიწის ნაკვეთის საზომ ერთეულადაც. მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გასამიჯნავად, სათესლე და სამარაგე პურეულის გასაანგარიშებლად და სხვ. ქართული საწყაოების ჭურჭლის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ძირითადი ტიპების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება რიგი საყურადღებო ფაქტის გამოვლინება და დადგენა.

სამუზეუმო და საველე ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ხის საწყაოები ისტორიულად გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდნენ და რომ ეს ცვლილებანი შეპირობებული იყო არსებითად მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობითა და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით. აშკარად ჩანს, რომ გადასახადის მომღები მხარე დაინტერესებული იყო საწყაო ერთეულის მოცულობის გადიდებით, გადამხდელი კი ცდილობდა ამ საზომი ერთეულის შემცირებას. ეს ორი ფაქტორი გარკვეულ გავლენას ახდენდა საწყაოების მოცულობით სიდიდეზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებით გაირკვა, რომ სახელმწიფოს საგადასახადო გამოსაღების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობა იყოფოდა ოთხ ძირითად ჯგუფად: ლიტრიანებად, ნახევარლიტრიანებად, ჩარექიანებად და ნახევარჩარექიანებად.

ხის საწყაო ჭურჭელთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია, რაც საწყაოთა რეალური მნიშვნელობის ხასიათს გვიჩვენებს. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ხის ჭურჭლისა და განსაკუთრებით საწყაოების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს

---

[24] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ძველი სამეურნეო ყოფის გათვალისწინებისათვის, რაც თავის მხრივ უშუალოდ უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ხელოსნობა, აღებ-მიცემა, გლეხობის სოციალური დიფერენციაცია და მწარმოებელთა სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების სხვა მხარეები.

Д. М. СОНГУЛАШВИЛИ

ДЕРЕВЯННАЯ ИЗМЕРИТЕЛЬНАЯ ПОСУДА, ПРИМЕНЯВШАЯСЯ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ В ПОЛЕВОДСТВЕ

(по этнографическим коллекциям Государственного Музея Грузии им. С. Н. Джанашиа)

Резюме

На основе научного анализа фондов этнографического отдела Государственного Музея Грузии им. С. Н Джанашиа и полевых этнографических материалов устанавливается, что в старом быту Восточной Грузии для измерения зерновых культур применялась следующая объемно-весовая измерительная посуда: литра, рубн, чанахи, пина, похали, коди, кабици, чхути.

Изучение соответствующих материалов показывает, что в Восточной Грузии основной измерительной единицей в полеводстве являлась «литра», вмещавшая 10 фунтов (4,1 кг) зерна. Две литры составляли «чанах» (пина||двойной||батман), три литры—«самиани», пять—«похали», а десять — «коди». Четверть коди именовалась «руби», а четверть литры — «чареки»; четверть чареки называлась «ксани».

Характерно, что до начала XX века вся масса картлийского крестьянства с точки зрения податного обложения делилась на четыре основные группы: 1) «литрианеби», т. е. состоятельный слой крестьянства, выплачивавший подати в литровом измерении; 2) «нахеварлитрианеби» (полулитровые), т. е. середняки; 3. «чареки анеби», т. е. бедное крестьянство и 4. «нахеварчареки анеби», т. е. хизаны и другие слои беднейшего крестьянства, именуемые «еули».

Дифференциация крестьянства по признаку «литра» или «чареки» основывались на старой традиции и XIX век получил его по наследству от более ранней эпохи.



ტაბ. I

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტან. III

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B, 1959
Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XX-B, 1959

А. А. БАРАМИДЗЕ

К ВОПРОСУ О ЗНАЧЕНИИ СЕВЕРНОЙ СИРИИ ДЛЯ УРАРТУ

Одним из важнейших экономических вопросов древней истории Передней Азии является разработка проблемы металлургии железа. В этом отношении советскими историками древнего мира проделана определенная положительная работа, ясно показывающая то огромное значение, которое имело железо для могущественных государств Передней Азии — Ассирии и Урарту[1].

С. М. Бациевой принадлежит несомненно приоритет в разработке данной проблемы. По ее справедливому замечанию, Северная Сирия являлась связующим звеном между Ассирией и юго-восточными районами Малой Азии. Этот район был основной базой снабжения Ассирии и вообще Ближнего Востока железом, промышленное применение которого в широком масштабе в этих странах началось уже в IX в. до н. э. Северосирийские города (Каркемиш, Дамаск, Арпад) являлись посредниками для торговли железом. Собственно в Ассирии месторождение железа не существовало, что и превращало Северную Сирию в жизненно важный для Ассирии район. Из железа ассирийцы, очевидно, выделывали военные оружия.

Кроме того, С. М. Бациевой высказывается предположение о том, что основной причиной противоречия между Ассирией и Урарту в Северной Сирии и юго-восточной области Малой Азии в середине VIII в. до н. э. заключалось именно в захвате богатых железорудных месторождений этих территорий[2]. Она считает, что «завоевание малоазийских областей позволило бы урартским царям выйти непосредственно к сыревой базе транзитной торговли северосирийских городов и представляло блестящую возможность соединить в своих руках оба основных центра добычи металлов, в частности железа, на Переднем Востоке. Монополия владения источниками сырья сделала Урарту гегемоном по отношению к богатым городам Северной Сирии и поставила бы в зависимость от Урарту и Ассирийскую державу»[3].

Таким образом, С. М. Бациева совершенно справедливо заключает, что захватив Северную Сирию и юго-восточные области Малой Азии Урарту стало бы гегемоном в этих областях. Однако, следует особо отме-

---

[1] С. М. Бациева, Борьба между Ассирией и Урарту за Сирию, „Вестник древней истории", 1953, № 2, стр. 17—36; Н. В. Янковская, Некоторые вопросы экономики Ассирийской державы, „Вестник древней истории", 1956, № 1, стр. 28—46.

[2] С. М. Бациева, Борьба между Ассирией и Урарту за Сирию, „Вестник древней истории", 1953, № 2, стр. 35.

[3] Там же, стр. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

тить, что проникновение урартийцев в эти области носило двоякий характер, как экономический, так и политический. Ниже мы главным образом касаемся ассиро-урартских противоречий в Северной Сирии, именно с политической точки зрения.

Нам кажется, что правители Урарту стремились утвердить свое влияние в Северной Сирии и в юго-восточные районы Малой Азии не только с целью овладения этими богатыми металлургическими областями, но и политическими соображениями, так как урартийцы, очевидно, преследовали цель отрезать путь ассирийцам к основным источникам металла.

Что же касается месторождений железа на территории собственно Урарту, то по этому вопросу следует остановиться особо.

Как известно, обработка железа занимала в Урарту весьма почетное место[4]. Железо урартийцы обрабатывали из местной руды. Г. Куиринг, посвятивший специальное исследование урартскому железу[5], пришел к тому заключению, что на всем Ближнем Востоке Урарту (Наири-Армения) располагало самыми высококачественными залежами железных руд. По его мнению, можно смело утверждать, что урартское железо в большом масштабе составляло основу для древнейшего выделывания сварочного железа. В Урарту существовали большие залежи красного железняка (гематит), с высоким, до 65% составом железа[6].

Известно особенно много железных месторождений в центре Урартского государства, в частности в Ванском, Битлисском и Мушском районах, а также в горах к западу от Урмийского озера[7]. Самое крупное из них лежит на северных склонах Армянского Тавра, в частности в Сиван-Мадене[8].

Археолог А. А. Мартиросян вполне справедливо полагает, что область Ванского озера представляла ту территорию, на которую и базировалась урартская металлургия[9]. С нашей стороны укажем на значительное количество железных предметов (500—600), обнаруженных в конце XIX века немецкой экспедицией К. Ф. Леманн-Гаупта[10] в Топракале (Тушпа), что вероятно было принесено в Тушпу именно с этого основного урартского центра.

Кроме местных железорудных месторождений урартийцы вывозили железо и с юго-западных областей исторической Грузии, в частности из страны Кулха (Колхида античных писателей[11]). На существование на этой территории богатых железных руд указывают как античные писатели,

[4] Б. А. Тураев, История древнего Востока, т. II, Л., 1935, стр. 37.

[5] H. Quiring, Die Erzgrundlagen der ältesten Eisenerzeugung Zeitschrift für praktische Geologie", вып. 8, 1933, стр. 128—131.

[6] Там же, стр. 130.

[7] Б. Б. Пиотровский, История и Культура Урарту, Ереван, 1944, стр. 218.

[8] А. Ферсман, Ископаемые богатства Армении, „Природа", 1916, № 4, стр. 496; его же, О необходимости обследования естественных производительных сил пограничных с Россией областей Малой Азии и Персии, Петроград, 1917, стр. 11.

[9] А. А. Мартиросян, Раскопки в Головино, Ереван, 1954, стр. 103.

[10] C. F. Lehmann-Haupt, Armenien einst und jetzt, Band 2, Heft 2, Berlin—Leipzig, 1931, стр. 507, 544—546.

[11] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, № 155, д. 11, „Вестник древней истории", 1953, № 4, стр. 185.

9,74369 30
2032 0170033

так и один урартский эпиграфический памятник середины VIII в. до н. э.[12]

Правда, железо в урартских источниках упоминается лишь один раз, причем в связи со страной Кулха, но из этого вовсе не следует заключить, что в государстве Урарту не существовали богатые месторождения железных руд. Вполне возможно, что единственное упоминание железа в урартских источниках следует объяснить в значительной степени специфичностью источников. В этом отношении весьма интересно соображение Н. Б. Янковской, которая редкое и малочисленное упоминание железа в сравнении с другими металлами в ассирийских источниках объясняет именно характером источников, так как в них, по ее справедливому мнению, речь идет главным образом о содержании сокровищниц[13]. Очевидно, с аналогичным фактом мы имеем дело и в Урарту. Действительно, урартские правители во время своих грабительских войн на территории исторического Южного Закавказья неоднократно упоминают о захвате ими большого количества золота, серебра, меди и т. д.[14]

Археологическими раскопками установлено, что не только боевые оружия, но и основные орудия производства урартийцами изготовлялись из железа, которые обрабатывались из местных залежей металла. С этой точки зрения немаловажное значение имеет, как нам кажется, громадное обилие железа, частично необработанного, обнаруженного в 40-ых годах XIX века при раскопке дворца Саргона II-го (722—705 гг.) в Дур-Шаррукине (Харсабад). То обстоятельство, что в кладовых дворцах в Дур-Шаррукине было найдено определенное количество необработанного железа, говорит в пользу ее экспортного происхождения. Вместе с тем, все исследователи согласны в том, что упомянутое собрание железных

---

[12] На наличие в стране Кулха развитой металлургии бронзы указывает и археологический материал, в частности бронзовые топорики колхидско-кобанского типа, обнаруженные у подошвы Арарата в селении Игдыр и в Ленинаканском районе на территории древней страны Эриахи. См. Б. А. Куфтин, Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, Вестник государственного Музея Грузии, т. XIII-В, Тбилиси, 1944, стр. 68; А. А. Мартиросян, О древнем поселении около Ленинакана, Известия Академии Наук Армянской ССР (Общественные науки), 1952, № 10, стр. 87; его же, О древнем поселении и могильнике близ Ленинакана, Краткие сообщения института истории материальной культуры, вып. 55, 1954, стр. 113—114.

[13] Н. Б. Янковская, Некоторые вопросы экономики Ассирийской державы, „Вестник древней истории", 1956, № 1, стр. 36.

[14] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, „Вестник древней истории", 1953, № 2, стр. 258, надпись № 36, строка 16; № 3, стр. 255—256, надпись № 12 АВ, строка 20, 24. Известный Советский археолог А. А. Иессен основываясь на труд акад. И. И. Мещаниова „Циклопические сооружения Закавказья" (Л., 1932, стр. 78) неправильно считает, что во время своих походов в Южное Закавказье урартские цари не интересовались местными рудами. В связи с этим вопросом А. А. Иессен пишет, что „Закавказская металлургия не представляла интереса для халдских завоевателей и все обилие металла, обращавшегося в области царства Урарту, происходило из других местностей, расположенных в южной Армении, в Курдистане и в иранском Азербайджане". См. А. А. Иессен, Древнейшая металлургия Кавказа и её роль в Передней Азии, III международный конгресс по иранскому искусству и археологии, М.—Л., 1939, стр. 98; его же, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, стр. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

предметов во дворце Саргона было получено религиозного центра урартийцев[15]—мусасирского храма верховного божества Халди[16].

Кроме того, обнаруженные на Кармир-блуре (около Еревана) бронзовые орудия и другие изделия из железа свидетельствуют о том, что урартийцы добывали и обрабатывали железо именно на своей территории[17], где, как отмечалось выше, встречаются богатые железные руды. Поэтому утверждение своего влияния в Северной Сирии и юго-восточной области Малой Азии было весьма важным для правителей Урарту именно в политическом отношении[18]. Утвердившись здесь, Урарту закрывало доступ для Ассирии к основному источнику снабжения металлами, в частности железом, что, конечно, способствовало ослаблению Ассирийской державы — главной его соперницы в данную эпоху.

Однако этим не ограничивается значение Северной Сирии в истории Передней Азии. Правители Урарту стремились утвердить свое влияние в Северной Сирии и потому, что через нее шли главные торговые пути к Средиземноморью[19]. Северная Сирия являлась не только тем районом, где скрещивались торговые пути из Малой Азии в Вавилонию, из Месопотамии к Средиземноморью, из Египта в Восточные страны; Северная Сирия представляла еще и ту страну, которая в большом количестве имела ценный строительный материал; в частности, строевым лесом, Ливанским кедром нуждались как Египет, так и страны Передней Азии (Вавилония, Хеттское царство).

---

[15] Б. А. Тураев, История древнего Востока, т. II, Л., 1935, стр. 37; Ю. В. Готье, Очерки по истории материальной культуры Восточной Европы, т. I, Л., 1925, стр. 136; C. F. Lehmann-Haupt, Armenien einst und jetzt. Band 2, Heft 2, Berlin-Leipzig, 1931, стр. 545; E. Herzfeld, Khattische und Khaldische bronzen, Ianus I, 1921, стр. 140; F. Schachermeer. Tuschpa. Reallexikon der Vorgeschichte, т. XIII, 1929; Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1941, стр. 215; Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, стр. 332.

[16] Такому мнению не придерживается Н. Б. Янковская. Она считает, что обнаруженные во дворце Саргона II-го около 160 тонн железа было получено ассирийцами из разных стран Передней Азии. См. Н. Б. Янковская, Некоторые вопросы экономики Ассирийской державы, „Вестник древней истории", 1956, № 1, стр. 45.

[17] Правда, обнаруженные на Кармир-блуре железные изделия и большие массивные куски железа были привозными из других районов Урартского государства, но это, конечно, не снимает положение о том, что на территории исторической Армении имелись богатые залежи железа. С этой точки зрения интересно сообщение историка Фавстоса Бузанда (V в. н. э.) о том, что в Ритуникских горах находились железные и свинцовые рудники (см. История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, 1953, стр. 22). Кроме того, железорудными месторождениями весьма богаты были также Армянская область Ангелтун (современный Аргана-Маден) и многие другие районы около Ванского озера. По указанию А. А. Мартиросяна, в этом отношении важное значение имеет один вариант из легенды об Ара Прекрасном, в котором „сохранились вполне достоверные сведения о высоко развитой урартской железной металлургии, чем и объясняются в легенде неоднократные победы урартов над ассирийцами" (см. А. А. Мартиросян, Раскопки в Головино, Ереван, 1954, стр. 103).

[18] Г. А. Меликишвили, Наири-урарту, Тбилиси, 1954, стр. 274; А. А. Барамидзе, Из истории ассиро-урартских взаимоотношений в последней четверти VIII в. до н. э., автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1954, стр. 8—9.

[19] О значении Северной Сирии в посредничестве мировой торговли в древневосточную эпоху см. А. Г. Бокшанин, История международных отношений и дипломатии в древнем мире, М., 1948, стр. 14; Д. И. Церетели, Древний Восток, Сирия и Финикия (на грузинском языке), Тбилиси, 1955, стр. 3.

Следовательно, борьба за ценный строительный материал, с одной стороны, и стремление овладеть главными торговыми путями, с другой, превратили Северную Сирию в тот район, из-за которого происходили особенно большие войны в III—II тысячелетиях до н. э. между рабовладельческими странами Ближнего Востока. Что же касается Урарту, то ее продвижение на эту территорию в первой половине первого тысячелетия до н. э. носило главным образом политический характер.

Таким образом, противоречия Ассирии и Урарту за Северную Сирию и юго-восточные области Малой Азии не следует сводить лишь к экономическим основам, в частности к железу, так как богатые месторождения этого металла имелись и на территории собственно Урарту. Стремление урартийцев в Северную Сирию и юго-восточные области Малой Азии, кроме экономического фактора, очевидно, носило и политический характер, в частности, они имели целью отрезать ассирийцам путь к этим железным источникам металла.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. ტყეშელაშვილი

სამთავროს სამაროვნის ახ. წ. II—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები

ნივთი, რომელსაც „მშვილდსაკინძს“ ეუწოდებთ, სპეციალურ ლიტერატურაში „ფიბულას“ სახელითაა ცნობილი. ამ სახელით იწოდება იგი თითქმის ყველა ენაზე; ამავე სახელითაა ცნობილი ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაშიც. პირველად ამ ნივთს მშვილდსაკინძი ქართველმა არქეოლოგებმა ა. აფაქიძემ, გ. გობეჯიშვილმა, ა. კალანდაძემ და გ. ლომთათიძემ უწოდეს [2, 3].

ფიბულა (fibula, fibulae) ლათინური სიტყვაა. იგი ნაწარმოებია ზმნა figo-დან, რომელიც ზოგადად შეკერას, დამაგრებაა ნიშნავს [4]. აქედან, თვით ფიბულა ეწოდება შესაკრავ ნივთებს, „საკინძს, ბალთას, აბზინდას“ და სხვ. 5 და აგრეთვე 4].

როგორც ვხედავთ, „ფიბულას“ ქვეშ ისეთი ნივთებიც იგულისხმება, რომელთა ზოგადი დანიშნულება, მართალია, შეკერა-შეკინძვაა, მაგრამ, კერძოდ, ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწილის შესაკრავებს წარმოადგენენ და ამავე დროს სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოყვანილობისა და დამზადების ტექნიკის მხრივ. ამავე დროს, შეკერა-შეკინძვა და შესაკრავ-შესაკინძი ნივთები გარდა ტანაცმლისა საჭიროა აგრეთვე ფეხსაცმლის, ცხენის აკაზმულობისა და სხვა მიზნითაც. ყველა ამ ნივთის გაერთიანება ერთი ტერმინის ქვეშ უმართებულოდ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ავტორი ნივთის სუფრათს არ (ან ვერ) აქვეყნებს და მოცემული მოკლე აღწერილობიდან კი არ ჩანს, რომელ ნივთს აღნიშნავს ეს ტერმინი (მაგ., ექვთიმე თაყაიშვილი „ფიბულას“ ქინძისთავსაც უწოდებს [7, გვ. 85]).

ამიტომ გაუგებრობის თავიდან აცილებლად ზოგადი სახელის („ფიბულა“) შეცვლა კონკრეტული სახელით (მშვილდსაკინძით) მართებულად გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ იგი (მშვილდსაკინძი) კარგად გადმოგვცემს ნივთის მოყვანილობასა და შინაარსს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მშვილდსაკინძების ცალკეული ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინებიც არა გვაქვს. რუსულ და უცხოურ ლიტერატურაშიც ეს ტერმინები ძალიან პირობითია და ხშირად არ შეესაბამება ან სრულიად არ გამოხატავს მშვილდსაკინძის ამა თუ იმ ნაწილის შინაარსს [6, გვ. 193]: მაგ., „თავი (голова) ეწოდება იმ ნაწილს, სადაც მოთავსებულია ზამბარა („пружина“) ან ნემსის (ენის) ყუნწი, ხოლო „ფეხი“ („ножка“)—„თავის“ მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ ნაწილს [6, გვ. 2]. ეს ტერმინები არ იძლევა „ფეხის“ ან „თავის“ წარმოდგენას და ამდენად მისაღებადაც არ მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, უმჯობესია „თაეს“ „მუხლი“ ეუწოდოთ, რადგანაც ამ ნაწილს მშვილდსაკინძის რკალის (იგივე მშვილდის) ბოლო ნაწილი ზამბარით ან ჩაღარულუყუწრიანი ნაწილით ენას (ნემსს) უერთდება. ენის გახსნა-დაკეტვა ხდება ზამბარის ან ენის ყუნწის მახლობლად მოთავსებული შვერილის საშუალებით და ეს პროცესი ძალიან ჰგავს კიდურების, კერძოდ მუხლის, მოძრაობის პროცესს.

მუხლის მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ ნაწილს — „ფეხს“ ჩვენ „ცხვირს“ ეუწოდებთ, რადგანაც მშვილდსაკინძების უმეტესობას იგი ცხვირისებრი ან ფრინველის ნისკარტისებრი აქვთ. ცხვირის იმ ნაწილს, რომელშიაც ენის წვერი ჯდება დაკეტვის შემდეგ, ენის ბუდეს ეუწოდებთ, ხოლო იმ ნაწილს, რომლის საშუალებითაც ენის ბუდე რკალზეა (მშვილდზე) დამაგრებული,—ბუდის ასაბმელს. მშვილდსაკინძის იმ ნაწილს, რომლის საშუალებითაც ენის ბოლო (ყუნწი) ან ზამბარა რკალის ბოლოზეა დამაგრებული, ღერძაკს ეუწოდებთ, ხოლო ზამბარის იმ ნაწილს, რომელიც ღერძაკის ერთი მხრიდან მეორეზე გადადის—ზამბარის უღელს ან მოკლედ—უღელს. რიგი მშვილდსაკინძების ენის ბუდისა და ასაბმელს შორის რჩება ცარიელი არე, რომელსაც სარკმელს ეუწოდებთ (რუს. „щель“-ს.) მსგავსი მოყვანილობის მშვილდსაკინძებს რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ: „Фибула с подвязным приемником“ ან მოკლედ: „Подвязной тип“ [6, გვ. 19].

ზოგიერთ მშვილდსაკინძს ცხვირი დაბრტყელებული აქვს და შემდეგ გადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც ადრევე გამოუყენებია მშვილდსაკინძი ტანსაცმლის შესაკრავად, თუმცა, როგორც ჩანს, უფველეს ხანაში (კვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა) ამ მიზნით უპირატესად ქინძისთავები ყოფილა ხმარებაში [7]. ქინძისთავების ეს უპირატესობა კარგად ჩანს სამთავროს გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. სხვადასხვაგვარი ქინძისთავების გვერდით შედარებით იშვიათად გეხვდება მარტივი მოყვანილობის, ერთწოლადი. ერთი მთლიანი მავთულისაგან დამზადებული მშვილდსაკინძები. სამაგიეროდ. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანაში უკვე დიდი რაოდენობით გეხვდება სხვადასხვა მოყვანილობის, შედარებით რთული კონსტრუქციის მშვილდსაკინძები. როგორც ხელუხლებელ სამარხებში აღმოჩენილი





სურ. 1

ნივთების განლაგება გეიჩენებს. მოსახლეობა ტანაცმლის შესაკრავ-შესაკინძად ჩვენთვის საინტერესო ხანაში ძირითადად მშვილდსაკინძებს ხმარობდა. ხოლო ქინძისთავმა თავისი ძველი ფუნქცია დაკარგა და შუბლის ქინძისთავად, „ქალთ თავის სარუბოდ" [10], თავსაბურავის შესამკობ-დასამაგრებელ ნივთად იქცა.

მშვილდსაკინძი სამთავროს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანის 300-ზე მეტ სამარხშია აღმოჩენილი. ამ სამარხებიდან თითო ცალს მხოლოდ 105 სამარხი შეიცავდა, დანარჩენ 197 სამარხში კი ორი და მეტი მშვილდსაკინძია აღმოჩენილი (ზოგიერთში 6—10 ცალიც კი; მაგ., № 209—38S, № 222—39S,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 468—40S და სხვა სამარხები). სულ აღმოჩენილია 383 მშვილდსაკინძი, საიდან: ვერცხლისა —13 ცალი[1], ბრინჯაოსი—126, ხოლო რკინისა—244 ცალი.

ეს მშვილდსაკინძები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა.

პირველი ჯგუფის მშვილდსაკინძებისათვის ძირითადად დამახასიათებელია აბმული ენის ბუდე და ზამბარიანი მუხლი. მშვილდი ხშირ შემთხვევაში ზომიერადაა მორკალული, ე. ი. ცხვირი არაა მკვეთრად გამოყოფილი. აგრეთვე ხშირად გვხვდება ისეთი მშვილდსაკინძები, რომელთა ცხვირიც მეტნაკლები სიმკვეთრითაა გამოყოფილი მშვილდისაგან. მშვილდი მრავალგანივკვეთიანია, ზოგჯერ ვიწრო-ბრტყელი, ოთხკუთხედგანივკვეთიანი, ზოგჯერ კი განივკვეთში სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ზედაპირიც ქედიანია. გვხვდება აგრეთვე ფართო-ბრტყელი მშვილდის მქონე მშვილდსაკინძები, რომელთა ზედაპირიც დაფანჯრულია. ენის ბუდის ასაბმელი სამი წესითაა მშვილდზე დამაგრებული: 1. ასაბმელი რამდენიმე წრედაა დახვეული მშვილდზე; 2. პირდაპირ შეკავშირებულია მშვილდზე და 3. ასაბმელის დასამაგრებლად მშვილდს სპეციალური შვერილები აქვს.

ყველა ზემოაღწერილი ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ამ ჯგუფის მშვილდსაკინძები სამ ძირითად ტიპად იყოფა.

I ტიპი (ტაბ. I, სურ. 1 (1—4)). ამ ტიპის მშვილდსაკინძებისათვის დამახასიათებელია: მრგვალგანივკვეთიანი მავთულის მშვილდი, რომელიც პროფილში მრუდხაზოვანია, ზომიერადაა მორკალული და ამდენად ცხვირი არა მკვეთრადაა გამოყოფილი მშვილდისაგან. სარკელი წესიერ სამკუთხედსა ქმნის. ზამბარა და ენა ერთი მთლიანი მავთულისაგანაა ნაკეთები; ზოგჯერ ზამბარას აქვს დამატებითი მავთული ღერძკთან, რომელსაც დეკორატიულ მნიშვნელობასთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ ტიპის მშვილდსაკინძთა სიგრძე 3,5—4,5 სმ უდრის, სიმაღლე — 1,2—2 სმ.

ბუდის ასაბმელი მშვილდის ზემოთ აღნიშნული სამი ხერხითაა დამაგრებული და ამის მიხედვით ეს ტიპი სამ ვარიანტს გვაძლევს.

I ვარიანტი (ტაბ. I, სურ. 1 (1)). ბუდის ასაბმელი უბრალოდ დახვეულია მშვილდზე, ხოლო იმისათვის, რომ საკინძმა სილამაზე არ დაკარგოს და სახმარადაც უფრო მოხერხებული იყოს, მშვილდის მავთული სათანადო ადგილას ოდნავ დაწვრილებულია. ტექნიკურად ბუდის ასაბმელის დამაგრების ეს ხერხი ყველაზე ძველი ჩანს. სულ 3 ცალი გვაქვს, სამივე ბრინჯაოსი.

II ვარიანტი (ტაბ. I, სურ. 1 (2)). ბუდის ასაბმელი პირდაპირაა შეკავშირებული მშვილდზე ქვემოდან. აღსანიშნავია, რომ ამ ვარიანტის მშვილდსაკინძები უმეტესად რკინისაა. მაშინ როდესაც 1-ლი ვარიანტის საკინძები ბრინჯაოსია. იქნებ იმიტომ, რომ რკინა მეჯოდრდ დახვეევას ვერ იტანდა და ხშირად ტყდებოდა, ოსტატმა უმჯობესად მიიჩნია ბუდის ასაბმელის დასამაგრებლად ეს ხერხი გამოეყენებინა. სულ 10 ცალია: 7 რკინისა, 3 ბრინჯაოსი.

---

[1] ამ რიცხვიდან ორი ცალი საველე დოკუმენტებში გატარებულია, როგორც „ელექტრული ფიბულა". ანალიზის შედეგად ორივე ვეოცხლისა აღმოჩნდა (სამარხი № 140—38 N და სამარხი N 484—40 N)

ნაშრომში მითითებულ სამარხთა ნომრები საველე დოკუმენტების მიხედვითაა წარმოდგენილი. N სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანს აღნიშნავს, S კი სამხრეთ უბანს. სამარხის ნომრის შემდეგ აღნიშნული რიცხვით სამარხის გათხრის თარიღს აღვნიშნავთ. ასე მაგ., № 140—38 N ნიშნავს: სამარხი № 140, გათხრილი 1938 წელს, სამაროვნის ჩრდილო უბანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ვარიანტი (ტაბ. I, სურ. 1 (3)). ბუდის ასაბმელის დასამაგრებლად მშვილდზე აქვთ-იქით თითო შვერილია. ამ შვერილთაგან ერთ-ერთი გახვრეტილია და მასში გაყრილია ბუდის ასაბმელი. იმ მიზნით, რომ საკინძის ხშირი გახსნა-დაკეტვის დროს თავიდან იქნეს აცილებული ასაბმელის შვერილიდან გამოვარდნა და ამის შედეგად ენის ბუდის გაღუნვა-გატეხვა, ასაბმელის თავი ზემოდან დაბრტყელებული ან გადაღუნული და შემდეგ ზედ დაჭყლეტილი. ამ შვერილებიდან პრაქტიკულად მხოლოდ ერთია გამოყენებული, მეორე კი დეკორაციული მნიშვნელობისაა. ბუდის ასაბმელის დამაგრება შვერილის საშუალებით, ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილი ჩანს. აღსანიშნავია, რომ შვერილები გეხვდება ოდნავ შესამჩნევი და შედარებით დიდი ზომისა. ამავე დროს მცირე ზომის შვერილები უფრო მოკლე ცხვირსა ქმნიან, ვიდრე დიდი ზომისა. სულ 10 ცალი გვაქვს: 8 ცალი ბრინჯაოსი, 2 ცალი ვერცხლისა.

II ტიპი (ტაბ. I, სურ. 1 (5—8)). ამ ტიპის მშვილდსაკინძებს მშვილდი ყოველთვის ბრტყელი აქვთ. ზოგიერთ მშვილდსაკინძს შედარებით ვიწრო ბრტყელი მშვილდი აქვს. ზოგიერთს კი ფართო. გვხვდება ისეთი მშვილდსაკინძებიც, რომლებსაც მშვილდის შუა ნაწილი ოთხკუთხედის ან ოვალური ფორმისა აქვთ. ზოგიერთი მათგანი დაფანჯრულიცაა. ამ ტიპის მშვილდსაკინძთა ზომები I ტიპისას უდრის.

მშვილდსაკინძების უმეტეს ნაწილს მშვილდი მუხლთან, იმ ადგილას, საიდაც ყუნწია, ორივე მხრიდან აქვს შეკრული. ამის შედეგად ზამბარა მყარად არის ჩამჯდარი და დაცულია ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობისაგან.

ამ ტიპის ზოგიერთი მშვილდსაკინძის რკალი ორნამენტებითაა შემკული. მოტივი ძალიან მარტივია: ამოკაწრულია წრეწვისებრი ან კონცენტრული ხაზები.

ისევე, როგორც პირველი ტიპის მშვილდსაკინძებს, ამ ტიპის მშვილდსაკინძებსაც ბუდის ასაბმელი სამი ხერხითაა აქვთ დამაგრებული, რის მიხედვითაც სამ ვარიანტს გვაძლევენ (პირველი ვარიანტის მშვილდსაკინძი სამი ცალი გვაქვს, სამივე ბრინჯაოსი. მეორე ვარიანტის — 7 ცალი: 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოსია. მესამე ვარიანტისა — 13 ცალია: 1 ვერცხლის, 5 ცალი ბრინჯაოსი და 7 ცალი რკინისა).

III ტიპი (ტაბ. I, სურ. 1 (9—12)). ცხვირი მკვეთრადაა გამოყოფილი მშვილდისაგან. ე. ი. თანაბარი ზომით მორკალული მშვილდი, როგორც ეს I—II ტიპის მშვილდსაკინძებს ჰქონდათ, იცვლება მკვეთრად მორკალული, ზოგჯერ თითქმის ნახევარწრისებრი, მშვილდით. სარკმელი უკვე აღარ ქმნის წესიერი სამკუთხედის ფორმას. იგი ჯერ ძლიერ წაგრძელებული ფორმისაა, ხოლო შემდეგ თანდათან ვიწროვდება და, ბოლოს, სრულიად ქრება, ენის ბუდე ცხვირს ებჯინება. ასე რომ, მათ შორის ცარიელი არე (ე. ი. **სარკმელი**) **სრულიად** აღარ რჩება, თუმცა კი ენის ბუდე იმავე ხერხითაა გაკეთებული, როგორც წინა ორი ტიპის მშვილდსაკინძებისა. ბუდის ასაბმელი ამ ტიპის საკინძებსაც სამი ხერხითა აქვთ დამაგრებული და შესაბამისად სამ ვარიანტს გვაძლევენ (პირველი ვარიანტის მშვილდსაკინძი 8 ცალი გვაქვს, ყველა ბრინჯაოსი; მე-2 ვარიანტისა — 4 ცალია, ყველა რკინის; მე-3 ვარიანტისა—6 ცალია: 4 ბრინჯაოსი და 2 რკინისა).

ამ ტიპის მშვილდსაკინძთა ზომებია: სიგრძე — 3 — 6 სმ, სიმაღლე— 1,2 — 2 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ შ ი გაერთიანებულია ისეთი მშვილდსაკინძები, რომლებიც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ I-დან III ჯგუფში. მათში შერწყმულია I და III ჯგუფის მშვილდსაკინძების ელემენტები (ტაბ. I, სურ. 2 (13—20)).

კერძოდ, გვხვდება ისეთი მშვილდსაკინძები, რომლებსაც ცხვირი მართალია პირველი ჯგუფის მშვილდსაკინძების მსგავსი აქვთ, მაგრამ მუხლის მოწყობილობით არსებითად განსხვავდებიან მისგან. ამ ჯგუფის საკინძთა მშვილდის ბოლო შუაში ჩაჭრილ-ჩაღარულია. მათი თავები მოკეცილი და მომრგვალებულია ყუნწისებურად; ჩაღარულ ნაწილში მოთავსებულია ენის (ნემსის) ყუნწი, რომელიც შუაში გახერტილია და ღერძაკის საშუალებით დამაგრებულია რკალის ბოლოზე (ღერძაკი გაყრილია მშვილდისა და ნემსის ყუნწებში). საკინძს ზამბარა არა აქვს. მის მოვალეობას ასრულებს ენის ბოლოზე, მუხლთან არსებული და მუხლისაკენ ირიბად ჩაჭრილი პატარა შვერილი (ტაბ. I, სურ. 2 (16)). იგი საკინძის დაკეტვის დროს შიგნიდან აწვება მშვილდის ბოლო ნაწილს (მუხლთან) და მჭიდროდ აჯენს ენას ბუდეში. საფიქრებელია, რომ მსგავსი კონსტრუქციის მქონე საკინძებს ენა ყოველთვის მაღალხარისხოვანი რკინის, კერძოდ ფოლადისა, ჰქონდათ, რადგანაც დაბალხარისხოვანი ლითონი ვერ გაუძლებდა საკინძის ხშირად გახსნა-დაკეტვას და შვერილი მალე გაიღუნებოდა ან მოტყდებოდა (სამთავროს მშვილდსაკინძებს კი, პირიქით, შვერილი ყველასა აქვთ, სხვა ნაწილები კი აკლიათ).

მსგავსი მოწყობილობის მქონე მშვილდსაკინძებს ენა და შვერილი ბრინჯაოსიცა აქვთ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯაოს საკინძებს და ისიც იმდენად ცოტას, რომ უნებურად გვფიქრობინებს: იქნებ ძველი მცხეთელი ოსტატები შეგნებულად გაურბოდნენ ამ დანიშნულებით ბრინჯაოს ხმარებას. ბრინჯაოს მშვილდსაკინძთა უმეტესობას ენა და მასთან ერთად შვერილიც რკინისა აქვს.

ზოგიერთ მშვილდსაკინძს ცხვირი, პირველი ჯგუფის საკინძების შემდგომი განვითარების შედეგად მიღებული, ერთი მთლიანი, ბრტყელი ლითონისა აქვთ, ყოველგვარი სარკმლის გარეშე. ხოლო მუხლი—ზამბარიანი. ე. ი. ეს საკინძებიც I და III ჯგუფის ელემენტებს შეიცავენ. მხოლოდ, ზემოაღწერილი საკინძებისაგან განსხვავებით. მთ 1 ჯგუფის მუხლი აქვთ და III ჯგუფის ცხვირი.

აღნიშნული განსხვავების გამო ამ ჯგუფის საკინძებს ორ ქვეჯგუფად ვყოფთ.

I ქ ვ ე ჯ გ უ ფ შ ი გაერთიანებულია ბუდეაბმული მუხლოაროვანი მშვილდსაკინძები. მათი რიცხვი 45 ცალამდე აღწევს; უმეტესი ნაწილი (32 ცალი) რკინისაა, დანარჩენი ბრინჯაოსი[2] (ტაბ. I, სურ. 2 (13—17)). მშვილდსაკინძთა სიგრძე 3 სმ-დან 8 სმ-მდე აღწევს, სიმაღლე — 1,5—2,5 სმ უდრის.

მიუხედავად რიცხობრივი სიმრავლისა, ტიპობრივად ამ ქვეჯგუფის საკინძები მცირდებიან; სულ 2 ტიპის გამოყოფა გახდა შესაძლებელი.

---

[2] ფრ. ბაიერნსაც უმეტესად ამგვარი მშვილდსაკინძები აღმოუჩენია (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდის კოლექცია. $\frac{8-02}{924}$, 1957—1977 $\frac{8-02}{411}$, № 2081, $\frac{8-02}{392}$, № 2081 $\frac{8-02}{393}$, № 20810, $\frac{9-02}{107}$, № 2129 და სხვ. ყველა ოკინისაა. სულ 30 ცალამდეა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტიპი (ტაბ. I, სურ. 2 (13—14)). დამახასიათებელია ზომიერად მორკალული მშვილდი; ცხვირი არ არის მკვეთრად გამოყოფილი და სარკმელიც მეტნაკლებად წესიერი სამკუთხედის ფორმასა ქმნის. მშვილდი განიკვეთში მრგვალია, უმეტეს შემთხვევაში კი ბრტყელი.

ამ ტიპის საკინძები ბუდის ასაბმელის დამაგრების მეორე და მესამე ხერხს იცნობენ, რის მიხედვითაც შესაბამისად ორ ვარიანტს გვაძლევენ (პირველი ვარიანტის მშვილდსაკინძი 3 ცალი გვაქვს, სამივე რკინისა; მეორე ვარიანტისა— 10 ცალია: 9 რკინისა და ერთი ბრინჯაოსი).

II ტიპი (ტაბ. I, სურ. 2 (15—17)). განსხვავდება I ტიპისაგან მკვეთრად გამოყოფილი ცხვირით. შემმჩნევა ცხვირის თანდათანობით გამოყოფა, რომელიც ბოლოს სწორკუთხედსა ქმნის (მაგ. სამარხი № 209—38S და სხვ.).

მშვილდი ყოველთვის ბრტყელია. სარკმელი თავდაპირველად არაწესიერი სამკუთხედის ფორმისაა, შემდეგ პარალელური და, ბოლოს, ენის ბუდე მთლიანად ებჯინება საკინძის ცხვირს ისევე, როგორც ეს შემჩნეული იყო I ჯგუფის III ტიპის III ვარიანტის მშვილდსაკინძებზე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის მშვილდსაკინძები ენის ბუდისა და ასაბმელის დამაგრების მიხედვით თითქმის იმგვარადვე ვითარდებიან, როგორც I ჯგუფის III ტიპის მშვილდსაკინძები. მსგავსად ამ უკანასკნელი ტიპის საკინძისა (II ტიპის მშვილდსაკინძებიც სამ ვარიანტს გვაძლევენ) პირველი ვარიანტის მშვილდსაკინძი ერთი ცალი გვაქვს, ბრინჯაოსი; მე-2 ვარიანტისა— 8 ცალია, ყველა რკინის; მე-3 ვარიანტისა—24 ცალია: 14 რკინის და 10 ბრინჯაოსი).

II ქვეჯგუფი (ტაბ. I, სურ. 2 (18—20)). როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული მშვილდსაკინძებისათვის დამახასიათებელია ბრტყელი, ენის ბუდისგან განუყოფელი ცხვირი და ზამბარიანი მუხლი.

მსგავსი ფორმის მშვილდსაკინძები სულ 14 ცალი გვაქვს: 4 რკინისა და დანარჩენი ბრინჯაოსი; სიგრძე საშუალოდ 3.5—4.5 სმ-ია, სიმაღლე—1—1,5 სმ.

ყველა ამ მშვილდსაკინძს ბრტყელი მშვილდი აქვთ. ზოგიერთ მათგანს ცხვირი ოდნავ შესამჩნევადა აქვთ გამოყოფილი, უმეტეს ნაწილს კი მკვეთრად. ამის მიხედვით ორ ტიპს გვაძლევენ.

I ტიპი (ტაბ. I, სურ. 2 (18)). მშვილდი—თანაბარი ზომითა მორკალული. ცხვირი დაბრტყელებულია, კედა ნაწილში მოღუნული, რის შედეგადაც იქმნება ენის ბუდე. ამ ტიპის საკინძებს ყველას მოკლე და დაბალი ცხვირი აქვთ. ზოგიერთ მათგანს მშვილდის ზედაპირი ამოკაწრული აქვთ მოკლე ხაზებით (მაგ. სამარხი № 108—39N). სულ ოთხი ცალი გვაქვს, ყველა ბრინჯაოსია.

II ტიპი (ტაბ. I, სურ. 2 (19—20)). მშვილდისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი ცხვირი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში წინ პატარა ჭვინტი, წანაზარდი, აქვს, ერთ შემთხვევაში ღერძაკიანი. სულ 10 ცალი გვაქვს: 4 რკინისა, დანარჩენი ბრინჯაოსი.

ზემოაღწერილ მშვილდსაკინძებზე აშკარად შეიმჩნევა ცხვირისა და მუხლის თანდათანობითი ცვლა-განვითარება. აბრეული ენის ბუდიანი ცხვირი თავდაპირველად პროფილში მრეკლეზოვანია, მშვილდი თანაბრადაა მორკალული მთელ სიგრძეზე და არც ცხვირია მისგან გამოყოფილი მკვეთრი ჩაზნექვის საშუალებით: ეს უკანასკნელი პროცესი თანდათანობით ხდება. ცხვირი ჯერ ოდნავ შესამჩნევადაა გამოყოფილი, სარკმელიც ინარჩუნებს წესიერი სამკუთხედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმას, ხოლო შემდეგ გამოყოფა უფრო თვალსაჩინოა და სარკმელზე ეს ფორმა მისად ჯერ არაწესიერი ფორმის სამკუთხედის. შემდეგ კი პარალელური მოყვანილობისაა. განვითარების შემდეგომ საფეხურზე ენის ბუდე მთლიანად ებჯინება ცხვირს; სარკმელი უკვე ისპობა. ბუდის ასაბმელიც, რომელიც არავითარ პრაქტიკულ დანიშნულებას აღარ ასრულებს, რუდიმენტის სახითაა შემორჩენილი. აღწერილი პროცესის დასასრულს, ე. ი. როდესაც აბმული ენის ბუდე შეიცალა ბრტყელი, ცხვირთან შეერწყმული მთლიანი ენის ბუდით და, ამრიგად, მივიღეთ ბრტყელცხვირთანი საკინძი, ბუდის ასაბმელიც, როგორც პრაქტიკულად არა საჭირო ელემენტი, სრულიად ქრება.

თანმიმდევრული ცვლილება შეიმჩნევა აგრეთვე მუხლის განვითარებაშიც. აქაც ზამბარიანი მუხლი თანდათან იცვლება და გადადის ჩაღარულ მუხლში.

თავდაპირველად ზამბარა და ენა (ნემსი) ერთი მთლიანი მავთულისაგანაა დამზადებული. ზამბარა ხშირად გრძელ ღერაკზე მრავალწყვებადაა დახვეული (მაგ., სამარხები №№ 446 და 443, 1940 წ. ჩრდილო უბნისა და სხვ.). უმეტესად კი ორ-ორ წყებად ღერძის აქეთ-იქით (ორივე მხარეზე). შემდეგ საფეხურზე ზამბარა და ენა ისევ ერთი მთლიანი მავთულისაგანაა ნაკეთები, მაგრამ ზამბარას დამატებით უჩნდება შიგ ჩასმული სხვა მავთულის რგოლი, რომლის პრაქტიკული დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ ღერძზე არსებული ცარიელი სივრცის ამოვსებაა და არავითარი კონსტრუქციული დანიშნულება არა აქვს[3].

გვაქვს აგრეთვე ისეთი მშვილდსაკინძები, რომელთა ზამბარა და ენა სხვადასხვა მავთულისაგანაა გაკეთებული. ამ შემთხვევაში ენა უბრალოდაა თავმომრგვალებული და მიბჯენილია მშვილდის ყუნწზე. ენისა და მშვილდის ყუნწებში გაყრილია ღერძი, რომელზედაც აქეთ-იქით დახვეულია ზამბარა. ამრიგად, ფაქტიურად ენის ყუნწი ორ ჭრილს შორისაა მოქცეული (მუხლის ყუნწსა და ზამბარის ხვეულს შორის). ენის გახსნა-დაკეტვა ზამბარის უღლის საშუალებით ხდება. გარკვეული მიზეზის გამო (საკინძის დაკეტვის დროს ენა საჭირო სიმძლავრით ვეღარ აწვება უღელს და ამის გამო თვით დაკეტილი საკინძიდან ენის ბუდიდან ამოვარდნა არ არის თავიდან აცილებული) უღელი ვეღარ ასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას. იგი რუდიმენტის სახით შემორჩენილ დეკორატიულ ელემენტად რჩება.

გარდა ამისა, საკინძთა დიდ ნაწილს მუხლი დაპრტყელებული აქვს (იმავე სიგანისა, რა სიგანისაც თვით მშვილდია), ბრტყელ მუხლზე კი ზამბარის გაკეთება შედარებით ძნელია.

ჩნდება მოთხოვნილება მუხლის უფრო სრულყოფილად მოწყობისა. საკინძის მუხლი უკვე დაბრტყელებულია. ენის ყუნწის ორ ჭრილში მოთავსებას უკვე იცნობს ოსტატი. უღელს დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა. ზამბარის გაკეთება შედარებით ძნელია. ამის შემდეგ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ბრტყელი მუხლის ჩაღარვა, მასში ენის ყუნწის მოთავსება და ენისათვის ზამბარის მაგივრად პატარა შვერილის გაკეთება.

---

[3] იქნება ოსტატი ლითონის თვისების გამო შეგნებულად გაურბოდა ზამბარის მრავალწყებად დახვევას ღერძზე: დიდი რაოდენობით კალის შემცველი სპილენძი ფიცს, ადვილად მსხვრევად, ბრინჯაოს იძლევა, ხოლო მცირე რაოდენობის კალის შემცველი კი არ „იზამბარებდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი მოწყობილობის მქონე მუხლი, ზამბარიან მუხლთან შედარებით, ტექნიკურად უფრო სრულყოფილია და ამავე დროს მისი დამზადებაც შედარებით ადვილია.

ენის ბუდისა[4] და მუხლის განვითარების ზემოთ აღწერილი პროცესების შერწყმის შედეგად ვღებულობთ სულ სხვა მშვილდსაკინძებს, რომლებიც III ჯგუფს ეკუთვნის.

მესამე ჯგუფის მშვილდსაკინძებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ბრტყელი ცხვირი და დაროვანყუნწიანი მუხლი (ტაბ. II, სურ. 2 (1—9)).

ზოგიერთი არქეოლოგი (მაგ. პროფ. ბ. კუფტინი [10, გვ. 21]) ამ ფორმის მშვილდსაკინძებს S-ებურად მშვილდმოხრილს უწოდებს. ეს ტერმინი სამთავროს III ჯგუფის ყველა მშვილდსაკინძის შინაარსს ვერ გადმოგვცემს და ამიტომ ამ შემთხვევაში არ გამოგვადგა. უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ ჯგუფის მშვილდსაკინძებს „ბრტყელცხვირიანი, მუხლჩაღარული“ საკინძები ვუწოდოთ. ამასთან იგულისხმება, რომ „ბრტყელცხვირიანში“ ენის ბუდე და ცხვირი უკვე შერწყმულია და ერთი მთლიანი. დაბრტყელებული ლითონისაგანაა დამზადებული. ხოლო „მუხლჩაღარული“ წარმოადგენს ბრტყელ არაზამბარიან მუხლს, რომელიც ამოჭრილ-ამოღარულია და ორი ყუნწი აქვს.

რაც შეეხება S-ებურად მშვილდმოხრილ ფორმას, ამ ტერმინით აღვნიშნავთ ამ ჯგუფის მეორე ტიპის, ე. წ. „ჭეინტიანი“ საკინძებს. ეს მშვილდსაკინძები მთლიანად გადმოგვცემენ ამ შინაარსს.

III ჯგუფის მშვილდსაკინძები გაცილებით უფრო მეტია აღმოჩენილი, ვიდრე წინა ორი ჯგუფისა: სულ 260 ცალამდე გვაქვს: 5 ცალი ვერცხლისა, 68 ბრინჯაოსი, ხოლო დანარჩენი რკინისა[5].

მიუხედავად რიცხობრივი სიმრავლისა, ამ ჯგუფის მშვილდსაკინძები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სულ ოთხი ძირითადი ტიპის გამოყოფა გახდა შესაძლებელი. ამასთანავე I და II ტიპის მშვილდსაკინძები იმდენად უმნიშვნელო ვარიაციებს ქმნიან, რომ მათგან ვარიანტების გამოყოფა ზედმეტად მივიჩნიეთ.

I ტიპი (ტაბ. II, სურ. 1 (1—3)). ისევე, როგორც საერთოდ ამ ჯგუფის მშვილდსაკინძებისათვის, ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ბრტყელი. ზოგჯერ ქედიანი მშვილდი. მშვილდი მკვეთრადაა მოხრილი, რომლისაგანაც უმეტეს შემთხვევაში (მცირე გამონაკლისს გარდა) მკვეთრადაა გამოყოფილი ცხვირი.

სხვა ტიპის მშვილდსაკინძებისაგან განსხვავებით, I ტიპის მშვილდსაკინძებს არავითარი დამატებითი, კონსტრუქციული თვალსაზრისით არა საჭირო ელემენტი არ ახასიათებს. მშვილდი ჩვეულებრივად მუხლთან უფრო ფართოა, ვიდრე ცხვირთან. ღერძაკის გასაყრელი ყუნწების სიგანე მშვილდის სიგანეს არ აღემატება. ცხვირი ზოგჯერ დაბალი და გრძელია; ამასთანავე წვერი თითქმის წამახული აქვს, რის გამოც პროფილში სამკუთხედის ფორმას ქმნის (ტაბ. II, სურ. 1(2)). ზოგჯერ კი ოთხკუთხედის ფორმისაა (ტაბ. II, სურ. 1(3)). ზოგიერთ შემთხვევაში ცხვირი არ არის მშვილდსაგან მკვეთრად გამოყოფილი (ტაბ. II, სურ. 1(1)).

---

[4] ენის ბუდის განვითარების თითქმის იგივე პროცესი შეიმჩნევა აგრეთვე სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მშვილდსაკინძებზე [6].

[5] ამ რიცხვში არ შედის ის დამტვრეული მშვილდსაკინძები, რომელთა აღდგენა არ მოგვიხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტიპის საკინძები ზომის მიხედვით დიდ მერყეობას განიცდიან. **გვხვდება** ისეთი მშვილდსაკინძები, რომელთა სიგრძე 2,6 სმ-ია, სიმაღლე—0,8-სა, და ისეთებიც, რომელთა სიგრძე 9.5 სმ უდრის, სიმაღლე—2.2 სმ (ტაბ. III, სურ. 1(1)). ამ საკინძების ცხვირის სიგრძეც დიდ მერყეობას განიცდის: **გვხვდება** 1 სმ სიგრძისა და 3.5 სმ სიგრძისაც. მშვილდის სიგანე 4 სმ-დან 2 სმ-ამდე აღწევს.

ამ ტიპის მშვილდსაკინძთა საშუალო. ყველაზე მეტად გავრცელებული ზომებია: სიგრძე— 5 სმ, სიმაღლე —1,5 სმ, ცხვირის სიგრძე — 1,9 სმ, ხოლო მშვილდის სიგანე — 1,2 სმ.

I ტიპის მშვილდსაკინძი 92 ცალი გვაქვს. აქედან მხოლოდ 10 ცალია ბრინჯაოსი, დანარჩენი კი რკინისაა. რკინის საკინძებს მშვილდის შუა ნაწილში ბრინჯაოს თხელი, ოთხკუთხედისებური ფორმის ფირფიტა აქვთ ზოგჯერ დაკრული. ბრინჯაოს ზოგიერთი საკინძი წრიული ან ხაზოვანი წერტილ-ხაზებითაა შემკული.

II ტიპი (ტაბ. II, სურ. 1(4—6)). პირველი ტიპის მშვილდსაკინძისაგან განსხვავებით, ყველას ცხვირზე პატარა წინაზარდი (ქვინტი) აქვთ, რის გამო მშვილდი მეტ-ნაკლებად S ფორმას ქმნის. წინაზარდი (ქვინტი) ფართო, ბოლოში წამახული და მშვილდისაკენ ოდნავ მოღუნულია, ზოგჯერ — მრგვალი ბურთულისებრია ან სპირალისებრ ჩახვეული, რომლის ცენტრში პატარა მრგვალი ნახვრეტი რჩება. ამ ტიპის მშვილდსაკინძებს, გარდა აღნიშნული წინაზარდისა (ქვინტი), სხვა არავითარი. კონსტრუქციულად არა საჭირო. ელემენტი არ ახასიათებთ.

სულ 120 ცალი მშვილდსაკინძი გვაქვს. აქედან 14 ბრინჯაოსია, დანარჩენი რკინისა. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს 13 საკინძს ქვინტი სპირალისებრ ჩახვეული აქვს, სამს კი ბირთვისებრი. რკინის მშვილდსაკინძებს სპირალისებრ ჩახვეული ქვინტი არა აქვთ. ეს ფაქტიც, ალბათ, ლითონის თავისებურებით აიხსნება.

ზომის მხრივ ამ ტიპის მშვილდსაკინძები მერყეობენ: სიგრძე—7 სმ, სიმაღლე—1.2—2.8 სმ. ცხვირის სიგრძე თითქმის ყოველთვის 1,1 სმ უდრის, მშვილდის სიგანე კი—0,9—1,2 სმ. საშუალო ზომად უნდა მივიჩნიოთ: სიგრძე—4,5 სმ, სიმაღლე — 1,8 სმ.

III ტიპი (ტაბ. II, სურ. 1(7—8)). წინა ორი ტიპის მშვილდსაკინძებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის საკინძებს დამატებითი ელემენტები ახასიათებს: ღერძაკზე აქვთ-იქით თითო პატარა ბურთულა აქვთ წამოცმული. თუ წინა ორი ტიპის მშვილდსაკინძების ღერძაკებს, ყუნწებიდან გამოვარდნის თავიდან აცილების მიზნით თავები დაბრტყელებული ჰქონდათ, ამ ტიპის მშვილდსაკინძებს საამისოდ აღნიშნული ბურთულები აქვთ წამოცმული. ამასთანავე ამ ტიპის ზოგიერთ საკინძს მუხლი შედარებით ფართო აქვს, ხოლო ყუნწები — გრძელი, მილისებრი. III ტიპის მშვილდსაკინძებს ცხვირი ისეთივე აქვთ, როგორიც ამავე ჯგუფის II ტიპის მშვილდსაკინძებს. წანაზარდი ხშირად ბურთულისებრი აქვთ. ზოგჯერ კი სპირალურად ჩახვეული. II ტიპის მსგავსი ქვინტის მქონე საკინძებისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთს წანაზარდში პატარა ღერძი აქვს გაყრილი, რომელზედაც აქეთ-იქით თითო ბურთულაა წამოცმული (ტაბ. III, სურ. 1 (4)).

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ტიპის 25 ცალი მშვილდსაკინძი გვაქვს. აქედან: 3 ვერცხლისა, დანარჩენი ბრინჯაოსი. ცხვირზე ღეროსაკენ მქონე 9 ცალია, ყველა ბრინჯაოსი. ამ ტიპის ყველა მშვილდსაკინძს ზურგზე ქუდი დაუყვება და განივკვეთში სამკუთხედის ფორმასა ქმნის.

III ტიპის მშვილდსაკინძები სხვადასხვა ზომისაა. გვაქვს ისეთი მცირე ზომის მშვილდსაკინძები, რომელთა სიგრძე 1,6 სმ უდრის, სიმაღლე 0,5 სმ, და ისეთებიც, რომელთა სიგრძე 5 სმ უდრის, სიმაღლე—1,5 სმ (ტაბ. III, სურ. 1).

IV ტიპი (ტაბ. II, სურ. 1(9)). ამ ტიპის საკინძებს მშვილდი ქედიანი აქვთ. მუხლი III ტიპის მშვილდსაკინძების მსგავსად აქვთ დაბრტყელებული, უუნწები — მილისებრი, რომელშიაც გაყრილია ღერძი, თავებზე წამოცმული თითო ბურთულით. წინა ტიპისაგან განსხვავებით, ამ ტიპის საკინძებს ენის ბოლო გრძელი აქვთ, რომელზედაც ავრეთვე პატარა ბურთულაა წამოცმული. ზემოდან დახედვით ამ მშვილდსაკინძების მუხლი ჯვრის ფორმისაა.

ცხვირისა და ენის ბუდის მოწყობილობის მიხედვით ამ ტიპის მშვილდსაკინძები ორ ვარიანტს გვაძლევენ:

I ვარიანტი. ცხვირის მიხედვით ამ ვარიანტის მშვილდსაკინძები იმით განსხვავდებიან წინა ტიპის საკინძებისაგან, რომ მათ ჩვეულებრივად პატარა, ბურთულისებრი წანაზარდები აქვთ, რომლებიც ჭვინტზეა წამოცმული. სულ 12 ცალი გვაქვს, ყველა ბრინჯაოსი.

II ვარიანტი. პირველისაგან განსხვავებით ცხვირი ჰორიზონტალურად დაბრტყელებული აქვთ, რომლის შუა ნაწილი ვერტიკალურადაა დაბრტყელებული, მოხნექილია და ენის ბუდეა გაკეთებული. პროფილში ცხვირი T-სებრი მოყვანილობისაა.

II ვარიანტის მშვილდსაკინძი 10 ცალი გვაქვს, აქედან: 2 ვერცხლისა, დანარჩენი ბრინჯაოსი. ბრინჯაოს ზოგიერთ მშვილდსაკინძს რკინის ენა აქვს.

IV ტიპის მშვილდსაკინძთა საშუალო ზომებია: სიგრძე—5 სმ, სიმაღლე—1,5 სმ, ცხვირის სიგრძე — 1,2 სმ.

ზემოთ განხილული I ჯგუფის მშვილდსაკინძების საწყისი ფორმის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში დიდხანს იყო დავა და ზოგიერთი საკითხი დღესაც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ყველა ავტორი ამ მოყვანილობის მშვილდსაკინძის შესწავლის დროს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი წარმოიშვა ე. წ. საშუალო ლა-ტენის ტიპისა და ბუდემოკეცილი (მხოლოდ არა ბუდეამბული) ფორმების შერწყმის შედეგად. ორივე ხსენებული ფორმის მშვილდსაკინძებს კი მუხლის მოწყობილობა ე. წ. პროტოარბალეტური მშვილდსაკინძებისაგან განუვითარდათ[6] [6, გვ. 205].

ამ ფორმის მშვილდსაკინძების წარმოშობის საფუძვლად ა. კალიტინსკის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრები ბერძენი კოლონისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობა მიაჩნია [6, გვ. 204—205]. ა. კალიტინსკის აზრით, ე. წ. ლა-ტენის ტიპის მშვილდსაკინძები, რომლებიც სრულიად გამოსადეგი იყო ბერძნების ნაზი ქსოვილის ტანსაცმლისათვის, უკარგისი იყო

[6] უფრო სწორად, ყველა ავტორი ლა-ტენის ტიპისა და ბუდეამბული მშვილდსაკინძების მსგავსებად აღიარებდა. წარმოდგენილი სქემა ა. კალიტინსკის ეკუთვნის. სხვა ავტორების (ტიშლერის, მონტელიუსის, ალეგრენის, ალინის, ებერტის და სხვ.) მოსაზრებანი ამ საკითხის ირგვლივ დაწვრილებითა აქვს გარჩეული ა. კალიტინსკის ხსენებულ ნაშრომში და ჩვენც ამ ნაშრომიდან ვაკეთებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მცხოვრებთა უხეში ქსოვილის ტანსაცმლისათვის. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადგილობრივი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოშვა ახალი, უფრო გამოსადეგი ფორმა მშვილდსაკინძისა [6, გვ. 205].

აღნიშნული მოყვანილობის მშვილდსაკინძების წარმოშობის ადგილად ო. ტიშლერს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა მიაჩნდა, ო. მონტელიუსს, ო. ალმგრენს, სალისა და ებერტს — სამხრეთ რუსეთის შავი ზღვის სანაპირო ოლქი [6, გვ. 201].

ა. კალიტინსკიმ კიდევ უფრო დააზუსტა და ამ ფორმის მშვილდსაკინძების წარმოშობის ადგილად შავი ზღვისპირეთის ჩრდილო სანაპირო ქალაქები აღიარა. ა. კალიტინსკისვე ეკუთვნის ამ მშვილდსაკინძების წარმოშობის თარიღის საბოლოო დაზუსტებაც; მისი აზრით, ეს მოხდა ძვ. წ. დასასრულს ან ახ. წ. დასაწყისში [6, გვ. 206].

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას: ა. კალიტინსკის მიერ აღწერილი პირველი ტიპის, ერთწილადი, ერთი მთლიანი, უწყვეტი მავთულისაგან ნაკეთები, მშვილდსაკინძები საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი.

ნაწილი ამ მშვილდსაკინძებისა დათარიღებულია ძვ. წ. I ს. (ჩხოროწყუ[7], სოხტა, ზემო რაჭა [შესაბამისად იხ. 11, 12, 13]), ხოლო ნაწილი კი ახ. წ. პირველი საუკუნეებით (ბორი, კლდეეთი [14 და 15]).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩხოროწყუს საფლავები. აქ ერთ ქვევრ-სამარხში შვიდი მშვილდსაკინძი აღმოჩნდა, ზოგი მთელი, ნაწილი დამტვრეული, ხოლო მეორეში — ორი. მთელი მშვილდსაკინძები ყველა დიდი ზომისაა[8], ერთწილადი, ერთი მთლიანი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან გაკეთებული. პროფილში მათი უმეტესობა მრუდხაზოვანია, ე. ი. ცხვირი არ არის გამოყოფილი მშვილდისაგან, ბუდის ასაბმელი მშვილდზე აქვთ დახვეული. ერთი სიტყვით, ეს მშვილდსაკინძები ა. კალიტინსკის I ტიპის I ვარიანტს შეესაბამება და თითქოს უფრო პრიმიტიულიც კია, ვიდრე ეს უკანასკნელნი [11, ტაბ. I; შდრ. 6, გვ. 200, ტაბ. XVI, სურ. 17].

ზემო რაჭაშიაც არის ამ ტიპის მშვილდსაკინძები აღმოჩენილი [13, ტაბ. XXVIII, სურ. 62], აგრეთვე—ბორსა და კლდეეთში (ორი მსგავსივე მშვილდსაკინძი, აგრეთვე დიდი ზომისა, დაცულია ზუგდიდის მუზეუმში, რომელთა შესახებაც მუზეუმის თანამშრომელმა გვაცნობა „სოფ. ჭალიდან არიანონ“).

როგორც ვხედავთ, საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, ტერიტორიაზე ამ უმარტივესი ტიპის მშვილდსაკინძები საკმაოდ ყოფილა გავრცელებული და ქრონოლოგიურად წინ თუ არ უსწრებენ, ყოველ შემთხვევაში თანხედებიან მაინც სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მსგავსივე ტიპის მშვილდსაკინძებს.

საყურადღებოა ამ მიმართებით ის ფაქტიც, რომ პროფ. ბ. კუფტინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც შავი ზღვის სანაპირო ზოლში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხანდადანე უნდა არსებულიყო მშვილდსაკინძების ადგილობრივი წარმოება, რომელიც ადგილობრივი

---

[7] ჩვენ ვიზიარებთ ბ. კუფტინის შენიშვნას ჩხოროწყუს ნშვილდსაკინძების თარიღის შესახებ (16, გვ. 95). ისინი ჩვენც ძვ. წ. 1 ს. ნიეთებად მივიჩნიეთ. თუმცა ეს თარიღი არც 5. ბოშტრიოსთანაა გამორიცხული [11].

[8] სიგრძე—12,5 სმ, სიმაღლე—4 სმ და აგრეთვე სიგრძე—8,5 სმ. სიმაღლე—3,5 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებური ფორმის («Восточно-Черноморская фибула») მშვილდსაკინძებ ამხადებდა [16, გვ. 243].

ასე რომ, მასალის შესწავლის შედეგად შეიძლება დაისვას და გადაიჭრას კიდეც საკითხი დასავლეთ საქართველოს რომელიმე რაიონში ამ ფორმის მშვილდსაკინძის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში სამისოდ იგივე და უფრო მეტი საფუძველი არსებობდა, ვიდრე სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე (ბერძენთა კოლონიები, ადგილობრივი და ბერძნული მოსახლეობის ურთიერთობა და სხვ.).

თუ სათანადო მასალის შესწავლის შედეგად ეს საკითხი მაინც და მაინც შემოტანის სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ ჩვენში აღმოჩენილი ამ ნივთის შემცველი ზოგიერთი (თუ ყველასი არა) ძეგლის თარიღი გადასინჯვას მოითხოვს. ძვ. წ. I საუკუნეში მათი დათარიღება შეუძლებელი გახდება, რადგანაც ამ ფორმის საკინძების წარმოშობა თვით სამშობლოში უფრო გვიანაა საკმაოდ მტკიცედ დადგენილი [6] და, როგორი სავაჭრო-ეკონომიური თუ კულტურულ-პოლიტიკური კავშირიც არ უნდა ვივარაუდოთ, მაინც შეუძლებელი გახდება ძვ. წ. I ს-ში ერთ სამარხში 2—7 ცალი ამ ფორმის მშვილდსაკინძის ერთად აღმოჩენა დავუშვათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოების ტრადიციული ხასიათი და მოსახლეობის მიდრეკილება ადგილობრივი ნაწარმის გამოყენებისადმი, თითქოს საკმარის საბუთს წარმოადგენს თარიღი (ზოგიერთი ძეგლისა) შესწორდეს ან დაისვას საკითხი ამ ფორმის მშვილდსაკინძების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ. ამჟამად კი, ყველა ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საფუძველზე, ეს უკანასკნელი აზრი უფრო მეტად სავარაუდოდ და მისაღებად გვეჩვენება, ვიდრე პირველი.

საბოლოოდ ამ საკითხის გადაწყვეტა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ამ ფორმის მშვილდსაკინძების აღმოჩენის არა ერთი და ორი ფაქტია ცნობილი, მათი შესწავლით სპეციალურად ჯერჯერობით არავინ დაინტერესებულა და ეს საკითხი თითქმის სრულიად შეუსწავლელია.

ამ მხრივ გამონაკლისს მ. ივაშჩენკო წარმოადგენს. მას თავის ხელნაწერ ნაშრომში სამთავროში აღმოჩენილი მშვილდსაკინძებისადმი თითქმის 22-გვერდიანი თავი აქვს მიძღვნილი. სამთავროში აღმოჩენილი მშვილდსაკინძების დეტალურ განხილვამდე იგი მოკლედ ეხება ჩხოროწყუსა და ბორში აღმოჩენილ მშვილდსაკინძებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ნივთები დასავლეთ საქართველოში სამხრეთ რუსეთიდანაა შემოტანილი [17, გვ. 1—3]. ასევე სამხრეთ რუსეთიდან შემოტანილად მიაჩნია მას სამთავროს ახ. წ. IV — VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძებიც.

მ. ივაშჩენკოს ამ დასკვნებს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ა. კალიტინსკი, რომლის ნაშრომსაც მ. ივაშჩენკო ეყრდნობა, სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ ბუდეებშეული მშვილდსაკინძები სამხრეთ რუსეთში ახ. წ. III ს. შემდეგ აღარ გვხვდება და III საუკუნეშივე სხვა ფორმის მშვილდსაკინძები იქმნებაო [6]. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ძნელი გასაგებია, რატომ უნდა მივიჩნიოთ მცხეთაში მსგავსი ნივთების შემოტანა ახ. წ. IV საუკუნეში. დასაბუთებული არა ჩანს აგრეთვე მ. ივაშჩენკოს დასკვნაც სამთავროს ახ. წ. IV—VIII სს-ის სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძების სამხრეთ რუსეთიდან შემოტანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. თვით მ. ივაშჩენკო აღნიშნულ მშვილდსაკინძს ცამეტ ტიპად [illegible] რიანტებად ყოფს. ყველა ამ მშვილდსაკინძის სამხრეთ რუსეთიდან [illegible] ლად მიჩნევა. ვფიქრობთ, აგრეთვე ნაკლებად დასაბუთებული ჩანს. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი სახის მშვილდსაკინძი (მშვილდდაფანჯრული, ცხვირღრძაკიანი, შვერილებიანი და სხვ.) სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით მაინც, აღმოჩენილი არ არის. სამთავროში კი საკმაო რაოდენობით გვხვდება. აქედანაც ცხადია, რომ ამ ნივთების მიჩნევა სამხრეთ რუსეთიდან შემოტანილად დაუსაბუთებელი ჩანს.

ჩვენი აზრით, მცხეთაში ბუდეებმული მშვილდსაკინძების დამზადება დასავლეთ საქართველოში არსებული ფორმების მიხედვით დაიწყეს. აქვე გამორიცხულად არ მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოში მსგავსი ნივთების ადგილობრივი წარმოება და ამ მშვილდსაკინძების საწყისი ვარიანტების მზა სახით შემოტანა მცხეთაში; შემდგ კი მცხეთელმა ოსტატებმა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასა და ტანსაცმელთან დაკავშირებით ეს მშვილდსაკინძები გააუმჯობესეს და ახალი ფორმებიც მოგვცეს.

მ. ივაშჩენკოს მიერ წარმოდგენილ თარიღებს სამთავროში აღმოჩენილი რიგი მშვილდსაკინძების მიმართ ჩვენ აგრეთვე არ ვიზიარებთ.

ასე მაგალითად, მ. ივაშჩენკო უარყოფს სამთავროს ახ. წ. I—III სს-ის სამარხებში მშვილდსაკინძების არსებობის ფაქტს[9]. როგორც ჩანს, განსვენებული მეცნიერი თავის ამ მოსაზრებას ძირითადად იმით ასაბუთებდა, რომ ორმაზის ერისთავთა სამარხებში მშვილდსაკინძები არ გვხვდება. უარყოფილია ამ ნივთის არსებობა აგრეთვე სამთავროს აგურისა და კრამიტის სამარხებშიც. აღნიშნული სამარხები კი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ძვ. წ. I და ახ. წ. I—III საუკუნეებითაა დათარიღებული.

სამთავროს კრამიტის სამარხებში მშვილდსაკინძების აღმოჩენის ფაქტს უარყოფა ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია, ისევე, როგორც საერთოდ მართებულად არ მიგვაჩნია ამ ნივთის არსებობის უარყოფა ახ. წ. I—III სს-ის სამარხებში[10].

ფრ. ბაიერნი ჯერ კიდევ 1872 წ. დაბეჭდილ წერილში გარკვევით აღნიშნავს, რომ სამთავროს აგურისა და კრამიტის სამარხებში მშვილდსაკინძებიცაა აღმოჩენილი [18, გვ. 331]. როგორც ცნობილია, ფრ. ბაიერნი ამ ტიპის სამარხებს მცხეთაში მცხოვრებ ბერძნებს მიაკუთვნებდა და სწორად ამ სამარხებში მშვილდსაკინძების აღმოჩენის გამო იგი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ („ივერიელებმა") ბერძნებისაგან შეითვისეს მიცვალებულისათვის აგურისა და კრამიტისსამარხების აგების წესი, რადგანაც ამ ტიპის ზოგიერთ სამარხში იმდაგვარივე სახის ნივთები გვხვდება, როგორც ქვისსამარხებში. მაგ. მშვილდსაკინძები და ქინძისთავებიო [18, გვ. 332].

---

[9] აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მ. ივაშჩენკო მეორე ხელნაწერ ნაშრომში „Погребения Самтавро I—III вв. н/э". გაკვრით აღნიშნავს, რომ სამთავროს ახ. წ. I—III სს-ის სამარხებში მშვილდსაკინძები აღმოჩენილა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ნაშრომში ეს ფაქტი, ალბათ, ავტორს ავიწყდა. ეს ფაქტი, ალბათ, ავტორს ავიწყდა.

[10] რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ახ. წ. I—III სს. მდიდრულ სამარხებში (მათ შორის ორმაზისა ერისთავთა სამარხებშიც) მშვილდსაკინძები არ გვხვდება, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ტიპის ზოგიერთ სამარხში იმდაგვარივე სახის ნივთები გვხვდება, როგორც ქვისსამარხებში. მაგ. მშვილდსაკინძები და ქინძისთავებიო [18, გვ. 332].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, ფრ. ბაიერნს მშვილდსაკინძები და ქინძისთავები ბაიერნის სამარხებისათვის დამახასიათებელ ნივთებად მიაჩნია. ამავე დროს იგი გარკვევით მიუთითებს აგურისა და კრამიტისსამარხებში მათი აღმოჩენის ფაქტსაც ამ უკანასკნელი ტიპის სამარხებში ქინძისთავების არსებობა ეშვა არ იწვევს [42]. ხოლო რაც შეეხება მშვილდსაკინძებს, ვფიქრობთ, მათი არსებობაც არ არის საეჭვო: ძნელი დასაჯერებელია, ფრ. ბაიერს აგურის ან კრამიტისსამარხში ერთხელ მაინც არ ენახოს იგი და ისე, ყოველგვარი ფაქტის გარეშე, აღეწერნოს მათი არსებობა. სხვაც რომ არა იყოს რა, გათხრების დროს ფრ. ბაიერნისათვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა მშვილდსაკინძების არსებობას ან არ არსებობას ამ ტიპის სამარხებში; პირიქით, მათი არარსებობის ფაქტი თავისი „თეორიისათვის" უფრო ხელსაყრელიც კი იყო.

მაგრამ დავუშვათ, რომ ფრ. ბაიერნის მიერ მოპოვებული მასალის ფიქსაცია არ არის ზუსტი და ბაიერნი ცდება ამ მიმართებით. ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს იგივე ეშვი გამოვიქცათ ალ. უვაროვის მიმართაც. როგორც ცნობილია, ალ. უვაროვის მთავარ მიზანს ბაიერნის ზოგიერთი მოსაზრების შემოწმება წარმოადგენდა და ამ მიზნით ატარებდა სამთავროში საკონტროლო გათხრებს. ამიტომ ეშვს გარეშეა, რომ იგი ამ გათხრებს ფრთხილად ატარებდა. ამდენად მის მიერ მოპოვებული მასალის ფიქსაციაც ეშვს არ იწვევს. 3. უვაროვასთან ერთად გამოქვეყნებულ ნაშრომში კი იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ კრამიტისსამარხებში სხვა ნივთებთან ერთად ქინძისთავები და მშვილდსაკინძებიცაა აღმოჩენილი და ეს უკანასკნელნი ძალიან პატარა, თითქმის მინიატურული ზომის არიანო [19, გვ. 12].

3. უვაროვას მიერ შედგენილ კატალოგში კრამიტისსამარხების ნივთებს შორის მშვილდსაკინძებიცაა გატარებული [20, №№ 1800, 1899—1942 და სხვ.), ხოლო ვირუბოვის მიერ გამოცემულ შრომაში VII ტაბულაზე მოთავსებული მშვილდსაკინძი (შეესაბამება ზემოაღწერილ III ჯგუფის IV ტიპს) მოპოვებულია სამთავროს სამაროვანზე გათხრილ № 463 აგურისსამარხში [21, გვ. 22, სურ. 13].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. შანტრს თავის ნაშრომში მოთავსებული *აქვს ტაბულა, რომელზედაც გამოსახულია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მშვილდსაკინძებიც. ამ საკინძებს იგი უძველესი ხანისად მიიჩნევს და ათარიღებს რკინის ხანის დასაწყისით [22, ტაბ. XLIX, სურ. 1—8]*[11].

ამის შესახებ ალ. კალანდაძე თავის სადისერტაციო ნაშრომში შენიშნავს, რომ ე. შანტრის ხსენებულ ნაშრომში XLIX ტაბულის 1—7 სურათებზე მოთავსებული „...ნივთები ე. წ. რომაული დროისათვის დამახასიათებელ ფიბულებს წარმოადგენენ... ყველა ისეთი ტიპისაა, რომ მათი დაკავშირება ორმოსამარხთა ნივთებთან ყოვლად შეუძლებელი ოპერაცია იქნებოდა, თუმცა ამას, როგორც ჩანს, თვით ე. შანტრიც აკრძნობდა, როდესაც ის სურ. 7-ზე მოთავსებული ფიბულის განკუთვნილობას კითხვის ქვეშ აყენებდა" [23, გვ. 27].

როგორც ვხედავთ, ე. შანტრის მიერ დაშვებული შეცდომა გამოასწორა ალ. კალანდაძემ. მან აღნიშნული მშვილდსაკინძები „რომაულ ხანას" მიაკუთვნა. ამ ხანაში კი ჩვეულებრივად იგულისხმება დრო ახ. წ. IV საუკუნემდე.

---

[11] ე. შანტრი არ მიუთითებს კერძოდ "რომელი ტიპის სამარხებიდანაა ეს ნივთები შესაძლებელია ისინი აგურისა და კრამიტის ან ქვის სამარხებიდან იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, იგი თავისთავად გულისხმობს ამ ნივთების არსებობას ახ. წ. I—III სს-ში. წინაადგილ შემთხვევაში რაიმე შენიშვნას გაიკეთებდა სამთავროს სამაროვანზე მათი არარსებობის შესახებ.

სამთავროს სამაროვანზე კრამიტისსამარხში მშვილდსაკინძის აღმოჩენის ფაქტი დამოწმებულია 1939 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის დროსაც.

სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე, VI ფართობის ცენტრალურ ნაწილში 31 ოქტომბერს გათხრილ იქნა კრამიტისსამარხი № 9, რომელშიაც აღმოჩნდა: ბრინჯაოს სამაჯური, პირი-პირზე შესული, ბრინჯაოს ერთმანეთზე შედუღებული ორი დეფორმირებული რგოლი, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, რკინის სამაჯურთა ნატეხები და რკინის დანისმაგვარი ნივთი (საველე წიგნი №№ 2405—2409).

როგორც ვხედავთ, ამ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად მშვილდსაკინძიცაა აღმოჩენილი[12]. გარდა ამისა, ზოგიერთ კრამიტისა (მაგ. № 77—39 S) და აგურისსამარხებში (მაგ. № 136—39S) მოპოვებული რკინის ღეროვანი ნატეხებიც ძალიან ჰგვანან საკინძის მშვილდის ნაწილებს, თუმცა გადაჭრით ამის თქმა ამჟამად ძალიან ძნელია მათი დაკანგულობის გამო.

რაც შეეხება ქვისსამარხებს, ისინი ყველა სწორედ მშვილდსაკინძებისა და ქინძისთავების მიხედვით ახ. წ. IV და მომდევნო საუკუნეებითაა დათარიღებული და არც ერთი ამ ნივთის შემცველი სამარხი არ არის მიკუთვნებული უფრო ადრეულ ხანას. ვფიქრობთ, არც ეს აზრია მართებული (გამონაკლისს წარმოადგენს № 350—41 S ორფეერდა ქვისსამარხი, რომელიც მ. ივაშჩენკოს I—III სსიან აქვს დათარიღებული და რომელშიაც „ბრინჯაოს ფიბულის და რაღაც ფირფიტოვანი ნივთის ნატეხებია“ აღმოჩენილი).

1920 წელს სამთავროს მონასტრის უბანში, გაბო ხუბიეროვის ეზოში, ორმოს ამოთხრის დროს აღმოჩენილა ქვისსამარხი. ამ სამარხში სხვა ნივთებს შორის ბრინჯაოს მშვილდსაკინძის ენაც ყოფილა აღმოჩენილი. პროფ. ს. მაკალათია, რომელმაც ეს ნივთები გამოაქვეყნა, ამ სამარხს ანტინოეს მედლის მიხედვით „მეორე საუკუნის ფარგლებში“ ათავსებს ([24, გვ. 177—180], იხ. აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციის ფონდი $N\frac{2-23}{1-35}$).

ალ. კალანდაძის მიერ 1947—1948 წწ. მცხეთის სასისტემო სამმართველოსთან გათხრილ აგურ-კრამიტისა და ქვისსამარხებშიც აღმოჩნდა ქინძისთავები და ერთი მშვილდსაკინძი (ფიბულა. კრამიტისსამარხი № 1). აღნიშნული სამარხები კი ავტორის მიერ ზუსტად არის დათარიღებული ახ. წ. I—II სს-ით [25, გვ. 260—287. თარიღის შესახებ. გვ. 284].

მართალია, ალ. კალანდაძის მიერ აღმოჩენილი გულსაბნევი-მშვილდსაკინძი-ფიბულა ფორმით განსხვავდება ჩვენ მიერ აქ განხილული მშვილდსაკინძებისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. აქ მთავარი ისაა, რომ ახ. წ. I—II სს-ში მცხეთის მოსახლეობა ტანსაცმლის შესა-

[12] ამ სამარხის ახლომახლო ქვისსამარხის აღმოჩენის ფაქტი არ არის დამოწმებული. ამდენად მშვილდსაკინძის სხვა სამარხიდან შემთხვევით მოხვედრაც გამორიცხულია. იგი ისევე, როგორც სხვა ნივთებიც, კრამიტსამარხს უნდა ეკუთვნოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრავად იყენებდა ამ სახის ნივთებს. ფუნქციონალურად კი ჩვენ მიერ განხილული მშვილდსაკინძებსა და № 1 კრამიტისსამარხში აღმოჩენილ „ფიბულას“ შორის არავითარი განსხვავება არ არის. იგი, უფრო მხატვრული და ფაქიზია, მაკანძრით შემკული, ვიდრე ჩვენ მიერ განხილული მშვილდსაკინძები, და ალბათ შეძლებული ფენის ოჯახის მიცვალებულს ეკუთვნოდა, რაზედაც მიგვითითებს ამავე სამარხში აღმოჩენილი ნივთების შინაარსი [115, გვ. 270—273; იხ. აგრეთვე 26]. მოსახლეობის დაბალი ფენა კი ამ დანიშნულებისათვის შედარებით იაფფასიან ნივთებს იყენებდა.

სხვათა შორის, ამ პერიოდში მშვილდსაკინძების არსებობის უარყოფა სამთავროში ლოგიკური თვალსაზრისითაც არ არის გამართლებული. ჯერ ერთი, მცხეთის მოსახლეობა უძველესი ხანდანვე იყენებდა ამ სახის ნივთებს; არა ერთი და ორი უძველესი ორმოსამარხის დასახელება შეიძლება. სადაც მშვილდსაკინძია აღმოჩენილი (იხ., № 17—38, №№ 1, 22, 98, 120, 123, 186, 230—39 N და სხვ.). მეორეც, საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე არა ერთი და ორი ადგილის დასახელება შეიძლება, სადაც ამ სახის ნივთები მრავლადაა აღმოჩენილი და დათარიღებული ახ. წ. IV საუკუნეზე უფრო ადრინდელი ხანით (ძირითადად ახ. წ. I—III სს. ზემო რაჭა, ჩხოროწყუ, ურეკი, ბორი, კლდეეთი, სოხტა და სხვ.). თვით მცხეთის ისეთ მახლობელ ადგილებში, როგორიც ზემოავჭალა და დიღომია, დადასტურებულია ამ ნივთის აღმოჩენის ფაქტები ([24], იხ. აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდის კოლ. № $\frac{11-23}{1-38}$ და № $\frac{31-24}{1-64}$). ამიტომ ძნელი დასაჯერებელია დავუშვათ, რომ მცხეთის მოსახლეობა ამ ხანაში ახლო მეზობლებისაგან განსხვავებით რაღაც ისეთ ტანსაცმელს ატარებდა, რომელსაც მშვილდსაკინძი არ ჰირდებოდა ზესაკრავად მიუხედავად იმისა, რომ ამ ნივთს ძველთაგანვე იყენებდა.

ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს, ამ მიმართებითაც რაღაც უცნაურ მოვლენას წავაწყდებით.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ს-დან ახ. წ. IV ს-მდე აღმოსავლეთ საქართველო (ეერძოდ ქართლი) მჭიდრო პოლიტიკურ თუ სავაჭრო-ეკონომიურ კავშირში იმყოფებოდა რომის იმპერიასთან. რომის იმპერიის მოსახლეობა კი ამ ხანაში ფართოდ იყენებს მშვილდსაკინძებსა და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფორმებსაც ქმნის [6]. ამიტომ უცნაურია ვიფიქროთ, იმ ინტენსიურ ურთიერთობას, ქართლსა და რომის იმპერიას შორის რომ არსებობდა, შედეგად ამ ნივთის გაქრობა მოჰყვა და. პირიქით, სასანიანთა სპარსეთის მოზღვავებას (სადაც მსგავსი ნივთის აღმოჩენის შემთხვევას პირადად არ ვიცნობ)—ამ ნივთის ფართო მოხმარება.

ამრიგად, ლოგიკურადაც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მცხეთის მოსახლეობა ახ. წ. I—III სს-ში ტანსაცმლის შესაკრავად იყენებდა მშვილდსაკინძებს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უფლება გვაქვს სამთავროს სამეფოს ზონაზე აღმოჩენილი ზოგიერთი სამარხის აქამდე მიღებულ თარიღს ეჭვის თვალით შევხედოთ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის ქვისსამარხები, რომლებშიც

21. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენილია ახ. წ. I—III საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნივთები, რომლებიც მხოლოდ იმის გამო, რომ მათთან ერთად მშვილდსაკინძიცაა აღმოჩენილი, დათარიღებულია უფრო გვიანი ხანით.

მაგალითად, 1946 წელს სამთავროში გათხრილ იქნა № 556 ქვისსამარხი, რომელშიაც აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. ბრინჯაოს მშვილდსაკინძი (ს. წ. № 4690), მსგავსი აქ წარმოდგენილი კლასიფიკაციის I ჯგუფის I ტიპისა (ტვ-3 ვარიანტი. შდრ. ტაბ. I. სურ. 1 (3). საკინძის სიგრძე 3 სმ უდრის, სიმაღლე 1,4 სმ-ია. მშვილდის ღეროს სიმსხო 3 მმ. მას მუხლთან წმინდა ქსოვილის ნაშთი აქვს შერჩენილი.

2. მინის სანელსაცხებლე (ს. წ. № 4691) — პატარა ზომის. ბირთვისებრი, მრგვალი მუცლითა და დაბალი პირგადაშლილი ყელით. ძირი მრგვალი აქვს და ამიტომ არ იდგმება. მისი საერთო სიმაღლე 4,4 სმ უდრის, ყელის სიმაღლე — 0,9 სმ: პირის დიამეტრი — 1,3 სმ, ხოლო ყელის დიამეტრი 0,8 სმ.

3. სანელსაცხებლის ცხრა ნატეხი. აქედან ერთი ძაბრისებრი ყელია (ს. წ. № 4692).

4. ოქროს ბეჭედი ოვალური თვალბუდით (ს. წ. 4693). ბეჭდის ღერო ფუღუროა; რკალი თვალბუდის მოპირდაპირე მხარეს წვრილია, მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება. ბეჭდის თვალი წითელი გამჭვირვალე ქვისა ყოფილა. დიამეტრი 1.8 სმ უდრის; თვალბუდის ზომა: 1,2×0,6 სმ.

5. ოქროს ბეჭედი მსგავსივე ფორმისა (ს. წ. № 4693), აგრეთვე ფუღუროიანი ღეროთი; პირველზე დიდი. ოვალური ფორმის თვალბუდეში მოლურჯო ფერის, არაგამჭვირვალე თვალი ზის. დიამეტრი 1.6 სმ უდრის.

ცხადია, ამ სამარხის დასათარიღებლად უპირველეს ყოვლისა ბეჭდების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. მსგავსი ბეჭდების აღმოჩენის ფაქტებს კი არა ერთისა და ორს მიეუთოთებთ ახ. წ. I—III სს-ის სამარხებიდან (მაგ. არმაზის ხევის № 1 და № 7 აკლდამა, მცხეთის სასისტემო სამმართველოსთან გათხრილი სამარხები, სამარხი № 144—39 S და სხვ. [3, 25, 26]).

ამავე ხანაში გვხვდება მსგავსი ბეჭდები აგრეთვე საერთოდ ყველგან (დასავლეთ საქართველო, ყირიმი).

ასე რომ, სამარხი № 556—46 ზოგადად ახ. წ. I—III სს-ით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება უფრო კონკრეტულ თარიღს, მშვილდსაკინძის მიხედვით, სამარხი ახ. წ. II—III სს-ს უნდა მივაკუთვნოთ, რადგანაც მსგავსი მშვილდსაკინძები ყველგან ამ ხანაში გვხვდება და ახ. წ. III ს-ის შემდეგ მათი არსებობა ჯერჯერობით მაინც დადასტურებული არ არის.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი.

1938 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილ იქნა № 28 ქვისსამარხი, რომელშიაც აღმოჩნდა: თიხის ჯამი, მინის ორი სანელსაცხებლე, ადრიანე იმპერატორის ვერცხლის მონეტა, 7 ცალი მძივი, ზარაკი და რკინის მშვილდსაკინძები (ორი ცალია: ერთი მთელია. მეორე—ნაკლული. ტაბ. III, სურ. 2).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამარხში ისეთი დათარიღებული ნივთი აღმოჩნდა, როგორც მონეტაა, ამ მიმართებით (დათარიღებისათვის) მაინც აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს. ეს სხვადასხვაობა იმითაა გამოწვეული, რომ მონეტა გახვრეტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ამ ფაქტს მ. ივაშჩენკო არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, და ამიტომ ამ სამარხს მონეტის მიხედვით ახ. წ. II ს. ათარიღებს[13] [27].

ალ. კალანდაძე კი, პირიქით, ხაზს უსვამს რა ამ მომენტს (მონეტის გახვრეტილობას), აღნიშნავს: „იმისათვის, რომ ფული მიმოქცევიდან გამოსულიყო. საჭირო იყო დრო არა ნაკლებ 5—6 ათეული წლისა, ხოლო მისი სამკაულად ტარებისათვის რომ 2—3 ათეული წელი ვიკარაუდოთ, მაშინ II საუკუნის პირველ ნახევარში მოჭრილ იმპ. ადრიანეს ფულს შეეძლო სამარეში მოხვედრილიყო არა უადრეს II საუკუნის გასვლისა ან III საუკ. დასაწყისისა“.

ამრიგად, მ. ივაშჩენკოც და ალ. კალანდაძეც № 28 სამარხს ახ. წ. II—III სს-ით [53, გვ. 54] ათარიღებენ. ეს თარიღი ჩვენც სწორად მიგვაჩნია, რადგანაც ოთხის ჭურჭლისა და პასტის გვერდებდაღარული მძივების აღმოჩენის ფაქტს III ს. შემდეგ სამთავროში ჩვენ არ ვიცნობთ.

ასევე ახ. წ. II—III სს-ით უნდა დათარიღდეს № 303—39 N სამარხიც, რომელშიაც I ჯგუფის I ტიპის ბრინჯაოს ორ მშვილდსაკინძთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მინის სანელსაცხებლეები, ოქროს საყურეები, ცხვრის კოქები, მძივები, მძივ-საბერდავი, ოქროს ღილები, ბრინჯაოს ქინძისთავები, ბეჭდები, ძვლის კვირისტავი, სამაჯურები და სხვ. (ტაბ. IV, სურ. 1).

სამარხში აღმოჩენილ მძივ-საბეჭდავს მ. მაქსიმოვა პართული ხანით, კერძოდ ახ. წ. I ს-ით, ათარიღებს [28, გვ. 267].

გ. ლემლეინი, რომელმაც ამავე სამარხში აღმოჩენილი სეილნის მძივები (ს. წ. № 235) შეისწავლა, დაასკვნის, რომ ეს მძივები ალმასითაა გახვრეტილი და ზოგადად ახ. წ. I—III სს-ით ათარიღებს [29, გვ. 205].

გ. ლემლეინის ამ ზოგად თარიღს მხარს უჭერს: სამარხში აღმოჩენილი ვიშრის კარგად დამუშავებული, ზედაპირდაკენჭული, დაკუთხული მძივები; მრგვალი, მცირე ზომის, აგრეთვე კარგად დამუშავებული გიშრის მძივები; ლეგა ფერის პასტის მრგვალი მძივები; მსგავსივე ფორმის თეთრი პასტის მძივები; აგრეთვე თეთრი პასტისავე მილაკისებრი მძივები; ოქროს ნახევარსფერული ფორმის, პატარა ზომის, ყუნწიანი ღილები; ოქროს საყურეები; ბრინჯაოსთაეანი ქინძისთავები და სხვ.

ყველა ეს ნივთი მსგავსია სამთავროს ახ. წ. I—III სს. სამარხებში აღმოჩენილი შესაბამისი ნივთებისა (მაგ.. ქვისსამარხი № 144—39 S. № 1—38 S. № 4—38 S. № 84 — 39 S. № 140—39S და სხვ. აგრეთვე კრამტისსამარხი № 261—46 S. № 32—38S. № 348—41 S და სხვ. აგურისსამარხი № 29—38 S და სხვ.).

რაც შეეხება მ. მაქსიმოვას კონკრეტულ თარიღს (ახ. წ. I საუკუნე), მისი გაზიარება ჩვენ არ შეგვიძლია, რადგანაც სამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები ახ. წ. II—III საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი და უფრო ადრე (ახ. წ. I ს.) ძალიან იშვიათად გვხვდება (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. [1 6, გვ. 206—207 და 211])[14]. სხვა ნივთებიც (პასტის ბეჭდები, ოქროს საყურეები, მძივები და სხვ.) უფრო ამ ხანისათვისაა (ახ. წ. II —III სს.) დამახასიათებელი,

---

[13] შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ დღესაც მიმოქცევაში მყოფ ზოგიერთ მონეტას (მაგ., აბაზიანებს) ხვრეტენ და სამკაულად იყენებენ.

[14] სხვათა შორის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ა. კალიტინსკი, მოკლედ მოახასიათებს რა ჩვენი მშვილდსაკინძის მსგავსი ტიპის მშვილდსაკინძების გავრცელების არეს, ო. ალგბრენის ნაშრომზე დაყრდნობით მცდეთასაც მიუთითებს [6, გვ. 207].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე პირველი საუკუნისათვის. ამიტომ უფრო მართებულად ამ[illegible] თარიღი ახ. წ. II—III სს. მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ I ს. მ. მაქსიმოვასაც საეკვოდ მიაჩნია და ზოგადად „პირული ეპოქით" ათარიღებს აღნიშნულ სამეკლესიოს.

1939 წელს გათხრილ იქნა სამარხი № 243. იგი ფაქტიურად ორმოსამარხს წარმოადგენს, რომელიც სამი ქვითაა დახურული (სახურავის ზომა: 1,25×0,85 მ). ნონახი გულაღმა, ხელგზე მდებარე აღმოჩნდა. თავით აღმოსავლეთისაკენ დამბრობილი. სამარხი ხელუხლებელია: მასში აღმოჩნდა (ტაბ. IV. სურ. 2.):

1. მინის სანელსაცხებელი, ფაროთი. დამჯდარი მუცლით, კეთილად მიღებული ხახვით (ამჟამად არ არის. ს. წ. № 1928).

2. რკინის ორი ქინძისთავი, თავებდაფანჯრული (ს. წ. № 1929 და 1930).

3. რკინის სხვა ქინძისთავების 3 ნატეხი (თავები არ შერჩენია. ს. წ. №1931).

4. ოქროს მშვილდსაკინძი (I ჯგ., I ტიპი, II ვარ. ს. წ. № 1932).

5. რკინის ბეჭედი, ბრტყელი რკინისავე ოთხკუთხედი თავით (ამჟამად ნახევარია მბალოდ. ს. წ. № 1933).

6. სამი ცალი ბრინჯაოს ბეჭედი (ს. წ. № 1934).

7. ბრინჯაოს ორი სამაჯური, ერთმანეთზე თავებგადაწნული (ს. წ. №1935).

როგორც ცნობილია, მსგავსი სამაჯურების თარიღი ახ. წ. II ს. აქეთ არსად არ გადმოდის და სამარხი № 243-ც ამავე ხანით უნდა დათარიღდეს. ამავე თარიღზე მიგვითითებს რკინის ბეჭედიც, რომლის მსგავსიც მრავლად გვხვდება სამთავროს ახ. წ. I—III სს-ის სამარხებში (მაგალითად, №№ 140, 144 და სხვ. სამარხები).

მსგავსივე სამაჯურები აღმოჩნდა აგრეთვე 1947 წელს გათხრილ № 630 ქვისსამარხშიაც (ტაბ. V. სურ. 1). რომელშიაც აღნიშნულ სამაჯურებს, გარდა აღმოჩენილია საყურეები (ვერცხლისა და ბრინჯაოსი, თითო ცალი) მტევნისებური ოთხი ბირთვით, მსგავსი №№ 134—39 S და 211—40 S კრამიტისსამარხებში აღმოჩენილი საყურეებისა.

ეს სამარხიც (№ 630) შეიცავს აგრეთვე რკინის I ჯგუფის მშვილდსაკინძების ნაწილებს (მშვილდისა და ბუხლის ნაწილებს) [ტაბ. V. სურ. 1 (2)].

ასევე 1941 წელს სამხრეთ უბანზე გათხრილ № 343 ქვისსამარხში აღმოჩენილი რკინის ერთმანეთზე თავებგადადებული სამაჯური, პასტის მუცელდათვალული მძივი, პასტის კვირისტავი და მოწითალო ფერის თიხის ფრონველის პატარა ქანდაკება უფრო ახ. წ. I—III სს-ზე მიგვითითებს. ვიდრე მოგვიანოზე: პირველი თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ამავე სამარხში აღმოჩენილი რკინის ბეჭედიც, რომლის მსგავსი ბეჭედები საკმაო რაოდენობით აქვს გამოქვეყნებული მ. მაქსიმოვას [28, №№ 74, 80 და სხვ.].

ასევე I—III სს-ით უნდა იქნეს დათარიღებული № 24—39S ქვისსამარხიც, რომელშიაც, I ჯგუფის I ტიპის[15] რკინის სამი მშვილდსაკინძის გარდა, აღმოჩნდა აგრეთვე 25 ცალი გიშრის მცირე ზომის გვერდებდანაოჭებული მძივი, ოქროს ბეჭედი, სამი მინის სანელსაცხებელი, რკინის დანის (?) პირი, რკინის ქინძისთავის ღერო და რკინის ღერო, რომელზედაც ფირფიტოვანი ოქროს მძივია წამოცმული (საყურის საკიდარი?).

---

[15] ორი მთელია I—II ვარიანტისაა, მეორე—III ვარიანტისა. მესამე მშვილდსაკინძის მხოლოდ ცხვირია, აგრეთვე III ვარიანტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი (ს. წ. № 100) ფურცლოვანი ოქროსაგანია ნაკეთები; პატარა ზომის ოვალური თვალბუდე აქვს, რომელშიაც მსგავსივე ფორმის სერდოლიკის თვალი ზის. მასზე უხეშადაა ამოკაწრული თევზის გამოსახულება. ბეჭედს მხრებზე გული ფორმის ჩარჩოები აქვს, ოქროს მარცვლებით მოცკვარული. ბეჭდის ზომა 1,8×1,7 სმ უდრის, თვალის ზომა — 0,7×0,7 სმ.

ეს ბეჭედი გამოქვეყნებული აქვს მ. მაქსიმოვას. იგი აღნიშნავს, რომ მსგავსი გამოსახულებანი ძალიან გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში. იგი ბეჭედს, სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ფორმების მიხედვით (რომელთა მსგავს ჭურჭლებს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო ქალაქებში მიეფიფოებს), ძვ. წ. I ს.-ის დასასრულით ან ახ. წ. I ს.-ით ათარიღებს [28, გვ. 243].

მ. მაქსიმოვას მიერ მოცემული კონკრეტული თარიღი ჩვენ პირადად საეჭვოდ მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, მშვილდსაკინძის მიხედვით, ძვ. წ. I საუკუნეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ. თვით მინის სანელსაცხებლებები, კერძოდ № 102 მსგავსი, როგორიც ზემოთაც იყო ნაჩვენები, სამთავროში ახ. წ. II—III სს.-შიც გვხვდება. ამ უკანასკნელ თარიღზედვე მიგვითითებს აგრეთვე 1933 წელს სამხრეთ უბანში გათხრილ № 55 კრამიტისსამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედიც (ს. წ. № 459), რომელიც მხრებზე აგრეთვე ჩარჩოებითაა შემკული. იგი აგრეთვე მ. მაქსიმოვას აქვს გამოქვეყნებული და დათარიღებული ახ. წ. III ს.-ით [28, გვ. 255, სურ. 7].

მართალია, ამ უკანასკნელს ჩარჩოები მრგვალი აქვს და გრანატით შემკული, მაგრამ ზეაში მოთავსებული რკალი მასაც მეტ-ნაკლებად გულის ფორმისა აქვს. გულის ფორმის ჩარჩოების გაკეთება ბეჭდისათვის ამ დროს სამთავროში ცნობილი ფაქტია (მაგ. სამარხი № 1—38S და სხვ. [3]) და სრულიად არ არის საკვირველი, თუ ბეჭდების ნაწილს მრგვალი ფორმის, ხოლო ნაწილს— ამ (გულის) ფორმის ჩარჩოებს უკეთებდნენ; მთავარი აქ ის არის, რომ მხრებზე ბეჭდისათვის ჩარჩოების გაკეთება უკვე ცნობილია.

მხრებზე გულის ფორმის ჩარჩოებიანი ოქროს ბეჭედი, რომელიც საერთოდ ძალიანაა ჰგავს სამთავროს № 100 ბეჭედს, გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე პრიდიას [14, ტაბ. II, სურ. 7]. პრიდიას მიერ გამოქვეყნებული ბორში აღმოჩენილი ნივთები კი, როგორც ცნობილია, ახ. წ. I—III სს.-ითაა დათარიღებული, რაც საერთოდ ეჭვს არ იწვევს (ყოველ შემთხვევაში ბორის ოქროს ნივთების თარიღი III ს.-ის აქეთ არ გადმოდის). ამავე ხანაში და უფრო ადრეც საქართველოს ტერიტორიიდან არა ერთი და ორი ნივთის დასახელება შეიძლება. რომლებსაც გულის ფორმის ან კვერცხისებრი ჩარჩოები აქვთ თვლებით შემკული [3, 14 და სხვ.].

ამრიგად, საქართველოში აღნიშნული ფორმის ბეჭდების არსებობა ახ. წ. I—III სს.-ში საეჭვო არ არის.

ამ.ეჭ თარიღზე მიგვითითებს № 24 სამარხში აღმოჩენილი სხვა ნივთებიც. კერძოდ, ხეხველობაში გვაქვს გიშრის მძივები, რომელთა მსგავსიც სწორედ ახ. წ. I—III სს.-ის აგურ-კრამიტისსამარხებისათვისაა დამახასიათებელი. თვით მშვილდსაკინძებიც, როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ვხედავთ, ამ ხანისათვის (ახ. წ. II—III სს.) არის დამახასიათებელი და. ჩვენი აზრით, სამარხიც ამ დროით უნდა იქნეს დათარიღებული (თვით სამარხის ნაგებობაც ამავე თარიღზე მიგვითითებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი სამარხების მაგალითების მოტანა, რომლებშიაც მშვილდსაკინძებთან ერთად I—III სს. ნივთები გვხვდება, კიდევ მრავლად შეიძლება (მაგ., სამარხები №№ 1, 5, 40, 151—38 N; 111, 119, 132, 165, 314, 317, 322—39 N; 403, 462—40 N; 550, 559, 578—46; 658—47; 724, 726—48 და სხვ.).

ამ სამარხებში აღმოჩენილი ყველა ნივთი მსგავსია სამთავროს I—III სს-ის სამარხებში მოპოვებული ნივთებისა. მაგ., არც ერთი ამ სამარხთაგანი არ შეიცავს მომდევნო ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელ ისეთ ნივთს, როგორიცაა ბრონზეულის ყვავილის ან ნაყოფის ფორმის მარჯნის თავიანი ქინძისთავი. სამაგიეროდ, თითქმის ყველა მთგანი შეიცავს მცირე ზომის ლითონის ან ძვლის ქინძისთავებს, რომელთა მსგავსნიც არა ერთსა და ორ ადგილს, კრამიტისა და ამავე ხანის ქვისსამარხშია აღმოჩენილი. ასეეა მძივები და მინის ჭურჭელი. მათი მსგავსი ფორმები და თვით მასალის ხარისხიც აგრეთვე I—III სს-ზე მიგვითითებს (მაგ., სამარხები №№ 322, 165, 132—39N; № 151—38N და სხვ.).

აღნიშნული სამარხები შეიცავენ I ჯგუფის ბუდეებმულ მუხლზამბარიან მშვილდსაკინძებს.

ამიტომ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს ამ ჯგუფის მშვილდსაკინძები ახ. წ. II—III სს-ს მივაკუთვნოთ და ამ ხანისათვის ერთ-ერთი გავრცელებულ ფორმად მივიჩნიოთ. ძირითადად ამავე ხანაზე მოდის მსგავსი ფორმის მშვილდსაკინძების არსებობა სხვა ქვეყნებშიაც.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამ ფორმის მშვილდსაკინძები სპეციალურად შეისწავლა და გამოაქვეყნა ა. კალტინსკიმ, რომელმაც მთელი რიგი მასალის შესწავლის შედეგად საკმაოდ ნათლად წარმოადგინა მათი წარმოშობისა და განვითარების სურათი [6].

მის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის II და III ტიპის საკინძები, რომლებსაც შეესაბამებიან აქ წარმოდგენილი სამთავროს I ჯგუფის სამივე ტიპის I და III ვარიანტები ([6, გვ. 206—208, ტაბ. XVI, სურ. 30, 32, 29, 28, 31; ტაბ. XVII, სურ. 37, 38, 41, 43. შდრ. აქვე, ტაბ. I]. აღმოჩენილია: ქერჩში, ყუბანის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სარატოვის ოლქში, ჩერნიგოვის ოლქში, ხერსონესში, რიაზანისა და პერმის ოლქებში და სხვ. ([6]. აქვე ა. კალტინსკი მიუთითებს აგრეთვე მცხეთასაც).

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მსგავსი ტიპის მშვილდსაკინძები არსებობას იწყებენ ახ. წ. I ს-ის ბოლოდან, ხოლო III ს-ში უკვე კარგავენ ბუდეებმულ კონსტრუქციას [6, გვ. 207—208].

ტ. კნიპოვიჩის აზრით, ამ ფორმის მშვილდსაკინძების არსებობის პერიოდი „ძვ. წ. I ს-ის დასასრულსა და ახ. წ. II საუკუნეზე“ მოდის [30, გვ. 60], თუმცა რამდენადმე გაუხეშებული სახით ისინი გვხვდებიან აგრეთვე „პანტიკაპეის ახ. წ. III ს. სამარხებშიაც“ ([30], აქვე ავტორს მითითებული აქვს მის მიერ გამოყენებული ლიტერატურა).

სამთავროს I ჯგუფის III ტიპის პირველი ვარიანტის მსგავსი მშვილდსაკინძები აღმოჩენილია აგრეთვე პაშკოვსკის სამაროვანზე, რომელიც სარმატულ კულტურას ეკუთვნის და ახ. წ. I ს-ით თარიღდება [31, გვ. 158, სურ. 51].

ორი ცალი ბრინჯაოს დიდი ზომის მშვილდსაკინძი, მსგავსი სამთავროს I ჯგუფის I და III ტიპის მშვილდსაკინძებისა, გამოქვეყნებული აქვს ა. იესენს. ეს მშვილდსაკინძები შემთხვევითაა სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნი მუკულანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაროვანზე (ჩრდილოეთ კავკასია) და დაცულია ერმიტაჟში. ა. იესენი მათ ახ. წ. V—X სს-ით ათარიღებს [32, გვ. 25, ტაბ. VI, სურ. 6 და 7].

პროფ. ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ წებელდის ნივთებს შორის ერთი ცალი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი შეესაბამება სამთავროს I ჯგ. II ტიპის III ვარიანტის მშვილდსაკინძებს [16, ტაბ. VII, 4]. ავტორი ამ ნივთებს ათარიღებს ახ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრით [16, გვ. 93—94].

თუ ა. იესენისა და პროფ. ბ. კუფტინის თარიღები ამ მშვილდსაკინძების მიმართ სწორია, ეს ფაქტი საინტერესოა იმ მხრით, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მთის ხალხისათვის ეს ფორმა იმდენად მისაღები და პრაქტიკულად სრულყოფილი ყოფილა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ცვლილება არ განუცდია. მაგრამ ზოგიერთ მთის რაიონში, მაგალითად ზემო რაჭაში, მშვილდსაკინძის ეს ფორმა ისეთსავე ცვლილებას განიცდის, როგორიც ბარშია შემჩნეული.

ზემო რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მრავლადაა მოპოვებული როგორც სამთავროს პირველი ჯგუფის მსგავსი მშვილდსაკინძები, რომლებიც ახ. წ. I—III სს-ითაა დათარიღებული, ისე სამთავროს III ჯგუფის მშვილდსაკინძებიც, რომლებიც მომდევნო საუკუნეებით თარიღდება [13].

პროფ. გ. ნიორაძეს კარსნისხევში გათხრილ ქვისსამარხებში სხვა ნივთებს შორის აღმოუჩენია რკინის მშვილდსაკინძი, მსგავსი სამთავროს I ჯგ. II ტიპის II ვარიანტის მშვილდსაკინძებისა. როგორც ცნობილია, პროფ. გ. ნიორაძე ამ სამაროვანს ზოგადად „ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლის ხანით“ ათარიღებს და უფრო კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. რას გულისხმობდა იგი ამ თარიღში—მოსახლეობის ფართო ფენების მიერ ამ სარწმუნოების აღიარებას თუ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების თარიღს—გარკვეული არა ჩანს [33].

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფ. გ. ნიორაძის ზოგადი თარიღი არსებითად სწორია და იგი მოიცავს როგორც ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების მომდევნო პერიოდს (დაახლოებით 337 წლის შემდგომ ხანას), ისე, შესაძლებელია, უფრო ადრეულ ხანასაც, ე. ი. დროს, როდესაც ხალხის ფართო ფენებში უკვე იყო ეს სარწმუნოება ფეხმოკიდებული[16].

როგორც ჩანს, ამ ჯგუფის მშვილდსაკინძების არსებობას გულისხმობს ნ. ხოშტარია, როდესაც იგი მიუთითებს ჩხოროწყუსა და სამთავროს მშვილდსაკინძების ზოგიერთი განსხვავების შესახებ და ამ უკანასკნელთა მსგავსებაზე ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ მშვილდსაკინძებთან [11].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის მშვილდსაკინძები ფართოდ ყოფილა გავრცელებული უმეტესად სამხრეთ რუსეთში, ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში. მათი არსებობის ხანა ძირითადად ახ. წ. I—III სს-ს მოიცავს. იშვიათი გამონაკლისის სახით ისინი უფრო გვიანაც გვხვდებიან (მთიან რაიონებში). ჩვეულებრივად ახ. წ. III ს-ში ეს მშვილდსაკინძები აბმული ენის ბუ-

---

[16] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. გ. ნიორაძე დიდ მსგავსებას პოულობს კარსნისხევის სასაფლაოსა და მის მიერ წიწამურში გათხრილ სამარხებს შორის. ეს უკანასკნელი კი „დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შემდეგ დროს უნდა მიეკუთვნოს“ [41, გვ. 70—71].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს კარგავენ და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფორმის ცხვირის მქონე მშვილდსაკინძებში გადადიან.

გადასვლის ეს პროცესი, როგორც ვნახეთ, თანმიმდევრულად შეიმჩნევა სამთავროს მშვილდსაკინძებზე და მთავრდება ბრტყელცხვირიან მუხლღროვანი მშვილდსაკინძების მოლებით (III ჯგ.). მაგრამ, სანამ ამ უკანასკნელი ფორმის მშვილდსაკინძებს მიიღებდნენ და ისინი საბოლოოდ გაბატონებულ ფორმად იქცეოდნენ, მანამდე, როგორც ჩანს, წარმოებდა ფორმის ერთგვარი ძიება. ამ

ცხრილი

სამთავროს ახ. წ. II—VIII სს-ის სამარხებში ერთად აღმოჩენილი სხვადასხვა ჯგუფის მშვილდსაკინძები[17]

I ჯგუფი ცალობით	II ჯგუფი ცალობით	III ჯგუფი ცალობით	სამარხის № და გათხრის წელი	ჩონჩხთა როდენობა
3	—	—	164—38	1
2	—	—	170—38	2
3	—	—	119—39	1
4	—	—	303—39	2
2	—	—	462—40	1
2	—	—	486—40	1
2	—	—	726—48	3
1	1	—	174—38	1
1	1	—	234—39	1
1	1	—	265—39	1
2	2	—	344—39	1
1	2	—	443—40	2
—	2	—	67—38	1
—	3	3	109—38	2
—	1	2	134—38	1
—	2	1	21—39	6
—	2	1	202—39	5
—	2	1	209—39	1
—	1	2	210—39	2
—	1	2	351—39	2
—	1	1	216—40	6
—	1	1	314—40	1
—	1	1	413—40	1
—	2	2	419—40	1
—	1	1	599—46	1
—	1	2	612—46	3
—	1	2	637—47	3
—	2	1	647—47	2
—	1	2	693—47	1
—	1	1	695—47	1
—	2	2	715—48	2
—	—	2	189—38	1
—	—	4	224—38	1
—	—	4	143—39	2
—	—	3	232—39	3
—	—	3	292—39	2
—	—	2	329—39	4
—	—	2	353—39	2
—	—	2	354—39	1
—	—	2	362—39	2
—	—	3	363—39	2
—	—	3	395—40	1
—	—	2	670—47	2
—	—	3	710—48	2

[17] ცხრილში მოყვანილია მაგალითები მხოლოდ იმ სამარხებისა, რომლებშიაც აღმოჩნდა კარგად დაცული რამდენიმე ცალი მშვილდსაკინძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესის შედეგად გვაქვს II ჯგუფის ე. წ. გარდამავალი ფორმის მშვილდსაკინძები.

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას. იმ 197 სამარხიდან, რომლებშიაც ორი და მეტი მშვილდსაკინძი იქნა აღმოჩენილი, არც ერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული I და III ჯგუფის მშვილდსაკინძების ერთად აღმოჩენისა (იხ. ცხრილი).

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, I ჯგუფის მშვილდსაკინძები შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეორე, გარდამავალი ჯგუფის მშვილდსაკინძებთან ერთად. II ჯგუფის მშვილდსაკინძები ხშირ შემთხვევაში გვხვდება III ჯგუფის მშვილდსაკინძებთან ერთად. ხოლო I და III ჯგუფის მშვილდსაკინძების ერთად აღმოჩენის ფაქტი არც ერთხელ არ არის დამოწმებული.

ვფიქრობთ, აქედანაც ცხადად ჩანს, რომ II ჯგუფის მშვილდსაკინძები გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ I ჯგუფის მშვილდსაკინძებიდან III ჯგუფის საკინძებში. ამ უკანასკნელი ფორმის მშვილდსაკინძების მასიურად წარმოების დროს, როგორც ჩანს, საერთოდ აღარ ამზადებდნენ I ჯგუფის მშვილდსაკინძებს.

რადგანაც III ჯგუფის მშვილდსაკინძები V—VI სს-ის სამარხებში უკვე ხშირად გვხვდება, ამიტომ ბუნებრივია, რომ I ჯგუფის მშვილდსაკინძები უფრო ადრეულ პერიოდს მივაკუთვნოთ. ხოლო II ჯგუფის მშვილდსაკინძები ძველ შორის არსებულ ხანას, ე. ი. IV—V სს.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

1947 წელს გათხრილ იქნა № 655 ქვისსამარხი, რომელშიაც ერთი ზრდასრული ადამიანის ირეული და ნაკლული ჩონჩხი აღმოჩნდა.

სამარხში აღმოჩნდა: 1 ცალი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ბუდეებმული, შეერილებიანი, მუხლდარტყამი (ს. წ. № 6072). ვერცხლის ქინძისთავის 4 ნატეხი, რომელთაგან ორს ვერცხლისავე პატარა მრგვალი თავი აქვს (ს. წ. № 6073), მსგავსივე ბრინჯაოს ქინძისთავი (ს. წ. № 6074), ბრინჯაოსავე ღეროვანი ნატეხები (ს. წ. № 6075) და გიშრის 12 ცალი მძივი. მძივთაგან რვა ცალი მოგრძო-ბრტყელი ფორმისაა, შუაში გვერდებამოღარული, ნაპირებზე თითო ნახვრეტით, ზედაპირზე ორ-ორი კონცენტრული ხაზით; ოთხი ცალი კი მრგვალია, ავრეთვე გვერდებდაკუთხული, შუაში ამოღარული, თითო გრძივი ნახვრეტით (ტაბ. V, სურ. 1). სამარხში აღმოჩენილი ნივთები ახ. წ. IV ს-ს ეკუთვნის.

ამავე წელს გათხრილ იქნა № 660 ქვისსამარხი, რომელშიაც შემდეგი ნივთები აღმოჩნდა: რკინის მშვილდსაკინძი, II ჯგუფისა (ს. წ. № 5962); ბეჭედი, რომლის მრგვალგანივკვეთიან ღეროზე ვერცხლის ოვალური ფორმის თვალბუდეა დარჩილული. ბეჭედის მხრები მცირე ზომის ვერცხლისავე ბირთვებითაა შემკული; თვალბუდეში ოვალური ფორმისავე სარდიონის თვალია ჩასმული, რომელზედაც მკვეთრადაა ამოკვეთილი მხედარი სამსხვერპლოს წინ მარჯვენა პროფილში: ცხენს მარჯვენა წინა ფეხი აწეული აქვს. მხედრის ზურგს უკან გამოსატულია ხე (ს. წ. № 5963). გემა ახ. წ. IV ს. თარიღდება [34].

მსგავსივე მდგომარეობა გვაქვს ავრეთვე 1938 წელს გათხრილ № 193, 1947 წელს გათხრილ № 671, 695 და სხვა სამარხებში, რომლებშიაც II ჯგუფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდსაკინძებთან ერთად აღმოჩენილია IV—V სს-ის გემები და ამავე ხანის სხვა ინვენტარი.

სრულიად ისეთივე მოწყობილობის მქონე მშვილდსაკინძები, როგორიც სამთავროს II ჯგუფის მშვილდსაკინძებია, ცნობილია ქერჩში [35], გელენჯიკში, ჩრდილოეთ კავკასიაში [37, 38], თერგის ბასეინში (მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდი A 9/9a, 69/57б), კიევის გუბერნიაში [36, სურ. 17], სომხეთსა და აზერბაიჯანში (მინგეჩაურში).

III ჯგუფის მშვილდსაკინძების ზოგადი თარიღი ეჭვს არ იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი III ს-ში ითვლიან გვხვდება (კრამიტის სამარხი № 9—39N), მათი მასიური სახით გამოყენება V—VIII სს-ზე მოდის. ეს ნივთები გვხვდება როგორც ამ პერიოდის მონეტებთან ერთად (მაგ. სამარხები № 685—47; № 619—461[8]; № 363—39N; 21—39N; № 92—39N), ისევე ამ ხანის გემებთან და სხვა ნივთებთანაც, რომელთა თარიღი ეჭვს არ იწვევს (მაგ., სამარხი № 715—43. ტაბ. II, სურ. 2).

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ III ჯგ. IV ტიპის II ვარიანტის მშვილდსაკინძების ადგილობრივი წარმოება ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. ისინი სამთავროს სამარხებში მცირე რაოდენობით გვხვდება სხვა ქვეყნებთან შედარებით და „რომაულ-პროვინციალურ“ ან „T-სებრი“ ფორმის სახელითაა ცნობილი. მათი არსებობა III ს-ში იწყება და ჩრდილოეთ კავკასიაში VIII—XIII სს-მდე გრძელდება [37, გვ. 219, 121—129, 370, 379 და სხვ.]. ამდენად, სამთავროში მათი შემოტანა ისევე შესაძლებელია III ს. ვივარაუდოთ, როგორც VIII ს-ში.

ამ ჯგუფის I—II ტიპის მშვილდსაკინძები აღმოჩენილია: სანგრისხევში, ეჭვთ. თაყაიშვილის მიერ 1902 წელს გათხრილ ქვისსამარხებში (8 ცალი რკინისა); სოფ. ახალშენში (ყოფ. გორის მაზრა), ვ. გოროდცოვის მიერ 1911 წელს; ნამუნი (მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდი 69/31a); სოფ. სართიჭალასთან (ე. წ. „ალდამებში“ პროფ. გ. ნიორაძე ამ „ალდამებს“ პირად საუბარში ახ. წ. IV—V სს-ით ათარიღებდა, გემების მიხედვით) და სოფ. კაჭრეთში [43]. მრავლად არის აღმოჩენილი ამ ტიპის მშვილდსაკინძები აგრეთვე ზემო რაჭასა [13, ტაბ. XXIX] და არმაზის ხევში [3].

წალკაში პროფ. ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი მშვილდსაკინძიც ამავე ტიპს მიეკუთვნება [10, გვ. 21, 22, სურ. 25; 7]. ამიტომ მართებულად არ მიგვაჩნია მის მიერ ამ მშვილდსაკინძის გაიგივება პროფ. გ. ნიორაძის მიერ კარსნისხევში აღმოჩენილ მშვილდსაკინძთან და, ამის მიხედვით, კარსნისხევის სასაფლაოს დათარიღება „არა უადრესად V და არა უგვიანეს VII საუკუნით“ [10, გვ. 22. ამის შესახებ იხ. 42].

ამავე ტიპის მშვილდსაკინძები ცნობილია აგრეთვე სომხეთში [44, 45], აზერბაიჯანში [46], ყოფ. ვორონეჟის გუბერნიაში [47, გვ. 153—163, სურ. 5 და 11], მდ. ოკას ბასეინში [48, სურ. 96], ყირიმში [49, გვ. 99—126, სურ. 15], ჩრდილოეთ კავკასიაში [37, ტაბულები XLVI (16), LV (14), LXV (25), LXXII (22), LXXXVII (10), CIV (6)] და აგრეთვე ყოფ. ვლადიკავკაზის ოლქში (მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდი A 9/9a 53/18).

ყველა ეს მშვილდსაკინძი ახ. წ. III—VIII სს-ით არის დათარიღებული (სომხეთში ახ. წ. I—V სს-ით [44, 45]).

[8] იხ. ტაბ. V, სურ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV ტიპის მშვილდსაკინძები, გარდა ჩრდილოეთ კავკასიისა [37], მრავლად გვხვდება აგრეთვე შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო ქვეყნებში [50 და 51], ყოფ. კიევის გუბერნიაში [36, სურ. 16].

რაც შეეხება III ჯგუფის III ტიპის მშვილდსაკინძებს, მათი უმეტესი ნაწილი გარეგნულად II ტიპის მშვილდსაკინძებს ჰგავს (ზოგიერთი სხვაობით) და ახალოგიებიც უკვე იყო აღნიშნული, ხოლო ცხვირღერძაკიანი მშვილდსაკინძების მსგავსს ჩვენ სხვა ადგილებიდან არ ვიცნობთ.

ეს მშვილდსაკინძები I და II ჯგუფის ზოგიერთ მშვილდსაკინძთან ერთად ჩვენ ადგილობრივი, მცხეთური ტიპის მშვილდსაკინძებად მიგვაჩნია. ასევე მცხეთური ტიპის მშვილდსაკინძებად მიგვაჩნია რკალდაფანჯრული მშვილდსაკინძებიც. მათი მსგავსიც არსად არ შეგვხვედრია.

მხოლოდ ერთი მშვილდსაკინძი აქვს გამოქვეყნებული ა. კალიტინსკის ხსენებულ ნაშრომში [6, გვ. 210, ტაბ. XVIII, სურ. 48 და აგრეთვე სურ. 6], რომელიც ა. სპიკინის მიერ ყოფ. შავი ზღვის გუბერნიაში აღმოჩენილი [52]. ა. კალიტინსკი მას ანალოგებს ისევ შავი ზღვის სანაპიროზე უძებნილ (დასავლეთ საქართველოსა და ყირიმში) და ა. სპიკინთან ერთად იმ აზრისაა, რომ ეს მშვილდსაკინძები ბიზანტიიდან არის შემოტანილი [6, გვ. 210]. ა. კალიტინსკის მიერ გამოქვეყნებული მშვილდსაკინძები არსებითად განსხვავდება სამთავროს რკალდაფანჯრული მშვილდსაკინძებისაგან. პირველთ მშვილდი (რკალი) დიდი ზომისა და მრგვალი ფორმის აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში ვიწრო, ბრტყელ მშვილდზე (რკალზე) ზემოდან დაკრული, სამთავროს მშვილდსაკინძებს კი რკალი (მშვილდი) მცირე ზომის ოთხკუთხედი ან კვერცხისებრი ფორმისა აქვთ. ამასთანავე არც ერთ შემთხვევაში რკალს სხვა დაფანჯრული ფირფიტა არა აქვს დაკრული, ყოველთვის თვით რკალია დაფანჯრული. ამდენად, სამთავროს და კალიტინსკის მიერ გამოქვეყნებული მშვილდსაკინძების შედარებაც არაზუსტია. ასე რომ, სამთავროს რკალდაფანჯრული მშვილდსაკინძები ადგილობრივ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

თუ რამდენად ფართო ხასიათისა იყო მშვილდსაკინძების წარმოება მცხეთაში, ამაზე მათი რიცხობრივი სიმრავლე და ნაირ-ნაირი ფორმები მიგვითითებენ. ყველა ამ ფორმის მშვილდსაკინძის ასეთი მასიური სახით სხვა ქვეყნებიდან შემოტანა წარმოუდგენლად გვეჩვენება.

ეფექრობთ, რომ სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური თუ კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის შედეგად მცხეთის მოსახლეობამ ადრევე დაიწყო ტანსაცმლის შესაკერავად ბუდეაბმული მუხლსამაბიანი მშვილდსაკინძების ხმარება. მცხეთელმა ოსტატებმა ზოგიერთი მშვილდსაკინძი გადაამუშავეს და ადგილობრივი ტანსაცმლისათვის გამოსადეგი ზომის მიხედვით იწყეს მათი დამზადება; წარმოების პროცესში მოგვცეს სრულიად ახალი ფორმის მშვილდსაკინძები, რომელთა მსგავსი სხვაგან არ არის აღმოჩენილი; მასიური სახით ამზადებდნენ რკინის საკინძებს, თუმცა ამ მასალის გამოყენების დროს ეროდებოდნენ დახვეევას. შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოებითაც აიხსნება ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმის მშვილდსაკინძების შექმნა. I ჯგუფის მშვილდსაკინძებზე აშკარად წინ არის წამოწეული მშვილდსაკინძის პრაქტიკული მხარე. თუმცა ამავე დროს თავს იჩენს სამკაულებრივი მხარეც (მშვილდის დაფანჯრა). II და III ჯგუფის მშვილდსაკინძებზე სამკაულებრივი მხარე უფრო მეტად იგრძნობა (კონსტრუქციული თვალსაზრისით არასაჭირო ელემენტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, მაგ., დამატებითი რგოლბურთულები, ლერძაკი ჭვინტში, ინკუსტრაცია, დაფანჯარა და სხვ.).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მშვილდსაკინძი ყველგან ძირითადად პრაქტიკული თვალსაზრისით იხმარებოდა. სამთავროსათვის მცირე ზომის მშვილდსაკინძებია დამახასიათებელი (საშუალო სიგრძე —4 სმ, სიმაღლე—1,2 სმ), ზოგჯერ ისეთი მცირე ზომის მშვილდსაკინძებიც გვხვდება, რომელთა ენის სიგრძე მუხლიდან ენის ბუდემდე 1 სმ უდრის (მაგ. ტაბ. III, სურ. 1 (3—4), სამარხი № 525—40N და სხვ.); იშვიათად გვხვდება აგრეთვე ისეთი დიდი ზომის მშვილდსაკინძებიც, რომელთა აღნიშნული ნაწილის სიგრძე 8 სმ უდრის (იხ. ტაბ. III, სურ. 1).

რა თქმა უნდა, ეს ორი სხვადასხვა ზომის მშვილდსაკინძი არც ერთისა და იმავე დანიშნულების და მით უმეტეს ერთნაირი ქსოვილის ტანსაცმლის შესაკრავად არ გამოდგებოდა: თუ დიდი ზომის მშვილდსაკინძი აშკარად უხეში ქსოვილის ტანსაცმლისათვის იყო გამოსადეგი, მცირე ზომისა საამისოდ გამოუსადეგარია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთ ჩონჩხს ხშირად სხვადასხვა ზომის მშვილდსაკინძები ახლავს ხოლმე და სხვადასხვა ადგილას (ზოგჯერ გულმკერდის არეში, მხართან, ყელთან), როგორც ჩანს, მიცვალებულს მშვილდსაკინძით შეკრული ჰქონდა წამოსასხამის გარდა (რომლისათვისაც ძირითადად იხმარებოდა მშვილდსაკინძი) სხვა ტანსაცმელიც. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ საბერძნეთში მამაკაცები მშვილდსაკინძით წამოსასხამს ყოველთვის მარჯვენა მხართან იკრავდნენ. ხოლო ქალები ამ ნიფის ხმარობდნენ როგორც ზედა, ისე ქვედა ტანსაცმლის შესაკრავად. თუ ამ ფაქტის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ რამდენიმე მშვილდსაკინძის შემცველ ერთ-ჩონჩხიან სამარხში ქალია ჩასვენებული. ასე რომ, საკარაულოდ შეიძლება სქესის განსასაზღვრელად ეს ნიშნიც იქნეს მხედველობაში მიღებული. მით უმეტეს, რომ ბევრ შემთხვევაში იგი მართლდება [54].

რაც შეეხება თვით ტანსაცმლის რაობას, ამის შესახებ ვადაკრით რაიმეს თქმა ამჟამად ძალიან ძნელია. ერთი რამ ცხადია: ამ პერიოდში მცხეთის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა წამოსასხამს. ეს წერილობითი წყაროებითაც ჩანს [53, გვ. 82—83]. ეს წამოსასხამები უმეტეს წილად წმინდა ქსოვილისაგან ყოფილა დამზადებული, რაზედაც მშვილდსაკინძების გარდა თვით ქვისსამარხებში აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთებიც მოგვითითებს. კერძოდ რა მასალისაგან იყო ეს ქსოვილი დამზადებული, სათანადო ანალიზების უქონლობის გამო, რაიმე დასკვნების გამოტანა ძნელია. შესაძლებელია მატყლის გარდა აბრეშუმთანაც გვქონდეს საქმე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, უფლება ვიაქვს დავასკვნათ, რომ მცხეთაში ახ. წ. IV—V სს-ში უკვე არსებობდა მშვილდსაკინძების ადგილობრივი წარმოება. ეს წარმოება მცხეთაში არსებობდა იმ დროსაც, როდესაც მცხეთა „ათხელდა" და როგორც დედაქალაქმა თავისი ადგილი საბოლოოდ დაუთმო თბილისს. მშვილდსაკინძის აღმოჩენის ფაქტს VIII ს-ის შემდეგ ჩვენ არ ვიცვლობთ მცხეთიდან. ამიტომ, ვფიქრობთ, აღნიშნული ხანის შემდეგ მშვილდსაკინძმა ღაკარგა თავისი პირველადელი მნიშვნელობა და მისი წარმოებაც შეწყდა მცხეთაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

О. В. ТКЕШЕЛАШВИЛИ

ФИБУЛЫ НАЙДЕННЫЕ В ПОГРЕБЕНИЯХ II—VIII ВВ. Н. Э. САМТАВРСКОГО МОГИЛЬНИКА (МЦХЕТА, ГРУЗИНСКАЯ ССР)

Резюме

Фибулы обнаружены более чем в трехстах погребениях, причем в большинстве этих погребений были найдены более чем по одной фибуле в каждом. Всего количество обнаруженных фибул (целых или таких, формы которых можно восстановить) составляет 383, из коих 13 фибул из серебра, 126 — из бронзы и 244 — из железа. По устройству и технике изготовления фибулы делятся на три хронологически последовательные группы.

Фибулы первой группы (их всего 64) двухчленные, для них характерны подвязной приемник и пружина. По устройству дуги и приемника эти фибулы делятся на три типа, из коих каждый имеет по три варианта (см. таб. I, рис. 1 (1—12)).

Во второй группе объединены фибулы, представляющие собой переходную ступень между первой группой и третьей. В них сочетаются элементы фибуль первой и третьей групп. Так, например, некоторые фибулы имеют подвязной приемник и дужку на шарнире (первая подгруппа), другие же—сплошной пластинчатый приемник и пружину (вторая подгруппа). Фибулы каждой подгруппы делятся на два типа, из коих каждый дает по несколько вариантов (таб. I, рис. 2 (13—20)).

Для фибул третьей группы характерны сплошной пластинчатый приемник и шарнирное соединение. Фибулы этой группы многочисленнее фибул первых двух групп. Всего найдено их 260; из них: 5 из серебра, 68 из бронзы и 187 из железа (таб. I, рис. 1 (1—9)).

Обращает на себя внимание тот факт, что фибулы третьей группы, несмотря на их многочисленность, типологически мало дифференцированы: всего можно выделить четыре типа, из которых только четвертый тип дает два варианта. Фибулы I и II типов третьей группы наиболее многочисленны, их 212; из них 26 фибул из бронзы, остальные—из железа. Некоторые фибулы третьей группы имеют железную дугу и бронзовую иглу; железная дуга иногда инкустрирована бронзовой пластинкой

В работе даны соображение автора по технике изготовления фибул, основанные, с одной стороны, на наблюдениях автора исследования и, с другой стороны, на сведениях, собранных у золотых дел мастеров г. Тбилиси. Устанавливается в частности, что наиболее сложным и трудоемким процессом является изготовление фибул первой группы, особенно приемника и пружины. При пользовании предметом приемник и пружина часто портились и поэтому возникала необходимость замены этих, трудно изготовляемых и легко повреждающихся частей. В результате этого стали изготовляться фибулы сначала второй переходной группы, где один из элементов фибулы (ножка или дужка) заменен, а затем — третьей группы. Обнаружение фибул третьей группы в гораздо большем числе, чем первых двух групп, можно объяснить и тем, что их изготовление было более легким.

Надо полагать, что это техническое совершенствование в способе изготовления фибул было связано с большим спросом у населения на них.

По мнению исследователей, первоначальная форма рассмотренных нами фибул первой группы произошла от слияния фибул т. н. среднелатенского типа с фибулами с загнутым приемником. Это слияние, по мне-

ეროვნული ბიბლიოთეკა

нию тех же исследователей, произошло в результате развития взаимоотношений между греческими колонистами и местным населением Северного Причерноморья, на рубеже I в. до н. э. и нового летоисчисления[19]. Обращает на себя внимание тот факт, что самые примитивные и простые большие по размеру экземпляры таких фибул в большом количестве обнаружены на территории Грузии (Чхороцку, Верхняя Рача, Сохта, Бори, Кладеши, Чала). В связи с этим мы допускаем возможность возникновения вышеуказанной формы фибул также и в Западной Грузии. Следует в связи с этим отметить, что в научной литературе высказано предположение, что в Западной Грузии, на побережье Черного моря, уже с древнейших времен существовали мастерские, изготовлявшие фибул особой местной формы (т. н. «восточно-черноморская форма фибул»)[20].

Обнаруженные в Самтавро фибулы I группы, по нашему мнению, представляют также развитую форму найденных в Грузии одночленных подвязных фибул. Надо полагать, что мцхетские мастера, подражая простейшим фибулам большого размера, уже в II—III вв. н. э. начали изготовлять фибулы сравнительно меньшего размера, приспособленные для одежды местного населения.

Нижним хронологическим пределом обнаруженных в Самтавро фибул принято считать IV в. н. э. (М. М. Иващенко, А. Н. Каландадзе, Г. Л. Ломтатидзе). По нашему же мнению, эта дата нуждается в поправке: еще до революционные археологи отмечают о находках фибул в черепичных и кирпичных погребениях Самтаврского могильника (Фр. Байерн, А. П. и П. С. Уваровы, Н. Вырубов). В черепичных и кирпичных погребениях Самтавро обнаружены фибулы также при раскопках в советское время (напр., черепичные погребения №№ 9 и 77, кирпичное погребение № 136 — раскопки 1939 г.). Погребения же этих типов на Самтаврском могильнике не встречаются позднее III в. н. э. Отдельные части таких фибул обнаружены также в каменных ящиках, датирующихся I—III вв. (напр., в двухскатном погребении № 351, раскопанном в 1941 г. на южном участке). В результате комплексного изучения самтаврского погребального инвентаря выясняется, что часть тех погребений, в которых обнаружены фибулы (преимущественно I группы), датируются II—III в.: так, например, в каменном ящике № 28 (раскопанном в 1938 г. на северном участке могильника) вместе с другими предметами найдена серебряная монета римского императора Адриана (117—138 гг.) и фибулы; в погребениях № 243 (раскопанном в 1939 г.) и № 630 (раскопанном в 1947 г.) вместе с фибулами обнаружены бронзовые браслеты с обвязанными концами, которые, как известно, в Грузии (также, как и в других районах их распространения) не встречаются позднее II в. н. э.; предметы, датирующиеся, несомненно, II—III вв., встречаются также в погребениях № 24, 34, 303, 556 и др. На основании этих фактов мы приходим к выводу, что большая часть фибул I группы относится к II — III вв. Также датируются аналогичные фибулы в других районах их распространения (напр., на юге СССР, где фибулы с подвязными прием-

---

[19] А. П. Калитинский, О некоторых формах фибули из Южной России, Сборник статей по археологии и византиноведению, издаваемый семинарием им. Н. П. Кондакова, Прага, 1927.

[20] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I. Тбилиси, 1949, стр. 242—243.

ეროვნული ბიბლიოთეკა

никами и с пружинными дужками после III века н. э. вообще не встречаются).

Фибулы I группы в Самтаврском могильнике очень редко (всего два экземпляра) может быть можно отнести к IV веке н. э. В тот же период начинают появляться новые формы фибул. Фибулы второй, переходной группы, датируются IV—V вв. С IV же века встречаются фибулы третьей группы, которые получают широкое распространение в VI—VIII вв. н. э.

Фибулы I группы редко, но все же, встречаются вместе с фибулами второй, переходной, группы и совсем не встречаются с фибулами третьей группы; фибулы же II и III групп часто встречаются вместе (см. табл. на стр. 328).

На основании всего сказанного мы приходим к выводу, что, подвязные, пружинные фибулы в Картли в употребление вошли во II—III вв. и мцхетские мастера приспособили их по размеру к местной одежде; в процессе производства тут выработались новые, оригинальные формы фибул, употреблявшиеся для застежки не только грубых одежд, но также и одежд из тонких тканей (вероятно, иногда и шелковых).

Следует отметить, что некоторые виды обнаруженных в Самтавро фибул (фибулы со стерженком и фибулы с ажурной дугой) почти не встречаются в других районах, что дает основание предполагать изготовление таких фибул в г. Мцхета.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ—ЛИТЕРАТУРА

1. Энциклопедический словарь, т. XXXV-А (70), Издатели: Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон, СПБ, 1902.
2. ალ. კალანდაძე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1954.
3. ს. ყაფლანიშვილი, ვ. გოგელიანი, ს. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბილისი, 1955.
4. Латинско-русский словарь, сост. г. Шульц, изд. X, СПБ, 1905.
5. ლათინურ-ქართული ლექსიკონი, შედგ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1940.
6. А. П. Калитинский, О некоторых формах фибулы из Южной России, Сборник статей по археологии и византиноведению, издаваемый семинарием им. Н. П. Кондакова, Прага, 1927.
7. Е. С. Такайшвили, Краткий отчёт о раскопках, произведенных по поручению Императорской археологической Комиссии летом 1872 г. близ ст. Мцхет ИКОМАО, вып. I, Тифлис, 1904.
8. А. П. Калитинский, Из истории фибулы на Кавказе, Сборник статей по археологии и византиноведению, изд. семинарием им. Н. П. Кондакова, Прага, 1926.
9. გ. ნიორაძე, ზემოგვალის სამარე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VI-ტფილისი, 1931.
10. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, т. I, Тбилиси, 1941.
11. Н. В. Хошария, Чхороцку, могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვ. II, თბილისი, 1941.
12. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и имеретию, Тбилиси, 1949.
13. გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები, საკანდიდატო დისერტაცია, 1943 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი).
14. Е. Придик, Новые кавказские клады, Материалы по археологии России, вып. 34, 1914.
15. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I. Тбилиси, 1949.
17. М. М. Иващенко, Погребения Самтавро IV-ого и последующих веков н. э., Тбилиси, 1944. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში.
18. Фр. Байерн, Исследование древних гробниц близ д. Мцхета, произведенное г. Байерном летом 1871 г. Сборник сведений о Кавказе, т. II, Тифлис, 1872.
19. А. С. и П. С. Уваровы, Взгляд на Мцхетский могильник, Древности, Труды ИМАО, т. X, М., 1885.
20. П. С. Уварова, коллекции Кавказского Музея, т. V, Археология, Тифлис, 1902.
21. Н. Вырубов, Предметы древности в Хранилище „Общества любителей Кавказской археологии", вып. I, Тифлис, 1877.
22. E. Chantr, Recherches antropologiques le Caucas, Tome séconde, Période proto historique, Atlas, Paris-Lion, 1886.
23. ალ. კალანდაძე, სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი სამთავროს ფაქელეს სამაროვანში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1947 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი).
24. ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეოლოპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფილისი, 1927.
25. ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სასარაფანი მცხეთაში, მიმმხილველელი, ტ. I, თბილისი, 1949.
26. მ. ლორთქიფანიძე, ანტიკური დროის გემები მცხეთაში, აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბილისი, 1950.
27. М. М. Иващенко, Погребения Самтавро I—III вв. н. э. (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი).
28. М. М. Максимова, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950.
29. Г. Г. Лемлein, Каменные бусы Самтаврского некрополя, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, თბილისი, 1951.
30. Т. Н. Книпович, Танаис, Историко-археологическое исследование, М.—Л., 1949.
31. К. Ф. Смирнов, О некоторых итогах исследования могильников меотской и сарматской культуры Прикубанья и Дагестана КСИИМК, вып. XXXVII, М.—Л., 1951.
32. А. А. Иессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА, М., Л., 1941.
33. გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო, ტფილისი, 1926.
34. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. I. სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი, თბილისი, 1954.
35 В. Шкорпил, Отчёт о раскопках в г. Керчи в 1905 г., ИАК, вып. 30, СПБ, 1909.
36. И А К, вып. 40, СПБ, 1910.
37. П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1912.
38. Е. И. Крупнов, Археологические памятники Ассинского ущелья, Труды ГИМ, вып. XII, М., 1941.
39. Е. П. Алексеева, Кобянская культура Центрального Кавказа, Уч. зап. ЛГУ, вып. 13, Ленинград, 1949.
40. О А К за 1894 г., СПБ, 1846.
41. გ. ნიორაძე, შიდალებულის ჭაერზე დამარხვა, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბილისი, 1940.
42. ო. ტუმანელაშვილი, სამთავროს ახ. წ. IV—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—XXI-ბ, თბილისი, 1957.
43. ნ. ფაღრელიძე, კაკრეთის სამარხი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955.
44. ე. ჯაბაილი, საბჭოთა სომხეთში გათხრილი სამარხები, ერევანი, 1939 (სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმეთ).
45. ამბ. ,,კალატარი, გათხრები ძველ ვალარშაპატში, ერევანი, 1935 (სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმეთ).
46. Материальная культура Азербайджана, т. II, Баку, 1951.
47. И А К, вып. 29, СПБ, 1908.
48. ЗОРСА, т. V, вып. I, СПБ, 1903.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. И А К, вып. 30, СПБ, 1909.
50. О А К за 1890 г., СПБ, 1892—1894.
51. О А К за 1897 г., СПБ, 1900.
52. А. А. Спицын, Могильник V в. в Черноморье, ИАК, вып. 23, СПБ, 1907.
53. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედ., მესამე შესწორებულ-შევსებული გამოცემა, თბილისი, 1948,
54. ო. ტყეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები, სამთავროს სამაროვნიდან (ახ. წ. IV—VIII სს.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, თბილისი, 1956, გვ. 260—261.
55. ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს ჩრდილო ჯგუფი 1938—1939 წწ., მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში, ხელნაწერი (ივ. ჯავახიშვილი სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1

სურ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1



სურ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1



სურ. 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, კერა სვანურ სახლში 3
М. И. Чартолани, Очаг в сванском доме 16
2. ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ს. ორჯონიკიძის სახ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშების ყოფისა და კულტურის ზოგიერთი მხარე 17
С. Я. Бедукадзе, М. К. Гегешидзе, Г. А. Чачашвили, Некоторые стороны быта и культуры рабочих Кутаисского автозавода им. Орджоникидзе 36
3. დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის 39
Д. Л. Коридзе, К изучению археологических памятников г. Тбилиси 53
4. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო 55
А. К. Бакрадзе, Эпиграфические памятники Триалети и Атени как источник истории 77
5. ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ახალქალაქის დაკარგული წარწერის წაკითხვისათვის 79
В. Г. Цискаришвили, К чтению пропавшей Ахалкалакской надписи 84
6. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში 85
Е. П. Метревели, К истории грузинских культурных очагов на Черной Горе в первой половине XI века . . 104
7. თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, საბუთი ყორჩიბაშის სარგოსა და სახელოს შესახებ 105
Т. П. Энукидзе, Документ о должности и доходах корчибаша в Грузии 109
8. მ. ქ ი ქ ო ძ ე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში 111
М. Г. Кикодзе, К истории судебных доказательств в позднефеодальной Грузии 130
9. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ერთი ლექსის ავტორის საკითხისათვის . 131
Л. И. Кутателадзе, Об авторе одного стихотворения . 137
10. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში 139
Ш. А. Хантадзе, Эпизод социальной борьбы в позднефеодальной Грузии 169

11. შ. გოზალიშვილი, მოგონებათა ერთი ფურცელი დიდი რუსი მწერლისა და დრამატურგის ა. გრიბოედოვის ცხოვრებიდან . 171
Ш. Н. Гозалишвили, Одна страница воспоминаний из жизни великого русского писателя-драматурга А. С. Грибоедова 174
12. შ. ბურჯანაძე, თავადი ზურაბ წერეთელი . . . 177
Ш. В. Бурджанадзе, Князь Зураб Церетели 189
13. Е. Э. Гранстрем, Греческие рукописи Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа 191
14. Л. С. Давлианидзе. К изучению Цундско-Тмогвских хачкаров (крестов-камней) 195
15. ბ. ზაქარაია, სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი 201
П. П. Закарая, Несколько архитектурных памятников ущелья Скра 230
16. თ. აბრამიშვილი, ნოკალაქევის განძი 233
Т. Я. Абрамишвили, Нокалакевский клад 249
17. თ. აბრამიშვილი, 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი 251
Т. Я. Абрамишвили, Медаль 1789 года в ознаменование заключения трактата между Россией и Грузией . . . 258
18. ს. ბედუკაძე, კირის დამზადება და მისი გამოყენება მშენებლობაში (ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) . 257
С. Я. Бедукадзе, Применение извести в строительной технике Грузии (по этнографическим материалам) 271
19. ნ. რეხვიაშვილი, გიშრის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში 273
Н. Б. Рехвиашвили, Народные способы добычи и обработки гишери (гагата) в Грузии 284
20. ჯ. სონღულაშვილი, მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაობი აღმოსავლეთ საქართველოში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების მიხედვით) . 285
Д. М. Сонгулашвили, Деревянная измерительная посуда, применявшаяся в Восточной Грузии в полеводстве (по этнографическим коллекциям Государственного Музея Грузии им. С. Н. Джанашиа) 297
21. А. А. Барамидзе, К вопросу означении Северной Сирии для Урарту 299
22. ო. ტყეშელაშვილი, სამთავრის სამაროვნის ახ. წ. II—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები . . . 305
О. В. Ткешелашвили, Фибулы найденные в погребениях II—III вв. н. э. Самтаврского могильника (Мцхета, Грузинская ССР) 333

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი შ. ხანთაძე
გამომცემლობის რედაქტორი გ. ღლონტი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი თ. ბოკუჩავა

გადაეცა წარმოებას 28.1.57; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 30.9.59; ქაღალდის ზომა 70×108 1/16;
ქაღალდის ფურცელი 10,625; საბეჭდი ფურცელი 29,11; საავტორო
ფურცელი 26,4; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,91;
შეკვეთა 231; უე 03695; ტირაჟი 1000
ფასი 19 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბაძის ქ. 3/5

ფასი 19 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. 17/447